

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

290
1956 / 2
63

უ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО

УНИВЕРСИТЕТА

ИЗДАТЕЛЬСТВО Т А Л И Н А

63

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

თბილისი

1956

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროზები

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

814

63



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1956

დაიბეჭდა სტადინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

სარედაქციო კოლეგია:

- ვ. კუპრაძე (მთავარი რედაქტორი)
- ილ. აბულაძე
- ნ. ალექსიშვილი
- ა. ბრეგაძე
- კ. გარდაფხაძე
- ლ. გორგილაძე
- პ. გუჯაბიძე
- ს. ჟღენტაძე
- ა. ჟანცხავაძე
- გ. ხავთასი
- ა. ხარაძე
- გ. ხუციშვილი

ზინაარსი

1. ს. ბერაძე, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის განვითარება ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“	1—32
2. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701—1761 წწ.)	33—65
3. ვ. ადვაძე, მატერიალური დაინტერესების პრინციპის როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში	67—91
4. გ. ტივაძე, მიწათმფლობელობის თიმარიოტული სისტემა როგორც სამხედრო-ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში	93—122
5. ვ. დონაძე, ინდოეთში ლაშქრობის ერთი პროექტის საკითხისათვის	123—152
6. კ. მეშველიანი, ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ XV—XVI სს.	153—182
7. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში	183—206
8. ნ. კიკვაძე, არისტოტელეს მსჯელობის თეორია	207—223
9. გ. ნადარეიშვილი, განქორწინების წესი ფეოდალურ საქართველოში	225—248
10. ვ. ცისკარიძე, ლალიონის შემოქმედება	249—276
11. ნ. კეჭალმაძე, ჰომეროსის წინაღობინდელი პოეზიის საკითხისათვის	277—297
12. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ფრანგი არმენისტები XIX საუკუნის პირველი ნახევრისა საქართველოს საარქივო მასალებით	299—310
13. თ. ამირაჯიბი, ბელინსკი ინგლისელი მწერლების შესახებ	311—338
14. ი. ცერცვაძე, „ცოდნის“ აღმნიშვნელი ზოგი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში	339—343
15. კ. ჭრელაშვილი, -ბი სუფიქსი ბაცბურში	345—351
16. თ. მრევლიშვილი, კავშირი „ინი“ გოგოლის თხზულებებში	353—364
17. ვ. ყიფჯო, მართვის თავისებურებანი ა. ჩეხოვის ნაწარმოებების მიხედვით	365—382

18. ლ. ხატიაშვილი, ჩართულ წინადადებათა საკითხისათვის
თანამედროვე რუსულ ენაში 383—396
19. მ. მულკიჯანიანი, მიზნობრივი დამოკიდებულების გამო-
ხატვა ძეგლში „Повесть временных лет“ 397—419

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

20. კ. კეკელიძე, პროფ. ე. ჰონიგმანი პეტრე იბერიელისა და
ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა შესახებ . 421—431
21. სერგი ჟღენტი, ვ. ა. არტიოზოვი. Экспериментальная
фонетика 433—445

СОДЕРЖАНИЕ

63. тома

1. С. Берадзе, Вопросы развития грузинской общественно-экономической мысли в журнале „Сакартвелос моамбе“ 1—32
2. Н. Коява, Финансы Картли и Кахети в XVIII веке (1701—1761 гг.) 33—65
3. В. Адвадзе, Роль принципа материальной заинтересованности в развитии колхозного производства . . . 67—91
4. Г. Тивадзе, Тимариотская система землевладения как основа военно-феодалных отношений в Оттоманской империи 93—122
5. В. Донадзе, К вопросу о проекте русско-французского похода в Индию (Конец 1800 и начало 1801 гг.) . . 123—152
6. К. Мешвелиани, Борьба болгарского народа против турецких захватчиков в XV—XVI вв. 153—182
7. О. Джапаридзе, Археологические раскопки в селе Аркнети 183—206
8. Н. Киквадзе, Учение Аристотеля о суждении 207—223
9. Г. Надарейшвили, Бракорасторжение в феодальной Грузии 225—248
10. В. Цискаридзе, Творчество Лалиони 249—276
11. Н. Качакмадзе, Некоторые вопросы догомеровской поэзии 277—297
12. Л. М. Меликсет-Бек, Французские арменисты первой половины XIX века по архивным материалам Грузии 299—310
13. Т. Амираджиби, Английские писатели в критике Белинского 311—338
14. И. Церцвадзе, Некоторые основы, обозначающие „знать“ в иберийско-кавказских языках 339—343
15. К. Чрелашвили, Суффикс -bi в бацбийском языке . . 345—351

-
16. Т. Мревлишвили, Союз „ибо“ у Гоголя 353—364
17. В. Жидко, Особенности управления по произведениям
А. П. Чехова 365—382
18. Л. Хатиашвили, К вопросу о вводных предложениях
в современном русском языке 383—396
19. М. Мулкиджанян, Выражение целевых отношений в
„Повести временных лет“ 397—419

Критика и библиография

20. К. Кекелидзе, Проф. Э. Хонигман о Петре Ибере и
сочинениях пс.-Дионисия Ареопагита 421—431
21. Сергей Жгенти, В. А. Артемов. Экспериментальная
фонетика, 1956 433—445
-

სერგო ბერაძე

ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობების განვითარება ქრნალ „საქართველოს მოახლეობა“

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლების საქართველო ხასიათდება ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობის ბატონობით და მასთან ერთად ბატონყმობის კრიზისის გამწვავებით. ფეოდალიზმის წიაღში აღმოცენებული კაპიტალისტური ურთიერთობანი თანდათან ვითარდებოდა, თუმცა ბატონყმობა მას აბრკოლებდა. მემამულეთა მიერ გლეხების გაძლიერებულ ექსპლოატაციას მიემატა ჩარჩ-ვაჭრების და მევახშეების მხრივ გლეხების ექსპლოატაცია.

ეკონომიური განვითარების ძალა რუსეთს და მასთან ერთად საქართველოს, განვითარების კაპიტალისტურ გზაზე აყენებდა; ამ ძალის თავიდან აცილება აღარ შეეძლოთ მებატონეებს; მათ არ შეეძლოთ დაშლის პროცესში მყოფი მეურნეობის ძველი ფორმების შენარჩუნება. ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი არ შეესაბამებოდნენ მწარმოებლური ძალების მაშინდელ დონესა და ხასიათს. ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ამუხრუჭებდნენ მწარმოებლურ ძალებს, მათ შორის კონფლიქტი იყო.

კონფლიქტი ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობათა და საზოგადოების მწარმოებლურ ძალებს შორის ვლინდებოდა მწვავე კლასობრივ ბრძოლაში მებატონეებსა და ყმა გლეხებს შორის. ძველი წარმოებითი ურთიერთობების ახალი წარმოებითი ურთიერთობებით შეცვლის მატერიალური წინამძღვრები კი აღმოცენებული იყო ფეოდალიზმის წიაღში და თანდათან ვითარდებოდა. ბატონყმური წყობილების სიღამპლე და უძლურება სავსებით ცხადყო ყირიმის ომმა. ეკონომიური განვითარების ძალისა და გლეხთა მასების ფართოდ გაშლილი ბრძოლის შედეგად გარდუვალი ხდებოდა ბატონყმობის მოსპობა. ამ მოვლენებმა „...აიძულა, — წერს ლენინი, — პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დავამხობდნენო“. ¹ 1861 წლის 19 თებერვალს რუსეთში გამოქვეყნდა „სავლენო რეფორმის“ მანდესტი. „სავლენო რეფორმას“ ლენინი

¹ ვ. ი. ლენინი, „სავლენო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, თბ., ტ. 17, გვ. 127.

ახასიათებს როგორც ბატონყმურ რეფორმას, რომელიც შინაარსით ბურჟუაზიული იყო. „ეს იყო, — წერს ლენინი, — ნაბიჯი რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე“.¹

საქართველოში „საგლეხო რეფორმა“ ჩატარდა უფრო გვიან, სახელდობრ 1864—1871 წლებში. „საგლეხო რეფორმის“ შედეგად გლეხებმა საქართველოში. ისე როგორც რუსეთში, მიიღეს შეზღუდული პირადი დამოუკიდებლობა, მაგრამ დარჩნენ უმიწოდ. ხოლო მიზომილი ნადელებისათვის უნდა ეხდათ ღალა. დიდძალი ფეოდალური გადმონაშთების გამო მემამულეები გლეხების ველურ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. გლეხების ეკონომიური მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. საქართველოში „საგლეხო რეფორმა“ მებატონეებისათვის უფრო ხელსაყრელ, ხოლო გლეხებისათვის უარეს პირობებში ჩატარდა, ვიდრე რუსეთში.

„საგლეხო რეფორმის“ ადგილზე ჩატარების პროექტის შედგენა მეფის მთავრობის მიერ წინასწარ მინდობილი ჰქონდათ ქართველ მებატონეებს, რომლებიც ამ საკითხს იხილავდნენ თავის სასარგებლოდ თავადაზნაურთა საგანგებო კრებებზე. ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა უარყოფითად შეხვდა „საგლეხო რეფორმას“. ილია ჭავჭავაძე, თავადაზნაურობის უმცირესობასთან ერთად, გადაჭრით მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას და გლეხების მიწიანად განთავისუფლებას, რისთვისაც მას სიკვდილით დაემუქრნენ. საქართველოში 1864 წლის შემოდგომამდე ბატონყმობის გადავარდნაზე არამც თუ პრესაში წერა, არამედ ხალხში ლაპარაკიც კი აკრძალული იყო.

სწორედ ასეთ ვითარებაში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე სახელოვანი ქართველი მესამოციანელები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ლოღობერიძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ლოღობერიძე და სხვ. მათ იერიში მიიტანეს ბატონყმობისა და მისი დამცველი ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ. სამწერლო ასპარეზზე გაიმართა ბრძოლა ძველსა და ახალ თაობებს შორის, რაც ძველ იდეოლოგიასა და ახალ იდეოლოგიას შორის გამწვავებული ბრძოლის გამოხატულება იყო. იბრძოდნენ რა ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ, ქართველი მესამოციანელები მთავარ ყურადღებას ხალხის ინტერესებს აქცევდნენ და ლიტერატურის მეშვეობით ხალხში დემოკრატიულობის პრინციპებს ნერგავდნენ. ქართველ მესამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის და მათი დემოკრატიული იდეის აღმოცენების ფესვები უპირველეს ყოვლისა თვით საქართველოს იმდროინდელ ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ქართველი მესამოციანელები იბრძოდნენ არა მხოლოდ სოციალური, ბატონყმური ჩაგვრის, არამედ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგაც.

ქართველი მესამოციანელები ანუ თერგდალეულები მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გულმოდგინედ იბრძოდნენ. მაგრამ ამავე

¹ ვ. ი. ლენინი, „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, თბ. ტ. 17, გვ. 127.

დროს ისინი დიდად აფასებდნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს და უშუალოდ განიცდიდნენ მათ პროგრესული იდეოლოგიის ცხოველყოფელ გავლენას. სწორედ რუს რევოლუციონერ დემოკრატებში ხედავდნენ ისინი მხარდასა და საყრდენს ბატონყმური ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუს რევოლუციონერ-დემოკრატების და უმთავრესად მათი ბელადის ნ. გ. ჩერნიშევსკის მოძღვრების ცხოველყოფელი ზეგავლენით მოხდა 60-იან წლების დამდეგს, ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ სტუდენტების — თერგდალეულების ახალი იდეების ჩამოყალიბება. ეს გავლენა აშკარად ამჩნევია თერგდალეულების, პირადად ილია ჭავჭავაძის იმდროინდელ ნაწარმოებებს. ამ ახლად შეთვისებულ პროგრესულ-დემოკრატიულ იდეის საფუძველზე გაიშალა ბრძოლა თერგდალეულების მიერ ჯერ თავადაზნაურულ კონსერვატულ ორგანო „ცისკარში“, შემდეგ თერგდალეულთა პროგრესულ ორგანო „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს.

„საქართველოს მოამბე“, შეიძლება ითქვას, რუს რევოლუციონერ-დემოკრატების პროგრესულ ორგანოს „სოვრემენიკის“ მოძმე იყო. ილია ჭავჭავაძე არ იფიქრებს და 80-იან წლებში სასოებით იგონებს და დიდად აფასებს „სოვრემენიკს“, რომელიც თავის დროზე ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. 1862 წელს იგი დახურულ იქნა, ჩერნიშევსკი კი დაპატიმრებული, რომლის ხსენება შემდეგ პრესაში აკრძალული იყო. ასეთ პირობებში ილია ჭავჭავაძე მაინც ახერხებს პრესაში რუს რევოლუციონერ-დემოკრატებისა და მათი ბელადის ჩერნიშევსკის დადებით შეფასებას. იგი წერს, რომ რუსეთში ახალმა თაობამ, ახალმა საზოგადოებამ, ე. ი. რევოლუციონერ-დემოკრატებმა, დაგმო, უარყო ძველი წყობილება და ახალი, სანატრელი ცხოვრებისთვის გაშალა ბრძოლა. „ის საზოგადოება, — წერს ილია, — მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუფიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განხედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზე დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო „Современник“-ი¹.

ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს იმას, რომ ძველი წყობილების მომხრეთა და მათ უარყოფელთა შორის ბრძოლა გამწვავდა და გაჩნდა ერთმანეთის საწინააღმდეგო „მამების ბანაკი“ და „შვილების ბანაკი“. ილია ამ ბრძოლაში უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს „სოვრემენიკს“ და მის ხელმძღვანელ ჩერნიშევსკის. ილია წერდა: „...თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ

¹ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, გამ. 1955 წ., ტ. V, გვ. 88.

ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველი უარყოფელნი და ახლის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს — „შვილებისა“... მინამ სახელოვანი „Современник“-ი თავში ედგა მას, რაც მეორე, „შვილების“ ბანაკად გადაიქცა, ძველის უარყოფას დაშჯდარი კჭუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო¹.

ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა ტრიბუნა რუსეთში იმჟამად „სოვრემენიკი“, ხოლო საქართველში „საქართველოს მოამბე“ იყო.

ილია ჭავჭავაძის მიერ 1863 წელს დაარსებული ორგანო „საქართველოს მოამბე“ მთელ თერგდალეულთა კრებულს აერთიანებდა. ე. ი. „საქართველოს მოამბის“ ირგვლივ იყო შემოკრებილი ქვეყნის მოწინავე ძალები, რომელთა იდეალები ძირითადად ორი საკითხის განხორციელებას ემსახურებოდა: ბატონყმობის მოსპობას და ეროვნული თავისუფლების მოპოვებას. თერგდალეულთა მებრძოლი ორგანო „საქართველოს მოამბე“, გამომდინარე ცხოვრების ცვლილების გარდუვალობის აღიარებიდან, იცავდა და ქადაგებდა პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებს, ნაცვლად „ცისკრისა“, რომელიც ძველ ძალებს, რღვევის პროცესში მყოფ მეურნეობის ძველ ფორმებს იცავდა.

ილია ჭავჭავაძე 1888 წელს წერდა, რომ უფრონალ „საქართველოს მოამბის“ ირგვლივ შემოკრებილ თერგდალეულთა თაობა „აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით... ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, რომ მოჰფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები, ხელი მიჰყო საკუთარს ვითარებას. ამ ორს საგანს ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდა და ამ ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსება-ნაკლულეგანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი, ვინც თვალიხილული იყო და ყურთასმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელჩასაჭიდებელი და საზრუნველი“².

რუსული პროგრესული მწერლობისა და მეცნიერების შემწეობით განსწავლულმა თერგდალეულებმა 60-იან წლებში, რამდენადაც შეეძლოთ, ნათელი, პროგრესულ-დემოკრატიული აზრები მოჰფინეს და ყურადღება საქართველოს ვითარებასა და სატკივარზე გაამახვილეს. მათ ყურადღების ცენტრში ქვეყნის დამაქვეითებელი მიზეზების მხილების და ქვეყნის ამაღორძინებელი ფაქტორების საკითხები დასვეს. ასეთი საკითხების დასმა და გაშუქება,

¹ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თბ. სრული კრებული. გამ. 1955 წ., ტ. V, გვ. 89, 93.

² ილია ჭავჭავაძე, „თერგდალეულნი“ და ახალი თაობა, თბ. სრული კრებული, გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 311.

რსე როგორც თვით მესამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა, არა შემთხვევითი, არამედ ისტორიული ვითარებით დაპირობებული მოვლენა იყო.

ქართველმა მესამოციანელებმა, ანუ თერგდალეულებმა რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძღვრებიდან შეითვისეს პროგრესულ-დემოკრატიული იდეები, ხოლო სოციალური რევოლუციის იდეა ვერ შეითვისეს. ამის მთავარი მიზეზი თვით იმდროინდელი საქართველო, მისი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, პოლიტიკური და ეროვნული უუფლებობა იყო. ამიტომაც 1881 წელს, ილია წერდა: „...ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღალატობს“¹.

ილია ჭავჭავაძე აქ უჩივის ქვეყნის ისეთ ტკივილს, როგორიც იყო ეროვნული ჩაგვრა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა. ჯერ ერთი, იგი ამ ტკივილს ამცნობს რუს პროგრესულ ავტორებს და სავსებით მართებულად მოელის მათგან დახმარებას. მეორე, ილია „საგლეხო რეფორმის“ შემდეგ სოციალური ჩაგვრის მოსპობის საკითხს გადაწყვეტილად თვლის და 80-იან წლებში ქადაგებს წოდებათა შორის თანასწორობის იდეას, იდეას, რომელიც უარყოფილი და დამსხვრეულ იქნა თვით ცხოვრების მიერ. ილიას ოცნება იყო გლეხების მიწით უზრუნველყოფა და მათი მეურნეობის გამართვა-გაძლიერება და აგრეთვე რეფორმის შემდგომ თავადაზნაურთა მამულებში მეურნეობის ინტენსიური განვითარება. ილია ფაქტიურად აგრარული კაპიტალიზმის იდეის მქადაგებელი გახდა. 80-იან წლების შემდეგ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებით და მუშათა მოძრაობის ზრდით გამოწვეულ ახალი პრობლემების გაგებასა და მათი დამუშავების გარდუვალობის ცნობამდე იგი აღარ მისულა.

ილია ჭავჭავაძე საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი იყო; იგი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეწეოდა ქართველი ხალხის უკეთესი ცხოვრებისათვის უანგარო სამსახურს. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი საკითხის გადაჭრაში კალმით, თუ სიტყვით, ან თავის პრაქტიკული მოღვაწეობით მონაწილეობას იღებდა და კიდევაც წარუშლელი კვალი დასტოვა. ილია ჭავჭავაძეს, ბრწყინვალე მხატვრული შედეგების შემოქმედს, აქვს ნაწერები პუბლიცისტიკის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ისტორიის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, სოციოლოგიისა და პედაგოგიკის დარგებში. სპეციალურად ეკონომიურ საკითხებზე ილიას მეტწილად 80-იან წლებში აქვს დაწერილი ნაშრომები. მაგრამ იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი საკითხების დამუშავების დროს ეკონომიურ ვითარებიდან გამოდინოდა და იხილავდა მას. ილიას ინიციატივით დაარსებულ „საქართვე-

¹ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, გამ. 1955 წ., ტ. V, გვ. 95.

ლოს მოამბეში“, იბეჭდებოდა ნაშრომები სალიტერატურო, ისტორიულ, საპოლიტიკო და სოფლის ეკონომიკის, კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის და სხვ. საკითხებზე¹. ოლონდ მას ეკრძალებოდა პოლიტიკური ცნობების და მათ შესახებ მსჯელობის ბეჭდვა. ჟურნალი გამოდიოდა მკაცრი ცენზურის პირობებში.

ჟურნალში საკმაო ადგილი ეთმობოდა დროის შესაბამის ეკონომიურ საკითხების განხილვას. საერთოდ ჟურნალის სტატიები, რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს გარკვეული მიზანდასახულებისაა. სხვადასხვა საკითხებზე დაწერილი ნაშრომები აქ ერთ მოტივს, ერთ კონცეფციას ექვემდებარებიან და აშკარად ჩანს ილიას წამყვანი და მაორგანიზებელი როლი. ჟურნალის ძირითადი მოტივი იყო ძველის, დრომოკმულის, სოციალური და კოლონიური ჩაგვრის მხილება, ბატონყმობის ისტორიული განწირულების ჩვენება და, სამაგიეროდ, გამოვლენა და მხარდაჭერა ცხოვრების ახალი აღმონაცენის რომელსაც ძველი უნდა შეეცვალა და მის ნაცვლად გაბატონებულიყო, ე. ი. ჟურნალის პროგრამა იყო დემოკრატიული პრინციპების დანერგვა, ხალხის სამსახური, სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა. ჟურნალში დაბეჭდილ ნაშრომების მთელი რიგი ადგილები ცენზურის მიერაა შეშინებული.

სულთამბუთავი, მკაცრი ცენზურული პირობები ბოკავდა და გასაქანს არ აძლევდა ჟურნალს. მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე 1863 წლის შემოდგომაზე დარწმუნდა, რომ ჟურნალის გამოცემის საქმე საფრთხეში იყო. იგი „საქართველოს მოამბის“ № 11-ში სინანულით წერს: „წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიბტიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვჰსთხოვდით ჩვენს ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა. რასაკვირველია, ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე, მაგრამ ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰსძლიოს რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, — ჩვენც ნებით თუ უნებლიეთ გულზე ხელი უნდა დაგვეკრიფნა.

ხოლო თუმცა გზა გახილული გვექონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვი, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდინა... ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხოვობდა — ისე ვლაპარაკობდით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს“².

ილია აქ გაბედულად ამხელს მკაცრ ცენზურას. „საქართველოს მოამბეში“ მიღებულ რადიკალურ ხაზის წინააღმდეგ ცენზურის გადაულახავი კედელი

¹ იხ. 1863 წელს გამოსაცემ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის წინასწარი განცხადება ჟურნალ „ციკარში“, 1862 წ., № 10.

² ილია ჭავჭავაძე, რედაქციისაგან, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, გვ. 3.

ალიმართა, ილიას, მინც ჰქონდა იმედი, რომ შეძლებდა ჟურნალის გამოცემის საქმის წარმართვას რადიკალური კურსის მიმართულებით. მაგრამ ამ გზით ჟურნალის მუშაობის წარმართვა შეუძლებელი გახდა ცენზურის სიმკაცრის გამო. სწორედ ეს იყო მიზეზი მისი დახურვისა. 1863 წელს გამოვიდა „საქართველოს მოამბის“ 12 ნომერი და მისი შემდეგ შეწყდა მისი არსებობა. „საქართველოს მოამბე“ ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ახალი გეზი დასახა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

1. „საქართველოს მოამბის“ ფილოსოფიური და პოლიტიკური პოზიცია

1862 წელს, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ახალი ორგანოს — „საქართველოს მოამბის“ რედაქციის შემდეგი წინასწარი განცხადება: „ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები: 1. წმინდა სალიტერატურო... 2. ისტორიული... 3. საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია... 4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია... 5. სხვადასხვა ამბავი... 6. დამატება... ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ლოლოზბერიძემ, სხვადასხვა ამბავის უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლურ ეკონომიისა უფ. ივანე სერგებრიაკოვმა“¹.

მესამე ნაწილი იყო „საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია“. პოლიტიკურ საკითხებზე წერა ეკრძალებოდა ჟურნალს და ასეთი სახელწოდების ნაწილი არც შეიძლება ქონებოდა მას. „საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია“ არის პოლიტიკური ეკონომია და სოფლური ეკონომია. მაგრამ პოლიტიკური ეკონომიის და „სოფლური ეკონომიის“ საკითხები დასმული და განხილული არა მხოლოდ ამ სპეციალურ ნაწილში, არამედ ჟურნალის სხვა ნაწილებშიც. ეს იმით აიხსნება, რომ თერგდალეულები, სავსებით მართებულად, ძველი წყობილების საწინააღმდეგოდ ახალი წყობილების უპირატესობას უმთავრესად ეკონომიური ფაქტორების საფუძველზე ასაბუთებდნენ.

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ყველაზე უფრო რადიკალური ხასიათის ნაწარმოებები, რომლითაც მან განაჩენი გამოუტანა ბატონყმობას. მეგალითად, მთლიანად დაიბეჭდა აქ „კაცია — ადამიანი?“, „კაკო ყაჩაღის“ პირველი ნაწილი, „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, ფილოსოფიურ-პუბლიცისტური, საპროგრამო წერილი „საქართველოს მოამბეზედ“, ლექსები და სხვ. აქაა დაბეჭდილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და თერგდალეულების საგულისხმო ნაშრომები. ილიამ თავის ჟურნალში ფართოდ გაუღო კარი და ბეჭდავდა ისეთი ავტორების ნაშრომების თარგმანებს როგორც იყვენ: ბელინსკი, დობროლიუბოვი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ჰიუგო და სხვ. აქაა დაბეჭდილი ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი მოწინავე ახალი თაობის წარმომადგენელთა ნაშრომები, რომელნიც გამსჭვალულია სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის და საქართველოს ეკონომიური, კულტურული, ეროვნული აღორძინების სულისკვეთებით.

¹ „ცისკარი“, 1862 წ., № 10.

ილია ჭავჭავაძის ნაშრომი „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც ჟურნალის პირველ ნომერშია დაბეჭდილი, შინაარსით ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ხასიათისაა. იგი, როგორც პროგრამული დოკუმენტი, განსაზღვრავს ჟურნალის პროგრესულ-რადიკალურ გეზს, მის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ პოზიციას. ამ ნაშრომში ილია ჭავჭავაძემ მოხდენილად გამოიყენა საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის, განვითარების დიალექტიკური იდეა და დაუპირისპირა იგი ძველი წყობილების უცვლელობის, მარადიულობის რეაქციულ იდეას.

ილია წერს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველივერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“¹.

ილია ჭავჭავაძე გმობს უძრავობას და ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების მარადიულობის პრინციპს. ცხოვრება იცვლება. მაგრამ ეს ცვლა არის განვითარება. წინსვლა და არა უბრალო განმეორება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ერთგვარი ფაზებისა. ილია გარკვევით ამბობს, რომ ცხოვრება იცვლება ისე, რომ მიდის წინ, ხდება განახლება, ძველის ადგილს ახალი იჭერს.

„ცხოვრება, — წერს ილია, — როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, შოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაინარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება... ..გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა“².

გარკვეული დროის მიხედვით, როგორც წერს ილია, ცხოვრება ძველდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საერთოდ ცხოვრების მოსპობას. ძველი ცხოვრების წიაღში ახალი, ნედლი ცხოვრების ფესვები იდგამს ფეხს; ძველს ცხოვრებას ახალი ცხოვრება ცვლის. ძველის, ე. ი. ბატონყმური წყობილების ახალი ცხოვრებით შეცვლის იდეის პროპაგანდა პროგრესული მოვლენა იყო იმჟამად. ძველი, ფეოდალური რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ახალმა, პროგრესულმა იდეოლოგიამ გამართა ბრძოლა. ილია აღნიშნავს იმ ქეშმარიტ ფაქტს, რომ „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“³.

ილია მატერიალისტურად მსჯელობს ცხოვრებისა და ცნობიერების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, რომ ცხოვრება საფუძველია, ხოლო

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, თბ. სრული კრებული, გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 56.

² იქვე, გვ. 57—58.

³ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თბ. სრული კრებული, გამ. 1955 წ., ტ. V, გვ. 88.

ცნობიერება, ხელოვნება და მეცნიერება მისი ასახვაა და მასზე პირუკუ მომქმედდი ფაქტორებია. „...ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან... ცხოვრებაზედ ამოსული შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოახწყვენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადნოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანდავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ“¹.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ცხოვრებას თვლის პირველად ფაქტორად და მას ანიჭებს პრიმატს, შედარებით ცნობიერებასთან. მაგრამ ასეთ მატერიალისტურ მსჯელობასთან ერთად, ილია გულმოდგინედ იცავს იდეალისტურ კონცეფციას და დარჩა კიდევაც იდეალიზმის პოზიციაზე. მაგალითად, იგი აღამიანთა ისტორიის მამოძრავებელ ძალად ცოდნისა და მეცნიერების განვითარებას თვლიდა. „რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან“². შემდეგ კი წოდებათა შერიგების იდეალისტურ იდეას ქადაგებდა. ცოდნა და მეცნიერება, არიან რა ნაყოფი ცხოვრებისა, ილიას მტკიცებით, თვითონვე განსაზღვრავენ და ცვლიან ცხოვრებას. ე. ი. მისი აზრით, ცოდნა, მეცნიერება, ხელოვნება არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

ილია წერს: „მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა“³.

ე. ი. ახალი შეცვლის ძველს ცხოვრებასა — მეცნიერებისა და ხელოვნების შემწეობით. ილია ვერ ავიდა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაგებამდე. ამით აიხსნება ის, რომ იგი მამოძრავებელ ძალად ცოდნასა და მეცნიერებას თვლიდა.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იგი ბატონყმობის მოსპობას შესაძლებლად თვლიდა როგორც ბრძოლის საშუალებით, ასევე ბრძოლის გარეშე, მეცნიერებისა და ცოდნის საშუალებით. ილიას ნაწარმოებები — „აჩრდილი“, „ქართულის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ ასახავენ, ამართლებენ ხალხის ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ. აქ კი — ნაწარმოებში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე იმავე მიზნის — ბატონყმობის მოსპობის მიზნის მისაღწევად საკმაოდ თვლის მეცნიერებისა და ცოდნის განვითარებას. ნაწარმოებში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია იმ აზრს იცავს, რომ აღამიანები მეცნიერებისა და ცოდნის შემწეობით ახალ ცხოვრებას ამკვიდრებენ და ძველს მადლობით გაისტუმრებენ. იგი წერს: „მეცნიერება და ხელოვნება სხვა და სხვა გზით იკისრებენ ახალის ვი-

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, თბ. სრული კრებული, გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 62—63.

² იქვე, გვ. 59.

³ იქვე, გვ. 62.

თარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, — რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა ახალის სული გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და ვზა გაუხსნას ახალსა“¹.

სკოლებისა და ლიტერატურის მეშვეობით ხალხში მეცნიერებისა და ცოდნის დანერგვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია. მაგრამ ამ როლს პროგრესული ლიტერატურა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუ მისი ენა დაშორებული არ იქნებოდა ხალხის ენისაგან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინათ ანტონ კათალიკოსის სკოლის წყალობით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 60-იან წლებში ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის ენის ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლა იდეოლოგიური ბრძოლის გამოხატულება იყო. თერგდალეულებს, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ახალი ქართული საერთო ლიტერატურული ენის დამკვიდრების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ იმდროინდელი ლიტერატურის ხალხისაგან მოწყვეტისა და ჩამორჩენის „უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა — და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“². მესამოციანელებმა, ილიას და აკაკის მეთაურობით, მოახდინეს გარდატეხა — ძველი, ხალხისთვის გაუგებარი ენის ნაცვლად, მწერლობაში ახალი, ხალხისათვის გასაგები ენა დაამკვიდრეს. ამ გარდატეხას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ხასიათდება ლიტერატურული აღორძინების ხანის დაწყებით. ლიტერატურა ხალხს დაუკავშირდა და ამან მიანიჭა მას ძალა.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ როგორ მოხდა ლიტერატურის დაკავშირება ხალხთან. რასაკვირველია, ხალხისთვის გასაგებ ენაზე წერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მაგრამ მთავარი განმსაზღვრელი მაინც ნაწერის შინაარსია, მას ეკუთვნის პრიმატი. თუ ნაწერი შინაარსობრივად ასახავდა მშრომელის, გლეხის ინტერესს, ასეთი ნაშრომის შინაარსს წერა-კითხვის უცოდინარი გლეხიც კი (ცხადია, სხვების დახმარებით) ითვისებდა, მაგალითად, ლექსი არსენაზე, დანიელ კონჭაძის „სურამის ციხე“, დაწერილი მძიმე ენით, ხალხის საყვარელ წიგნს წარმოადგენდა და წარმოადგენს იმიტომ, რომ იგი პირველი ქართული ლიტერატურული ნა-

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეხედ, თხზ. სრული კრებული, გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 60.

² იქვე, გვ. 64.

წარმოგვბია, სადაც კატეგორიულად და გაბედულადაა დაგმობილი ბატონ-ყმობა.

თერგდალეულთა, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის, წარმატება და მწერლობის ღირსება იყო ის, რომ მათ, ქართული ლიტერატურული ენის რეფორმატორებმა, მწერლობაში დაამკვიდრეს ხალხისათვის გასაგები ახალი ქართული ენა და ამასთან ერთად, რაც მთავარია, მისცეს მას ახალი, პროგრესული შინაარსი. ენის ირგვლივ ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის ამტყადარ დედას იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ ძველ ფეოდალურ იდეას, ბატონყმობის უცვლელობის, მის მარადიულობის რეაქციულ იდეას, ძველი წყობილების დამკვიდრება ახალი შინაარსის მქონე, დემოკრატიულ-პროგრესული იდეა დაუპირისპირდა. ვთქვათ, სადავო არ ყოფილიყო ენის საკითხი; ასეთ შემთხვევაში მაინც, მაშინ ექნებოდა ადგილი ბრძოლას ძველსა და ახალ იდეოლოგიას შორის. ამიტომაც, რომ ენის ირგვლივ ამტყადარი დედა იდეოლოგიური ბრძოლის გამონატურდება იყო. გამარჯვება მოიპოვა ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ, რადგან იგი ახალი შინაარსის, პროგრესული აზრის მქონე იყო.

ილია წერს: „გამოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შეუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის“¹. დიანხ, ეგაა მთავარი. ლაპარაკია ისეთ ლიტერატურაზე, რომელიც, „როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით“ ხალხის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

ეს ახალი აზრი, ე. ი. ქართველ მესამოციანელთა მოქმედების და მათი საბრძოლო ორგანოს „საქართველოს მოამბის“ დედააზრი, პროგრამა შეესაბინა აქვეს გადმოცემული თვით ილია ჭავჭავაძეს. იგი წერს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ჩვენ ისე არ გავებრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვიდნომოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობაგს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გავება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლება ჩვენი ყურნალი ამის აღსრულებას — მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფერის გამომცდელი. ჩვენ წინადავს ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა“².

აი ცხოვრების ახლებურად გარდაქმნის ის პროგრესული იდეალი, რაც ამოძრავებდა თერგდალეულებს და მათ სახელოვან წარმომადგენელს, ქართველი ხალხის მოამბეს ილია ჭავჭავაძეს. თერგდალეულების „საქართველოს

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, თხზ. სრული კრებული. გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 65.

² იქვე, გვ. 66—67.

მოამბის“ უმთავრესი საგანი ახალი „ცხოვრების წრეში ჩადგომა“ იყო, ე. ი. მიზანი ბატონყმობის მოსპობა და ახალი ცხოვრების შექმნა იყო. მაგრამ ახალი ცხოვრების შექმნის პირობები თვით ცხოვრებისაგან გამომდინარეობს და იგი არაა ადამიანის ფანტაზიის შედეგი. ილია, გამომდინარე საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოქმედებიდან, გარდუვალად თვლის ბატონყმობის შეცვლას ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებით.

თუ როგორ უნდა გვესმოდეს ილიას დებულება—„აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა“, ამის შესახებ განმარტებას თვითონ იგი იძლევა. „აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ყურნალი დაპყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაპყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხალხისათვის“¹. ხალხის უკეთესი აწმყოს და მერმისის შესახებ ზრუნვა და ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ ამოცანა იყო.

ილია აღნიშნავს, რომ ცხოვრებას თავისი განვითარების კანონზომიერება ახასიათებს და იგი ადამიანის მიერ მოტანილ რიკრიკაზედ არ გამოიჭრება, რომ ცხოვრება ქმნის მეცნიერებას, მეცნიერება კი უკუმოქმედებს და ცვლის თვით ცხოვრებას. „მოამბის“ ამოცანაა მჭიდროდ დაუახლოვდეს ხალხს, დაეხმაროს ცხოვრების ძველი მდგომარეობიდან ახალ მდგომარეობაში გადასვლის საქმეს. ხოლო ხალხის მცნებაში ყველა წოდების—„დაბალის“ და „მაღალის“ ერთიანობა აქვს წარმოდგენილი. ილია წერს: „ცხოვრება თვითორჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუშკა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება... იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ ივინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა; მაგ. დამტკიცებულ აზრების და ცნობების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა... რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი — ყველა მოყვასია ჩვენი“².

აქ კატეგორიულადაა აღნიშნული, რომ ცხოვრების განვითარება და მისი ცვალებადობა გარდუვალია, რადგან იგი დაპირობებულია გარკვეული კანონზომიერებით. მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ცხოვრებისაგან იბადებიან, თანდათან ვითარდებიან, შემდეგ ზემოქმედებენ და გარდაქმნიან თვით ცხოვრებას ხალხის საკეთილდღეოდ. ხალხი კი წარმოდგენილია აქ

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, თბ. სრული კრებული, გამ. 1953 წ., ტ. III, გვ. 67.

² იქვე, გვ. 71.

ერთიანად, მის წოდებრივ და კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე. ილიას მსჯელობაში პროგრესულია ყურადღების გამახვილება ძველი ცხოვრების, ე. ი. ბატონყმობის ახალი ცხოვრებით შეცვლის გარდუვალობაზე. მაგრამ ბატონყმობის შემცველ ძალას იგი მეცნიერებისა, განვითარებისა და ცოდნის გავრცელებაში ხედავს, რაც საზოგადოების მამოძრავებელი ძალის იდეალისტური გაგებაა.

თერგდალეულები და მათი სახელოვანი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე გულმოდგინედ ასაბუთებდნენ ბატონყმობის ლიკვიდაციის გარდუვალობას. თერგდალეულები საერთოდ თავიანთ ნაწარმოებებში და კერძოდ თავიანთ საბრძოლო ორგანოში — „საქართველოს მოამბეში“ ქადაგებდნენ და ხალხში შექჷნდათ პროგრესულ-დემოკრატიული იდეები, ეწეოდნენ მეცნიერების პოპულარიზაციას და ზრუნავდნენ ხალხში ცოდნის გავრცელებაზე. ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ საკითხები, ცხოვრებისა და მეცნიერების რომელ დარგსაც არ უნდა ეხებოდნენ ისინი, დამუშავებული და გაშუქებულია (რამდენადაც მკაცრი ცენზურის პირობებში კი შეიძლებოდა ეს), თერგდალეულთა პოლიტიკური და ფილოსოფიური საერთო კონცეფციის შესაბამისად. კონცეფციისა, რომელიც გადმოცემულია ილია ჭავჭავაძის საპროგრამო ნაშრომში — „საქართველოს მოამბეზე“.

ილიას ზემოაღნიშნულ საპროგრამო ნაშრომში „საქართველოს მოამბის“ პოლიტიკურ-ფილოსოფიური საერთო კონცეფციაა მოხაზული. იგი მოიცავდა არა მხოლოდ სოციალურ მოტივს — ბატონყმური ჩაგვრის, არამედ კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაციის მოთხოვნასაც. ამით აიხსნება „საქართველოს მოამბის“ სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი შეუწყობელი ყურადღება. შემთხვევითი არაა „საქართველოს მოამბეში“ დობროლიუბოვის თხზულებიდან — „მამა ალექსანდრე გავვაცი და მისი ქადაგება“-ს თარგმნის დაბეჭდვა, სადაც პოპულარიზებულია რევოლუცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და კერძოდ გარიბალდი. იქ წერია: „...გარიბალდი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა ორთავე — სიცილიისა იქნებოდა აქამდინაც ბორკილებში შეჭედილი“¹.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სხვადასხვა სახით მხილება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა დამახასიათებელია „საქართველოს მოამბესთვის“. ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული, მცირე გამოჩაკლისის გარდა, ყველა ნაშრომი, რაც კი დაბეჭდილია ჟურნალში. მაგალითად, ისეთ ნაშრომშიც კი, როგორცაა დ. ავ-ის „სხვადასხვა ამბავი“, ავტორი მოუწოდებდა ადამიანებს საზოგადოებრივი საქმით დაინტერესებისაკენ. ამხელდა ბატონყმურ სოფელში გლეხთა მათხოვრულ ცხოვრებას და გადაკვრით ლაპარაკობდა ხელმწიფის წინააღმდეგ შესაძლო არეულობაზე, ე. ი. რევოლუციაზე. იგი წერდა: „შენს სოფელურ მდგომარეობას დააშტერდი მაინცა და იგრძნე იმისი ყოვლად წყლული სიღარიბე — სიბილწემდინ ჩაობებული... ვჰსთქვათ, მთელ ხალხსა საზოგადო აღრეულობა განეძრახოს და მოეხდინოს კიდევცა. როგორ უნდა

1 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 71.

გაგებდნა მთელ ხალხსა, მკითხველო, ხელმწიფის წინააღმდეგობა?“¹ ასეთ რო-
მელიმე დიდ სახელმწიფოდ უთუოდ რუსეთის იმპერიას გულისხმობდა ავტორი.
თუმცა ცენზურის თვალისასახვევად ავტორი წერს „როგორ უნდა გაგებდნა...
ხალხს... ხელმწიფის წინააღმდეგობაო“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცენზუ-
რას შაინც ბევრი ადგილი ამოუღია სტატიიდან. ავტორი იმავე გვერდის
ბოლოში, ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამართლების
მიზნით შაინც ახერხებს ასეთ დასკვნას: „უმიზეზოდ ხომ ქვეყანაზე არა მოხ-
დება რა!“².

გიორგი წერეთელი პირველად ყოვლისა სწორედ იმას უსაყვედურებდა
ჟურნალ „ცისკარს“, რომ იგი ხალხის მაჯისცემას არ გრძნობდა, პირიქით,
ფეოდალურ ურთიერთობათა მარადიულობის პრინციპს იცავდა და კონსერ-
ვატიზმით ხასიათდებოდა. გიორგი წერეთელი წერდა: „...როდესაც ხალხის ზი-
ტყვა, რომლის გამომთქმელათაც უნდა იყოს ყოველი ჟურნალი, არ უბნობს იმას,
რაც რომ სტანჯავს ხალხის ცხოვრებას, არ მუსრავს იმ ნაკლოვანებებს, რაც
რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას და არ აჩვენებს საზოგა-
დოებას სწავლისაგან გამოსაკვლევს ქეშმარიტებაებს და კანონებს, რომლების
ძალითაც ისპობა ეს ნაკლოვანებანი, მაშინ ყოველიფერი უნაყოფოა“³.

გ. წერეთელი, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, ჟურნალის დანიშნულებას
ინაში ხედავდა, რომ იგი ცხოვრების კარდინალურ საკითხების გადაჭრისა-
თვის დახმარებოდა ხალხს. ასეთი საკითხის გადამჭრელ ძალად იგიც სწავლა-
განათლებას თვლიდა.

გ. წერეთელი უფრო მკაცრად ამხელს ბატონყმობას და საფუძვლიანად
ასაბუთებს მისი მოსპობის აუცილებლობას. იგი წერს: „რამდენიმე საუკუნის
წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც
ველარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებას. აშკარაა, რომ საზო-
გადო ფორმამ განვლო თავის საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ
უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილები-
სამებრ“⁴.

აქ საკმაოდ მისახვედრადაა გ. წერეთლის მიერ ნათქვამი, რომ საუკუ-
ნეების მანძილზე არსებული საზოგადოებრივი ფორმა, ე. ი. ბატონყმობა
მოძველდა და ცხოვრების მოთხოვნილებას აღარ აკმაყოფილებდა, ამიტომ
იგი უნდა მოსპობილიყო. ამრიგად, ეპოქის კარდინალურ საკითხში — ბატონ-
ყმობის ლიკვიდაციის საკითხში — თერგდალეულთა პოზიცია იყო პროგრესულ-
რადიკალური.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 5, გვ. 75.

² იქვე.

³ გიორგი წერეთელი, „ცისკარს“ რა აკანებდა?, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ.,
№ 5, გვ. 40.

⁴ იქვე, გვ. 46—47.

2. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმისათვის

თავისი რადიკალიზმით მეტად გამოირჩევა დავით ყიფიანის პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის ნაშრომი. სახელწოდებით „სხვადასხვა ამბავი“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერშია დაბეჭდილი. ავტორი ბატონყმობის უცვლელობის რეაქციულ იდეას უპირისპირებს საზოგადოების წინსვლის, განვითარების დიალექტიკურ იდეას. თავის პროგრესულ აზრს ანვითარებს საზოგადოების ისტორიის წინსვლის და შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. იგი უღმობლად ამხელს მონობას, ბატონყმობას, ეროვნულ ჩაგვრას და, პირიქით, აქებს და აღიძვრს თანასწორობას, რევოლუციას, რესპუბლიკას. მაგრამ ასეთი მახვილმინაარსიანი შრომის დაბეჭდვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამიტომ, ცენზურის თვალის ახვევის მიზნით, ფაქტები მოტანილია ძველი დროისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე. ცენზურას მაინც ბევრი ადგილები ამოუღია.

დავით ყიფიანი დიდ რისკზე, თავგანწირვაზე მიდის და აცხადებს იმთავითვე, რომ მას ქართველობა ჰყავს მხედველობაში. იგი გაბედულად წერს: „ჩვენ რასაც ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომა ყოველისფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში, ამისათვის, გთხოვ, რომა სხვა და სხვა ქვეყნებისა სხვა და სხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე“.¹ მაშასადამე, დავით ყიფიანს საქართველო აქვს მხედველობაში. გმობს ბატონყმობას და ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ოცნებობს ახალ, საზოგადოებრივ წყობილების, რესპუბლიკის შექმნაზე.

თავის ნაშრომში, დავით ყიფიანი სწორედ იმ აზრს ამტკიცებს, რომ ცხოვრება არ შეიძლება იყოს უძრავი, უცვლელი, პირიქით, მისი ცვალებადობა და წინსვლა გარდუვალია. იგი მიმართავს იმ უდავო ფაქტს, თუ როგორ ცხოვრობდა საზოგადოება უძველეს დროში და როგორ წავიდა იგი წინ, განვლო რა განვითარების სხვადასხვა საფეხური. საზოგადოების საერთო ისტორიის განხილვას იგი მართებულად იწყებს საზოგადოებრივი ცხოვრების პირველადი ფორმის—სახლობის, ე. ი. ოჯახის განხილვით. ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, რომ იგი საზოგადოებრივი არსება, საზოგადოების წევრია. ამის შესახებ იგი წერს: „კაცი ჯერ იმ აზრს მიხვდა, რომ კაცი მართოდ მართო უძლური ცხოველია, რომელსაც ძლიერება მაშინ მიეცა, როდესაც სხვათა შორის იცხოვრებს და იმათთან თანასწორობით“.²

ადამიანთა თანასწორობის იდეის პრობაგანდა წითელი ზოლივით დაყვება დავით ყიფიანის ნაშრომს. ამით აიხსნება ძველი საბერძნეთის რესპუბლიკის ქება-დიდება და პოპულარიზება. რომ იქ ადამიანთა „ამ ურთიერთი

¹ დავით ყიფიანი, სხვადასხვა ამბავი, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4: გვ. 95—96.

² „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 99.

ერთი თანასწორობით შედგენილი საზოგადოება — იყო რესპუბლიკა (respublica)¹.

მაგრამ მონობის არსებობამ, თანაც მონათფლობელურ რომის სხვა ქვეყნებზე გაბატონებამ, თანასწორობა, რესპუბლიკა დაარღვია, დაშალა. „რაკი ბოლოს მაშინდელი ქვეყნიერება რომის მონა შეიქმნა, ამით ეს საგანი დაილია... აირია იმის ჭკუა გონების ერთი მიმართულება, და საზოგადოების კავშირი გაწყდა, თვითონ საზოგადოება დაირღვა და ხალხი გარყვნილების გზას დაადგა. რაკი გარყვნილობა შეადგება კაცსა, მაშინ ველარა ეშველება-რა ხოლმე, თუ არა ძირიანი ამოთხრა და განადგურება იმ წესისა და რიგისა, რა წესი და რიგი საზოგადოებას გარყვნის მიზეზს აძლევს“².

ასე შემოვლილი გზით, დავით ყიფიანი ეწეოდა სოციალური ჩაგვრის და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მხილებას და ძველი წყობილების დანგრევაში ხედავდა საზოგადოების ხსნას. ეს უფრო ნათლად ჩანს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პოპულარიზების მაგალითზე. იგი წერს: „მაშინდელი ფეოდალიზმი ყოველგზის წინაღუდგებოდა საზოგადოებით რიგსა... ყოველ სამართლიანობასა; ამ ფეოდალიზმმა ერთი სამართალი იცოდა — მძლავრობა და სხვა არაფერი“³. და სწორედ ბურჟუაზიული რევოლუციის გზით ბატონყმობის დამხობას ამართლებს და უჭერს მხარს იგი. ყიფიანი წერს: „რაკი... საზოგადოებაში უსამართლობა და წყობილობის ურიგობა იქამდინ მივიდა, რომა ხალხსა თავის დამონებაში — ლუკმა-პურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა — მაშინ მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია... გარდაადგეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყეს... მაშინ წამოდგა თავისუფლება როგორც კაცისა კერძობით, ისე ხალხისა საზოგადოდ... იმისი სარგებლობა უნდა ცხადად წარმოსადგენი იყოს, რომა როგორც კაცმა კერძობით, ისე მთელმა ხალხმა საზოგადოდ, ცხადად იგრძნონ და უფრო მტკიცედ, გონებიანად, აზრიანად აღსრულებაში მიიყვანონ“⁴.

დავით ყიფიანი, როგორც ვხედავთ, ბატონყმობის შეურიგებელი მტერია. იგი უღმობლად ამხელს მას და მართებულად თვლის რევოლუციის გზით მის დამხობას. ყიფიანი აღნიშნავს, რომ რევოლუციის გამარჯვების შედეგად თითქოს დამყარდა საფრანგეთში სამართლიანობა, თანასწორობა, თავისუფლება. იგი შემოვლითი გზით, მაგრამ საკმაოდ მისახვედრად, ურჩევდა აღამიანებს, მთელ საზოგადოებას, რათა წაეხრათ საფრანგეთის მაგალითისათვის და რომ „გონებიანად, აზრიანად აღსრულებაში მიიყვანონ“ იგი. აქ გამოთქმულია პროგრესული და თავის დროისთვის ძლიერ გაბედული აზრი.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 100.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 103.

⁴ იქვე, გვ. 106—107.

ბატონყმობის კრიზისის გამწვავების ეკონომიურ გამოხატულებას მწარმოებლური ძალების დამუხრუჭება, შრომის ნაყოფიერების ზრდის შეფერხება და მშრომელთა მეტისმეტი გალატაკება წარმოადგენდა. საზოგადოებრივი შრომის ბატონყმური ორგანიზაცია, დამყარებული გარეეკონომიურ იძულებაზე, ჯოხის დისციპლინაზე, არ უზრუნველყოფდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, პირიქით, აფერხებდა მის ზრდას. მემამულის მეურნეობაში მომუშავე ყმა გლეხს შრომის ნაყოფიერების გადიდების არავითარი სტიმული არ გააჩნდა.

გამოსავალი მაშინ თავისუფალ შრომაზე გადასვლა იყო, რაც ბატონყმობის გაუქმებას ნიშნავდა. ე. ი. ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ეწინააღმდეგებოდა ბატონყმობას და კარნახობდა მის მოსპობას. ამით აიხსნება ის, რომ მესამოციანელები თავიანთ ნაწარმოებებში მოითხოვენ შრომის განთავისუფლებას, ხოტბას ასხამენ და აღიდეგენ თავისუფალ შრომას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხი ბატონყმობის კრიზისის გამწვავების პერიოდში ყველაზე უფრო მწვავე ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენდა. ამ მწვავე პრობლემას იხილავს დავით ყიფიანი ზემოაღნიშნულ ნაშრომში. ამ პრობლემასთან დაკავშირებითაა ნაშრომის „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ თარგმანი კირილე ლორთქიფანიძისა და მისივე შენიშვნები და აგრეთვე ბასტიას ნაშრომის თარგმანი დაბეჭდილი „საქართველოს მოამბეში“. დავით ყიფიანი ნაშრომში „სხვადასხვა ამბავი“ წერს: „აუცილებელი საჭიროება უნდა დავუმტკიცოთ, რომა ყოველმა კაცმა თავის მოქმედებაში და შრომაში ყოველი ბუნებისაგან მინიჭებული ძალა და ღონე გამოიჩინოს, რომა შრომა უფრო ნაყოფიერად ამარონ“¹.

როგორც ჩანს, საკმაოდ გასაგები ყოფილა ის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა მაშინ ძალზე შეფერხებული იყო. თერგდალეულები, კერძოდ დავით ყიფიანი, ამის მიზეზს ბატონყმობაში ხედავდნენ, რომ ყმას, რომელიც იძულებით შრომას ეწეოდა, მისი ნაყოფიერების გადიდება არ აინტერესებდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ფაქტორს მესამოციანელები, კერძოდ დავით ყიფიანი, შრომის განთავისუფლებაში ანუ თავისუფალ შრომაში ხედავდნენ.

დავით ყიფიანი წერს: „საზოგადოებაში ერთი ნაწილი, რომ სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა, და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთნებაყოფლობაზე დამოკიდებული, რომ არ იყოს საზოგადოება ცუდია, თუ არა?... ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის — სენია. აი რათა, ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ამას გარდა სხვა ვინ შეიტყობს, მე ვითარი შრომის ნიჭი მაქვს? რასაკვირველია არავინა ჩემი გუნე-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 106.



ბისა და სურვილის მეტი. ჩემი ნაყოფიერების წინააღმდეგობით ბატონმა კალოზე პურის გამწვანებელი, რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ¹.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ვარეეკონომიურ იძულებაზე დამყარებული შრომა არამცთუ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, არამედ, პირიქით, მის შემცირებას უწყობდა ხელს. ყიფიანი აქ ამხელს სოციალურ ჩავჯვრას; რომ ექსპლოატატორი სხვისი შრომით ირჩენდა თავს და მშრომელი კი ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული იყო. მუშაობის პროცესში ყმის ინიციატივის, საკუთარ უნარის გამოჩენის სტიმული ჩაკლული იყო. ასეთი მუშაკი, ცხადია, ერთგულად არ იმუშავებდა, პირიქით, საქმე შეეძლო გაეფუჭებია. ამიტომ ამბობს ყიფიანი, რომ ბატონი თუ ძალდატანებით მამუშავეებს კალოზე—ნახევარ ხორბალს ბზეს გავატანდიო. ასეთი გამოთქმით ყიფიანი ყმების ურჩობას ამართლებს და ფაქტიურად მოუწოდებს მებატონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დავით ყიფიანი როდი კმაყოფილდება შრომის თავისუფლების უპირატესობის მტკიცებით. იგი უფრო შორს მიდის, მაგალითად, მოითხოვს, რათა ყველა ეწეოდეს თავისუფალ ნაყოფიერ შრომას. იგი ამტკიცებს: „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია. მეორე ისა, რომა მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და მაშასადამე ნაყოფიერიცა“².

როგორც ვხედავთ, აქ დასაბუთებულია, ჯერ ისა, რომ „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია“, მეორე, საზოგადოების ყოველი წევრი უნდა ეწეოდეს შრომას. ეს მეორე დებულება სცილდება ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის არეს, მაგრამ ავტორს არ განუფიქრებია იგი და არ მისულა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის უარყოფამდე. მაგრამ იმის მოთხოვნა, რომ ყველა შრომობდეს, მაჩვენებელია იმისა, რომ თერგდალეულები, კერძოდ დავით ყიფიანი, რუს სახელოვან რევოლუციონერ-დემოკრატების დიდ გავლენას განიცდიდნენ.

დავით ყიფიანი მართებულად სვამს და აშუქებს საკითხს იმის შესახებ, რომ საზოგადოების კეთილდღეობა თვით საზოგადოების ყოველი წევრის ნაყოფიერ მუშაობაზეა დამოკიდებული. იგი წერს: „თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერთა შრომობს, საზოგადოებაც კეთილდღეობარეობაში შევა. საზოგადოების კეთილდღეობარეობასა კერძობით პირების კეთილ მდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა“³.

აზრი გასაგებია. დავით ყიფიანი აქ სწორედ იმას ამტკიცებს, რომ საჭიროა, რათა საზოგადოების ყოველი წევრი ეწეოდეს ნაყოფიერ შრომას და მაშინ, როგორც მთელი საზოგადოება, ასევე საზოგადოების თვითეული წევრი კეთილდღეობაში შევა. მაშასადამე, საზოგადოების სიმდიდრე, მისი კეთილ-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 109—110

² იქვე, გვ. 110.

³ იქვე, გვ. 110.

დღეობა შრომაზე ყოფილა დამოკიდებული, რაც სწორია. მაგრამ იგი ნიშნავს შრომითი ღირებულების აღიარებას. თუმცა მას შრომითი ღირებულების თეორიის გარჩევა აქ მოცემული არა აქვს. მაგრამ დავით ყიფიანი, ისე როგორც სხვა თერგდალეულები, სწორედ შრომითი ღირებულების თეორიიდან გამომდინარეობს, როცა საზოგადოების სიკეთის, ე. ი. სიმდიდრის შემქმნელად შრომას თვლის. ესეც სამოციანი წლების ქართული ეკონომიური აზრის პლიუსი და წარმატების დადასტურებაა.

განსაკუთრებულ ინტერესს, ვიმეორებთ, წარმოადგენს მოთხოვნა, რომ საზოგადოების ყოველი წევრი ეწეოდეს თავისუფალ შრომას. საზოგადოების თვითეული წევრისგან შრომის მოთხოვნა, კიდევ არ ნიშნავდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის მოთხოვნამდე მისვლას. დავით ყიფიანი, როგორც ციტატიდან ჩანს, მსჯელობს ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შემოღებაზე, სადაც ადგილი აღარ ექნებოდა ბატონყმურ და კოლონიურ ჩაგვრას.

დავით ყიფიანის აზრით, საზოგადოების პროგრესი უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ზრდაზეა დამოკიდებული. შრომის ნაყოფიერების ზრდა კი, უპირველეს ყოვლისა დაპირობებულია შრომის თავისუფლებით. ამიტომ უნდა მოსპობილიყო ბატონყმობა, ანუ როგორც დავით ყიფიანი დაასკვნის— უნდა გატარებულიყო საზოგადოების სხეულში ქირურგიული ოპერაცია.

იგი წერს: „თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენ საზოგადოებაში ასი ათასი გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონეებსა მრავალ თავადსა და აზნაურსა; ამას უთუოთა ჰკრძნობს ქართველობის კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედააზრი, როგორც ჰმოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო, იმას ეხლა შენც ადვილად მიხვდები... მაგრამ, ამავე მაგალითზე, მაინცა და მაინც რომ გამოჩნდეს იმავე დედა აზრის განუხორციელებლობა, მაშინ სხვა ღონისძიებას შეუდგება ლიტერატურა... ეს ღონისძიება შენზე რომ ვიხმარო, მკითხველო, ჩემი თავის გასამართლებლად, იმავე გვარი პატიოსანი სენიღისიანობა მექნება, რა სენიღისიანობაც ექიმსა აქვს ხოლმე, როდესაც ვისიმე სხეულითგან სენიანს ალაგს ამოსჭრის ხოლმე, რომა მთელმა სხეულმა კიდევ იცოცხლოს“¹.

თავის დროისთვის შესანიშნავი, პროგრესული აზრია აქ გამოთქმული. ჯერ ერთი, აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ბატონყმობის დროს საქართველოში „ასი ათას გლეხს“ მოკვეთილი ჰქონდა თავისუფალი შრომა. ყმა გლეხთა შრომა იძულებითი ხასიათის იყო და მისი ნაყოფიერება დაბალ დონეზე იდგა. მეორე, დ. ყიფიანი აღტაცებით აღნიშნავს, რომ „გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ“, ე. ი. ისპობოდა ბატონყმობა. მესამე, დ. ყიფიანი, სავსებით მართებულად, ბატონყმობის მოსპობაში ხედავდა ეპოქის დედააზრს. მეოთხე, თუ განზრახული „საგლეხო რეფორმა“ საქართველოში არ გატარდებოდა, მაშინ საზოგადოების სხეულიდან სენიანი ადგილის ამოკვეთა

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 111.

ქირურგიული საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, ე. ი. ბატონყმობა რევოლუციის გზით უნდა მოსპობილიყო.

მაშინდელ ახლად ჩასახულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ერთ-ერთ გამოხატულებას ბაზართან მემამულეების კავშირის გაძლიერება და საქონელბრუნვის პროცესში მათი ჩაბმა წარმოადგენდა. საქონელბრუნვის პროცესში ჩაბმის და მეტროპოლიის მრეწველობისათვის აქ ნედლეულის ბაზის გაძლიერების მიზნით იმხანად კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გაახშირა თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა. ეს ღონისძიება განხილულ იქნა „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორი. მაგალითად, ესტატე მაღალაშვილი თავის სტატიაში „სოფლური ეკონომიის წარმოების გამოფენა ტფილისში 13 ნოემბერს 1862 წ.“ იხილავს გამოფენის დადებით მნიშვნელობას, მაგრამ ამხელს და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბატონყმობა ასეთი ღონისძიების გატარებას აფერხებდა.

ესტატე მაღალაშვილი წერს: „სამშობლო ქვეყნის მიწის თუ ხელობის ნაწარმოების გამოფენასა აქვს დიდი მნიშვნელობა: იგი წარმოადგენს თუ კარგად და ყურადღებით არის საქმე დაკერილი, რამოდენადაც შეიძლება სრულს სურათს სოფლურ ეკონომიის წარმატებისას და ახლო გვაცნობებს ქვეყნის მატერიალურ ღონისძიებას და შეძლებასა“¹. მაღალაშვილი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მრავალფეროვნად უნდა იქნას წარმოდგენილი სხვადასხვა ადგილებიდან პროდუქცია, მათ შორის ხელობის, ე. ი. მრეწველური ნაწარმი, სახელდობრ, მიწათმოქმედების იარაღები. ყოველივე ეს წარმოგვიდგენს სოფლური ეკონომიის სურათს, ე. ი. „გვაცნობებს ქვეყნის მატერიალურ ღონისძიებას და შეძლებასა“.

მაღალაშვილი უფრო მეტ ამოცანას აყენებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის წინაშე, სახელდობრ, იგი მარად მოქმედი სანიმუშო-საჩვენებელი პუნქტი ანუ თავისებური სკოლა უნდა გამხდარიყო. მაღალაშვილი წერს: „თვით მოწარმოეთათვისაც დიდად სასარგებლოა არამც თუ დროგამოშვებით გამოფენა მათის ნამუშევარისა, არამედ სამუდამოცა, თუ რომ ამის ღონისძიება იქნება. ამით შეუძლიათ გამოფენაში ნახონ ბევრნაირი მიწის საუკეთესო მოსავალი, სისრულეში მოყვანილი სამოქმედო იარაღი, ახალი აღმოჩენები. აქ გამოფენაში შეიძლება მოწარმოენი სხვადასხვა მხრიდან მოსულები ერთმანეთს შეხედნენ და გამოკითხვით, ლაპარაკით, აზრების გადაცემით მიიღონ რამე თავისა და მამულის სასარგებლო სწავლა და გამოცდილება“².

როგორც ვხედავთ, მაღალაშვილს დაუსვამს საკითხი მუდმივმოქმედ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ. თანაც ისეთი გამოფენის შესახებ, სადაც ფართოდ იქნებოდა დემონსტრირებული როგორც სოფლის მეურნეობის ნაწარმი, ასევე მიწათმოქმედების ახალი და სრულყოფილი იარაღები.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 97.

² იქვე.

კერძო მეურნეობრივ ყაირათიანობის ბიჭვის მიმცემ, წამაქეზებელ ფაქტორს, მალალაშვილი კონკურენციაში ხედავდა. ჩანს იგი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, კერძოდ ადამ სმიტის ეკონომიურ თეორიას გაცნობილი ყოფილა. მისი აზრით, გამოფენა ანვითარებს კონკურენციას, ხოლო ეს უკანასკნელი კი კერძო მეურნის გულმოდგინეობას, უკეთ ცდასა და აღტკინებას იწვევს. ეს კი ბატონყმობის წინააღმდეგ იყო დაპირისპირებული.

მალალაშვილი წერს: „მარტო ერთი კონკურენცია (მოცილეობა საგნის უკეთესობაში) რამოდენა ღონეს მიჰსცემდა მოწარმოებასა და რამოდენად წინ წასწევდა საქმესა; და უკეთესი კონკურენცია სად იქნება თუ არა გამოფენაში, სადაც იმდენი ხალხი სინჯავს ნაწარმოებს და სადაც ხელობის ხელოვნებას, თუ მიწის გამოსავლის სიკეთესა... ერთის გამარჯვება, მეორესაც მოანდომებს საკუთლად გამარჯვებას და ეს მოუმატებს გულმოდგინეობას და ცდასა“¹. კონკურენცია აქ კერძო მეურნეობრივ ცხოვრების განვითარების მძლავრ ფაქტორადაა მის მიერ წარმოდგენილი. მაგრამ ასეთი კონკურენცია დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური მეურნეობისათვის და სწორედ მას ანიჭებს მალალაშვილი უპირატესობას, ე. ი. ამგვარი ეკონომიური მოტივით გმობს ბატონყმობას.

სახალხო მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ანუ, როგორც თვითონ წერს, სოფლის ეკონომიის განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნდა მას გამოფენის პრაქტიკის დანერგვა და კონკურენციის განვითარება. მალალაშვილი წერს: „ყოველ ხალხში, სადაც გაჩაღებულია სოფლური ეკონომიის წარმოება და ის ყოვლად შემძლებელი კონკურენცია, იქ ხალხი გამოფენას ელის როგორც დღესასწაულსა... აქ ჭკუა დღესასწაულობს თავის ძლიერებას, მხნეობა და მეცადინეობა — თავის გამარჯვებას, სწავლა და ცოდნა — თავის ნაყოფის სიკეთეს. დიახ, ეგ არის უქმე, დღესასწაულობა კაცის ჭკუისა და შრომის სასახელოდ და სადიდებლოდ!“².

ჯერ ერთი, მალალაშვილს იდეალად ჰქონდა წარმოდგენილი ხალხის ისეთი ცხოვრება, სადაც გაჩაღებული იყო „ყოვლად-შემძლე კონკურენცია“. მეორე, მალალაშვილის აზრით, გამოფენის ექსპონატები შრომის მიღწევის, მისი სახელის და დიდების მაჩვენებელია. აქ შრომის როლი და მნიშვნელობაა დაფასებული, ე. ი. დაფასებული უნდა ყოფილიყვნენ მშრომელები ანუ უნდა განთავისუფლებულიყვნენ ყმები.

მალალაშვილი თავისი სტატიის თითქმის ნახევარ ნაწილს 1862 წლის გამოფენის ნაყოფანებების მხილებას და კრიტიკას უძღვნის. იგი დაწვრილებით აწერს იმ გამოფენის სავალალო სურათს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფეოდალიზმის პირობებში გამოფენების ხეირიანი მოწყობა და „ყოვლად-შემძლებელი კონკურენციის“ განვითარება არ მოხერხდებოდა. მალალაშვილი გაბედულად წერს: „ჩვენდა საუბედუროდ, უფრო ბევრს ჩვენს მებატონეთაგანს არ ესმის ჯერ მიუცილებელი საჭიროება გამოფენისა და ამიტომაც გულ-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 97.

² იქვე, გვ. 98.

გრილად და თითქმის შეუტყობრად ჩაივლის ხოლმე მისი დაწესების დრო ჩვენს ქალაქშია“¹.

ბატონყმობის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარებას, სხვადასხვა მიზეზთა შორის, მეტისმეტად აბრკოლებდა მამულების, საერთოდ მიწის ნაკვეთების გაუმიჯნაობა, რის გამოა ვახშირდა ურთიერთ დავა, ძალადობა, საჩივრები, რაც დიდძალ ხარჯებს მოითხოვდა, მწარმოებლური ძალების განვითარება კი ფერხდებოდა. ამხელს რა ამ დამაბრკოლებელ ფაქტს, ილია ჭავჭავაძე წერს: „ვინ არ იცის რანაირად არის დახლართული ჩვენში მამულ-დედულების საქმე. მთელ საქართველოში ოცი მამული არ იპოვება, რომ მოდავე არა ჰყვანდეს, სრულიად უდავო იყოს. ამ დავების და საქმის დახლართვის მიზეზი მრავალია, მაგრამ იმათ შორის უპირატესი ადგილი უჭირავს იმას, რომ თვითეული არ არის თვითეულად გამიჯნული და განსაზღვრული ჩვენს შორის. ეს უმიჯნავოდ მამულების ყოფნა ყველას ჩაიტყუებდა ხოლმე დავაში... როგორც წვიმის ნიაღვარი ისე მიეშო დავები სასამართლოებში, გაივსო სასამართლოები დავებითა“².

ამ დავებმა ისედაც უყარათო მემამულეებს გამოაცალა მამულების გამჯობესების სურვილი. ამ დავების შედეგად, წერს ილია, „სიმართლისადმი ნდობა აღარა გვაქვს და ჩვენს საკუთრებაზედაც არა ვართ დარწმუნებული. იმის გარდა რაც ფულად და დრო იკარგებოდა ჩივილში და დავიდარაბაში, ვილა მოსთელის? თვითონ მამულსაც ის ფასი აღარ ჰქონდა, რის ღირსიც იყო. ჩვენში შემოსავალი მამულს კი არა ხმარდება, არამედ დავიდარაბასა, ჩივილსა და სასამართლოებსა, შოდი აქა და მამული გამართე“³.

აქ შეუფერადებლად დახატულია ის სურათი, რასაც დაშლის პროცესში მყოფი ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის ფორმები წარმოადგენდა. ისედაც დავალიანებული მემამულეები, დიდძალ ხარჯებს ეწეოდნენ მიწების გაუმიჯნაობასთან დაკავშირებულ დავასა და საჩივრებზე, მამულიდან შემოსავალი კი კლებულობდა. მამულის გამჯობესების სტიმულიც ჩაკლული იყო, რადგან ვაკეთებულ, გამჯობესებულ მამულს უფრო მეტი მიმტაცებელი — მოძალადე, მედავე გამოუჩნდებოდა, ვიდრე გაუკეთებელ მამულსა.

ადგილ-მამულის გამიჯნების დებულებას და 1862 წელს გამიჯნების (межевая) პალატის დაარსებას, ილია ჭავჭავაძე დადებითად აფასებდა, რადგან იგი თვლიდა, რომ ეს ღონისძიება მიმართული იქნებოდა ფეოდალურ თვითნებობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ეწევა ილია იმ დროის ცნობილ ბურჟუაზიულ ეკონომისტების, კერძოდ რუსი ცნობილი ეკონომისტის ივანე კონდრატის ძე ბაბსტის ციტირებას, ბაბსტისა, რომელიც ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 97.

² ილია ჭავჭავაძე, საქართველოს გამიჯნების გამო, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 199. ამ სტატიაზე ავტორს ხელი არა აქვს მოწერილი.

³ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 199, 200.

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ მამულების გაუმიჯნაობისა და ფეოდალური თვითნებობის შესახებ „ამბობს გამოჩენილი ეკონომი ბაბსტი: „პირველი და უმთავრესი საჭიროება ხალხის გამოწყობისა და კაპიტალის შექმნისა ის არის, რომ საკუთრება და ჭირნახული ხალხისა დაცული იყოს. როცა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ჭირნახულის ნაყოფი ჩვენთვის არ დაიკარგება და ფუჭად არ ჩაგვივლის, მაშინ ვინ გაექცევა შრომისა? მაშინ ხალხის ნაღვლის ნაყოფი სასწაულსაც მოახდენს ხოლმე და ხალხის კაპიტალი ნივთიერი თუ გონებითი საჩქაროდ გამრავლდება“¹.

ბაბსტის ნაწარმოებიდან ეს ამონაწერი შემთხვევით კი არაა ილიას მიერ აქ მოტანილი. ხალხის საკუთრება და ჭირნახული, როგორც აქ წერია, მაშინ არ იყო დაცული და ეს გარემოება აფერხებდა მეურნეობის განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ეკონომიური განვითარების აუცილებელ პირობად ი. ჭავჭავაძე, ისე როგორც ბაბსტი, თვლიდა იმას, რომ მიწაზე საკუთრება ჰქონოდა არა მხოლოდ თავადაზნაურობას, არამედ გლეხებსაც, რომ ხალხის მიერ შექმნილი ჭირნახული თვითონვე ხალხს მოეხმარა. მაგრამ ეს ნიშნავდა ბატონყმობის გაუქმებას, რაც ამავე დროს სტიმული იქნებოდა მაშინ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ადგილ-მამულის გამიჯნის გატარებას ილია ჭავჭავაძე „სავლენო რეფორმისთან“ დაკავშირებულ მოვლენად თვლის, რაც მიმართული იყო ფეოდალური თვითნებობის წინააღმდეგ. ამიტომ წერს იგი: „მოვიდა დრო, რათა ყოველმა თავის წილი იცოდეს და თავისი საზღვარი. ამიტომაც არ ეჭაზნიკათ ეს ამბავი და ამტკიცებენ, რომ ეს საქმე უსარგებლოა. მაგრამ რამდენი საწყალი, დაჩაგრული კაცი, რამდენი ქვრივი-ოხერი ან ობოლი გაიხარებს, როცა მიეცემა ღონისძიება, რომ უშიშრად ამოიჩიქნოს თავისი საკუთარი მიწა, ჩააბინავოს რამდენიმე მარცვალი და უშიშრად ამოკრიფოს თავისი ოფლის ნაყოფი, რომლითაც გამოიკვებება როგორც თითონ, ისე წვრილ შვილიცა“².

ილია, გამიჯნაზე მსჯელობით, ფაქტიურად საწყალი, დაჩაგრული კაცის, „ქვრივი-ოხერი“-ს, დატაკთა მდგომარეობაზე ზრუნავდა. ილიას მიერ აქ მოხაზულია იდეა თავადაზნაურობის გარდა, გლეხების მიწის საკუთრებით უზრუნველყოფისა და ამ ნიადაგზე სოფლის მეურნეობის განვითარებისა.

3. ნათარგმნი ეკონომიური ლიგარაგუკის მსახეზე

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილია ეკონომიური შინაარსის ნაშრომების თარგმანები. აქ პირველად ყოვლისა უნდა შევეხოთ თერგდალეულის, ე. ი. კირილე ლორთქიფანიძის მიერ რუსულიდან თარგმნილ სტატიებს.— „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყეობა“, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომერებში. იგი თავისუფალ თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს; რომელსაც

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 2, გვ. 200.

² იქვე, გვ. 201—202.

ბლომად ახლავს მთარგმნელის ვრცელი შენიშვნები, რაც ფაქტიურად კ. ლორთქიფანიძის გამოკვლევას წარმოადგენს და მისივე სოციალ-ეკონომიურ შეხედულებათა გაგების საშუალებას გვაძლევს.

თვით ტექსტი, რომელიც ორი სტატიისა და ისტორიის კურსიდან თარგმანს წარმოადგენს, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წყობილებაზე, ზანგებით ვაჭრობასა და მათ ტყვეობაზე, ე. ი. მონობაზე და თავისუფალი შრომის უპირატესობაზე მოგვითხრობს. მაგრამ ჩვენთვის მთავარია სქოლიოებში დაბეჭდილი თვით კ. ლორთქიფანიძის ვრცელი შენიშვნები, განმარტებანი, სადაც ზოგიერთი ადგილი ამოღებულია ცენზურის მიერ. ამ ვრცელი შენიშვნებისა და განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძე ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის შეურთებელი მტერი იყო.

კ. ლორთქიფანიძე მოხდენილად უპირისპირებს თვითმპყრობელობას პარლამენტს და ამ უკანასკნელის პოპულარიზებას ეწვევა. იგი წერს: „პარლამენტი ჰქვია წარმომადგენლობითს კრებას, ე. ი. იმ პირთ კრებას, რომელნიც გამოირჩია ხალხმა იმისათვის, რომ ისინი იყვნენ ხალხის სურვილის და ჰაზრის წარმომადგენელნი, რომ იმათ ისე განსაჯონ ყოველივე საზოგადო საქმე, როგორც ხალხს უნდა და როგორც ხალხის საჭიროება მოითხოვს. ძველს საბერძნეთის სახელმწიფოებში, ათინაში და სპარტაში ყოველივე საზოგადო საქმეებს სწყვეტდა თვითონ ხალხი... ეგრობიულს სახელმწიფოებში წარმომადგენლობას აღარ აქვს არც ის იდეალური გარეგანი ფორმა, არც შინაგანი არსება. წარმომადგენლობა უნდა იყოს ხალხის ჰაზრის და ნების გამოთქმელი“¹.

კირილე ლორთქიფანიძე, როგორც ვხედავთ, პარლამენტს არა მხოლოდ აყენებს თვითმპყრობელობაზე მალდა, არამედ ამხელს კიდევაც ბურჟუაზიულ პარლამენტს, რომელიც არაა ხალხის ფართო მასების აზრის და ნების სრული გამომხატველი. მაშასადამე, კ. ლორთქიფანიძის იდეალს წარმოადგენდა ისეთი პარლამენტი, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავდა.

კ. ლორთქიფანიძე ცალკე განმარტებას აძლევს კონსტიტუციურ სახელმწიფო წყობილებას და თვით კონსტიტუციას და მის პოპულარიზებას ეწვევა. აქვე განმარტავს დემოკრატიას. იგი წერს: „დემოკრატიაა ხალხის მმართველობა, ე. ი. იმისთანა ხალხის მმართველობა, რომელშიაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ხალხსა, რომლის წევრებსაც თანასწორი სიმართლე აქვსთ. იმ კაცს, რომელიც ხალხის მმართველობის დაწესებისთვის ზრუნავს, ეძახიან „დემოკრატს“².

დემოკრატიულ წესწყობილებას აქებს კ. ლორთქიფანიძე, რადგან მასში ხალხს, მის წევრებს თანასწორი სიმართლე უნდა ჰქონდეთ. მაგრამ იგი თავის მსჯელობაში არ კმაყოფილდება ბატონყმობის დაგმობით. იგი აქ კომუნების,

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, გვ. 52.

² იქვე, გვ. 57.

ასოციაციის პოპულარიზებასაც ეწევა, ე. ი. კირილე მაშინ რევოლუციურ დემოკრატიების მოძღვრების საფუძველზე მდგარა. თანაც კირილე აქ ამტკიცებს, რომ უძველეს დროს კომუნური წყობილება ყოფილა გავრცელებული. კირილე წერს: „ესთქვათ რომ არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც კერძობით საკუთრება არ არის, ე. ი. საცა მიწა საზიაროა (საერთო, დაუყოფელი), საცა საზოგადოების წევრები ყველაფერს ზიარად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ზიარად ხარჯავენ, საცა ყველა წევრები თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილებს საზოგადო ხარჯზედ ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსჯელობა თვითონ ხალხს ეკუთვნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწოდებენ „კომუნას“. ძველს დროში ყოველს ხალხის საზოგადოებას რალაც ამისი მსგავსი დაწყობილება ჰქონიათ ე. ი. კომუნური“¹.

მართალია, კ. ლორთქიფანიძე კომუნიზმის მეცნიერულ განმარტებას არ იძლევა, მაგრამ იმ სახითაც კომუნის, ასოციაციის ხალხში პოპულარიზებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ახალი აზრის გადმოცემას ჰქონდა ადგილი, აზრისა, რომ ისტორიულად გარდამავალია არა მხოლოდ ბატონყმობა, არამედ თვით კაპიტალიზმი. გადმოსცემს რა მოკლედ კომუნის, ე. ი. ამ შემთხვევაში ასოციაციის არსს, კირილე კაცობრიობის იდეალად კომუნურ წყობილების დაარსებას თვლის, მაგრამ ამის მიღწევა რევოლუციის გზით, ანუ როგორც იგი წერს, ღობეების გადამტყრევის გზით შეიძლებოდა. აქ ჩვენ სამოციანი წლების ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის განვითარების შედეგთან, კულმინაციურ წერტილთან გვაქვს საქმე.

აი ეს ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის უმაღლესი მწვერვალი სამოციან წლებში: „მუდამ ყოფილან, — წერს კირილე, — და არიან კიდევ იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომუნურს დაწყობილობაში ხედავენ ზოგად-წყობილების იდეალსა, და ამბობენ რომ კაცობრივობა ამ იდეალისაკენ მიისწრაფისო, რომ კაცობრიობის ზოგად-წყობილების პროგრესის, წინ მსვლელობა ის არისო, რომ ახლდებოდესო ძველებური კომუნური წყობილება, მაგრამ ამასთანავე უფრო იხსნებოდესო, უფრო სისრულეში მოდიოდესო. — კაცობრივობას ჯერ ვერ მიუწევიაო ამ იდეალთან სხვადასხვა გარეგან გარემოების გამო და ამისთვის ყოველი კაცი იმას უნდა სცდილობდესო, რომ ეს გარემოებანი ღობესავით გადაამტკრიოსო. მაგრამ იმათ ვინ აპყვება“².

აქ ბოლო სიტყვები „მაგრამ იმათ ვინ აპყვება“, ცხადია, ცენზურის თვალის ასახვევად დაწერილი. ფაქტიურად, როგორც ვხედავთ, კირილე ლორთქიფანიძე აქ ეწევა კომუნის წყობილების ქებას და პროპაგანდას. სისრულეში მოყვანილი კომუნური წყობილება, როგორც აღნიშნავს კირილე, კაცობრიობის იდეალს წარმოადგენს. მაგრამ მისი მიღწევა ბრძოლის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, რომ დაბრკოლებანი ღობესა-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, გვ. 62.

² იქვე, გვ. 63.

ვით გადაამტკრიოს, ე. ი. ძველი წყობილება რევოლუციის გზით დაანგრიოს და ახალი ააშენოს. დიდებული აზრია.

საკუთრივ ეკონომიური კატეგორიების განსაზღვრა-განმარტებაშიც, კირილე ლორთქიფანიძე თავისი დროის მოწინავე აზრის დონეზე დგას, წინააღმდეგია ვულგარული ეკონომიისა. ისეთ ეკონომიურ კატეგორიას, როგორცაა კაპიტალი, კირილე განმარტავს გაცილებით უკეთ, ვიდრე ვულგარული ეკონომიის წარმომადგენელი. კირილე წერს: „კაპიტალი — სერშია, ნაღდი ფული, რომლითაც ვაჭრობ, ან რამეს აკეთებ; ყოველისფერი რაც კი სარგებლობს, მთავნობს. ყველა ის სასარგებლო ან გამოსადეგი ნივთები, რაც ერთს კაცს ან საზოგადოებას აქვს და ატრიალებს თუ აღებ-მიცემაში, თუ სხვა რამეში“¹.

ცხადია, კ. ლორთქიფანიძეს არა აქვს კაპიტალის კემშარიტად მეცნიერული, ე. ი. მარქსისტული განმარტება მოცემული. კირილემ კაპიტალის მცნებაში მართებულად შეიტანა ფულის თუ სხვა დოვლათის მიერ სარგებლის, მოგების მიღება. მაგრამ მას მოცემული არა აქვს ზედმეტი ღირებულების და მისი შემქმნელი შრომის რაობის და სხვ. განმარტება. მაგრამ, კაპიტალის განსაზღვრა კირილეს მაინც გაცილებით უკეთესად აქვს მოცემული, ვიდრე ვულგარული ეკონომიის წარმომადგენლებს.

კირილე ლორთქიფანიძის მიერ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი — „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ შემთხვევით კი არ იყო „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი. ამ ნაშრომში მხილებული და დაგმობილია ტყვეობა, ე. ი. ზანგების მონობა, დასაბუთებულია თავისუფალი შრომის უპირატესობა, შედარებით მონურ შრომასთან და ასეთი მოხვეული გზით მხილებულია, მკაცრად გაკრიტიკებული და დაგმობილია ბატონყმობა რუსეთში.

აღნიშნული ნაშრომის ტექსტში თავისუფლების იდეის ფართო პროპაგანდა იმდენად ახლოს მოხვედრია გულთან კირილეს, რომ იგი ვეღარ იკავებს თავს და აქვე სქოლიოში შენიშნავს: „ცხადია, რომ ამგვარად თავისუფლების განმარტებით ამოიფხვრება ბრმა, უგუნური თვით მონებლობა და შეიწყნარება ჭკუიანურის რწმუნების სიმართლე“². ბატონყმურ დესპოტიზმს მესამოციანელები თავისუფლების იდეას უპირისპირებდნენ. ამიტომ ამბობს კირილე „ამოიფხვრება... თვით მონებლობა“.

ბატონყმობის რეგრესულობის დამტკიცებაში მესამოციანელების ყველაზე მეტ საბუთიან ეკონომიურ არგუმენტს, როგორც ზემოთაც დავინახეთ, შრომის ნაყოფიერების საკითხი წარმოადგენდა. გარეეკონომიურ იძულებაზე დამყარებული ყმის შრომის ნაყოფიერება დაბალი იყო და არც იზრდებოდა. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი აშშ პლანტაციებში, სადაც ზანგ მონებს ამუშავებდნენ პლანტატორები. ამ მაგალითის განზოგადებით, კირილე ლორთქიფანიძე ასაბუთებს მონის და ყმის შრომის ნაყოფიერების ვადი-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, გვ. 81.

² იქვე, გვ. 66.

დების შექცობლობას და თავისუფალ შრომაზე გადასვლის გარდუვალობას.

კირილე წერს: „პლანტატორის მათრახი ყოველთვის, ყველგან და ყველადღისთვის—აი ამ გარემოებაში მუშაობს ტყვე, და როგორი გრძნობა უნდა აღძრას ამისთანა მუშაობამ მშრომელის გულში? როგორი ნაყოფი უნდა მოიტანოს ამისთანა შრომამ?“¹.

ღიას, მონის და ყმის იძულებით შრომას ნაყოფიერების გადიდება არ შეეძლო. კირილე, როგორც იმ დროის პროგრესული აზრის წარმომადგენელი, იმ აზრისაა, რომ წარმოებაში მუშის ამუშავება ჯოხის ნაცვლად, ფულით უნდა განხორციელდებოდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ფაქტორად კირილე მონობის, ბატონყმობის გადავარდნას, შრომის თავისუფლებას, ნებაყოფლობას, თანხმობას თვლიდა. ამიტომ იგი წერს: „სიყვარული და თანხმობა არიან საჭირონი, რომ შრომას მიმზიდველობა და ნაყოფიერება მიეცეს, უამითოდ შრომა ძლიერ უსარგებლო ტანჯვა იქნება ყოველთვის“².

ამრიგად, გარეეკონომიურ იძულებაზე დამყარებული ყმის შრომა, არამც თუ ნაყოფიერებას გაადიდებდა, არამედ, იგი ნაკლებ სასარგებლო და მშრომელებისათვის კი ტანჯვა იყო. ამიტომ იბრძოდნენ მესამოციანელები ბატონყმობის გადავარდნისათვის.

„საქართველოს მოამბის“ მერვე და მეათე მუხებში დაბეჭდილია ფრანგი ცნობილი ვულგარული ეკონომისტის ბასტიას წიგნის—„ეკონომიური სოფიზმები“-დან ნაწყვეტი „მძარცველობის ფიზიოლოგია“-ს თარგმანი. ქართული თარგმანი შესრულებულია ვინმე ბ. ვ.-ის მიერ, რომელიც ამ წიგნის შესახებ სკოლაში შემდეგ შენიშვნას აკეთებს: „გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან დაწერილია ეკონომიური სოფიზმები: თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და სასარგებლოცა როგორც ყველასთვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქიდან ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი „მძარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებასა და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვისაც უნაყოფო არ იქმნეს“³.

როგორც ვხედავთ, ბასტიას წიგნი, რომლის თარგმანი რუსულად 1863 წელს იყო გამოცემული, გარკვეული მიზნით უთარგმნიათ და დაუბეჭდიათ „საქართველოს მოამბეში“. იმიტომ, რომ ეს წიგნი, როგორც შენიშნავს მთარგმნელი, „უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას“. ეს იმით აიხსნება, რომ ბასტია, როგორც კაპიტალიზმის ხელალებით დამცველი, ქადაგებდა კაპიტალიზმის უპირატესობას.

კაპიტალიზმის აპოლოგეტი ბასტია წერდა: „საპოლიტიკო ეკონომიამ ისიც დაამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი (Вольный) შრომა თავის ბუნებით პროგრესული, წარმატებითი არის; ხოლო შრომა მონისა ბუნებით უძრავია.“

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 12, გვ. 85.

² იქვე, გვ. 86.

³ „საქართველოს მოამბე“ 1863 წ., № 8, გვ. 65.

ამისა გამო ნებაყოფლობითი შრომის გამარჯვება მონის შრომაზედ აუცილებელია“¹. ბასტია ქადაგებდა ნებაყოფლობითი შრომისა და ცოდნის გავრცელებას, ამით ჩანს მოიხიბლნენ თერგდალეულები. მართლაც, ისინიც ხომ მიმართავდნენ ასეთ ქადაგს ბატონყმობის წინააღმდეგ? მაგრამ თერგდალეულები ბასტიასმაგვარი ვულგაროზატორები არ ყოფილან და კაპიტალიზმის პარამონიულობისა და მარადიულობის ბასტიასებრ ვულგარულ თეორიას არ იზიარებდნენ.

ბასტიას ნაწერები გამსჭვალულია იმ მიდრეკილებით და ამოცანით, რომ დაამტკიცოს და გაავრცელოს ცრუ თეორია კაპიტალიზმის დროის ყველა კლასთა შორის ინტერესთა პარამონიის შესახებ. ბასტია ერთი მუჭა კაპიტალისტების დიდძალ სიმდიდრეს მთელი ხალხის კეთილდღეობად, უშიშროებად და ყველას განათლებად თვლიდა. იგი წერს: „სიმდიდრე—ჩემის ფიქრით ორიოდე პირის შეძლება კი არ არის, არამედ კმაყოფილება, კეთილმდგომარეობა, უშიშარობა, დამოუკიდებლობა, განათლება ყველასი“². ეს არაა სწორი. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ, სულ მეტად იზრდება სიმდიდრე ერთი მუჭა კაპიტალისტთა ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, სულ მეტად იზრდება მასების გაპროლეტარება, მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა გაღატაკება.

ბასტია ილაშქრებდა სოციალისტურ მოძღვრებათა წინააღმდეგ და გულმოდგინედ იცავდა კაპიტალიზმს. ეწეოდა რა დემაგოგიას, იგი წერდა: „ღვთის მადლით, ისტორია ამასაც გვაჩვენებს, რომ დღე და დღე როგორც სიამოვნება, ისე შრომა თანდათან ყველასათვის თანასწორად იყოფა“³. ეს, ცხადია, მტკნარი სიცრუეა. ნამდვილად კი კაპიტალიზმის დამახასიათებელია ბურჟუაზიის უშრომო შემოსავლის ზრდა და განცხრომით ცხოვრება, ხოლო მშრომელთა, პირველ რიგში, მუშათა კლასის გაღატაკება და მათხვერული ცხოვრება.

კ. მარქსმა სასტიკად ამხილა და გააკრიტიკა „ბასტიას, ვულგარულ-ეკონომიური აპოლოგეტიკის ამ ყველაზე ბანალური და ამიტომ ყველაზე ილბლიანი წარმომადგენლის“⁴ როლი და „თეორია“.

კაპიტალიზმის აპოლოგეტიკის და მისი მარადიულობის ვულგარულ პოზიციებზე არ მდგარან თერგდალეულები, მაგრამ ფეოდალურ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ბასტიას გამოყენებას მიინც შეეცადნენ. იმათ იზიდავდა ბასტიას გამოთქმები ნებაყოფლობითი შრომის უპირატესობაზე, ცოდნის გავრცელებაზე, ჩაგვრის შენელებაზე. მაგალითად, ბასტია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ამოცანის შესახებ დემაგოგიურად შემდეგს წერს: „საპოლიტიკო ეკონომია ცდილობს დაჩაგრულებში განავრცელოს იმოდენა მახვილგონიერება, განათლება და სამართლიანი უნდობა, რომ დაჩა-

² „საქართველო თეორია“, 1863 წ., № 8, გვ. 74.

¹ იქვე, გვ. 66.

² იქვე, № 11, გვ. 89.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გამ. 1954 წ., გვ. 16.

გვრა უფრო და უფრო ძნელად ხდებოდეს და დამჩაგვრელისათვის საშიშარი იყოს. უნდა ვსთქვათ, რომ საპოლიტიკო ეკონომია თითონ დამჩაგვრელზე-დაც მოქმედობს“¹.

ცხადია, თერგდალეულები ასეთ გამოთქმებს იწონებდნენ და იყენებდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ბასტიას დემაგოგია და ეკლექტიზმი მაინც უნდა ყოფილიყო მხილებული და გაკრიტიკებული. ჯერ ერთი, რომელ მჩაგვრელებზე და ჩაგრულებზე ლაპარაკობს იგი? ზემოთ ხომ ირწმუნებოდა, რომ თანახმად კლასთა ჰარმონიულობის მისივე ცრუ თეორიისა, კაპიტალიზმის პირობებში თითქოს ყველანი თანასწორად ეწევიან შრომას და შეხმატკბილებულად იყენებენ სიმდიდრეს და სიამოვნებასაც ასევე ინაწილებენ. თუ კი ასეა, მაშინ მძარცველობა და ჩაგვრა ხომ შეუთავსებელია ჰარმონიასთან? სადაა აქ ლოდიკა? თუმცა ამას ბასტიასთვის რა მნიშვნელობა აქვს. ბასტია კაპიტალისტური საზოგადოების კლასთა ინტერესების ჰარმონიულობის ცრუ თეორიის მქადაგებელია. ჩაგრულებზე და მჩაგვრელებზე ლაპარაკს იგი მხოლოდ მშრომელთა მოტყუების მიზნით ეწეოდა. მეორე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ამოცანა განა ჩაგრულთა, მშრომელთა ინტერესების დაცვაა? ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია კაპიტალისტების ინტერესებს იცავს.

იმავე ბ. ვ.-ეს მიერ არის თარგმნილი პრუდონის სტატია — „სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი“, რომელიც დაბეჭდილია „საქართველოს მოამბის“ მეათე ნომერში. პრუდონის ნაწერიდან ზოგიერთი ადგილი ალბათ მოსწონდათ თერგდალეულებს. მაგალითად, პრუდონი წერს: „ყოველიფერი რასაც კი ჩვენა ჰეფლობთ, რაც კი ჩვენ ვიცით, სულ შრომისაგან არის გამო-სული; შრომის მეოხებთა გვაქვს ჩვენ ყოველი მეცნიერება, ყოველი ხელოვნება, ყოველი სიმდიდრე“². შემდეგ იგი მსჯელობს მის მიერ შეთხზულ ეკონომიურ კანონებზე.

თერგდალეულებს ბატონყმურ და ცარიზმთან ბრძოლის დროს ალბათ მოსწონდათ პრუდონის მსჯელობა თანასწორობაზე, თანასწორობის შესახებ შეთხზულ კანონზე. პრუდონი წერს: „თანასწორობის კანონია ყველაზედ უდიდესი, თითქმის მხოლოდითი კანონი საპოლიტიკო ეკონომიისა, იმიტომ რომ ყოველი სხვა კანონები ამის სხვადასხვანაირი გამომთქმელები არიან და თითონ სიღარიბის კანონიც ამის ნაყოფია და სხვა არაფერი“³. თანასწორობის და გლეხების მიწის წვრილი საკუთრებით უზრუნველყოფის იდეა ამოძრავებდათ ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ თერგდალეულებს.

მაგრამ თვით პრუდონი, წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი, ანარქისტი, წინააღმდეგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ქალის კაცთან თანასწორუფლებიანობის იდეისა. პრუ-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 11, გვ. 90.

² იქვე, № 10, გვ. 73.

³ „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 10, გვ. 81.

დონი, როგორც იდეალისტი, რევოლუციური მოძრაობის და კომუნისმის მოწინააღმდეგე, როგორც კაპიტალიზმის „განკურენის“ რეაქციულ იდეის დამცველი და მუშათა კლასში რეფორმისტული ილუზიების მთესველი მკაცრად იყო მხილებული და გაკრიტიკებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ.

თერგდალეულები კაპიტალიზმის ანტაგონიზმის მოსალოდნელი გაღრმავების კვლევა-ძიებას არ ეწეოდნენ, რადგან დღის წესრიგში მაშინ ჯერ ბატონყმობის გადავარდნის საკითხი იდგა. მაშინ ყმების განთავისუფლება და მათი უზრუნველყოფა მიწის საკუთრებით დიდ საკითხს წარმოადგენდა და ამაზე ზრუნავდნენ თერგდალეულები.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას და მათ ტრიბუნას „საქართველოს მოამბეს“ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბატონყმობის უცვლელობისა და მარადიულობის ფეოდალურ-რეაქციულ იდეას თერგდალეულებმა საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის, დიალექტიკური განვითარების პროგრესული იდეა დაუპირისპირეს. მათ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დიდი როლი შეასრულეს ახალი, ხალხისთვის გასაგები ლიტერატურული ენის დამკვიდრებაში, ფართოდ გაშალეს ბრძოლა ბატონყმური დესპოტიზმის წინააღმდეგ და მწერლობასა და ხალხში დემოკრატიული პრინციპების დანერგვისათვის.

ბატონყმობის რეგრესულობის დამტკიცების და მწარმოებლურ ძალების ახალ ვითარებაში განვითარების დასაბუთების შესახებ, მათ მიერ ყველაზე მაგარ არგუმენტებად ეკონომიური ფაქტორები იქნა მომარჯვებული და გამოყენებული. გაშუქებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის, სოფლის მეურნეობის განვითარების, საკუთრების და სხვა ეკონომიური კატეგორიების საკითხები. მოცემულია სოციალისტური ასოციაციის თავისებური განსაზღვრა და მისი პოპულარიზება. „საქართველოს მოამბეში“ განხილული სოციალურ-ეკონომიური საკითხები და მათ შესახებ პროგრესულ შეხედულებათა განვითარება ქართულ საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისს წარმოადგენდა.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

С. Берадзе

Вопросы развития грузинской общественно-экономической мысли в журнале „Сакартвелოს моамბე“

Резюме

Журнал „Сакартвелოს моамბე“ („Вестник Грузии“), основателем и редактором которого был известный общественный деятель Илья Чавчавадзе, издавался в 1863 году (вышло всего 12 номеров) и отображал острую классовую борьбу, развернувшуюся вокруг крепостного права. „Крестьянская реформа“ была проведена в Грузии с опозданием, в 1864—1871 гг., притом в наиболее тяжелых условиях для крестьян.

Группировавшиеся вокруг „Сакартвелოს моамბე“ грузинские шестидесятники, находясь под благотворным влиянием русских революционных демократов, решительно выступали против старых устоев общественной жизни и широко пропагандировали демократические идеи. Если в России того времени прогрессивным, воинствующим трибуном являлся журнал „Современник“, то в Грузии таковым являлся „Сакартвелოს моамბე“. На его страницах, в строжайших цензурных условиях, печатались статьи, разоблачающие социальное и колониальное угнетение. В этой борьбе грузинские шестидесятники находили полное понимание и поддержку у славных русских революционных демократов.

В противовес консервативному журналу „Цискари“ („Заря“), где пропагандировались идеи неизменяемости феодальных отношений, „Сакартвелოს моамბე“ последовательно разоблачал старые порядки, доказывал обреченность крепостничества. Теоретическим обоснованием неизбежности замены старого строя новым служат опубликованные в журнале статьи экономического характера. Именно здесь показана задержка роста производительных сил, падение производительности труда и снижение урожайности в условиях наличия внеэкономического принуждения к труду.

Авторы экономических трудов Дав. Кипиани, Е. Магалашвили, К. Лортикванидзе и др. убедительно доказывали преимущества вольнонаемного труда против крепостного. Грузинские шестидесятники прогресс общественной жизни связывали с ростом производительности труда. Главным же фактором роста производительности труда они считали вольнонаемный труд. Пропаганда идей преимущества вольнонаемного труда играла большую роль в борьбе с феодальной идеологией.

Грузинские шестидесятники считали причинами отставания экономического развития также натуральный характер феодального хозяйства и присущие ему рутинные методы работы и, показывая их обреченность, подчеркивали неизбежность развития рыночных отношений.

Они видели положительное значение в организации сельскохозяйственных выставок, устраиваемых тогда в Тбилиси, но одновременно указывали на недостатки и убогое состояние этих выставок.

В журнале печатались переводы на грузинский язык экономических трудов с целью показа преимущества производства, основанного на вольнонаемном труде.

Кирилл Лорткипанидзе в обширных примечаниях к переводам вкратце излагает здесь свои прогрессивные социально-экономические взгляды. Он признает республиканско-демократический государственный строй.

Выступление грузинских шестидесятников на арене общественной деятельности и издание ими „Сакартвелოს моамбе“ имело большое прогрессивное значение. Они противопоставили реакционной идее вечности феодализма прогрессивную идею неизбежности замены феодализма новым строем. Вопросы экономического развития они тесно связывали с необходимостью замены крепостного труда вольнонаемным трудом и распространением грамотности среди населения. Они способствовали тесному сближению грузинского народа с великим русским народом. Поставленные и развитые в „Сакартвелოს моамбе“ социально-экономические вопросы предзнаменовали тогда начало новой эры в истории грузинской общественно-экономической мысли.

ნიკოლოზ ქოიავა

ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში* (1701—1761 წწ.)

1. მონოპოლიები და ბაჟები

მონოპოლია ეწოდება მეფის განსაკუთრებულ უფლებას ამა თუ იმ სახის წარმოება-ვაჭრობის ექსპლოატაციაზე, მონოპოლიის დაწესებას მიზნად აქვს შემოსავლის მიღება, შემოსავლის გადიდება. მონოპოლია შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სახისა. ერთ შემთხვევაში მეფეს მართლაც აქვს საკუთარი მონოპოლიური სამრეწველო ან სავაჭრო-საწარმო და ამ საწარმოს ექსპლოატაციას იგი თვითონ უშუალოდ აწარმოებს. მეორე შემთხვევაში შეიძლება მან თავისი საწარმო იჯარით გასცეს. მესამე შემთხვევაში მეფე უთმობს თავის უფლებას სხვას და ამაში უშუალოდ ღებულობს სათანადო საზღაურს. მეოთხე შემთხვევაში ამ საზღაურის აღება გაცემულია იჯარით. ფეოდალიზმის ფინანსების ისტორიაში ვხვდებით ოთხივე სახის, უფრო ხშირად მეოთხე სახის მონოპოლიებს.

მონოპოლია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი, პირველ შემთხვევაში იგი ვრცელდება საგნის წარმოება-ვაჭრობის ყველა სტადიაზე, მეორე შემთხვევაში—ერთ ან რამდენიმე სტადიაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მონოპოლიზებულია რომელიმე საქონლის შესყიდვა-გაყიდვა, წესდება როგორც ნაყიდობის, ისე გაყიდვის ფასიც, და ამ განსხვავებაში ჩართულია გადასახადიც. მაღალი მონოპოლიური ფასი შემოსავლის წყაროა. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულია წარმოების რომელიმე სტადიის მონოპოლია, მეფე შემოსავალს ღებულობს იმ მტკიცე განაკვეთის სახით, რომელიც აიღება პროდუქტის ერთეულზე.

იმ პერიოდის ქართლში ჩვენ ვხვდებით ორ აშკარა ფისკალურ მონოპოლიას—არაყისა და სამღებროების მონოპოლიას.

* იხ. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701—1761 წწ.), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, ამ სტატიაში განხილული იყო ხარჯები და შემოსავალი სახანო მამულიდან.

არაყხანის იჯარის შესახებ დასტურლამალში ვკითხულობთ: „ვინც იჯარად აიღებს არაყს, სხუა კაცი მის მეტი ვერც გაჰყიდის, ვერც იყიდის. სოფლის არაყს იყიდის ლიტრას სამს ბასტად, შაურად; მერმე დუათაშად გამოჰხდის და ექუტს შაურად ლიტრას გაჰყიდის, ჯან შვიდ შაურად“¹. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მონოპოლიასთან არაყის წარმოება-ვაჭრობის დარგში. მონოპოლია ნაწილობრივია, რამდენადაც სოფლად არაყის გამოხდა აკრძალული არ არის, მონოპოლიზებულია მისი „დუათაშად“ გამოხდა და გაყიდვა—ეს მონოპოლია ეკუთვნის, ერთი მხრით, წარმოების სფეროს, მეორე მხრით კი — ვაჭრობის სფეროს. ვფიქრობთ, რომ არაყის მონოპოლია ვრცელდებოდა მხოლოდ მეფის სახასო მამულზე.

კანონმდებელს კარგად ესმის, რომ მონოპოლისტ მოიჯარადრეს შეუძლია უზომო ფასების დაწესება და ამიტომ მონოპოლისტის უფლება ფასების დაწესებაში ფორმალურად მაინც შეზღუდულია. კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს სოფლის არაყის ფასს (სამი ბისტი ლიტრა) და „დუათაშად“ გამოხდილი არაყის ფასს (ექვსი, ხან შვიდი შაური ლიტრა).

ეს მონოპოლია იჯარით იყო გაცემული. იჯარის ფასს საფუძვლად ედვა განსხვავება ნასყიდობისა და გასაყიდ ფასს შორის. თვალსაჩინოა საგრძნობი განსხვავება ამ ფასებს შორის — სამი ბისტი და შვიდი შაური, ე. ი. 6 კაბ. და 35 კაბ.

დასტურლამალი გვაუწყებს, რომ შემოსავალი იჯარიდან შეადგენდა „ხან ოცდა თუთხმეტი, ხან ნეტ-ნაკლები“ თუნანს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც, უფრო დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვით იმაზე, თუ როგორ იყო ორგანიზებული არაყის მონოპოლია.

მეორე ფისკალურ მონოპოლიას წარმოადგენდა სამღებროები. ეს მონოპოლია ეკუთვნოდა დედოფალს. იგი ვრცელდება მთელს ქართლზე. სადედოფლო დასტურლამალი აშკარად აცხადებს: „სადაც სამღებროები არის, ქართლსა თუ საბარათას-შვილოში, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის“². ცხადად ჩანს, რომ მონოპოლიზებული წარმოების ის სტადია, რომელსაც წარმოადგენს ღებვა, ეკუთვნის წარმოების სფეროს. ქსოვილის წარმოების თვალსაზრისით ჩვენ საქმე გვაქვს ნაწილობრივ მონოპოლიასთან, მაგრამ ღებვის თვალსაზრისით—სრულ მონოპოლიასთან.

სამღებროებს განაგებს მღებართუხუცესი. ყველა სამღებრო ქალაქის მღებართუხუცესის ხელში იყო, ხოლო ზემოქართლისას ცალკე მღებართუხუცესი განაგებდა. მღებართუხუცესობა შრომითს ბეგარას წარმოადგენდა. დასტურლამალი აცხადებს, რომ ზემოქართლში მღებართუხუცესად ერთი კაცი ალიდან, ერთი ცხინვალიდან და ერთი გორიდან უნდა იყოს. ქალაქის მღებართუხუცესად იყვნენ ორი წინწყაროელნი და ორი თბილისელნი. მღებართუხუცესები დადგებოდნენ რიგით და სამღებროებს უწევდნენ მომსახურებას. ამგვარად, მომსახურება შეუწყვეტელი იყო, მაგრამ შემადგენლობა კი ცვა-

¹ დასტურლამალი მეფისა ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პ. უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886. გვ. 6.

² იქვე, გვ. 125.

ლებადი. არავეითარი სხვა ცნობა სამღებროების და მათი შემოსავლის შესახებ ჩვენ ამ დროისათვის არ მოგვეპოვება. უდავოა, რომ ამ მონაცემების მიხედვით ჩვენ საქმე გვაქვს დედოფლის ფისკალურ მონოპოლიასთან და, მაშასადამე, გადასახადთან, სახელდობრ არაპირდაპირ გადასახადთან; მაგრამ ეს საქმარისი როდია; მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმის ცოდნაც, თუ რა სახის მონოპოლიასთან გვაქვს საქმე, რა წესით ხდება სამღებროების ექსპლოატაცია, რა ხასიათისა და რა მოცულობის იყო სამღებრო შემოსავალი. ამაზე პასუხს ჯერჯერობით ვერ ვღებულობთ.

დასტურლამალის იმ მუხლში, რომელსაც ჰქვია „ყასაბხანის იჯარისათვის“¹ ჩანს, რომ გასაყიდად დაკლულ საქონელზე აიღებოდა გადასახადი. გადასახადი აიღებოდა ნატურით, სახელდობრ ქონით, მაგრამ ამის განაკვეთები არა ჩანს. ამ გადასახადს ემატებოდა დაკლული საქონლის ტყავიც, ყასაბხანის შემოსავალი იჯარით იყო გაცემული და შემოსავალი შეადგენდა 3500 ლიტრა ქონს. ტყავი იჯარადარს უნდა მიეყრდა დაბალისათვის. ამ ოპერაციაში ადგილი აქვს ნატურალური გადასახადის სახით მიღებული ტყავის გაყიდვას. იჯარადარი აიღებდა დაბალისაგან ძროხის ტყავზე ორ შაურს, საქონელზე—შაურს, თიმენჯზე, შეშაზე, თხის ტყავზე—თითო ფულს², დაბალხანის შემოსავალიც იჯარით იყო გაცემული და შეადგენდა ხან 28 თუმანს, ხან მეტსა და ხან ნაკლებს. ორივე იჯარა მტკიცე კავშირშია ერთმანეთთან, მეორე პირველის გაგრძელებაა, ორივე ერთი კაცის ხელშია.

დასტურლამალის ცნობით, გორის ყასაბხანაშიც იგივე ტარიფი არსებობდა. გორის ყასაბხანის შემოსავალი ორ-სამ თუმანს შეადგენდა.

ამ დროს ქართლში, ისე როგორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში, ჩვენ შინაგანი საბაჟოები გვექონდა და ბაჟიც შინაგანი იყო; ჩვენ ახლა გვექნება საუბარი იმ გადასახადზე, რომელიც ბაჟის სახელწოდებით აიღებოდა შინაგან საბაჟოებში. მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ბაჟი ხშირად ეწოდებოდა სხვაგვარ გადასახდელებსაც (მისაგებელს), რომელზედაც ცალკე გვექნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბაჟის აღება არ წარმოადგენდა მეფის პრივილეგიას მთელ ქართლში; ასეთი გადასახადის აღების უფლება მას ჰქონდა მხოლოდ საკუთარ მამულში. ყველა მემამულე იღებდა ასეთ შემოსავალს თავის მამულში, იგი დამოუკიდებლად აწესებდა ბაჟს და საბაჟო შემოსავალიც მას ეკუთვნოდა. ამრიგად, ბაჟი ეკუთვნოდა იმ ფეოდალს, რომლის ტერიტორიაზე იგი აიღებოდა. ამ შრომაში ლაპარაკია მხოლოდ იმ ბაჟზე, რომელიც შემოდიოდა მეფის სასარგებლოდ და რომელიც შეადგენდა ასეთი გადასახადის უდიდეს ნაწილს ქართლში, თუნდაც იმიტომ, რომ ქ. თბილისი, ყველაზე დიდი შემოსავლის ადგილი, მეფის განკარგულებაში იმყოფებოდა.

¹ დასტურლამალი, გვ. 92.

² იქვე, გვ. 92, 24.

ბაჟი დაწესებული იყო როგორც უცხოეთიდან შემოტანილ, ისე შინაგაბნი წარმოშობის საქონელზედაც. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბაჟთან თანამედროვე ვაგებით (таможенный налог), მეორე შემთხვევაში კი—აქციზთან. დაბეგრული საქონლის სია საკმაოდ ვრცელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, სინამდვილეში ეს სია უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვგვონია, რომ ეს გადასახადი ეხებოდა ბაზარზე მოტანილი საქონლის უდიდეს ნაწილს, რომ დასაბეგრ საქონელთა სია, მოცემული დასტურლამალში, ეხება მხოლოდ მთავარ საგნებს, რომლისდა გვარად აიღებოდა ბაჟი სხვა საგნებზედაც; ჩვენამდე მოღწეული სიის მიხედვით კი, შეიძლება ითქვას, რომ იბეგრებოდა ყოველგვარი საქონელი, რომელიც ლეზულობდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მონაწილეობას მაშინდელ საკმაოდ სუსტ საქონელთბრუნვაში.

ბაჟის აღებას საქართველოში, ისე როგორც სხვა ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, საფუძვლად ედვა ანაზღაურება იმ სამსახურისა, რომელსაც ვითომ ფეოდალი უწევდა ვაჭარს. ფაქტიურად საქმე გვაქვს წმინდა ფისკალურ ინტერესებთან და წმინდა სახის გადასახადთან.

ბაჟი იყო ორი სახისა—შემოზიდვითი და გაზიდვითი. პირველი აიღებოდა შემოტანის დროს, მეორე კი—საქონლის გატანის დროს. სატრანზიტო ბაჟის ცნება არ არსებობდა XVIII საუკ. ქართლში, რადგანაც ყოველი საქონელი, რომელიც შემოტანილი და შემდეგ ისევ გატანილი იქნებოდა, დაიბეგრებოდა როგორც შემოტანის, ისე გატანის დროსაც.

აღსანიშნავია, რომ ბაჟი აიღებოდა იმდენჯერ, რამდენ საბაჟოსაც გაივლიდა საქონელი, ე. ი. დაბეგვრა იყო მრავალჯისი; ეს გარემოება აძვირებდა საქონელს, და ამიტომაც ვაჭარი იძულებული იყო ეძებნა მოკლე გზა მყიდველთან, ე. ი. გამყიდველი ცდილობდა გაეელო საბაჟოების რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა საკითხი საბაჟო ტარიფის შესახებ, ე. ი. განაკვეთების იმ ერთობლიობის შესახებ, რომელიც არსებობდა მაშინდელ ქართლში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ტარიფი უცხოეთის საქონელზე ავტონომიური იყო, ე. ი. ცალმხრივად დადგენილი, და არა. საკონვენციო, ე. ი. დადგენილი ხელშეკრულების საფუძველზე.

ბაჟი ამ პერიოდში იყო ორი სახისა—სპეციფიკური და ფასეულობითი (ad valorem). სპეციფიკური ბაჟი აიღებოდა გარეგანი ნიშნების მიხედვით. ამ შემთხვევაში მასშტაბად აღებული იყო ან წონა, ან სიგრძე, ან მოცულობა, ან ცალთა რაოდენობა, ე. ი. ყველა გარეგანი ნიშანი, რომლებსაც იცნობს სპეციფიკური ბაჟის პრაქტიკა. დასაბეგრავი საქონლის მოცულობა, თავის მხრით, განიზომებოდა ან ურმით, ან საპალნით, მაგრამ საპალნეშიაც იყო განსხვავება: არჩევდნენ ცხენის საპალნესა და აქლემის საპალნეს. განაკვეთი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რით იქნებოდა საქონელი მოტანილი: ურმით, აქლემისა თუ ცხენის საპალნით. ფასეულობითი ბაჟი აიღებოდა როგორც საქონლის ფასის განსაზღვრული ნაწილი. თითქმის ყველა ბაჟი სპეცი-

ფიკური იყო, ფასეულობითი ბაჟი გამონაკლისს შეადგენდა, იგი აიღებოდა მხოლოდ ფარჩაზე, ე. ი. ფართელულზე.

სპეციფიკური ბაჟის არსებობის დროს საქიროა მრავალი განაკვეთების დაწესება, რამდენადაც ანგარიში უნდა გაეწიოს მრავალ სხვადასხვა ნიშანს, მაგრამ ასეთი ტარიფის არსებობის დროს საბაჟო შემოსავალი არ არის დამოკიდებული ფასების მერყეობაზე—სპეციფიკურის ბაჟი არ უწევს ანგარიშს საქონლის ფასს. ფასეულობითი ბაჟის არსებობის დროს შეიძლება იყოს ერთი განაკვეთი სხვადასხვა საქონლისათვის. ფასეულობითი ბაჟი უწევს ანგარიშს საქონლის ფასს, რადგანაც იგი აიღება როგორც ფასის განსაზღვრული ნაწილი; შემოსავალი ასეთი ბაჟიდან დამოკიდებულია ფასების მერყეობაზე, მაგრამ საქონლის ფასის დადგენა ძნელი და სადავო საქმეა. ასაღები თანხის გამონაგარიშება ძნელი საქმე იყო. მაშინდელ ქართლში ორივე სახის ბაჟი არსებობდა, მაგრამ უპირატესობა ჰქონდა სპეციფიკურ ბაჟს; ალბათ რთული სპეციფიკური ტარიფის დაწესება მაშინდელი საფინანსო ტექნიკის პირობებში უფრო ადვილ საქმედ იყო მიჩნეული, ვიდრე ფასის განსაზღვრა ბაჟის აღების დროს, განსაკუთრებით მონეტის გაფუჭების პირობებში.

საბაჟო განაკვეთი არ უწევდა ანგარიშს არც მყიდველის, არც გამყიდველის გადახდის უნარიანობას. მაგრამ ერთი რამ მაინც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მაშინდელ საბაჟო პოლიტიკაში. კანონმდებელი ანგარიშს უწევდა ღარიბ კაცს. დასტურლამალში წერია: „ბანბის საპალნე, აქლემს ჰკიდია თუ ულაყსა, საპალნეზედ ორი აბასი არის; თუ ღარიბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მუშრიბასა არის“, ¹ ე. ი. ღარიბ კაცს უნდა გაეღო მხოლოდ ერთი შაური მსახურისათვის. მართალია, ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან მცირე გამონაკლისთან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ეს გარემოება, რამდენადაც ასეთი შემთხვევა მეტად იშვიათია საბაჟო პოლიტიკაში.

როგორი ხასიათი ჰქონდა უცხოეთიდან მოტანილი საქონლის ბაჟებს—ფისკალური თუ მფარველობითი? ბაჟებს ფისკალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ უკვე ამ პერიოდში ჩვენ ვპოულობთ მფარველობითი ბაჟების ჩანსახებსაც. ასეთ დასკვნამდე მივყავართ ჩვენ მაშინდელი ტარიფის შესწავლას. თავრიზის ფარჩაზე აიღებოდა თუმანზე 10 შაური, ე. ი. 5%, ურდრავის ფარჩაზე საპალნეზე 1 აბაზი, ურდრავის აბრეშუმზე საპალნეზე 9 მინალთუნი: „ჩვენის მოქალაქის აბრეშუმისა და ფარჩის საპალნეზედ სამ-სამი აბასი მუშრიბინა აიღების, რამდენიც საპალნე იქმნების“ ². ნათელია, რომ სამამულო წარმოშობის ქსოვილები სახელმწიფო მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; საქართველოში ნაწარმოები ფარჩა-აბრეშუმი ფაქტიურად განთავისუფლებული იყო ბაჟისაგან, რამდენადაც გადასახდელი იყო მხოლოდ „მუშრიბინა“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საბაჟო პოლიტიკა გამომდინარეობდა ვახტანგ VI-ის მისწრაფებიდან აღედგინა და განეევითარებინა აბრეშუმის და ბამბის კულტურა საქართველოში. სახალხო მეურნეობის სხვა დარგები ან არ მოითხოვდნენ მფარ-

¹ დასტურლამალი, გვ. 100.

² იქვე, 101.

ველობას, რადგანაც იმყოფებოდა განვითარების ისეთ საფეხურზე, რომელიც ზედმეტად ქმნიდა ასეთ მთარველობას (მეღვინეობა, ენდრო) ანდა არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა ახლო მომავალში. ამიტომ ყველა სხვა ბაჟს ფისკალური ხასიათი ჰქონდა.

ამ პერიოდში ჩვენ ვხვდებით დიფერენციური ბაჟების ჩანასახსაც-რუსეთთან დაახლოება, მასთან ფართო და მტკიცე სავაჭრო ურთიერთობის დამყარება გამომდინარეობდა მეფე თეიმურაზი II-ის მთელი პოლიტიკიდან. 1750 წ. ოსეთის გზის გახსნამ გამოაცოცხლა ქართლ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა. ამ სავაჭრო ურთიერთობის გაადვილების გაფართოების და განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება იყო დიფერენციური ტარიფის შემოღება იმ საქონელზე, რომელიც მიდიოდა რუსეთში და მოდიოდა რუსეთიდან: ასეთ საქონელზე საბაჟო ტარიფი შემცირებული იყო და შეადგენდა თუმანზე 25 კაპ., მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, თუმანზე 50 კაპ. იყო. მაგრამ უკვე 1771 წ. ბაჟი ისევ გადიდებულ იქნა ჩვეულებრივ განაკვეთამდე. ამას არ ჰქონდა რეპრესიული ხასიათი, იგი ქვეყნის საფინანსო მდგომარეობით იყო გამოწვეული. შემდეგში სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან ისევ მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

თბილისში თავრიზის ფარჩა იბეგრებოდა ფასეულობითი ბაჟით და ურდრავის კი—სპეციფიკური ბაჟით. გორში ორივე იბეგრებოდა სპეციფიკური ბაჟით; მაგრამ ბაჟი ურდრავის ფარჩაზე უფრო დაბალი იყო, ვიდრე თავრიზის ფარჩაზე. ამრიგად, კანონმდებელი არჩევდა ფარჩას მოტანილს თავრიზიდან და ფარჩას მოტანილს ურდრავიდან.

ბაჟი, როგორც ვთქვით, საქონლის გაზიდვაზედაც იყო, მაგრამ ამ პერიოდისათვის საკმაო ცნობები მასზე არ მოგვეპოვება¹.

დასტურლამალის მიხედვით საბაჟო ტარიფი XVIII საუკ. იმ პერიოდში, რომელსაც ახლა ვიხილავთ, შემდეგნაირი იყო. (ტაბულა ჩვენ მიერ არის შედგენილი მონაცემების საფუძველზე):

ს ა ქ ო ნ ლ ი ს დასახელება	დაბეგვრის ერთეული	განაკვეთი
თ ბ ი ლ ი ს ი		
თავრიზის ფარჩა	თუმანი	10 შაური
ურდრავის ფარჩა	საპალნე	11 აბაზი
ჩვენი მოქალაქის ფარჩა	საპალნე	3 აბაზი
აბრეშუმი	ბათმანი	1 აბაზი
აბრეშუმი	საპ. აქლემით	9 მინალთუნი
ჩვენი მოქალაქის აბრეშუმი	საპ. აქლემით	3 აბაზი

¹ იხ. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები მე-18 საუკუნეში (1762—1801 წწ.), კვლ.-მიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1954.

ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ღ ა ბ ე გ ვ რ ი ს ო რ თ ე უ ლ ი	გ ა ნ ა კ ე ვ ი
ბამბა	საპალნე	2 აბაზი
ენდრო	საპ. აქლემზე	2 აბაზი
ენდრო	საპ. ცენზე	1 აბაზი
ერბო	საპ. აქლემზე	2 აბაზი
თაფლი	საპ. ცენზე	1 აბაზი
თაფლი	აქლემზე	2 აბაზი
წინდა	ცენზე	1 აბაზი
წინდა	საპ. აქლემზე	10 შაური
მატყლი	საპ. ცენზე	5 შაური
მატყლი	საპ. აქლემზე	2 აბაზი
ბრინჯი	საპ. ცენზე	1 აბაზი
ბრინჯი	აქლემზე	3 შაური
რკინა	ცენზე	2 შაური
რკინა	საპ. აქლემზე	3 შაური
შაბი	საპ. ცენზე	2 შაური
შაბი	აქლემზე	3 შაური
მარილი	ცენზე	2 შაური
ქიშიში	საპალნე	1 შაური
ქიშიში	საპ. აქლემზე	1— $\frac{1}{2}$ ლიტრა
თამბაქო	საპ. აქლემზე	1 ლიტრა
თამბაქო	საპ. ცენზე	1— $\frac{1}{3}$ ლიტრა
ზეთი	საპ. ცენზე	1 ლიტრა
ორაგული	საპალნე	1 აბაზი და $\frac{1}{2}$ შაური
გელაქნური (თევზი)	საპალნე	2 თევზი
ზმელი თევზი	საპალნე	12 თევზი
ნესვი	ურემი	18 შაური
სახამთრო	საპალნე	4 ნესვი
ტყე ურუმიდან	—	—
თუ მთაზე ჩვენი ქართველი ან თათარი აიყვანს და მოჰყიდის ვისმე	ტყვისთავი	3 მინალთური 1 აბაზი მსყიდველს
იმერეთში ნაყიდი ტყე	ტყვისთავი	6 მინალთური და 2 აბაზი
იმერეთიდან მოყვანილი და ქართლში გაყიდული ტყე	ტყვისთავი	3 მინალთ. მყიდველს 1 მინალთური მყიდველის და 3 მინალთ. გამყიდველს
ტივით მოტანილი ხე	ტივი	1 საუკეთესო ხე

ზ ე დ ნ ა რ თ ი მ ი ნ ბ ა შ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ

აბრეშუმი	საპალნე	შაური
ფარჩა	„—“	$\frac{1}{2}$ შაური
ბამბა	„—“	ბისტი
საყათი	—	2 ფული
თამბაქო	—	$\frac{1}{3}$ შაური
მარილი	საპალნე	1 ფული
თაფლი	—	2 ფული
მატყლი	—	4 ფული
თევზი	საპალნე	1 ბისტი
ცხვარი გასაყიდი	100	2 შაური
ცხვარი	ჯოჯი დიდი	1 ცხვარი
ცხვარი	ჯოჯი პატარა	ბატკანი

ს ა ქ ი მ ლ ი ს დასახელება	დაბეგვრის ერთეული	განაკვეთი
----------------------------	-------------------	-----------

ზ ე დ ნ ა რ თ ე მ ო უ რ ა ვ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ

აბრეშუმი ურუმის	ცხენზე	6 შაური
აბრეშუმი ურუმის	აქლემზე	3 აბაზი
ფარჩა	საპალნე	3 აბაზი
საყათი	საპალნე	13 შაური
ბამბა	საპ. ცხენზე	2 შაური
ბამბა	საპ. აქლემზე	13 შაური
თაფლი	საპ. ცხენზე	1 შაური
თაფლი	საპ. აქლემზე	2 შაური
ერბო	საპ. ცხენზე	1 შაური
ერბო	საპ. აქლემზე	2 შაური
მატყლი	საპ. ცხენზე	1 შაური
მატყლი	საპ. აქლემზე	2 შაური
ენდრო	საპ. ცხენზე	1 შაური
ენდრო	საპ. აქლემზე	2 შაური
წინდა	საპ. ცხენზე	1 შაური
წინდა	საპ. აქლემზე	2 შაური
ოკინა	საპალნე	1 შაური
ბრინჯი	საპალნე	1 შაური
შაბი	საპალნე	1 შაური
გ ო რ ი		
ფარჩა თავრიზის	საპალნე	3 მინალთუნი
ფარჩა ურდრავის	"	2 მინალთუნი
ენდრო	"	1 აბაზი
ბრინჯი	"	5 შაური
თევზი, ხიზილალა, ქონი, ერბო, მატყლი, ლახლლა, ბალანი	"	აბაზი

ბაჟი აიღებოდა როგორც ფულით, ისე ნატურითაც. უდიდეს ნაწილს შეადგენდა ფულადი ბაჟები. ბაჟი ნატურით აიღებოდა მხოლოდ ქიშიმიშხე, თამბაქოზე, თევზზე, ნესვზე, საზამთროზე. ამრიგად, ბაჟები ფულადი შემოსავლის დიდ წყაროს შეადგენდა.

როგორ იყო ორგანიზებული ბაჟის აღება. სამეფოში უკვე ამ დროს არსებობდა რამდენიმე საბაჟო: თბილისში, გორში, სურამში, ცხინვალში, ალში (უნდა გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია მეფისა და დედოფლის საბაჟოებზე). თბილისში საბაჟო მოწყობილი იყო ექვს კართან, ე. ი. ქალაქის ექვს შესასვლელთან.

საბაჟოს ემსახურებოდა სპეციალური მოხელეები—მებაჟეები.

საბაჟო შემოსავალი იჯარით იყო გაცემული. იჯარით გაიცემოდა ან საბაჟო პუნქტი მთლიანად, ან განსაზღვრული ბაჟი ყველა პუნქტში. ასე, მაგალითად, დასტურლამალში კვითხულობთ ტყვის ბაჟის შესახებ: „ქალაქისა, გორისა, ალისა თუ ვინა სხუაგან ყველას მებაჟე ერთნი იქნების. ცალცალკე ვერავისი დადგება ჯელმწიფის იჯარადრის მეტი“.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ამ დროისათვის ცნობები საბაჟო შემოსავლის შესახებ. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, XVIII საუკუნის ბოლოს ეხება¹.

არსებობდა ზედნართიც ბაჟებზე მოურავისა და მოხელეების სასარგებლოდ. ზედნართი მოურავისათვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე მიწაშისათვის. ზედნართი პირველსათვის მთლიანად ფულადი იყო, ხოლო მეორისათვის მხოლოდ ცხვრის ბაჟი იყო ნატურალური.

ზედნართის გვერდით ანარიცხებიც არსებობდა მოხელეების სასარგებლოდ, მაგალითად, სახლთუხუცესისა და მდივანბეგების. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის საბუთი, რომლის ძალით დაწესდა ანარიცხი ბაჟიდან კათოლიკოსის და სვეტიცხოველის სასარგებლოდ და რომელიც ხელმოწერილია მეფე თეიმურაზის მიერ 1750 წ. „ოდეს წყალობა მყო ღმერთმან ჩვენსა ზედან და ორისავ ტახტისა და სამეფოს გაერთება ინება, ამის წინათ არას დროსა და ჟამს არა ქნილიყო, რომ ოსეთზედ ქარავნის გზა ყოფილიყო და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოფდაგარი მოსულიყო და ამ გზიდან ქალაქში სავაჭრო მოეტანათ, და ან ღმერთმან ჩვენ გვიმრავლ-წყალობა და ამ ჟამად ოსეთის გზით ქარავანმან იწყო სიარული და რადგან ღმერთმან ჩვენს მეფობაში უამრავი წყალობა მიიღო ჩვენზედ, ჩვენც ვიგულეთ და ვიგულმოდგინეთ და შემოვწირეთ: რაც ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარავანი ქალაქს მოვიდეს, ამ ოსეთის გზიდან მოსულის ვაჭრისაგან, რაც ბაჟი აიღებოდეს, ორს წილს ჩვენი მებაჟე ჩვენთვის აიღებდეს, და მესამედს კათოლიკოზ-პატრიარქის მებაჟეს მისცემდეს და პატრიარქს მთავრად ვაჭარნი ამ გზიდან მოსულს მესამედს ბაჟს, რომ ეს მესამედი ბაჟი სვეტიცხოველის ჩვენ მივართვით და შევწირეთ... გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ქალაქის მოურაო და მელიქ-მამისახლისო და მებაჟენო, ვინ გინდა ვინ ხართ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ—ნურავინ მკადრე იქნებით შეწირულობისა ამისა შლად და გამოწირვად“.

მეორე საბუთი გვაუწყებს, რომ ძველი დროიდან საკათალიკოსო ყმები და გლეხები იხდიდნენ ბაჟის ნახევარს თბილისში და ეს ბაჟი ეძლეოდა კათალიკოსს. 1750 წლიდან მათზე მთელი ბაჟი აიღებოდა. ეს ბაჟი მთლიანად ეძლეოდა კათალიკოსს².

ორივე გუჯარი დამტკიცებული იყო მეფე ერეკლეს მიერ განაწილებით. როგორც ჩანს, ეკლესია ძლიერ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ბაჟების მოქმედება საქართველოშიც ისეთივე იყო, როგორც ყველგან, იგი ნაწილდებოდა უთანასწოროდ, მას რეგრესული ხასიათიც ჰქონდა,—მეძღების ზრდასთან ერთად მცირდებოდა გადასახადის ხვედრი წონა შემოსავალში.

¹ იხ. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები მე-18 საუკუნეში (1762—1801 წწ.). ვკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1954.

² АКАК, т. II, გვ. 1134—1135.

კახეთის ბაჟების შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ასეთი არსებობდა და ის გაცემული იყო იჯარით; განსაკუთრებული ლაპარაკია ყაზახის მიერ მოტანილ საქონლის შესახებ. ქვეითი ყაზახის მიერ მოტანილი საქონელი თავისუფალი იყო ბაჟისაგან, ხოლო ცხენოსნის მიერ მოტანილი საქონელი იბეგრებოდა; ბატონის სასარგებლოდ აიღებოდა ათისთავი, ე. ი. 10%¹; რომელიც შემდეგში ნაწილდებოდა ბატონსა, მოურავსა და ნაცვალს შორის².

2. პირდაპირი ბალანსაღები

პირველ რიგში აღსანიშნავია სამხედრო ბეგარა-ლაშქრობა. სამხედრო ბეგარა ვრცელდებოდა იმ გლეხებზე, აზნაურებზე, თავადებზე, ხელოსნებსა და ვაჭრებზე, რომელთაც იარაღის ტარება შეეძლოთ, და არა მხოლოდ სახასო მამულზე, არამედ მთელ სახელმწიფოზე. ლაშქრობაში მონაწილეს საკუთარი იარაღი უნდა ჰქონოდა. შეიძლებოდა თავის მაგივრად სხვისი, დაქირავებული პირის ვაჯახენა ჯარში.

სამხედრო ბეგარა საბოლოოდ ნატურალური გოდანსახადი იყო. სამხედრო ბეგარისაგან არავინ არ თავისუფლდებოდა.

ნადირობა არსებითად სამხედრო ვარჯიშს წარმოადგენდა; მას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხი ფართო მონაწილეობას ღებულობდა ნადირობის მოწყობაში. მთელ რიგ სოფლებს ევალებოდა შევარდენისა და ქორის ბუდეების შენახვა. დასტურლამალში მოცემულია შევარდენის ბუდეების შენახვის წესები: „ეს ბუდეები, რომელიც რომლის სოფლისათვის მიგვიბარებია, იმათ ასრე შეინახონ, რომ კარგ გჭარად თქალი დაიჭირონ, რივისად კაცს დააყენებდნენ. რა ერთიც ალაგი ამ ოთარმა ბუდის გარშემო გაჩვენოსთ და გითხრასთ იმდენი ალაგი ყორულად შეინახეთ, იქ ნურავინ გაივლის, ნურცხეს მოსჭრიან. სადამდის ჩვენი ბაზიერი არ მივიდეს, ნურცავინ ბუდეში ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას ნახვენ; შორიდან თვალი ეჭიროს. რახან ჩვენი ბაზიერი მაგიდეს, იმან ანახვენოს; რაც იყოს, იმან ამოიყვანოს. ვინც უჩვენ-ბაზიეროდ ნახავს და ჩაეკიდების შეიდეულად ვაზღვევინებთ. ეს ბუდე ვისაც აბარია და დაგვიწერია, ესენი კარგად გაუფრთხილდნენ და დააყორულონ, რომ შევარდენმა იბუდოს“³. სოფელი პასუხისმგებელია იმისათვის; იბუდებს თუ არ იბუდებს შევარდენი. კანონმდებლის აზრით, შევარდენმა ყოველ მიზნეს გარეშე უნდა იბუდოს. იგი წერს: „თორემ შევარდენი თუ არ იბუდებს, რამდენიც ბუდე არის, ბუდის-თავს ყოველ წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს შავარდენს ვასყიდვინებთ; იცოდენ, არას გზით არ ვაპატიებთ“³. ზოგ შემთხვევაში შეიძლებოდა შევარდენის შეცვლა მისი ფასით. დასტურლამალი იძლევა სიას შევარდენის ბუდეებისა და იმ სოფლებისას, რომელთაც უნდა შეენახათ შევარდენის ბუდეები (სულ 12 ბუდეა), და

¹ ექვ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბილისი, 1910 წ., № 160, მუხ. 4, 5, 20, 11.

² იქვე, გვ. 97.

³ იქვე, გვ. 97.

აგრეთვე სიას იმ ქორის ბუდეებისას, რომლებიც იმყოფებოდა სომხეთში (სულ 14 ბუდეა, იხ. გვ. 87). ქორის ბუდეების შენახვის წესები არ არის მოცემული დასტურლამაში, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესები ისეთივეა, როგორც შევარდნის ბუდეების შენახვისა. ნადირობის დროსაც გლეხები ღებულობდნენ მონაწილეობას, მაგალითად, ველის გარშემორტყმავი. ზემონათქვამიდან ნათლად ჩანს, თუ 1) რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას, 2) როგორ დაწერილებით იყო მოწესრიგებული ეს საკითხი კანონმდებლობაში და 3) რამდენად მძიმე იყო ბეგარის ეს სახეც. სანადირო ბეგარისაგან არაფერ არ თავისუფლდებოდა.

ახლა შევჩერდეთ იმ გადასახადზე, რომელსაც მალი ეწოდებოდა და რომელიც შემოღებული იყო მონღოლთა დროიდან (XIII საუკ.); მისი დანიშნულება იყო ხარკის გაღება მონღოლებისათვის. მალი კვლავ შემოღებულ იყო XV საუკუნეში ალექსანდრე მეფის მიერ (1412—1443) როგორც გადასახადი, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა—თათრების მიერ დაზარეული ქვეყნის აღდგენა. ალექსანდრემ იგი ისევ გააუქმა, მაგრამ შემდეგ კვლავ იქნა შემოღებული როგორც მეფის შემოსავლის მუდმივი წყარო. XVIII საუკუნეში მალი წარმოადგენს სულადობრივ გადასახადს. გადასახადის გამომღები იყო როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობა. მოქალაქენი, ვაჭრები და ხელოსნები ამ გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ თბილისსა და გორში, პრივილეგირებული მოსახლეობა გამორიცხული იყო გადამხდელთა რიცხვიდან. ამრიგად, მალის გადამხდელნი იყვნენ გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები. ამ გადასახადის გამომღებნი იყვნენ მხოლოდ შამაკელები და ისიც 18 წლიდან. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები გადასახადის განაკვეთების შესახებ.

მალით დაბეგვრის დროს განირჩეოდა მამულიანი და უმამულო. ასე, მაგალ., კანონმდებელი შულავრის შესახებ წერს, რომ ბოგანო ანუ უმამულო, იხდის 12 შაურს, ე. ი. ნახევარსო. ამრიგად, ბოგანოც იხდიდა მალს, ამიტომ არ არის მართალი ი. ლორთქიფანიძე, როდესაც იგი წერს, რომ „ბოგანო საზოგადოდ მალს არ იხდიდა“¹. ჩვენი დაკვირვებით, საერთოდ ბოგანო, როგორც წესი, იხდიდა ფულად გადასახდელებს და ნატურალურს კი არა.

მალის გადამხდელისათვის არსებობდა არა მხოლოდ ქვედა ასაკობრივი საზღვარი, არამედ ზედა საზღვარიც. გადამხდელი თავისუფალი იყო მალის გადასახადისაგან მას შემდეგ, რაც მისი შვილი დაქორწინდებოდა და დაიწყებდა მალის გაღებას. დასტურლამალის იმ მუხლში, რომელსაც ჰქვია „ახალის მოსულის კაცისათვის“², წერია: „ერთი კაცი რომ დაბერებული იყოს, და იმისი ორი და სამი შვილი მალს იძლევიდეს, იმ ბერს კაცს დაეთარწონ ნუ ჩაადებენ, მალს ნულარას ჰსთხოვენ“ (გვ. 11). შემდეგ „გორის გამოსაღებისა და რიგის ღებულებისათვის“ აღნიშნავს: „ამათვე აძეს მალი თავზედ ახალ ნაქორწილეზედ სამი აბაზი; ერთს წელიწადს უკან თავზედ მუდამ ექვ-

¹ ი. ლორთქიფანიძე, „ქვემო ქართლი, თბილისი, 1935, გვ. 86.

² იქვე, გვ. 10.

სი აბაზი ეთხოვების, სანამდის მამას შვილი დაუქორწილდების და მალს ძლევას დაიწყებს, მამას აღარ ეთხოვების“ (გვ. 19—20).

ამრიგად, დაბერებული კაცი იხდიდა მალს, თუ მას არ ჰყავდა მალის გადამხდელი შვილი; მალის გადახდა მემკვიდრეობით გადადიოდა და შეუწყვეტელი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ასაკობრივი ზედა საზღვარი არსებობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ჰყავდა მალის გადამხდელი შვილები და რომ ეს ზედა საზღვარი არ იყო მტკიცედ შემოფარგლული, არ იყო დავშირებული განსაზღვრულ წლოვანებასთან.

მაშასადამე, მალის გაღების საერთო სურათი ასეთი უნდა ყოფილიყო: მალის გაღება იწყებოდა დაქორწინებიდან. დაქორწინებული პირველ წელს იხდიდა როგორც არადაქორწინებული, ხოლო შემდეგ ის იხდიდა გადიდებულ ვანაკვეთს. ადამიანს, რომელსაც მალის გადამხდელი შვილი გაუჩნდებოდა, თავისუფლდებოდა მალის გაღებისაგან.

მალის გადახდაში, როგორც ჩანს, ზოგიერთი შეღავათი არსებობდა. დაქორწინებული კაცი პირველი წლის განმავლობაში იხდიდა გადასახადს როგორც უცოლო; დაბერებული კაცი, თუ მას მალის გადამხდელი შვილი ჰყავდა, თავისუფლდებოდა მალის გაღებისაგან: ბოგანო მხოლოდ ვანაკვეთის ნახევარს იხდიდა.

საფინანსო პრაქტიკა იცნობდა მალის გაღებისაგან სრულ განთავისუფლებასაც, როგორც მეფის უდიდეს წყალობას.

დაბეგვრა ხდებოდა გადამხდელთა სპეციალური აღრიცხვისა და სათანადო დავთრების შედგენის საფუძველზე. მალის აღება სპეციალური მოხელის, მეშალის ხელში იყო.

კოდის პური უკვე ნატურალურ გადასახადს წარმოადგენდა. მისი გადამხდელი მხოლოდ სოფლის მოსახლეობა იყო. კოდის პურის გამომღებნი იყვნენ მამულიანი გლეხები, ბოგანო კი, როგორც უმამულო, განთავისუფლებული იყო მისი გამოღებისაგან. თითო კომლს უნდა გაეღო $4\frac{1}{2}$ კოდი, აქედან ორი—ათლიტრიანი კოდი პური (ხორბალი), და ორნახევარი—რვალიტრიანი კოდი ქერი, სულ 40 ლიტრა. კოდის პურს ემატებოდა ერთი ქათამიც და, ზოგ შემთხვევაში, ერთი ძარი ბზეც. ამრიგად, თითო კომლს უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის დაახლოებით 8,8 ფუთი ხორბალი და ქერი. გლეხი ვალდებული იყო ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის იმ ხარისხის საუკეთესო პური და ქერი, რომელიც მოდიოდა სოფელში. ამის შესახებ საინტერესო დარიგებას იძლეოდა დასტურლამალი: „ამბარდანმა ეს ქნას: რომელსაც სოფელში კი პური მოვა და ამ ალაგს გვარობს, იმ რიგის სოფლის კაცს კარგი პური და კარგი ქათამი გამოართვას; ნურც გლეხსა უზამს ძალასა, და ნურც ჩვენს სამსახურს წაახდენს. მეკოდისპურემ გლეხი კაცი უწინავე დაარიგოს, რომ ავს პურს არ დავიჯეროთქო, რომ გლეხი კაცი არ დასაჯონ, შეტყობინებული იქნების და როგორც ამათს ალაგში იქნების, იმ გჳარს პურს ჩაიტანს“¹.

¹ დასტურლამალი, გვ. 55.

კოდის პურის აღება ხდებოდა ხუთი თვის განმავლობაში—ივლისიდან—ნოემბრამდე. კანონმდებელი მოითხოვდა როგორც გადამხდელთა, ისე შემოსული პურის ზუსტ აღრიცხვას. მოხელეებს დეკემბერში უნდა ჩაებარებინათ მეფისათვის ანგარიში კოდის პურის აღების კამპანიის ჩატარების შესახებ. დავალების შეუსრულებლობას მოჰყვებოდა რეპრესიები როგორც მოხელის, ისე გლეხის მიმართაც. დასტურლამალში წერია: „თუ ამათმა მეკოდისპურემ, ამ ხუთს თუშში ეს კოდის პური მის ალაგს არ მიიბარეს, და ქრისტეს შობის თვეში ანგარიში არ მოგტყვეს მეკოდისპურემ იმ სახელობედ ჭელი აიღოს და ორმოცი მარჩილიც მოგტართუას; თუ გლეხმა კაცმა არ დაუჯგროს, ჩვენ მოგტახსენოს, ჩვენ ვიციით და იმ კაცმან“¹. კოდის პური ყოველ გლეხს უნდა ჩაებარებინა ან გორში, ან თბილისში.

ზოგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გლეხის განთავისუფლებას კოდის პურის გამოღებისაგან. ამ განთავისუფლების საფუძვლები ნათლად არ ჩანს. მაგრამ დასტურლამალი ყოველთვის აღნიშნავს, თუ რამდენია ამა თუ იმ რაიონში ბოგანო, განთავისუფლებული და გამოძღვნი.

კოდის პური შემოსავლის უდიდესი წყარო იყო. დასტურლამალის მოყვანილი მუხლიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა სახელმწიფო კოდის პურს. ამ გადასახადის ნატურალური ხასიათი ქმნიდა მის აღებისას ბევრ სიძნელეებს, აქედან გამომდინარეობს ის დარიგებანი, რომელსაც იძლევა დასტურლამალი.

მეორე ფულადი გადასახადი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით XVIII საუკუნეში, არის საურთი. ეს გადასახადიც ძველი წარმოშობისა იყო. მეფე სვიმონის (1558—1600) ერთ-ერთ წერილში მოხსენებულია ეს გადასახადი და მას ეწოდება „სათათრო საური“, რაც მისი წარმოშობისა და დანიშნულების მაჩვენებელია². იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ეს გადასახადი საკომლო იყო. ამ გადასახადის აღებისას განირჩევა მამულიანი და უმამულო ბოგანო გლეხი. მამულიანი იხდიდა წლიურად 14 შაურს, ხოლო ბოგანო ორ შაურს. ქალაქის მოსახლეობა თავისუფალი იყო საურის გაღებისაგან. საურის გაწერა და აღება სპეციალური მოხელის—მესაურის ხელში იყო. საურს მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა; ის მიდიოდა ირანის შაჰის სასარგებლოდ, იგი ხარკს წარმოადგენდა. იშვიათი იყო განთავისუფლება საურის გაღებისაგან.

ბოლოს, შევჩერდეთ იმ გადასახადზე, რომელსაც „ბედნიერის ყუენის (ხელმწიფის) საფეშქაშო ტყვის ხარჯი“ ერქვა. ფორმალურად აქ საქმე გვაქვს ფეშქაშთან, ე. ი. ძღვენთან, რომელშიც შედიოდა ქალ-ვაჟიც, რომლებიც ვგზავნებოდა ირანის შაჰს. მაგრამ ეს ძღვენი სავალდებულო იყო და ფაქტიურად წარმოადგენდა გადასახადს, მიზნობრივ გადასახადს, რომლის დანიშნულება იყო ტყვეების შესყიდვა ირანის შაჰისათვის. ფართო მასებში ამ „ფეშქაშს“ სპარსული გადასახადი ერქვა. გადასახადი ფულადი იყო. იგი

¹ დასტურლამალი, გვ. 55.

² АКАК, ტ. I. № 8.

ერთადერთი გადასახადი იყო, რომელიც წარმოადგენდა არა საგანაკვეთო, არამედ საგანმანაწილებლო გადასახადს. ელს უნდა გაეღო ასი თუმანი; დასტურლამალში ფრიად ორიგინალურად არის ჩამოყალიბებული თბილისის მოხელეთა მოვალეობა: „ქალაქს საური და ტყვის ხარჯი არა ჰსძეს, მაგრამ რამდენსაც ბედნიერის კელმწიფის ფეშქაშს გაისტუმრებენ, ვინც ქალაქში სახლობან, ასი თუმანი ბატონს უნდა შემოაწიონ“ (გვ. 85); გორელებს უნდა გამოეღოთ 12 თუმანი; სომხეთის აზნაურიშვილებს უნდა გამოეღოთ ერთობრივ 18 თუმანი (გვ. 107—108). დასტურლამალი შემდეგ ჩამოთვლის ყველა იმ დასახელებულ ადგილს, რომელსაც უნდა გაეღო ეს სპარსული გადასახადი. ჩამოთვლილია 46 სოფელი, რომელსაც სულ უნდა გაეღო 78 თუმანი 5 მინალთუნი და ორი შაური. გადასახადის საერთო ჯამი შეადგენდა 308 თუმანსა და 2 შაურს.

ჩვენ არ ვიცით როგორ ნაწილდებოდა სპარსული გადასახადი „შეგდების“ შედეგად, მაგრამ შეიძლება დაახლოებით მაინც აღვადგინოთ სურათი. კანონმდებელი წინწყაროსათვის იძლევა არა მხოლოდ გადასახადის საერთო ჯამს, არამედ გადასახადის განაკვეთსაც. გადასახადი აიღებოდა კომლის მიხედვით, კომლზე იგი შეადგენდა სამ აბაზს მამულიანისათვის და ორ შაურს ბოჯანოსათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ადგილებშიც კომლზე დაახლოებით ასეთი ოდენობის გადასახადი მოდიოდა.

რამდენადაც ეს ჩანს დასტურლამალიდან, მახტას გამომღები იყო ელი, თათრები. ეს გამოსაღები ფულადი იყო.

მახტა მერყეობდა თაბუნების მიხედვით. დაბნეული ელის თაბუნებს უნდა გაეღოთ კომლზე ხუთი აბაზი, ინდოს ლანჩპარს უნდა გაეღო თაბუნების მიხედვით ხუთი ან ერთი აბაზი. დედოფლის დასტურლამალის მიხედვით ელს უნდა აეღო კომლზე 14 შაური. ამრიგად, მახტის განაკვეთი ცვალებადი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება მასალა იმისათვის, რომ ამ პერიოდის მახტაზე უფრო დაწვრილებით ვიმსჯელოთ.

მახტას გვერდით არსებობდა გადასახადი ალაჩუნი. ეს გადასახადი დაწესებული იყო კახეთის ან სხვა კუთხის ელისათვის, როდესაც იგი ქართლში გადმოდიოდა. გადასახადი იყო როგორც ფულადი, ისე ნატურალური. დაბეგვრის ობიექტი ალაჩუნი იყო და შეადგენდა ალაჩუნზე ერთ ფლურს და პირზე შეიდ ცხვარს. როგორც ჩანს, გადასახადი ძალიან მაღალი იყო, და ასეთი მაღალი განაკვეთი იყო იმის მაჩვენებელი, რომ კანონმდებელი ცდილობდა ელის გამოყენებას ფისკალური მიზნით.

ნატურალური გადასახადების რიგს უნდა მივაკუთნოთ ის ბეგარა და ის ნატურალური გამოსაღები, რომელსაც ზოგ შემთხვევაში არა სამეფო გლეხი გაიღებდა მეფის სასარგებლოდ (მაგ., გზების გაყვანა-შენახვა, მასპინძლობა).

ცალკე ადგილი უკავია გადასახადების დარგში ე. წ. აღსამწერლოს. ქართლის აღწერა წარმოებდა პერიოდულად. ამ აღწერას აწარმოებდა სპეციალური პირი. დასტურლამალის მე-15 მუხლი იძლევა აღწერის წესებს; სხვათა შორის, იქ მოცემულია ცნობები აღსამწერლო გამოსაღების შესახებ.

გამოსაღები აიღებოდა კომლის მიხედვით და შეადგენდა ერთ აბაზს, ხოლო ბოგანოსათვის ორ შაურს. იმ სოფელში, სადაც აღმწერლები იყვნენ ჩამდგარი, გადასახადი ორჯერ ნაკლები იყო: ორი შაური და შაური; მაგრამ, სამაგიეროდ, სოფელს უნდა შეენახა აღმწერლები. თბილისში, სადაც აღწერა, დასტურლამალის მიხედვით „შვიდ წელიწადში ერთხელ მოხდების“ (გვ. 86), აღსამწერლო შეადგენდა კომლზე ორ შაურს. სააღმწერლო წარმოადგენდა მიზნობრივ გადასახადს.

გადასახადს წარმოადგენდა გამოსაღები იმ პირებისა, რომელნიც მეფის სახასოში ცხოვრობდნენ, მაგრამ მეფის ყმები არ იყვნენ. მაგ., ებრაელების გამოსაღები სანთლით.

დასტურლამალი (გვ. 12) აცხადებს, რომ „უნდა შეინახოს ჯოგის აჯილდა ყოველს ზამთარს.—ბატონის იარაღით მიბარებულთა: კათალიკოსმა—1, მთავარ-ეპისკოპოსმა—1, მრევლმა—1, მანგლელმა—1, ქვათახევის წინამძღვარმა—1, ბოვენელმა—1, ქსნის ერისთავმა—1, სარდარმა—1, ამილახორმა—1, ზემო ციციშვილმა—1, სომჯითის მელიქმა—1, ჯავახის-შვილმა—1“.

როგორც ჩანს, მაღალი წოდებაც არ რჩებოდა ბეგარის გარეშე, რამდენადაც მას დაეკლებული ჰქონდა აჯილდის, ე. ი. კარგი ჯიშის მოსაშენებლად გაშვებული ცხენის მოვლა. ექვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ ამ ბეგარის გამღები ჩამოთვლილი პირების ყმები იყვნენ.

არ შევჩერდებით სხვა მაგალითებზე. ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო და, ცხადია, არ თამაშობდა დიდ როლს მეფის საფინანსო მეურნეობაში, ამით თავდება ამ პერიოდის გადასახადების სია.

გადავიდეთ ზოგიერთი საერთო ხასიათის შენიშვნაზე.

საგადასახადო სისტემაში მთავარი ადგილი უკავია, თუ არ ვილაპარაკებთ სამხედრო და სანადირო ბეგარაზე, ნატურალურ გადასახადს—კოდის პურსა და ფულად გადასახადებს: მალს, საურსა და ტყვის ხარჯს. სამივე სახის ფულადი გადასახადის წარმოშობის მიზეზია მტრის შემოსევა. საქართველოში მალი საბოლოოდ გადაიქცა მუდმივ გადასახადად, რომელიც იკრიბებოდა საერთო ხელმწიფის ხარჯების დასაფარავად, მაგრამ საური და ტყვის ხარჯი კი ამ პერიოდშიც აიღება ირანის შაჰის მისართმევად. გადასახადების უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავისი წარმოშობით უმაღლის საგარეო ურთიერთობას.

გადასახადების გადამხდელი იყო როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა. ისეთი გადასახადი, რომელსაც იხდიდა მხოლოდ ქალაქი, არ არსებობს. ასეთი მდგომარეობა შედეგია საქალაქო ცხოვრების სუსტი განვითარებისა ამ ხანაში. მაგრამ არსებობდა გადასახადები, რომლებიც აიღებოდა მხოლოდ სოფლად; ასეთი იყო კოდის პური, საური, ამ პერიოდში ჯერ კიდევ მახტა, ალაჩუნი. იმ გადასახადების რიგს, რომელიც აიღება როგორც ქალაქში, ისე სოფლადაც, ეკუთვნის მალი და ფაქტიურად ტყვის ხარჯი—სპარსული გადასახადი.

გადასახადების გამომღებია მთელი ქართლის და არა მხოლოდ სახასო მამულის დაბალი წოდება—გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები. მაღალი წოდება:

თავადი, აზნაური, სასულიერო წოდება და, როგორც წესი, საეკლესიო გლეხობა თავისუფალია გადასახადის გამოღებისაგან. უკანასკნელნი ვალდებული არიან სამხედრო ბეგრით, ნადირობითა და საურით.

ამ დროის ქართლში არსებობს როგორც ნატურალური, ისე ფულადი გადასახადებიც.

პროდუქტების სია, რომელიც შემოდის სხვადასხვა გადასახდელის სახით¹ მიღდება იმ პროდუქტებით, რომელნიც აიღებოდა სხვა გადასახდელების სახით. სიას ემატება ქიშმიში, თამბაქო და ხმელი თევზი, რამდენადაც ამ პროდუქტებზე ბაჟი აიღებოდა ნატურით.

როგორც ჩანს, რიცხვობრივად ჭარბობდა ფულადი გადასახადები. ქალაქის გადასახადები ყველა ფულადი იყო (მალი, საალმწერლო, ტყვის ხარჯი), ხოლო სოფლის გადასახადი კი ზოგი ფულადი იყო (მალი, საალმწერლო, მახტა, საური, ტყვის ხარჯი), ზოგი ნატურალური (კოდის პური), ზოგი კიდევ ნაწილობრივ ფულადი, ნაწილობრივ ნატურით (ალაჩენი). რომელი გადასახადების ხვედრითი წონა იყო უფრო დიდი სოფლის მოსახლეობის გადასახადებში, ნატურალური თუ ფულადი? ამ კითხვის გადაჭრის დროს არ ვიღებთ მხედველობაში მახტასა და ალაჩუნს, რამდენადაც მათი გადამხდელი არ იყო ქართლის ყმა-გლეხობა.

გლეხი მალის სახით იხდიდა სულზე 24 შაურს. ერთი კომლის ფარგლებში შეიძლებოდა ყოფილიყო მალის რამდენიმე გადამხდელი, მაგრამ ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ კომლში მალის ერთი გამომღები იყო. საურის სახით გლეხი იხდიდა 14 შაურს კომლზე და სპარსული გადასახადის სახით— 12 შაურს (აღებულია ის განაკვეთი, რომელიც მოცემულია წინწყაროსათვის). კომლის ფულადი გადასახადები სულ შეადგენდა 50 შაურს. სამართლის წიგნის ცნობით, კოდი პური ღირდა $1\frac{1}{2}$ შაური (მუხ. 129), ძვირობის დროს კი 8, 10 და 12 შაურიც კი (მუხ. 126). ქერის ფასი ჩვენ არ ვიცით, უეჭველად იგი უფრო დაბალი იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კოდის პურს გადასახადის სახით სხვა რამეც ემატებოდა (მაგ., ქათამი). ამიტომ დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ქერისათვის ავიღებთ იმავე ფასს, რაც ხორბლისათვის. ასეთ შემთხვევაში $4\frac{1}{2}$ კოდის ფასი იქნებოდა 8 შაური. როგორც ჩანს, ნორმალურ პირობებში კომლის გადასახადებში ფულადი გადასახადები დაახლოებით 8-ჯერ მეტს შეადგენდა, ვიდრე ნატურალური გადასახადები. პურზე ყველაზე უფრო მაღალი ფასების დროსაც კი ფულადი გადასახადი მეტი იყო ნატურალურ გადასახადზე. ამასთან, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ანგარიშში კომლის ფულადი გადასახადები უფრო შემცირებულია, ვიდრე გადიდებული, და კოდის პურის გადაყვანა ფულად გადასახადში მოხდა უფრო გადიდებული, ვიდრე შემცირებულ ფასებში.

აქედან ნათელია, რომ წინააღმდეგ ფეოდალური გამოსაღებისა, გლეხობის გადასახადებში ჭარბობს ფულადი გადასახადები. თუ მივიღებთ მხედ-

¹ 6. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში, სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. 55, 1954.

ველობაში იმას, რომ ქალაქის გადასახადები ფულადი იყო, მაშინ საეცებით აშკარა გახდება, რომ გადასახადების საერთო ჯამში ქარბობდა ფულადი გადასახადები. ფული ფართოდ იყო შეჭრილი საგადასახადო სფეროში.

ყველა გადასახადი, როგორც ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელმწიფოებში, ქონებრივია.

საფუძვლად აღებული იყო თავი ან კომლი. აღსანიშნავია, რომ გადასახადის აღების დროს არ არის მოცემული თავის ან კომლთა დანაწილება მათი შეძლების მიხედვით, რასაც ხანდახან მაინც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ გადასახდელთა სისტემაშიც კი¹. კანონმდებელი ანგარიშს უწყევდა ერთ გარემოებას: მამულიანი თუ უმამულო იყო ადამიანი; უმამულო ნაკლებს იხდიდა (ან სულ თავისუფალი იყო), მაგრამ განაკვეთი ერთნაირი იყო შიგნით მამულიანსა და უმამულო გლეხებში. ერთნაირი განაკვეთი ბადებდა უთანასწორო დბეგვრას, რამდენადაც ლარიბი და მრავალრიცხოვანი ოჯახი იხდიდა იმდენს, რამდენსაც მდიდარი და მცირერიცხოვანი. ცხადზე უცხადესია, რომ ჩამოთვლილი გადასახადები შემოსავლის მიღების მარტივი და უხეში ფორმა იყო.

ყველა გადასახადი საგანაკვეთო იყო, ე. ი. აიღებოდა წინასწარი დადგენილი განაკვეთის მიხედვით. გამონაკლისს შეადგენდა სპარსული გადასახადი, რომელიც სარებარტიციო, განმანაწილებითი იყო, ე. ი. დადგინდებოდა ის თანხა, რომელიც უნდა გაეღო სოფელს; ეს თანხა შემდეგ ნაწილდებოდა ცალკე გადამხდელთა შორის. საგანაკვეთო გადასახადები, რასაკვირველია, უკეთესი იყო გადამხდელისათვის, რამდენადაც მან წინასწარ იცოდა განაკვეთი და თვითნებობა-ბოროტმოქმედებისათვის ნადავგი უფრო მცირე იყო.

ხელისუფლებისათვის კი უკეთესი იყო განმანაწილებითი გადასახადები, რამდენადაც იგი უზრუნველჰყოფდა წინასწარ დანიშნული თანხის მიღებას.

ხსენებულ გადასახადებში ჩვენ ვხედავთ სამ მიზნობრივ გადასახადს, ე. ი. ისეთს, რომელიც აიღება წინასწარ დასახული მიზნისათვის და რომელსაც აქვს თავისი სპეციალური დანიშნულება—ეს არის საური, სპარსული გადასახადი და აღსამწერლო.

ყველა გადასახადი დაწესებული იყო მტკიცე განაკვეთებით. როგორც ვხედავთ, გადასახადის აღების დროს გათვალისწინებული იყო მამულიანი და უმამულო გლეხის მდგომარეობა; განაკვეთი პირველისათვის უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეორისათვის, მაგრამ იგი, როგორც ვთქვით, ერთნაირი იყო მამულიანთა და უმამულოთა შიგნით.

საგადასახადო სისტემა იცნობდა შეღავათებსაც. ადგილი ჰქონდა გადასახადებისაგან ნაწილობრივ სრულ, დროებით ან მუდმივ განთავისუფლებას. უბედური შემთხვევა, მტრის თავდასხმა, მეფის წყალობა საფუძველი იყო ასეთი განთავისუფლებისათვის. მეფე ანთავისუფლებდა გადასახადებისაგან როგორც მამულის გაჩუქების დროს, ისე ასეთი შემთხვევის გარეშეც.

¹ 15. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში, სტალინის სახელობის ოსუ შრომები, ტ. 55. 1954.

ცალკე გადასახადების გარჩევის დროს ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ ხდებოდა გადამხდელთა ზუსტი აღრიცხვა და შემდეგ საგადასახადო კამპანიის ჩატარების ანგარიშის შედგენა და წარდგენაც. აღვნიშნავთ იმასაც, რომ იმ აღწერებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა პერიოდულად, მიზნად ჰქონდა გადამხდელების აღრიცხვაც.

ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ არა სამეფო გლეხებიც მთელ როგ გადასახადებს იხდიდნენ მეფის სასარგებლოდ. ცხადია, რომ ფინანსების დარგში ღობე მეფისა და სხვათა მიმუღებს შორის არც ისე მაღალი იყო.

კახეთშიც არსებობდა სხვადასხვა პირდაპირი გადასახადები; მათ შორის კოდის პურიც. კოდის პურის განაკვეთი არ ჩანს. ჩვენ ვხდებით კიდევ ერთ ნატურალურ გადასახადს: „აძეს მოყალნეს საბატონო ორს წელიწადში ერთხელ ორის წლის ძროხა“ (საქ. სიძგ., ტ. III, № 160. მუხ. 3). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკმაოდ დიდ ნატურალურ გადასახადთან. ჩვენ ვხდებით ფულად გადასახადსაც; ერთი მათგანი უდრის მარჩილ უხალთუნს და მეორე „ოთხს აბაზს“ (იქვე, მუხ. 26, 22). ვფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მალთან და მეორე შემთხვევაში კი—საურთან. კახეთში რომ ეს გადასახადები არსებობდა, ჩანს მრავალი საბუთიდან (იხ. მაგ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, № 548). ცხადია, კახეთშიაც სამხედრო ბეგარა შეადგენდა მოსახლეობის ძირითად მოვალეობას¹.

¹ ამ შრომის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა პროფ. ივ. სურგულაძის სტატია: „სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში“ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952 წ.).

ამ სტატიიდან ჩანს, რომ ავტორს დიდი ინტერესით და ყურადღებით აქვს შესწავლილი საკითხი. სტატიაში მოცემული დებულებანი არსებითად სწორად მიგვაჩნია, მხოლოდ, ვფიქრობთ, რომ ავტორმა, ერთი მხრით, გააფართოვა გადასახადების სია, რამდენადაც მასში შეიტანა პირისთავი, ნახირისთავი; ამ შემთხვევაში ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ავტორის ტერმინი რომ ვიხმაროთ, პროდუქტად რენტასთან. მეორე მხრით კი, გადასახადების სია საგრძნობლად შევიწროვებულია, რამდენადაც მასში არ არის შეტანილი ბაჟები—არაპირდაპირი გადასახადები. ავტორს თავის შრომაში საუბარი აქვს პირდაპირ გადასახადებზე.

ყურადღებას იპყრობს ვ. გაბაშვილის სტატია „სათათრო გამოსადგებელი“ გვიანდელდოლურ, საქართველოში“ (საქართ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ-ის მიმომხილველი, ტ. III, 1953).

ავტორი იხილავს „სათათრო გამოსადგებლებს“ (სათათრო საური, მალი, ულუფა, სატყვეო და სხვ.) საქართველოს მონღოლებთან, ყიზილბაშებთან, ოსმალებთან პოლიტიკური ურთიერთობის ფორმის თვალსაზრისით. ამხ. ვ. გაბაშვილი ამტკიცებს, რომ განსხვავებით მაღლისაგან, რომელიც მიწაზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა და მონღოლთა და მაჰმადიანთა სახელმწიფოების სრულ ბატონობას გვაუწყებდა, საური მხოლოდ საქართველოს ვასალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო. ავტორი აცხადებს, რომ საური ფეშქაშის წყარო იყო და არა ხარკი ამ სიტყვის პოლიტიკური აზრით. ამავე დროს ავტორი კარგად გრძნობს, რომ საური მძიმე გადასახად იყო საქართველოს მშრომელებისათვის. ავტორის ვრცელი, ორიგინალური და საინტერესო მსჯელობა ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ, იმუღებითი ფეშქაში არსებითად ხარკს წარმოადგენს; იგი ხარკს წარმოადგენს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას ნატურალური ფორმა აქვს. ეს გარემოება არ სცვლის ამხ. ვ. გაბაშვილის ძირითად დასკვნას, რომ საური საქართველოს ვასალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო. ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება ხარკის სხვადასხვა ფორმის გარჩევა და გარკვევა რა პოლიტიკური ურთიერთობას გამოსახავს თვითიველი ფორმა.

3. მისაგებელი

ამ პერიოდში გადასახადების გვერდით ჩვენ ვხვდებით მრავალი სახის მისაგებელს. მისაგებელი, რომელსაც მაშინდელი ტერმინოლოგიის მიხედვით ხშირად ბაჟი ეწოდებოდა, ფორმალურად წარმოადგენდა მეფის ან მოხელის სპეციალური სამსახურის ანაზღაურებას, ფაქტიურად კი იგი გადასახადს წარმოადგენდა, რამდენადაც ხშირად მისაგებელის აღებას საფუძვლად არავითარი სამსახური არ ედვა, ანდა ეს სამსახური არ იყო გამოსაღების ეკვივალენტური.

მონეტის მოჭრა საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტია, იგი სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მონეტის მოჭრა უნდა წარმოებდეს უსაფასუროდ ან ისეთი საფასურის აღებით, რომელიც ფარავს მონეტის მოჭრის ხარჯებს, მაგრამ ფეოდალურ სახელმწიფოებში მონეტის მოჭრა გადაიქცა შემოსავლის წყაროდ. ქართლშიც მონეტის მოჭრა მეფის მონოპოლიას შეადგენდა და ისეთ მონოპოლიას, რომელიც მას შემოსავალს აძლევდა; ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ დასტურლამალი ითვალისწინებს ანარიცხებს ზარაფხანის შემოსავლიდან სახლთაუხუცესისა და მდივნების სასარგებლოდ. მონეტის მოჭრის საფასური ფაქტიურად გადაიქცა გადასახადად. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ არ არის საუბარი იმ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მონეტის მოჭრის დროს ხურდა ფულის ნომინალური და რეალური ღირებულების განსხვავებიდან ან მონეტის გაფუჭებიდან; აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ შემოსავალზე, რომელიც შეიქმნება მონეტის შემკვეთელი პირის გადასახდელისაგან. 2000 მისხალზე სამეფოდ აიღებოდა 5 და წინედ 6 მინალთუნი. მინალთუნი შეიცავდა 8 მისხალს, ამრიგად, აიღებოდა 40 მისხალი ან 2⁰/₁₀—განაკვეთი საკმაოდ მაღალია.

ბაზარზე საქონლის აწონა ყაფანზე მონოპოლიზებული იყო. ყაფანი დიდი სასწორი იყო, რომელიც დაიდგმებოდა ბაზარზე და რომლითაც სარგებლობა შეეძლო ყოველ მოვაჭრეს განსაზღვრული ფასის გაღებით. „ფქვილზედ, ქერზედ, ბრინჯზედ, შაბზედ, წაბლზედ, ფეტვზედ—ერთს საპალნეს რომ ასწონენ, საპალნეზედ ბისტს გამოართმევენ. ბამბის ცალზე ერთ შაურს; ენდროს ცალზედ ნახევარს შაურს. აგრეთვე მატყლზედ, თაფლზედ, ერბოზედ ნახევარი შაური, საყათის ცალზედ ერთი შაური; გეჩენბაშის საპალნეზედ ბისტის; რკინის საპალნეზედ—ბისტის; ზეთისხილის საპალნეზედ შაური, ძროხაზედ შაური, ცხენზედ აბაზი, სავედარზედ ორი შაური“¹. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საფასური დაწესებულია არა წონის ერთეულის, არამედ სპეციფიკური ნიშნების მიხედვით (ცალი, საპალნე). ყაფანის შემოსავალიც იჯარით იყო გაცემული და წლიური იჯარა შეადგენდა ორმოც თუმანს, თუმცა აქაც დასტურლამალი აცხადებს, რომ იგი ხან მეტი, ხან ნაკლები იყო.

ჩვენ აქ უეჭველად საქმე გვაქვს სამსახურთან, რომელსაც მეფე უწევს მოვაჭრეებს, მაგრამ სამსახურის ანაზღაურება ცილდება მისაგებელს და იქცევა გადასახადად.

¹ დასტურლამალი გვ. 91.

ყორადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგი საქონლის აწონა ყაფანზე არ ხდებდა, მაგრამ გადასახადი მასზე მაინც აიღებოდა, — ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს მოსაქრებელთან, რომლის აღება დავალებული აქვს ისევე ყაფნის იჯარადარს და რომლის შემოსავალი შედის ყაფნის იჯარის შემოსავალში.

შეგვიჩვენებთ იმ მისაგებელზე, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს როგორც სარეგისტრაციო. ეს მისაგებელი აიღებოდა რომელიმე გარიგების დამოწმების დროს, მისი რეგისტრაციის დროს. იგი, თავის მხრით რამდენიმე სახით არსებობდა.

საჩქემის ან საქორწილოს¹ სახელწოდების ქვეშ ჩვენ ვხვდებით გადასახდელს, რომელსაც იხდიდა საქმრო პირველი დაქორწინების დროს. გამოსაღები ფულადი იყო. გამოსაღებს ღებულობდნენ მოხელეები. საქმროსა ჩქემს იხდიდა არა მხოლოდ მოურავისა, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ნაცვლისა და მამასახლისის სასარგებლოდაც. მოურავი, როგორც წესი, ღებულობდა მარჩილს, ე. ი. სამ აბაზს, ხოლო ნაცვალი კი — აბაზს, მამასახლისი — ერთი შაურიდან აბაზამდე. სახელწოდება „საჩქემე“ წარმოიშვა იქიდან, რომ თავდაპირველად ამ ფულის დანიშნულება იყო ჩქემის შეძენა.

საქორწინო გამოსაღების მეორე სახე არის საქვრივო². საქვრივო გამოსაღების არსებობა ჩანს არა მხოლოდ დასტურლამალიდან, არამედ თვით სამართლის წიგნიდან (მუხ. 203) და ჩვეულებებიდან (მუხ. 65). ქვრივის ძალით გათხოვება აკრძალული იყო. საქვრივო იყო გამოსაღები, რომელსაც მამაკაცი იხდიდა ქვრივის შერთვის დროს.

დასტურლამალი სამართლის წიგნთან დამატებით ზუსტად განსაზღვრავს საქვრივო გამოსაღებს. საქვრივო აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულითაც. იგი გაიღებოდა არა მხოლოდ მოხელეების, არამედ თვით მეფის სასარგებლოდაც. ამ გადასახადის აღების დროს გაირჩეოდა შინასოფლელი და გარესოფლელი. პირველ შემთხვევაში გამოსაღები არ აიღებოდა, მეორე შემთხვევაში კი, მეფე საქვრივოს სახით ღებულობდა ხარს, მოურავი კი — ცხვარს ან მარჩილს, მამასახლისი — აბაზს ან ორ შაურს. დასტურლამალში მრავალ შემთხვევაში არ არის აღნიშნული საქვრივო გამოსაღების ოდენობა ან თუ იმ სოფლისათვის; უბრალოდ აღნიშნულია, რომ სოფელს „სდეს“ ასეთი გამოსაღები, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევაშიც მისი ოდენობა უდრიდა ზემომოყვანილ ჩვეულებრივ ოდენობას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დაქორწინების დროს ეკლესიაც ღებულობდა თავის წილს, მაშინ გასაგები ვახდება რომ ცოლის შერთვა, განსაკუთრებით ქვრივისა, საქმალად ძვირი საქმე იყო².

¹ „საჩქემე“ და „საქვრივო“ პირობით შეგვაქვს მისაგებლებში.

² „საქვრივო“ და „საჩქემე“ ვრცლად აქვს განხილული პროფ. ივ. სურგულაძის სტატიის: „შემთხვევებთან დაკავშირებული (ექსტრა-ორდინარული გადასახდლები გვიანფეოდალურ საქართველოში), ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. VII, გვ. 53.

მისაგებლის შემდეგი სახე იყო გასამყრელო. სამართლის წიგნი (მუხ. 98—115) დაწვრილებით აღგენს მამულის გაყოფის წესებს. გაყოფას მისი გაფორმება მოყვებოდა; თვითეულ მხარეს გაყოფის შემდეგ მიეცემოდა სათანადოდ გაფორმებული საბუთი (იხ. ჩვეულებანი, მუხ. 54). მამულის გაყოფა აკრძალული იყო ბატონის გარეშე. გასამყრელო იყო სწორედ გამოსაღები მამულის გაყოფის გაფორმებისათვის. გასამყრელო აღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულითაც. მისი გაღება წარმოებდა მეფის, მოურავის, ნაცვლისა და მამასახლისის სასარგებლოდ. ბატონის წილის შესახებ სამართლის წიგნის 101 მუხლი აცხადებს, რომ გასამყრელოდ ხელმწიფეს ეკუთვნის ოცისთავი და დიდ თავადზე კი—სოფელიც; მეფეს უფლება ჰქონდა გასამყრელოდ მიღებული წილი ან დაეტოვებინა თავისთვის, ან გაეჩუქებინა ვისზედაც მოსურვებდა. ჩვენამდე მოღწეული საბუთები მოწმობს, რომ მეფე ხანდახან თავის წილს აჩუქებდა ან ერთ იმათგანს, ვინც გაყრილი იყო, ან კიდევ მესამე პირს. მოვიყვანთ ამის მაგალითს. იმ სიგელში, რომელიც ვახტანგ VI 1722 წ. მისცა ელიზბარ დავითაშვილს, წერია: „...გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურს ყმასა დავითაშვილს ელიზბარსა, შვილსა თქვენსა, გიორგისა, დავითსა და მომავალსა სახლისა თქვენისასა ყოველთავე მას ჟამს, ოდეს მოგვიდებით კარსა დარბაზისა ჩვენისასა, წყალობას დაგვე)აჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ: თქვენი გასამყრელოთ აღებული ტატიშვილი იოსებ, ამის ძმისწული შიო და სეხნია თავეთის (სიე) მამულითა და გოგის სოფელი მთლიე თავის შესავლითა და გასავლითა, მითითა და ბართა, ყოველის კაცის უცილებლად თქვენთვის გიბოძებია...“¹. არ შეგჩერდებით სხვა მრავალ მაგალითზე. ასეთი საჩუქარი ავალდებულებდა აზნაურს სამაგიერო მიერთვა მეფისათვის.

მოურავი გასამრჯელო აღებულობდა ხან ნატურით, ხან ფულით. ზოგ შემთხვევაში კანონმდებელი არჩევს „კარგს“ და „დაბალს“, ან „მცირე“ გადამხდელს, მაგრამ ამ ცნებათა კონკრეტული შინაარსი არ ჩანს; ნათელია მხოლოდ ის, რომ დაყოფას ორ ჯგუფად საფუძვლად უდევს ქონების სიდიდე. „კარგს“ უნდა ვაელო მოურავისათვის ხარი ან ძროხა, ხოლო „დაბალს“ კი ცხვარი. ერთს შემთხვევაში გვხვდება ფულადი გასამყრელო—ხუთი აბაზი, ისიც სადღედოფლო დასტურლამალში. ნაცვალი, ჩვეულებრივ, მარჩილს ან ცხვარს ღებულობდა, მამასახლისი—ზოგ ადგილას მარჩილს, ზოგ ადგილას კი მხოლოდ აბაზს, ზოგან შაურსაც კი; ზოგ შემთხვევაში უკანასკნელიც ნატურით ღებულობდა—ცხვარს ან მის ნახევარს. გასამყრელო არსებითად სამემკვიდრეო გადასახადი იყო.

გასამყრელოს გარდა, არსებობდა შესამყრელოც, რომელიც აღებოდა რამდენიმე ოჯახის ერთ ოჯახად შეყრის დროს, მაგრამ ჩვენ პირადად არ მოგვეპოვება ცნობები მისი შინაარსისა და მოცულობის შესახებ.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, № 283.

მისაგებელი აიღებოდა მამულის გაყიდვაზე და ც. სამართლის წიგნი მოითხოვდა ყიდვა-გაყიდვის გაფორმებას (მუხ. 161). დასტურლამალიდან ჩანს, რომ მამულის გაყიდვაზე აიღებოდა მისაგებელი, ამას დასტურებენ ჩვეულებანი (მუხ. 1). თბილისის გარეშე ნასყიდობის საბუთის დამოწმება ხდებოდა მოწმეების მიერ და იქ საფასური არ აიღებოდა მეფის სასარგებლოდ. თბილისში ნასყიდობის საბუთი იწერებოდა მელიქის მიერ, მას ამოწმებდნენ მოწმეები. მისაგებელი მეფის სასარგებლოდ შეადგენდა 5% და გამორთმეოდა ან მყიდველს ან გამყიდველს; იმ შემთხვევაში კი, როდესაც შეთანხმებას ადგილი არ ჰქონდა, საფასურის გამომღები იყო გამყიდველი. მისაგებელი მოხელეების სასარგებლოდ თბილისშიც აიღებოდა. დასტურლამალში ამ გამოსაღებს ჩვენ ვხვდებით მხოლოდ ერთხელ, იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბოლნისს; უნდა ვიფიქროთ, რომ სხვაგანაც მისი აღების წესი იგივე იყო. ეს გამოსაღები პროპორციული იყო და შეადგენდა „თუმანზე“ ათ შაურს“ ანუ 5% მოურავის სასარგებლოდ, ხოლო მამასახლისისა და ნაცვლის სასარგებლოდ კი—თუმანზე ერთს შაურს, ე. ი. 0,5%. ზემოთხსენილი ცნობები ემთხვევა ერთმანეთს. თბილისის გარეშე მისაგებელი მამულის გაყიდვაზე მეფის სასარგებლოდ არ არსებობს, აქ ჩვენ ფაქტიურად საქმე გვაქვს გადასახადთან ქონების გადასვლაზე.

აღნიშნულ მისაგებელთა გვერდით მაშინდელ ქართლში არსებობდა სასამართლო მისაგებელიც, რომელსაც სამდივანბეგო ეწოდებოდა, თუმცა ეს მისაგებელი არ მიდიოდა მთლიანად მდივანბეგების სასარგებლოდ. სამდივანბეგოდ მოქალაქეზე აიღებოდა ათისთავი, გარეშე კაცზე ექვსისთავი და შემდეგ: „აქლემზედ სამი მინალთუნი, ტყვეზედ ორი მინალთუნი, ულაყს ცხენზედ სამი აბასი, ჭაკს ცხენზედ ორი აბასი, ძროხასა და ჯარზედ თითო აბასი, ჯორზედ ხუთი აბასი, დაბალს ულაყზედ ერთი აბასი, ცხენარსა და ღორზედ თითო შაური“¹.

ამ მისაგებელთა რიგში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე საიასაშლოც, ე. ი. გამოსაღები იმ პირთათვის, რომელნიც აწარმოებდნენ გამოძიებას და შემდეგ კი ასრულებდნენ განაჩენს.

დაბოლოს აღვნიშნავთ კიდევ ერთი მისაგებლის არსებობას — სამურდროსი ან საბეჭდავის. სამურდრო იყო გამოსაღები ბეჭდის დასმისათვის, რომლის შემდეგ საბუთს ძალა ეძლეოდა. ბეჭედი ჰქონდა სპეციალურ პირს, მურდრის ანუ მორდალის. სამურდრო, ერთი მხრით, შეადგენდა საკანცელარიო მისაგებელს (ცნობის მიცემა), მეორე მხრით—სანოტაროს (დოკუმენტების შემოწმება). დასტურლამალში მოცემულია სამურდრო ტარიფი (გვ. 51, 59; ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ ნ. ქ.).

¹ დასტურლამალი, გვ. 59.

გლეხის გაცემასზე	კომლზე	მარჩილი
სამთურაოდ გაცემასზე	"	აბაზი და ორი ფული
გათარხნებაზე	"	6 შაური
კოდის პურის გაცემასზე	"	9 აბაზი
საბალახოს გაცემასზე	"	1 მარჩილი
ნახირისთავის გაცემასზე	"	1 მარჩილი
პირისთავის გაცემასზე	"	1 მარჩილი
გილიანს წამსველელზე	"	3 მინალთუნი
მუფასაზე	"	6 მინალთუნი
თათრის ჯამაგირზე	თუმანზე	1 შაური
ინამზე	"	1 აბაზი
ქალაქის ბაუის	"	?
ოქმზე	"	12 მინალთუნი
თამბაქოს იჯარაზე	"	1 შაური
ყაფნის იჯარაზე	"	1 შაური
ხარაფზე	"	12 მინალთუნი
დაბახანაზე	"	1 შაური
ბატონის განაჩენზე	"	1 აბაზი
აოაყხანის იჯარაზე	"	1 შაური
ცარიელი საკომლის მიცემა	"	6 შაური
ბუმთუქუნის ქარხნიდან	"	?
საპოვნი	"	1 ლიტრა
ბროწეული	"	5 ლიტრა
ხეთისხილი	"	1 ჩარეჭი
ხახვი	"	3 ლიტრა
აქლემზე	"	3 აბაზი
ულაყ ცხენზე	"	3 შაური
ჭაჭ ცხენზე	"	2 შაური
ტყავზე	"	1 აბაზი
კამბეჩზე	"	2 შაური
ჯორზე	"	1 აბაზი
ცხვარზე	"	2 ფული
ღორზე	"	2 ფული

ჩვენ ვხვდებით კიდევ ერთ მისაგებელს, ე. წ. სატარულოს, რომელიც ნიდიოდა მოურავის სასარგებლოდ და რომელიც წარმოადგენდა მის ანაზღაურებას სურსათით ვაჭრობაზე მეთვალყურეობისათვის. „კომლზედ სატარულო შაური ნახევარი“ აცხადებს დასტუოლანალი (გვ. 26). სატარულო აიღებოდა, როგორც ჩანს, კომლზე.

როგორც ვხედავთ, მაშინდელ ქართლში არსებობდა მრავალგვარი მისაგებელი, იგი, მცირე გამონაკლისის გარდა, ნიდიოდა მოხელეების სასარგებლოდ. მისაგებელთა უდიდესი ნაწილი ფულადი იყო. ზოგიერთი მისაგებლის (გასამყრელის) აღების დროს ცდილობდნენ „კარგის“ და „დაბალის“ გარჩევას — პირველისათვის დაწესებული იყო უფრო მაღალი განაკვეთი. ზოგი მისაგებლის (სასამართლოს) აღების დროს განიჩეოდა „მოქალაქე“ და „გარეშე“ კაცი, პირველისათვის განაკვეთი უფრო მცირე იყო, ვიდრე მეორისათვის. მისაგებელთა დიდი ნაწილი აიღებოდა მტკიცე განაკვეთის მიხედვით: ცალკე კომლზე, ცალკე პირზე, ცალკე საქონელზე, ცალკე საბუთზე, მიუხედავად ღირებულებისა; ზოგიერთი მისაგებელი (მამულის გაყიდვა, სასასამართლო, სამურდრო) პროპორციული იყო; ასეთი იყო ყველა, რომელიც აიღებოდა თუმანზე — განაკვეთი მერყეობდა $\frac{1}{2}\%$ -დან (თამბაქოს იჯარა) 17% -დღ (სამდივანბეგო — ექვსისთავი); იჯარით გაცემული იყო მხოლოდ ერთი მისაგებელი — ყაფნისა.

კახეთში ჩვენ ვხვდებით შემდეგ მისაგებლებს: საქვრივოს, გასამყრელოს, შესამყრელოს, სამორდროს. ექვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ კახეთშიც არსებობდა სხვა სახის მისაგებლები, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულ მასალას მათ შესახებ ჩვენ არ ვხედავთ. საქვრივო გამოსაღების შინაარსი და მოცულობა არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ ქიზიყი თავისუფალი იყო საქვრივოსა და შესამყრელო გამოსაღებისაგან. გასამყრელო მოურავის სასარგებლოდ აიღებოდა: ერთი ხარი ან, თუ ხარი არ ჰყავდა, ოთხი მარჩილი. სამურდროს შესახებ ქიზიყის გარიგებაში წერია: „სახლთუხუცესი რომ წყალობის სიგელს დაბეჭდავს, საბეჭდავი უნდა მიეცეს, ისე მდივანს და ისე მორდალს შეძლებით“¹. აქაც ყურადღებას იპყრობს სიტყვა „შეძლებით“.

4. შემოსავალი სანაპოვოები

მეფის შემოსავალთა შორის ჩვენ ვხვდებით შემოსავალს აბანოდან. დასტურლამალში ვკითხულობთ: „აბანოს იჯარა ზოგჯერ ცოტა ყოფილა, და ახლა თორმეტს თუმნად არის, ზოგჯერ ცამეტად იქმნების“ (გვ. 6). რა სახის შემოსავალია ეს შემოსავალი? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე აბანოების მონოპოლიური მფლობელი იყო, რომ ეს აბანოები მას იჯარით ჰქონია გაცემული და ეს შემოსავალი წარმოადგენს სწორედ შემოსავალს აბანოების იჯარით გაცემიდან. მაგრამ მაშინდელი საბუთების გაცნობა ჩვენ გვარწმუნებს, რომ მეფე არ იყო აბანოების მონოპოლიური მფლობელი. მოვიყვანთ ერთ საბუთს, რომელიც ეკუთვნის 1751 წელს და რომლის შინაარსს გადმოგვცემს დ. ფურცელაძე: «В духовном завещании один из именитых в Тифлисе граждан, Даниил Эйнал-Меликов, предоставляя сыну своему Эйналу дом со двором, минеральные бани (известные и поныне под именем Эйналовских) и другие недвижимые имущества, жалуется, что не оставляет наличных денег...“².

ამრიგად, ეს შემოსავალი არ წარმოადგენს შემოსავალს მონოპოლიური აბანოების იჯარიდან.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აბანოების მოწყობა-ექსპლოატაციის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა, რომ მეფე ლეზულობს შემოსავალს ამ უფლების დათმობიდან, რომ ეს შემოსავალი წარმოადგენს შემოსავალს ფისკალური მონოპოლიიდან. მაგრამ დასტურლამალიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს არა ყველა აბანოსთან, არამედ კარის აბანოსთან (გვ. 76), ე. ი. სასახლის აბანოსთან (дворцовая баня). ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეფესაც ჰქონდა აბანო ან აბანოები სხვების გვერდით, ამ აბანოების ექსპლოატაციას იგი აწარმოებდა არა უშუალოდ, არამედ იჯარით, აქედან გამომდინარეობს შემოსავალი აბანოს იჯარიდან.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 160, მუხ. 27.

² „Грузинские крестьянские грамоты“, стр. 97.

მეორე საწარმო იყო სტამბა. სტამბა დაარსებული იყო მეფე ვახტანგის მიერ 1709 წ., თბილისის დროებითი ოკუპაციის დროს (1723—1735 წწ.) სტამბამ შეწყვიტა მუშაობა. მხოლოდ 1744 წ. ხელახლად განახლდა მუშაობა.

სტამბა ფაქტიურად მონოპოლიას წარმოადგენდა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენადაც იგი თბილისის გარდა არსად არ არსებობდა. მაგრამ სტამბის დაარსებას, ცხადია, საფუძვლად ედვა არა შემოსავლის მიღება და მისი გადიდება, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული მოსახრებანი. სტამბის დაარსების დღე საქართველოს კულტურის საზეიმო დღე იყო.

სადედოფლო დასტურლამალში ვხვდებით შემოსავალს ქუზახანის იჯარიდან. ქუზახანა ეწოდებოდა ქურჭლის გამოსაწვევ ქურას, ქუზახანა იჯარით იყო გაცემული და შემოსავალი შეადგენდა სულ მცირე თანხას—20 მარჩილს, ე. ი. 60 აბაზს; რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს სულ პატარა საწარმოსთან. მაგრამ ქუზახანის შემოსავალიც ასრულებდა თავის პატარა როლს მაშინდელ სახელმწიფოს ფინანსებში და ჩვენ მას გვერდს ვერ ავუხვევთ.

მეფესა და დედოფალს მოეპოვებოდა სხვაგვარი საწარმონიც. ეს იყო დამხმარე საწარმონი, რომელნიც ემსახურებოდნენ მეფისა და დედოფლის საჭიროებას. ამ საწარმოებში ხდებოდა მათთვის საჭირო პროდუქტების დამზადება. ამ საწარმოთა პროდუქცია არ იყო დანიშნული გასაყიდათ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მეფე და დედოფალი სხვებსაც აძლევდნენ ამ საწარმოებით სარგებლობის უფლებას—სათვალისწინებლად ან უსათვალისწინებლად.

დასტურლამალიდან ჩანს, რომ მეფის მეურნეობაში ადგილი ჰქონია იარაღის მზადებას. რასაკვირველია, იარაღის გამკეთებელი სახელოსნოები პირველ რიგში აკმაყოფილებდნენ იარაღით მეფის საჭიროებას. მეფისა და დედოფლის განკარგულებაში იმყოფებოდნენ: სანთლის ქარხანა, ზეთის გამოსახდელი ქარხანა, წისკვილები და სხვ.

დამხმარე საწარმოებიდან არავითარი შემოსავალი არა ჩანს. როგორც ვხედავთ, საწარმოთა რიცხვი ძლიერ ცოტა იყო. საწარმოთა დაარსებისათვის საფუძველი არ იყო,—არც ბაზარი იყო ფართო, არც სათანადო სახსრები ჰქონდა მეფეს.

ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სავსებით არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ სწორად გვესმის შემოსავალი ქუზახანის იჯარიდან. შესაძლებელია, რომ აქ საქმე გვქონდეს სადედოფლო ფისკალურ მონოპოლიასთან, რომელიც განისაზღვრებოდა მხოლოდ დედოფლის სახსრამდენით.

5. სხვადასხვა შემოსავალი

მეფის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ნადავლიც. დაპყრობილი მიწა-წყალი მეფის საკუთრებას შეადგენდა. იგი მას გამოიყენებდა მისი სურვილის მიხედვით,—ან თავისთვის დაიტოვებდა, ან კიდევ ვააჩუქებდა მთლიანად, ან ნაწილობრივ. მოკლული მტრის ყოველგვარი იარა-

ლი მეფეს ეკუთვნოდა, მასვე ეკუთვნოდა მოკლულის ძვირფასი ქვებიც, როდესაც მეფე პირადად ლებულობდა მონაწილეობას ლაშქრობაში, მას შეეძლო აეღო ნადავლიდან რაც სურდა და ამაზე ზემოთ კიდევ „ფანჯიაქი“. ე. წ. მეხუთედი ნაწილი. ამ მეხუთედ წილს იგი ლებულობდა მაშინაც, როდესაც პირადად არ ლებულობდა მონაწილეობას ლაშქრობაში. მეფეს უფლება ჰქონდა თავისთვის წაეყვანა ტყვე, თუ იგი სხვა ქვეყნიდან ან სხვა რჯულისა იყო. თუ მეფე ტყვის წაყვანას არ მოისურვებდა, ტყვე ეკუთვნოდა იმას, ვინც მას წამოიყვანდა. თუ ტყვე ახლობელი მეზობელი იყო ან ქრისტიანი, მაშინ ტყვე წამომყვანს შეეძლო ებოძებია მეფისათვის, რომელსაც შეეძლო წამომყვანის დაჯილდოვება; ტყვის წამომყვანს შეეძლო მისი განთავისუფლებაც, მაგრამ გამოსასყიდი თანხის მიღებით¹.

ქართლს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. როგორც ცნობილია, 1748—1750 წწ. ნახიჭევნის, ერეგნის და განჯის სახანოები ქართლის ვასალები გახდნენ. ისინი ყოველ წელს მეფეს უგზავნიდნენ ხარკს².

ქართლის მეფის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა კონფისკაცია, ე. ი. ქონების იძულებითი და უსაფასუროდ ჩამორთმევა. ქონების კონფისკაცია ხდებოდა რაიმე სახელმწიფოებრივ დანაშაულის, არალოიალური და მტრული განწყობილების გამო მეფის მიმართ. კონფისკაცია წარმოადგენდა მტრის ეკონომიურისა და პოლიტიკური განადგურების იარაღს, იგი ფართოდ გამოიყენებოდა მეფის მიერ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ: ამ იარაღს მეფე საკმაოდ ხშირად მიმართავდა და ეს იარაღი მას საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდა. ფეოდალური საქართველოს უთანხმოებანი, ფეოდალების სეპარატიზმი, ორიენტაცია სხვადასხვა უცხო სახელმწიფოებზე საკმაოდ ხშირად აძლევდა მეფეს საბაბს მიემართა კონფისკაციისათვის. ქონების ჩამორთმევა გათვალისწინებული იყო სამართლის წიგნის 177 მუხლით.

იმ პერიოდში კონფისკაციის ყველაზე უფრო ავალსაჩინო მაგალითის სახით მოვიყვანთ 1743 წ. თეიმურაზის მიერ არაგვის საერისთავოს ზელში ჩაგდებას და მისი მამულის თავის საკუთრებად გამოცხადებას.

ღეფიციტის დაფარვის ძირითად წყაროს, ჩვენი აზრით, შეადგენდა მონეტის გაფუჭება, რომელიც წარმოადგენდა საფინანსო ღონისძიებას და რომელიც სისტემატურად წარმოებდა ფეოდალურ საქართველოში, ისე, როგორც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში.

ვერცხლის მონეტების წონა შეამცირა ბაქარმა, შემდეგ თეიმურაზმა და შემდეგ კი მისმა შვილმა ერეკლემ. საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის სამოციან წლებამდე აბაზის წონა შემცირდა 7,30 გრამიდან 3 გრამამდე. ბაქარის დროს აბაზის წონის მთელი რიცხვი უდრიდა ხუთს, თეიმურაზის

¹ დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტიანობა ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან, სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, СПб, 1846, მუხ. 178, 254, 255.

² იხ. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები მე-18 საუკუნეში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1954.

დროს ოთხს, ხოლო ერეკლეს დროს სამს, ყოველმა მათგანმა შეიტანა თავისი წვლილი მონეტის გაფუჭებაში. ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფინანსური ეფექტი ჰქონდა მონეტის გაფუჭებას, მაგრამ ამის დადგენა შეუძლებელია, რამდენადაც სათანადო მასალები არ მოგვეპოვება. იმისათვის, რომ გავიგოთ მონეტის გაფუჭების ფინანსური ეფექტი, საჭიროა ვიცოდეთ, რამდენჯერ მოხდა მონეტის გაფუჭება, როგორი იყო თვითეული მონეტის რეალური და ნომინალური ღირებულება ყოველი მოჭრის დროს, რამდენი მონეტა იყო მოჭრილი და სხვ., არცერთი ასეთი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება, და ასეთ გამოანგარიშებაზე, თუნდაც დაახლოებულზე, უარი უნდა განვაცხადოთ¹.

დეფიციტის დაფარვის მეორე წყარო იყო სესხები; მეფისა და დედოფლის პირადი სესხები;—სხვაგვარ სესხებს მაშინდელ საქართველოში ადგილი არ ჰქონდა. მაშინდელი საქართველო იცნობდა მხოლოდ შინაგან სესხებს². სამწუხაროდ, სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ჩვენ მოწყვეტილი ვართ შესაძლებლობას დავადგინოთ, რა როლს ასრულებდა სესხები დეფიციტის დაფარვაში, ბიუჯეტის რა ნაწილი იფარებოდა სესხების საშუალებით:

სხვადასხვა შემოსავლის შორის აღსანიშნავია ფეშქაშიც; ე. ი. ძღვენი, საჩუქარი. ფეშქაშის წყარო მრავალგვარი იყო. ფეშქაშს ღებულობდა მეფე, როგორც საკუთარი ქვეშევრდომებისაგან, ისე უცხო ქვეყნებიდანაც. ფეშქაში ხშირად და ბლომად შემოდებოდა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არსებობდა სპეციალური დაწესებულება; ფეშქაშის ქარხანა, სადაც თავს იყრიდა შემოსული საჩუქრები. ამ ქარხანას მომსახურებობას უწევდნენ სპეციალური მოხელეები. ფეშქაში ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც ფეოდალურ ევროპასა და აზიაში, დიდ როლს ასრულებდა მეფის ფინანსებში:

ფეოდალური ქართლის შემოსავალში საპატიო ადგილი უკავია ჯარიმას, რამდენადაც, მაშინდელი კანონების მიხედვით, მრავალ დანაშაულს მოჰყვებოდა ჯარიმის ვადახდა. აქ ჩვენ გვინტერესებს ამ ინსტიტუტის ფინანსური მხარე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ქურდობა, სხვისი საკუთრების მიტაცება და დაკავება, ცილისწამება, ფიზიკური ზიანის მიყენება (ხელის მოტეხა, კბილის ჩავდება და სხვ.), როსკიპობა, კონტრაბანდა, უსამართლო გამოსაღების აღება, მეფის მამულის ექსპლოატაციის წესების დარღვევა (უჯეროდ წყლის დინება, მწვანის გასასყიდად დათვისვა იქ, სადაც ეს აკრძალულია, ბატონის ცხენების დაკარგვა, შევარდნის ბუდეების მეთვალყურეობის წესების დარღვევა, ანგარიშების თავის დროზე წარუდგენლობა და სხვ.). ხშირი იყო „შეიდუღლად ანაზღაურება“; მრავალ შემთხვევაში დაწესებული იყო მტკიცე განაკვეთები ჯარიმის სახით.

¹ იხ. ნ. ქოიავა, საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკ. ცალკე ამონაბეჭდი, თბ., 1946 წ. ნ. ქოიავა, ფულის ტრიალი რუსთველის ეპოქის საქართველოში, ვნიშვის მოამბე, III, 1938 წ. არის ცალკე ამონაბეჭდი.

² იხ. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში, ცალკე ამონაბეჭდი, 1949 წ.

ქურდს ერთი შვიდად უნდა აენახლაურებინა მოპარული; იმ შემთხვევაში, თუ გამოტყდებოდა, ერთი ოთხად. თუ გაქურდული პიროვნება ეკუთვნოდა მაღალი წოდების წრეს, საზღაური მთლიანად მისი იყო. თუ გაქურდული პირი გლეხი იყო, ამ შემთხვევაში ნაწილი მიდიოდა ხაზინის სასარგებლოდ (ბატონისა და მოხელეების სასარგებლოდ).

ჯარიმა ფიზიკური ზიანის მიყენებისათვის ანუ გასამტეხლო შემდეგნაირად აიღებოდა: მისი გაღება ხდებოდა ორი პირის სასარგებლოდ— მოურავისა და ნაცვლისა. პირველი, როგორც წესი, ღებულობდა ხარს, ზოგ შემთხვევაში ძროხას, ხან ხუთ აბაზს ან 22 შაურს, ნაცვლის სარგო შეადგენდა ორი შაურიდან ორ აბაზამდე.

შედარებით მაღალია ჯარიმა მეფის მამულის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის. ასე, მაგალითად, უჯეროდ წყლის დინება ან გასასყიდად მწვანის დათესვა—12 მინალთუნი. ცხენის დაკარგვა ანაზღაურდებოდა ერთი შვიდად. არ შეეჩერდებოდა ჯარიმის სხვა განაკვეთებზე.

ამრიგად, ჯარიმა აიღებოდა ხაზინის სასარგებლოდაც. ჯარიმის ნაწილი ეკუთვნოდა ბატონს, ნაწილი მოხელეებს. ჯარიმა აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით. მეფეს უფლება ჰქონდა ეპატიებინა ჯარიმა: „ბატონი რომ გაუწყრეს ვისმე და ჯარიმა ჰსთხოვოს, თუ აპატივოს იასაული საიასაულოს მრთელს ნუ გამოართმევს, მესამედი გამოართმეას, მუშის ათის თავს იასაულოები ნუ აიღებენ; არც ყოფილა და ნურც აიღებენ“¹.

თავისებურ შემოსავალს წარმოადგენდა დარბევა. როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წინადადებით სოფლის მცხოვრებნი არ გამოდიოდნენ საზოგადოებრივ სამუშაოზე, ჩვეულებრივ, მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, სოფელი თავს ესხმოდა ამ კაცის სახლს, დამსხმელებს თან მიჰქონდათ მისი ქონება და ინაწილებდნენ მას. აქედან ნაწილს მოურავიც ღებულობდა,—წილის განსაზღვრა დამოკიდებული იყო მეფეზე.

მეფის სასარგებლოდ შემოდიოდა ბეთალმანი ქონებაც, ე. ი. მამული, რომელიც რჩებოდა უშვილო პატრონის სიკვდილის შემდეგ, პატრონი, რომელიც არ მოისურვებდა სხვა ნათესავებთან შეერთებას; მეფეს შეეძლო მისი მამულის გაჩუქება ვისზედაც მოისურვებდა².

მეფის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა ამა თუ იმ სახის ქონების რეალიზაციაც. შემოსავალთა შორის ჩვენ ვხედავთ ერთს თავისებურ შემოსავალს, მეფის სასახლეში დაგროვილი ტყავის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. ტყავის შემოსავალი იჯარით იყო გაცემული და, როგორც დასტურლამალიდან ჩანს, „ხან ოცს თუმნად, ხან ნაკლებად“ (გვ. 81). ეჭვი არ არის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ადგილი ექნებოდა მეფის მიერ თავისი ნატურალური შემოსავლის ნაწილის გაყიდვასაც.

გაჭირვების დროს მეფე მიმართავდა თავის განძს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პაპუნა ორბელიანის ცნობა: „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა

¹ დასტურლამალი, გვ. 42.

² სამართლის წიგნი, მუხ. 118.

თავისისა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში. მოაჭრევენეს ფლური და თეთრი და აძლევენენ ჯარისა. ცდილობდენ კიდევ შეყარასა ჯარისასა“¹.

ასეთი იყო მეფის სხვადასხვა სახის შემოსავალი, რომელშიც ფრიად მნიშვნელოვანი სახის შემოსავალსაც ვპოულობთ. ეს შემოსავალიც ნაწილობრივ ნატურალური, ნაწილობრივ ფულადი იყო.

ჯარიმა კახეთშიც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. ქურობისათვის ჯარიმა აქაც შეიღებულად აიღებოდა. ვასამტეხელო შეადგენდა ხარს მოურავის სასარგებლოდ და ზოგჯერ მარჩილს ბატონისა და მოურავის ნაცვლების სასარგებლოდ. ვასამტეხლო, რომელიც აიღებოდა ხუცესის გალახვისათვის ორ წილად ეკუთვნოდა ბატონს და ერთ წილად მოურავს. იმ შემთხვევაში, თუ ხუცესი ვალახვდა ვისმეს, სამართალი ბოდბელის იყო, „ბატონს საქმე არ აქვს, არც მოურავს“. საინტერესოა, რომ ჯარიმა აიღებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე თორმეტ წელზე მეტი იყო; თუ თორმეტი წლისა არ იყო, ჯარიმა არ გამოერთმეოდა: „სიღებით ვალახონ და გაუშონ“².

ნარბევს გაიყოფდა სოფელი იმ შემთხვევაში თუ ბატონი ან მოურავი იქ არ იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში ნარბევი საბაბრად ნაწილდებოდა ბატონის, მოურავისა და სოფელს შორის. ნარბევი არსებობდა არა მხოლოდ ქიზიყში, არამედ კახეთის სხვა ნაწილებშიც. მაგრამ ცნობა ვანაწილების შესახებ არ მოგვეპოვება. თუ ლაშქარს კაცი დააკლდებოდა, ნარბევის ორი წილი ბატონისა იყო, ერთი კი მოურავისა.

ფანჯიაქის ორი წილი ბატონისა იყო და ერთი მოურავისა.

ბეთალმანის ქონების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ ქიზიყის ბაქების ვარიებებში. იმ ადამიანის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც არავინ რჩებოდა, დარჩენილი საქონლის ნახევარი ეკუთვნოდა ბატონს და ნახევარი კი მკვდარს, ე. ი. იხარჯებოდა მის დასაფლავებაზე. მკვდარს თუ ქვრივი რჩებოდა, 2 წილი მკვდრისა იყო, ერთი წილი ქვრივისა და ერთიც ბატონისა; თუ ქვრივი გათხოვდებოდა და იმავე მამულში რჩებოდა, მაშინ არც მამული გამოერთმეოდა და არც საქონლის მეოთხედი. თუ მკვდარს ქალი რჩებოდა, მამულიცა და საქონელიც იმისი იყო; თუ იგი სხვაგან გათხოვდებოდა, საქონელი მას რჩებოდა და მამული კი ბატონს. „ვაყი რომ იყოს, არა მოეშლება რა“ (იქვე, მუხ. 15—17).

* * *

ეკლესია ფეოდალური ქართლის სახელმწიფოებრიობის განუყრელი ნაწილი იყო. ეკლესიის ფინანსები დაკავშირებული იყო მეფის ფინანსებთან.

¹ ამბავნი ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება, მე-2 გამოცემა ჭიჭინაძის მიერ, თბილისი, 1913, გვ. 195.

² საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 160, მუხ. 7.

ეკლესიის ფინანსები სამეფო კანონმდებლობის საგანიც იყო. ჩვენ ვერ ავუხვევთ გვერდს ეკლესიის ფინანსებს და მოკლედ მიიხსენიებთ შეგჩერდებით მასზე.

ეკლესია, როგორც ვთქვით, თვითონ მსხვილი მემამულე იყო. თავისი მამულიდან ეკლესია ღებულობდა ისეთივე შემოსავალს, როგორც ყოველი მემამულე, საეკლესიო გლეხის გამოსაღები დიდად არ განსხვავდებოდა სამეფო გლეხის გამოსაღებებისაგან; ღალა, კულუხი, ძღვენი, მასპინძლობა, ბეგარა, მოხელეების ჭმევა, ნახირისთავი, პირისთავი, საბალახე, — აი ის შემოსავალი, რომელსაც ღებულობს ეკლესია. ეკლესიის ტყითა და წყლით სარგებლობის წესებიც ისეთივე იყო, როგორც საერთოდ ქართლში.

ეკლესიის სამფლობელოშიც ჩვენ ვხვდებით გადასახადებს ბაჟების სახით. საბაჟო პუნქტი იმყოფებოდა მცხეთაში, რომელიც მრავალი გზის პირზე იყო. დრამა, ე. ი. გამოსაღები ეკლესიის სასარგებლოდ წარმოადგენდა საბოლოოდ ისევე პირდაპირ გადასახადს, რომელიც აიღებოდა სოფელზე, ჩვეულებრივ, სამწელიწადში ერთხელ და შეადგენდა 12 ლიტრა ხორბალს კომლზე და ხარს მთელ სოფელზე.

მისაგებელიდან ჩვენ ვხვდებით საქორწილოს, საქვრივოს. თავისებური საფასურია, არსებითად, გადასახადი, გამოსაღები, რომელსაც ღებულობს ეკლესია სხვადასხვა საიდუმლოთა შესრულების დროს.

ეკლესიასაც მოეპოვებოდა თავისი დამხმარე საწარმონი; არ ჩანს, არსებობდა თუ არა საწარმონი შემოსავლის მიღების მიზნით, რაც გამორიცხული არ არის. ცნობილია, რომ ეკლესია აწარმოებდა სასესხო ოპერაციებს და ესეც მას შემოსავალს აძლევდა¹.

სხვადასხვა შემოსავალში ჩვენ ვხვდებით ნადავლს, ბეითალმან ქონებას, ჯარიმას, და მასში გასამტეხლოსაც. ნარბეგს, საჩუქრებს ეკლესიის სასარგებლოდ სხვადასხვა წოდების პირთაგან, ეკლესია ღებულობდა საჩუქრებს როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების სახითაც.

ეკლესია თავის მამულის ვარგშედაც ღებულობდა შემოსავალს სხვადასხვა გადასახდელების სახით. ამ გადასახდელების აღებას ეკლესია ამართლებდა იმ სამსახურით, რომელსაც იგი ვითომ უწევდა ადამიანს. დრამის გვერდით არსებობდა გადასახადი ყოველი საიდუმლოებათა შესრულებისათვისაც.

ეკლესიის შემოსავალიც როგორც ნატურალური, ისე ფულადი იყო, მაგრამ კარბობდა ნატურალური შემოსავალი.

განაკვეთები მერყეობდა სოფლიდან სოფლამდე, ძირითადად იგი ისეთივე იყო, როგორც მეფის სახასოში.

ეკლესიის შემოსავალი ამით არ ამოიწურებოდა. სახელმწიფო მეფის სახით ფართოდ აფინანსებდა ეკლესიას. ეკლესია საჩუქრების სახით ღებულობდა მამულებს. იგი განთავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან,

¹ იხ. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში, ცალკე ამონაბეჭდი 1949 წ.

გარდა საურისა და ლაშქარ-ნადირობისა. იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა განთავისუფლება ლაშქარ-ნადირობიდან და უფრო იშვიათ შემთხვევაში საურისაგან. მამულის ჩუქებას ეკლესიისათვის, როგორც წესი, მოჰყვებოდა განთავისუფლება ყველა გადასახდელისაგან, გარდა ზენოთ აღნიშნულისა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ გაჩუქებული გლეხი, მას შემდეგ, რაც იგი გადადიოდა ეკლესიის ხელში, ფეოდალური ხასიათის გამოსაღებებს გაიღებდა ეკლესიის სასარგებლოდ (მაგ., ღალას, კულუხს, ბეგარას), მიუხედავად ამისა, საეკლესიო გლეხის საგადასახდლო ტვირთი მაინც უფრო მცირე იყო, ვიდრე სახასო და საბატონო გლეხისა, რამდენადაც იგი თავისუფალი იყო ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადისაგან. მართალია, ხშირად გაჩუქებულ გლეხს ევალებოდა სააღაპო გამოსაღები ეკლესიისათვის, მაგრამ ეს გამოსაღები მაინც უფრო მცირე იყო, ვიდრე ის გადასახადები, რომელნიც მას მეფისათვის უნდა ეძლია.

ეკლესია ლებულობდა ანარიცხებს სამეფო შემოსავლიდან და ზოგჯერ ზედნართიც არსებობდა სამეფო შემოსავალზე.

ეკლესიის ცალკე წარმომადგენლები ლებულობდნენ მტკიცე ჯამაგირსაც კი.

ეკლესიასაც თავისი ხარჯები ჰქონდა; იგი არ იყო თავისუფალი სამხედრო ხარჯებისაგან, რამდენადაც იგი არ იყო თავისუფალი ლაშქრობისაგან.

ეკლესიებისა და მონასტრების აგება, მოწყობა, შენახვა, საეკლესიო პერსონალის შენახვა, როგორც სასულიეროსი (კათალიკოსი, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები და სხვ.), ისე საეროსი (მოურავი, ნაცვალი და სხვ.) მოითხოვდა საგრძნობ ხარჯებს.

ეკლესიას სამეურნეო ხარჯებიც ჰქონდა, რამდენადაც იგი მემამულე იყო. ბოლოს, ნუ დაგვაფიწყდება, რომ იმ დროს, განსაკუთრებით სტამბის და სემინარიის დაარსებამდე, ეკლესია იყო სწავლა-განათლების გამავრცელებელი და ესეც მოითხოვდა გარკვეულ ხარჯებს.

ეკლესიაც, თავის ნებით, ასაჩუქრებდა მის წინაშე დამსახურებულ პირებს.

არავითარ არსებითს განსხვავებას კახეთისა და ქართლის ეკლესიის ფინანსებში აღვილი არ ჰქონდა.

* * *

ჩვენ გავაშუქეთ იმდროინდელი კახეთის ფინანსების საკითხები იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს შესაძლებელი იყო ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების საფუძველზე. მაგრამ ის, რაც მოგვეპოვება, ცხადყოფს იმას, რომ კახეთის ამ პერიოდის ფინანსები ძირითადად ქართლის ფინანსების მსგავსი იყო; ეს ვახსენებთ არის: მრავალი საუკუნის განმავლობაში ისინი ერთი სახელმწიფოს ნაწილი იყვნენ და მხოლოდ დროებით სცილდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო დაცილების დროსაც კა მტკიცე ურთიერთობას იჩენდნენ.

კახეთისა და ქართლის ფინანსების ის ნაწილი, რომელიც ნათლად მოჩანს, მსგავსია ერთმანეთისა. უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსია ის ნაწილიც, რომელიც არ მოჩანს ნათლად. მსგავსება არ გამორიცხავს ზოგიერთ განსხვავებას. აღსანიშნავია, რომ ქართლში ჩვენ არ ვხვდებით ზოგიერთ გადასახადს, რომელსაც ვხვდებით კახეთში¹.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსებისა და კრედიტის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954 წ. X. 25)

Н. Коява

Финансы Картли и Кахети в XVIII веке (1701—1761 г.)

В Картли и Кахети первой половины XVIII века царские финансы являются государственными финансами. В нашей работе финансы Картли и Кахети в XVIII веке (1701—1762 г. г.), опубликованной в 1954 г. в 55 томе Трудов Тбилисского государственного университета им. Сталина, мы осветили государственные расходы и доходы царя Картли от доменов в виде отработочной, продуктовой и денежной ренты. Данная статья занимается остальными царскими доходами.

В Картли среди царских доходов мы встречаем доходы от немногочисленных монополий, напр. от водочной монополии. Широко используются внутренние пошлины. Пошлины взимаются в определенных пунктах как с ввозимых, так и вывозимых товаров, как с товаров отечественного, так и с товаров иностранного происхождения. Пошлины были ценностные и специфические, натуральные и денежные. Все они были установлены односторонне, конвенционных пошлин не существовало.

К прямым налогам того времени надо отнести воинскую повинность и охоту, которая по существу являлась военным занятием. В списке налогов того времени встречаем: кодис-пури, мали, саури и др. Привилегированное сословие налогов не платило. Налоги платило как

¹ მაგ. „ორ წელიწადში ერთხელ ორის წლის ძროხა“ და სხვ. ნ. ქ.

сельское, так и городское население. Были налоги, которые платило только сельское население, но не было таких налогов, которое платило только городское население, что надо объяснить слабым развитием городской жизни. Существовали и целевые налоги, напр. налог для проведения переписи населения. Налоги делились на натуральные и денежные. По нашим расчетам удельный вес денежных налогов был выше, чем натуральных. В основу обложения были положены „душа“ или „дым“. Почти все налоги были окладные. Налоговое законодательство предусматривало различные льготы. Обложение было весьма неравномерным, поскольку не учитывался реальный доход плательщика налога.

Видное место в царских доходах занимали многочисленные пошлины: за чекан монеты, весовой сбор, судебные, нотариальные и др.

У царя было несколько мелких предприятий: серные бани, типография и др.

К доходным источникам царя относятся военные трофеи, подарки, штрафы, реализация имущества и др.

Постоянный дефицит вынуждал царя прибегать к порче монеты (с начала XVIII века и до шестидесятых годов того же века вес абаза уменьшился с 7,3 грамм до 3,0 грамм) и займам у своих подданных.

Сведений об объеме бюджета пока не имеется.

Изучение материалов, касающихся Кахети, приводит к тому заключению, что доходные источники Кахети аналогичны доходным источникам Картли.

3. აღვადი

**მაგნიტური ლინზების პრინციპის როლი საკოლმეურნეო
ნარკოზის განვითარებაში¹**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის დიდი პროგრამა. დიდი ამოცანებია დაყენებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე. 1960 წლისათვის მარცვლეულის ყოველწლიური წარმოება აყვანილ უნდა იქნეს 11 მილიარდ ფუთამდე; 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ხორცის წარმოება უნდა გადიდდეს 2-ჯერ, რძისა — 95%-ით, მატყლისა 82%-ით, კვერცხისა — 154%⁰-ით და ა. შ.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწეული დონე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ბოლო წლებში მიღებულ დადგენილებებში მოცემულია სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენის მიზეზების ანალიზი და დასახულია ღონისძიებანი ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მთლიანად სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. ამ ღონისძიებათა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს წარმოების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრულ გატარებას.

* * *

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის რომ „... წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“²; მაგრამ როგორც არ უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმა, მის მუდმივ ფაქტორებად რჩებიან მუშები და წარმოების საშუალებანი; მათი შეერთება გვაძლევს წარმოებას. ამ შეერთების ხასიათი და წესი ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციას.

საწარმოო ძალთა განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებებთან სამუშაო ძალის შეერთების ხასიათს, რადგან იგი

¹ სტატიაში გადმოცემულია ავტორის სადისერტაციო ნაშრომის „მატერიალური დაინტერესების პრინციპის როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში (საქართველოს სსრ თელავის რაიონის ხუთი კოლმეურნეობის მაგალითზე)“ მთავარი შინაარსი.

² კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953. გვ. 262.

განსაზღვრავს მუშაკის მდგომარეობას წარმოებაში და, მაშასადამე, მისი შემოსავლის მიღების წესსა და ოდენობასაც, რაც თავის მხრივ აგრეთვე განსაზღვრავს მუშაკის დამოკიდებულებას წარმოებისადმი, შრომისადმი, მის დაინტერესებას თუ დაუინტერესებლობას წარმოების განვითარებით და საერთოდ—შრომის შედეგებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი კვლავწარმოების პროცესს იხილავს როგორც წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ერთიანობას. ამ ერთიანობაში განმსაზღვრელია წარმოება, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვა დანარჩენს და კერძოდ განაწილების წესს. მაგრამ განაწილება პასიური შედეგი არ არის წარმოებისა. ჩამოყალიბებული განაწილების სისტემა თავის მხრივ აქტიურ ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე, „განაწილება,—აღნიშნავს ვ. ი. ლენინი,—არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება“.¹

განაწილება სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში სხვადასხვა ეკონომიურ კანონს ექვემდებარება და ამიტომ სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენს წარმოებაზე იმის მიხედვით, თუ როგორ სტიმულს აძლევს იგი უშუალო მწარმოებლებს, რამდენად ქმნის იგი მათ მატერიალურ დაინტერესებას წარმოების, შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

სოციალიზმამდე არსებულ კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებებში, სადაც გაბატონებული იყო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, წარმოების შედეგებიც მიითვისებოდა წარმოების საშუალებათა მესაკუთრეების მიერ, უშუალო მწარმოებლებს კი—მხოლოდ საარსებო მინიმუმი ეძლეოდათ, ამიტომ არ არსებობდა მათი ნამდვილი მატერიალური დაინტერესება წარმოების განვითარებით.

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობით და აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით, სოციალიზმის დროს შრომამ დაკარგა იძულებითი ხასიათი, როგორც ის იყო კაპიტალიზმის დროს, იქცა თავისუფალ, შემოქმედებით შრომად, შრომად თავისთვის, თავისი საზოგადოებისათვის. შეიქმნა უდიდესი იდეური სტიმულები შრომაში ადამიანთა ჩაბმისათვის. მაგრამ მხოლოდ იდეური სტიმულებით (თუმცა ისინი დიდ როლს თამაშობენ) სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ შეუძლებელია მილიონობით ადამიანთა ჩაბმა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, მათი დაინტერესება წარმოების განვითარებით, რადგან სოციალიზმის დროს შრომა საზოგადოების ყველა წევრისათვის არ გამხდარა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად, იგი საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე, უპირველეს ყოვლისა, არსებობის საშუალებაა.

სოციალისტური წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია იდეური სტიმულებთან ერთად მატერიალური სტიმულების გამოყენებაც—წარმოების

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32. გვ. 572.

განვითარებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესება. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მხოლოდ რევოლუციურ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, პირადი მატერიალური დაინტერესების გარეშე, შეუძლებელია კომუნისმთან მრავალი ათეული მილიონი ადამიანის მიყვანა. ამასთან მხოლოდ სოციალიზმი ქმნის წარმოების განვითარებით მშრომელთა ნამდვილ მატერიალურ დაინტერესებას, ხოლო თავიანთი შრომის შედეგებით საწარმოთა და თვითეული მუშაკის მატერიალური დაინტერესების პრინციპი წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური წარმართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და მას იყენებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თავიანთ სამეურნეო პოლიტიკაში როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ისე სოციალიზმისა და სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობითი გადასვლის მთელს პერიოდში. ამ პრინციპის გამოყენება უშუალოდ გამომდინარეობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნებიდან.

შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოთხოვნაა—მოხმარების საგნების განაწილება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ისე, რომ წარმოების მუშაკმა, რომელიც მეტსა და ხარისხიანად შრომობს მიიღოს მეტი მოხმარების საგნები, მეტი მატერიალური დოვლათი. რამდენადაც აქ თვითეული მუშაკის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მისი მუშაობის შედეგებით და თვითეულის პირადი კეთილდღეობის ზრდის წყაროდ გამოდის მისი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლება, იმდენად შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონის მოქმედება ქმნის მუშაკთა პირად მატერიალურ დაინტერესებას წარმოების განვითარებაში. თვითეული ცდილობს აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, საზოგადოებას მისცეს მეტი შრომა, რათა მიიღოს მისგან შესაბამისად დიდი ანაზღაურება. ამას უპასუხებს შრომის მიხედვით განაწილება. შრომის მიხედვით განაწილება უზრუნველყოფს იმას, რომ განაწილება ხდება სოციალისტური წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საზოგადოებრივ შრომაში მილიონობით ადამიანთა ჩაბმის საშუალება.

შემდეგ, წარმოების განვითარებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის გამოყენების უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოების მუშაკებს ახალისებს თავიანთი პირადი შემოსავლისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდების მიზნით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გამოავლინონ და განავითარონ მთელი თავიანთი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობანი. ამით საზოგადოებასაც შესაძლებლობა ეძლევა თვითეული მისი წევრისაგან მიიღოს მაქსიმუმი იმისა, რის მოცემაც მათ შეუძლიათ.

ამრიგად, მატერიალური დაინტერესების პრინციპის გამოყენება როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე პიროვნებისათვის ობიექტურად აუცილებელია, შეესაბამება ორივეს ინტერესებს და მისი თანმიმდევრული გატარება უზრუნველყოფს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორ შეხამებას.

მატერიალური დაინტერესების პრინციპი სახელმწიფო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში სხვადასხვა ფორმით ხორციელდება; ეს განპირობებულია სოციალისტური საკუთრების ორ ფორმას შორის არსებული განსხვავებით. სახელმწიფო საწარმოებში ეს პრინციპი ძირითადად სამეურნეო ანგარიშისა და ხელფასის მეშვეობით, ხოლო კოლმეურნეობებში—შრომადლისა და რიგი სხვა ბერკეტების მეშვეობით ხორციელდება.

პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპს ეწინააღმდეგება მოხმარების საგნების გათანაბრებითი განაწილება; უფრო ნაყოფიერ და ნაკლებნაყოფიერ, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ, მძიმე და მსუბუქე შრომას შორის არსებობს განსხვავება, ამიტომ მათი შრომის შედეგები სხვადასხვაა, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შრომის ანაზღაურების დროს. განაწილებაში გათანაბრება ახშობს რა თავიანთი შრომის შედეგებით მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას, აფერხებს, ამუხრუქებს სოციალისტური წარმოების წინსვლა-განვითარებას. ამიტომ კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადაჭრით იბრძოდა და იბრძვის განაწილებაში წვრილბურჟუაზიული გათანაბრების წინააღმდეგ.

კომუნისმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლასთან ერთად მატერიალური დაინტერესების როლი წარმოების განვითარებაში კი არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება. პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა თანმიმდევრულად განვახორციელოთ მუშაკების პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რომელიც სოციალისტური წარმოების განუხრელი ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, როცა მოხმარების საგნები განაწილდება საზოგადოების წევრთა მოთხოვნილების მიხედვით, ე. ი. როცა საწარმოო ძალთა, წარმოებით ურთიერთობათა და მშრომელთა კულტურული დონე უმაღლეს საფეხურზე იქნება აყვანილი, დაკარგავს თავის მნიშვნელობას მატერიალური დაინტერესების პრინციპი. აღამიანები იშრომებენ არა იმიტომ, რომ მათ ამ შრომით და ამ შრომის შესაბამისად მიიღონ მოხმარების საგნები, არა იმიტომ რომ მოიპოვონ უფლება განსაზღვრული პროდუქტების მიღებისა, არამედ იმიტომ, რომ შრომა მაშინ გადაქცეული იქნება მათ პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

* * *

მატერიალური დაინტერესების პრინციპი უდიდეს როლს თამაშობს საკოლმეურნეო წარმოებაში.

საკოლმეურნეო წარმოება სოციალისტური სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. კოლმეურნეობანი თავიანთ საქმიანობას ანხორციელებენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთმოქმედებაში. საკოლმეურნეო წარმოების პროდუქცია კოლმეურნეობათა საკუთრებაა. ამ პროდუქციის ნაწილი უნდა მიიღოს სახელმწიფომ სურსათით მოსახლეობისა და ნედლეულით მსუბუქი და კვების მრე-

წველობის უზრუნველსაყოფად. თვით კოლმეურნეობებში კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს აქ შექმნილი პროდუქციის ნაწილის გასხვისებას. ეს განპირობებულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილებითა და ამ პროდუქციაზე საკოლმეურნეო საკუთრების არსებობით. გაცვლა წარმოების ორ სექტორს შორის ხორციელდება ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით; ე. ი. სასაქონლო ურთიერთობის სახით. ამ ურთიერთობაში საბჭოთა სახელმწიფო იყენებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისა და სრულყოფისადმი კოლმეურნეობათა, როგორც სამეურნეო ერთეულთა მატერიალური დაინტერესების პრინციპს.

კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის უდიდესი ნაწილი სალდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებების გზით, როგორცაა: სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებანი, კონტრაქტაცია, სახელმწიფო შესყიდვები, მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურება.

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების სახელმწიფო დამზადებებმა უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდა გაფართოებული კვლავწარმოების ბაზაზე, კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესება წარმოების გადიდებით. აგრეთვე კოლმეურნეობათა მონაწილეობა საზოგადოებრივი საკიროების ხარჯებში, რომელსაც სახელმწიფო ეწევა, ე. ი. საკოლმეურნეო წმინდა შემოსავლის ნაწილის გადასვლა სახელმწიფოს ხელში. ეს ხორციელდება ფასების საბჭოთა პოლიტიკის მეოხებით.

სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებანი ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ფორმაა. მას გააჩნია თავისებურებანი, რაც შემდეგში მდგომარეობს: საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის ეს ნაწილი მიეყიდება მხოლოდ სახელმწიფოს; ამასთან ეს მიეყიდვა სავალდებულოა, გადასახადის ძალა აქვს, თუმცა გადასახადი არ არის, რადგან „გადასახადი ნიშნაუს იმას, რასაც სახელმწიფო იღებს მოსახლეობისაგან სრულიად აუნაზღაურებლად“. ¹ სახელმწიფო კი კოლმეურნეობებს უხდის სახელმწიფო გეგმით განსაზღვრულ ფასს. ამავე დროს ეს ფასი მნიშვნელოვნად დაბალია როგორც სახელმწიფო შესყიდვის, ისე საკოლმეურნეო ბაზრის ფასებზე; სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებათა წესით პროდუქციის მიეყიდვა ხორციელდება განსაზღვრული მტკიცე ნორმებით (კოლმეურნეობაზე მიმავრებული მიწის ფართობის მიხედვით) და წინასწარ დადგენილ ვადებში.

სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებათა მეშვეობით ხდება უმთავრესად საკოლმეურნეო წმინდა შემოსავლისა და დიფერენციული რენტის ნაწილის გადასვლა სახელმწიფოს ხელში. ეს ხორციელდება იმით, რომ სავალდებულო ჩაბარებათა წესით დასამზადებელ პროდუქტებზე დადგენილია იმაზე დაბალი ფასები, ვიდრე მათი საზოგადოებრივი ღირებულებაა, აგრეთვე იმით, რომ დაწესებულია სავალდებულო ჩაბარებათა მაღალი ნორმები ისეთი კოლმეურ-

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 358.

ნეობებისათვის, რომელთაც უკეთესი ხარისხის მიწები გააჩნიათ, ან რომელთა მიწები ახლოს მდებარეობენ გასაღების პუნქტებთან.

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა პექტარობრივ პრინციპზე გადასვლამ, რაც 1940-1941 წლებში განხორციელდა, შექმნა კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესება წარმოების გადიდებით, მიწის, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ მთავარი საშუალების მაქსიმალური ეფექტური გამოყენებით. კერძოდ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებანი:

1. სავალდებულო ჩაბარებანი იზღუდება მტკიცე ნორმებით, რაც არ იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდასთან ერთად და უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა ხელში მთლიანი პროდუქციის უდიდესი ნაწილის დარჩენას. ასე მაგალითად, თელავის რაიონის კოლმეურნეობებში 1955 წელს სავალდებულო ჩაბარებას მთლიან პროდუქციაში ეკავა: მარცვლეულისა 1,2%, რძისა 33,4% და ა. შ.

2. იმ პროდუქციაზე, რომელზეც სავალდებულო ჩაბარებანი ვრცელდება დაწესებულია ფასების ორადი სისტემა: სავალდებულო ჩაბარებათა ფასები და მათზე მაღალი შესყიდვის ფასები. სავალდებულო ჩაბარებათა მტკიცე ნორმებით შეზღუდვა კოლმეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს გაყიდონ თავიანთი ნამატი პროდუქცია შესყიდვისა და აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრის მაღალ ფასებში, რადგან სავალდებულო ჩაბარებანი არ მოიცავენ კოლმეურნეობათა მთელ სასაქონლო პროდუქციას.

3. სავალდებულო ჩაბარებანი ეხება უმთავრესად ძირითად სასურსათო პროდუქტებს, რომელთა მოხმარება შეიძლება და მოიხმარება კიდევ ნატურალური ფორმით თვით წარმოების ადგილზეც, კოლმეურნეობებში, და რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება კოლმეურნეობის შიგნით სხვადასხვა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გასასხვისებლად და შრომადღებზე გასანაწილებლად. ასე მაგალითად, თელავის რაიონის კოლმეურნეობებში სავალდებულო ჩაბარების, ნატურალური და სხვ. შესრულების შემდეგ საშუალოდ მარცვლეულის მთლიანი მოსავლის $\frac{1}{5}$ -მდე რჩება კოლმეურნეობის შიგნით და $\frac{1}{2}$ -მდე ნაწილდება შრომადღებზე. კოლმეურნეობებში დაინტერესებულნი არიან მეტი პროდუქციის წარმოებით, რათა უფრო მეტი დარჩეს მათ განკარგულებაში სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების შემდეგ.

ამიტომ კოლმეურნეობებისათვის იმ პროდუქტების წარმოების ხელსაყრელობა, რომლებზედაც სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებანი ვრცელდება, განხილულ უნდა იქნეს მთლიანი პროდუქციისა და არა მხოლოდ იმ ნაწილის მიმართ, რომელიც სავალდებულო ჩაბარებათა წესით მზადდება. ამ პროდუქციის განაწილება გვიჩვენებს, რომ აქაც უზრუნველყოფილია ამ პროდუქციის წარმოების გადიდებაში კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესება. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში 1955 წელს 1945 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება 2,2-ჯერ და მეტად გადიდდა.

მრუხედავად სავალდებულო ჩაბარებათა ჰექტარობრივი პრინციპის უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, ადგილი ჰქონდა მის დარღვევებს, მოწინავე კოლმეურნეობებისათვის გაზრდილი ნორმების დაწესებას. ამის შესახებ აღინიშნა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე და იგი მკაცრად დაგმობილ და აღკვეთილ იქნა.

მარცვლეულის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების ზრდისათვის დიდმნიშვნელოვანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით 1954 წლის მოსავლიდან დაწყებული მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების მოქმედი ნორმების შემცირება და გაზრდილ ფასებში ამ კულტურების სახელმწიფო შესყიდვის გადიდება. მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმა თელავის რაიონის კოლმეურნეობებს 69,9⁰/₀-ით შემცირდა. ამის შედეგად შემცირდა სავალდებულო ჩაბარებათა წესით რაიონის კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა 1954 წელს 1953 წელთან შედარებით—58,8⁰/₀-ით.

უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, რომელიც ზრდის კოლმეურნეობათა მატერიალურ დაინტერესებას მარცვლეულის წარმოების გადიდებით, წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 ივლისის დადგენილება მარცვლეული კულტურების დამზადებისა და შესყიდვის ფასების გადიდების შესახებ. საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორბლის სავალდებულო ჩაბარების ფასები გადიდდა 83⁰/₀-ით, სიმინდისა—თითქმის 2,2-ჯერ და ა. შ.

1940-1941 წლებში მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების ჰექტარობრივ პრინციპზე გადასვლამ შექმნა კოლმეურნეობათა მძლავრი მატერიალური დაინტერესება მეცხოველეობის განვითარებით. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1953 წელს 1945 წელთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ გადიდდა ცხვრისა და თხისა—2-ჯერ და მეტად, ღორისა—3-ჯერ და მეტად.

ამის შედეგად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. კერძოდ სავალდებულო ჩაბარებათა წესით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება თელავის რაიონის კოლმეურნეობებში 1952 წელს 1945 წელთან შედარებით გადიდდა ხორცისა—140,1⁰/₀-ით, რძისა—62⁰/₀-ით, მატყლისა—325/6⁰/₀-ით.

ამის გამო გაიზარდა სავალდებულო ჩაბარებათა ხვედრითი წონა კოლმეურნეობათა მეცხოველეობის მთლიან და სასაქონლო პროდუქტიაში. 1954 წელს იგი უდრიდა ხორცის მთლიან პროდუქტიაში—34,8⁰/₀-ს, რძის მთლიან პროდუქტიაში—23,2⁰/₀-ს, მატყლის მთლიან პროდუქტიაში—96⁰/₀-ს. სასაქონლო პროდუქტიაში: ხორცის—35,8⁰/₀-ს, რძის—44,1⁰/₀-ს, მატყლის—98,3 პროცენტს.

რაც უფრო დიდი რაოდენობით ბარდება საკოლმეურნეო წარმოების ამა თუ იმ სახის პროდუქტია სავალდებულო ჩაბარებათა წესით და რაც უფ-

რო დიდი ხვედრითი წონა უჭირავს მას კოლმეურნეობათა ამ სახის მთლიან და სასაქონლო პროდუქციაში, მით უფრო მეტი ზომით განსაზღვრავს სავალდებულო ჩაბარებებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი ამ სახის პროდუქციის წარმოების ხელსაყრელობას კოლმეურნეობებისათვის, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება აქ სავალდებულო ჩაბარებათა ფასებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის რიგი მნიშვნელოვანი დარგები ჩამორჩნენ, რაც გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, ამ დარგების განვითარებაში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის დარღვევით და რაც გამოიხატებოდა პირველ რიგში ამ დარგების პროდუქციაზე დამზადების ფასების დაბალი ღონით. ეს ეხებოდა პირველ ყოვლისა, მეცხოველეობას. მეცხოველეობაში დახარჯულ თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ბევრად ნაკლებ ფულად შემოსავალს იღებდნენ, ვიდრე სხვა დარგებში დახარჯულ ერთ შრომადღეზე. ასე მაგალითად, თელავის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ 1952 წელს მევენახეობაში დახარჯულ თვითეულ შრომადღეზე კონტრაქტაციის წესით ყურძნის რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 33,5 მანეთი, მაშინ როდესაც მეცხოველეობაში დახარჯულ თვითეულ შრომადღეზე მეცხოველეობის პროდუქტების ყველა სახის რეალიზაციიდან ამავე წელს მიღებულ იქნა მხოლოდ 6,7 მანეთი.

მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ღონისძიებანი დასახეს. კერძოდ დამზადების ხაზით: გადიდა მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა და შესყიდვის ფასები. პირუტყვისა და ფრინველის სავალდებულო ჩაბარებათა ფასები 5,5-ჯერ და მეტად გადიდა. რძისა და ერბო-კარაქისა—2 ჯერ; ხორცის შესყიდვის ფასები საშუალოდ 30%-ით, ხოლო რძისა 1,5-ჯერ გაიზარდა; კვლავ ხაზგასმულ იქნა მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა მუდმივი ჰექტარობრივი ნორმების დაცვის აუცილებლობა; კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ სავალდებულო ჩაბარებათა წარსული წლების მთელი დავალიანება და სხვ.

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა ფასების გადიდება ნათლად აისახა კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალზე. თელავის რაიონის კოლმეურნეობების მიერ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებებიდან 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 122,6 პროცენტით მეტი ფულადი შემოსავალი იქნა მიღებული.

* * *

სავალდებულო ჩაბარებანი მტკიცე ნორმებითაა შეზღუდული და უზრუნველყოფილია საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის ნამეტის დარჩენა კოლმეურნეობათა განკარგულებაში. ასეთ პირობებში სახელმწიფო შესყიდვების არსებობა უმნიშვნელოვანესი ბერკეტია წარმოების გადიდებით კოლ-

მეთურნობათა მატერიალური დაინტერესების საქმეში, რადგან სახელმწიფო შესყიდვის ფასები მნიშვნელოვნად მაღალია სავალდებულო ჩაბარებათა ფასებზე.

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვების ისე, როგორც სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებანი ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფორმა და უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მისი მეშვეობით სახელმწიფო იღებს დამატებით სანედლეულო და სასურსათო რესურსებს.

სავალდებულო ჩაბარებათა ფასებთან შედარებით სახელმწიფო შესყიდვების მაღალი ფასების მიუხედავად თელავის რაიონის კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში სახელმწიფო შესყიდვებს ბოლო წლებამდე მცირე ხვედრითი წონა ეკავათ. ეს გამოიწვეული იყო იმით, რომ შესყიდვის ფასები მაინც დაბალ დონეზე რჩებოდნენ. არ არსებობდა დასაქონლების სისტემა შესასყიდი პროდუქციის ანგარიშზე, აგრეთვე ავანსირება; ირღვეოდა სავალდებულო ჩაბარებათა პექტარობრივი ნორმები, რაც მოწინავე კოლმეურნეობებს შესაძლებლობას უკარგავდა მოეხდინათ თავიანთი ნამეტი პროდუქციის რეალიზაცია სახელმწიფო შესყიდვის ფასებში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ბოლო წლებში ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს, რამაც გამოიწვია კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების ზრდა წარმოების გადიდებაში და სახელმწიფოსათვის ნამეტი პროდუქციის მიყიდვაში. კერძოდ: გადიდდა შესყიდვის ფასები; მოხდა გადასვლა შესყიდვების ხელშეკრულებით სისტემაზე; საკოლმეურნეო წარმოების რიგი პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც მოჰყვა კოლმეურნეობათა განკარგულებაში ნამეტი პროდუქციის ზრდა; შემოღებულ იქნა შესასყიდი პროდუქტების ანგარიშზე კოლმეურნეობათა ავანსირება, აგრეთვე დასაქონლება სამრეწველო საქონლით. ყოველივე ამის შედეგად გაფართოვდა საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები და გადიდდა კოლმეურნეობათა მიერ შესყიდვებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი. თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი სახელმწიფო შესყიდვებიდან, უკვე 1953 წელს 1950 წელთან შედარებით, 180%-ით გადიდდა. შესყიდვების ფართოდ გაშლაში დიდ როლს ასრულებს სამრეწველო ნაწარმით კოლმეურნეობათა დასაქონლება, უმთავრესად ამის მეშვეობით იღებენ კოლმეურნეობები მათთვის საჭირო საწარმოო დანიშნულების საქონელს.

1955 წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებში შესყიდვის წესით დამზადდა სულ სავალდებულო ჩაბარებათა, შესყიდვების და ნატურანაზღაურების წესით დამზადებული ხორცის 46% და რძის—38,4%; ხოლო რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი შესყიდვებიდან გადიდდა 1953 წელთან შედარებით 1954 წელს 140,5%-ით და 1955 წელს—270,9%-ით. შესყიდვებიდან მიღებული ფულადი შემოსავლის ხვედრითი წონა რაიონის

კოლმეურნეობათა მთელს ფულად შემოსავალში 1950 წლის 1,6% იდან გაიზარდა 8,6%-დე 1955 წელს.

* * *

თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ძირითადი დარგის—მევენახეობის პროდუქცია—ყურძენი კონტრაქტაციის წესით მზადდება. აქ ყურძნის წარმოების გადიდებისა და კონტრაქტაციის წესით მისი გაყიდვით კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების საშუალებაა, პირველ ყოვლისა, ყურძნის დამზადების საკონტრაქტაციო ფასები, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა მაღალ ფულად შემოსავალს. ამ მხრივაც დიდმნიშვნელოვანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება „ხილის, კენკრის და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“. ამ დადგენილებით ამიერიდან ხილის, კენკრის, ყურძნის და სხვ. დამზადება წარმოებს იმ ფასების მიხედვით, რომლებიც წარმოიქმნება საკოლმეურნეო ბაზრებზე დამზადების ადგილებში. ეს კიდევ უფრო გაზრდის კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს და მამასადავს, მათ დაინტერესებას წარმოების გადიდებაში.

ყურძნის მთელი მოსავალი არ შეადგენს სასაქონლო პროდუქციას. ყურძნის ნაწილი (ამასთან მნიშვნელოვანი ნაწილი) კოლმეურნეობის შიგნით გადაამუშავდება, ან ნაწილდება შრომადღებზე. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში ყურძნის სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონა მის მთლიან პროდუქციაში იზრდება; 16,7%-დან 1940 წელს ავიდა 47,3%-დე 1954 წელს.

ყურძნის წარმოების გადიდებითა და კონტრაქტაციის წესით მის გაყიდვაში კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების შემდეგი მნიშვნელოვანი ბერკეტებია ჯილდო—წანამატების, ე. ი. პრემიების და ფულადი ავანსების სისტემა.

პრემიები გაიცემა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის ზევით ჩაბარებული ყურძნისათვის. 10%-მდე გადაჭარბებისას დამზადების ფასი იზრდება 20%-ით და 10%-ზე მეტი გადაჭარბებისას—50%-ით. პრემიები თელავის რაიონის კოლმეურნეობებში არ ატარებენ სისტემატურ ხასიათს, რაც გამომდინარაობს იქიდან, რომ ყურძნის გადაამუშავება კოლმეურნეობაშიც ხდება, ზეგვემითი ჩაბარება კი იზრდება უხეშმოსავლიან წლებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებით კოლმეურნეობებზე ფულადი ავანსები გაიცემა დასამზადებელი პროდუქციის საერთო ღირებულების 50%-ის ოდენობით (ნაცვლად 25%-ისა, რაც მანამდე იყო დაწესებული). აქედან 25% ამ პროდუქციის დამზადებაზე ხელშეკრულების დადებისას და 25% მას შემდეგ, რაც გამოირკვა თუ რა პირი უჩანს მოსავალს. ავანსები და მისი გაცემის ასეთი წესი ხელსაყრელია კოლმეურნეობებისათვის. ეს მათ უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით წლის განმავლობაში, მაშინ როცა მათი პროდუქცია მიიღება მხოლოდ წლის ბოლო თვეებში.

წარმოების გადიდებით კოლმეურნობათა მატერიალური დაინტერესების ზემოდ აღნიშნულ ღონისძიებათა თანმიმდევრული გატარების შედეგად დიდი წარმატებანია მიღწეული საკოლმეურნეო მევენახეობის განვითარების საქმეში, რაც გამოიხატება ვენახის ფართობის გადიდებასა, ყურძნის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის ზრდაში. თელავის რაიონის კოლმეურნობებში ვენახის ფართობი 1955 წელს 1945 წელთან შედარებით გადიდდა 80,4%-ით, ყურძნის საერთო მოსავალი იმავე პერიოდში 263,1%-ით, ხოლო მისი მოსავლიანობა 1954 წელს 1940 წელთან შედარებით 5 ჯერ და მეტად. ყოველივე ამის შედეგად რაიონის კოლმეურნობებში გაიზარდა ყურძნის სასაქონლო პროდუქცია 1955 წელს 1945 წელთან შედარებით—8,4-ჯერ და მეტად.

სისტემატურად იზრდება კოლმეურნობათა ფულადი შემოსავალი ყურძნის რეალიზაციიდან. როგორც ყურძნის სასაქონლო პროდუქციის ზრდის, ისე დამზადების ფასების გადიდებითა და კოლმეურნობათა მიერ პრემიების მიღების შედეგად თელავის რაიონის კოლმეურნობათა ფულადი შემოსავალი კონტრაქტაციის წესით ყურძნის რეალიზაციიდან გადიდდა 1955 წელს 1945 წელთან შედარებით თითქმის 17-ჯერ, ხოლო მევენახეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის ხვედრითი წონა რაიონის კოლმეურნობათა მთლიან ფულად შემოსავალში 1940 წლის 10%-დან ავიდა 61,4%-მდე 1955 წელს.

მევენახეობის განვითარებაში კოლმეურნობათა მატერიალური დაინტერესების შემდგომი ზრდისათვის მიზანშეწონილია ყურძნის მწარმოებელ კოლმეურნობათა დასაქონლება სამრეწველო საქონლით, მით უმეტეს რომ ამჟამად არა მხოლოდ ტექნიკური კულტურების მწარმოებელ კოლმეურნობების დასაქონლება ხდება, არამედ აგრეთვე იმ კოლმეურნობებისაც, რომლებიც შესყიდვის შესახებ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით ყიდთან მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციას.

ყურძნის დამზადების საკონტრაქტაციო ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლმეურნობებისათვის ავანსის მიცემას იმ მიზნით, რომ კოლმეურნობა ამ თანხას ახმარდეს ვენახების მოვლისა და ყურძნის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს. ვაზის მოვლა კი ძირითადად დამოკიდებულია იმ კოლმეურნეთა შრომაზე და დაინტერესებაზე, რომლებიც მევენახეობის ბრივადებში მუშაობენ. ფულადი ავანსების გაცემა კოლმეურნეებზე და მათ შორის მევენახეობაში მომუშავე კოლმეურნეებზე აუცილებელია, რაც ჯერ კიდევ არ ხდება. ეს დაუშვებელია მით უმეტეს, რომ უკვე მიღებულია კოლმეურნეთა ყოველთვიური ფულადი და ნატურალური ავანსირების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილება.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ კოლმეურნობებისათვის აგროპერსონალით საწარმოო დახმარების გაწევა. მიზანშეწონილი იქნებოდა დამამზადებელ ორგანიზაციებს ეკისრებოდეთ აგრეთვე კოლმეურნობების მომარაგება მევენახეობისათვის საჭირო ქიმიკატებით, შესაწამლი და სხვ. აპარატურით.

* * *

ქალაქსა და სოფელს შორის საწარმოო კავშირი ძირითადად მტს-ების მეშვეობით ხორციელდება. სახელმწიფო გაიღებს ხარჯებს მანქანა-იარაღებით მტს-ების აღჭურვისათვის და ამით მონაწილეობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში. თავის მხრით, კოლმეურნეობანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ ჩატარებულ სამუშაოებისათვის სახელმწიფოს უნაზღაურებენ ხარჯებს ნატურალური და ფულადი ფორმით. კოლმეურნეობათა მიერ მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო ცენტრალიზებული დამზადებისა, რაც დიდ როლს თამაშობს სურსათით მოსახლეობისა და ნედლეულით მსუბუქი და კვების მრეწველობის მომარაგების საქმეში. 1950 წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებში ცენტრალიზებული წესით დამზადებულ მარცვლეულში ნატურანაზღაურებით მიღებულ მარცვლეულს ეკავა 55%, 1954 წელს—81,1% და 1955 წელს—90,6% (თუმცა ეს ზრდა ბოლო წლებში გამოწვეულია მარცვლეულის დამზადებაში სავალდებულო ჩაბარებათა ხვედრითი წონის შემცირებით).

1954 წლამდე არსებული წესის მიხედვით ნატურანაზღაურება იზრდებოდა კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად. ნატურანაზღაურება არ იზრდებოდა მხოლოდ 19 და მეტი ცენტნერი მოსავლიანობისას. ნატურანაზღაურების ასეთი სისტემა დიდი ზნის წინათ იყო შემოღებული; მაშინ მას გამართლებაც ჰქონდა; მაგრამ შემდეგში იგი მოსავლიანობის გადიდებაში კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების შემაფერხებელი გახდა. იგი არ აძლევდა საკმაო სტიმულს, კოლმეურნეობებს მოსავლიანობისა და კოლმეურნეობებში სატრაქტორო სამუშაოების მოცულობის გადიდებისათვის, გაურკვევლობა და უმყარობა შეჰქონდა კოლმეურნეობათა საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო ნატურანაზღაურების მანამდე არსებული სისტემის შეცვლა. 1954 წლიდან დაწყებული შემოღებულ იქნა მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების მტკიცე დიფერენცირებული განაკვეთები ზონების მიხედვით, კოლმეურნეობებში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სახეობათა მიხედვით; ამასთან გამოიყენება მტს-ების წამახალისებელი პრემიალური ანაზღაურება უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ნატურანაზღაურების ახალი მტკიცე განაკვეთები მნიშვნელოვნად დაბალია მანამდე არსებულთან შედარებით, რის შედეგადაც შემცირდა ნატურანაზღაურების მოცულობაც. სულ თელავის რაიონის კოლმეურნეობებში ნატურანაზღაურების წესით 1955 წელს 29,1%-ით ნაკლები მარცვლეული დამზადდა ვიდრე 1952 წელს.

მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურების მტკიცე განაკვეთები მტს-ების წამახალისებელი პრემიის გამოყენებით (10% გვემის ზევით მიღებული მოსავლისა) სწორად ახამებს კოლმეურნეობათა და

სახელმწიფოს ინტერესებს, აძლიერებს კოლმეურნეობათა მატერიალურ დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში.

ნატურანაზღაურების მტკიცე, რაიონების მიხედვით დიფერენცირებული ნორმების დაწესებით ჩვენ უკვე გვაქვს ძირითადად ერთი ადმინისტრაციული რაიონის შიგნით ყველა კოლმეურნეობისათვის სავალდებულო ჩაბარებათა, შესყიდვების და ნატურანაზღაურების ერთიანი ნორმები, (შესაძლებელია რაიონის შიგნით კოლმეურნეობების ბუნებრივ პირობათა დიდი განსხვავებას შემთხვევაში დაშვებულ იქნას სხვადასხვა ნორმები), ერთიანი განაკვეთები, სავალდებულო ჩაბარებათა და შესყიდვების ერთიანი ფასები. ამით კოლმეურნეობებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა გაადიდონ მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტულობა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაზარდონ სასაქონლო პროდუქცია.

* * *

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საკოლმეურნეო ვაჭრობა. 1955 წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ხორცის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში მისი ხვედრითი წონა უდრიდა 26,8%-ს, რძის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში—17%-ს, მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში—19,6%-ს. საკოლმეურნეო ბაზრის ფასების არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია წარმოების გადიდებაში კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესებისათვის.

თელავის რაიონის კოლმეურნეობათა მემცენარეობის (გარდა ყურძნისა) და მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მთელ ფულად შემოსავალში საკოლმეურნეო ვაჭრობის წესით რეალიზაციიდან მიღებულ ფულად შემოსავალს 1950 წელს 78,7%, ხოლო 1955 წელს 52,9% ეკავა.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ბოლო წლებში მიღებულ დადგენილებებში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესებას, მის შემდგომ გაშლას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო კავშირის განმტკიცებაში. იგი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობას სურსათით, ხოლო კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ფულადი შემოსავლით, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქტების საკომისიო ვაჭრობა სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით, რაც უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გაიშალა, აგრეთვე ამ მიზანს ემსახურება.

* * *

შრომის მიხედვით განაწილება და მამასადამე თავიანთი შრომის შედეგებით მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპი კოლმეურნეობებში ძირითადად შრომადღის—კოლმეურნეთა შრომისა და მოხმარების საზომის—მეშვეობით ხორციელდება.

შრომადღის შემოღება და მისი გამოყენება იმას არ ნიშნავდა, რომ აღარ მოხდებოდა ან არ მოხდება განაწილების ფორმების გაუმჯობესება

კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას თან სდევს შრომადღის როგორც შრომისა და მოხმარების საზომის სრულყოფა. ეს უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ზრდას.

შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს თანამართ შრომის შედეგებით წარმოების მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების განხორციელების ამოცანებს. ამიტომაცაა, რომ შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა ანაზღაურების ძირითადი ფორმაა წარმოების მთავარ დარგებში. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-15 მუხლში აღნიშნულია: „სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არტელში ხორციელდება სანარდო სისტემის საფუძველზე“.

1948 წლამდე კოლმეურნეთა შრომის ძირითად ანაზღაურებაში ადგილი ჰქონდა გათანაბრების ელემენტებს, რადგან შრომადღეების დარიცხვისას ნაკლები ყურადღება ექცეოდა შრომის საბოლოო შედეგებს, მიღებული პროდუქციის რაოდენობა, რასაც უდიდესი ნიშნელობა აქვს შრომის ხარისხობრივი შეფასებისათვის. იმ ბრიგადების წევრები, რომლებიც შრომადღეების ნაკლები დახარჯვით აღწევდნენ მაღალ მოსავლიანობას, შემოსავალს უფრო ნაკლებს იღებდნენ, ვიდრე იმ ბრიგადების წევრები, რომლებიც მეტ შრომადღეებს ხარჯავდნენ მაგრამ მოსავალს ნაკლებს ღებულობდნენ. ეს ასუსტებდა უკეთესად მომუშავეთა მატერიალურ დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1948 წლის 19 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლითაც რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს განაწილებინათ საკოლმეურნეო შემოსავალი წევრთა შორის შრომის საბოლოო შედეგების გავალისწინებით და ამ მიზნით რეკომენდებულ იქნა შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების შემდეგი წესები: 1) შრომადღეების დარიცხვა და განაწილება ბრიგადებსა და რგოლებზე მათთვის დაწესებული მოსავლის გეგმის შესრულების მიხედვით (დადგენილების მე-19 მუხლი); 2) შრომადღეების დარიცხვა და განაწილება ბრიგადებსა და რგოლებზე მათთვის დაწესებული მოსავლიანობის გეგმის შესრულების შედარებით მოსავლიანობის გეგმის შესრულებასთან საშუალოდ კოლმეურნეობაში (დადგენილების 20-ე მუხლი); 3) შრომადღეების დარიცხვა ბრიგადებსა და რგოლებზე ბოსტნეულ და სათიხნ კულტურების მოსავლის თვითეული ცენტნერის შრომადღეებში შეფასებათა მიხედვით. (დადგენილების 24-ე მუხლი).

1948 წლის შემდეგ შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების პირველი ორი წესი ფართოდ გამოიყენება კოლმეურნეობებში. 1952 წელს თელავის რაიონის 23 კოლმეურნეობიდან პირველ წესს იყენებდა 10 კოლმეურნეობა, მეორეს—8 და ორივეს ერთად—5 კოლმეურნეობა.

შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების პირველ წესს ის უპირატესობა გააჩნია, რომ იგი უშუალოდ უკავშირებს ბრიგადის, რგოლის მიერ გეგმის შესრულებას შრომადღეების დარიცხვასთან. კოლმეურნეებმა იციან

რომ მათ მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულების თვითეული პროცენტისათვის დაერიცხებათ შრომადღებების ერთი პროცენტი.

თუმცა შრომადღებების დარიცხვისა და განაწილების მეორე წესი თვალნათლივ არ უჩვენებს დაერიცხებათ თუ არა კოლმეურნეებს დამატებით შრომადღეები საგეგმო მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ანდა რა ოდენობით დაერიცხებათ იგი; ეს იმიტომ რომ წინასწარ შეუძლებელია საშუალო საკოლმეურნეო ფაქტიური მოსავლიანობის ცოდნა, მაგრამ მაინც უმჯობესია მისი გამოყენება პრაქტიკაში როცა დაგეგმვა, საწარმოო დავალებების მიცემა ბრიგადებსა და რგოლებისათვის არ არის სრულყოფილი; როცა ზოგიერთ წლებში ბუნებრივ პირობათა გამო ძალზე დაბალია ან ძალიანაა მოსავლიანობა, რასაც პირველი წესის გამოყენებისას მოსდევს დიდი რაოდენობით შრომადღებების ჩამოწერა ან დამატებით დარიცხვა.

შრომადღებების დარიცხვისა და განაწილების პირველი ორი წესის გამოყენების დადებითი და მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად მათ მაინც გააჩნიათ ნაკლოვანებანი. მათი საერთო ნაკლი ისაა, რომ ისინი კოლმეურნეებს საკმაო სტიმულს ვერ უქმნიან შრომადღებების ხარჯვის ეკონომიისათვის, აგრეთვე ვერ სპობენ მთლიანად გათანაბრების ელემენტებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ შრომადღებების დამატებითი დარიცხვისა და ჩამოწერის საფუძვლად რჩება ბრიგადის (რგოლის) მიერ ფაქტიურად გამომუშავებული შრომადღეები. პირველ და მეორე წესს გააჩნია სპეციფიკური ნაკლოვანებანიც.

პირველ წესის სპეციფიკური ნაკლი გამომდინარეობს მოსავლიანობის დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებებიდან. შემინდვრობის ბრიგადებისათვის გაზრდილი გეგმების დაწესება იწვევდა შრომადღებების დაუსაბუთებელ განაწილებას მათ საზარალოდ. ამიტომ თელავის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა ბოლო წლებში გადავიდა შრომადღებების დარიცხვისა და განაწილების მეორე წესზე.

შრომადღებების დარიცხვისა და განაწილების სამი წესიდან ყველაზე პროგრესულია მესამე წესი; იგი უშუალოდ აკავშირებს შრომადღებების დარიცხვას ბრიგადის (რგოლის) მიერ მიღწეულ საწარმოო შედეგებთან. ბრიგადის (რგოლის) მიერ მიღებულ ყოველ დამატებით ცენტნერ მოსავალს მოსდევს შრომადღებების დამატებითი დარიცხვა თვითეული ცენტნერის შეფასებათა მიხედვით; იგი კოლმეურნეთა დაინტერესებას იწვევს არა მხოლოდ ზეგეგმითი მოსავლის მიღებაში, არამედ აგრეთვე შრომადღებების ეკონომიურად ხარჯვაში, რაც არ ითქმის პირველი ორი წესის შესახებ; იგი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების პირდაპირ სანარდო სისტემას და შესაძლებლობას გვაძლევს ვაქციოთ სანარდო პროგრესულად იმით, რომ გეგმის ზევით მიღებული თვითეული ცენტნერი მოსავლისათვის დაურიცხოთ შრომადღეები გადიდებული შეფასებებით. ამით გავზარდოთ ზეგეგმითი მოსავლის მიღებაში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება; იგი კოლმეურნეობას უჩვენებს ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომადღებების ხარჯვას და ამით სტიმულს

უქმნის მას, რომ გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს შრომის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე.

შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების მესამე წესის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად მას ნაკლებად იყენებენ, ხოლო თელავის რაიონის კოლმეურნეობებში სულაც არ გამოიყენება ბოსტნეულ და სათონ კულტურებზე, აგრეთვე ვენახზე, თუმცა არსებობს საამისო შესაძლებლობა და პირობები. საჭირო იქნება ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება და კოლმეურნეობებისათვის სათანადო დახმარების გაწევა შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების მესამე წესის გამოყენებაში.

შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების სამივე წესის გამოყენებისას ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: კოლმეურნეებზე შრომადღეების დამატებითი დარიცხვის დროს, როცა ბრიგადა (რგოლი) ვალაქარებით ასრულებს საწარმოო დავალებას, ერთნაირი პროცენტით ერიცხებათ რა შრომადღეები, ამით იმ წევრებს, რომლებსაც მეტი შრომადღეები აქვთ, ე. ი. ბეჯით, აქტიურად მომუშავე კოლმეურნეებს ერიცხებათ მეტი დამატებითი შრომადღეები და ეს კარგია. მაგრამ შრომადღეების ჩამოწრისას, როცა ბრიგადა (რგოლი) ვერ ასრულებს გეგმას თვითივე კოლმეურნეს ჩამოეწერება შრომადღეების იმდენი პროცენტი, რამდენითაც ბრიგადამ (რგოლმა) ვერ შეასრულა მოსავლის მიღების გეგმა. ამით ყველაზე მეტად ის კოლმეურნეები ზარალდებიან, რომლებსაც მეტი შრომადღეები აქვთ გამომუშავებული ე. ი. ბეჯითი კოლმეურნეები. მართალია ბრიგადამ (რგოლმა) ვერ შეასრულა მოსავლის მიღების დაწესებული გეგმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ბრიგადაში (რგოლში) მოწინავენი, განსხვავებული გულმოდგინების და სიბეჯითის კოლმეურნეები არ არიან. მოწინავენი აქაც არიან, რომელთაც მეტი შრომადღეები აქვთ გამომუშავებულნი და სწორედ რომელნიც შრომადღეების ჩამოწრისას ყველაზე მეტად ზარალდებიან. მიზანშეწონილი იქნება, რომ ბრიგადაში (რგოლში) გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ხდებოდეს ბეჯითთა წახალისება; ყოველ შემთხვევაში არ ჩამოეწერათ მათ შრომადღეები, ხოლო სათონი კულტურების, აგრეთვე ვენახის გაპიროვნება, მოხდეს ინდივიდუალურად და გამოყენებულ იქნეს შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების მესამე წესი.

ბოლო წლებამდე თელავის რაიონის კოლმეურნეობებში დანერგილი იყო ვენახის ფართობის ინდივიდუალური გაპიროვნება (ზოგიერთ კოლმეურნეობაში 1955 წელსაც იყო მცირე მოცულობით), რაც ცუდ შედეგს როდი იძლეოდა. ნაკვეთების ინდივიდუალური გაპიროვნების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითივე წევრმა წინასწარ იცის რა მოსავალი უნდა მოიყვანოს და რას მიიღებს როგორც დამატებითი ანაზღაურების გაცემის, ისე შრომადღეების დარიცხვის ხაზით, რომ მისი უკეთესად ნამუშევარი არ გაერთიანდება სხვათა ნაკლები ხარისხის ნამუშევართან, რომ იგი ზუსტად მიიღებს მისი შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. ამიტომ იგი მუყაითად შრომობს, ადრე მიდის სამუშაოზე და გვიან ბრუნდება, იზრდება მისი პასუხისმგებლობაც, ფაქიზად უვლის ნარგავებს, ნათესს, რასაც საბო-

ლორდ დადებითი შედეგები მოაქვს როგორც კოლმეურნეობებისათვის მთლიანად (იზრდება მოსავლიანობა და სავროთო მოსავალი), ისე თვით კოლმეურნეებისათვის (იზრდება მათი შრომის ანაზღაურება).

ბოლო წლებში ვენახების ინდივიდუალური გაპიროვნება თელავის რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის აღკვეთილ იქნა. ამის გამამართლებლად ადგილებზე ის მოყავთ, რომ ნაკვეთების ინდივიდუალური გაპიროვნება თითქოს აღვივებდეს კოლმეურნეებში კერძომესაკუთრულ ტენდენციას, რაც არასწორია. ჩვენი კოლმეურნე გლეხობის მასას დიდი ხანია გამოუშუშავდა სოციალისტური შეგნება. თვითეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ ნაკვეთი, რომელიც მას ემაგრება მის საკუთრებად კი არ იქცევა, არამედ მასზე გაპიროვნებული საკოლმეურნეო სარგებლობის მიწაა და მის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა დგას—რაც შეიძლება უკეთ დაამუშაოს ეს ნაკვეთი და მიიღოს მეტი მოსავალი. ზოგიერთი ამხანაგი ადგილებზე იმითაც კი ამართლებენ ინდივიდუალური გაპიროვნების აღკვეთას, რომ კოლმეურნეთა უმრავლესობა კარგად უვლის მათზე მიმაგრებულ ფართობს და კულტურებს, მაგრამ ნაწილი ზარმაცობს და მათი ნაკვეთები დამუშავებული რჩება. ხოლო ბრიგადულად ან რგოლურად დამუშავებისას ასეთს ადგილი არა აქვსო. ამით აღიარებულია ის, რომ ნაკვეთების ბრიგადულად, რგოლურად დამუშავებისას ზარმაცებს შესაძლებლობა ეძლევათ გადააკისრონ სხვებს თავიანთი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში, რაც გაპიროვნების დროს შეუძლებელია, საქიროა რომ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობამ ზარმაც კოლმეურნეთა მიმართ გამოიყენონ აღმზრდელითი და დისციპლინარული ღონისძიებანი და არ მისცენ მათ შესაძლებლობა თავი აარიდონ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

კოლმეურნეობებში პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული გატარებისათვის აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტულობის, აგრეთვე ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად შრომადღებზე მეტი ნატურალური და ფულადი შემოსავალი გაიცემოდეს. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მაღალია შრომადღის ანაზღაურება, მნიშვნელოვნად მეტია კოლმეურნეთა აქტივობა და დაინტერესება საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით.

სახელმწიფო საწარმოებში მოქმედი შრომის ანაზღაურების სისტემისაგან განსხვავებით შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებში ნაკლებსრულყოფილია. მისი ნაკლია ის, რომ იგი არ არის მყარი და განსაზღვრული. კოლმეურნის შრომის ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მის მუშაობაზე, არამედ აგრეთვე მრავალ სხვა გარემოებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ამა თუ იმ კოლმეურნის პირად მუშაობასთან, მის პირად მონაწილეობასთან საზოგადოებრივ წარმოებაში. შრომის ანაზღაურების დაბალი დონე—აი უპირველესი და უმთავრესი მიზეზი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა სუსტი დაინტერესებისა საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობით. ამიტომ შრომადღებზე პროდუქტებისა და

ფულის გაცემის გადიდება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხია (და ამასთან ამოცანა) ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისათვის, მათი შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის, ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას, პირველყოვლისა, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტულობის გადიდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შრომის ანაზღაურების დონე პირდაპირ დამოკიდებულია კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაზე, რის მაჩვენებელიცაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველ 100 ჰექტარზე მიღებული მოსავლისა და შემოსავლის ოდენობა.

შრომადლის ანაზღაურების გადიდებისა და, მაშასადამე, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წლის განმავლობაში კოლმეურნეობის მიერ მიღებული მოსავლის და შემოსავლის სწორი განაწილება, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ მათი სწორი დაყოფა სხვადასხვა საზოგადოებრივ ფონდებად და შრომადლებზე გასაცემ ფონდად, როგორც ეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებითაა გათვალისწინებული.

საკოლმეურნეო წარმოების წარმატებითი განვითარებისათვის აუცილებელია, რომ კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლის ის ნაწილი, რაც შრომადლებზე გასაცემად რჩება, საკმაო იყოს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის. რიგ კოლმეურნეობებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომადლებზე გასანაწილებელი პროდუქტებისა და ფულადი ფონდის შექმნას, არასაკმარისად ქმნიან ამ ფონდებს და ამის შედეგად დაბალია შრომადლის ანაზღაურება, რის გამო ასეთ კოლმეურნეობებში დაბალია კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობით.

თელავის რაიონის ხუთი კოლმეურნეობისა და საშუალო სარაიონო მაჩვენებლების შესწავლით იმ დასკვნამდე მივდით, რომ შესაძლებელია იმ ნატურალურ და ფულად შემოსავალში, რაც კოლმეურნეობას რჩება სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, განისაზღვროს წილი, პროცენტი შრომადლებზე გასანაწილებელი პროდუქტებისა და ფულისა. თელავის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში განსაკუთრებით არადაშკმაკოფილებლად და მდგომარეობა შრომადლებზე ფულისა და მეცხოველეობის პროდუქტების განაწილების მხრივ. საშუალოდ რაიონის კოლმეურნეობებში შრომადლებზე გასანაწილებელი ფულადი თანხის ხვედრითი წონა კოლმეურნეობათა მთლიან ფულად შემოსავალში 1955 წელს 30,5%-ს უდრიდა, ხოლო წინა წლებში უფრო დაბალი იყო. სოფ. შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი 1955 წელს მთელი ფულადი შემოსავლის მხოლოდ 12,3% განაწილდა.

მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების ზრდისათვის აუცილებელია მისი პროდუქციის ნაწილის გაცემა შრომადღებზე. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში იგი ძალზე მცირე ოდენობით ნაწილდება, ხოლო რიგ კოლმეურნეობებში წლების მანძილზე სულაც არ ნაწილდება.

საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ზრდისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მათი ყოველთვიური ნატურალური და ფულადი ავანსირება. რეგულარული ავანსირება იწვევს საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნეთა აქტივობის ზრდას. დიდდება შრომადღებების გამომუშავება, მალდება შრომის ნაყოფიერება და ა. შ. კოლმეურნეთა რეგულარული ფულადი ავანსირებისათვის გამოიყენება ავანსების ნაწილი, რომელსაც კოლმეურნეობა იღებს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი და მისაყიდი პროდუქციის ანგარიშზე. თვით კოლმეურნეობებშიც იქმნება გარდამავალი ნატურალი და ფულადი ფონდები წინა წლის მოსავლისა და შემოსავლისაგან, რომელიც მთლიანად არ განაწილდება შრომადღებების მიხედვით.

სკკპ XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: „ფართოდ იქნას გამოყენებული კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება, როგორც კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმული“.

* * *

თავიანთი შრომის შედეგებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების მძლავრი ბერკეტია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება, რომელიც შემოღებულია 1941 წლიდან.

დამატებითი ანაზღაურება გეგმის ზევით მიღებული მოსავლის ნაწილია, რომელიც მიდის უშუალოდ, შრომის მიხედვით განაწილების საერთო-საკოლმეურნეო ფონდის გავლის გარეშე, იმ კოლმეურნეთა განკარგულებაში, რომლებმაც მიიღეს დამატებითი პროდუქცია. ამრიგად იგი გვევლინება როგორც თავისებური ფორმა პრემიალური სისტემისა საკოლმეურნეო წარმოებაში. 1948 წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებში მემინდვრობის ბრიგადების წევრთა 19,3%-მა და მევენახეობაში მომუშავეთა 10,6%-მა მიიღო დამატებითი ანაზღაურება. 1950 წელს მემინდვრობაში მომუშავეთა 26,1%-მა და მევენახეობაში მომუშავეთა 26,9%-მა. 1954 წელს კი შესაბამისად 18%-მა და 59,7%-მა.

1941 წლიდან შემოღებულმა დამატებითმა ანაზღაურებამ დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ მისი გაცემის იმდროინდელი წესი მოქველდა და საჭირო გახდა მისი შეცვლა. მთელი ოლ-

ქის, რესპუბლიკისათვის დაწესებული იყო ერთნაირი ნორმა ზეგეგმითი მოსავლის ნაწილისა, რაც დამატებითი ანაზღაურების წესით გაიცემოდა. ასეთი საერთო ნორმების დაწესება რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობისათვის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ბუნებრივ-ეკონომიური პირობებით, ისე წარმოების განვითარების დონით, აღარ შეეფერებოდა კოლმეურნეობათა წინსვლის ამოცანებს. ამიტომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის მარტის დადგენილებით საჭიროდ ცნეს დამატებითი ანაზღაურების გაცემის მანამდე არსებული წესის შეცვლა. ახალი დადგენილების მიხედვით დამატებით ანაზღაურებას აწესებს კოლმეურნეთა საერთო კრება. ამით კოლმეურნეობებს მიეცათ ფართო შესაძლებლობა გამოიჩინონ ინიციატივა, დააწესონ დამატებითი ანაზღაურების გაცემის წესი და ოდენობა, რომელიც მძლავრი მატერიალური სტიმული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამასთან შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალი ნორმებისა და გაცემის წესის დადგენისას კოლმეურნეობებში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:

1) დამატებითი ანაზღაურების ახალმა ნორმებმა და გაცემის წესმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემცირება, პირიქით, უნდა გაიზარდოს მათი დაინტერესება საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობით;

2) მიზანშეწონილი იქნება იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ახასიათებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დაბალი დონე, დაწესებულ იქნეს დამატებითი ანაზღაურების წესით გეგმის ზევით მიღებული პროდუქციის უფრო მეტი ნაწილის გაცემა, ვიდრე იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ახასიათებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების მაღალი დონე;

3) თელავის რაიონის რიგ კოლმეურნეობებში ზოგიერთ კულტურაზე, მათ შორის ვენახზე, შესაძლებლად მიგვაჩნია კოლმეურნეთა საერთო კრების შეხედულებისამებრ დატოვებულ იქნეს დამატებითი ანაზღაურების გაცემის მანამდე არსებული წესი, რაც კოლმეურნეთა მატერიალური სტიმულირების მძლავრი ბერკეტია;

4) ამა თუ იმ დარგში გეგმის ზევით მიღებული მოსავლის ნაწილი დამატებითი ანაზღაურების წესით უნდა მიეცეთ სხვა დარგებში დასაქმებულ კოლმეურნეებსაც, რათა შეიქმნას კოლმეურნეობის ყველა წევრის მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოლმეურნეობების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ნაკლებია ინიციატივა ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებაში, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ატსებული ფორმებისა და მეთოდების სრულად გამოყენებაში და იმ ახალის გამოძებნაში, რაც კი ხელს შეწყობს წარმოების ზრდას.

პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო წლებში მიღებული დადგენილებებით კოლმეურნეობებისათვის უდიდესი შესაძლებლობანია შექმნილი გამო-

ავლინონ თავიანთი ინიციატივა, გამოიყენონ შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების ის ფორმები, რაც კი მეტ სტიმულს მისცემს კოლმეურნეებს გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. ჩვენი კოლმეურნეობები ამ შესაძლებლობებს ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებენ.

* * *

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ბოლო წლებში უდიდესი ღონისძიებანი დასახეს მთელი სახალხო მეურნეობისა და კერძოდ სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის. მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომლებიც იქცნენ მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამად. მიღებულ ღონისძიებათა შორის სკკპ XX ყრილობამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად ჩასთვალა:

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის შემოღება, რამაც განავითარა კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება;

კოლმეურნეობათა გაძლიერება ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კადრებით ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან მრავალი ათასი კომუნისტისა და უპარტიო მუშაკის სოფლად გაგზავნის გზით;

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის შემდგომი გაძლიერება, მტს-ებში მექანიზატორთა მუდმივი კადრების შექმნა და მტს-ების განმტკიცება ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით;

სახელმწიფო ასიგნობათა გადიდება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის, ადგილობრივი რესურსების უკეთ გამოყენებაში კოლმეურნეობათა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისა და საკოლმეურნეო წარმოების საქონლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებას სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ.

მანამდე არსებული მეტისმეტი ცენტრალიზაცია სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში სახელმწიფოებრივი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული და ბევრ შემთხვევაში მეურნეობის არარაციონალურ გაძლოლას იწვევდა, ზღუდავდა კოლმეურნეობათა და მტს-ების ინიციატივას, მათ პასუხისმგებლობასა და დაინტერესებას წარმოების გადიდების საქმეში.

დაგეგმვის ახალი წესის მიხედვით ცენტრალიზებულად იგეგმება მხოლოდ დამზადებათა მოცულობა სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის დარგში იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე და მრეწველობისას — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. წესდება აგრეთვე იმ სატრაქტორო სამუშაოთა საერთო მოცულობა, რომლებსაც მტს-ები ასრულებენ კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებში, ითვალისწინებენ რა სახელმწიფოსათვის მემინდვრობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებებს და ამ პროდუქტებზე კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა მოთხოვნების უზრუნველყოფას, თავიანთი შეხედულებით განსაზღვრავენ სათესი ფართობის ოდენობას კულტურების მიხედვით, მეცხოველეობის პროდუქტულობას და პირუტყვის სულადობას სახეების მიხედვით.

დაგეგმვის ახალი წესი სტიმულს აძლევს კოლმეურნეობებს რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენონ მიწის სავარგულები, ნიადაგის, ჰაერის და მეურნეობის კონკრეტული პირობების შესაბამისად მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველ 100 ჰექტარზე რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.

დაგეგმვის ახალი წესის ამოსავალი საწყისია სასაქონლო პროდუქცია, მისი მოცულობა. ეს ასეც უნდა იყოს. სოციალისტურ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მაღალი საქონლიანობა. 1926/1927 წლიდან 1952/1953 წლამდე სასაქონლო პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში გადიდდა: მარცვლეულის—თითქმის 4-ჯერ, კარტოფილის—4-ჯერ და მეტად, ხორცისა (ცოცხალი წონით)—2-ჯერ და მეტად, რძისა—3-ჯერ და მეტად. გადიდდა ტექნიკური და სხვ. კულტურების პროდუქციის წარმოება.

1953 წელს 1945 წელთან შედარებით თელავის რაიონის კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქცია გადიდდა: მარცვლეულისა—3,5-ჯერ და მეტად, მატყლისა—366,2%-ით, რძისა—222,6%-ით. ამასთან ერთად გაიზარდა სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში. 1945 წელს რაიონის კოლმეურნეობის მარცვლეულის საერთო პროდუქციაში მისი სასაქონლო ნაწილი უდრიდა 17,8%-ს, ხოლო 1955 წელს—19,2%-ს. რძისა—1945 წელს—49,8%, ხოლო 1955 წელს—63%-ს. მატყლისა—1945 წელს—72,4%-ს, 1955 წელს—99,3%-ს.

კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის ზრდასთან ერთად იზრდება მათი ფულადი შემოსავალი როგორც აბსოლუტურად ისე სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველ 100 ჰექტარზე გაანგარიშებით. თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1955 წელს 1945 წელთან შედარებით 175,8%-ით და 1950 წელთან შედარებით 97,7%-ით გადიდდა.

თელავის რაიონის კოლმეურნეობების მიერ საშუალოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველ 100 ჰექტარზე 1945 წელს მიღებულ იქნა 51.332 მანეთი, 1950 წელს—69.920 მანეთი და 1955 წელს—120.460 მანეთი.

პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო წლებში მიღებულმა დადგენილებებმა სოფლის მეურნეობის საკითხებზე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, მტს-ების მუშაობის, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების და სხვ. ხაზით ყველა პირობა შექმნეს სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, რომლის პირველი უმნიშვნელოვანესი შედეგები ჩვენ უკვე ვვაქვს ამ დადგენილებათა მიღების შემდგომ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიღწეულ წარმატებათა სახით.

ჩვენი პარტიის ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი, დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტს კომუნისმის მშენებლობის ამოცანებს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955 წ. XII. 22)

В. Адвадзе

Роль принципа материальной заинтересованности в развитии колхозного производства

Резюме

В исторических решениях XX съезда Коммунистической Партии Советского Союза дана грандиозная программа нового мощного подъема социалистического народного хозяйства. Для решения задач, поставленных партией, важную роль играет неуклонное проведение в жизнь принципа материальной заинтересованности.

Принцип материальной заинтересованности предприятия и каждого работника в результатах своего труда, является одним из коренных принципов социалистического хозяйствования, мощным рычагом развития социалистического производства.

Большая часть товарной продукции колхозов реализуется по линии государственных заготовок сельскохозяйственных продуктов: государственные обязательные поставки, контрактация, государственные закупки, натуроплата за работы МТС.

Государственные заготовки колхозной продукции способствуют развитию общественного социалистического воспроизводства, материальной заинтересованности колхозов и колхозников в увеличении производства и переходу части чистого дохода колхозов в распоряжение государства для общегосударственных расходов.

Средствами обеспечения материальной заинтересованности колхозов в государственных обязательных поставках являются:

1. Твердые нормы поставок, которые обеспечивают оставление в колхозах большей части всей продукции. Так, например, в колхозах Телавского района в 1955 году удельный вес государственных обязательных поставок во всей продукции зерна составляет лишь 1,2%, молока—33,4% и т. д.

2. Наличие государственных закупок и колхозной торговли по более высоким ценам чем на госпоставках, обеспечивающие высокий де-

нежный доход колхозов. В 1955 году в колхозах Телавского района по государственным закупкам было заготовлено 46% мяса и 38,4% молока, от всей заготовленной продукции этих видов в колхозах района. Денежный доход колхозов от государственных закупок увеличился, в сравнении с 1953 годом, в 1954 году на 140,5% и в 1955 году на 270,9%.

3. В порядке обязательных поставок заготавливаются в основном продовольственные продукты, которые потребляются и на местах производства. При этом большая часть их остается в колхозах, для удовлетворения различных общественных нужд и распределения на трудодни.

В колхозах Телавского района 4/5 всего урожая зерна остается внутри колхозов, а половина распределяется по трудодням.

Введение в 1954 году твердых дифференцированных по зонам норм натуроплаты за работы МТС правильно сочетает интересы колхозов и государства, усиливает материальную заинтересованность колхозов, а также МТС в увеличении объема тракторных работ в колхозах и в повышении урожайности.

В результате снижения ставок натуроплаты за работы МТС, колхозы Телавского района в 1955 году сдали на 29,1% меньше натуроплаты, чем в 1952 году.

Постановления Коммунистической партии и Советского государства о снижении норм государственных обязательных поставок, об увеличении заготовительных цен на продукцию колхозного производства, об установлении твердых норм натуроплаты за работы МТС и др. усилили материальную заинтересованность колхозов и колхозников в деле увеличения производства в целом и в частности товарной продукции.

Ведущая отрасль колхозов Телавского района—виноградарство, продукция которого заготавливается контрактацией. Здесь важнейшими моментами материальной заинтересованности колхозов и колхозников в увеличении производства винограда и продажи через контрактацию, являются заготовительные цены, система премий-надбавок, а также денежное авансирование колхозов.

Большие успехи достигнуты в области виноградарства в колхозах Телавского района. С 1945 по 1955 гг. площадь виноградников увеличилась на 80,4%; производство винограда на 263,1%; урожайность же с 1940 по 1954 гг., увеличилась более чем в 5 раз. Товарная продукция винограда с 1945 по 1955 гг. возросла более чем на 8,4 раза.

Для усиления материальной заинтересованности в развитии этой отрасли хозяйства, целесообразно ввести отоваривание колхозов промышленными продуктами, авансирование колхозников также из той части авансов, которые получает колхоз от заготовительных организаций.

Личная материальная заинтересованность-же колхозников в результате своего труда, осуществляется в основном через трудодень.

Основная оплата труда колхозников производится в соответствии с правилами начисления и распределения трудодней, рекомендованными в постановлении Совета Министров СССР от 19 апреля 1948 года. Первые два способа начисления и распределения трудодней в соответствии с конечными результатами труда (19 и 20 пп. постановления) имеют ряд недостатков. Считаем целесообразным использовать третий способ (24 п. постановления) начисления и распределения трудодней на пропашные культуры, а также на виноградники.

Целесообразно не списывать трудодни с усердно работающих колхозников и в том случае, когда бригада (звено) в которых они числятся не выполнила план урожая. При этом необходимо использовать преимущество закрепления за колхозниками участков виноградников и пропашных культур.

В целях неуклонного роста материальной заинтересованности колхозников, необходимо систематическое увеличение оплаты трудодня, чего можно добиться достижением высокого уровня развития общественного хозяйства, правильным распределением урожая и доходов колхоза, а также ежемесячным денежным и натуральным авансированием колхозников.

В большинстве колхозов Телавского района неудовлетворительно поставлено распределение на трудодни продуктов животноводства и денег.

В 1955 году в среднем по району на трудодни было распределено только 30,5% всего денежного дохода колхозов, а, например в колхозе им. Маленкова, села Шалаури этого же района—лишь 12,3%.

Мощным рычагом материальной заинтересованности колхозников является дополнительная оплата труда за увеличение урожайности сельскохозяйственных культур и продуктивности животноводства.

В 1954 году в колхозах Телавского района дополнительную оплату получили 18% членов полеводческих бригад и 59,7% членов виноградарских бригад.

Теперь, сами колхозы на общих собраниях колхозников устанавливают порядок и объем выдачи дополнительной оплаты. Целесообразнее было-бы в колхозах, где общественное хозяйство развито сравнительно слабо, установить выдачу большей части сверхплановой продукции, чем в колхозах с развитым общественным хозяйством.

Принятые Партией и Правительством в последние годы решения по сельскому хозяйству: о дальнейшем крутом подъеме всех его отраслей, об увеличении материальной заинтересованности колхозов и колхозников, об улучшении работы МТС и руководства сельским хозяйством и др. создали все условия для мощного подъема сельского хозяйства нашей страны.

ბ. ზივკაძე

მიწათმფლობელობის თივაკიოჯული სისჯეა რკოკრს სახელკრ-ჯეოკალური უკთიკრტოკის სეუკეველი რსეალეთში

მიწათმფლობელობის საკითხის ცალკე გამოყოფა შუა საუკუნეების დრო-
ინდელი საზოგადოების რთული და მრავალფეროვანი სოციალურ-პოლიტი-
კური ცხოვრებიდან ძალიან ძნელი ხდება, რადგან კაპიტალიზმამდე არსებულ
სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციათა საწარმოო ურთიერთობის ძირითად საყ-
რდენს, საერთოდ მიწის საკუთრება წარმოადგენდა, რომელთანაც მკიდრო-
ურთიერთობაში იმყოფებოდა ზედნაშენი თითქმის ყველა თავისი გამოე-
ლინებით.

„მიწა, აი დიდი ლაბორატორია, არსენალი, რომელიც იძლევა საწარ-
მოო საშუალებებსაც, შრომის მასალასაც, დასახლების ადგილსაც კოლექტი-
ვის ბაზის სახით. მიწას ადამიანები ეპყრობიან გულუბრყვილო უშუალოებით,
როგორც კოლექტივის საკუთრებას, მასთან ერთად, კოლექტივისას, რომე-
ლიც აწარმოებს და ხელახლად წარმოქმნის თავისთავს ცოცხალ შრო-
მაში“¹.

მიწათმფლობელობის საკითხის ცალკე შესწავლა მით უფრო რთული ხდე-
ბა, როცა საქმე გვაქვს ეგრეთწოდებულ „აზიური წარმოების წესის“ მქონე
ქვეყნებთან: ირანთან, ოსმალეთთან, ინდოეთთან და სხვ. ცნობილია,
რომ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური ყოფა-ცხოვრების ჯეროვანი შეს-
წავლა ჯერაც არ ატარებს სრულყოფილ სახეს.

„აზიური წარმოების წესის“ საკითხზე გამართულმა დისკუსიამ ერთ დროს
ფართო ხასიათი მიიღო. „აზიური წარმოების წესის“ ცალკე საზოგადოებრივ-
ეკონომიურ ფორმაციად აღიარების მოწინააღმდეგენი, სათანადო არგუმენტა-
ციის მომარჯვებით, კანონიერად უარყოფდნენ ასეთი ფორმაციის არსებობას,
მაგრამ იცავდნენ რა ამ საკითხში თანმიმდევრულად სწორ მეთოდოლოგიას,
ზოგი მათგანი ბოლოს, უკიდურესობაში ვარდებოდა. საკითხის ცალმხრივი

¹ К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производ-
ству, стр. 5—6, изд. 1940 г.

მიდგომით იჩქმალეობდა ის მნიშვნელოვანი განსხვავებანი, რომელნიც მიჯნაედნენ აღმოსავლურ სამხედრო-ფეოდალური წყობის მატარებელ ქვეყნებს ევროპის ფეოდალური ქვეყნებისაგან.

საკითხისადმი ასეთი მიდგომით სრულებით უგულვებელყოფილი იქმნებოდა აღმოსავლური ქვეყნების განვითარების თავისებური გზა; ევროპის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები მათ მექანიკურად გადმოჰქონდათ აღმოსავლურ ქვეყნებზე. არსებითად ეს იყო ისტორიული ობიექტურობის უარყოფა და სინამდვილის დამახინჯება.

ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში მყოფ აღმოსავლურსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებათა ფიქსირება, სულაც არ ნიშნავს ცალკე ფორმაციის დადგენას. „აზიური წარმოების წესის“ ცალკე სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციად აღიარება არ იქნებოდა სწორი თუნდაც იმიტომ, რომ მარქსიზმის ფუძემდებელნი ამ გამოთქმას ხმარობდნენ მხოლოდ აღმოსავლური ქვეყნების ისტორიული განვითარების თავისებურების გამოსახატავად და არცერთ თავიანთ შრომაში არ იძლეოდნენ (ისე როგორც სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაზე) აზიური წარმოების წესისათვის მთლიან საზოგადოებრივი ფორმაციის რაიმე ძირითად კანონზომიერებას.

„აზიური წარმოების წესის“ ცალკე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციად მაღიარებლებს თავიანთ არგუმენტად მოჰქონდათ ის, რომ აღმოსავლურ ქვეყნებში არ არსებობდა მიწაზე კერძო საკუთრება. ისინი სრულებით უგულვებელყოფდნენ ამ შემთხვევაში იმ გარემოებას, რომ მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა, თუმცა თავისთავად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებაზე, ის მაინც ვადამწყვეტი არაა ფორმაციის დადგენის საკითხში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, კაპიტალისტურ ფორმაციას უნდა ჰქონებოდა მხოლოდ კერძო საკუთრება მიწათმფლობელობაზე და მასში ადგილი არ უნდა ჰქონოდა სხვა წყობილებათა ეკონომიურ გადმონაშთებს.

მიწის სახელმწიფოებრივი საკუთრების მნიშვნელობის შესახებ თავის შრომაში „აგრარული საკითხი და მარქსის კრიტიკოსები“, ლენინი წერდა: „ერთი მხრივ, ჩვენ სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური მიწათმომკმედება მიწის კერძო საკუთრების გარეშე, და ბევრი თანამიმდევარი ბურჟუაზიული ეკონომისტი მოითხოვდა მიწის ნაციონალიზაციას. მეორე მხრივ, ჩვენ სინამდვილეშიც ვხვდებით მიწათმომკმედების კაპიტალისტურ ორგანიზაციას მიწის კერძო საკუთრების გარეშე, მაგ., სახელმწიფო და სათემო მიწებზე“¹.

აზიური წარმოების წესი, რაგინდ დიდი თავისებურებითაც უნდა განისაზღვროს მიწათმფლობელობის საკითხში, ამით იგი რაიმე სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას ვერ შექმნის. აღმოსავლურ ქვეყნებს ეს თავი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 149, გამოც. 1949 წ.

სებურება, ზოგიერთი სახეცვლით, მოპყვებათ ისტორიის ხანგრძლივ მანძილზე დაწყებული აღმოსავლური (აზიური) თემის თავისებურებიდან. აღმოსავლური თემი, ზოგიერთი სახეცვლით კარგად ეგუებოდა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ თითქმის ყველა სოციალურ ურთიერთობას: მონობას, ფეოდალიზმსა და კაპიტალისტურ წყობილებასაც კი.

ლენინი ამის შესახებ წერდა: „ტყუილად როდი შენიშნავს მარქსი რენტის ანალიზის დასაწყისში, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი თავიდანვე პოულუმს (და იმორჩილებს) მიწის საკუთრების სრულიად სხვადასხვანაირ ფორმას, დაწყებული კლანური და ფეოდალური საკუთრებით და გათავებული გლეხთა თემების საკუთრებით“¹.

მარქსის მიხედვით აღმოსავლური თემის შინაგანი სტრუქტურა შემდეგით განისაზღვრება: აღმოსავლური თემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იქ მიწათმფლობელობის საკითხი მოცემულია მთელ რიგ კომბინაციებში. მიწის კოლექტიური საკუთრება არსებითად გადაქცეულია ჯგუფის მონოპოლიურ საკუთრებად, ჯგუფისა, რომლის სათავეშიც დგას დესპოტი. თავის მხრივ, ეს ჯგუფური საკუთრება გამოვლინდება დესპოტის სახით, რადგან საბოლოო ანგარიშით იგია ამ მონოპოლიური საკუთრების სათავეში. ამგვარად, გვარის საკუთრება გათქვეფილია ერთ პიროვნებაში, რომლის სასარგებლოდ მომხდარია გვარის უფლებათა უზურპაცია (იხ. მარქსის დასახელებული შრომა, გვ. 6—7).

აღმოსავლური თემის მნიშვნელოვანი თავისებურება მის ცხოველმყოფელობასა და მყარობაში მდგომარეობს. „ყველაზე მტკიცედ, ყველაზე ხანგრძლივად და შეურყევლად დგას აზიური ფორმა. ეს აიხსნება მისი წინაპირობებით, იმით, რომ ცალკეული პიროვნება არ ხდება თემიდან დამოუკიდებელი, რომ წარმოების მოცულობა გაანგარიშებულია მხოლოდ საკუთარი არსებობისათვის, რომ მიწათმოქმედება და ხელოსნობა ურთიერთ დაკავშირებულნი არიან და სხვ.“².

აღმოსავლური თემის შინაგანი სიმტკიცის გამო გარეგანი ფაქტორებიც მასზე ვერ ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას. ევროპაში კი თემური წყობილების რღვევა დაწყებული შინაგანი განვითარების საფუძველზე, სწრაფად ვითარდებოდა შემდგომ მთელი რიგი გარეგანი ფაქტორის ზეგავლენით. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ევროპული თემის რღვევადი პროცესის დაჩქარებაზე არანაკლები გავლენა უნდა მოეხდინათ ახალ და ახალ დაპყრობებს.

„თემში, — წერს მარქსი, — რომელშიც თვითვე ინდივიდს ერგებოდა აკრის. ესა თუ ის რაოდენობა მიწაზე, ამას უკვე შეუძლებელს ხდიდა მოსახლეობის შემდგომი ზრდა. თუ ამ დაბრკოლების თავიდან აცილებისათვის მიღებული იქნებოდა ლონისძიებანი, მაშინ მიმართავდნენ კოლონიზაცი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 142, გამოც. 1949 წ.

² К. Маркс, *Формы, предшествующие капиталистическому производству*, стр. 18, изд. 1940 г.

ას, კოლონიზაცია კი დაპყრობითი ომების წარმოების აუცილებლობას იწვევდა. შედეგად — მონებისა და სხვა. *ager publicus*-ის ზრდა, მაგალითად, იგივეა; შედეგად — პატრიციები, რომელნიც მთლიანად კოლექტივის წარმომადგენელი არიან და სხვ. ამგვარად, ძველი კოლექტივის არსებობა შეიცავს რღვევის პირობებს, რომლებსაც ის ემყარება და შემდეგ გადადის თავის წინააღმდეგობაში¹.

საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე დაპყრობითი ომების შედეგად მონობის წარმოშობა აუცილებლად იწვევდა საზოგადოების კლასებად დაყოფას ევროპული თემის შიგნით. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში კლასობრივი საზოგადოების საწყისები მონობაში უნდა ვეძიოთ. ევროპული თემის პირობებში კოლექტივის ის წევრი, რომელსაც დაპყრობის დროს ჰქონდა შესაძლებლობა ტყვედ ჩავარდნილი პიროვნების, როგორც მონის, თავის საკუთრებად გადაქცევისა და ომში გამარჯვების შედეგად ახალი მიწების ნაკვეთების თემიდან დამოუკიდებლად სარგებლობისა ეკონომიურად (და შემდგომ პოლიტიკურად) ხდებოდა ძლიერ პიროვნებად, რომლის დამორჩილებაც თემისათვის თანდათან უფრო ძნელდებოდა.

ისტორიას ახსოვს უამრავი მაგალითი მძლავრი პიროვნების მიერ თემის უფლებათა უზურპაციისა თემური მიწების მიტაცების საფუძველზე. ასე, მაგალითად: „უბრალო მთავარსარდლიდან ნამდვილ მეფედ ქცეულმა ფრანკების მეფემ, უწინარეს ყოვლისა, საუფლისწულო ქონებად აქცია ეს სახალხო საკუთრება, ხალხს მოპარა იგი და თავის ამაღლას აჩუქა და დაუმკვიდრა... ყველა მათ (ლაპარაკია მთავარსარდლის ამაღლის წვევებზე. — გ. ტ.) თავდაპირველად საჩუქრად მიეცათ სახალხო მიწის ნაკვეთები, შემდეგ ბენეფიციუმის სახით ეს მათ დაემკვიდრათ მეფის სიკვდილამდე; ამ გზით ხალხის ხარჯზე საფუძველი ჩაეყარა ახალ თავადაზნაურობას“².

რღვევის ასეთი გზით მიემართებოდა თითქმის ყველა ევროპული თემი სწორედ იმის გამო, რომ ადრევე მისი წევრები ცალკეულად ჰფლობდნენ მიწის ნაკვეთებს შიგნით თემის ფარგლებში. ამ შემთხვევაში აღმოსავლური ანუ აზიური თემი თავისებურ გამონაკლისს წარმოადგენდა. როგორც აღნიშნული იყო, მასში მიწები საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და როგორც თავდაპირველად, ისე შემდეგშიც არ იყო მოცემული საკმაო პირობები კოლექტივის წევრის თემისაგან დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედებისათვის, არა მარტო თემის შიგნით არსებულ მიწის ნაკვეთები მიმართ, არამედ თემის მიერ ახლად დაპყრობილი და ხელში ჩაგდებული მიწების მიმართაც: ამიტომ იყო, რომ აღმოსავლური თემის, უფრო სწორად, ამ თემის კოლექტივის წევრს, მიწების მესაკუთრედ გადაქცევა არ შეეძლო არც თემის შიგნით და არც დაპყრობების შემთხვევაში.

¹ К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, стр. 27, изд. 1940 г.

² ფ. ვნგელსი, ოჯახის, კრძოლ საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 155, გამოც. 1938 წ.

მაშასადამე, გარეგან ფაქტორებს დაპყრობების სახით არ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა აზიურ თემზე, რომელშიც მრეწველობა და მიწათმოქმედება ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. „მრეწველობისა და მიწათმოქმედების იმ მთლიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს არსებობას კოლექტივისას, რომელზედაც დამყარებულია საკუთრების ეს ფორმა, დაპყრობა არ წარმოადგენს ისეთ აუცილებელ პირობას, როგორც ესაა იქ, სადაც განსაკუთრებით ჭარბობს მიწის საკუთრება, მიწათმოქმედება. მეორე მხრივ კი: რაკი ცალკე ადამიანი საკუთრების ამ ფორმის არსებობისას არასოდეს არ ხდება მესაკუთრედ და არის მხოლოდ მფლობელი, არსებითად იგი თვითონაა გადაქცეული საკუთრებად და მონაა იმისი, ვისშიაც განსახიერებულია თემის მთლიანობა, ამიტომ მონობა აქ ძირს არ უთხრის შრომის პირობებს და არა ცვლის ურთიერთობის არსს“¹.

მარქსის აზრით, მონობა და ბატონყმური ურთიერთობა აღმოცენებულია გვაროვნული, თემური წყობილებისაგან და ამის გამო ისინი წარმოადგენენ განვითარების შემდგომ საფეხურს საკუთრებისას, რომელიც საწყისს ლეზულობს თემური წყობილებიდან. მათი აღმოცენება გარდაუვლად ცვლის თემის ვითარებას, მაგრამ აზიურ თემზე, რომელიც სხვა თემებზე უფრო კონსერვატიულია, მათი გავლენა უმნიშვნელო ხდება. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მონობამ ევროპის დასავლეთ ნაწილში მალე დაარღვია თემები, სწრაფად მოიკიდა ფეხი წარმოების ყველა დარგში და ასევე შედარებით მალე, კიდევ შეიცვალა ახალი საზოგადოებრივი (ფეოდალური) ურთიერთობით. რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში კი მონობა დიდხანს არსებობდა ფეოდალური წყობილების გვერდით და ბიზანტიის იმპერიის „მემკვიდრესაც“ კი (ოსმალეთს) საკმაო საფუძველი დაუტოვა საოჯახო მონობის ფართოდ არსებობისათვის.

მ. ლევჩენკოს აზრით, ბიზანტიისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის ბაზარი, რომელთანაც არ წყდებოდა დასავლეთის ანტიკურობიდან მეჩვიდრეობით გადმოტანილი მონათმფლობელურ ურთიერთობაზე დამყარებული კავშირი, შუა საუკუნეების ეპოქაშიც მოიცავდა მონების მნიშვნელოვან მასას. ისტორიული წყაროები მიგვითითებს აღმოსავლური ქვეყნების მიერ მონური შრომის მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყენებაზე საოჯახო მეურნეობაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში².

მონათმფლობელობის ძლიერი გადმონაშთების გამო ბიზანტიის იმპერიაში ფეოდალიზაციის პროცესები ფერხდებოდა და მტკიცე ეულ ხასიათს ლეზულობდა. პროკოპი კეისარიელის ცნობები, ეგვიპტის პაპირუსები და სხვა ისტორიული წყაროები ერთხმად მიგვითითებენ იმაზე, თუ რამდენად მწვავე იყო უშუალო მწარმოებელთათვის სპეციფიკური ბიზანტიური ფეოდა-

¹ К. Маркс, *Формы, предшествующие капиталистическому производству*, стр. 26, изд. 1940 г.

² Проблемы истории докапиталистических обществ, год издания пятый, ж 1 — 2, стр. 76.

ლიზმის ჩამოყალიბების ნელი პროცესი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც რევოლუციონური მონათმფლობელობის მნიშვნელოვანი გადმონაშთები იყო შემონახული.

რა თქმა უნდა, აღმოსავლური თემი ჩვენ მიერ განსახილველი პერიოდის ოსმალეთში უცვლელი არ დარჩენილა, მაგრამ ისტორიის მანძილზე შეცვლილ საწარმოო ურთიერთობათა ფორმების შემდგომ განვითარებას მან მისცა თავისებური გეზი და მიმართულება. მან გავლენა იქონია ოსმალეთის არა მარტო ქალაქებზე, როგორც ადმინისტრაციულ ცენტრებზე, არამედ უფრო მეტი თავისებურება დააჩნია აზიურმა თემმა შუა საუკუნეების ოსმალეთის მიწათმფლობელობის სისტემას. ოსმალეთში საუკუნეების მანძილზე მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობამ კი თავისებურად განსაზღვრა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური წესები.

ამიტომ იყო, რომ მარქსსა და ენგელსს აღმოსავლური ქვეყნების შესწავლის საქმეში ყველაზე მნიშვნელოვან განსახილველ ობიექტად აღმოსავლური (აზიური) თემი მიაჩნდათ მიწის კოლექტიური საკუთრებით, რაც არ ახასიათებდა ევროპული ქვეყნების ისტორიულ განვითარებას. ამის შესახებ მარქსი 1853 წ. ორ ივნისს ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ბერნიე მთელი აღმოსავლური მოვლენების ძირითად ფორმას სამართლიანად იმაში ხედავს, რომ აღმოსავლეთში (მას მხედველობაში აქვს თურქეთი, სპარსეთი, ჰინდუსტანი) მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. ეს ნამდვილი გასაღებია თვით აღმოსავლური ზეცისათვისაც...“¹.

აღმოსავლური ქვეყნებისათვის და კერძოდ ოსმალეთისათვის მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობის დიდ მნიშვნელობას ენგელსიც ადასტურებდა, როცა მარქსს წერდა: „მიწის საკუთრების არსებობა, მართლაც, გასაღებს წარმოადგენს მთელი აღმოსავლეთისათვის. ამაშია მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორიის ფუძე“².

ამგვარად, აღმოსავლური (აზიური) თემი მისი კოლექტივით ევროპულ (ბერძნულ, რომაულ, გერმანულ) თემებთან და მათ კოლექტივებთან შედარებით მნიშვნელოვან სხვაობაში იმყოფებოდა, მაგრამ, მარქსის აზრით, „ყველა ამ კოლექტივების მიზანია არსებობის შენარჩუნება“. ამისათვის კი საჭიროა მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით მათი მატერიალური უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი გახდეს მთლიანად კოლექტივის ხელახალი წარმოქმნა, ანუ განახლება. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის არსებობდა ორგვარი გამოსავალი: ა) დარჩენილიყო კოლექტივი თემის თავდაპირვანდელ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (რაც უკვე საკმარისი აღარ იყო გაზრდილი მოსახლეობის გამოსაკვებად) და გაზრდილი მოთხოვნალებანი დაექმაცოფილებინა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების მეშვეობით — შრომის ნაყოფიერების გაზრდით და ბ) თუ ამას ის ვერ მოახერხებდა, როგორც შემოთ

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 74, გამოც. 1949 წ.

² იქვე, გვ. 75.

იყო აღნიშნული, მოეხდინა კოლონიზაცია, რაც თავის მხრივ აუცილებლად დაკავშირებული იყო დაპყრობითი ომების წარმოებასთან.

საწარმოო ძალთა განვითარება და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა, როგორც ცნობილია, შეუძლებელი ხდება მიწის დამუშავების ტრადიციულ საშუალებათა გამოყენების პირობებში. ამასთან ისიც უნდა დაეძინოთ, რომ წარმოების ტრადიციული ხერხები და საშუალებანი უფრო დიდი ხნით ფეხმოკიდებულია მიწათმოქმედებაში, მაგრამ მიწათმოქმედებაცაა და მიწათმოქმედებაც. მარქსისტული თვალსაზრისით, თუ ჩვენ მოცემული გვაქვს მიწათმოქმედება მრეწველობის აზიურ შეერთებაში, წარმოების ტრადიციული ხერხები და საშუალებანი უფრო დიდი ხნით უცვლელი რჩება და ისინი ღებულობენ კონსერვატიულ თვისებებს. მარქსი ამის შესახებ აღნიშნავდა: „რამდენადაც თვით ხერხი წარმოებისა შეესაბამება ძველებურ ტრადიციებს (მიწათმოქმედებაში კი ტრადიციული ხერხი დიდხანს რჩება, უფრო დიდხანს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის აზიურ შეერთებაში) ე. ი. რამდენადაც ნაკლებ ცვლილებებს განიცდის ნამდვილი პროცესი, იმდენად მტკიცეა საკუთრების ძველი ფორმები და, მაშასადამე, კოლექტივისაც საერთოდ“¹.

ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელიც აღმოცენებული იყო აზიური თემის საფუძვლებზე, არ შეეძლო გამოეყენებინა ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული პირველი გამოსავალი, ე. ი. საწარმოო ძალთა მნიშვნელოვანი განვითარება, და ამიტომ მის საარსებო ძირითად საშუალებად გადაიქცა სისტემატურ დაპყრობათა განვითარება, სადაც კი მისთვის საამისო შესაძლებლობა გაჩნდებოდა. ცნობილია, რომ ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა და განმტკიცდა იმ უამრავი დაპყრობითი ომების შედეგად, რომელნიც თურქების მიერ ტარდებოდა მცირე აზიაში, აფრიკასა და ევროპაში.

უკვე XVI საუკუნის დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძული გადაიქცა თურქების დასაყრდენ ბაზად ევროპაში უფრო ღრმად შეჭრისათვის. თურქები, რომელთა კეთილდღეობაც დამოკიდებული იყო ახალ და ახალ დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებთა ძარცვა-რბევაზე და მათ უმოწყალო ექსპლოატაციაზე, შეუჩერებლივ მიილტვოდნენ ავსტრიის, უნგრეთისა და პოლონეთის მდიდარი ტერიტორიებისაკენ. სისტემატურ დაპყრობათა შედეგად ოსმალთა განკარგულებაში აღმოჩნდა: მთელი ანატოლია, მესოპოტამია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ტრიპოლიტანია, ტუნისი, ალჟირი, ტრანსილვანია, მოლდავეთი, ყირიმის სახანო, ვალახია, ბოსნია, ბულგარეთი, რუმელია და სხვ.

ასე ჩამოყალიბდა ოსმალეთის ვეებერთელა იმპერია, რომლის წესწყობილება სამხედრო პრინციპებით განისაზღვრა, ხოლო რომლის დასაყრდენად გახდა ისეთი ქვეყნები, რომლებშიც აღრიდანვე შემონარჩუნებული იყო აზიურ თემები თავიანთი თავისებური მიწათმფლობელობით. ამგვარად, ოსმა-

¹ К. Маркс, Формы, предшествующие капиталистическому производству, стр. 28, изд. 1940 г.

ლეთის სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძვლად იქცა პირველად თემის კოლექტიური მიწის საკუთრება, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა ეგრეთწოდებულ სახელმწიფო საკუთრებად და რომელმაც თავისში შთანთქა სხვადასხვა ადგილას არსებული მიწის კერძო საკუთრება.

თურქების მიერ ახლად დაპყრობილი ადგილების დიდი უმრავლესობა, რომელიც დაპყრობამდე წარმოადგენდა ალოდიალურ (კერძო საკუთრების) მიწებს, ოსმალებმა გადააქციეს სახელმწიფოს საკუთრებად, რის შემდეგაც ისინი უკან დაუბრუნეს ოსმალეთის ხელისუფლებმა მიწების ძველ მებატრონეებს, როგორც საკარგავი (ლენური) მიწები დროებით მფლობელობაში.

არსლანიანს თავის შრომაში „Система сельского землевладения в Оттоманской империи“ მოჰყავს ჰამერის შრომიდან ისტორიული წყარო, სადაც ნათქვამია, რომ ანატოლიაში არსებობს საკარგავები (ლენები), რომლებიც ძველად ითვლებოდა ნამდვილ ალოდიალურ მამულებად, მაგრამ თურქების ბატონობის ხანაში ისინი საკარგავებად იქცნენ. თუ ასეთი თიმარების მფლობელთა გარდაცვალების შემდეგ მათ დარჩებათ ერთი ან ორი ვაჟიშვილი, მაშინ ასეთი თიმარები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეთ მემკვიდრეებს მათ წინაპართა არსებულ საკუთრებაზე საპატივსაცემოდ.

აქედან ჩანს, თუ რამდენად „ფროხილად ეპყრობოდნენ“ თურქები თავდაპირველად ძველად არსებულ კერძო საკუთრებას დაპყრობილ ქვეყნებში. გარდაცვლილი მიწათმფლობელის მამული მის მემკვიდრეზე უნდა გადაემულიყო, ოღონდ ახლა უკვე ლენური მფლობელობის საფუძველზე. ამგვარად, ყოფილი ალოდი მაინც გადაიქცა საკარგავად, რამაც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი საკუთრების სახე მიიღო.

ჰამერის მიერ განხილულ სხვა ისტორიულ წყაროში ნათქვამია, რომ რუმელიაში არსებული მიწები არც სამეათედოა და არც საბეგარო, რადგან რუმელიის ოსმალთა მიერ დაპყრობის დროს მიწები არ იქნა განაწილებული გამარჯვებულთა შორის, როგორც სამეათედო მიწები; რომ რუმელიაში არსებული მამულები გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებად როგორც ყოფილი სათემო საკუთრება; რომ მათი დაწინდვა ან გაყიდვა ისევე აკრძალულია, როგორც ჩვეულებრივი სავაკუფო მიწებისა¹.

ახალ ქვეყნების დაპყრობის საქმეში თურქები თითქოს ხელმძღვანელობდნენ შარიათით, საიდანაც ამოკრეფილი იყო ომის შესახები საკითხები და მის საფუძველზე შედგენილი სპეციალური სამხედრო საქმიანობის წიგნი ეგრეთწოდებული „ქითაბი-უს-სიერი“. ამ წიგნში მოცემულ მითითებების მიხედვით დაპყრობილ ადგილებს თურქები ჰყოფდნენ ორ ნაწილად: 1) ერთი ნაწილი გულისხმობდა იმ ადგილებს, რომელიც თურქებს შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშე „დანებდა“; ამის შესახებ „ქითაბი-უს-სიერი“ აღნიშნული იყო: „როდესაც იმამი ამა თუ იმ მხარეს იპყრობს არა იარაღის ძალით, არამედ სამშვიდობო ხელშეკრულებით, მაშინ როგორც თვითონ (იმამი), ისე მისი შემცვლელი ვალდებულია ღებულობენ შეასრულონ ხელშეკ-

¹ იხ. არსლანიანის დასახელებული შრომა, გვ. 16.

რულებით გათვალისწინებული პირობები. ასეთი მხარის მიწები მის მცხოვრებლებს ეკუთვნის. 2) თუ იმაში მხარეს იპყრობს შეიარაღებული ძალით, მაშინ ის თავისი ნება-სურვილით მიწებს უნაწილებს ჯარებს ან არადა უტოვებს მათ ძველ მფლობელებს¹. მაგრამ ძველი მეპატრონეებისადმი მიწების კვლავ მათთვის დატოვება ამ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ მიწებს უტოვებდნენ მათ კერძო საკუთრებაში. თანახმად შარიათისა, დაპყრობილი მხარის მოსახლეობა მხოლოდ მიწების მფლობელად ითვლებოდა. მიწა ცხადდებოდა სადმერთო საკუთრებად (ფაქტიურად კი სახაზინოდ) და ადამიანებს მხოლოდ მიწით სარგებლობის უფლება ენიჭებოდათ.

„მაჯმა-ულ-ენგურში“ ნათქვამია: „შემდგომდროინდელმა ზოგიერთმა კანონმდებელმა დაადგინა, რომ მხარეები, რომლებიც შენაძენია სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე ის მხარეებიც, რომლებიც შეიარაღებული ძალით დაპყრობილი იქნა და რომელთა მიწებიც დაუმტკიცდათ მათ მცხოვრებთ, ისინი არ ეკუთვნიან არც მეთადებს და არც სახარაჯო მიწებს. მათ ეწოდებათ სამეფო მიწები (არდულ-ემირიე); მცხოვრებთ ისინი არ მისცე მათ საკუთრებაში. ეს მიწები ბეით-ულ-მალისათვის (ხაზინისათვის) იქმნა შემონახული, რის შემდეგ არაწესიერ იჯარად გაიცა იმ პირობით, რომ გლეხებმა დაამუშაონ ისინი და პროპორციონალური ხარაჯი (ხარაჯ-ულ-მუკასემე) გადაიხადონ. ეს გარემოება შემდეგ ცნობილი გახდა მეთადის სახელწოდებით“².

ასეთი მიწები არ წარმოადგენდა მათი მფლობელობის კერძო საკუთრებას; მათი გაყიდვა, გასაჩუქრება ან ვაკუუფად გადაქცევა ყოველად შეუძლებელი იყო. მეურნის გარდაცვალებისას, თუ მემკვიდრე არ დარჩებოდა, მიწა დაუყოვნებლივ უნდა გადაქცეულიყო ბეით-ულ-მალად.

ასეთი იყო დამპყრობლების მიდგომა ცალკეულ დაპყრობილ ქვეყნების მიმართ, მაგრამ დაპყრობილ ქვეყნებს შორის სხვაობა ტარდებოდა არა მარტო იმის მიხედვით, თუ როგორი გზით იქნა ხელში ჩაგდებული ესა თუ ის მხარე, არამედ იმის მიხედვითაც, თუ მასში ვინ მოსახლეობდა. დაპყრობილი მუსლიმანური ქვეყნები არ იხდიდნენ ჯიზიეს გადასახადს. ეს სავალდებულო იყო მხოლოდ სხვა სარწმუნოების მიმდევართათვის. სამეთადო მიწებად ითვლებოდა არაბეთის დაპყრობილი ადგილები სირიის საზღვრებიდან იემენამდე. სევაღ-ულ-ერაყის მხარე მექას გამოკლებით თავიდანვე აღიარებული იყო სახარაჯო მიწებად.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დაპყრობილი ქვეყნებისადმი დამპყრობთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი მაინც დაპყრობილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. თავის დროზე ენგელსი აღნიშნავდა, რომ ყოველგვარ დაპყრობებში შესაძლებელია სამგვარი გამოსავალი. გამარჯვებული ერთი და-

¹ Гиргас, Права христиан на Востоке по мусульманским законам, стр., 16, изд 1855 г.

² გირგასის ხსენებული შრომა, გვ. 20 — 21.

მარცხებულს თავს მოახვევს თავის საკუთარი წარმოების წესს (მაგალითად, ამ საუკუნის ინგლისელები ირლანდიაში, ნაწილობრივად ინდოეთში); ან არა-და ის ტოვებს უცვლელად ძველს და ხარკით კმაყოფილდება (მაგ., თურქები და რომაელები), ან გამოჩნდება ურთიერთქმედება, რომელიც ახალი სინთეზისათვის იძლევა საწყისს (ნაწილობრივ ძველგერმანელთა დაპყრობის დროს). ენგელსის თქმით, ყოველგვარი დაპყრობა შეპირებულია დასაპყრობი ობიექტით. ბანკირის ქონება, რომელიც ქალაქებში გამოიხატება, სრულებითაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბანკირის გამძარცველის მიერ, თუ იგი მათ არ წარადგენს იმ დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი განადგობა.

მართალია ის, რომ თურქები დაპყრობილი ადგილების მიმართ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, შარიათითა და ყურანით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ თვით ყურანი არა თანმიმდევარი აზრებისა და დებულებების შემცველი იყო, ამიტომ მის განმმართველებს იმის შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ყურანის ცალკეულ დებულებათა განმარტება მოეხდინათ ისე, როგორც ეს მათ მიზანშეწონილად მიაჩნდათ. ვფიქრობთ არ იქნება ზედმეტი, თუ ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ყურანის მიხედვით, დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებლებმა უნდა გადაიხადონ ხარჯი ვაზიფე. ვადმოცემით, იგი დადგენილია ხალიფა ომარის მიერ. ყურანის განმმარტებელი შაფეის მიხედვით, ამ გადასახადის გაღებისას, ზორბლეთულის ერთ ჯერიფაზე უნდა აიღონ 4 დირეჰში, ქერისაზე — 2. ყურანის განმმარტებელი მალიქის მიხედვით, გადასახადის გაწერაში მიწის ფართობის სიდიდეს ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მიწის ნაკვეთის შემოსავლიანობის მხედველობაში მიღება. იბნ ჰუბეირას მიხედვით, იმამების უთანხმოება გამოწვეულია ხალიფა ომარზე არსებული სხვადასხვა ვადმოცემით, ამიტომ, მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარი მოქმედებისა, ყველა მათგანი მაინც მართალია, რადგან ისინი ამ ხალიფას შითითებებით ხელმძღვანელობენ.

ყურანიდან გამომდინარე, დაპყრობილი ქვეყნების შესახები სხვა ძირითადი დებულებებიც ასევე სხვადასხვანაირად არის განმარტებული. ხალიფის მიხედვით, დაპყრობილი მიწები „უნდა გადაიქცეს ვაკუფად (სამეჩითო მიწებად — გ. ტ.) ევგოპტის, სირიისა და ერაყის მსგავსად“¹. მალიქის დადგენით, იმამს არა აქვს უფლება შეიარაღებული ძალით დაპყრობილი მხარე დაანაწილოს დამპყრობელთა შორის. ასეთი მიწა აღიარებული უნდა იქნას ვაკუფად. შაფეი აცხადებს, რომ ამგვარი მიწა უსათუოდ უნდა დანაწილებულ იქნას ჯარისკაცებს შორის და მხოლოდ ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება უარი განაცხადონ მიწის მიღებაზე და გამოაცხადონ ისინი ვაკუფად. ახმედის განმარტების მიხედვით, იმამი თავისი სურვილის მიხედვით უნდა მოქმედებდეს და გამომდინარე მუსლიმანობის ინტერესებიდან, ეს ადგილები სახაზინო მიწებად უნდა გამოაცხადოს.

¹ გირგასის აღნიშნული შრომა, გვ. 17.

სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთისათვის ეს უკანასკნელი განმარტება ყურანზე ძალიან ხელსაყრელი გამოდგა. მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და შემდეგ იჯარით გაცემა ანთავისუფლებდა თურქების გაბატონებულ კლასს მეურნეობის მოვლისაგან. განუწყვეტელ ომებში მყოფ ოსმალეთის სამხედრო წოდებას, რომელიც მხოლოდ მუსლიმანებისაგან შედგებოდა, არ ეცალა მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობის გაწვევისათვის. გარდა ამისა, ფეოდალური დაქუცმაცების თავიდან აცდენისათვის უკეთესი იყო მიწების ერთ ხელში კონცენტრირება. რა თქმა უნდა, ყველა დაპყრობილ ადგილებში ერთბაშად არ ხდებოდა მიწაზე არსებული კერძო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად. ზოგიერთ დაპყრობილ ადგილებში XV საუკუნეშიც ჯერ კიდევ შემონარჩუნებული იყო მიწების კერძო საკუთრება. იგი გააჩნდათ ადგილობრივი მოსახლეობის ზედა ფენებს, რომელთაც დამპყრობლებმა დროებით შეუნარჩუნეს ის. მეორე მხრივ, ზოგიერთი დაპყრობილი ადგილი განაწილებულ იქნა გამარჯვებულთა შორის ეგრეთწოდებული მეთაფი მიწების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიწის პატრონს სახელმწიფოსათვის შემოსავლის მეთაფი უნდა გადაეხადა, მისი მიწა მაინც კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. პატრონს შეეძლო ამ მიწის გასხვისება. ასეთი მიწების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიპოვებოდა გეჯასისა და ბასრის მიდამოებში.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მაშინ, როგორც მესაკუთრენი ადგილობრივი მოსახლეობიდან, ისე მესაკუთრენი დამპყრობელთაგან, შეზღუდული იყვნენ არსებული თურქული ტრადიციებით და მათში კერძო საკუთრების შემდგომი განვითარება არამცთუ ვერ პოულობდა სათანადო ხელის შეწყობას, არამედ იგი ბრკოლდებოდა ამგვარ მეურნეობათა ზედმეტი დაბეგვრით და უზომო სხვადასხვა გადასახადით. განსაკუთრებით ეს ითქმის არა თურქული წარმოშობის მესაკუთრეებზე.

მეთხოთმეტე საუკუნის ბოლოდან, მაჰმუდ მეორის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნულ მიწაზე გადასახადების გაწერის შესახებ, თურქი მსაჯულები შემდეგ განმარტებას იძლეოდნენ:

ამა თუ იმ ადგილების დაპყრობის დროს საგადასახადო მიწები საკუთრების დამტკიცებით ეძლეოდათ არამუსლიმანებს იმ პირობით, რომ, გარდა სულადი გადასახადისა, მათ გაეღოთ აგრეთვე მიწის გადასახადი და ცალკე გამოსადები მოწეული ჭირნახულიდან. ეს უკანასკნელი (საშემოსავლო გადასახადი) მეთაფისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ იგი შედგება წლიური შემოსავლის მეთაფიზე უფრო მეტი ნაწილისაგან და იგი შეიძლება გაიზარდოს, ნიადაგის მდგომარეობის მიხედვით, წლიური შემოსავლის ნახევრამდე. მსაჯულები დასძენდნენ — ასეთი მიწები კერძო საკუთრებაშია და რომ ასეთებად ითვლებიან სევადულ-ერაყის მიწები¹.

ერაყის გარდა თურქებმა დროებით ხელუხლებლად დასტოვეს მიწათმფლობელობის ძველი წესები მიწაზე კერძო საკუთრების შემონახვით ზოგი-

¹ იხ. არსლანიანის დასახელებული შრომა, გვ. 15.

ერთ იმ ადგილშიც, რომელთა მესვეურებმაც დაპყრობის დროს თურქებს არ გაუწიეს წინააღმდეგობა და მიიღეს ისლამის სარწმუნოება. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ ხანებში. მალე ამ ადგილებშიც კერძო საკუთრების გვერდით გაჩნდნენ მიწათმფლობელობის ოსმალური ფორმები, დაწყებული სახელმწიფო მიწების საკუთრებით და დამთავრებული მიწის სამეჩითო მფლობელობით.

დროთა მსვლელობაში კერძო საკუთრებაზე აგებული მამულების ეკონომიურმა შეზღუდვამ, ამ მამულების მასობრივმა კონფისკაციებმა და სხვ. მეთექვსმეტე საუკუნისათვის მიწაზე არსებული კერძო საკუთრება მაქსიმალურად შეამცირეს ოსმალეთში.

ამგვარად, ოტომანთა იმპერიაში, რაც დრო გადიოდა, თანდათან ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას მიწაზე არსებული კერძო საკუთრება და მის ანგარიშზე იზრდებოდა სახელმწიფო მიწების ფონდი. ხოლო რაც შეეხება მიწის სახელმწიფო საკუთრებას, როგორც ზემოთ იყო ეს აღნიშნული, იგი თავის საწყისებს ლეზლობდა აზიური თემიდან, რომელშიც თემური, კოლექტიური საკუთრება თავს იყრიდა სუვერენის — დესპოტის ხელში.

სახელმწიფოებრივ საკუთრებას მიწაზე, რომელიც დაპყრობათა მეშვეობით სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, „მირიე“ ეწოდებოდა. დაპყრობების დროს ხელში ჩაგდებული მთელი ნადავლის (ამ შემთხვევაში, პირველყოფლისა, იგულისხმებოდა მიწა) ერთი მეხუთედი სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. სახელმწიფო მიწები კონცენტრირებული იყო სულთანის (ამ შემთხვევაში, მარქსის გამოთქმით, დესპოტის) ხელში.

„მირიეს“ თავის მხრივ, ეკუთვნოდა:

1. საუფლისწულო მამულები, რომელთა შემოსავალი სახაზინო იყო,
2. დაუმუშავებელი მიწები,
3. სულთანის უშუალო განკარგულებაში მყოფი პირადი საუფლისწულო მამულები, რომელთა შემოსავალი ხმარდებოდა ჰარამხანას და სულთანის სხვა პირად მოთხოვნილებებს. მიწების ამ ნაწილს ხას ჰუმაიუნი ეწოდებოდა,
4. საიმპერიო საუფლისწულო მამულები, მიწების ეს ნაწილი ცნობილი იყო ემლაქი ჰუმაიუნის სახელწოდებით,
5. მიწები, გაცემული დროებით მფლობელობაში სულთანის დედისათვის; ეს მიწები ატარებდა სახელწოდებას „ხასუხერა“,
6. ასეთივე სახელწოდებას ატარებდა საუფლისწულო მამულები, რომლებიც დროებით მფლობელობაში ეძლეოდათ ვეზირებსა და ფაშებს,
7. საუფლისწულო მამულები, გაცემული ლივის უფროსებზე, მინისტრებზე და სასახლის უფროსებზე; ეს მიწები ცნობილი იყო არფალიკის სახელწოდებით,
8. სამხედრო საუფლისწულო მამულები, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა ზიამთებად და თიმარებად.

ისლამის მიმდევართა წარმოდგენით, ყველა ეს მიწა ღვთის საკუთრებას წარმოადგენს და არავის არა აქვს უფლება მათი მისაკუთრებისა. მხოლოდ სულთანს შეუძლია გადასცეს ესა თუ ის მიწის ნაკვეთი ან მამული რომელი-

მე პიროვნებას დროებით მფლობელობაში, ვინაიდან სულთანია ღმერთის ერთად-ერთი წარმომადგენელი ამ საქმეში და მასშია განსახიერებული კოლექტიური მფლობელი.

სულთანი ამ მიწებს ურიგებდა გაბატონებული კლასის წევრებს იმისდა მიხედვით, თუ ვის რა „დამსახურება“ მიუძღოდა სახელმწიფოს წინაშე. უფრო სწორად რომ ვთქვათ, აღნიშნულ პირებს ფაქტიურად ეძლეოდათ არა მამულები, არამედ მამულების შემოსავალი. მიწის ნაკვეთების შემოსავლის გაცემა მოხელეებზე და სხვებზე წარმოებდა პირობით და დროებით. მამულის მფლობელის გარდაცვალების ან სულთანის მასზე განწყობის შემთხვევაში მამული დაუყოვნებლივ ჩამოერთმეოდა მას და გადაეცემოდა სახელმწიფოს. მთელ რიგ შემთხვევაში სულთანისადმი ურჩობის გამომჩენი ჰკარავდა არა მარტო მამულს, არამედ მთელ თავის ქონებასაც.

ჩეხელი თავადი ვრატისლავი, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მივილინებული იყო კონსტანტინოპოლში ავსტრიის დიპლომატიურ წარმომადგენელთა შორის, წერდა: „სანამ რომელიმე მათგანი (ლაპარაკია სულთანის მოხელეებზე. — გ. ტ.) ცოცხალია — იგი სახელოვანია, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, რაც კი რამ მას სიცოცხლეში გააჩნდა, ჩამოერთმევა ხაზინის სასარგებლოდ: — შენ იყავი ჩემი მონა, — ასე ეუბნება მას სულთანი, — ჩემი მეშვეობით გამდიდრდი და ამიტომ, რაც კი გააჩნია, მე უნდა დამიბრუნდესო“. ვრატისლავის თქმით, გარდაცვალებულის შვილები მემკვიდრეობით არ ღებულობდნენ რაიმე მამულს, გარდა იმისა, თუ მამა თავის სიცოცხლეში მიაწოდებდა მათ ფულად ღახმარებას, ანდა შეავედრებდა მათ სულთანს რაიმე თიმარის გაცემაზე¹.

თურქი მიწათმფლობელნი და სხვა მოხელეები ითვალისწინებდნენ რა ამ გარემოებას, წინასწარ ცდილობდნენ როგორმე თავი დაეზღვიათ სულთანის კონფისკაციებისაგან, ამიტომ მათ მფლობელობაში მყოფ მამულებს ისინი სწირავდნენ მეჩითებს, რომელთა ხელყოფა, ერთხანად, წესად არ იყო მიღებული. საეკლესიო საკუთრებად ქცეული მიწის (ვაკუფის) ჩამორთმევას სულთანები ერიდებოდნენ. იმ დროისათვის ცნობილი მკვლევარი ორიენტალისტი მურაჯა დოსონი ასევე ადასტურებს, რომ მამულების მფლობელნი თავიანთ მიწების ვაკუფად გადაქცევას ახდენდნენ იმ მიზნით, რათა თავი დაეზღვიათ „От описей султанов по закону присвоеному ими всякие имущества по смерти вельможей и чиновников общественных“².

ოსმალეთის კანონმდებლობა და ადათები მთლიანად მიმართული იყო იქითკენ, რომ მტკიცედ დაცულიყო მიწის სახელმწიფო საკუთრების ფონდის არა მარტო შენარჩუნება, არამედ მისი შემდგომი ზრდა, ურომლისოდაც სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელი ხდებოდა. ოს-

¹ К. Победоносцев, Приключение чешского дворянина Вратислава в Константинополе в тяжелой неволе у турок, с австрийским посольством 1591 г., стр. 57 — 58.

² Д'оссон, Полная картина Оттоманской империи, ч. I, стр. 413, изд. 1795 г.

მალეთში სახელმწიფო მიწების დაცვა და ბრძოლა მისი კერძო საკუთრებად გადაქცევის წინააღმდეგ თავიდანვე სავალდებულო მოვლენად იყო გადაქცეული.

მაჰმუდ მეორემდე ოსმალეთში არსებობდა ერთგვარი წესი, რომლის მიხედვითაც, თუკი სახელმწიფო მიწაზე ვინმე დარგავდა ხეხილს ან ააგებდა შენობას, მის მიერ დაკავებული მიწის ფართობი კერძო საკუთრებად იქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბინების აგებისათვის ან რამდენიმე ხის დარგვისათვის სულაც არ იყო საჭირო დიდი ფართობების გამოყოფა, რომ სახელმწიფო მამულები — მიწები არ „შემცილებულიყო“, მაჰმუდ მეორემ დაადგინა: „თუ მიწის მფლობელი მოისურვებს ყანის ბაღად გადაკეთებას, ამაზე წინასწარ ნებართვა უნდა მიიღოს სიფაისაგან; იგი ასევე უნდა მოიქცეს შენობის აგების შემთხვევაშიც. ამასთან მიწაზე, რომელიც განკუთვნილი იქნება შენობისათვის ან ბაღისათვის, უნდა გაწერილ იქნეს საშემოსავლო გადასახადი ფულადი სახით და შემდეგშიც უნდა წარმოებდეს მისი გადახდევინება“¹.

მაგრამ მაჰმუდ მეორის კანონმდებლობა უფრო შორსაც მიდიოდა. მის თანახმად სახელმწიფოს უბრუნდებოდა არა მარტო თიშარის ან რომელიმე საკარგავის გარდაცვალებული მფლობელის მამული და ქონება, არამედ ვერეთწოდებული მულქიც, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენდა მიწაზე და მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში.

მულქისა და კერძო პიროვნებათა მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევისათვის „ბედნიერების სასახლე“ უკიდურეს (უქანონო) ღონისძიებებსაც კი მიმართავდა. ამა თუ იმ გარემოების მომიზეზებით იგი მასობრივად ატარებდა კონფისკაციებს სახელმწიფოს სასარგებლოდ. ყოჯაღლის სანჯალის ყადიებისადმი გაგზავნილ სულთანის ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „...და გარდა ამისა, აღნიშნული სანჯალის მდაბიო მოსახლეობიდან გარდაცვლილი პირის დარჩენილი ქონება, თუ ათი ათასი ან ათი ათასზე მეტი ღირებულებისაა, თანახმად განკარგულებისა, სახელმწიფო ბეთ-ულ-მალისათვის დააკავეთ, თუ ათი ათასზე ნაკლები იქნება სახალხო ბეთ-ულ-მალისათვის დააკავეთ“².

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ ის პირნიც, რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომნი არ იყვნენ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა უცხოელ ვაჭრებს, რომელთა ქონება და საქონელი ოსმალეთში არაფრით იყო დაცული. სხვადასხვა საბაბით მათ ხოცავდნენ, ხოლო მათი საქონლის „მემკვიდრედ“ სულთანი იყო გამოცხადებული.

მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ოსმალეთში არსებული წესების გამო ვაჭრობა ფერხდება და კაპიტალისტური განვითარება ისლამთან შეუ-

¹ არსლანიანის დასახ. შრომა, გვ. 25.

² Ömer Barkan, Osmanlı İmperatorluğunda çiftçi sınıfların hukukî statüsü, say: 58, yaprak 301, cilt X, 1937.

თავსებელი ხდებოა. უცხოელი ვაჭრების ქონების მითვისება ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ, ხშირ უკმაყოფილებას იწვევდა საზღვარგარეთულ სახელმწიფოებში, კერძოდ, რუსეთი ხშირად აწარმოებდა დავას ოსმალეთთან ფრთხილად მდებარე „ზაუმორშინის“ საკითხის ირგვლივ. ისტორიული წყაროები მიგვითითებს იმაზე, რომ ოსმალეთის სულთანები ხშირად ითვისებდნენ რუსი ვაჭრების მემკვიდრეობას თურქეთში.

კერძო პირთა მამულებისა და მოძრავი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით სულთანები არ უკადრისობდნენ შემდეგი ვერაგული ხერხების გამოყენებასაც: თავიანთ ქალიშვილებს (რომლებიც მრავალცოლიანობის გამო მათ დიდნი რაოდენობით მოეპოვებოდათ) ან ნათესავ ქალებს, განგებ ათხოვებდნენ ფაშებზე და დიდ თანამდებობის მქონე პირებზე იმ ანგარიშით, რომ შემდეგში ეს უკანასკნელნი (სიძეები) გამოეცხადებინათ მოლაღატებად და ამგვარი „მემკვიდრეობის“ საფუძველზე, სიკვდილით დასჯის შემდეგ, მოეხდინათ მათი ქონების მითვისება.

წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ამგვარი კონფისკაციებით, უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით სულთანის ქალიშვილს ათხოვებდნენ მცირეწლოვანს, რათა შესძლებოდათ მისთვის რამდენიმე ქმარის გამოცვლა და ყველა მათი ქონების კონფისკაცია. ამის შესახებ ინგლისელი ელჩი კონსტანტინებოლში — რიკოტი დამარწმუნებლად ვადმოგვცემს: „ამჟამად მყოფ სულთანის მამამ, სულთანმა იბრაჰიმმა, ძალიან მცირეწლოვან ასაკში გაათხოვა თავისი სამი ქალიშვილი. ერთ მათგანს ჰქვია ჯეალერხან სულთანი, რომელმაც უკვე მეხუთე ქმარი გამოიცვალა, და ამბობენ, რომ ისევ ქალიშვილად დარჩაო; უკანასკნელი მისი ქმარი იყო ისმაილ ფაშა, რომელიც გარდაიცვალა... და ახლა გათხოვილია ის ბუდიმელ გურჯი მაჰმუდ ფაშაზე, რომელიც ოცდაათი წლისაა, ძალიან მდიდარია და შეუძლია შესაფერისად აცხოვროს მისი უდიდებულესების შთამომავალი, თუმცა, საცოლეს მცირეწლოვანობის გამო, მას არა აქვს უფლება იცხოვროს ცოლთან, ისე როგორც არ ჰქონდათ ამის უფლება პირველ ქმრებს“¹.

ამგვარად, სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთში მთელი ღონისძიება მიმართული იყო სახელმწიფო ქონებისა და მიწების გაფართოებისაკენ. დაპყრობებისა და კონფისკაციების შედეგად ევროპულ სახელმწიფოებშიც იქმნებოდა სამეფო მიწების ფონდები. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ, როგორც თვალსაჩინო მაგალითი, ფრანკთა მონარქია, დაწყებული ხლოდვიგიდან და დამთავრებული ეგრეთწოდებული კარლოს დიდით. მაგრამ იმ დროს, როცა აზიური თემის საფუძველზე წარმოქმნილ ოსმალეთის სახელმწიფოში სამეფო მიწის ფონდი, იქ არსებული ტრადიციების მიხედვით, ითვლებოდა „ღვთის საკუთრებად“ და ისლამის სარწმუნოების მიმდევართა თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო ხელშეუხებელი, ფრანკთა მეფეები სამეფო მიწებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც თავის პირად საკუთრებას.

¹ Monarchie turcique, décrite par Ricotti, ancien ambassadeur de France à Constantinople, Paris, 1741, p. 52.

ჯერ ერთი, რომ მიწების სამეფო ფონდიდან მეროვინგებისა და შემდეგ კაროლინგების დინასტიათა წარმომადგენელი შეუზღუდავად ურიგებდნენ მამულებს ცალკეულ პირებს კერძო საკუთრებაში. მართალია, ამ ფონდიდან ისინი მიწებს გასცემდნენ ბენეფიციუმების სახით დროებითა და პირობით მფლობელობაშიც, მაგრამ ქვეყნად გაბატონებული მიწის კერძო საკუთრების პირობებში მათ მიერ გაცემული ბენეფიციუმებიც ხშირად კერძო საკუთრებად იქცეოდა. უფრო მეტიც, ფრანკთა მეფეები მათ მესვეურებაში მყოფ სახელმწიფოს წარმოიდგენდნენ რა თავიანთ პირად საკუთრებად, მას უნაწილებდნენ მემკვიდრეობაში თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს, რის გამოც დაქუცმაცებული ფრანკთა მონარქია ხშირად ჰკარგავდა პოლიტიკური მთლიანობის სახეს.

აზიური თემის მიწათმფლობელობის თავისებურებათა ტრადიციებმა შეუძლებელი გახადეს სულთანების მიერ სახელმწიფო მიწების თავიანთ საკუთრებად გადაქცევა ისე, როგორც ამას ახერხებდნენ ფრანკების მეფეები. აზიური თემის ამ თავისებურებათა პირობებში, მართალია, სულთანში იყო განსახიერებული მიწის საზოგადოებრივი საკუთრება, მაგრამ მისი კერძო საკუთრებად გადაქცევა სწორედ ამიტომვე იყო შეუძლებელი.

აზიური თემის ეგრეთწოდებული კოლექტიური საკუთრებიდან და მის სხვა თავისებურებათაგან გამომდინარეობდა აგრეთვე სულთანის ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც. ოსმალეთში სახელმწიფოს პოლიტიკური მთლიანობა ტრადიციულად უნდა ყოფილიყო დაცული ისევე, როგორც შეუძლებელი იყო სახელმწიფო მიწების მთლიანობისადმი რაიმე ხელყოფა. აქედან გამომდინარე, იკრძალებოდა სახელმწიფოს ყოველგვარი დანაწილება სულთანის შვილებს შორის. სამეფო ტახტის მემკვიდრედ — სულთანად მხოლოდ ერთი შვილთაგანი უნდა გამხდარიყო და ისიც არა უფროსი, არამედ ის, ვინც მამის გარდაცვალებისას ყველაზე უფრო ადრე მოვიდოდა პროვინციიდან¹ სატახტო ქალაქში (სტამბოლში) და დაასწრებდა ტახტის ხელში ჩაგდებას.

რა თქმა უნდა, ამ „დასწრების“ ორგანიზაციას მაინც სასახლის გავლენიანი წრეები ხელმძღვანელობდნენ, რომელნიც გარკვეული დროის მანძილზე საიდუმლოებაში ინახავდნენ სულთანის გარდაცვალების ამბავს მანამდე, სანამ ამას ფარულად არ აცნობებდნენ სულთანის იმ შვილს, რომელიც მათთვის უფრო მისაღები კანდიდატი იქნებოდა. თანახმად ზემოთ აღნიშნული ტრადიციებისა, რომელთა მიხედვითაც არ უნდა მომხდარიყო სულთანის შვილებს შორის სახელმწიფოს განაწილება, ტახტზე ახლად ასული სულთანი ვალდებული იყო დაეხოცა ყველა თავისი ძმა რა ასაკშიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

ჩებელი თავადი ვრატისლავი 1591 წელს კონსტანტინეპოლში ყოფნისას წერდა: „საიდუმლოდ მოვიდა რა კონსტანტინეპოლში სულთან მაჰმუდი, მაშინვე თოკით დაახრჩეს მისი 19 ძმა. ეს საქმე ჩაიდინეს მუნჯებმა, რომელნიც

¹ სულთანის (მამის) სიცოცხლეში მისი შვილები დაგზავნილი იყვნენ პროვინციების მმართველებად და კონსტანტინოპოლიდან დაცილებული იყვნენ სხვადასხვა მანძილით.

საგანგებოდ არიან დანიშნული ასეთი საქმეების (დახრჩობის) შესასრულებლადო¹.

სულთანების მიერ თავიანთი ძმების ულმოებელი განადგურების ჩვეულება ოსმალეთში გრძელდებოდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდეც, თუმცა ამ ჩვეულების ოდნავი „შერბილება“ შეიმჩნეოდა მეთვრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდანაც. ინგლისელი ელჩი კონსტანტინეპოლში — რიკოტი 1741 წელს ამის შესახებ წერდა: „მაგრამ, როცა სულთანს ძმები ცოტა ჰყავს და მისი ბუნება უფრო მშვიდია ვიდრე მწვალებლისა, სულთანი კმაყოფილდება თავისათვის უშიშარ ადგილებში მათი მოთავსებით... და ჩააბარებს მათ სახანდო პირებს იმ მიზნით, რათა ისინი მეტეაქსურეობის ქვეშ ამყოფოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ყოველივე ამის გამო სულთანის ძმებსა და მონებს შორის განსხვავება არა რჩება, ვინაიდან მათ სხვებთან განსაუბრების საშუალებას არ აძლევენ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ახლანდელი სულთანის, მაჰმუდის, ორი ძმა. ისინი ისეთ სიბნელეში არიან მოთავსებული და მათზე ზრუნვა იმდენად ნაკლებია, რომ, გეგონებათ, ამ ქვეყნად ისინი სრულიად არ არსებობენო“².

მაგრამ, თუ სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთში ცენტრალიზებული ხელისუფლების წარმოშობისა და განმტკიცების ბაზას წარმოადგენდა აღმოსავლური თემის კოლექტიური საკუთრება მიწაზე, რომელიც შემდეგში სახელმწიფო საკუთრებად გადაიქცა, სამაგიეროდ, ამ ცენტრალიზაციის ხელშემწყობი სოციალურ-პოლიტიკური მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ კლასობრივ ბრძოლებში, რომელნიც გამძაფრებული ფორმებით მიმდინარეობდნენ დიდი ხნით ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. ცნობილია, რომ ოსმალეთის სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაცია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს მეთექვსმეტე საუკუნეში სწორედ მაშინ, როცა ოსმალეთის იმპერია ყოველმხრივ მოიცვა გლახთა აჯანყებებმა.

მეთექვსმეტე საუკუნის მთელ მანძილზე რელიგიურ სამოსელში ვახვეული გლახთა აჯანყებანი ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ წყობილებას რიგ შემთხვევებში განადგურებით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის ხელისუფალთ თავისი ბატონობის შემდგომი შენარჩუნების მიზნით აუცილებლად ესაჭიროებოდათ მძლავრი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომლითაც მოახერხებდნენ „ურჩების“ დათრგუნვას.

XV — XVI საუკუნეებში ფეოდალურ ევროპაშიც წარმოებდა სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია. წარმომადგენლობითი მონარქიიდან იქმნებოდა აბსოლუტური მონარქიები, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ცენტრალიზაცია ხორციელდებოდა იქ ბურჟუაზიის გაძლიერების პირობებში, ე. ი. სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ევროპის აბსოლუტიზმიც წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას.

¹ იხ. პობედონოსცოვის დასახელებული შრომა, გვ. 185.

² იხ. Монархия турецкая., стр. 71.

მსგავსი რამ არ შეიძლება ითქვას სულთანების სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციაზე, ვინაიდან იგი ემყარებოდა რუტინული აზიური თემის თავისებურებებს, კონსერვატიულ გონება ჩლუნგობას და, მაშასადამე, მისი არსებობა და პოლიტიკური სიძლიერეც დამოკიდებული იყო არა შინაგან საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებაზე, არა წარმოების გაფართოებულ წარმოქმნაზე, არამედ საკუთარი სამხედრო ძალების ზრდაზე და ახალ და ახალ დაპყრობათა განვითარებაზე. ამგვარად, სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის საფუძვლებს ძირითადად სამხედრო პრინციპები განსაზღვრავდა.

სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის აბსოლუტური მონარქი — სულთანი სახელმწიფოს განაგებდა ეგრეთწოდებული ვეზირების მეშვეობით. სულ ოთხი ვეზირი იყო. აქედან ერთი მათგანი უმაღლეს ვეზირად ითვლებოდა და ხშირ შემთხვევაში იგი იყო ოსმალეთის იმპერიის ფაქტიური ხელმძღვანელი, კოჩუბეი გომურჯოელის თქმით, ჰიჯრის 992 წლამდე (1584) უმაღლესი ვეზირები სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და არავის არ ეძლეოდა უფლება მათ საქმეებში ჩარევისა. უმაღლესი ვეზირის უფლებათა ზრდა უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ომიანობის დროს. სამხედრო ოპერაციების წარმოებისას, ოსმალეთის არმიის საერთო ხელმძღვანელობა (მთავარსარდლობა) უმაღლესი ვეზირის ხელში გადადიოდა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სულთანები თვითონაც ხელმძღვანელობდნენ ლაშქრობას, თუ ამ უკანასკნელს ეძლეოდა დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

რაკი სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის ბუნებიდან გამომდინარეობდა განუწყვეტელი ომების წარმოება სულ ახალი დაპყრობების მიზნით, მისი პოლიტიკური წყობილებაც განისაზღვრა თავისებური კოსმოპოლიტური ტენდენციებით. სახელმწიფოებრივი აპარატის მაღალ თანამდებობებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით ინიშნებოდა გამაჰმადიანებული პირები დაპყრობილი ხალხებიდან. ოსმალეთის 48 უმაღლესი ვეზირიდან თურქული წარმოშობისა იყო ნხოლოდ 12. იბრაჰიმ-ფაშა წარმოშობით ალბანელი (პარგიდან) იყო, რუსტამ-ფაშა და ალი-ფაშა — დაღმაცვიდან, მაჰმუდ სოკოლი (Сокли) — ბოსნიიდან, გურჯი მაჰმუდ-ფაშა — საქართველოდან და სხვ. რიკოტი თავის შრომაში (გვ. 24) წერს: „მუფთი ქენანფაშას აკვირვებდა, რომ იმ ხანებში ჩვეულებად იყო ქცეული ვლახარაქნათ სულთანის სასახლეში ქართულად, მეგრულად, ბოსნურად და სხვ“.

ჩვენ მიერ მოხსენებული ჩეხელი თავადი ვრატისლავი ოსმალეთში ყოფნისას აღნიშნავდა: „მე არც ერთ ფაშაზე ოსმალეთში არ მსმენია, რომ ყოფილიყო თურქი. არც კონსტანტინეპოლში და თურქეთის მიწა-წყლის სხვა კუთხეში ფაშები არ არიან წმინდა თურქული წარმოშობისა. ყველა მათგანი მცირეწლოვან ასაკში წამოყვანილია ქრისტიანი მშობლებისაგან და შემდეგ გათურქებული“¹.

ეს გარემოება, მეორე მხრით, აიხსნებოდა თვით აზიური თემის შინაგანი ბუნებით. რაკი არ არსებობდა მიწაზე კერძო საკუთრება, კერძო საკუთ-

¹ იხ. პოხედროსცევის დასახელებული შრომა, გვ. 58.

რებისათვის შესაფერი მემკვიდრეობაც არ არსებობდა და ამ შემთხვევაში გვარი, როგორც მემკვიდრეობის განმანხორციელებელი, ზედმეტი ხდებოდა. ყოველივე ამან ოსმალეთში ზედმეტი გახადა საგვარეულო (შთამომავლებით) არისტოკრატის წარმოქმნა, რის გამოც მალალ თანამდებობაზე სხვადასხვა ეროვნებიდან ინიშნებოდნენ.

გარდა ამისა, ოსმალეთის მიერ ომების წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო იყო არა მარტო შემტევე ჯარებში მტკიცე დისციპლინის დანერგვა, არამედ მებრძოლთა იდეოლოგიური მომზადებაც. ამასთან, კოსმოპოლიტური ატიტუტაცია მიზნად ისახავდა დასაპყრობი მოსახლეობის ერთი ნაწილის თავის მხარეზე გადმობირებას. თუ რამდენად განვითარდა ოსმალური კოსმოპოლიტიტობა, ეს ზანს იქიდან, რომ თურქები თავიანთ თავს აღარ უწოდებდნენ თურქებს და ოსმალებად იხსენიებოდნენ, რადგან „თურქი“ სინონიმად გახდა „ოგუზისა“, ანუ „ულუზისა“, ხოლო ეს უკანასკნელი სამარცხვინო ჩამორჩენილობის — ველურობის სახელწოდებად იყო გადაქცეული.

ოსმალური კანონების კომენტატორად ჩვეულებრივ მუფტი ითვლებოდა, რომელიც ყოველგვარ კანონთა განმარტების საკითხს სულთანთან წინასწარ ათანხმებდა და ყურანზე დაყრდნობით სასამართლო საქმეებს აწესრიგებდა. სასამართლო და სასულიერო ხაზით მუფტობა სახელმწიფოში თავისებურ უმალღეს ინსტანციას წარმოადგენდა, ხოლო სულთანის ხელისუფლების შესუსტების პირობებში ზოგჯერ მუფტი სულთანსაც კი არ ეთანხმებოდა კანონის ამა თუ იმ განმარტებაში. საქველმოქმედო და საზოგადოებრივი ხასიათის წამოწყებანი უმთავრესად მეჩითების ხაზით წარმოებდა და იმდენად, რამდენადაც მეჩითების იდეურ ხელმძღვანელად მუფტი ითვლებოდა, ის ხშირად ერეოდა მეჩითების პრაქტიკულ საქმიანობაშიც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებათა ხაზით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზრუნვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმიანობაზე, ანუ წარმოების ხელახალ წარმოქმნაზე ოსმალეთში, ისე როგორც სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, ნაკლებად შეიმჩნეოდა. ენგელსი მარქსისადმი 1853 წლის 6 ივნისის მიწერილ წერილში, ჩამოთვლიდა რა აღმოსავლური ქვეყნების მმართველობის სამ დეპარტამენტს, წარმოების ხელახალი წარმოქმნის განყოფილებას ყველაზე ბოლოს იხსენიებდა. იგი აღნიშნავდა: „მთავრობას აღმოსავლეთში ყოველთვის სამი უწყება ჰქონდა: ფინანსები (ძარცვა ქვეყნის შიგნით), ომი (ძარცვა ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნებისა) და საზოგადოებრივი სამუშაოები (ზრუნვა რეპროდუქციისათვის)“¹.

ამ უკანასკნელ გარემოებას — საზოგადოებრივ სამუშაოებს, ძველ აღმოსავლურ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა განსაკუთრებით ირივაციის საკითხში, მაგრამ აღმოსავლეთის ახალ სახელმწიფოებში, (ოსმალეთს, ირანსა და სხვ.) იგი კარგა ხანია მივიწყებული ჰქონდათ და ანვითარებდნენ მხოლოდ საგადასახადო სისტემისა და სამხედრო საქმეს.

ოსმალეთის იმპერიამ მართვა-გამგებლობის თვალსაზრისით დაყოფილი

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 75, გამოც. 1949 წ.

იყო ორ ნაწილად: რუმელიად და ანატოლიად (ოსმალეთის ევროპული და აზიური ნაწილები). ომიანობის დროს რუმელიის ჯარების მთავარსარდალი სულთანის მოადგილედ ითვლებოდა, ხოლო ანატოლიის პროვინციების (ბრუსის, სმირნის, კასტამონის, ანკარის და სხვ.) მთავარსარდალი კი ითვლებოდა ოსმალეთის აზიური ნაწილის ყველა შეიარაღებული ძალის ხელმძღვანელად.

სახელმწიფო ფინანსიურ საქმეებს განაგებდა ერთ-ერთი ვეზირი, რომელსაც დეფტერდარი ეწოდებოდა. როგორც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, იგი „დავთრების“ გამგებელი იყო. ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ყოველ ვილაიეთზე ხუთ წელში ერთხელ დგებოდა საგადასახადო დავთარი, რომლის ასლი რჩებოდა მოცენულ ვილაიეთს, ხოლო დედანი იგზავნებოდა დეფტერდართან. ყოველგვარი გადასახადი და ხარკი იკრიფებოდა ამ დავთრების მიხედვით.

ფინანსიური განყოფილება იერარქიული სტრუქტურის მატარებელი იყო და შედგებოდა თორმეტი ქვეგანყოფილებისაგან. ამ განყოფილებაში თავს იყრიდა მთელი სახელმწიფო შემოსავალი, მაგრამ, გარდა გადასახადებისა და ხარკებისა, მის განკარგულებაში იმყოფებოდა სახელმწიფო მამულების უზარმაზარი ფონდიც. მის უფლებას წარმოადგენდა ყადაღის დადება იმ ვასალის მამულის შემოსავალზე, რომელიც უარს გამოაცხადებდა სამხედრო ვალდებულებათა შესრულებაში. ასეთ შემთხვევაში დეფტერდარი მოვალე იყო მამულის მფლობელის ახალი კანდიდატურა წაეყენებინა სულთანისათვის დასამტკიცებლად.

ოსმალეთის იმპერია დაყოფილი იყო 25 პროვინციად. კონსტანტინეპოლს თავისი მიდამოებით ცალკე მმართველობა გააჩნდა, ხოლო არქიპელაგის პროვინცია ექვემდებარებოდა საზღვაო უწყებას. პროვინციების მმართველს მირ-ლივა ეწოდებოდა, რომელსაც გასამრჯელოში, არსლანიანის თქმით, ეძლეოდა საუფლისწულო 1,200.000-მდე ასპერის შემოსავლით. თვითეული პროვინცია, ანუ ლივა იყოფოდა სანჯალებად (ოლქებად), რომელთაც ბეგები ხელმძღვანელობდნენ. ბეგებისათვის განკუთვნილი იყო მამულები, რომელთა შემოსავლიდან ბეგებს წილად ხვდებოდა 100-დან 500.000-მდე ასპერი. თვითეული სანჯალი მოიცავდა რამდენიმე ზიამეთსა და თიმარს.

ამგვარად, ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულებს ოსმალეთში ზიამათები და თიმარები წარმოადგენდნენ. ზიამათები და თიმარები ეწოდებოდა გლეხურ მეურნეობათა ისეთ რაოდენობრივ გაერთიანებას, რომლისაგანაც პირველ შემთხვევაში (ზიამათი) გაიღებოდა გადასახადი 20-დან 100 ათასამდე ასპერი, ანუ აღჩა, ხოლო მეორე შემთხვევაში 3-დან 20 ათასამდე. გლეხურ მეურნეობათა უფრო მსხვილი რაოდენობრივ გაერთიანებას ეწოდებოდა ხასი, რომლის გამოსაღები 100 ათას აღჩას აღემატებოდა.

სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის იმპერიის მთელი ტერიტორია მოფენილი იყო ზიამათებითა და თიმარებით. ჰამერის გამოანგარიშებით, მართო აზრუმის სანჯალში 66 ზიამათი და 2219 თიმარი მოიპოვებოდა. რუმელიის ვილაიეთი, რომლის ბეგლარბეგის რეზიდენციას სოფია წარმოადგენდა,

შედგებოდა 24 სანჯალისაგან და, პროფ. სოკოლოვის თქმით 8,360 თიმარს და 914 ზიამათსა და ხასს შეიცავდა. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრისათვის ამ მამულების შემოსავლიანობის შესახებ არსლანიანი სათანადო წყაროებზე დაყრდნობით შემდეგ ცნობებს გვაწვდის: ვასალების საერთო შემოსავალი სამეფო და სახელმწიფო მიწებიდან უდრიდა 280.000.000 აღჩას, აქედან მარტო ზიამათებზე და თიმარებზე, რომლებიც სახელმწიფო მიწებს წარმოადგენდა, გაანგარიშებული იყო 245.000.000 აღჩა.

პროფ. სოკოლოვს რუმელიის თიმარების რაოდენობა 60 ათასამდე აჭყავს და, საერთოდ, ოსმალეთის შემოსავალს, ემყარება რა კონსტანტინეპოლში ყოფილ ვენეციელ დიპლომატიის წარმომადგენლის პავლე კონტარინის მიერ 1583 წლის მოცემულ ცნობას, 18 მილიონი დუკატით განსაზღვრავს. მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღნიშნული ციფრი მიახლოებითი ხასიათისაა, რადგან მამულების აღწერა ოსმალეთში, რომელზედაც აღნიშნული ცნობებია დამყარებული, არქაული წესით ტარდებოდა და მთელ რიგ შემთხვევაში მოკლებულია სიზუსტეს.

ხასების, ზიამათებისა და თიმარების მფლობელების სახელწოდებანიც ამ ფლობელობის შესაბამისი იყო. ხასის მფლობელს ბეგი ეწოდებოდა, ზიამათისას — ზიმი, ხოლო თიმარისას — თიმარიოტი, ანუ სიფაი. ხასები, ზიამათები და თიმარები ეძლეოდათ გაბატონებული ფეოდალური კლასის წევრებს გარკვეულ სამხედრო და ადმინისტრაციულ მოვალეობათა შესრულებისათვის. ეს მფლობელობა არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას. იგი დროებითი და პირობითი იყო. ეს გარემოება, ერთი მხრით, მოგვაგონებს ფეოდალურ ევროპაში არსებული ბენეფიციუმების სისტემას, მაგრამ მთლიანი იგივეობის აღიარება ბენეფიციუმებსა და თიმარიოტულ სისტემას შორის არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ბენეფიციუმის გაცემა გულისხმობდა მიწის ფართობის გადაცემას მფლობელისადმი, ხოლო ოსმალეთში მფლობელთ ეძლეოდათ არა მიწები, არამედ ამ მიწებზე გადასახადების აკრეფის უფლება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომ უფრო ადვილი ხდებოდა ევროპაში საბენეფიციუმო მიწების ჯერ სამემკვიდრეო მფლობელობად, ხოლო შემდეგში კერძო საკუთრებად გადაქცევა. რასაკვირველია, ოსმალეთშიც წარმოებდა მსხვილი მიწათმფლობელების ბრძოლა დროებით ფლობელობაში მყოფ საშემოსავლო მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევისათვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი არ თავდებოდა მემამულეთა სასარგებლოდ, განსაკუთრებით სულთან მაჰმუდ მეორის (1451 — 1488) კანონმდებლობის შემდეგ, რომლითაც ლენური მემკვიდრეობა სავსებით უკუგდებულ იქნა და ამასთან ლენების გაცემა უშუალოდ სულთანის ხელისუფლებას დაექვემდებარა.

უფრო ადრე ლენების გაცემა ოსმალეთში ხდებოდა მსხვილი ფეოდალებისაგან დანიშნული პროვინციების მმართველების მიერ. ეს გარემოება საშიშროებას უქმნიდა სულთანის ხელისუფლებას იმის გამო, რომ იზრდებოდა ლენების მიმღებთა დამოკიდებულება პარტიკულარიზმის მქონე პროვინციების მმართველი მსხვილი ფეოდალებისაგან, რაც უფრო მეტად აძლიერებდა უკანასკნელთა გავლენას სახელმწიფოში. ამიტომ იყო, რომ მათი წარ-

მომადგენელი კოჩუბეი გომურჯოელი თავის რისალეში (მოხსენებით ბარათში) სულთანის მმართველობას სასტიკად აკრიტიკებდა ლენების გაცემის წესის საკითხში და მოითხოვდა ძველად არსებული წესის აღდგენას:

კოჩუბეი თავის რისალეში წერდა: „ერთი სიტყვით, მსხვილი და წვრილი მამულების ცუდ პირობებში ჩავარდნას მიზეზი არის ის, რომ მამულებში შექმნილ ვაკანტურ ადგილებზე ცალკეულ პირებს თვით სასახლის უმაღლესი ვეზირი ნიშნავს. თუ თავისუფალ ადგილებზე ბეგლარ-ბეგები უღირსებს დანიშნავენ ძველად, მაშინ დანიშვნის ღირსი პირები საჩივრულად მეფის სასახლეში მიდიოდნენ. ახლა კი როცა თვით უმაღლესი ვეზირი ნიშნავს ისეთ პირებს, რომელთაც ეს არ დაუმსახურებიათ, მაშინ ვისლა უნდა მიმართონ საჩივრით ღირსეულმა პირებმა?“¹

თავიდანვე მამულების გაცემა მთლიანად დაქვემდებარებული იყო სამხედრო საქმისადმი. მამულები ეძლეოდათ მხოლოდ ბრძოლის უნარის მქონე პირებს და გაცემული მამულის სიდიდეც იმაზე იყო დამოკიდებული, თუ მის მიმღებს, როგორი წარმატება ექნებოდა მიღებული ბრძოლის ველზე. ამ გარემოებას თვალსაჩინოდ ადასტურებს თავის რისალეში კოჩუბეი გომურჯოელი. იგი გადმოგვცემს, რომ წვრილი მამულების მქონეთაგან ვინც ლაშქრობის დროს გამოიჩინდა არაჩვეულებრივ ვაჟაკობას და სარდლობას წარმოუდგენდა ათიდან—თხუთმეტამდე მოჭრილ თავს ან ენას, იგი ღირსეულ პირად ითვლებოდა და ამის გამო მას უფრო მსხვილი მამული ეძლეოდაო².

თვითეული ბრძოლის ჩატარების შემდეგ ოსმალეთის სარდლობა თვალყურს ადევნებდა მებრძოლის საქმიანობას, აწარმოებდა აღრიცხვას და თავისი გამოტანილი დასკვნის დასასაბუთებლად აგროვებდა მტრის სხეულის მოჭრილ ნაწილებს სათანადო ხელისუფალთათვის წარსადგენად. ოსმალეთის ისტორიოგრაფიაში ცნობილია უამრავი ფაქტი იმისა, თუ როგორ აწყობდა სარდლობა უამრავი კასრის გაგზავნას კონსტანტინეპოლში ადამიანთა დამარცხებული ყურებით.

არსებული თურქული წესების მიხედვით, თუ სუბაში (სამხედრო დანაყოფის ხელმძღვანელი) მოკლული იქნებოდა ბრძოლის ველზე და ფლობდა მამულებიდან შემოსავალს 20 — 50000 აღჩამდე, მის სამ შვილს თავდაპირველად არ შეეძლო მიეღოთ მამულები 6000, 5000 და 4000 აღჩაზე უფრო მეტი შემოსავლით. თუ მოკლული სუბაში ფლობდა მამულებს, რომელთაგანაც ის ღებულობდა 50-დან 100000 აღჩამდე, მაშინ მის შვილებს მიეცემოდათ მამულები არა უმეტეს 8000, 7000 და 6000 აღჩას შემოსავლით. მაგრამ, თუ სუბაში მოკვდებოდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღების გარეშე, მაშინ მისი ორი შვილი მიიღებდა თვითეულ თიმარს 5000 აღჩას შემოსავლით, ხოლო მესამეს მიეცემოდა თიმარი 4000 აღჩათი.

აქედანაც ჩანს, რომ თიმარებისა და ზიამათების გაცემის სისტემა

¹ В. Д. Смирнов, Кочубей Гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, стр. 127, изд. 1873 г.

² აღნიშნული შრომა, გვ. 89.

მთლიანად დაპყრებული იყო სამხედრო საქმიანობაზე, დაპყრობებზე, იმ აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელსაც სისტემატურად ატარებდა სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის სახელმწიფო. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“, რომელიც შედგენილი იყო ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ 1595 წელს სამხრეთ საქართველოს დაპყრობისა და მისი აღწერის შედეგად¹.

ამ დავთრის 335-ე გვერდზე ნათქვამია: „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი სოფელ ფანაკში (ძღებარე) ნურაზიზის ძის გულაზიზ ზიმმის მფლობელობაში (მყოფი). ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყონებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“, და აქვე — „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი სოფელ ფანაკში (ძღებარე) — ۱۰۰-ის ძის ۱۰ ზიმმის მფლობელობაში (მყოფი). ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყონებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“. ვინმე ზაქარია გურჯის მფლობელობის შესახებ ამავე დავთრის 344-ე გვერდზე ნათქვამია: „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი, ۱۰۰-ის ძის ზაქარ გურჯის მფლობელობაში (მყოფი). ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყონებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“. დავთრის სხვა ადგილზე (გვ. 347) ვკითხულობთ „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი ვენახი, წისქვილი, სამი კაცი ისფენჯი და ამ (სამი კაცის გამოსაღები ცხვარზე გიორგი სოს(?) ის ძის მფლობელობაში (ა). ჩაწერილია ძველ დავთრის თანახმად, რომ ლაშქრობის შემთხვევაში დაუყონებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“ და სხვა.

თიმარის მფლობელს, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 3000 აღჩას, ლაშქრობაში წასვლისას თავის ხარჯზე თან უნდა გაეყოლებინა ერთი მეომარიც. უფრო მსხვილი მამულების მფლობელი კი ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისათვის ცხადდებოდა დანიშნულ ადგილზე და თან მიჰყავდა მეომრები ყოველ 5000 აღჩაზე ერთი კაცის ანგარიშით. ამგვარად, თიმარების ყველა მფლობელი სამხედროვალდებული იყო და ამიტომ კოჩუბეი გომურჯოელი ამბობდა, რომ ჰიჯრის 992 (1584) წლამდე სოფლები და სახნავ-სათესი ადგილები ვაჟკაც-მეომართა ხელში იმყოფებოდაო. მისივე გადმოცემით, თიმარებისა და ზიამათების გადაცემა ვაჟკებისათვის და მით უფრო რაიათისათვის² კანონით სასტიკად იკრძალებოდა.

ამგვარად, მიწათმფლობელობა სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთში დაკავშირებული იყო სამხედრო საქმიანობასთან და ოსმალეთის შეიარაღებული ძალების მეტ-ნაკლებობაც შეპირებული იყო მიწათმფლობელთა საერთო რაოდენობით. პროფ. სოკოლოვის ცნობით, სულთან სულეიმანისა და სელიმ II-ის

¹ იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გამოს. დოც. ს. ჯიქიას მიერ, 1941 წ.

² გლეხობისათვის.

დროს (1520—1574 წ. წ.) ოსმალეთში სიფაების რაზმები 130.000 კაცისაგან შედგებოდა. აქედან 80.000 ცხენოსანი რუმელიის თიშარების მფლობელებს წარმოადგენდა, ხოლო 50.000 — ანატოლიისას.

ჩვენ მიერ დასახელებულ არსლანიანის შრომაში (გვ. 8 — 9) მოტანილია ჰამერის მიერ მონახული ისტორიული წყარო, სადაც ნათქვამია: „თუ ლენის მფლობელი არ გამოდის მონაწილეობის მისაღებად ომში, მაშინ მის შემოსავალს ხაზინა ადებს ყადაღას. ვასალი, რომელიც 7 წლის განმავლობაში არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ ცხადდება ბეგლარ-ბეგთან, ჩაითვლება ქვეშევრდომად და ვალდებულია გადაიხადოს ნებაკი. ზიამათისა და თიშარის მფლობელთა შვილებს თავიანთი მამების სიცოცხლეში არა აქვთ უფლება მიიღონ ბერათი ცალკე მამულზე, მაგრამ უკანასკნელის მიღება მათ შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ მამის გარდაცვალების შემდეგ ისინი პრეტენზიას განაცხადებდნენ 7 წლის განმავლობაში და თუ მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული ერთ ლაშქრობაში მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ქვეშევრდომად ხდებიან და, რადგან რეგისტრირებული არ არიან, უნდა გადაუხადონ თავიანთი ნებაკი სახელმწიფო გადასახადთა ამკრებლებს. ქვეშევრდომი წყვეტს ქვეშევრდომზე გაწერილი გადასახადის ვალებას მაშინვე, როგორც კი გახდება სიფაიად“.

სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთში მთელი მოსახლეობა ძირითადად ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: 1) სამხედრო წოდება, რომელიც არავითარ გადასახადს არ იხდიდა, სარგებლობდა უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიებით; იგი წარმოადგენდა გაბატონებულ კლასს და ქვეყნის მმართველობის სათავეში იმყოფებოდა; 2) მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც უმთავრესად დაპურობილ ერებისაგან შედგებოდა, ისლამის სარწმუნოების გარეშე იმყოფებოდა, იხდიდა უამრავ სხვადასხვა სახის გადასახადს და უუფლებო რაიად იყო წარმოდგენილი.

მებეგრე-გადასახადთა გადახდელი წოდებიდან სამხედრო წოდებაში ვისმეს გადასეღა კანონით იკრძალებოდა. „ნასიხათნამეში“ მრჩეველი სულთანს აფრთხილებდა: „არ შეიძლება იენიჩართა რიგებში რაიათიდან ან მოქალაქეთაგან ვისმეს გადაყვანა“. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე ეს წესი მტკიცედ იყო დაცული. ამის მკაფიო დამადასტურებელია კოჩუბეი გომურჯოელის შემდეგი სიტყვები: „სოფლელებისა და მოქალაქეების მიერ თიშარებზე რაიმე სიგელის მიღების სურვილის გამოთქმა ბიწიერებად ითვლებოდა. თიშარების ვაცემა ამგვარი ადამიანთათვის წარმოუდგენელი იყო“. და როდესაც კასტობრივი კარჩაკეტილობა წოდებათა შორის აქა-იქ დაარღვია სავაჭრო კაპიტალმა და ოსმალეთის სახელმწიფოებრივ აპარატში კანტიკუნტად გამოჩნდა სხვა ფენების წარმომადგენელნიც, თურქეთის გაბატონებულმა კლასმა კოჩუბეი გომურჯოელის სახით სასტიკი პროტესტი განაცხადა. კოჩუბეი თავის რისალეში წერდა: „ასევე, ბოძების მინიჭებით, არ აჰყავდათ მსახურებად ვინმე, გადასახადთა გამღებ წოდებიდან და ვაჭრებიდან. ეს საზიანო იყო ორი მხრივ: ერთი, რომ გადასახადთა გამღები რაიები და მათი შვილები, როგორც კი გადაიქცევიან სახელმწიფოს მაღალი მოხელეების მსა-

ხურებად, წყვეტენ გადასახადების გაღებას, რის გამოც ზიანი აღდება როგორც სახელმწიფო ხაზინას, აგრეთვე მსხვილი და წვრილი მამულების მფლობელთ; მეორე, რომ რაია ეჩვევა ცხენზე ჯდომასა და ხმლის ტარებას, და ეს სიამოვნება იმდენად გაუჯდება მას თავში, რომ შემდეგისათვის ის არაფრით არ მოისურვებს ხელახლად რაიად გახდომას, ჯარშიც გამოუსადეგარი ხდება, ბოლოს და ბოლოს ის მიეტმასნება არამზადების ბრბოს და იწყებს სხვადასხვა ბოროტებასა და უწყსრიგობას¹.

მაგრამ ამ წოდებათა შორის არსებული კასტობრივი კარჩაკეტილობა ნაკარნახევი იყო არა მარტო ამა თუ იმ წოდების წარმომადგენელთა სოციალურ ეკონომიური მდგომარეობით, არამედ სარწმუნოებითაც. ყოვლად დაუშვებლად ითვლებოდა არამუსლიმან პირთა ყოფნა მაღალი მოხელეების თანამდებობაზე და მით უფრო მათ მიერ სამხედრო ხაზით პასუხსაგები ადგილების დაკავება. ცნობილია, რომ სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის მიერ წარმოებული ყველა ომი, იქნებოდა ის თავდასხმის, თუ თავდაცვის ხასიათის მატარებელი, ცხადდებოდა ჯიხადად, ანუ გაზავათად (სარწმუნოების დაცვის ომად) და ასეთ ვითარებაში უცხო სარწმუნოების მქონეთა დაშვება სამხედრო ნაწილებში წარმოუდგენელი იყო.

ამგვარად, სამხედრო წოდება სიფაების სახით ღებულობდა მამულების შემოსავალს დიდი რაოდენობით, ეწეოდა ფუფუნებით ცხოვრებას და ომიანობის გარდა არავითარ სამეურნეო საქმიანობაში ის ჩაბმული არ იყო გარდა იმისა, რომ მშვიდობიან დროს ატარებდა აღმინისტრაციულ მოვალეობას. სულთან სულეიმანამდე მათი უმრავლესობა ქალაქად ცხოვრობდა და სავსებით გადაქცეული იყო პარაზიტულ ფენად. მიწათმფლობელობის თიშარიოტულმა სისტემამ და მასზე დამყარებულმა სიფაიობამ ოსმალეთში განაგრძო თავისი არსებობა 1844 წლამდე. სიფაების ფეოდალური ჯარის ნაწილებთან ერთად ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს მეორე მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენდა შეიარაღებული ენჩიჩარობა. ოსმალეთში იქნაზე არსებული სახელმწიფო საკუთრება დიდ ეკონომიურ შესაძლებლობას უქმნიდა სულთანებს, ფეოდალურ ევროპასთან შედარებით, ადრევე გაეჩინათ დაქირავებული შეიარაღებული ძალები ენჩიჩარების სახით და ერთგვარად დაეპირისპირებინათ ისინი ფეოდალური სიფაების ჯარებისათვის იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი გაბედავდნენ ურჩობის გამოჩენას სულთანის ხელისუფლების მიმართ.

ენჩიჩართა დაქირავებული ქვეითი რაზმების ჩამოყალიბება ადრევე დაიწყო, ხოლო მათი საბოლოო გაფორმება მოხდა სულთან მურად პირველის დროს. ჩამოყალიბებულ ენჩიჩართა ორგანიზაციის — ორთალის ან ოჯახის (ასე ეწოდებოდა ენჩიჩარების კორპუსს) წინაშე დასახული ამოცანა — სულთანის ხელისუფლების დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან, მოითხოვდა არა მარტო იმას, რომ ენჩიჩარები არ ყოფილიყვნენ მამულების მფლობელნი,

¹ იხ. სმირნოვის დასახელებული შრომა, გვ. 218.

არამედ მათ უნდა გაეწევიტათ ყველა დამაკავშირებელი ძაფი როგორც ყოველგვარ ეროვნებასთან, ისე თავიანთ ნათესაებთან, ოჯახებთან და სხვ.

იენიჩართა რიგების შევსება წარმოებდა დაპყრობილ ქრისტიან მოსახლეთაგან ეგრეთწოდებულ „დევეშურმის“ მეშვეობით. დაპყრობილი მოსახლეობა ვალდებული იყო სხვა გადასახადებთან ერთად დამპყრობელთათვის მიეცა ფიზიკური თვალსაზრისით თავისი ყველაზე საუკეთესო შვილები 7 — 10 წ. ასაკში. ზოგიერთი მკვლევარის (ა. სკაჩკო) გამოანგარიშებით, სულთან სულეიმანის დროს დაპყრობილი მოსახლეობისაგან ყოველწლიურად „დევეშურმით“ მიჰყავდათ 40000-მდე ბავშვი. „დევეშურმით“ წაყვანილ ბავშვებს არაერთარი შესაძლებლობა არ ეძლეოდათ მშობლებთან დაკავშირებისათვის. მათ არ იცოდნენ თავიანთი წარმოშობის არც ადგილმდებარეობა, არც ეროვნება და მით. უფრო არც ძველი სარწმუნოება. ყველა მათგანი ვალდებული იყო მიეღო ისლამი და ამ სარწმუნოებისათვის ფანატიკურად სიცოცხლე შეეწირა. ისინი ბავშვობიდანვე სამხედრო წრეთნას გადიოდნენ. ნაწილი მათგანი იწრთენებოდა სტამბოლში სულთანის სასახლესთან არსებულ სპეციალურ სასწავლებელში, ხოლო სხვები ოსმალეთის სხვა ქალაქებში.

იენიჩარებს არ ჰქონდათ ცოლის შერთვისა და საერთოდ ოჯახის შექმნის უფლება. „ცოლის შერთვა (ამბობს კოჩუბეი გომურჯოელი) შეეძლოთ მხოლოდ ყოველმხრივ გამოუსადეგარ მოხუცებსა და დაავადებულ ინვალიდებს, და კიდევ იმ ბედნიერ პირებს, რომელთაც წილად ხვდებოდათ სულთანის სიძეებად გახდომა“ (იხ. სმირნოვის აღნიშნული შრომა გვ. 217). ამასთან, იენიჩართაგანს არ ჰქონდა უფლება ეთავა რაიმე წამოწყება ან ხელი მოეკიდა ხელოსნობისათვის.

იენიჩართა გამოკვება და შეიარაღება ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. სულთან სულეიმანის დროს იენიჩართა შემადგენლობა დაყოფილ იქნა სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ის იენიჩარები, რომელნიც სამხედრო ვალდებულების უშუალო აღმსრულებელი იყვნენ. ეს ჯგუფი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა და სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო დიდრიცხოვანი იყო. ამ თანრიგის თვითეულ იენიჩარს გასამრჯელო ეძლეოდა ყოველდღიურად 3-დან 7 ალჩამდე (დაახლოებით 21 ვერცხლის კაპიკიდან 49 კამდე).

მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ძველი, გამოცდილი და უკვე დამსახურებული იენიჩარები, რომელთა ყოველდღიური გასამრჯელო 9 ალჩიდან 12 ალჩამდე აღწევდა. პირველ ჯგუფთან შედარებით ესენი უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივადაც.

სულთან სულეიმანის დროს ყველაზე უკეთეს პირობებში აღმოჩნდა მესამე ჯგუფი, რომელიც ამავე დროს ყველაზე უფრო მცირერიცხოვანი იყო. ამ ჯგუფში მოხვედრა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამ კატეგორიაში გადაირიცხებოდნენ ის ჯარისკაცები და მეთაურნი, რომელნიც ბრძოლის ველზე დაიჭრებოდნენ და ამის გამო ინვალიდებად ითვლებოდნენ. მათი ყოველდღიური გასამრჯელო გამოიანგარიშებოდა 20-დან 30 ალჩას რაოდენობიდან.

სულთან სულეიმანის დროიდან იენიჩართა რაზმებს უფრო მეტი პრივილეგიები შეექმნათ. მათ მიეცათ უფლება ოჯახების გაჩენისა, ხელოსნობის წამოწყებისა და სხვ. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ეს გარემოება ხელს უწყობდა იენიჩარობაში მეურნეობისადმი ინტერესის ვალდებულებას და სამხედრო საქმის უგულვებლყოფას მათი ბრძოლის უნარიანობის შესუსტებით. ვ. მაკუშევი გადმოგვცემს თანამედროვის, გრადიჩის ცნობას იმის შესახებ, რომ „ამ ნაძირალების (ლაპარაკია იენიჩარებზე. — გ. ტ.) უზარმაზარი ხროვა ნთქავს ყველა სახელმწიფოებრივ გადასახადს; ამ ურჩთ, ზარმაცებს, ბილწთ, ბრძოლის უნარის სრულიად არ მქონეთ, საძაგელ გადაგვარებულთ, შესწევთ უნარი მხოლოდ ძარცვისა, მათმა თავაშვებულებამ ყოველგვარ საზღვარს გადააქარბა“¹.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, თურქების გაბატონებული კლასის ერთ ნაწილს (სიფაიებს) ეძლეოდა სახელმწიფოსაგან მიმუღები (ზიამათები, თიმარები) გარკვეული შემოსავლით, ხოლო იენიჩარებს ენიშნებოდათ ჯამაგირები და პენსიები. ამ კლასის უფრო მაღალი ფენა, რომელსაც დაკავებული ჰქონდა სახელმწიფო აპარატის ცალკეული თანამდებობანი, ღებულობდა ეგრეთწოდებულ „არფალიკებსა“ და „ხასებს“. ჰამერის მიერ განხილულ ისტორიულ წყაროში ნათქვამია: „ჩემი სამეფო მიწების თიმარები იმყოფება ჩემი დევთერდარების (ფინანსთა მინისტრების) მეთვალყურეობის ქვეშ, რომელნიც განაგებენ ყველა მათ შესახებ საქმეს. ჩემმა ვეზირებმა ჩემი საუფლისწულოთა შემოსავლის 3% უნდა მიიღონ. ვეზირები ღებულობენ 1200000 ასპერს, ბეგლარბეგები, 800000-დან 1.000.000 ასპერამდე და ა. შ. თუ საუფლისწულოთა მიცემის ნაცვლად მათ დაენიშნებათ ყოველწლიური გასამრჯელო, მაშინ ეს უკანასკნელი უმაღლესი ვეზირისათვის ყოველწლიურად უნდა უდრიდეს 150 — 240000 ასპერს და ა. შ.“ (იხ. არსლანიანის აღნიშნული შრომა, გვ. 8).

ამავე წყაროში ნათქვამია, რომ სანჯალბეგების შვილებს მიეცემათ 30000 ასპ. შემოსავლიანი თიმარები, ჩაუშების შვილებს — 10000 ასპ. შემოსავალი; მუფთიების შვილებს ენიშნებათ სტიპენდია ყოველდღიურად 60 ასპერი, ყადიასკერების შვილებს — 45, სულთანის სახელობის მეჩითთან დაარსებული აკადემიის პროფესორთა შვილებს — 20 ასპ. და ა. შ.

ამგვარად, სახელმწიფოებრივი აპარატი ოსმალეთში, წარმოადგენდა გაბატონებული კლასის ფართო ორგანიზაციას. თურქი გაბატონებული კლასი სხვადასხვა მდგომარეობის მიხედვით მთლიანად სახელმწიფო აპარატის უკან იფარებოდა და ქვეყნის შემოსავლის მითვისებას მასების ექსპლოატაციის ხარჯზე ახდენდა სახელმწიფო აპარატის მეშვეობით. აზიურ ქვეყნებში გაბატონებული კლასის მიერ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით ზედმეტი პროდუქტის მითვისების შესახებ მარქსი არაერთხელ აღნიშნავდა თავის შრომებში.

¹ В. Макушев, Болгария под турецким владычеством, преимущественно в XV и XVI веках, стр. 314 (Жур. Минист. народного просвещения, 1872 г, CLXIII).

ასე, მაგალითად, „კაპიტალის“ III ტომის პირველ ნაწილში ის წერდა: „მონათმფლობელურ ურთიერთობაში, ბატონყმურ ურთიერთობაში, მოხარკეობის ურთიერთობაში (რამდენადაც პრიმიტიულ თემებს მივიღებთ მხედველობაში) პროდუქტის მიმთვისებელი და, მაშასადამე, გამყიდველი არის მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, ხარკის მიმღები სახელმწიფო“¹. იქვე (288 გვ.) ნათქვამია: „აღნიშნულ წარმოების წესთა არსებობის დროს ზედმეტი პროდუქტის მთავარი მფლობელნი, რომლებთანაც ვაჭარს საქმე აქვს, — მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, სახელმწიფო (მაგალ. აღმოსავლეთის დესპოტი), — სიმდიდრის მომხმარებელს წარმოადგენენ“, და ბოლოს „კაპიტალის“ III ტომში მარქსი სიტყვა-სიტყვით აღნიშნავდა, რომ „ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი შრომის უდიდესი ნაწილი... მიდის... აზიაში სახელმწიფოს სასარგებლოდ“.

ამგვარად, თუ ფეოდალურ ევროპაში უშუალო მწარმოებლის ესკპლუატაციას უშუალოდ ფეოდალური კლასი აწარმოებდა, სამხედრო-ფეოდალურ ოსმალეთში, იგივე ფეოდალური კლასი, მშრომელთა მასების გაძარცვას ახდენდა თავის სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, რომლის ხელშიც თავს იყრიდა სახელმწიფო საკუთრებად ქცეულ თიშარების, ზიამათების, ხასების და სხვ. შემოსავალი.

დასასრულ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ეკონომიური საყრდენის — მიწაზე არსებულ სახელმწიფოებრივი საკუთრების თავისებურებას, — ექსპლოატაციის თავისებური ფორმაც განსაზღვრავდა. მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობის, უფრო სწორად — ნაკლებად არსებობის პირობებში, მიწის რენტა თითქმის აღარ განსხვავდებოდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, რადგან „თუ ესაა არა კერძო მიწის მესაკუთრენი, არამედ სახელმწიფო, — როგორც ამას აზიაში ვხედავთ, — რომელიც მათ უშუალოდ უპირდაპირდება მიწის მესაკუთრისა და იმავდროულად სუვერენის სახით, მაშინ რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვევა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მაშინ არ არსებობს არავითარი რენტა, რომელიც განსხვავებული იყოს მიწის რენტის ამ ფორმიდან. ასეთ პირობებში დამოკიდებულების ურთიერთობა არ საჭიროებს პოლიტიკურად და ეკონომიურადაც იმაზე უფრო მკაცრ ფორმას, რომელიც ამ სახელმწიფოს მიმართ ყველა ქვეშევრდომთა მდგომარეობას ახასიათებს. სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა. სუვერენიტეტი აქ ნაციონალური მასშტაბით კონცენტრაციაქმნილი მიწის საკუთრებაა“².

მარქსის აზრით, სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის, ისე როგორც სხვა აზიური ქვეყნების ყველა თავისებურება, სწორედ მიწის სახელმწიფო საკუთრებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ბატონობასა და მოჩილებას აპირობებს ის სპეციფიკური ეკონომიური ფორმა, რომლის მეშვეობითაც აუნაზღაურებელი

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 283, გამოც. 1932 წ.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. მეორე, გვერდი 310, გამოც. 1934 წ.

ზედმეტი შრომა უშუალო მწარმოებელთაგან ამოიქაჩება. რაკი აქედან ლებულობენ თავის საწყისებს საზოგადოების საწარმოო ურთიერთობანი, ამიტომ ზედნაშენიც თავისებურად გამოვლინდება იმისდა მიხედვით, თუ რა ისტორიულ პირობებში უხდება მას შემდგომი განვითარება.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1956. VI. 16)

Г. Тивадзе

Тимариотская система землевладения как основа военно-феодальных отношений в Османской империи

Резюме

Анализируя военно-феодальные отношения в Османской империи, пришли к выводу, что все особенности османского строя зиждились на существовавшей в Турции, как и в остальных азиатских странах, государственной собственности на землю. Османская империя, в результате систематических завоеваний, превратила в свою территорию бывшие земли таких стран (Алжир, Тунис, Триполитания, Киренаика, Египет, Хиджаз, Йемен, Сирия, Карамания, Малая Азия, отчасти Балканы), в которых издревле укоренилась азиатская община с коллективным землевладением, в дальнейшем превратившимся в государственную собственность.

В османской империи все формы землевладения, начиная от хассов, зиаметов, тимаров и вплоть до вакуфов, по существу считались государственной собственностью за исключением мюлка, который не играл значительную роль в турецком землепользовании.

Концентрация в руках турецких султанов огромных земель дала им возможность, с одной стороны, усилить султанскую централизованную власть (по шариату установившимся в Турции традициям не допускался раздел государства между султанскими наследниками), а с другой стороны, раздачи гос. аппаратом зиаметов, хассов и тимаров между отдельными членами турецкого феодального класса, исключительно на основе военных принципов.

Владельцы хассов, зиаматов, тимаров, хисарских земель и т. д. считались военнообязанными и не имели права отчуждения своих владений. Эти владения, с внешней стороны, можно сравнить с бенефицией феодальной Европы, но по существу они отличались друг от друга. Если под бенефицией подразумевалась передача земли во временное владение, то турецкие феодалы получали не земли, а определенную часть дохода этих земель переведенного в акчах, или асперах.

Таким образом, турецкие феодалы не были непосредственно связаны с хозяйством. Оторванное от хозяйства турецкое военное сословие предавалось исключительно военному делу и не заботилось об экономическом улучшении хассов и тимаров, в результате чего благосостояние турок все более стало зависимым от систематических завоеваний.

Все усилия Османской империи были сосредоточены на военное дело. Зиммы и сипаи составляли феодальную конницу, а еничары — пехоту, основу султанской власти. С целью облегчения захватнической политики, проводился своеобразный космополитизм. На высших должностях, включая пост великого визиря, не редко назначались отуреченные лица, происходившие из завоеванных стран. По словам английского посла в Константинополе Рикота (первая четверть XVIII века), в серале султана превратилось в обычай говорить на боснийском, болгарском, грузинском и др. языках. До тех пор, пока в феодальной Европе не были созданы абсолютные монархии, господствовала феодальная разобщенность и не было силы противопоставить турецкой агрессии, а в самой Османской империи процесс гниения военно-феодальных отношений не достиг кульминационной точки, султанская Турция могла сохранить свой приоритет в военном деле. Еничары, сипаи и др. занимались явным грабежом и насилием на податное сословие внутри страны и за ее пределами.

Сопоставляя султанскую абсолютную власть с европейским абсолютизмом, которого классики марксизма считали прогрессивным явлением сравнительно с феодальной разобщенностью и феодальной анархией, приходим к выводу, что первая (султанская централизованная власть), по своей природе, далеко стояла от какого-либо прогрессивного проявления.

Процесс загнивания военно-феодальных отношений в Османской империи начался еще при султани Сулеймане (1520 — 1566) и быстрыми темпами прогрессировал на протяжении XVII века, когда в империи развернулись крестьянские восстания (Джелали) и национально-освободительные движения в завоеванных странах.

3. დონაჰი

ინდოეთში ლაშქრობის პირთი პროუჩის საკითხისათვის

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საქმეში, 1800—1801 წლების მიჯნაზე, მნიშვნელოვან როლს წარმოადგენდა ინდოეთში მათი ერთობლივი ლაშქრობის გეგმის შემუშავება და მისი რეალიზაციის ცდა 1801 წ. დასაწყისში.

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ტენდენცია 1800—1801 წლების მიჯნაზე საკმაოდ შორს წავიდა. პარიზის მოლაპარაკებამ ნიადაგი შეამზადა ამ ორი ქვეყნის დაკავშირებისა და ანტიინგლისური კავშირის ორგანიზაციისათვის. საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიძგს აძლევს ინგლის-რუსეთის ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებას. ამის შედეგად 1801 წლის დასაწყისისათვის მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა. ამას ზედ დაერთო რუსეთის მიერ ჩრდილოეთი ევროპის სახელმწიფოთა საზღვაო ლივის ორგანიზაცია (რუსეთი, შვეცია, დანია და პრუსია), რომლის მახვილიც ინგლისის საზღვაო ჰეგემონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყოველივე ამან და აგრეთვე ინგლისის გემებსა და საქონელზე ემბარგოს დადებას პეტერბურგსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში უაღრესად გააძლიერა ფიციხე მასალა ინგლის-რუსეთის ურთიერთობაში და შეამზადა ნიადაგი მათ შორის ომის გაჩაღებისათვის.

1801 წლის დასაწყისში ინგლისმა სათანადო სამხედრო ღონისძიებები განახორციელა რუსეთთან (და საერთოდ საზღვაო ლივაში შემავალ სახელმწიფოებთან) ომის დასაწყებად. ამ ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ინგლისის ძლიერი სამხედრო-საზღვაო ესკადრის (17 საბაზო გემის, 30 ფრეგატის და 1000 სადესანტო ჯარისკაცის შემადგენლობით) გაგზავნა ბალტიის ზღვაში ცნობილი აღმირალების პარკებისა და ნელსონის სარდლობით¹.

რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა თავის მხრივ საპასუხო თავდაცვითი ღონისძიებები განახორციელა, როგორც ფინეთის ყურეში, ისე სხვაგან. მან, ამასთან ერთად, გადაწყვიტა საფრანგეთთან კავშირში მახვილი ჩაეცა ინგლისისათვის მის „პერიფერიაში“ და მით წაერთმია მისთვის რუსეთისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ასეთ „პერიფერიად“ მიჩნეულ იქნა ინგლისის კოლონიური ძარცვის ობიექტად ქცეული ინდოეთი, სხვადასხვა ინტე-

¹ Д. Милютин, История войны 1799 года между Россией и Францией в царств. имп. Павла I, СПб, 1857, т. 2, стр. 538.

რესებისა და მისწრაფებების მიუხედავად, რუსეთის და საფრანგეთის მმართველთა თვალთხედვა დროებით და გარკვეულ გარემოებათა შედეგად, დაემთხვა ინგლისის მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებებს. ასე აღმოცენდა ამ ორი ქვეყნის ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობის გეგმა-პროექტი, რომლის ხასიათის ანალიზი წინამდებარე ნარკვევის მიზანს შეადგენს.

*
*
*

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ინდოეთი ინგლისელ კოლონიზატორთა დაპყრობისა და გაძარცვის ობიექტს წარმოადგენდა. ოსტ-ინდოეთის ინგლისური სავაჭრო-მონოპოლისტური ორგანიზაცია, როგორც ინგლისის გაბატონებული კლასების კონტრაგენტი, უშუალოდ ახორციელებდა ამ ქვეყნის დაპყრობისა და გაძარცვის საქმეს.

ყველა სახის უხამსი მეთოდების გამოყენებით ინგლისელმა კოლონიზატორებმა ამ დროისათვის უკვე დაიპყრეს ინდოეთის დიდი ნაწილი და იგი აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯის ასპარეზად აქციეს, ინდოეთის მოსახლეობის ველური ექსპლოატაცია ხორციელდებოდა კაპიტალის პირვანდელი დავროვების მეთოდებით. ყოველწლიურად, ინდოეთიდან ინგლისში იგზავნებოდა დიდძალი ნაძარცვი სიმდიდრე.

როგორც ცნობილია, ინდოეთის „მთელ ტომთა და რასათა“ გადაშენება, ამ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების და დოვლათის არაექვივალენტური მითვისება ინგლისში სამრეწველო გადატრიალებისა და იქ კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა.

ინდოეთის კოლონიური სამფლობელოების დაცვა მეტოქეების ხელყოფისაგან, ამ სამფლობელოთა სფეროს გაფართოება ახალი დაპყრობების მეშვეობით, ინგლისის გაბატონებული კლასების განსაკუთრებული „ზრუნვის“ საგანი გახდა ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე. ინგლისის საგარეო პოლიტიკაში ინდოეთის საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იგი აღმოსავლეთის „თავსატეხი“ საკითხის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ინგლისელი დამპყრობლები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მოველინენ ინდოეთის სანაპიროებს, მაგრამ მათთან ერთად ინდოეთს „ესტუმრნენ“ ფრანგი კოლონიზატორებიც. ამ ორ სახელმწიფოს შორის ათეული წლების განმავლობაში წარმოებდა სასტიკი შუღლი და ბრძოლა ინდოეთში უპირატესობისათვის შეიღწილიანმა ომმა ეს ბრძოლა ინგლისის სასარგებლოდ გადაწვიტა. ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო განვითარებულმა და მოწინავე ინგლისმა სძლია ფეოდალური ურთიერთობის მარწუხებში მოქცეულ საფრანგეთს. საფრანგეთი გამოძევებულ იქნა ინდოსტანის სანაპიროებიდან (ორიოდე ბაჰის გარდა). ამ დროიდან მოკიდებული ინდოეთის დაპყრობისა და ძარცვის მონოპოლიური უფლება ინგლისელთა ხელში გადავიდა¹.

¹ ფრანგი ისტორიკოსებიდან ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას ინდოეთისათვის, ინგლისელთა ბატონობის დამყარებას ამ ქვეყანაზე და მის შედეგებს საკმაოდ ვრცლად აშუქებენ: Barchou de Penhoën, L. Inde sous la domination Anglaise, ტ. I—II. Paris, 1844; მისივე, Histoire de la conquête et de la fondation de l'Empire Anglaise dans l'Inde, ტ. I—IV, Paris, 1840—1841; Mardes, Histoire de l'Indie ancienne et moderne. Paris. 1846.

საფრანგეთი არასოდეს არ შერიგებია ინდოეთიდან გამოძევების ფაქტს და ხელი არ აუღია ამ ქვეყნიდან კონკურენტის გამოძევების განზრახვაზე. ინდოეთიდან ინგლისელთა გამოძევების სურვილი ამოქმედებს საფრანგეთის ყველა ხელისუფალს და მთავრობას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბრძოლა ინდოეთისათვის წარმოადგენდა იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ქიშპობის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ინგლის-საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა სავაჭრო-კოლონიური და საზღვაო უპირატესობისათვის XVIII საუკუნის II ნახევარში. ძველი პოზიციების აღდგენა ინდოეთში და იქედან ინგლისელ კოლონიზატორთა გამოძევება, როგორც საფრანგეთის მმართველთა განსაკუთრებული „ზრუნვის“ საგანი, მკაფიოდ თავს იჩენს იმ მრავალრიცხოვან გეგმებში, რომლებიც, ამასთან დაკავშირებით, შემუშავდა საფრანგეთში.)

ფრანგები ცდილობდნენ ზიანი მიეყენებიათ ძლიერი მეტოქისათვის — ინგლისისათვის ზღვაზეც და ხმელეთზეც. ინდოეთში შეჭრისა და იქიდან ინგლისელთა გამოძევების მრავალი გეგმიდან ნაწილი ითვალისწინებდა სათანადო ოპერაციის განხორციელებას ზღვით, ნაწილიც — ხმელეთის გზით. ლუი XVI მეფობის დროს სერიოზულად იხილავდნენ ასეთ გეგმებს და მათი შესაძლო განხორციელების პერსპექტივებს. მაგრამ ასეთი გეგმების სისრულეში მოყვანის სერიოზულ ცდებს რევოლუციამდელ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. ფეოდალური ურთიერთობის ხლართებში მოქცეულ ძველი რეჟიმის საფრანგეთს, რომელიც მოკლებული იყო ძლიერ სამხედრო-საზღვაო ფლოტს და სათანადო ფინანსიურ სახსრებს, არ შეეძლო სისხლი და ხორცი შეესხა ასეთი გეგმებისათვის. ამდენად აღნიშნული გეგმები სურვილებისა და მისწრაფებების სფეროს უფრო მიეკუთვნებოდა, ვიდრე მათი განხორციელების რეალურ ცდა-განზრახვის გამოხატულებას. ¹.

როგორც ცნობილია, ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა სავაჭრო-კოლონიური უპირატესობისა და მსოფლიო პირველობისათვის თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა საფრანგეთის 1789—1794 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საფრანგეთის ბურჟუაზიამ, დაეუფლა რა სახელმწიფო ხელისუფლებას ამ რევოლუციის წყალობით, კონკრეტულად დღის წესრიგში დააყენა ინდოეთის საკითხი. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან ანოილო ზემოაღნიშნული გეგმები და იგი საფუძვლად დაუდო ინდოეთში შეჭრის ახალ გეგმებს. ეს გეგმებიც, როგორც ძველი გეგმები, ორი ვარიანტით ითვალისწინებდა ინდოეთამდე მიღწევას, აქედან ინგლისელთა განდევნას და იქ ფრანგთა ბატონობის აღდგენას — ზღვით და ხმელეთით.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ მხოლოდ 1798 წელს სცადა პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით და მიზნად დაისახა ინდოეთში შეჭრის ერთ-ერთი გეგმის სისრულეში მოყვანა. მისი განხორციელება მან იტალიის

¹ აღნიშნული გეგმები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნეს ფრანგმა და უცხო ავტორებმა ინდოეთისათვის ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ბრძოლის მიმოხილვის დროს და სხვადასხვა განმარტება მისცეს მათ. ფრანგ ავტორებთან ერთად, აღნიშნული გეგმების შესახებ თავიანთი აზრი

კამბანის დროს სახელმძღვანელო გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს დააკისრა. საფრანგეთის ცნობილი ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ 1798 წ., კერძოდ ფრანგთა „მეჭრა ეგვიპტეში ნაპოლეონის საბრძოლოთ სხვა მნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად, ინდოეთის მიმართ საფრანგეთის ბურჟუაზიის ჩანაფიქრის რეალიზაციის ისახავდა მიზნად¹. ეგვიპტეში ფეხის მოკიდებით ნაპოლეონ ბონაპარტეს სურდა ექცია იგი მძლავრ შუალედ პლაცდარმად ინდოეთში ლაშქრობის მოსაწყობად შემდგომში. ეგვიპტეზე ლაშქრობის მომზადებისა და მისი განხორციელების პერიოდში ნაპოლეონს მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთის ძლიერი ფეოდალური სამეფოს შინსურის სულთან ტიპუ სულთანთან, რომელიც ინგლისელთა დაუძინებელ მტერს წარმოადგენდა. ნაპოლეონი არწმუნებდა მას, რომ მალე გაუწვდოდა დახმარების ხელს ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც კი მკვიდრად მოიკიდებდა ფეხს ეგვიპტეში. რასაკვირველია, ფრანგი გენერალი ტიპუ სულთანის მეგობრად იმიტომ ასალებდა თავს, რომ სურდა იგი იარაღად გამოეყენებია ინგლისელებთან ბრძოლის პროცესში².

თავის „მეგობრულ“ წერილში ტიპუ—სულთანისადმი აუწყებდა რა მას ეგვიპტეში ჩასვლას ურიცხვი და უძლეველი არმიით („avec une armée innombrable et invincible“), თავაზობდა მას თავის მეგობრობას ინდოეთში ინგლისის ბატონობის დასამხობად³.

ინგლისელები საკმაოდ შეშინებული იყვნენ ნაპოლეონის ამ განზრახვის გამო. ამიტომ ინგლისელი კოლონიური ხელისუფალნი სათანადო ზომებს ღებულბენ ინდოეთში და აძლიერებენ მისი დაცვის ღონისძიებებს. „ნაპოლეონი ინტრიგებს ეწეოდა აღმოსავლეთში, —წერდა მარქსი ამასთან დაკავშირებით ქრონოლოგიურ ამონაწერებში ინდოეთის შესახებ, —კალკუტელი „ვაჭრუკანები“ ცახცახებდნენ ასეთი კომბინაციის წინაშე: საფრანგეთი, სპარსეთი, ავღანისტანი“⁴.

ეგვიპტის გზით ინდოეთში ლაშქრობის განზრახვა მამინ განუხორციელებელი დარჩა. ეგვიპტის ექსპედიციამ, როგორც ცნობილია, მარცხი განი-

გამოთქვეს რუსმა ავტორებმაც. ამათგან შეიძლება დავასახლოთ: 1. Сб. „Царевъиство 11 марта 1801 года“, СПб. 1907 გვ. XXXIX; Ваторский, Проект экспедиций в Индию, предложениях Наполеоном Бонапарте императорам Павлу и Александру I в 1800 и в 1807—1808 гг. Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии, вып. 23, СПб, 1886 г., გვ. 7 და შემდეგი.

¹ ტყუილად როდი ავლებდა დირექტორია ეგვიპტის ექსპედიციის ხელმძღვანელს ნაპოლეონს (1798 წლის 12 აპრილის დადგენილებით) „გაემეგებია ინგლისელები აღმოსავლეთის ყველა სამფლობელოდან, სადაც იგი შეძლებდა შეღწევას. განსაკუთრებით კი განედგურებია მათი სავაჭრო ფაქტორები წითელ ზღვაზე“. „dont leurs comptoirs sur la mer Rouge“. Napoléon, I, empereur, Correspondance, Paris (1860—1861), ტ. IV, გვ. 52.

² ნაპოლეონისა და ტიპუ სულთანის მიწერ-მოწერისა და ნაპოლეონის გეგმების შესახებ ინდოეთის მიმართ ეგვიპტეზე ლაშქრობის პერიოდში იხ. Barchou ed Penhoën, დას. ნაშ. ტ. II, გვ. 326—329.

³ Napoléon I, empereur, Correspondance..., ტ. IV, ნაპოლეონის 1799 წლის 25 იანვრის წერილი ტიპუ—სულთანისადმი, გვ. 278.

⁴ K. Маркс, Хронологические выписки по истории Индии, М., 1947, стр. 105.

ცადა. ინგლისმა მაშინ მოახერხა და საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრა როგორც თურქეთი, ისე რუსეთიც, ამგვარად, ინგლისმა მაშინ აქტიური როლი შეასრულა საფრანგეთის „წამოწყების“ ჩაშლის საქმეში. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიას ამ მარცხით ხელი როდი აუღია ასეთ განზრახვაზე მონავალში. ლაშქრობის ერთი ვარიანტის ჩაშლის შემდეგ მან ხელი მიუყო მეორე ვარიანტის შემუშავებას და მისი განხორციელება დღის წესრიგში დააყენა.

1800—1801 წლების მიჯნაზე, როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა და ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, ინდოეთიდან ინგლისის გაძევების ჩანაფიქრი საფრანგეთმა ისევ კონკრეტულ გეგმაში გამოსახა და ერთხელ კიდევ სცადა მისი სისრულეში მოყვანა. ამჯერად საფრანგეთმა გადაწყვიტა ინდოეთისაკენ ლაშქრობა მოეწყო ხმელეთის გზით, ირან-ავღანისტანზე გავლით, რუსეთთან კავშირში, მისი ტერიტორიის და სამხედრო ძალის გამოყენებით. ამის შესაბამისად, რაკი რუსეთი აგრეთვე დაინტერესებული იყო ზიანი მიეყენებია ინგლისისათვის და განხორციელება დივერსია მის წინააღმდეგ, შემუშავდა საფრანგეთ-რუსეთის ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობის გეგმა (1800 წლის დასასრულისათვის).

ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის პროექტი — „1800 წელს ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ლაშქრობის პროექტი“-ს სახელწოდებით.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით ეს გეგმა შემუშავებული იქნა პარიზში, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ და აქედან გაეგზავნა პეტერბურგში პაფლე I-ს. მათივე აზრით, რუსეთის იმპერატორმა პარიზიდან გაგზავნილ გეგმაში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება და მისცა მას ის სახე, რომლითაც იგი ცნობილია დღემდე. მეორეთა შეხედულებით იგი შემუშავდა პეტერბურგში. მაგრამ ძველი ფრანგული გეგმების საფუძველზე.

აღნიშნული გეგმა (ფრანგულ ენაზე) პირველად ნახეს გრაფ სტეინგის ქალაქებში. იგი გამოქვეყნებულ იქნა მისი მემუარების მეორე ტომში (სხვა მასალებთან ერთად) 1845 წელს¹.

რუსულ ენაზე ეს გეგმა რამოდენიმეჯერ ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა პირის მიერ. 1873 წელს იგი დაიბეჭდა ჟურნალ „Русская

¹ Mémoires, posthumes du feldmaréchal Comte de Stedingk. Paris, 1945, ტ. II, გვ. 6—8; ამ მემუარებში ეს გეგმა ძალზე მუქი საღებავებით არის შეფასებული. იგი წოდებულია ხერულე, მოუმიწიფებელ გეგმად, რომელშიც გათვალისწინებული არ არის ის სიძნელებები. რომელთანაც დაკავშირებულია ინდოეთზე ლაშქრობა (გვ. 6); დ. მილიუტინის ცნობით კი ეს გეგმა პირველად გამოქვეყნებულა 1840 წელს ერთ ბროშურაში სათაურით: „Mémoire de Jeibnitz à Louis XIV sur la conquête de l'Égypte, publié avec une préface et des notes, par M. de Hoffmans, suivi d'une projet d'expédition dans l'Indie par terre, conserte entre le Premier consul l'Empereur Paul I. en 1800“. აქედან ეს გეგმა თარგმნილა რუსულად და გამოცემულა ცალკე ბროშურად გოლუბკოვის მიერ შემდეგი სახელწოდებით: „Проект сухопутной экспедиции в Индию, предложенный Императору Павлу Петровичу Первым консулом Наполеоном Бонапарте“, М., 1847. (ფრანგულ დედანზე მითითების გარეშე, თუმცა ფრანგ გამოცემელსაც არაფერი აქვს ნათქვამი, თუ რა წყაროდან სარგებლობდა იგი). Пер. с фр. Москва. 1847, Д. Милютин, დას. ნაშ., ტ. III, გვ. 667, მგ-90 შენ.

ცადა. ინგლისმა მაშინ მოახერხა და საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრა როგორც თურქეთი, ისე რუსეთიც, ამგვარად, ინგლისმა მაშინ აქტიური როლი შეასრულა საფრანგეთის „წამოწყების“ ჩაშლის საქმეში. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიას ამ მარცხით ხელი როდი აუღია ასეთ განზრახვაზე მომავალში. ლაშქრობის ერთი ვარიანტის ჩაშლის შემდეგ მან ხელმეორე ვარიანტის შემუშავებას და მისი განხორციელება დღის წესრიგში დააყენა.

1800—1801 წლების მიჯნაზე, როდესაც მეორე ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა და ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, ინდოეთიდან ინგლისის გაძევების ჩანაფიქრი საფრანგეთმა ისევ კონკრეტულ გეგმაში გამოსახა და ერთხელ კიდევ სცადა მისი სისრულეში მოყვანა. ამჯერად საფრანგეთმა გადაწყვიტა ინდოეთისაკენ ლაშქრობა მოეწყო ხმელეთის გზით, ირან-ავღანისტანზე გავლით, რუსეთთან კავშირში, მისი ტერიტორიის და სამხედრო ძალის გამოყენებით. ამის შესაბამისად, რაკი რუსეთი აგრეთვე დაინტერესებული იყო ზიანი მიეყენებია ინგლისისათვის და განეხორციელებია დივერსია მის წინააღმდეგ, შემუშავდა საფრანგეთ-რუსეთის ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობის გეგმა (1800 წლის დასასრულისათვის).

ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილია ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის პროექტი — „1800 წელს ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის ლაშქრობის პროექტი“-ს სახელწოდებით.

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით ეს გეგმა შემუშავებული იქნა პარიზში, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ და აქედან გაეგზავნა პეტერბურგში პავლე I-ს. მათივე აზრით, რუსეთის იმპერატორმა პარიზიდან გაგზავნილ გეგმაში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება და მისცა მას ის სახე, რომლითაც იგი ცნობილია დღემდე. მეორეთა შეხედულებით იგი შემუშავდა პეტერბურგში, მაგრამ ძველი ფრანგული გეგმების საფუძველზე.

აღნიშნული გეგმა (ფრანგულ ენაზე) პირველად ნახეს გრაფ სტედინგის ქალაქებში. იგი გამოქვეყნებულ იქნა მისი მემუარების მეორე ტომში (სხვა მასალებთან ერთად) 1845 წელს¹.

რუსულ ენაზე ეს გეგმა რამოდენიმეჯერ ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა პირის მიერ. 1873 წელს იგი დაიბეჭდა ჟურნალ „Русская

¹ Mémoires, posthumes du feldmaréchal Comte de Stedingk. Paris, 1945, ტ. II, გვ. 6—8; ამ მემუარებში ეს გეგმა ძალზე მუქი საღებავებით არის შეფასებული. იგი წოდებულია ხერხულე, მოუშვიფებელ გეგმად, რომელშიც გათვალისწინებული არ არის ის სიძნელებები, რომელთანაც დაკავშირებულია ინდოეთზე ლაშქრობა (გვ. 8); დ. მილიუტინის ცნობით კი ეს გეგმა პირველად გამოქვეყნებულა 1840 წელს ერთ ბროშურაში სათაურით: „Mémoire de Jeibnitz à Louis XIV sur la conquête de l'Egypte, publié avec une préface et des notes, par M. de Hoffmans, suivi d'un projet d'expédition dans l'Indie par terre, concerté entre le Premier consul l'Empereur Paul I. en 1800“. აქედან ეს გეგმა თარგმნილა რუსულად და გამოცემულა ცალკე ბროშურად გოლუბკოვის მიერ შემდეგი სახელწოდებით: „Проект сухопутной экспедиции в Индию, предложенный Императору Павлу Петровичу Первым консулом Наполеоном Бонапарте“, М., 1847. (ფრანგულ დედანზე მითითების გარეშე, თუმცა ფრანგ გამოცემელსაც არაფერი აქვს ნათქვამი, თუ რა წყაროდან სარგებლობდა იგი). Пер. с фр. Москва. 1847, Д. Милютин, დას. ნაშ., ტ. III, გვ. 667, მე-90 შენ.

старина“-ს მე-8 ტომში (გვ. 401—410, პავლე I მიწერ-მოწერის დამატებით), 1880 წელს კი ა. სობოლევმა იგი გამოცა ცალკე ბროშურის სახით.

მოცემული გეგმის შესავალ ნაწილში მოხაზულია ინდოეთზე ვათვალისწინებული ექსპედიციის მიზანი. ასეთ მიზნად მიჩნეულია: 1) ინგლისელთა საბოლოო განდევნა ინდოეთიდან და ამ ქვეყნის განთავისუფლება ბრიტანელთა უღლისაგან; 2) ევროპის განათლებული სახელმწიფოების, კერძოდ საფრანგეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის ახალი გზების გახსნა ამ ქვეყანაში.

პროექტში კონკრეტულად დასახელებულია ის სახელმწიფოები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ ლაშქრობა-ექსპედიციაში. ეს სახელმწიფოებია: საფრანგეთის რესპუბლიკა, რუსეთის იმპერია, გერმანიის იმპერია (ავსტრია). გეგმაში, ამასთან ერთად, ჩამოთვლილია როგორც ჯარის სახეობა და რაოდენობა, ისე ის მარშრუტიც, რომლითაც უნდა სისრულეში მოსულიყო ინდოეთში შექრა. გეგმით ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოს სულ 70 ათას კაცს. აქედან 35 ათასი უნდა ყოფილიყო რუსეთის (10 ათასი კახაკის ჩათვლით) და 35 ათასი საფრანგეთის რესპუბლიკის. საფრანგეთის არმია ღუნაით და შავი ზღვით უნდა ყოფილიყო გადასროლილი რუსეთში. რუსეთის არმიის შესაკრებ პუნქტად და ლაშქრობის თავდაპირველ ბაზად გეგმის მიხედვით ვათვალისწინებული იყო ქალაქი ასტრახანი, ხოლო მოკავშირეთა გაერთიანებული არმიის მთავარ საოპერაციო ბაზად და მთავარი ბანაკის ცენტრად ირანის ქალაქი ასტრახადი, სადაც ეს ჯარები კასპიის ზღვით უნდა ყოფილიყო გადაყვანილი.

ასტრახადიდან საჭირო მზადების დასრულების შემდეგ, საფრანგეთ-რუსეთის არმია უნდა დაძრულიყო ინდოეთისაკენ ირან-ავღანისტანის გზით გერატზე, ფერახზე და ყანდაგარზე გავლით. გეგმა ითვალისწინებდა საფრანგეთის არმიის მიერ მთელი მანძილის გავლას საფრანგეთიდან ლაშქრობის საბოლოო პუნქტამდე—ინდის ნაპირებამდე 120 დღის განმავლობაში. ვინაიდან ნავარაუდები იყო ასტრახანიდან ინდის ნაპირებამდე მანძილი 55 დღის განმავლობაში ყოფილიყო დაფარული, ბუნებრივია, რომ რუსეთის არმიას დაახლოებით ნახევარი დრო უნდა დაეხარჯა გზაში, ვიდრე საფრანგეთის არმიას. გეგმაში ჩამოთვლილი იყო არმიების ზღვით გადაყვანის საშუალებები, და ის იარაღ-მოწყობილობა, სურსათ-სანოვავე, საზიდართა საშუალებები. რაც საჭირო იყო ცხენოსანი და ფეხოსანი ნაწილებისათვის ირან-ავღანისტანის ტერიტორიაზე ლაშქრობის დროს.

ლაშქრობის მარშრუტის ზონაში (ირანსა და ავღანისტანის ტერიტორიებზე) განლაგებული ფეოდალური სამთავროების ფეოდალურ მფლობელთა შესაძლებელი მტრული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად და მათი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, გეგმა ითვალისწინებდა სათანადო ზემოქმედების ღონისძიებებს. კერძოდ, ნავარაუდები იყო მათდამი მოწოდების გამოშვება, რომელშიაც ხაზგასმული უნდა ყოფილიყო ექსპედიციის კეთილშობილური მიზანი, მოკავშირეთა ძლიერება და ხანებისადმი მათი კეთილგანწყობილება. ამავე მოწოდებით მოკავშირეებს ისინი უნდა დაერწმუნებიათ მათი სამფლობელოების ხელუხლებლობაში, მკვიდრი მოსახლეობის დაბეგვრისა და

ძარცვის დაუშვებლობაში, მათი ადამ-ჩვეულებებისადმი პატივისცემაში და ა. შ. გეგმაში, დასასრულ, გათვალისწინებული იყო თუ როგორ და ვისი მეშვეობით უნდა მომხდარიყო ლაშქრობის დროს სურსათ-სანოვავის, ტანისამოსის, საზიდარების და სხვა საჭირო მოწყობილობის შეძენა, რა უნდა ეკეთებიათ იმ ინჟინრებს, ტოპოგრაფ-გეოდეზისტებს, მხატვრებს, მეცნიერებს და სხვებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ამ ექსპედიციაში.

ლაშქრობის გეგმას თანდართული აქვს რამდენიმე შენიშვნა, რომელსაც პირველ კონსულ ბონაპარტეს მიაწერენ და განმარტება-პასუხი ამ შენიშვნებზე თითქოს გაკეთებული იყოს პავლე I-ის მიერ. შენიშვნები ეხება საფრანგეთის არმიის მდინარე დუნაით გადაყვანის, სულთანის მიერ გზის მიცემის შესაძლებლობის, ინგლისის ფლოტის შავ ზღვაში საფრანგეთის არმიისათვის თავდასხმის მოსალოდნელობის და ასტრახადიდან ინდოეთამდე მოკავშირეთა არმიის წინაშე წამოჭრილი სიძნელეების საკითხებს. პასუხში გაბათილებულია აღძრული ექვები და გამოთქმულია რწმენა, რომ ლაშქრობის პროცესში მოკავშირეთა წინაშე წამოჭრილი ყველა დაბრკოლება დაძლეული იქნებაო. პასუხში, დასასრულ, ხაზგასმულია ირან-ავღანისტანის გზით ინდოეთში შეჭრის განსახორციელების სრული შესაძლებლობა, რის დასამტკიცებლადაც მოტანილია სათანადო ისტორიული მაგალითები ნადირ-შახის და ტახმასყული-ხანის ლაშქრობებიდან ინდოეთისაკენ¹.

ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტის საკითხთან დაკავშირებულია იმ ლაშქრობის საკითხი, რომლის მოწყობის ცდასაც ადგილი ჰქონდა 1801 წლის დასაწყისში პავლე I-ის მიერ.

1801 წლის დასაწყისში, როდესაც ინგლისსა და რუსეთს შორის ომის რეალური საფრთხე შეიქმნა, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა, ინგლისის წინააღმდეგ გადადგმულ სხვა ნაბიჯებთან ერთად, განიზრახა სამხედრო დივერსია განეხორციელებია მის წინააღმდეგ. მან მოამზადა ლაშქრობა ინგლისის კოლონიაში—ინდოეთში შესაჭრელად და იქიდან ინგლისელთა განსადევნად. ლაშქრობა უნდა განხორციელებულიყო ხმელეთის გზით ორენბურგზე, იმიერკასპიისა და შუა აზიის ტერიტორიაზე (ხივა-ბუხარა) გავლით, კახაკთა ცხენოსანი არმიის ძალებით კავალერიის გენერალ ორლოვ I-ის სარდლობით.

აღნიშნული ლაშქრობის მზადებისა და ხასიათის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პავლე I-ის ის ბრძანებულებები (სულ ხუთი), რომელიც მან გაუგზავნა დონის კახაკთა ატამანს გენერალ ორლოვ I-ს 1801 წლის იანვარ—თებერვალში².

¹ გეგმის შინაარსი გადმოცემულია ჟურ. „Русская старина“-ს ზემოთ დასახელებულ ნომერში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, გვ. 401—410.

² პირველი ბრძანებულება დათარიღებულია 1801 წლის 12 იანვრით, მეორე—აგრეთვე 12 იანვრით, მესამე—13 იანვრით, მეოთხე—7 თებერვლით, მეხუთე—21 თებერვლით. ეს ბრძანებულებები რამდენიმეჯერ არის გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟურნალში. ამ ბრძანებულებათა ასლები დაცულია სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში Ф. В. А. д. 323 л. 1—5; დანართის სახით იგი გამოქვეყნებულია ინდოეთზე ლაშქრობის პროექტთან ერთად ჟურნალ „Русская старина“-ში, 1873 წ., ტ. 8, გვ. 409—410.

პირველი ბრძანებულებით პავლე I აუწყებს გენ. ორლოვ I-ს მის გადაწყვეტილებას: მახვილი ჩასცეს ინგლისს იქ, სადაც იგი ნაკლებად მოელის ინდოეთში და ამ მიზნით მოაწყოს სათანადო ლაშქრობა. ამასთან დაკავშირებით იგი ავალებს დონის კაზაკთა ატამანს ფეხზე დააყენოს დონის კაზაკობა, შვაბიარალოს ისინი და დასძრას ორენბურგზე გავლით ხივა-ბუხარის გზით ინდოეთისკენ, თანდართული რუკის მარშრუტის შესაბამისად. ამ ბრძანებულებაში რუსეთში იმპერატორი დონის კაზაკებს ექსპედიციის საფასურად ჰპირდებოდა ჯილდოს ინდოეთის სიმდიდრეების სახით. მეორე ბრძანებულებაში პავლე I ერთხელ კიდევ მოაგონებს ლაშქრობის სარდალს: ინდოეთში შეტრის შემდეგ თქვენი ამოცანაა ბოლო მოუღოთ და მოსპოთ ინგლისელთა ვაჭრობა ამ ქვეყანაში, გაათავისუფლოთ მათგან დამონებული მკვიდრი მოსახლეობა და ინდოეთის მიწა-წყალი რუსეთის სამფლობელოდ აქციოთო. დანარჩენი ბრძანებულებები ეხება მარშრუტის დამატებით შესწავლა-დაზუსტების საჭიროებას, ინდოეთის მკვიდრი მოსახლეობისა და ხივა-ბუხარის ტერიტორიების მოსახლეობისადმი მეგობრული დამოკიდებულების საჭიროებას და სხვ. ორი უკანასკნელი ბრძანებულება იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა ლაშქრობისათვის საჭირო წინასწარი სამზადისი უკვე დამთავრებული იყო და ორლოვის კაზაკთა არმიას გეზი ჰქონდა აღებული ორენბურგის მიმართულებით¹.

გენერალმა ორლოვმა ენერგიულად მოკიდა ხელი დავალებული ლაშქრობის ორგანიზაციის საქმეს. მან თავის ხელქვეითებს დაუგზავნა განკარგულებები კაზაკთა რაზმების შედგენის, ცხენების, საზიდრების, სურსათ-სანოვავისა და ტანისამოსის შეგროვების შესახებ. მან, ამავე დროს, კავშირი გააბა ყალმუხებთან ლაშქრობაში მათი მონაწილეობის საკითხზე. ლაშქრობის მომზადებისათვის საჭირო ფულადი სახსრების, იარაღის, ტანისამოსის და რუკების მისაღებად გენერალმა ორლოვმა ურთიერთობა დაამყარა სამხედრო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტ გენ. ლამბასთან, სარატოვის გუბერნატორ ლანსკისთან, ორენბურგის გუბერნატორ ბახმეტიევთან, ხარკოვის სამხ. ოლქის ინსპექტორ თავად გორჩაკოვთან, იმპერატორის გენ. ადიუტანტ ლივენთან და პროვიანტის დეპარტამენტის უფროს გენ. ადიუტანტ ობოლიანინოვთან. სახელმწიფო ხაზინიდან (დერჟავინისაგან) ორლოვმა მიიღო 1670285 მანეთი (და $\frac{1}{4}$ კაპიკი)².

¹ ა. მ. ტურგენევი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში იძლევა ზოგიერთ ცნობას ამ ლაშქრობისათვის მზადების შესახებ. მაგალითად, მას მოტანილი აქვს ცნობა პავლე I-ის მიერ პეტრე-პავლეს ციხიდან გენერალ პლატოვის სახელდახელოდ განთავისუფლების შესახებ, რომელსაც, თითქოს, მან დაავალა დონზე გამგზავრება, ლაშქრობის ორგანიზაცია და მისი სარდლობა. იხ. Записки Александра Михайловича Тургенева („Русская старина“, 1886 г. январь, стр. 46—54).

ტურგენევის ეს ცნობა მცდარია. გენ. პლატოვი პავლე I-ის მიერ მართლაც იქნა განთავისუფლებული ამ პერიოდში, მაგრამ მისთვის არ დაუვალდებით ლაშქრობის სარდლობა, ვინაიდან სარდლად ორლოვი იყო დანიშნული. პლატოვს დაეკისრა მხოლოდ, ამ ლაშქრობის ავანგარდის უფროსობა.

² Баторский, დასახ. წერილი, გვ. 55—61.

გენერალმა ორლოვმა მოკლე დროში შეძლო საჭირო წინასწარი მზადების ჩატარება და დონის კაზაკთა მომზადება ინდოეთზე ლაშქრობისათვის. მთელი ლაშქარი (22507 კაცი თავისი არტილერიით)¹ მან გაყო 4 რაზმად (მოწინავე რაზმს გენ. მაიორი პლატოვი მეთაურობდა).

გზების შესარჩევად და საჭირო დახვერვის მოსაწყობად სათანადო რაზმის გაგზავნის შემდეგ, დონის კაზაკთა რაზმებმა 1801 წლის 27—28 თებერვალს უკვე დატოვეს შესაკრები პუნქტები და დაიწყეს ლაშქრობა დასახული მიმართულებით. ლაშქრობის თავდაპირველი მიმართულება იყო ყალმუხთა ველებიდან ვოლგისაკენ, რათა ვოლგაზე გადასვლის შემდეგ გეზი აეღოთ ორენბურგისაკენ.

მარტის შუა რიცხვებში ორლოვის სარდლობაში მყოფი არმია მიუახლოვდა მდინარე ვოლგას. საგრძნობი ზარალის ფასად ლაშქარმა მოახერხა მდინარეზე გადასვლა, რის შემდეგ მან გეზი აიღო ორენბურგისაკენ.

პავლე I-ის მკვლელობამ და ალექსანდრე I-ის გამეფებამ შეაჩერა ამ ლაშქრის შემდგომი წინსვლა.

*
* *

ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ლაშქრობის აღნიშნული გეგმისა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. მის შესახებ წერდნენ რუსი ისტორიკოსები, ფრანგები, ინგლისელები და სხვები. ყოველი ავტორი, რომელიც ასე თუ ისე არკვევს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათს მე-18 — მე-19 საუკუნეების შიჯნაზე, იძლევა ცნობებს ამ გეგმის არსისა და მისი განხორციელების პერსპექტივების შესახებ.

აზრები, რომელიც მის შესახებ გამოითქვა ისტორიულ ლიტერატურაში, ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისაა. თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც კი არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი ამ გეგმის შესახებ.

ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის შეხედულებით მოცემული გეგმა არ წარმოადგენს რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობის შედეგს და რაიმე სერიოზული მნიშვნელობის დოკუმენტს. მათის აზრით, ეს გეგმა შემუშავებულია მეორეხარისხოვანი პირების მიერ, თუმცა ნაპოლეონ ბონაპარტეს დაკვეთით, და არა უშუალოდ მის მიერ. სამხედრო-ტაქტიკური თვალთახედვით ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმას ისინი თვლიან ზერელე, ნაჩქარევად შედგენილ გეგმად, რომელშიაც ასახული არ არის გათვალისწინებული ლაშქრობასთან დაკავშირებული ბევრი სიძნელე. დასასრულ, ისტორიკოსთა ეს ჯგუფი უარყოფს არა მარტო რუსეთის მონაწილეობას ამ გეგმის შემუშავებაში, არამედ ინდოეთში ლაშქრობის თაობაზე ნაპოლეონ ბონაპარტეს და პავლე I-ის რაიმე მოლაპარაკების ფაქტსაც².

¹ ზოგიერთთა ცნობით 40 ცხენოსანი პოლკი, ორი ცხენოსანი არტილერია, სულ 21651 კაცი და 44550 ცხენი. Окунь, История СССР 1796—1825 წწ. II, 1948 წ., გვ. 88.

² Н. Шильдер, Император Павел Первый, СПб. 1901, გვ. 417—420; К. Валишевский, Сын Великой Екатерины император Павел СПб., 1914, გვ. 494—495.

ამ შეხედულებას იზიარებს რუსეთის რევოლუციამდელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი. ამავე თვალსაზრისს იცავს ზოგიერთი ფრანგი და ინგლისელი ბურჟუაზიული ისტორიკოსიც.

ისტორიკოსთა მეორე ჯგუფის აზრით, ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ არის შედგენილი. ამ გეგმის ნაპოლეონისეულ ავტორობას ისინი ამტკიცებენ გეგმის სერიოზული და ღრმა ხასიათით; სახედრო-სტრატეგიული მხრივ მისი, თითქოს, გენიოსური დამუშავებით, ავტორისაგან ლაშქრობის ყველა დეტალის ზუსტი გათვალისწინებით. ამ შეხედულების მომხრეებს სჯერათ, რომ თუ ეს გეგმა მოქმედებაში შევიდოდა და ინდოეთზე ლაშქრობა მოეწყობოდა, ეს ლაშქრობა წარმატებით დასრულდებოდა და მის წინაშე დასმული ამოცანა განხორციელდებოდა. ამ ჯგუფის ისტორიკოსებს სადაოდ არ მიაჩნიათ პავლე I-ის მონაწილეობა მოცემული გეგმის შემუშავებაში (დიუროკს მიაწერენ გეგმის თავდაპირველი პროექტის პარიზიდან პეტერბურგში ჩატანას). რევოლუციამდელ ისტორიკოსთა ნაწილთან ერთად საბჭოთა ისტორიკოსთა უმრავლესობა იცავს და ავითარებს მეორე აზრს მოცემული გეგმისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (ზოგიერთი არსებითი კორექტივით).

ხემოთ მოტანილ პირველ შეხედულებას მოცემული გეგმის შესახებ ყველაზე მკაფიოდ ავითარებენ რუსი ისტორიკოსები მილიუტინი, ვალიშევსკი და კორნილოვი, ფრანგი ისტორიკოსები დრიო და სორელი და Mémoires-ის გამომცემლები, მეორეს—ფორსოვი, ბატორსკი, ბურჯალოვი, ოკუნე და ანტიუხინა. ერთგვარად შუალედ პოზიციაზე დგანან რუსი ისტორიკოსი შილდერი, ინგლისელი ისტორიკოსი როიზუ, ამერიკელი ავტორი მეხენი და სხვები.

ვალიშევსკი არ უარყოფს საფრანგეთის და მისი პირველი კონსულის დაინტერესებას ინდოეთზე ლაშქრობის პროექტებით. მას ამ დაინტერესების დასამტკიცებლად სათანადო ცნობები მოაქვს. კერძოდ მას მოტანილი აქვს ო. მეარას მიერ წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონისაგან გაგონილი შემდეგი ნათქვამი: „პავლე I რომ ცოცხალი ყოფილიყო, თქვენ უკვე დაკარგული გეგნებოდათ ინდოეთი. ჩვენ ორთავემ ერთად შევადგინეთ მისი დაუფლების პროექტი“¹. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კითხვითი ნიშნის ქვეშ სვამს მოტანილი გეგმის რეალობას და უარყოფს პავლე I-ის და ნაპოლეონ ბონაპარტეს შეთანხმებას ინდოეთზე ლაშქრობის შესახებ. ვალიშევსკის აზრით, რომ სათანადო მოლაპარაკებას ადგილი ჰქონოდა და შეთანხმება არსებობდა, რომ ლაშქრობის გეგმა ნაპოლეონ ბონაპარტეს და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფი ყოფილიყო, სპრენგპორტენის და კოლიჩევის საქმეებში მას სათანადო კვალი დარჩებოდა. გეგმის პარიზში შედგენას და მის პეტერბურგში ჩატანას დიუროკის ან სხვა პირის მეშვეობით, ვალიშევსკი აგრეთვე

¹ Le mémorial de Sainte-Hélène par le comte de Las Cases suivi de Napoléon dans l'exil par O'Méara, Paris. 1842. ტ. I, გვ. 384; К. Валишевский, დას. ნაშ. გვ. 495.

უარყოფს იმ მოტივით, რომ დიუროკი პეტერბურგს პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ ჩამოვიდა და არავითარი ცნობები ამ გეგმის შესახებ ფრანგულ და რუსულ ოფიციალურ საქმეებში არ შენახულაო. პავლე I-ის მიერ 1801 წლის დასაწყისში შემზადებულ ლაშქრობას ვალიშევსკი სეპარატულ და თან გიჟურ, ნაპოლეონთან შეთანხმების გარეშე მოწყობილ წამოწყებას უწოდებს¹.

მილიუტინი თავის შრომის მეორე ტომის ბოლოს, აღნიშნავს რა ინგლისსა და რუსეთს შორის 1801 წლის დასაწყისში საომარი ვითარების აღმოცენების ფაქტს, გაკვრით ეხება ინდოეთზე ლაშქრობის საკითხსაც. იგი ზერელეს, მოუმზადებელს და ავანტიურისტულს უწოდებს პავლე I-ის განზრახულ სეპარატულ ლაშქრობას ინდოეთისაკენ, თანაც საექვოდ ხდის ერთობლივი ლაშქრობის სინამდვილეში არსებობასაც, უწოდებს რა მას ზერელეს და უსაფუძვლოს². ამ აზრს იგი ასაბუთებს Mémoires-დან (ტ. VII, გვ. 6; ტ. VIII, გვ. 62) იმ გამოძახილის შესახებ ცნობების მოტანით, რომელიც ლაშქრობის პროექტს ჰქონია მაშინ ინგლისსა და სხვაგან³.

კორნილოვიც, მილიუტინის მსგავსად, უგულვებელყოფს საფრანგეთ-რუსეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის გეგმის სერიოზულობას და არ მიაჩნია იგი ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფად. რაც შეეხება პავლე I-ის „წამოწყებას“—ორლოვის კაზაკთა ლაშქრობას ინდოეთისაკენ, იგი მას თვლის არა მარტო უაზროდ, არამედ რუსეთის იმპერატორის სიგიჟის მაჩვენებლად⁴.

ფრანგი ისტორიკოსი ალბერტ სორელი, თავის ცნობილ მრავალტომეულ წიგნში საფრანგეთის რევოლუციისადმი ევროპის დამოკიდებულების შესახებ. გაკვრით ეხება ამ საკითხს. ერთდერთ რეალურ ფაქტად სორელი მიიჩნევს ნაპოლეონ ბონაპარტის მისწრაფებას მახვილი ჩაეცა საფრანგეთის დაუძინებელი მტრისათვის—ინგლისსათვის არა მარტო ევროპაში, არამედ თვით ინდოეთშიაც. ასევე რეალურ ფაქტად მიაჩნია მას პავლე I-ის ბრძანებულებები გენ. ორლოვისადმი და ამ უკანასკნელის არმიის დაძვრა ინდოეთისაკენ; ყველა დანარჩენი ამბავი, რაც ერთობლივი ლაშქრობის გეგმასთან არის დაკავშირებული, სორელის აზრით, ზეპირთქმულებას, ადამიანთა ფანტაზიის ნაყოფს, ე. ი. არარეალურ, მონაჰორ ამბავს წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ იგი ირონიულად გადმოსცემს აღნიშნული გეგმის დეტალებს და კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს საფრანგეთის 35 ათასიანი არმიის რუსეთ-ირან-ავღანისტანის გზით ინდოეთისაკენ გაგზავნის განზრახვის რეალობას⁵.

დაახლოებით ასეთსავე აზრს ანვითარებს მეორე ფრანგი ისტორიკოსი

¹ იქვე К. Валишевский, დას. ნაშ., გვ. 494—495.

² Д. Милютин, დას. ნაშ., ტ. II, გვ. 537—538; ტ. III, გვ. 667.

³ იქვე, ტ. III, გვ. 667.

⁴ А. Корнилов, Курс истории России XIX века, ч. 1—2. М., 1912, стр. 71.

⁵ А. Сорель, Европа и франц. революция, СПб., 1906, ტ. VI, გვ. 93—94.

(ორიენტალისტი) დროიც. მასაც არ სჯერა, რომ მოცემული ლაშქრობის გეგმა რუსეთის და საფრანგეთის მთავრობების მიერ შეთანხმებულად იყო შემუშავებული და სწორ ვარაუდზე აგებული¹.

ცნობები ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმისა და მისი ხასიათის შესახებ მოტანილი აქვთ „Mémoires-ის“ გამომცემლებსაც. კერძოდ იქ მოტანილია ამონაწერი იმ მოხსენებიდან, რომელიც პრუსიის მინისტრ ჰარდენბერგს (მემუარების ავტორს, რომლის ჩანაწერები და ოფიციალური ქაღალდები მისი სიკვდილის შემდეგ სხვებმა გამოცეს) მიუღია თავისი ლონდონელი აგენტისაგან. ინგლისელი აგენტი თავის მოხსენებაში პრუსიის მინისტრს აცნობებდა ერთ-ერთი ოფიციალური და გავლენიანი ინგლისელის აზრს იმის შესახებ, თუ რა შეხედულების იყვნენ ინგლისში ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის შესახებ ან როგორ გაიგო ინგლისის დიპლომატიამ ამ გეგმის არსებობის შესახებ. იქვე მოტანილია მეორე ცნობაც: პარიზელი აგენტის მსგავსივე მოხსენება იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ ამ გეგმის შესახებ საფრანგეთის წრეებში.

პარიზელი აგენტი აცნობებს რა ჰანდენბერგს ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის არსებობის შესახებ („d'un plan de guerre contre les Indes“) უწოდებს მას (გეგმას) მისტიკურს და ავადმყოფი ტვინის ნაყოფს², პარიზელი აგენტის წერილში რამდენიმე მოსაზრებაა (სიძნელებია ჩამოთვლილი) გამოთქმული, რომლითაც იგი ასაბუთებს გეგმით გათვალისწინებული ლაშქრობის უაზრობას და განუხორციელებლობას. ეს მოსაზრებებია: ორი ქვეყნის არმიის გაერთიანებისას მისი მართვის სიძნელები, ირან-ავღანისტანის ფეოდალურ მფლობელთა (მარშრუტის ზონაში) არაკეთილგანწყობილება მოკავშირეებისადმი, გადაზიდვის საშუალებათა სიმცირე და თურქეთის შესაძლებელი წინააღმდეგობა შავ ზღვაზე (ინგლისთან ერთად)³.

დაახლოებით ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული ამ გეგმის შესახებ ლონდონელი აგენტის წერილშიაც.

„...Grace à l'activité de la diplomatie anglaise, nous venons d'apprendre l'existence d'un accord secret entre l'empereur de Russie et Napoléon“, რომლის მიზანსაც შეადგენს ინგლისის მდიდარი სამფლობელოების დაპყრობა ინდოეთში, — წერდა ჰარდენბერგს ლონდონელი აგენტი⁴. მართალია, წერილში აღნიშნულია, რომ ცნობამ ინდოეთზე განზრახული ლაშქრობის შესახებ ინგლისში შეშფოთება გამოიწვიაო, მაგრამ ავტორი დასძინს: ეს შეშფოთება ხალხს მოედო, მთავრობა კი მშვიდადა და მღელვარებას არ ავლენსო. წერილს, ავტორის (ინგლისელი. ვ. დ.) აზრით, რუსებს და ფრანგებს ინდოეთის დაპყრობისა და იქიდან ინგლისელთა განდევნის განზრახვის სისრულ-

¹ E. Driault, „La question d'Orient depuis ses origines jusqu' à nos jours, Paris, 1909, გვ. 71—82; მისივე, Napoléon et l'Europe, 1800—1803, Paris, 1910, გვ. 149—150.

² Mémoires tirés des papiers d'un homme d'Etat . . . Paris. 1831—1838, ტ. 8, გვ. 64.

³ Mémoires . . . დას. ტომი, გვ. 65.

⁴ იქვე, გვ. 66—73.

ლემი მოყვანა არ შეეძლოთ. ინგლისი ძლიერია ზღვაზე, მას აშკარა უპირატესობა აქვს ვაჭრობასა და მრეწველობაში, მას მკვიდრად აქვს ფეხი მოკიდებული ინდოეთში, სადაც ძლიერი სამხედრო ძალა გააჩნია; ყველაფერი ეს, ინგლისელი აგენტის შეხედულებით, ინგლისის სასარგებლოდ ლაპარაკობს. რუსები და ფრანგები ინდოეთში შექრის ცდისას დიდ სიძნელეებს წააწყდებიან, რის გამოც ამ ქვეყანაში ვერ შეიჭრებიანო, — განაგრძობს წერილს ავტორი. მაგრამ მათ რომ მოახერხონ და ინდოეთამდე მიიღწიონ, სულერთია იქიდან მალე იქნებიან გამოძევებული-ო, — დასკვნის თავის მოსაზრებას ეს აგენტი. პარიზელ აგენტის მსგავსად, ეს აგენტიც აღნიშნულ გეგმას უაზრო წარმოსახვისა და ზერელე გააზრების ნაყოფს უწოდებს¹.

ავტორთა დიდი ნაწილი, რომელიც უარყოფითი აზრისაა რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმისა და მისი რეალიზაციის ცდის შესახებ, სწორედ „Mémoires“-ში მოტანილ შეხედულებებს და გამომცემელ ფრანგ რედაქტორთა დასკვნებს ემყარება.

მეორე შეხედულება ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმისა და განხორციელების შესაძლებლობის საკითხის შესახებ განვითარებული აქვს პოდპოლკოვნიკ ბატორსკის თავის ვრცელ ნარკვევში, „Проект экспедиции в Индию, предложенных Наполеоном Бонапарте императорам Павлу I и Александру I в 1800 и в 1807—1808 гг.“.

ბატორსკის ნარკვევი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ინდოეთისათვის, ინდოეთზე ლაშქრობის რამდენიმე ფრანგული გეგმა და თვით 1800 წლის გეგმა (გვ. 1—61), სათანადო დასკვნებით. ნარკვევის მეორე ნაწილი მიძღვნილია ალექსანდრე I ის პერიოდში (1807—1808 წწ.) შემუშავებული სათანადო გეგმებისადმი.

ეხება რა საფრანგეთის ისტორიულ მისწრაფებას დაებრუნებია ძველი პოზიციები ინდოეთში და გამოეძევებია იქიდან ინგლისელები, ავტორი ეგვიპტის ექსპედიციაში სამართლიანად ხედავს ამ მისწრაფების ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებას. 1800 წლის გეგმა ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის შესახებ, ავტორის აზრით, აღმოცენდა როგორც მორიგი ცდა სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი საფრანგეთის მანამდე განუხორციელებელი ლტოლვა ინდოეთისაკენ. ამ გეგმის შემუშავებას, მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციის იდეა ახალი არ იყო, ბატორსკი მთლიანად ნაპოლეონ ბონაპარტეს მიაწერს, ვინაიდან ხმელეთის გზით ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობა შეუძლებელი იყო რუსეთის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ, ბატორსკის აზრით, პირველმა კონსულმა საჭიროდ მიიჩნია რუსეთიც ჩაება მისი განხორციელების საქმეში და ამ თანამშრომლობის საჭიროება სათანადო გეგმაში გამოხატა. ბატორსკის აზრით, რუსეთის მონაწილეობა ინდოეთზე ლაშქრობაში ნაპოლეონს ესაჭიროება არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც. რუსეთთან კავშირ-მეგობ-

¹ Mémoires, ... დას. ტომი, გვ. 74

რობა, რუსეთის ჩაბმა აღმოსავლეთის ლაშქრობაში საფრანგეთს მისცემდა საჭირო შესვენებას ევროპაში და შეასუსტებდა რუსეთის ყურადღებას ევროპის ამბებისადმი¹.

ბატორსკი დარწმუნებულა, რომ ინგლის-რუსეთის ომის შემზადების ვითარებაში პავლე I-მა მართლაც განიზრახა მახვილი ჩაეცა ინგლისისათვის ინდოეთში, მაგრამ, ამავე დროს, იგი ფიქრობს, რომ სათანადო აზრი რუსეთის იმპერატორს ჩაესახა ნაპოლეონის პროექტის გაცნობის შემდეგ, მაგრამ იგი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის გაიცნო პავლე I-მა ნაპოლეონისეული პროექტი². ბატორსკი ღრმად არის დარწმუნებული, რომ პავლე I მართლაც გაეცნო ფრანგულ-ნაპოლეონის პროექტს. მას პავლე I-ის ლაშქრობა ინდოეთისაკენ 1801 წლის დასაწყისში ამ პროექტის ანარეკლად და მისი განხორციელების ცდად (თუმცა წარუმატებელ) მიაჩნია³.

არჩევს რა ინდოეთზე ლაშქრობის პროექტს სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით, ბატორსკი, მართალია, ხაზს უსვამს მისი განხორციელების გზაზე წამოკრილ დიდ სიძნელეებს (უგზობობა, სურსათის ნაკლებობა, სიშორე, საზილარ საშუალებათა სიმცირე და სხვ.), მაგრამ არ მიიჩნევს მას ფანტაზიის ნაყოფად და მას განსახორციელებელ წამოწყებად თვლის. ინგლისელთა მდგომარეობა ინდოეთში XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მას მიაჩნია მეტად მერყევად და არასახარბიელოდ და ამას ნაპოლეონის გაბედული პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობად ფაქტორად მიიჩნევს.

ფირსოვი თავის წერილში „Отношения Англии и России в царствование императора Александра I“⁴, შესავალ ნაწილში ეხება რა პავლე I-ის საგარეო პოლიტიკას. მოკლედ აღნიშნავს ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის პროექტის შესახებაც. ემყარება რა ო. ზეარას მოტანილ ცნობას წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის განცხადების შესახებ, ფირსოვი აღნიშნულ პროექტს თვლის ნაპოლეონ ბონაპარტისა და პავლე I-ის შეთანხმება-თანამშრომლობის ნაყოფად. „შეთანხმება რუსეთსა და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა. გადაწყვეტილი იქნა, რომ რუსეთის და საფრანგეთის არმიები გადასხმული იქნებოდა კასპიის ზღვის სპარსეთის სანაპიროზე და სპარსეთის ყურით გაემართებოდნენ ინდოეთისაკენ“,—წერს ავტორი⁵.

ამგვარად, ფირსოვის აზრით, ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა-პროექტი საფრანგეთის პირველი კონსულის და რუსეთის იმპერატორის წინასწარი შეთანხმების ნაყოფს წარმოადგენდა, იგი განხილულ იქნა პარიზშიაც და პეტერბურგშიაც და სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით საფუძვლიანად იყო შემუშავებული.

¹ იხ. ზემოთ დასახელებული კრებული: Сбор. геогр. и топог..., გვ. 7, 10—11.

² იქვე, გვ. 39.

³ იქვე, გვ. 52.

⁴ მოთავსებულია ჟურნალში „Древняя и новая Россия“ № 3, 1878 წ., გვ. 242—266.

⁵ Фирсов, დას. წერილი, გვ. 244.

რევოლუციამდელი ისტორიკოსებიდან, აღნიშნულ ისტორიკოსებს გარდა, ინდოეთზე ლაშქრობის პროექტს შეეხნენ აგრეთვე შილდერი და სუვორინი.

შილდერი ფანტასტიურ გატაცებად თვლის პავლე I-ის განზრახულ ლაშქრობას ინდოეთზე, თუმცა, ამასთან ერთად, აღნიშნავს ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ ასეთსავე გატაცებისა და მისგან სათანადო პროექტის შემუშავების ფაქტს. კახაკების გაგზავნა ინდოეთისაკენ პავლე I-ის მიერ, შილდერს მიაჩნია ზერედე, მოუმზადებელ, აუცილებელი დამარცხების პერსპექტივების მქონე ავანტიურისტულ, ისიც სეპარატისტული ხასიათის¹ წამოწყებად.

სუვორინი პავლე I-ის ლაშქრობასა და საფრანგეთის ინდოეთისაკენ სწრაფვას შორის ხედავს გარკვეულ კავშირს. მას იგი მიაჩნია რუსეთის ცლად სერიოზული დარტყმა ეგვიპტისა ინგლისისათვის. მაგრამ იგი, ამავე დროს, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა პავლე I-ის კახაკების ლაშქრობა ინდოეთისაკენ განკერძოებული მოქმედება, თუ იგი გამოძინარეობდა რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი მოქმედების გეგმიდან².

ინგლისელი ისტორიკოსებიდან რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტისა და მისი განხორციელების ცდის შესახებ მკაფიოდ გამოთქვეს აზრი სუტერლან ედუარდსმა [H. Suterland Edwards] და ჯონ ჰოლანდ როუზმა [John Holland Rose].

პირველი ისტორიკოსი სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ამ საკითხს. წიგნი დაწერილია ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გამწვავების პერიოდში (1885 წ.) ამიტომ იგი ისტორიულ ექსკურსებს ამ საკითხის შესახებ იყენებს იმისათვის, რომ „დაამტკიცოს“: რუსეთი ისტორიულად მისიწრაფოდა ინდოეთის დასაპყრობად, რათა გაეძევათ იქიდან ინგლისელები. პავლე I-ს სუტერლან ედუარდსი უწოდებს რუსეთის პირველ იმპერატორს, რომელმაც რეალურად დააყენა ინდოეთში შეჭრისა და იქიდან ინგლისელთა განდევნის საკითხი [„... the first Russian sovereign who conceived the idea of sending troops to India for the express purpose of injuring England and of destroying her

¹ Н. Шильдер, Император Павел Первый, СПб., 1901, стр. 417.

² Сб. „Цареубийство“ 11 марта 1801 года, СПб., 1907 г., стр. 44 (X IV); მხედველობაში მისაღები არ არის დობროკლონსკი, რომელიც ეწევა პავლე I-ის იდეალიზაციას და მას უმისარაინდს უწოდებს. ინდოეთზე ლაშქრობას, რომელიც პავლე I-მა წამოიწყო, იგი იმით ხსნის, რომ, თითქოს „დიდი საქმეები აღადგინოვნებდა რუსეთის მონარქს, რომელიც მის მიერ მოყვარული რუსეთის დიდების სიყვარულით იწვიდა“ და განგის ნაპირებთან გამარჯვების მოპოვებით სურდა რუსეთის სამხედრო დიდება უკვდავების გვირგვინით შეემკო „(Доброклонский“, Краткая история Русской дипломатии“, Москва, 1830, გვ. 96, 99); რუსული მემორანდო ლიტერატურიდან ინდოეთზე ლაშქრობის პროექტისა და მისი სისრულემი მოყვანის განზრახვის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს მოტანილი ტურგენევს. იგი გენიალურს უწოდებს ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის პროექტს და მას პანიბალის იმ გეგმას ადარებს, რომლითაც ამ უკანასკნელს სურდა იტალიის დაპყრობა (Записки Александра Михайловича Тургенева „Русская старина“, 1886 года, январь, гв. 47—48.

domination in Hindostan was the Emperor Paul“¹. ავტორი ფიქრობს, რომ ინდოეთზე ლაშქრობის განზრახვა პავლე I-მა გაუზიარა ნაპოლეონ ბონაპარტეს, რომ მან შეადგინა ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის ორი ვარიანტი: სპარსეთ-ავღანისტანის გზით და შუა აზიის გზით. 1800 წლის ცნობილ პროექტს იგი უწოდებს პირველი კონსულისა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფს.

ამდენად, ამ ინგლისელ ავტორს სადაოდ არ მიაჩნია პავლე I-ის და ნაპოლეონ ბონაპარტეს თავდაპირველი შეთანხმება ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობის შესახებ. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ საფრანგეთი და რუსეთი საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის დეტალებში. ამან, მისი აზრით, აიძულა პავლე I დამოუკიდებელი ნაბიჯი გადაეღვა და კახაკები გაეგზავნა ინდოეთისაკენ („the alliance however, between France and Russia came to an end, and all idea of Russo-French expedition to India war lost sight of“²).

როგორც მოკლედ ჩერდება რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების ფაქტზე 1800 წლის დასასრულისათვის და მასთან დაკავშირებით გადმოცემს რუსეთ-საფრანგეთის ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმის მოკლე შინაარსს. მისი შინაარსის გადმოცემისას იგი იძლევა კრიტიკულ შენიშვნებს მის შესახებ, რის შემდეგაც აღნიშნავს პავლე I-ის მიერ მოწყობილი ლაშქრობის ფაქტს. დასასრულ, როგორც აღნიშნავს, რომ ინგლისში იცოდნენ ამ გეგმის არსებობის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობს მის შესახებ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა იქ ამასთან დაკავშირებით³.

ამერიკელი ავტორი კაპიტანი მეხენი მოკლედ ეხება ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას ინდოეთისათვის, კერძოდ ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის პროექტს. იგი, მართალია მასში ხედავს ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის შედეგს და ერთგვარ მნიშვნელობას აძლევს თვით ამ პროექტს, მაგრამ პერსპექტივის თვალთახედვით არ არის მის შესახებ დადებითი შეხედულების. თუმცა იგი უშვებს ფრანგებისა და რუსების მხრივ ინდოეთის დროებითი დაპყრობის ფაქტს. მაგრამ საერთოდ მიაჩნია, რომ ეს „წამოწყება“ საბოლოოდ მარცხით დამთავრდებოდა. ინგლისელები, მისი აზრით, რომელთა ხელში იყო საზღვაო ბატონობა, ძლიერი ეკონომიკა და ფინანსები, მალე შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას და თავიანთი ბატონობის აღდგენას ინდოეთში⁴.

¹ Russian projects against India from the czar Peter to general Skobelev, by H. Suterland Eduards. London. 1885. გვ. 32.

² იქვე, გვ. 38.

³ The life of Napoleon... by Jhon Holland Rose. London. 1907., ტ. I, გვ. 260—263.

⁴ А. Мэхэн, Влияние морской силы на французскую революцию и империю. (1793—1819).—М., 1940, ტ. I, გვ. 249; გარდა აღნიშნული ავტორებისა, ამ გეგმის კერძოდ სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით მისი ღირებულების შესახებ, თავიანთი აზრი გამოთქვას სხვა ავტორებმაც. ამათგან შეიძლება დასახელებულ იქნენ ხრულევი (С. А. Хрулев, „О походе в Индию“, „Русский архив“, 1881 г., кн. 3, გვ. 42—66), ჩინაჩევი

საბჭოთა ისტორიკოსები პროფესორი ოკუნი, პროფესორი ბურჯალოვი, ანტიუხინა და ნაროჰნიცკი უარყოფენ რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსების ზემოთ მოტანილ შეხედულებას ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის გეგმის აღმოცენებისა და ხასიათის შესახებ.

პროფ. ოკუნის შეხედულებით, ინდოეთზე ლაშქრობის გეგმა საფუძვლიანად იყო შემუშავებული, როგორც ღრმა ოპერაცია, რომელშიაც რუსეთს და საფრანგეთს უნდა მიეღოთ მონაწილეობა; ექსპედიციის გეგმა პეტერბურგში იყო შემუშავებული, მაგრამ მას აჩნდა ფრანგული წარმოშობის კვალი. გეგმა ითვალისწინებდა, ყველა დეტალს, რაც უზრუნველყოფდა მის უდავო წარმატებას; ამ ლაშქრობაში მონაწილეობის დროს რუსეთს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სავაჭრო-ეკონომიური მოტივებიც ამოქმედებდა; მისივე აზრით, ერთობლივი ლაშქრობის პროექტმა სერიოზული შემფოთება გამოიწვია ინგლისში¹, დასასრულს, ოკუნი ამტკიცებს: რომ ორენბურგ-შუა აზიის გზით პავლე I-ის ლაშქრობა ინდოეთისაკენ ერთობლივი ლაშქრობის გეგმიდან გამომდინარეობდა და მის შესავალსა და ნაწილს წარმოადგენდა; ამ ლაშქრობით რუსეთს სურდა არა მარტო წინასწარ მოესინჯა ნიადაგი, არამედ უზრუნველყო წამყვანი როლი როგორც ლაშქრობაში, ისე ინგლისელთაგან „განთავისუფლებული“ ინდოეთის „ათვისებაში“. თანაც მორალური ზემოქმედება მოეხდინა ინგლისზე. ეს ლაშქრობა საფუძვლიანად იყო მოფიქრებული და ორგანიზებული და წარმატების იმედსაც იძლეოდა-ო².

დაახლოებით ასეთსავე აზრს ავითარებს პროფ. ბურჯალოვიც. მას სარწმუნოდ მიაჩნია 1800 წლის პროექტის ფრანგული წარმოშობა. იგიც აღიარებს, რომ ეს პროექტი ნაპოლეონ ბონაპარტესა და პავლე I-ის თანამშრომლობის ნაყოფი იყო, საფუძვლიანი მოფიქრების შედეგს წარმოადგენდა და სამხედრო სტრატეგიის მხრივ შეიძლებოდა მისი სისრულეში მოყვანა³.

ანტიუხინა აგრეთვე მიიჩნევს, რომ ინდოეთზე ერთობლივი ლაშქრობის გეგმა ნაპოლეონ ბონაპარტის უშუალო მონაწილეობით იყო შემუშავებული. ემყარება რა სტედინგის ცნობას, მას სრულიად სარწმუნოდ მიაჩნია აზრი ნაპოლეონის მიერ პეტერბურგში დიუროკის ვაგზავნის შესახებ, რათა იქ იგი პირადად მოლაპარაკებოდა რუსეთის იმპერატორს ინდოეთზე გათვალისწინებული ლაშქრობის გეგმის დეტალებისა და მისი განხორციელების პირობე-

(Чихачев, О возможности осуществления Россией экспедиции в Индию“, მონს. ბარათი, მოთ. კრებულში—Материалы по Азии, вып. 23, СПб, 1886, 105 და შემ.) და უსახელო გერმანელი ავტორი („О походе сухим путем в Индию“, ჟურ. „Вестник Европы“, ч. 39, 1808, № 13, გვ. 176—178). აღნიშნული ავტორების დასკვნით ისტორიული მაგალითები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, რომ ხმელეთის გზით ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობა შესაძლებელია.

¹ С. Окунь, История СССР 1796—1825. Курс лекции, Ленинград, 1948, стр. 86—87.

² С. Окунь, დას. ნაშრ. გვ. 87—88.

³ Э. Буржалов, Царизм в борьбе с Французской революцией, М. 1940, стр. 43—44.

ბის შესახებ. ანტიუხინას შეხედულებით ექსპედიციისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობდა და იგი, ალბათ, წარმატებით დამთავრდებოდა, რომ პავლე I-ის მოულოდნელ სიკვდილს ხელი არ შეეშალა მისთვის. მასაც პავლე I-ის მიერ დონის კახაკთა გაგზავნა ორენბურგ-შუა აზიის გზით ინდოეთისაკენ მიაჩნია არა დამოუკიდებელ ნაბიჯად, არამედ შემუშავებული გეგმის რეალიზაციის ცდად, ერთობლივი ექსპედიციის გეგმის ნაწილად და ისიც გონივრულად და საფუძვლიანად შემუშავებულ წამოწყებად¹.

ნაროჩნიცკის პავლე I-ის მიერ 1801 წლის დასაწყისში მოწყობილი ლაშქრობა ინდოეთისაკენ მიაჩნია პავლე I-ზე ნაპოლეონ ბონაპარტეს ზეგავლენის შედეგი. ნაპოლეონ ბონაპარტემ-ო, წერს იგი, —... увлек сумасбродного царя химерической затей похода казаков на Индию через Среднеазиатские пустыни“.²) მაგრამ ამ საკითხის შესახებ მას საერთოდ მხოლოდ გაკვრითი ცნობები აქვს მოცემული.

ასე დეას ისტორიულ ლიტერატურაში საკითხი ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის გეგმისა და პავლე I-ის მიერ 1801 წლის დასაწყისში ინდოეთისაკენ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ.

როგორც უკვე დავინახეთ, აღნიშნულმა საკითხმა ბევრი ისტორიკოსის ყურადღება მიიპყრო; მის შესახებ ბევრი აზრი გამოითქვა. საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ. ყველაზე მოწინავე მეთოდოლოგიისა და კვლევის მეთოდების მქონემ მსოფლიოში, თავისი სიტყვა თქვა მის შესახებ, თუმცა გაკვრით და ზოგადად. მიუხედავად ამისა, ჩვენის აზრით, ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული სავსებით ნათელი და ამომწურავი პასუხი. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციამდელ რუს და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა შეხედულებების შესახებ, მოცემულ საკითხზე თვით საბჭოთა ისტორიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ნაწილის გაზიარებაც არ შეიძლება სერიოზული კორექტივის გარეშე. აღნიშნულის გამო, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ აღძრული საკითხის შესახებ და შეძლებისდაგვარად დავასაბუთოდ იგი.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია რევოლუციამდელი რუსი და ფრანგი ისტორიკოსების ნაწილის შეხედულება ინდოეთზე რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის 1800 წლის გეგმის ფანტასტიურობისა და მისი სინამდვილეში არ არსებობის შესახებ. კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ ასეთი გეგმა სინამდვილეში არ არსებობდა და იგი პარიზში ან პეტერბურგში სათანადო უწყებების და პიროვნებების მიერ არ ყოფილა შემუშავებული, რომ იგი ყალბია და შემდეგში უცნობი პიროვნების მიერ არის შედგენილი, არაფრით არ არის დასაბუთ-

1. В. Антюхина, Англо-французская борьба за Индию в эпоху Наполеона I. Ученые записки Ленинградского гос. университета № 36; серия истор. наук, вып. 3, стр. 257—277.)

2. А. Нарочницкий, Международные отношения европейских государств с 1794 по 1830 гг., М., 1946, стр. 17.

ბული. მითითება იმაზე, რომ რუსეთის და საფრანგეთის ოფიციალურ დოკუმენტებში არ არის დაცული არა თუ რაიმე ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ, არამედ თვით გეგმაც, საბუთად არ გამოდგება. რა ვუყოთ, რომ ეს გეგმა შემთხვევით იქნა ნაპოვნი სტედინგის მემუარებსა და სხვა ქალაქებს შორის და არა სათანადო სამინისტროების არქივებში. განა ცოტაა ისტორიაში ისეთი ამბავი თუ ფაქტი, რომლის შესახებ ოფიციალური წყაროები არაფერს არ ამბობენ (თუ დაკარგულა) და მათ შესახებ შემთხვევითი და არაპირდაპირი ცნობები მოუთხრობენ კაცობრიობას. ასევე უსაბუთოდ მიგვაჩნია მათი განცხადება, რომ ამ გეგმის შემუშავებას ტყუილბუბალოდ მიაწერენ ნაპოლეონ ბონაპარტეს და პავლე I-ს, სინამდვილეში კი მათი თანამშრომლობა 1800—1801 წწ. მიჯნაზე ინდოეთში ლაშქრობის მოწყობის თაობაზე კონკრეტული ფაქტებით არ დასტურდება.

ვითარება, რომელიც შეიქმნა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ კი რუსეთ-საფრანგეთის და რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში 1800—1801 წლების მიჯნაზე, პირიქით, ადასტურებს ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის აღმოცენების შესაძლებლობას და საჭიროებას და რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობას ამ ნიადაგზე.

ექვს გარეშეა, რომ აღნიშნული გეგმა შემუშავდა ნაპოლეონ ბონაპარტეს განკარგულებით და მას რამდენადმე საფუძვლად დაედო მანამდე არსებული შესაბამისი გეგმები თუ გეგმების მონახაზები. რუსეთთან დაახლოების ვითარებაში ლაშქრობის ახალმა გეგმამ ძველთან შედარებით საგრძნობი ცვლილება განიცადა. მასში გათვალისწინებულ იქნა ინდოეთზე ლაშქრობაში რუსეთის აუცილებელი თანამონაწილეობა. ეს თანამონაწილეობა ინდოეთზე ლაშქრობის გეგმაში განაპირობა: 1) ლაშქრობის სახმელეთო ნარშრუტმა, რაც ითვალისწინებდა რუსეთის ტერიტორიის, ადამიანთა და მატერიალური რესურსების გამოყენებას ამ მიზნისათვის; 2) ნაპოლეონის მისწრაფებამ სავსებით აემხედრებია ინგლისი და რუსეთი ურთიერთის წინააღმდეგ და რუსეთი ინგლისთან ბრძოლაში თავის იარაღად ექცია; 3) რუსეთის საგრძნობმა დაინტერესებამ სეროიზული დარტყმა მიეყენებია იმჟამად მისი მტრისათვის—ინგლისისათვის სწორედ აღმოსავლეთში. მითითება იმაზე, რომ მოცემული გეგმა, თითქოს, ზერელეა, მოკლებულია გონივრობის კვალს და აღნიშნულის გამო გამორიცხულია მის შედგენაში ნაპოლეონ ბონაპარტეს მონაწილეობა, სრულიად დაუსაბუთებელია და სუბიექტური მოსაზრებების ნაყოფს წარმოადგენს. პირიქით, ჩვენს მიერ აღნიშნული გეგმა, რომლის შინაარსიც საკმაოდ ვრცლად მოვიტანეთ ზემოთ, გონივრულობისა და სეროიზული მოფიქრებულობის კვალს ატარებს. მასში მოცემულია ცდა—გათვალისწინებულიყო ის ეკონომიურ-პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორთა დიდი ნაწილი, რაც უზრუნველყოფდა გათვალისწინებული ლაშქრობის წარმატებას. ასეთი გეგმა არ შეიძლებოდა რომელიღაც ავანტიურისტის მიერ ყოფილიყო შედგენილი. მას უდავოდ ატყვია სამხედრო-სტრატეგიული საქმის საფუძვლიანი მცოდნის ხელი. ამდენად საფრანგეთის პირველი კონსულის (რუსეთის სამხედრო სპეციალის-

ტებისა(ც), ასე თუ ისე მონაწილეობა მის შემუშავებაში ექვს გარეშე უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ, ჩვენი აზრით, არ არსებობს ყველა საბუთი ავტორიტეტული მტკიცებისათვის, რომ მოცემული გეგმა ყველა მისი დეტალებით პარიზშია შედგენილ-შემუშავებული და შემდეგ გადაგზავნილი პეტერბურგში. ჩვენ აგრეთვე ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის მიერ უდავოდ მიჩნეულ აზრს იმის შესახებ, რომ ინდოეთზე ლაშქრობის გეგმა იდეალური გეგმაა, გენიალური სტრატეგის მიერ არის მოხაზული და სრულყოფილია ყოველმხრივ.

ყოველგვარი მსჯელობა მოცემული გეგმის თავდაპირველი ხასიათისა და მისი შედგენის ადგილ-დროის შესახებ ზოგადი და აბსტრაქტული მსჯელობაა მანამ, სანამ მის შესახებ რაიმე ახალი მასალა არ აღმოჩნდება. ჯერჯერობით კი ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ერთადერთი გეგმა-პროექტი, ამიტომ იგი მიჩნეული უნდა იქნეს სწორედ თავდაპირველი გეგმის ასლად. თუმცა, რასაკვირველია, კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს გეგმა სტედინგის ქალაქებში და არ აღმოჩნდა იგი არსად საარქივო ფონდებში, დღემდე კითხვად რჩება და ნათელი პასუხის გაცემა—არ შეიძლება.

ჩვენ სადაოდ და სათუოდ მიგვაჩნია მოცემული გეგმის შემუშავებაში რუსეთ-საფრანგეთის თანამშრომლობის მასშტაბი. დღემდე არ არის სავესებით გამოჩვენებული საკითხი იმის შესახებ, თუ როდის და როგორ გაუზიარა ბონაპარტემ თავისი გულის ნადები ინდოეთზე ლაშქრობის მოწყობის შესახებ რუსეთის იმპერატორს. ბერნონვილსა და დიუროკს (რომელთაც თითქოს გეგმა პარიზიდან ჩაიტანეს პეტერბურგში თუ ბერლინში) ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ პრაფ. ოკუნის დაბეჯითებით განცხადებას ამ გეგმის პეტერბურგში შედგენის შესახებ. ოკუნს ამ განცხადების დასასაბუთებლად არავითარი საბუთი არ მოაქვს. იგი, ალბად, ემყარება იმ შენიშვნებს, რომელიც ამ გეგმას აქვს თანდართული და პასუხს, რომელსაც პაულე I-ს მიაწერენ. მაგრამ ეს შენიშვნები და პასუხი საბუთად არ გამოდგება, სხვა რაიმე საბუთი კი, რომლის საფუძველზედაც შეიძლება დღეს ამ კითხვაზე ნათელი პასუხის გაცემა, არ მოგვეპოვება. ამდენად ვარაუდის სფეროს არც ოკუნის განცხადებაც არ შორდება. თვით ამ შენიშვნების და პასუხის ავტორების საკითხიც არ არის სავესებით გარკვეული. შეიძლება დავუშვათ, რომ გეგმის ეს დამატებები მართლაც ნაპოლეონ ბონაპარტეს და პაულე I-ს ეკუთვნის. მაგრამ ხომ შესაძლებელია იგი საგარეო საქმეთა სამინისტროების მუშაკებს შემუშავებიათ საფრანგეთის პირველი კონსულისა და რუსეთის მონარქის პირადი მითითებებით?

სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვით ინდოეთზე ლაშქრობის 1801 წლის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დეტალურად და გონებამახვილურად იყო შედგენილი, მაინც არ წარმოადგენდა სრულქმნილ, გენიალური სტრატეგის ხელით მოხაზულ გეგმას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. იგი მხოლოდ ზოგად ხაზებში უპასუხებდა დანიშნულებას. ამ პროექტში გათვა-

ლისწინებული არ იყო ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელზედაც დამოკიდებული იყო ამ პროექტით გათვალისწინებული ლაშქრობის წარმატება. საერთოდ კი მთელი პროექტი მისი პრაქტიკულად განხორციელების პერსპექტივის თვალთახედვით, ჩვენის აზრით, ერთ მეტად გაბედულ, მაგრამ ამავე დროს სარისკო და ძნელად განსახორციელებულ წამოწყებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის და რუსეთის არმიებს ჩეტარებიან ლაშქრობა და მისულიყენენ დანიშნულ ადგილას ინდისა და განგის ნაპირებამდე დროის იმ რეგლამენტში, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული (სულ 120 დღე). ჩვენ ვფიქრობთ, ეს რეგლამენტი ჯეროვანად არ ითვალისწინებდა არმიის ზღვით გადაზიდვის სიძნელეებს ტრანსპორტის საშუალებათა სიმცირის გამო; აგრეთვე არტილერიის, საჭურვლის, სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის და არმიისათვის საჭირო სხვა საშუალებათა გადაზიდვისათვის საჭირო საზიდრებისა და სხვათა მეტად დიდი რაოდენობის საჭიროებას ხმელეთზე ლაშქრობის დროს. ჩვენის აზრით, მოცემულ პროექტში არსებითად უგულვებლყოფილია კლიმატური პირობებისა და უგზოობის ფაქტი როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ისე განსაკუთრებით სპარსეთსა და ავღანისტანში. მოკავშირეთა არმიას გზაში, განსაკუთრებით სპარსეთისა და ავღანისტანის ტერიტორიებზე, გაცილებით მეტი სიძნელეები შეხვდებოდა, ვიდრე ეს ლაშქრობის პროექტით არის ნავარაუდევო. უწყობა, უგზოობა, ცხელი ქარები, უდაბნო ზონების სილისა და ქვიშის მოქმედება, მაღალმთიანი გადასასვლელები ავღანისტანში თითქმის გამორიცხავდა ჩვეულებრივი საზიდარების გამოყენებას საჭურვლის გადაზიდვისათვის, დააბრკოლებდა არტილერიის გადატანას. იგი იძულებულს გახდოდა მოკავშირეთა ლაშქრის სარდლობას პერიოდულად შეეცვალათ გათვალისწინებული მარშრუტი, თანაც დიდად შეენელებიათ ლაშქრობის ტემპები. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, შეიძლება დავასკვნათ: ლაშქრობა რაინის ნაპირებიდან ინდოსტანის დიდი მდინარეების სანაპირომდე გაგრძელდებოდა არა ოთხი ან ხუთი თვე, არამედ გაცილებით მეტი, საშუალოდ 160—180 დღე.

ლაშქრობის პროექტში და პავლე I პასუხში ვითომდა ნაპოლეონის შენიშვნებზე აღნიშნულია, რომ მარშრუტის ზონაში უხვად მოიპოვება (в изобилии) სურსათ-სანოვაგე და ცხენ-ჯორების საკვებიო. სინამდვილეში ეს ასე როდი იყო. სპარსეთისა და ავღანისტანის ტერიტორიების უდაბნო და მთიან ზონებში, სადაც მარშრუტის მიხედვით უნდა გაეგლოთ მოკავშირეთა ჯარებს, არც სურსათ-სანოვაგის და არც ფურაჟის სიუხვეს არ ჰქონდა ადგილი. საკუთარი მარაგის სიმცირისა და გადაზიდვის სიძნელეების გამო სავსებით მოსალოდნელი იყო მოლაშქრეთა რიგებში შიმშილის და პირუტყვის საკვების ნაკლებობას ეჩინა თავი, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას მოახდენდა მოკავშირეებზე, გაადიდებდა ლაშქრობის დროის რეგლამენტს და შეასუსტებდა არმიის ბრძოლისუნარიანობას.

ლაშქრობის პროექტში გათვალისწინებული იყო სპარსეთისა და ავღანისტანის ტერიტორიებზე მარშრუტის ზონაში განლაგებული მაჰმადიანი ხან-

კომპლექსებშია ნაპოვნი, განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს სამთავროს მასალებში. აქ ამ ტიპის სატევრები აღმოჩენილია ორმოსამხართა უძველეს ფენაში, სადაც რკინა ჯერ კიდევ არ გვხვდება. როგორც ჩანს, უფრო მოგვიანო ხანის სამარხებში ვიწრო-ქედისანი სატევრები აღარ გვხვდება. ჩვენ მიერ აღმოჩენილ სატევრის პირთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაპოვნი იყო რკინის დანა. ვარდა ამისა, კერის ძირის პრეპარაციის დროს აქვე აღმოჩნდა რკინის უცნობი ნივთი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამწუხაროდ, სატევრის პირთან ერთად აღმოჩენილი რკინის ნივთები იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ფორმის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ამ კომპლექსის თარიღის შესახებ ძნელდება რაიმეს გარკვევით თქმა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სატევრის პირს იმ პერიოდს ვერ მივაკუთვნებთ, რომელსაც ჩვეულებრივად მსგავს სატევრის პირებს აკუთვნებენ. ეს მასალა უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის სატევარი აქ გვიანობამდე შემორჩა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ამგვარი სატევრის პირის აღმოჩენისა შედარებით მოგვიანო ხანის კომპლექსში. ძნელია გარკვევით თქმა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ეს ძეგლი. ეგებ ნამოსახლარი ადგილი იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთი არ ჩანს, როგორც ეს ე. პჩელინას ეგონა პარაველად.

სოფ. არკნეთში რამოდენიმე ადგილასაა დამოწმებული ძველი ნამოსახლარის ნაშთები. რა თქმა უნდა, ყველა ამ ადგილის შემოწმება ვერ მოვახერხეთ. ჩვენ მხოლოდ კიდევ ერთი ნამოსახლარი ადგილი შევისწავლეთ. ეს ადგილი სოფლიდან მდებარეობს დაახლოებით ერთი კმ. დაშორებით, გრძელას ხევის მარცხენა ნაპირზე, ხასიანთ გორის ძირზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „გორებს“ უწოდებს. ხევის კუთხეში ზედაპირიდან დაახლოებით 1,5—2,0 მ. სიღრმეზე მოჩანს 0.40—0.50 მ სისქის ნაცროვანი ფენა. ის საკმაოდ დიდ მანძილზე გრძელდება, ზოგან წყდება და შემდეგ სხვადასხვა სიღრმეზე კვლავ ჩნდება. დაზვერვების დროს აქ ე. პჩელინას შეაპრიალა კერამიკის ფრაგმენტები და აგრეთვე ერთი მოზრდილი „როდინის“ ქვა უპოვია.

ზედაპირიდან დაახლოებით 1.0 მ სიღრმეზე, უშუალოდ კულტურული ფენის ზევით, სამარხი აღმოჩნდა. მიცვალებული პირდაპირ მიწაში იყო ჩასვენებული, იწვა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდ.—აღმოსავლეთისაკენ. მარცხენა ხელი სახესთან ჰქონდა მიტანილი, მარჯვენა კი მუცლის არეში ედო. ფეხები სწორი კუთხით ჰქონდა მოხრილი. მიცვალებულს თან ახლდა ბრინჯაოს ორი სამაჯური: ერთი ბრტყელი იყო და შუაზე მკვეთრად გამოსახული ქედით ხასიათდებოდა, მეორე კი მავთულისა, რომელსაც თავები წაწვრილებული და ერთმანეთისაგან დაცილებული ჰქონდა. ბეჭებთან ერთი დამტვრეული შავი ქოთანის იდო. სამარხში თორმეტი სხვადასხვა ზომის სერდოლიკის მძივი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მძივები სამარხში მოუფანტიათ, ვინაიდან ზოგი თავის ქალასთან აღმოჩნდა, ზოგი მუცლის არეში და ზოგი ფეხებთან.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს სამარხი კულტურულ ფენას არ უკავშირდებოდა და მასზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, სამარხში მოპოვებული ინვენტარის მიხედვით იგი შეიძლება დავათარილოთ ძვ. წ.

VI—V სს. ამაში განსაკუთრებით გვარწმუნებს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც სწორედ ამ პერიოდის სამარხებისათვის არის დამახასიათებელი.

რაც შეეხება კულტურულ ფენას, იგი გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს. ფენაში დიდი რაოდენობით გამოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, უპირატესად შავბრიალა. აქა-იქ ამოდიოდა საქონლის ძვლები. 1,15 მ სიღრმეზე გამოჩნდა ძლიერ დაშლილი კერის ნაშთი. სამწუხაროდ, კერა ძალზე დაშლილი იყო და ამიტომ ძნელდება თქმა, თუ რა ფორმისა უნდა ყოფილიყო იგი. კერა ირგვლივ რიყის ქვებით იყო შემოწყობილი და შეძვედ თიხით შელესილი. კერის მახლობლად აღმოჩნდა ორმო, საიდანაც დიდი რაოდენობით ამოდიოდა ნახშირი და ნაცარი. საფიქრებელია, რომ ეს სპეციალურად ნაცრის ჩასაყრელი ორმო უნდა ყოფილიყო.

ზედაპირიდან დაახლოებით 2,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოწითალო თიხატყეპნილი „იატაკი“. „იატაკზე“ მრავლად აღმოჩნდა თიხის ქურქლის ფრაგმენტები. საფიქრებელია, რომ აქ საცხოვრებელთან გვექონდეს საქმე, რომლის იატაკიც თიხით იყო მოტყეპნილი. კერის გვერდით მის სამხ. აღმ. აღმოჩნდა მოზარდის ჩონჩხი, ძლიერ მოკვანტული. სამარხში არაფერი იდო, რაკავშირშია ეს სამარხი ამ საცხოვრებელთან, ჩვენთვის სავსებით გარკვეული არ არის. არ არის გამორიცხული, რომ ეს სამარხი ამ საცხოვრებლის თანადროული იყო და შესაძლოა იგი მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ მიატოვეს. ამგვარ მაგალითებს არქეოლოგიაში ადრეული პერიოდიდან საკმაოდ ვხვდებით. მიცვალებულის საცხოვრებელ ადგილზე დასაფლავების ფაქტი უკვე პალეოლითიდანაც ცნობილი¹. საყურადღებოა, რომ მიცვალებულს უპირატესად კერასთან ან მის მახლობლად ასაფლავებენ. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ იმდროინდელი ადამიანის წარმოდგენით, მიცვალებული კოლექტივის წევრი რჩება და ცოცხლებთან ერთად მასაც კერასთან თავის ადგილი უნდა ჰქონოდა². ეს წესი, როგორც ჩანს, შემდეგ ხანებშიც გრძელდება. მ. ფოსმა კუბენინოს, ნეოლითური სადგომის გათხრის დროს კერის მახლობლად სამი სამარხი აღმოაჩინა³. ე. კრუპნოვმა ალხასტინის ნამოსახლარის ფართობზე ქვედა ფენაში ერთი სამარხი იპოვნა. მიცვალებულსთან არაფერი არ ჰქონდა ჩატანებული⁴. კუბენინოს ერთ-ერთ სამარხში, ჩონჩხის გარდა, სხვა არაფერი აღმოჩნდა⁵. ამოივად, ადვილი დასაშვებია, რომ „გორების“ ნამოსახლარზე კერის მახლობლად აღმოჩენილი სამარხი ნამოსახლარის თანადროული იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ არც საშუალება და არც დრო გვექონდა მთლიანად გავვეწინინა ეს ფენა. მას საკმაოდ დიდი ფართობი

¹ М. Е. Фоссе, Погребения на стоянке Кубенино, Труды Государственного исторического музея, вып. VIII, Москва, 1933, стр. 80.

² იქვე, გვ. 82


³ იქვე, გვ. 75.

⁴ Е. И. Крупнов, Археологические памятники ассинского ущелья. Труды Государственного исторического музея, вып. XII, Москва, 1941, стр. 168.

⁵ М. Е. Фоссе, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

უკავია. მაგრამ ის მასალა, რომელიც აქ აღმოჩნდა, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ აქ რაღაც ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო. მრავლად აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონლის ძვლები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქ მესაქონლეობა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. მესაქონლეობის გვერდით, როგორც ჩანს, ვითარდებოდა მიწათმოქმედებაც. ამას ერთგვარად ადასტურებს ე. პჩელინას მიერ აქ აღრევე ნაპოვნი ხელსაფეჭავის მოზრდილი ქვა და აგრეთვე მრავლად აღმოჩენილი ქურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც, საფიქრებელია, მარცვლეულის შესანახად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალა ძლიერ დამტვრეულია და მისი აღდგენა შეუძლებელია. თიხის ქურჭლის ნატენებიდან უნდა აღვნიშნოთ ერთი ქურჭლის ორი ფრაგმენტი (სურ. 2). სამწუხაროდ, ამ ქურჭლის ფორმის აღდგენა შეუძლებელია. იგი საკმაოდ სქელკედლიანი უნდა ყოფილიყო. ქურჭელი, ჩანს, კარგად ყოფილა ნაკეთები, იგი შავი ფერისაა, აქა-იქ მოწითალო ზოლები გადაკრავს. ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩა ყური. იგი პატარა ზომისაა და პირს ზემოდან გადადის კალათისებურად. ორივე ნატენზე, გარეთა პირზე, მიძერწილი აქვს რამდენიმე საკმაოდ მრზრდილი კობი. საფიქრებელია, რომ ამ კობებს დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქურჭლის კობებით შემკობა ჩვენში უკვე ენეოლითიდან გვხვდება. თრიალეთში, ბეშთაშენის ციკლოპური ნაგებობის ქვედა კულტურულ ფენაში, აღმოჩნდა ქურჭელი, რომლის ზედა ნაწილი წყვილ-წყვილი კობებითაა შემკული. ვანსაკუთრებით მრავლად გვხვდება თრიალეთში კობებით შემკული ქურჭელი შუა ბრინჯაოს ხანაში. ამგვარად შემკული ქურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ქვასათალში. ქურჭლის შემკობის ეს წესი კარგად არის ცნობილი გვიან ბრინჯაოს ხანაშიც. სამთავროს ერთ-ერთ ორმოსამარხში აღმოჩნდა ერთი სამფეხა ქურჭელი, რომელსაც ზედა ნაწილზე კობები აქვს მიძერწილი. თრიალეთში ამავე პერიოდის სამარხში ნაპოვნია თიხის ქურჭელი, რომელიც ოთხივე მხარეს შემკულია წყვილ-წყვილი მოზრდილი კობებით.



სურ. 2

ძნელი სათქმელია, რა ფორმისა უნდა ყოფილიყო ჩვენი ქურჭელი. საფიქრებელია, რომ მას ქვაბისებრი მოყვანილობა ჰქონდა, არცთუ ისე ღრმა, იგი ორყურა უნდა ყოფილიყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ქურჭელი პირს ზემოდან მიძერწილი ყურებით, ჩვენთვის სრულიად უცნობია.

რა დროის უნდა იყოს ეს ნამოსახლარი, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. მაგრამ რამდენადაც კერამიკის ტიპის მიხედვით შეიძლება ლაპირაკი,

იგი ქვასათალის შავპრიალა ქურქლებს უახლოვდება, შესაძლოა მისი თანადროული იყოს და შუა ბრინჯაოს ხანის გვიან საფეხურს მიეკუთვნოს.

არქნეთის მიდამოებში მიკვლეული იყო აგრეთვე ორი სამაროვანი. ერთი, რომლის გათხრა ექსპედიციამ ვერ მოახერხა, მდებარეობს სოფლიდან დაახლოებით 1—1½ კმ დაშორებით. ამ ადგილს მოსახლეობა „გძელას“ უწოდებს. აქ, 1950 წ. ერთ კოლმეურნეს (ე. კოტოლოვი) შემთხვევით უპოვნია რკინის შუბის პირი, ბრინჯაოს სპირალური რგოლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნივთები მას სტალინირის მუზეუმისათვის ჩაუბარებია. სამაროვანი, როგორც ჩანს, ძლიერ დაზიანებული უნდა იყოს. ზედაპირზე დიდი რაოდენობით ჩნდება კერამიკა.

მეორე სამაროვანი მდებარეობს სოფლის მახლობლად დაახლოებით 500 მ დაშორებით ხევას მარჯვენა ნაპირზე. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „ვასასწყაროს“ უწოდებს. აქ წყალდიდობის შემდეგ ხშირად პოულობენ ხოლმე სხვადასხვა ნივთებს. წელს ერთმა მოსწავლემ შემთხვევით იპოვნა რამდენიმე ნივთი და ერთი მონეტა. ეს მასალა დღეს სტალინირის მუზეუმშია დაცული.


მიწის ჩაიორეცხვის შედეგად ვასასწყაროს სამაროვანზე სამარხები მეტიმეტად ზედაპირულად არის, დაახლოებით 0,10—0,15 მ სიღრმეზე, რის გამოც სამარხების დიდი ნაწილი ძალზე დაზიანებულია. ჩვენ აქ გავთხარეთ სულ რვა სამარხი, ექვსი ორმოსამარხი, ერთი ქვევრსამარხი და ერთი ც მოზრდილი ქილა, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი იღო. ორმოსამარხიდან სამი ხელუხლებელი იყო დანარჩენი სამი კი, სამწუხაროდ, მეტად დაზიანებული აღმოჩნდა.



ორმოსამარხი № 1 (0,50 მ სიღრმეზე) მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკუნტული ფეხებით, თავით ჩრდილოეთით. აღსანიშნავია, რომ ეს სამარხი უშუალოდ ქვევრსამარხის თავზე იყო და მიცვალებულს ფეხები ქვევრსამარხში ჰქონდა მოთავსებული (სურ. 3).

ორმოსამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ქურქელი: თავისქალისა და გულმკერდის არეში მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა, ზომისა და მასალის მძივები; ერთ-ერთ ხელზე მიცვალებულს ვერცხლის მავთულის სამაჯური ეკეთა; თავის ქალასთან ვერცხლის ორი რგოლი აღმოჩნდა, ალბათ, სასაფეთქლე რგოლები; აქვე იდო ერთი ძლიერ დაზიანებული ბრტყელი ვერცხლის რგოლი; სამარხის ჩრდილო ნაწილში ნაპოვნი იყო რკინის დამტვრეული ნივთი, ალბათ, დანა და ობსიდიანის პატარა ლამელა.


გარდა ინვენტარისა, სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ცხოველების ძვლები. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, სახის წინ, მსხვილფეხა საქონლის ძვლები იდო (ქვედა ყბა, წვივის ძვალი, ფალანგა). ფეხებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები (სურ. 4).



სურ. 4

ორმოსამარხი № 2. სამარხი ზემოდან დაფარული იყო თიხის თხელი ფენით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს სამარხი საგანგებოდ იყო ზემოდან თიხით შელესილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე რამ ორმოსამარხის № 4 პრეპარაციის დროსაც შეგვხვდა. სამარხს ზემოდან აქაც გამომწვარი თიხის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული და ერთ კუთხეში დაშლილი პატარა კერის ნაშთიც აღმოჩნდა. საფიქრელია, რომ სამარხს საგანგებოდ ფარავდნენ თიხის ფენით.


თიხის ფენის აღების შემდეგ ზედაპირიდან 0,05 მ სიღრმეზე გამოჩნდა მიცვალებულის ძვლები, რომლებიც პირდაპირ მიწაში იდო. სამწუხაროდ, ძვლები ძლიერ დაშლილი იყო და ამიტომ ძნელი იყო მიცვალებულის პოზის ზუსტად გარკვევა. როგორც ჩანს, იგი ძლიერ მოკუნტული უნდა ყოფილიყო, თავით — სამხრეთ-დასავლეთით.




სურ. 5

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორმოსამარხი № 2 ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილ ორმოსამარხთა შორის ყველაზე მდიდრულია. სამარხში ექვსი თიხის ჭურჭელი იდო. გულმკერდის და თავისქალის არეში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივები სერდოლიკის, მინის, პასტის და სხვა. აღსანიშნავია ერთი მოზრდილი ლურჯი ფერის მძივის ფრაგმენტი, რომელიც ყვითელი ფერის „წინწკლებითაა“ შემკული (სურ. 5). მიცვალებულის ორივე ხელზე თითო ორად გატეხილი ბრინჯაოს თავებგასქელებული სამაჯური ეკეთა. თავის ქალასთან ორი პატარა ზომის რგოლი აღმოჩნდა, ალბათ, ყურსაკიდები. ერთი ბეჭედი ლურჯი მინის გემით, ძლიერ დაზიანებული ვერცხლის ბრტყელი რგოლი, ერთი ბრინჯაოს ეყვანი რკინის ენით. სამარხში სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა სამი რკინის დანა (?), ძლიერ ნაკლები, და ერთი რკინის გაურკვეველი ნივთი (სურ. 6). საყურადღებოა აქ ნაპოვნი ხუთი ვერცხლის პართული მონეტა: ორი სინატრუკის (77—70 წ. ძვ. წ.), ორი ორად I (57—37 წ. ძვ. წ.) და ერთი ფრატ III (70—57 წ. ძვ. წ.) (სურ. 7).

ორმოსამარხი № 6 (0,75 მ სიღრმეზე). სამარხში სამი მიცვალებული აღმოჩნდა. აღმოსავლეთ ნაწილში ორი მიცვალებული ესვენა. ერთი



სურ. 6




სურ. 7

მიცვალებული მეორეზე ედო. ქვედა მიცვალებულის ძვლები ძალიან ცუდად იყო დაცული და ამიტომ მისი პოზის გარკვევა ძნელია. შესაძლოა იგი გულ-აღმა იწვა გაშოტილი. თავი მას მოწითალო ფერის ქურჭელზე ედო. ზედა მიცვალებულს თავი ქვედა მიცვალებულის მუცლის არეში ედო: ფეხები ძლიერ მოკრუნჩხული ჰქონდა (სურ. 8).

მესამე მიცვალებული სამარხის დასავლეთ ნაწილში ესვენა, დაახლოებით 0,10 მ დაშორებული პირველ ორს. იგი ძლიერ მოკუნტული იყო, გვერდში მწოლარე სახით აღმოსავლეთით. მას იგივე მიმართულება ჰქონდა, როგორც პირველ ორს (№ 5). მესამე მიცვალებულს თან არაფერი ჰქონდა ჩატანებული. შესაძლოა იგი უფრო გვიანდელი ხანის ჩაშვებული სამარხი იყოს.

პირველსა და მეორე მიცვალებულთან აღმოჩნდა თიხის სამი ქურჭელი, პასტისა და მინის მძივები, ბრინჯაოს რგოლები, ბეჭედი ვერცხლისა ორად გატეხილი, სამაჯური რკინის წვრილი მავთულისა, ნაკლული და რამდენიმე რკინის გაურკვეველი ნივთი.



როგორც აღნიშნული გვექონდა, ამ სამაროვანზე კიდევ სამი დაზიანებული ორმოსამარხი აღმოჩნდა. ამ სამარხებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორმოსამარხი № 4. ამ სამარხსაც, ისევე როგორც ორმოსამარხს № 2, ზემოდან თიხის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული. აქვე აღმოჩნდა ძლიერ დაშლილი კერის ნაშთი. მას აქეთ-იქით თითო მოზრდილი რიყის ქვა ჰქონდა შემოწყობილი და შემდეგ თიხით იყო შელესილი. კერის მახლობლად დაახლ. 0.30 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა მთლიანი ღორის ჩონჩხი. კერის გარშემო დიდი რაოდენობით ამოდიოდა საქონლის ძვლები. აქვე აღმოჩნდა რაღაც მოზრდილი ცხოველის ძვლები და ძვლებთან ბრინჯაოს ექვანი რკინის ენით. მიცვალებულის ძვლებიდან მხოლოდ ბარძაყის ძვლები იყო შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა ერთი ბრინჯაოს გემიანი ბეჭედი და თიხის კუჭრქელი. როგორც უკვე ზემოთ გვექონდა აღნიშნული ორმოსამარხის № 2 აღწერისას, შესაძლოა აქაც სამარხს საგანგებოდ გადააკრეს თიხის ფენა, ერთ ნაწილში სპეციალურად ააგეს კერა და შემდეგ, ეგების, რაღაც სამგლოვიარო ცერემონიალი სრულდებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორმოსამარხები ინვენტარითაც უახლოვდება ერთმანეთს. სამწუხაროდ, ორმოსამარხში № 4 მხოლოდ ორი ბრინჯაოს ნივთი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ნივთები ძალიან ახლო დგანან ორმოსამარხ № 2-ში აღმოჩენილ ბრინჯაოს ექვანთან და ბეჭედთან. სხვა ორმოსამარხში ამგვარი ნივთები არ შეგვხვედრია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორმოსამარხი № 4, ისევე როგორც ორმოსამარხი № 2, გამოირჩეოდა თავისი ინვენტარის სიმდიდრით დანარჩენ ორმოსამარხებისაგან. როგორც ჩანს, ეს ორი სამარხი სხვა ორმოსამარხებისაგან განსხვავდება აგრეთვე მიცვალებულის დასაფლავების წესითაც. სამარხს ზემოდან გადააფარებდნენ თიხის თხელ ფენას და შემდეგ, შესაძლოა, რაღაც სამგლოვიარო ცერემონიალი სრულდებოდა.

სხვა ჩაშლილ ორმოსამარხიდან აღსანიშნავია სამარხი № 3. ეს სამარხიც ძლიერ დაზიანებული იყო და აქ აღამიანის მხოლოდ ერთი ძვალი აღმოჩნდა. აქვე იდო მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ძვალი. ამ ძვლების მახლობლად ორ ადგილას აღმოჩნდა რკინის ნივთების მთელი გროვა.

ვასასწყაროს სამაროვანზე მოპოვებული მასალა განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ, რამდენადაც ვიცით, ამ პერიოდის სამარხები სამხრეთ-ოსეთიდან დღემდე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი.

ორმოსამარხში აღმოჩენილი ინვენტარი ძირითადად სამკაულებისაგან შედგება. იარაღი სამარხებში თითქმის სრულიად არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ სამარხში ნაპოვნ რკინის მეტად დაზიანებულ ნივთებს, რომელთაგან ზოგი რკინის დანა უნდა იყოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის სამარხებში ჩვეულებრივად როგორც წესი, ძირითადად სამკაულები გვხვდება ხოლმე. ვასასწყაროს სამაროვანზე სამკაულები უპირატესად ბრინჯაოსაგანაა ნაკეთები. ვერცხლის მხოლოდ რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა. ერთი ვერცხლის სამაჯური ნაპოვნი იყო ორმოსამარხში № 1.

ამ ტიპის სამაჯურები კარგად არის ცნობილი ამ პერიოდის სამარხებში. საქართველოს ტერიტორიაზე ეს სამაჯურები ფართოდ იყო გავრცელებული.

ბული ძვ. წ. მიწურულში და ახ. წ. დამდეგს. რამდენიმე ამგვარი ოქროს სამაჯური გამოქვეყნებული აქვს ე. პრიდიკს ბორიდან¹. ამავე ადგილიდან ერთი სამაჯური ინახება საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, შემთხვევით აღმოჩენილი 1929 წ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტში დაცულია ერთი კოლექცია, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ნახშირგორაში. აქ სხვა ნივთებთან ერთად ერთი ამ ტიპის სამაჯურიცაა. სამთავროს სამაროვანმა რამდენიმე ასეთი სამაჯური მოგვცა. ცნობილია იგი აგრეთვე კლდეებიდან. ერთი ამგვარი სამაჯური აღმოჩნდა არმაზის ზევის სამაროვანზე სამარხი № 9. ორი მსგავსი სამაჯური ნაპოვნი იყო ბაგინეთის სამარხში. ამ ტიპის სამაჯურები ცნობილია აგრეთვე საქართველოს გარეთაც. რამდენიმე ამგვარი სამაჯური აღმოჩნდა ყობანის გვიანი ხანის სამარხში, ერთი ცალი ნაპოვნი იყო დალაგაკაჟში² და სხვ. მრავლად აღმოჩნდა ეს სამაჯურები ტანაისის გათხრების დროს³. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის სამაჯურების სხვადასხვა დროის კომპლექსებში გვხვდება. როგორც ჩანს, ეს სამაჯურები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე იყო გავრცელებული. საკმაოდ სამართლიანად აღნიშნავს ტ. კნიპოვიჩი, რომ ამ ტიპის სამაჯურები დამახასიათებელია ძვ. წ. უკანასკნელ საუკ. და ახ. წ. პირველ საუკ. კომპლექსებისათვის⁴.

სხვა ვერცხლის სამკაულებისაგან აღსანიშნავია ამავე სამარხში ორი რგოლი, ალბათ, საყურე და ერთი ბრტყელი, ძლიერ დაზიანებული, ვერცხლის ფირფიტის რგოლი. ერთი ამგვარი რგოლი აღმოჩნდა ორმოსამარხში № 2. ერთი ორად გატეხილი ვერცხლის ბეჭედი იღო ორმოსამარხში № 6. ამით ამოიწურა ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის ნივთები.

რკინისაგან ნაკეთები სამკაულებიც ძალზე იშვიათია აქ. ორმოსამარხში № 5 აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული რკინის ნივთი, ალბათ, ფიბულა. ერთი რკინისაგან ნაკეთები სამაჯური იღო ორმოსამარხში № 6. გარდა ამისა, კიდევ ორიოდ რკინის ნივთია ცნობილი აქ, რომლებიც შესაძლოა სამკაულიც იყო, ოღონდ იმდენად არის ამჟამად დაზიანებული, რომ გარკვევა შეუძლებელი ხდება. რკინის ნივთთაგან აღსანიშნავია სამარხებში აღმოჩენილი დანები. მარტო ორმოსამარხში № 2 სამი რკინის დანა იღო. ერთი რკინის დანა ნაპოვნი იყო ორმოსამარხში № 1. სამწუხაროდ, ეს დანები იმდენად დაზიანებულია, რომ მათი ფორმის გარკვევა ძნელდება.

ყველაზე ჭარბად ლითონის სამკაულთაგან სამარხებში წარმოდგენილია ბრინჯაოს ნივთები. ბრინჯაოს სამაჯურები მხოლოდ ერთ სამარხში გვხვდება (ორმოსამარხი № 2). ამ სამარხში მიცვალებულს ორივე ხელზე თითო ორად გატეხილი სამაჯური ეკეთა. ორივე სამაჯური სავსებით ერთნაირი ფორმისაა; შუა ნაწილი შედარებით წვრილია და ბოლოებისკენ თანდათანობით სქელ-

¹ М. Е. Придик, Новые кавказские клады, МАР, вып. 34, Ленинград, 1914, 83-97, табл. II, 3, 15.

² МАР, VIII, табл. LXXII, 10; XXXIV, 11; XXXIX, 16.

³ Т. И. Книпович, Танаис, М.—Л., 1946, стр. 60, 17 а.

⁴ იქვე.

დებამ; ზურგი თითქმის სწორი აქვთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სავსებით ამგვარივე სამაჯური აღმოჩნდა ქვევრსამარხში.

ჩვენში ამ ტიპის სამაჯურები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ეპოქაში და თითქმის მის მიწურულამდე აღწევენ. ჩვენი სამაჯურები ძალიან ახლო დგას 1913 წ. გურჯაანთან ნაპოვნ ქვაყუთში აღმოჩენილ სამაჯურებთან. აქ სხვა ნივთებთან ერთად ექვსი სამაჯური აღმოჩნდა, ამათგან რამდენიმე სავსებით ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც არკნეთისა¹. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება კიდევ ერთი კოლექცია გურჯაანიდან შემთხვევით ნაპოვნი თხრილის გაჭრის დროს 1932 წ. ამ კოლექციაში ერთი ამგვარი სამაჯურია. ალაზნის არხის გაჭრისას ალაზნის პირას 1925 წ. თიხის ჭურჭელთან ერთად შემთხვევით ნაპოვნი იყო ამ ტიპის სამაჯური. რამდენიმე ნაკლები საცაჯურები ცნობილია ყაზბეგის მასალებიდან². ჩვენს სამაჯურებს უახლოვდება დაბლაგომის ქვევრსამარხში აღმოჩენილი სამაჯურები, თუმცა ჩვენებს შუაში ჩაზნექილობა იმდენად აღარ ეტყობათ³. ცნობილია ამგვარი სამაჯურები ჩრდ. კავკასიაშიც. პ. უვაროვას ბოლოებ გამსხვილებული სამაჯური გამოქვეყნებული აქვს ჩმიდან, მეორე კი ყობანიდან⁴.

ბრინჯაოს ბეჭედი ორ სამარხში შეგვხვდა. მოყვანილობით ეს ბეჭდები სავსებით ერთნაირია. ორივეს მინის გემა აქვს. ორმოსამარხში № 4 აღმოჩენილ ბეჭდის გემაზე გამოხატულია ორი ერთმანეთის გვერდით მდგომი ცხვარი. წინა ხედზე მდგომი ცხვარი მთლიანად ჩანს, მეორისა კი მხოლოდ თავი მოჩანს. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყვილი ცხოველის გამოხატულებიანი გემა ჩვენში არსად გვევლინება. სამაგიეროდ ეს მოტივი კარგად არის ცნობილი პერიძულ-რომაულ გლიპტიკაში.

მეორე ბეჭედი აღმოჩნდა ორმოსამარხში № 2, მასაც მუქი ცისფერი ინტალიდი ამკობს. გამოსახულება ძალიან მკრთალად არის გამოსული. როგორც ჩანს, ორიგინალი, საიდანაც უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული ეს გემა, არ იყო ღრმად ნაკეთები. ამჟამად გამოსახულება ძალზე ბუნდოვანია იმის გამო, რომ მინა ირიზებულია. პოზისა და ჩაცმულობის მიხედვით გემაზე გამოსახული ფიგურა სიუხვის ქალღმერთი, ფორტუნა უნდა იყოს.

თითქმის ყველა ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მავთულის რგოლები. ეს რგოლები თითქმის ყოველთვის მიცვალებულის თავის ქალასთან იდო ხოლმე და, როგორც ჩანს, საფეთქლის რგოლები უნდა იყოს.

დასასრულ, ბრინჯაოს ნივთებიდან უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს ორი ეჭვანი, ორივეს კარგად აქვს შერჩენილი რკინის ენა სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობის. ბრინჯაოს ეჭვნები ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარ-

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триаleti, Тбилиси, 1941, стр. 33, рис. 34.

² П. С. Уварова, Коллекции Кавказского музея, т. V, Тбилиси, 1902, стр. 15, №№ 246—252; табл. III.

³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ.

⁴ МАК. VIII, ტ. ბ. LVI, XLIV.

ხებში. ჩვენი ეჭვნები უახლოვდება 1924 წ. დილომში აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნ ეჭვანს¹.

კარგად არის წარმოდგენილი ამ ორმოსამარხებში მძივები. უპირატესად აქ მინის და მინისებრი პასტის მძივები გვხვდება. მძივები ნაირი ზომისა და მოყვანილობისაა; ზოგი მილისებურად წაგრძელებულია, ზოგს კასრისებრი ფორმა აქვს, ზოგი მრგვალია და სხვ. გვხვდება აგრეთვე მოზაიკური მძივები. მაგ., მრგვალი, ლურჯი ფერის თეთრ წრეში ჩასმული ლურჯი „თვალებით“, მრგვალი მძივები, რომელთაც სიგრძივ დაუყვება სხვადასხვა ფერის (ლურჯი, მწვანე, თეთრი, ყვითელი) ზოლები; გვხვდება აგრეთვე კასრისებრი მოყვანილობის მძივები, რომელთაც სიგრძეზე გრეხილად დაუყვება ნაირი ფერის ზოლები. რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა სერდოლიკის მძივები. სერდოლიკის მძივები შედარებით იშვიათია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ფორმის სერდოლიკის მძივებს შორის გვხვდება აშკარად უფრო ადრეული ხანის სამარხებისათვის დამახასიათებელი მძივები. მაგ., ორმოსამარხში № 2 სხვა სერდოლიკის მძივებს შორის აღმოჩნდა ერთი დახერხილი მძივი, რომელიც კარგად არის ცნობილი გვიან ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებში. აგრეთვე არქაული ფორმის მძივი იდო ქილაში, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა. ამ ფორმის მძივები ანტიკური პერიოდის სამარხებში ჩვეულებრივ არ გვხვდება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როდესაც ამ ტიპის მძივები უფრო მოგვიანო ხანის კომპლექსშია მოქცეული. სერდოლიკის რამდენიმე დახერხილი მძივი აღმოჩნდა დაბლაგომის ქვევრსამარხში № 1. ამ ტიპის მძივები აღმოაჩინა ა. უვაროვმა არმავირ—ბლურზე ამავე პერიოდის ორ სამარხში². საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია გ. ჩიტაიას და ს. მაკალათიას მიერ მოპოვებული მასალა ზემო-ავჭალიდან. აქაც ანტიკური პერიოდის სამარხში ნაპოვნია ერთი მოზრდილი სერდოლიკის დახერხილი მძივი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქაული ფორმის სერდოლიკის მძივები შედარებით მოგვიანო ხანის სამარხებში ძოხვდა ძველი სამარხებიდან. როგორც აღნიშნული გვქონდა, არქნეთში ვასასწყაროს სამაროვნის მახლობლად მიკვლეული იყო უფრო ადრეული ხანის სამაროვანი და, შეაძლოა, ამ სამაროვანზე აღმოჩენილი მძივები შემდეგ თავის მიცვალებულს ჩააყოფეს ქირისუფლებმა.

ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილი მძივები ბევრ საერთოს პოვლობს ზემო-ავჭალის სამარხში ნაპოვნ მძივებთან. მსგავსი მძივები კარგად ცნობილია სამთავროს ძვ. წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნოების—ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეების სამარხებისათვის. ზოგიერთი მძივი ახლო დგას მცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილ ამავე პერიოდის სამარხებში ნაპოვნ მძივებთან. საქართველოს მუზეუმში დაცულია 1920 წ. მცხეთაში გ. ხუბეროვის ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი ერთი კოლექცია. ამ კოლექ-

¹ ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქ. მუხ. მოამბე, ტ. 4, თბილისი, 1928, გვ. 172,

² В. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 51.

ციის მძივები უახლოვდება ჩვენს მძივებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მოგრძო შავი ფერის მინის მძივი, თეთრი ტალღებით შემკული, რომელიც სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც ვასასწყაროს სამაროვანის ორმოსამარხში № 2 აღმოჩენილი მძივი¹. მძივებზე ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ისინი დამახასიათებელი არიან ამ პერიოდის სამარხებისათვის და კარგად არიან ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლების იქით. აღვნიშნავთ მხოლოდ ორმოსამარხში № 2 ნაპოვნ ერთ მოზრდილ მძივს. ამ მძივის მხოლოდ ერთი ნახევარი აღმოჩნდა. იგი ლურჯი ფერისაა და შემკულია მოყვითალო ფერის „თვალეებით“. ეს მძივი ძლიერ უახლოვდება პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ ერთ მძივს კორცადან². უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის მძივები სადღეისოდ ჩვენში შედარებით იშვიათად გვხვდება და უფრო მეტად ჩრდ. კავკასიისათვის დამახასიათებელი ჩანს.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილ მონეტებზე. აქ ხუთი მონეტა აღმოჩნდა ორმოსამარხში № 2. ყველა მონეტა პართულია და მიეკუთვნება პირველ საუკუნეს ძვ. წ-ით. პართული მონეტები ჩვენში კარგად არის ცნობილი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოდან. დასავლეთ საქართველოში მათ შედარებით იშვიათად ვხვდებით. ჩვენში მრავლად არის აღმოჩენილი I საუკ. ახ. წ. მოჭრილი პართული მონეტები და ამ პერიოდში აქ ისინი რომაულ დენარს უწევენ მეტოქეობას; I საუკ. ძვ. წ. მოჭრილი პართული მონეტები საქართველოში შედარებით იშვიათია³.

ინვენტარის განხილვის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამარხები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეს მიეკუთვნება. გარდა მონეტებისა, ამას სხვა მონაცემებიც გვაფიქრებინებს. ზურგსწორი, ბრლოებგასქელებული სამაჯურები, როგორც აღნიშნული გვექონდა, დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის, განსაკუთრებით მისი მიწურულისათვის. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბეჭდები კარგად თარიღდება ძვ. წ. I საუკუნით⁴. ვერცხლის სამაჯურის მსგავსი სამაჯურები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ტ. კნიპოვიჩი, დამახასიათებელია ძვ. წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნეების და ახ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებისათვის⁵. დილომთან ნაპოვნ სამარხს, სადაც ჩვენი ექვანის მსგავსი ექვანი აღმოჩნდა და აგრეთვე ერთნაირი ფორმის მძივი, ს. მაკალათია მონეტების მიხედვით ახ. წ. I საუკ. მიაკუთვნებს⁶. ვფიქრობთ, რომ ამავე პერიოდისა უნდა იყოს ვასასწყაროს სამაროვანის ორმოსამარხები, ე. ი. I საუკ. ძველი და ახალი წელთაღრიცხვისა.

¹ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., ტაბ. 18, 8.

² МАК, VIII. табл. XCI, 8.

³ მონეტები გაარკვევს და ცნობა მათ შესახებ მოგვაწოდეს ნუმისმატებმა თ. აბრამიშვილმა და დ. კაპანაძემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვასწენებთ.

⁴ ვსარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვასწენებთ საქ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტის გამგეს მ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც აგვიწერა და გავგისახლვრა გლიპტიკური მასალა.

⁵ Т. Книпович. Танаис, М.—Л., 1949, стр. 60.

⁶ ს. მაკალათია, ციტ. ნაშრ., გვ. 171.

ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩნდა მოწითალო ფერის ორყურა ქილა, რომელშიც ორი ჩვილი ბავშვის ჩონჩხი იღო (სურ. 9). ქილა გვერდზე იყო წაწოლილი, პირით ჩრდ.-აღმოსავლეთით. ბავშვები რამდენიმე თვისა უნდა ყოფილიყვნენ, აქედან ერთი რამდენადმე უფროსი ჩანს. თავები ორივეს ქურკლის ყელისაკენ ჰქონდა მიქცეული. ბავშვებს თან ახლდათ ყვითელი პასტის და ლურჯი ფერის მინის წვრილი მძივები და ორი სერდოლიკის მძივი; აქედან ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დახერხილი; წვრილი მავთულისაგან ნაკეთები ორი პაწია რგოლი; რკინის რაღაც ნივთის ნატეხი და ერთი ნიჟარა ქაური. რა დროისა უნდა იყოს ეს სამარხი გარკვევით თქმა ძნელია. ვფიქრობ, რომ შესაძლოა ეს სამარხი ორმოსამარხების თანადროული იყოს. თითქმის ანალოგიური ბრინჯაოს რგოლები, ოღონდ შედარებით დიდი ზომის, გვხვდება ორმოსამარხებში; საერთოდ, ეს რგოლები დამახასიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის, მათ ვხვდებით სამთავროში და სხვაგან.



სურ. 9

აღსანიშნავია, რომ სამთავროს სამაროვანზე რამდენიმე მოზრდილი ქილა აღმოჩნდა, რომელშიც ბავშვის ჩონჩხი იყო მოთავსებული. ზოგიერთი ქილა ფორმით ძალიან ახლოსა დგას ჩვენს ქილასთან. აქაც ღია ფერის ორყურა ქილებია სამარხად გამოყენებული. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ეს სამარხი სრულიად უინვენტაროა და ამიტომ მათი ასაკის შესახებ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა (ქვევრსამარხი № 32; ქვევრსამარხი № 90 და სხვ.).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვასასწყაროს სამოვანზე აღმოჩნდა ერთი ქვევრსამარხი. ქვევრი ძლიერ დამტვრეული და გვერდზე წაწოლილი

იყო (მიმართულება სამხრ.-აღმ.). ქვევრს გარედან წითელი ზოლები დაუყვება. ქვევრი თითქმის მთლიანად რიყის ქვებით იყო ამოვსებული. შიგ ორი მიცვალებული აღმოჩნდა, ძლიერ მოკრუნჩხული, გვერდზე მწოლარე. მიცვალებულს თან ჩატანებული ჰქონდა ორი შავი ფერის ჭურჭელი. ერთი დაბალყელიანი ცალყურა სასმისი, მეორე კი—წაწვეტილძირიანი ჭურჭელი (სურ. 10). ერთ-ერთ მიცვალებულს ორივე ხელზე თითო სამაჯური ეკეთა. ერთი ბოლოებგამსხვილებული, ზურგსწორი, მეორე კი—ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან ნაკეთები, ძლიერ ნაკლული. აქვე იღო ბრინჯაოს ბრტყელი ბეჭედი, სამი ბრინჯაოს მავთულის სასაფერთქვე რგოლი და ერთი რკინის ძლიერ დაზიანებული ნივთი, შესაძლოა ფიბულა. სამარხში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე მძივები: სერდოლიკის, მინის პასტის და სხვ. (სურ. 11).



სურ. 10


განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ერთი მრგვალი ლურჯი მინის სკარაბეოიდი და იმავე ფერის და მასალის ზუთი საბეჭდავი¹. ყველა ნაკეთებია ერთნაირი მასალისაგან, ლურჯი მცირედ გამჟვინვალე მინისგან; მხოლოდ ისინი ელფერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (სურ. 12). სკარაბეოიდის ფორმის მძივსაკიდის პირზე, როგორც ჩანს, თავის დროს რაღაც გამოსახულება უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამჟამად გამოსახულების გარჩევა ძალიან ძნელია. შესაძლოა აქ გრძელბოლოიანი ფრინველი იყო გამოსახული.

ყველა საბეჭდავი გულმკერდის არეში იყო ნაპოვნი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი საკიდად იყო გამოყენებული. საბეჭდავი ათწახნაგა პარა-

¹ ორი საბეჭდავი იმდენად დაზიანებულია, რომ მათ შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

ლელობიპედის ფორმისაა; პირი ბრტყელი აქვს, ზურგი კი წაკვეთილ პირამიდას წარმოადგენს; სიგრძე დატანებული აქვს ნახვრეტი ზონარისათვის. ჩვენს საბეჭდავებზე სხვადასხვა გამოსახულებაა მოცემული.

1. ეს საბეჭდავი კარგად არის დაცული. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს, როგორც ჩანს, იგი გულმოდგინეთ დაუმუშავებია, თუმცა გამოსახულება, ერთგვარად თითქოს მონისლულია, რაც ჩვეულებრივად ახასიათებს ამგვარ საბეჭდავებს, მაგრამ მაინც მკვეთრად არის გამოსულა.



სურ. 11

საბეჭდავზე მოცემულია ნადირობის სცენა. მონადირე ცხენზე ზის და ზე აპყრობილ ხელში შუბი უჭირავს, რომელსაც ყალუზე შემდგარ ლომს სტყორცნის. შუბი ლომს წინა თათში მოხვედრია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ სავსებით ანალოგიური სიუჟეტი მოცემულია ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში აღმოჩენილ ერთ-ერთ საბეჭდავზე. მაგრამ, სამწუხაროდ, თრიალეთის ცალზე ცხოველის გამოსახულება ძალზე დაზიანებულია. მ. მაქსიმოვა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი შუშის მრავალწახნაგა საბეჭდავები, ვარაუდით აღნიშნავს, რომ შესაძლოა აქ უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი იყოს გამოსახული¹. ჩვენი და წალკის საბეჭდავების შედარების დროს საქ. მუზ. გლიპტიკის კაბინეტის გამგე მ. ლორთქიფანიძემ იმდენი რამ საერთო ნახა დეტალებში, რომ მას დასაშვებად მია-


¹ М. И. Максимова, Стеклопечати многогранные, найденные на территории Грузии, вблизи м. Мама, т. X, Тбилиси, 1941, გვ. 83.

ჩნია ის მოსაზრება, რომ წალკის საბეჭდავი და ვასასწყაროს საბეჭდავი ერთი დედანისაგან იყოს ჩამოსხმული. მისი აზრით, წალკის საბეჭდავზედაც ლომი უნდა იყოს გამოსახული.

2. ეს საბეჭდავი სავსებით იგივე ტექნიკითაა ნაკეთები. აქაც გამოსახულება საკმაოდ ბუნდოვანია და მკრთალი. გამოსახულება სქემატურია. ჩამოსხმის შემდეგ საბეჭდავი ოსტატს გულმოდგინეთ დაუმუშავებია. საბეჭდავზე გამოხატულია ირემი, რომელიც უკან იყურება. იგი ლომს გაურბის, ლომი დაეწია ირემს და მარცხენა თათი ირმის ზურგზე აქვს დადებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლომის ფიგურა მეტისმეტად უსიცოცხლოა; კისერი მას უჩვეულოდ აქვს წაგრძელებული (ეს, ალბათ, უხეირო ჩამოსხმის შედეგია); კუდი ზევითაა აწეული, ფეხები გადმოცემულია სწორი ხაზით.

მსგავსი შინაარსის გამოსახულებას ვხედავთ გორის რაიონში აღმოჩენილ საბეჭდავზე (დაცულია ხელოვნების მუზეუმში). მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, რომ ეს მოტივი წინა აზიაში უნდა შექმნილიყო, საიდანაც იგი ბერძნულ ხელოვნებაში გადავიდა. V—VI საუკ. ამ სიუჟეტს ხშირად ვხვდებით ბერძნულ საბეჭდავებზე და აგრეთვე მცირე აზიაში ბერძნულ ქალაქების მიერ მოჭრილ მონეტებზე¹. მაგრამ, როგორც მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, გორის რაიონში აღმოჩენილი საბეჭდავის გამოსახულება განსხვავდება ბერძნულ გემებზე მოცემულ ამგვარ გამოსახულებისაგან. თავისი ტექნიკური შესრულებითა და ქრის მანერის მიხედვით იგი ახლოდგას ადგილობრივ საბეჭდავებთან. ანალოგიური შინაარსის საბეჭდავი დაცულია ერმიტაჟში².

3. ეს საბეჭდავიც თავისი მოყვანილობით სავსებით ისეთივეა, როგორიც წინა ორი. საბეჭდავზე გამოხატულია ეტლი, რომელშიც ერთი ცხენია შებმული. სადავეები სწორი ხაზითაა გადმოცემული. ეტლს კვადრატული მოყვანილობა აქვს. საერთოდ გამოხატულება სქემატურია. მსგავსი შინაარსის გამოხატულება საქართველოში ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. გეომეტრიულ და ადრეარქაული ხანის ბერძნულ



სურ. 12

¹ М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 83.

² იქვე, გვ. 84.

გლიბტიკაში გვხვდება ეტლში შებმული ცხენის გამოხატულება¹. ანალოგიურ სიუჟეტს, ოღონდ განსხვავებულ კომპოზიციით, ვხვდებით, მაგალითად, სუზას ცილინდრებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის საბეჭდავები ძირითადად აღმ. საქართველოში გვხვდება. რამდენიმე ამგვარი საბეჭდავი, როგორც ვთქვით, აღმოჩნდა თრიალეთში ელინისტური ხანის სამაროვანზე². სამთავროში ერთი ლურჯი მინის საბეჭდავი ჯერ კიდევ ფ. ბაიერნს უპოვნია. სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს სამხ. უბანზე ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ორი ლურჯი მინის საბეჭდავი³. ერთი ცალი ცნობილია გორის რაიონიდან⁴. ერთი ამგვარი საბეჭდავი, ახალციხეში აღმოჩენილი, ინახება სტალინირის მუზეუმში. საქ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ერთი საინტერესო კოლექცია, შემთხვევით აღმოჩენილი ლოქინში გათხრილ ორ ქვაყუთში. ამ კოლექციაში სხვა ნივთებთან ერთად მინის სამი საბეჭდავია. დასავლეთ საქართველოში ამ ტიპის საბეჭდავი დღემდე მხოლოდ ერთადერთია ცნობილი კლდეთიდან. საქართველოს ფარგლებს გარეთ ლურჯი მინის საბეჭდავი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ცალია ცნობილი, გამოქვეყნებული პ. უვაროვას მიერ აულ კორცადან⁵.

ზემოაღნიშნული საბეჭდავების განხილვისას მ. მაქსიმოვა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ საბეჭდავების ქვის ორიგინალები ძირითადად მცირე აზიიდან შემოდის და ჩვენი მინის საბეჭდავები მათ პირს წარმოადგენენ. მის მიერ განხილულ შვიდი საბეჭდავიდან ექვსი მცირე აზიურ საბეჭდავების პირს წარმოადგენს და მხოლოდ ერთი, წალკაში ნაპოვნი, ბერძნულ-სპარსული გემის პირიდან უნდა იყოს გადმოღებული⁶. ორიგინალები ამ საბეჭდავებისა, როგორც ჩანს, მცირეაზიური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლურჯი მინის ბეჭდები კი უკვე ადგილობრივი ნახელავი უნდა იყოს. მასალის, ტექნიკისა და ფორმის ერთგვარობა, გამოხატულების ერთნაირად გადმოცემის ხერხი უთუოდ ადასტურებს იმას, რომ ეს საბეჭდავები ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ მუქი ლურჯი ფერის მინის საბეჭდავები საქართველოს გარეთ, ერთი შემთხვევის გარდა, სხვაგან უცნობია⁷. საყურადღებოა, რომ ჩვენში ამავე მასალიდან მზადდებოდა არა მარტო საბეჭდავები, არამედ მძივები. ასეთი მძივები კარგად არის ცნობილი სამთავროდან⁸. ვა-

¹ М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 86.

² В. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, стр. 31.

³ М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ.* стр. 75, М. И. Максимова, *Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро*, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI В თბილისი, 1950, გვ. 263

⁴ М. И. Максимова, *Стеклнные многогранные печати, найденные на территории Грузии*, стр. 83.

⁵ МАК VIII, стр. 183, табл. СХХVIII, 43.

⁶ М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ.*, стр. 88.

⁷ М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ.*, стр. 91, М. И. Максимова, *Геммы из некрополя Мцхеты—Самтавро*, стр. 233.

⁸ М. И. Максимова, *Стеклнные многогранные печати, найденные на территории Грузии*, стр. 91.

სასწყაროს ორმოსამარხებში მრავლად არის აღმოჩენილი ამგვარი მძივები. ამავე მასალისაა ზემოაღწერილი სკარაბეოიდი. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ჩვენში ფართოდ იყენებდნენ ლურჯი მინისაგან ნაკეთებ ნაწარმს.

ამრიგად, ვასასწყაროს ქვევრსამარხში აღმოჩენილი საბეჭდავები კიდევ ზედმეტი საბუთია იმისა, რომ ეს საბეჭდავები გავრცელებული იყო იმ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში. საყურადღებოა ის, რომ ჩვენი საბეჭდავები ემსგავსებიან სიუჟეტით სხვა ამგვარსავე საბეჭდავებს და, გარდა ამისა, ერთ-ერთ საბეჭდავზე მოცემული გამოხატულება დღესდღეობით სრულიად უცნობი იყო.

ქვევრსამარხში კარგად არის წარმოდგენილი მძივები, უმთავრესად მინისა. მინის მძივები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისაა. აქ უპირატესად მრგვალი ფორმის წვრილი მინის მძივები გვხვდება. აქვე აღმოჩნდა ერთი ლურჯი ფერის მძივი, რომელსაც თეთრ წრეში ჩასმული ლურჯი „თვალში“ აქვს. ეს მძივი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ორმოსამარხში № 1 ნაპოვნი ამგვარივე მძივი, ოღონდ უფრო პატარა ზომისაა. სერდოლოვის მძივებიდან მხოლოდ ორს აქვს მოგრძო ფორმა, დანარჩენები მრგვალი ფორმისაა.

ქვევრსამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სამაჯურები. ერთი მათგანი მთელია. მას აქ არ შეეხებოდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნული გვქონდა, იგი სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც ორმოსამარხში № 2 ნაპოვნი სამაჯურები. რაც შეეხება მეორე სამაჯურს, იგი, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებულია და მისი მოყვანილობის შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია. სამაჯური მრგვალი ბრინჯაოს მავთულისაგანაა ნაკეთები; მას ზურგი, როგორც ჩანს, ოდნავ ჩახნეტილი უნდა ჰქონოდა. ამ ტიპის სამაჯურები, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ხანაში. რაც შეეხება აღმოჩენილ სამ რგოლს, ისინი ძალიან ახლო დგანან ორმოსამარხებში ნაპოვნი ამგვარსავე რგოლებთან, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, საფიქრებელია, სასაფეთქლე რგოლები უნდა ყოფილიყო. ასეთი რგოლები ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარხებში. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, ერთი ბრინჯაოს ფირფიტის სადაბეჭდი; შუა ნაწილი მას შედარებით ფართო აქვს; ბოლოებისაკენ იგი თანდათანობით ვიწროვდება.

ქვევრსამარხში მხოლოდ ერთი რკინის ნივთი შეგვხვდა ისიც იმდენად დაზიანებული, რომ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა. შესაძლოა იგი უბრალო იყოს.

თიხის კურკელი აქ მხოლოდ ორი აღმოჩნდა. ერთი მათგანი ცალყურა, სადა სასმისია. იგი შავი ფერისაა, თხელკედლიანი. კარგად ნაძერწი. მეორე კურკელიც შავი თიხისაა, კარგად ნაკეთები. მას ძირი წაწვეტილი აქვს. მუცლის შუა ნაწილზე მკვეთრად გამოხატული ფართო ღარი შემოუყვება. რადანნიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს კურკელი ძნელი სათქმელია. შესაძლოა იგი ნელსაცხებისათვის იყო განკუთვნილი. ამგვარი ძირწაწვეტილი თიხის კურკელი ცნობილია ამ პერიოდის სამარხებიდან. ბ. კუფტინმა თრიალეთში ელინისტური ხანის სამაროვანის გათხრების დროს აღმოაჩინა ამ ტიპის ორი

ქურჭელი¹. ერთი სავსებით ასეთივე ქურჭელი ნაპოვნი იყო ვასასწყაროს სამაროვანის ორმოსამარხში № 6. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში ინახება შავი ფერის ძირწაწვეტილი ქურჭელი შემთხვევით აღმოჩენილი ზემო-ავჭალაში ჰიდროელსადგურის მშენებლობის დროს 1925 წ. ამ ქურჭელს მუცელი შედარებით უფრო მოგრძო აქვს და მუცელზე სიგრძივ არამკვეთრი ღარები დაუყვება. ამავე განყოფილებაში დაცულია ერთი მოწითალო ფერის ძირწაწვეტილი ქურჭელი, აღმოჩენილი მცხეთის საღვურის მიდამოებში 1926 წ. აქვე ინახება ერთი ამგვარი შავი ფერის ქურჭელი. იგი ახალციხის მუზეუმს გადმოუცია და მისი აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, უცნობია. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავროს მოგვიანო ხანის სამარხებში და, კერძოდ, კი ქვევრსამარხებში ამ ტიპის ქურჭელი არ გვხვდება. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სამთავროში ამ პერიოდში ძირითადად ღია ფერის ქურჭელია გავრცელებული, შავი ფერის ქურჭელი აქ თითქმის აღარ გვხვდება.

ვასასწყაროს სამაროვანზე ნაპოვნი ქვევრსამარხი ამ ტიპის სამარხის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. როგორც ვიცით, ქვევრსამარხები კარგად არის ცნობილი საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში². უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სამარხის ეს ტიპი შედარებით გვიან შემოდის. აქ იგი, როგორც ჩანს, გვიან ელინისტურ ხანაში ვრცელდება³. დასავლეთ საქართველოში კი, პირიქით, ამ პერიოდისათვის ქვევრსამარხი უკვე გამოდის პრაქტიკიდან⁴. სამარხად გამოყენებული ქვევრი სრულიად არ განსხვავდება მცხეთის, ზემო-ავჭალის, აზერბაიჯანისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სამარხად გამოყენებული ქვევრისაგან. აქაც დაახლოებით თანამედროვე საღვინე ქვევრის მსგავსი ქვევრია გამოყენებული.

ქვევრსამარხის ინვენტარის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ქვევრსამარხების თანადროული უნდა იყოს. სამთავროს სამაროვანის ქვევრსამარხები მიეკუთვნება II—I საუკ. ძვ. წ.⁵ ამივე პერიოდისაა აგრეთვე აზერბაიჯანში აღმოჩენილი ქვევრსამარხები. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ქვევრსამარხები ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებში კიდევ აგრძელებს არსებობას⁶. ჩვენში სამარხის ეს ტიპი ძველ წელთაღრიცხვასთან ერთად ისპობა და ახალწელთაღრიცხვში აღარ გადმოდის. ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ ჩვენს ხელთმყოფი მასალებიდან ასე ჩანს. ვასასწყაროს სამაროვანის ქვევრსამარხი ასაკით შორს არ უნდა იყოს

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 31, ტაბ., 4.

² М. М. Иващенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, Советская археология, т. XIII, М.—Л., 1950, стр. 320.

³ იქვე, გვ. 330.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., стр. 34; Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 76.

⁵ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრ., გვ. 329.

⁶ С. Казнев, Г. Асланов, О двух кувшинных погребениях, Материальная культура Азербайджана, II, Баку, 1951, стр. 209.

წასული აქვე აღმოჩენილ ორმოსამარხებისაგან. როგორც უკვე ზემოთ გზა და გზა აღვნიშნავდით, ქვევრსამარხებში და ორმოსამარხებში ანალოგიური ინვენტარი შეგვხვდა. მძივებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო ორმოსამარხებში აღმოჩენილ მძივებთან, ამ სამარხში სავსებით ერთნაირი სამაჯურები გვხვდება. გარდა ამისა, გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა აგრეთვე თიხის ჭურჭელშიც¹ აქაც და იქაც შავი ფერის კარგად გამომწვარი ჭურჭელი გვხვდება და ერთ-ერთ ორმოსამარხში (6), როგორც უკვე აღვნიშნული გვქონდა, ისეთივე ძირწაწვეტილი ჭურჭელი აღმოჩნდა, როგორც ქვევრსამარხში. მაგრამ, მიუხედავად ინვენტარის ასეთი მსგავსებისა, არა გვგონია, რომ ეს სამარხები სავსებით თანადროული იყოს. მით უმეტეს, რომ აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი, მაგ., სამაჯურები, საერთოდ, კარგად იყრიან ცნობილი ელინისტურ ეპოქაში. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ მძივზე: მაგ.: „თვალებიანი“ მძივები, როგორც სამართლიანად აღვნიშნავს ე. ალექსევა, დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში გვხვდება¹. შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც ურეკის სამარხი, რომელსაც ა. აფაქიძე მე-4 საუკ. ახ. წ. მიაკუთვნებს, სადაც სავსებით ანალოგიური „თვალებიანი“ მძივები შეგვხვდა². ვფიქრობთ, რომ ვასასწყაროს ქვევრსამარხი ორმოსამარხთან შედარებით რამდენადმე უფრო ძველი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვევრსამარხი უშუალოდ № 1 ორმოსამარხის ქვეშ იღო. უფრო მართებლად მიგვაჩნია ქვევრსამარხი ძვ. წ. II—I საუკ. დავათარილოთ.

ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩნდა აგრეთვე ერთი რალაც ნაგებობის ნაშთი. იგი, როგორც ჩანს, ხისა უნდა ყოფილიყო თიხით შელესილი. გამომწვარ თიხას ახლაც კარგად ეტყობა ხის კვალი. ორგან შემორჩენილი იყო ხის დანახშირებული ძელი. ნაგებობის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ცხოველის დამწვარი ძვლები. აქვე ნაპოვნი იყო ნამგლისებრი რკინის დანა, ორი ერთმანეთზე გადაბმული ბრინჯაოს რგოლი და ბრინჯაოს სამაჯური. ძნელია გადაჭრით თქმა, რა უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა. შესაძლოა იგი სამარხი ნაგებობა იყო, რომელიც შემდეგში გაუძარცვავთ. ამას ერთგვარად გვაფიქრებინებს ნაგებობის პრეპარაციის შედეგად აქ აღმოჩენილი ნივთები. ეს ნივთები ძალიან ახლო დგანან სამარხში აღმოჩენილ ინვენტართან. საფიქრებელია, რომ ეს ნაგებობა სამაროვანის თანადროული იყო.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის
 და ეთნოგრაფიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. I V. 15)

¹ Е. Алексеева. Поздне-Кобанская культура центрального Кавказа, Ученые записки ЛГУ, серия исторических наук, вып. 13, Ленинград, 1949, стр. 196.

² ა. აფაქიძე, გვიანი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV B, თბილისი, 1947, გვ. 110.

О. Джанаридзе

Археологические раскопки в селе Аркнети

Резюме

Археологическая экспедиция Института истории имени академика Н. А. Джавахишвили Академии Наук Грузинской ССР совместно с Юго-Осетинским Научно-исследовательским институтом в 1951 году свои работы в основном вела в Знаурском районе, в селе Аркнети и с. Одзора. В селе Аркнети был раскопан могильник, было вскрыто шесть могил — четыре грунтовых и два — кувшинных. В грунтовых погребениях покойник лежал сильно скорченный на боку. Инвентарь грунтовых погребений состоял в основном из украшений (бронзовые и серебряные браслеты, бронзовые перстни, кольца, бусы сердоликовые, стеклянные и другие, рис. 4, 5, 6). В одном погребении было найдено пять парфянских монет I века до н. э. (рис. 7). Грунтовые погребения датируются первым веком до н. э. и первым веком н. э.

Кроме грунтовых погребений на этом же могильнике было вскрыто два кувшинных погребения. В одной из этих могил было найдено два костяка младенцев (рис. 9). Инвентарь состоял из пастовых и сердоликовых бус, двух бронзовых колечек, обломка железного предмета и одной раковины кауры.

Во втором кувшинном погребении лежало два покойника, при которых обнаружены: два глиняных сосуда, бронзовые браслеты, бронзовые височные кольца, перстень, пастовые, стеклянные и сердоликовые бусы, стеклянные многогранные печати и др. (рис. 11, 12). Кувшинные погребения аркнетского могильника датируются II—I вв. до н. э.

Кроме могильника, в селе Аркнети экспедиция провела незначительные раскопки культурного слоя, повидимому, поселения, где найдены черепки глиняной посуды, остаток очага и др.. Этот культурный слой, повидимому, относится к переходной стадии от средней к поздней бронзы.

3. ნაღარიპივილი

განქორწინების წესი ფორმალურ საქართველოში *

საკითხი განქორწინების შესახებ ისტორიულად აღიარებულია როგორც ერთ-ერთი რთული საკანონმდებლო საკითხთაგანი.

ქორწინება წარმოადგენს ოჯახის საფუძველს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მთელი საზოგადოების სოციალური უჯრედი. განქორწინება ობიექტურად წარმოადგენს ოჯახის საფუძვლის—ქორწინების დარღვევას და ამით თვით ოჯახის დამრღვეველ ძალასაც. სახელმწიფო ხელისუფლება, კანონმდებლის სახით, არ შეიძლება ინდეფერენტულად იყოს განწყობილი განქორწინების საკითხისადმი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ინტერესებსაც შეეხება. იმიტომ, ყოველგვარი უგულვებელყოფა განქორწინების საკანონმდებლო წესებისა, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ინტერესების ხელყოფად იქცევა. ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი პირის მხრით განქორწინება უცილობლად გავლენას ახდენს მეორე მხრის ცხოვრებაზე, აგრეთვე შვილების ბედზე. იმიტომაც, როგორც მარქსი წერდა, თითქმის ქორწინების ყოველი დარღვევა ეს არის ოჯახის დარღვევა, და რომ თუნდაც წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ბავშვების და მათი ქონების მდგომარეობა არ შეიძლება დამოკიდებული გავხადოთ მშობლების თვითნებური სიხედულობისაგან და იმისგან, რაც რომელიმე მათგანს მოეპოვებოდა.¹

სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში ოჯახური წყობილება მთლიანად ექვემდებარება საკუთრების ურთიერთობას, ეს უკანასკნელი კი წარმოებითი ურთიერთობის იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს. ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, აღდამიანთა საარსებო საშუალებათა წარმოება, კვების საგნების, ბინის, ტანსაცმლის და ამისთვის აუცილებელი იარაღების წარმოება წარმოადგენს მიზეზს, რომელნიც საზოგადოების და საზოგადოებრივი წესწყობილების, მათ შორის ოჯახური წყობის განვითარებას განსაზღვრავენ. საარსებო საშუალებათა წარმოების წესი არის საზოგადოების ფიზიონომიის განმსაზღვრელი ძალა.

ამასთანავე, უეჭველია, რომ საზოგადოების განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს აღდამიანთა მოდგმის განგრძობას — „აღდამიანთა წარმოებას.“ ოჯა-

* იბეჭდება შემოკლებით.

¹ К. Маркс, Проект закона о разводе, Маркс и Энгельс, Соч., т. 1, изд. второе, М., 1955, стр. 162.

ხი წარმოადგენს ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან სოციალურ უჯრედს, სადაც ხორციელდება ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანი საზოგადოების არსებობისა—უმშუალო ცხოვრების აღწარმოება, წარმოება თვით ადამიანებისა, განგრობა მოდგმისა.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსათვის და საზოგადოებისათვის ქორწინებას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც აქტს, რომელიც ქმნის და ზრდის შთამომავლობას.

ამ თვალსაზრისით ფეოდალური სახელმწიფოსათვის ქორწინება წარმოადგენს საშუალებას ადამიანთა წარმოებისათვის. ამიტომაც სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქორწინების სიმყარეს. სახელმწიფო თავისი იძულებითი აპარატით საკანონმდებლო ბაზაზე იცავს ქორწინების სიმტკიცეს, მისი ურღვევობის პრინციპს. მაგრამ სახელმწიფოებრივ იძულებას თავისთავად არ შეუძლია შექმნას მტკიცე ქორწინება, მას შეუძლია ერთგვარად ხელი შეუწყოს ქორწინების სტაბილობას ან, უარეს შემთხვევაში, ხელი შეუშალოს ამ უკანასკნელს.

ქორწინებას, შესაძლებლობაში მდინც, კანონმდებელი განიხილავს, როგორც დაქორწინებულთა მუდმივსა და არა დროებითს თანაცხოვრებას. ამიტომაც ქორწინების ყოველი დარღვევა წარმოადგენს არასასურველ აქტს. ვარდა ამისა, როგორც უკვე აღნიშნულიც იყო, ქორწინების დარღვევა იწვევს ცვლილებას, მეტწილად არასასურველს, მეორე მხარისა და შთამომავლობის ცხოვრებაში. სხვადასხვა ეპოქაში—მონათმფლობელურს, ფეოდალურს, თუ კაპიტალისტურ წარმოების წესთა არსებობის პირობებში კანონმდებელი დგება აგრეთვე ერთგვარი ანტინომიის წინაშე, როდესაც, მისი აზრით, განქორწინება არის ბოროტება, მაგრამ ფორმალური განუქორწინებლობა მისი ფაქტიურ დარღვევის პირობებში ასეთსავე მოვლენად იქცევა. ასეთ შემთხვევებში განქორწინების ამკრძალავ არავითარ იურიდიულ ბორკილებსა და ჯაჭვებს არ ძალუძთ საქმის შველა. ქორწინება იქცევა ფიქციად.

განქორწინების წესი განუყრელ კავშირშია ქორწინების წესთან. საზოგადოებაში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს თავისუფალი ქორწინება, არ შეიძლება არსებობდეს თავისუფლება განქორწინების საკითხებში. კანონმდებლობაში განქორწინების საკითხებზე გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა და, მაშასადამე, საზოგადოების კულტურული პროგრესიც. ის გარემოება, რომ კლასთა ანტაგონიზმზე დაფუძნებულ საზოგადოებებში ქალი დამარცხებულია, როგორც სოციალური არსება და როგორც სქესი, აისახება საგანქორწინებო კანონმდებლობაში.

სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო ძველ ხალხთაგან ქორწინებისა და განქორწინების შედარებითი „თავისუფლება“ არსებობდა რომაელებში. მაგრამ ეს ე. წ. ქორწინება—განქორწინების თავისუფლება, რასაც რომაელებთან ვხვდებით, ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ფაქტიურად შორს იყო ნამდვილი თავისუფლებისაგან. რომაულ კანონებში ზემოხსენებულ საკითხზე რელიეფურად აისახა გაბატონებული კლასის—მონათმფლობელების ინტერესები, რომელთაც ქორწინება—გარიგების დარღვევა თავისუფლად უნ-

და შეძლებოდათ. ქორწინება sine manu-ს შემთხვევაში განქორწინებისათვის საკმარისი იყო ერთ-ერთი მხარის სურვილის გამოცხადება მეორე მხარესთან ქორწინების შეწყვეტის შესახებ. განქორწინების საკითხში ზემოხსენებულ თანასწორობაში ქალსა და მამაკაცს შორის აისახება ის გარემოება, რომ რომაელებს, როგორც ენგელსი აღნიშნავს, უფრო ფართო შეხედულება ჰქონდათ ქალებზე, ვიდრე ბერძნებს. ობიექტურად განქორწინების ზემოხსენებულ წესს შედეგად ის მოჰყვა, რომ ქორწინება გადაიქცა შიშველ ეკონომიურ გარიცხვად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ციცირონმა საკუთარი ცოლი ტერენცია მხოლოდ იმისათვის გააგდო, რომ ახალი ცოლის მზითვით ვალები გაესტუმრებინა. ქორწინება sine manu-ს არსებობის პერიოდში რომში გაიზარდა ისეთ განქორწინებათა რიცხვი, რომლებშიც არ იყო ამისათვის საკმაო მორალური საფუძველი. წმ. იერონიმე მოგვითხრობს, რომ ის პირადად ესწრებოდა რომში ერთი ქალის დასაფლავებას, რომელსაც გამოუცვლია სიცოცხლეში 22 ქმარი. სენეკას აღნიშნული აქვს, რომ რომაელი ქალები თავიანთ ხნოვანებას ითვლიდნენ არა კონსულების, არამედ გამოცვლილი ქმრების რიცხვით.

შესაძლოა, რომ ქრისტიანობამ, მიიღო რა მხედველობაში ძველ ებრაელებსა და რომაელებში განქორწინებისადმი მსუბუქი დამოკიდებულების შედეგები, ამტომაც აირჩია ამ უკანასკნელის მტკიცედ შეზღუდვის გზა.

ქრისტიანული საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ფიზიკური სიკვდილის შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული მოძღვრებით ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც არ ისპობა მთლიანად ქორწინება; სწორედ ამითაც იყო გაპირობებული ის გარემოება, რომ ეკლესია დიდ წინააღმდეგობას უწევდა განმეორებით ქორწინებებს.

ფიზიკური სიკვდილი ქორწინების, როგორც მეუღლეთა მთელი სიცოცხლისეული კავშირის, შეწყვეტის ნორმალური სახეა. შუასაუკუნეების ქრისტიანული ქვეყნების კანონმდებლობა, მიუხედავად სახარების მოძღვრების მიხედვით განქორწინების პრინციპულად დაუშვებლობისა, ცხოვრების პირობების კარნახით იძულებული ხდება შეიმუშაოს განქორწინებისათვის საკმაო საკანონმდებლო მოტივები. სახარების მიხედვით განქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ცოლის მრუშობის შემთხვევაში. მაგრამ, გარდა ზემოხსენებული მოტივისა, თანდათანობით აღიარებული იქნა სხვებიც. აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის კანონისტები აღიარებენ, რომ საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და წმ. მამათა წესებში განქორწინების საფუძვლად, მრუშობის გარდა, სხვა მოტივებიც იქნა ცნობილი. მაგ., ცოლის მიერ მუცლის მოშლა აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის წესების მიხედვით აღიარებულ იქნა როგორც განქორწინებისთვის საკმაო საფუძველი.¹

¹ Zhisman, Das Eherecht der Orientalischen Kirche, Wien, 1864, зб. 753-754.

განქორწინების ფეოდალურ-ქრისტიანულ წესში ნათლად აისახა ქალის დამცირებული მდგომარეობა ქორწინებაში. აღიარებული იყო, რომ მრუშობაა განქორწინების ძირითადი ლეგალური მიზეზი, მაგრამ თვით ცნება „მრუშობას“ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვინ იქნებოდა ამ უკანასკნელის სუბიექტი—ქალი თუ მამაკაცი. საეკლესიო სასამართლო-პრაქტიკაში აღიარებული იყო, რომ მამაკაცი მხოლოდ მაშინ შეიძლება მრუშად ჩათვლილიყო, როცა ამ უკანასკნელს სქესობრივი ურთიერთობა ექნებოდა არათავისუფალ პირთან, ან მაშინ, როცა იგი ბიგამიურ ქორწინებაში იმყოფებოდა ცინმესთან, ე. ი. ძველი ქორწინების იურიდიულად არსებობის პერიოდში ფაქტიურად ახალ ქორწინებაში იმყოფებოდა. ქალი კი მრუშად ჩათვლებოდა ყველა შემთხვევაში, ვისთანაც არ უნდა დაეჭირა მას სქესობრივი კავშირი, განურჩევლად წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ამასთან სულ ერთი იყო დაქორწინებული იქნებოდა თუ დაუქორწინებელი მამაკაცი. აქ თავს იჩენს ფეოდალური სამართლისა და მორალის ორიბრობა, რომელიც ემსახურება მამაკაცის ბატონობის განმტკიცებას დედაკაცზე, ეს ბატონობა კი უბრალო შედეგია მამაკაცის ეკონომიური ბატონობისა ოჯახში. ფეოდალურ საზოგადოებაში ქრისტიანულ-ფეოდალური მორალი და სამართალი გაორებული და წინააღმდეგობრივია, როგორც ყოველივე ის, რასაც კლასთა ანტაგონიზმზე დაფუძნებული საზოგადოება წარმოშობს. ფეოდალურ საზოგადოებაში აღიარებულია მონოგამია, მაგრამ მის გვერდით მამაკაცთათვის ლეგალურად ან ნახევრად ლეგალურად არსებობს პეტერიზმის უფლება მისი უკიდურესი ფორმით—პროსტიტუციით.

მთელს ბიზანტიურ კანონმდებლობაში მხოლოდ პროხირონიდან (XI ს.) იწყება აღიარება იმისა, რომ მამაკაცის მიერ მეუღლეობრივი ერთგულების დარღვევა არის მცდელობა ცოლის წინააღმდეგ და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი აშკარაა და დამტკიცებული. ცხადია, რომ ფაქტიურად ეს უკანასკნელიც მხოლოდ ქალაქებში იქნა აღიარებული.

ეს პუნქტი წარმოადგენს ფეოდალური ბიზანტიის სამართლის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს. ძველ რომაულსა და შემდეგ კი ბიზანტიურ სამართალში მეუღლეობრივი ერთგულების მოთხოვნის უფლება მითვისებულ იქნა მამაკაცების მიერ. ეს ე. წ. *jus thori* მამაკაცისთვის უფლებას წარმოადგენდა, ხოლო დედაკაცისთვის მოვალეობას. გამომდინარე აქედან, ბიზანტიურ სამართალში, ისევე, როგორც რომაულში, შემოსხენებული უფლების დარღვევა—მრუშობა (*adulterium*) განისაზღვრებოდა როგორც გათხოვილი ქალის სქესობრივი კავშირი გარეშე მამაკაცთან. ქმარი იურიდიულად არ შეიძლება მრუშად ყოფილიყო მრუშობაში დამნაშავე თავისი ცოლის წინაშე, არამედ მხოლოდ მესამე პირის, ე. ი. სხვა ქმრის წინაშე, როდესაც იგი არღვევდა ამ უკანასკნელის კუთვნილ *jus thori*-ს დაქორწინებული. მამაკაცის სქესობრივი კავშირის გაუთხოვარ ქალთან იყო მხოლოდ ზნეობრივი გადაცდომა, რომელიც სისხლის სამართლებრივ დანაშაულად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცეოდა,

როდესაც იგი ჩადენილი იქნებოდა მდებრობითი სქესის საპატო პიროვნების მიმართ ძალადობის გზით. ¹

მონოგამიურ ოჯახში განქორწინებამ განიცადა განვითარება მის ფორმათა ცვლილების თვალსაზრისით. განქორწინების პირველ ისტორიულ ფორმად თვლიან გაგდებას (repudium). თავისი კლასიკური სახით იგი არსებობდა ძველ ებრაელებში. ეს უკანასკნელი გულისხმობს მამაკაცისათვის ცოლის გაგდების თავისუფლებას. განქორწინების ასეთი ფორმის შემთხვევაში საჯარო ხელისუფლება გამოდის მხოლოდ ნოტარიული დამმოწმებლის როლში და იგი მხოლოდ მომხდარ ფაქტს აღნუსხავს.

გაგდება ანუ უკუგდება ხდება ცალმხრივად—მამაკაცის მხრით, და ამიტომაც ეს უკანასკნელი ცალმხრივი განქორწინებაა. მისეს კანონებით, ქმარს შეეძლო ცოლის გაგდება, თუ მას აღმოაჩნდებოდა რაიმე მანკი ან თუ ჩადენდა სამარცხვინო საქმეს.

რომის კანონმდებლობაში განქორწინება თანდათანობით კარგავს ცალმხრივ ხასიათს. ფეოდალურ-ქრისტიანულ ქვეყნებში განქორწინება ითვლება საეკლესიო სამართლის საქმედ. ამიტომაც საეკლესიო დოგმატიკებმა გავლენა იქონიეს განქორწინების ფორმის განვითარებაზე. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის დოგმატებით, მეუღლეთა განქორწინება შეუძლებელია ერთ-ერთი მხარის სიკვდილის მიზეზის გარეშე. განქორწინება კათოლიკურმა ეკლესიამ შესცვალა მეუღლეთა განცალკევებით (separatio). განცალკევება შეიძლებოდა უაფილიყო მუდმივი და დროებითი. პირველი დაიშვებოდა მრუშობისა და სოლომიის შემთხვევაში, მეორე კი, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ერეტიკოსი გახდებოდა ან მეორე მხარის მოკვლას განიზრახავდა და სხვ.

გაგდება, განცალკევება და განქორწინება წარმოადგენენ განქორწინების წესის განვითარების საფეხურებს. ²

განქორწინების წესში თავისებურ გამოხატულებას პოულობს გაბატონებული კლასის შეხედულება ქორწინების მიზნებზე; მაგალითად, ძველი გერმანული სამართლის მიხედვით, ქორწინების ძირითადი მიზანია შთამომავლობის გაჩენა, ამიტომაც სამართალი ნებას რთავს უნაყოფო ცოლთან განქორწინებაზე. უეჭველია, რომ განქორწინების წესში უნდა გამოვლინდეს აგრეთვე მეუღლეთა უფლებრივი მდგომარეობაც. იმავე ძველი გერმანული სამართლით, როგორც ი. გრიმი მოგვითხრობს, თუ უშვილობის მიზეზი ქმარი იქნებოდა, მაშინ ცოლს მაინც არ ჰქონდა უფლება ქმართან განქორწინებისა. ამ შემთხვევაში ქმარს უნდა ამოერჩია თავისთვის წარმომადგენელი და მისთვის მიენდო თავისი მეუღლეობრივი მოვალეობის შესრულება. ³

ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქის ისტორიკოსის იაკობ ხუცესის თხზულებაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჩვენ ვერ შევხვდებით განქორწინე-

¹ А. С. Павлов, личные отношения супругов по греко-римскому праву, Учёные записки Казанского университета, 1865 г., т. 1, стр. 96.

² М. Кулишер, Развод и положение женщины, Спб., 1896, стр. 23.

³ об. Grimm, Deutsche Rechtsalterthümer. Bd. I, 1828, Göttingen, сmp. 443.

ბის წესის, პირველ ყოვლისა ლეგალიზირებულის, აღწერას. ეს გარემოება მკვლევარს საშუალებას არ აძლევს დაწერილებით ილაპარაკოს ზემოხსენებული თხზულების მიხედვით V ს. საქართველოში განქორწინების მოტივებისა და წესების შესახებ. მიუხედავად ამისა, ქართული საოჯახო სამართლის მკვლევარს არ შეუძლია გვერდი აუაროს ზოგიერთ საყურადღებო ცნობას, რომლებიც ზემოხსენებულ საკითხზე V საუკუნის ქართველმა მწერალმა შემოგვინახა.

როგორც ცნობილია, იაკობ ხუცესის მიერ აღწერილ ეპოქაში ქრისტიანობა უკვე გაბატონებული რელიგია იყო აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ დროს ქართლის სამეფო მოექცა სპარსეთთან დამოკიდებულ მდგომარეობაში. სპარსეთის მეფეს ქართლში თავისი მოხელე პიტიახში ჰყავს წარმომადგენლად. როგორც მოსალოდნელიც იყო, პოლიტიკური თვალსაზრისით შაჰი მხარს უჭერს ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას ქართლში და ზოგჯერ კატეგორიულადაც მოითხოვს ქართველთა წარჩინებული წოდების წარმომადგენელთაგან ქრისტიანობის უარყოფას. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მაშინდელ ქართლში, ისიც გამაზღვრებულ ვარსკენ პიტიახშისაგან, რომელსაც შაჰი ედგა ზურგს უკან, ძნელი წარმოსადგენია კანონიკური კანონმდებლობის წესების დაცვა, თუნდაც განქორწინების საკითხში, მით უფრო, რომ მისი მეუღლე შუშანიკი ვარსკენის ცოლობაზე, პირველ ყოვლისა, უარს ამბობს სარწმუნოებრივი მოტივებით. თუმცა ქრისტიანული რელიგია ქორწინებას ღვთაებრივ აქტად თვლიდა და ასწავლიდა, რომ „რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნა“-ო (მათე, XIX, 6), მაგრამ არც ერთ ქრისტიანული ქვეყნის კანონმდებლობას არასოდეს უარი არ უთქვამს ცოლისათვის ქრისტიანული რელიგიის მოღალატე ქმართან განქორწინებაზე. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ შუშანიკს ექნებოდა კანონიერი საფუძველი განქორწინებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული ეკლესიის კანონების მიხედვით. „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა“, — ამბობს შუშანიკი. წარმოუდგენელია, რომ ქრისტიანობის ეპოქის კანონებს ზემოხსენებული მოტივის საფუძველზე უარი ეთქვას შუშანიკისათვის ვარსკენთან ცოლქმრული ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. სულ სხვა საკითხია, რამდენად იყო სპარსეთისაგან დამოკიდებული ქართლში დაშვებული ქრისტიანული ეკლესიის კანონების მოქმედება.

ყურადღებას იპყრობს იაკობ ხუცესის თხზულების ერთი ადგილი (თ. XIII), რომელიც ეხება შუშანიკის მიერ ვარსკენის მიტოვების შემდგომ დროს: „და მერმე მოციქულნი მოავლინა პიტიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნება ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა!“ აქ ლაპარაკია ძველი ქართული ჩვეულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქმარი დამნაშავე ცოლს ვირზე შესვამდა და ასე გაწილებულს გააგდებდა.

საინტერესოა, სახელდობრ რა სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეეძლო ქმარს „კარაულითა“ გაეგდო ცოლი?

დავით ბატონიშვილს აღნიშნული აქტს, რომ საქართველოში არაერთი შემთხვევა იყო, როცა ავხორცობაში ან მისდამი ხელის შეწყობაში მხილებულ პირს ვირზე შესვამდნენ, ტალახით გათხუპნიდნენ და ხალხის თავმოსაყრელ ადგილებზე ჩამოატარებდნენ.¹

როგორც დავით ბატონიშვილის სიტყვებიდან ჩანს, მის დროს ასეთი რამ საქართველოში უკვე აკრძალული ყოფილა კანონით. ზემოხსენებული ჩვეულების გარდმონაშთი უნდა ყოფილიყო ის, რომ „1805 წლის მაისში ბოდბისხეველები (ქიზიყში) ხუთას კომლზე მეტი, გამოსულან და მარიამ კორდანაშვილის სახლიდან გამოუთრევიათ მისი ქალი ბარბარე, რომელსაც ქმრისათვის თავი დაუხეზებია და მეძაობდა თურმე, შეუსვამთ ვირზე, სოფელში კარდაკარ ჩამოუტარებიათ და ყველანი ლაფს ასხამდნენ თავზე“.²

უქვევლია, რომ ძველი ქართული ადათებით,³ რომლის გამოყენებასაც თავის სასარგებლოდ ფიქრობდა ვარსკენ პიტიახში, ვირზე შესმა და ასე შერცხვენილად გაგდება შეიძლებოდა მრუშობაში მხილებელი ცოლისა.

ცნობების უქონლობის გამო, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია არცერთ საკანონმდებლო ძეგლს, რომელიც სამოქმედოდ ყოფილიყო მიღებული მთელ საქართველოში, ძნელია განქორწინების წესების შესახებ მსჯელობა. მიუხედავად ამისა, უქვევლია, რომ, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიც, განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი, მრუშობა უნდა ყოფილიყო. ეს მით უფრო უქვევლია, რომ, საერთოდ, ქრისტიანული რელიგია სიძვას აცხადებდა განქორწინების ერთადერთ საფუძვლად. „რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა, და სხუა შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტეგებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მათე, XIX, 9).

გ. მერჩულეს „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“-ში მოთხრობილი აქვს, რომ აღარნასე კუროპალატმა „შესმენითა მეძვისა ქალისაჲთა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუითა სიძვისაჲთა სარწმუნო ცოლი თვისი და წარგზავნა ქუეყანად თვისად აფხაზეთად, ვინაჲცა მოეყვანა იგი“. (თ. 50)⁴ ე. ი. მრუშობა განქორწინების ლეგალური საფუძველი იყო.

ბექა—აღბუღას კანონებში შემონახულ ბაგრატ კუროპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტიდან ჩანს, რომ საქართველოში, ცოლის მრუშობის გარდა, განქორწინების საფუძველი სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთის შენცველი მუხლი მხოლოდ ერთია შემორჩენილი.

„თუ ცოლი დასნეულდეს,—ამბობს, კანონმდებელი,—ქმარი ცოლისა გვარსა არას ემართლების, მისთვის რომე მის ხელსა შიგან დამართებია; თუ

¹ Царевич Давид, Обозрение Грузии по части прав и законовещения, მუხლი 983 (ამ ხელნაწერით გვასარგებლა დოკ აპ. როგავამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

² АКТЫ, т. II, 1064, Тифлис, 1863.

³ ასეთი ადათი არსებულა საბერძნეთშიც. იხ. ამაზე: Sigmund Feist, Kultur Ausbreitung und Herkunft der Indogermanen, Berlin, 1913. გვ. 109.

⁴ გ. მერჩულე, „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“, თბ., 1949, გვ. 107.

გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა რომე სიძულილითა არა გაყროდეს; და ნახევარი სისხლი დაუჭუროს და დედაკაცი მზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს“ (140 მ.).

კანონმდებელი, როგორც ვხედავთ, ცოლის სნეულებას აღიარებს განქორწინების საფუძვლად. ამასთანავე განსხვავებულია ცოლის დასნეულება ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ. ქმარს შეუძლია ცოლის მოშორება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი მის ხელში დასნეულდებოდა; მხოლოდ ქმარს უნდა დაეფიცა, რომ ის ცოლს სიძულილითა კი არ გაყრია, არამედ მის სნეულებისა გამო; მიუხედავად, ამისა, ქმარს ნახევარი სისხლის ფასი მინც უნდა გადაეხადა ცოლისათვის.

ზემონსენებულ მუხლში მოცემული გაყრის საფუძველი, უქვეყლია, კანონმდებლის მიერ ქრისტიანული დოგმების ერთგვარ დაძლევისა და წარმოადგენს, რადგან, როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია ჯიუტად იღგა იმ თვალსაზრისზე, რომ განქორწინების ერთადერთი კანონიერი მოტივი მხოლოდ და მხოლოდ მრუშობააო.

ბაგრატის სამართლის წიგნის ჩვენამდე სრული სახით მოუღწევლობის გამო, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას უტყუარად ვიმსჯელოთ იმაზე, თუ კიდევ გაყრის რა საფუძვლებს ცნობდა კანონმდებელი.

თუ ზემომოყვანილ მუხლს ჩაუფკვირდებით, შევამჩნევთ, რომ კანონმდებელი ქორწინებას განიხილავს, პირველ ყოვლისა, როგორც, საშუალებას შთამომავლობის გაჩენისათვის. ამიტომაც აძლევს იგი ქმარს უფლებას გაეყაროს ცოლს მაშინაც კი, თუ კი ეს უკანასკნელი ქორწინების შემდეგ იქნებოდა დასნეულებული. შესაძლებელია, რომ ბაგრატის სამართლის წიგნი შეიცავდა სპეციალურ მუხლსაც, სადაც განქორწინების მოტივად ცოლის უნაყოფობაც იქნებოდა აღიარებული. ძველ გერმანულ სამართალში მიღებული იყო ცოლის უნაყოფობის შემთხვევაში გაყრა. შეიძლება ითქვას, რომ ძველ გერმანელებში ცოლის უნაყოფობის შემთხვევაში გაყრა ქმრის მოვალეობას შეადგენდა. ძველი გერმანული სამართალი უფრო შორსაც მიდიოდა. იმპოტენტი ქმარი მოვალე იყო ცოლის განაყოფიერება სხვისთვის მიენდო. ქართული კულტურის თავისებურებამ განსაზღვრა ის, რომ მსგავს მოვლენას საქართველოს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. მომდევნო ეპოქებში საქართველოში ქორწინების შეწყვეტის კანონიერი მოტივი უნდა ყოფილიყო აგრეთვე სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული ე. წ. სოდომური ცოდვა.

1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება პგოდებდა, რომ სოდომური ცოდვა დიდად არის გავრცელებულიო. სამღვდელოების წარმომადგენლებმა რუის-ურბნისის კრებაზე ზედმეტად არ ჩათვალეს ქართველებისათვის მოეგონებინათ, რომ ასურელები, სპარსელები, რომაელები და სხვ. სწორედ ამ ცოდვამ დაღუპაო. „ამისთვის ვამცნებთ ყოველსა,—ნათქვამია „ძეგლის წერაში“,—დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიოსა, მღვდელთა და უმღვდელთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა“.

თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან და სხვა ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ მეუღლის სოციალურ ცოდვაში მხილება საქართველოში არა თუ განქორწინების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო, არამედ სიკვდილის ღირს ცოდვადაც ყოფილა მიჩნეული.

გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში, რომელიც იმ დროს საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხისათვის იყო განწესებული, ჩვენ ვერ შევხვდებით განქორწინების მოტივთა ჩამოყალიბებულ სახეობებს. ეს არც არის გასაკვირი. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ დღევანდელ ხევსურეთში და ფშავეთში, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს თემურ-გვაროვნული წყობილება იყო. მათ შესახებ მემატთანე გადმოგვცემს, რომ ისინი „მშთვარსა და უხარშავსა ჭაშენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყუანებენ ცოლად“-ო.¹ თამარის ისტორიკოსის ცნობა ფშავესურებში პოლიანდრიის არსებობის შესახებ რამდენაღმე საყურადღებოა გიორგი ბრწყინვალის დროინდელ მთიელთა ყოუცხოვრების გასათვალისწინებლადაც. პოლიანდრია წარმოადგენს ჯგუფობრივი ცოლქმრობის გადმონაშთს და, როგორც ასეთი, იგი დღემდე შემონახულია მსოფლიოს ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეშიც. თამარის ეპოქიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდე საკმაოდ დიდი დროა. ამ დროის განმავლობაში აქ ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. ყოველ შემთხვევაში, გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნიდან ჩანს, რომ სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფოებრივი სამოქალაქო ცხოვრება მთიანეთში რამდენამდე ახალი მოვლენაა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოებაც, რომ გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი ცოლის უბრალოდ დაგდებას ზაინც და მაინც სასტიკად არ დევნის, სჯის რა ამ აქტს ნახევარი სისხლის დატურვებად (მ. კ.), ბექა-ალაუღას სამართლის წიგნით მეუღლეთა განქორწინების კანონიერ საფუძვლად კანონმდებელი პირველყოვლისა მრუშობას თვლის, იგულისხმება, რომ მხოლოდ ცოლის მხრით. ეს მდგომარეობა არ ყოფილა მხოლოდ ქართული სამართლის კუთვნილება. შუასაუკუნეების პერიოდში ფეოდალური სამართალი, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების სამართალი დღემდე, მრუშობას მხოლოდ ქალს უკრძალავდა.

ადრინდელ შუასაუკუნეებში იმ ხალხებში, სადაც საწარმოო ძალთა დაბალი დონის გამო ფეოდალურ ურთიერთობას არ ჰქონია ჩამოყალიბებული სახე, გამონაკლისს ვხვდებით, როგორც პირველყოფილ თემური თანასწორობის გარდმონაშთს. მაგალითად, ადრინდელი შუასაუკუნეების სკანდინავიურ სამართალში უპლანდის კანონების და ნორვეგიული ფროსტატინგის მიხედვით ცოლს უფლება ჰქონდა არა მარტო განქორწინებისა, არამედ ქმრის ღალატის შემთხვევაში მისი დასჯისაც. ნორვეგიაში ცოლქმრული ერთგულების

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კველიძის რედ., თბ. 1941, გვ. 138.

მოლაღატე კაცს მეუღლე 3 მარკას ახდევინებდა. მაგრამ თუ ცოლი ქმარს დანაშაულის ადგილას წაასწრებდა, მაშინ უპლანდის კანონების მიხედვით ცოლს უფლება ეძლეოდა მოეკლა კიდეც მოლაღატე ქმარი.¹

ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც ხაზს უსვამდა ყოველთვის ზნეობრივ საკითხებში საკუთარი მოძღვრების აბსოლუტურ „სიწმიდეს“, თავისი ავტორიტეტული პიროვნების—ვასილი დიდის სახით მამაკაცთა მრუშობას საკუთარი სანქცია მისცა. ვასილი დიდის მოძღვრების მიხედვით ქმარი, რომელსაც ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა სხვა უქმრო ქალთან მრუშად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო, არამედ მხოლოდ უზნეოდ; ამიტომ,—ამტკიცებდა ვასილი დიდი,—ცოლს არა აქვს უფლება მოითხოვოს ასეთ შემთხვევაში განქორწინება, თუ ეს ქმარს არ სურს. რაც შეეხება ქალს,—განაგრძობდა იგი,—მისი ყოველნაირი სახის ღალატი ქმრისადმი უნდა ჩაითვალოს მრუშობად, ხოლო თითონ—მრუშად.

არანაკლებ საინტერესოა ი. მმარხველის ნომოკანონის მსჯელობა ამ საკითხზე, აქ ნათქვამია, რომ ცოლს, არა აქვს „უფლება“ სხვისა მამაკაცისა მისვლად“, ხოლო „თუ მოვიდეს—მემრუშე არსო“ და „არღარა შეიწყნარებისა“ ქმრის მიერ, არამედ განიშორებს ვითარცა იტყვის იერემია წინასწარმეტყველი. „რომელმან კაცმან იპყროს მრუშებელი იგი ცოლი თვისთანა უგუნურ არს და უსჯულო და ცოდუად შეეგარცხების“-ო, —ამბობს იგი. „ხოლო მამაკაცი ცოლისანი თუ ისიძვიდეს, არა ხელეწიფების ცოლსა მისსა განშორებად მის გან“².

თუ კაცმან დედაწულმან დედაწულისა ცოლსა უაშიყოს,—ამბობს ბექას სამართლის წიგნი,—და კიდეც მოუყვივოს,—გინა ნებითა, გინა უნებურად,—და გამეღაუნდეს, და გინა მეყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისომან ერთსახლმან დაუურვოს ცოლისა ქმარს სრული სისხლი და მთავარმან და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელ-საბლანი უბანთა ზედა განიჭებული მოავლოს. და თუ მას ცოლისა კუროსა ერჩიოს გაშიშვლება და გაუპატივება იყიდოს და სისხლი ორად შეეკოს, რასაც გვარისა იყოს; ამად რომე მინდობილი არის სულითა გულითა და ღმერთითა“. (მ. 23).

როგორც ვხედავთ, ბექას სამართალი მრუშობას, ე. ი. ქორწინებაში მყოფი მამაკაცის სხვა ქორწინებაში მყოფ ქალთან სქესობრივ ურთიერთობას მკაცრად ებრძვის და, პირველ ყოვლისა, „მოყიენე“ მამაკაცს სჯის.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი მრუშობას უფრო მკაცრად ებრძვის, ვიდრე ცოლის „უბრალოდ“ დაგდებას.

რა თქმა უნდა, კანონმდებელი არ ივიწყებს გაბატონებული კლასის ინტერესებს და აწესებს მრუში მამაკაცისთვის დაწესებული გაშიშვლებისა და გაუპატივების,—ყელზე საბელ მობმით ქუჩა-ქუჩა ტარების გამოსყიდვას ფულადი თუ სხვა სახით.

¹ W. Wilda, - Das Strafrecht der Germanen, Halle, 1842, s. 828.

² Н. А. Заозерский и А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника, М., 1902, стр. 42, ст. 40-42.

კანონმდებელი, უეჭველად ფეოდალური ოჯახის განმტკიცების თვალსაზრისით მრუში კაცის მიერ სხვისი ცოლის შეცდენას „გინა ნებითა, გინა უნებურად“ თანაბრად სჯის. ¹

ზემოხსენებულ მუხლში ჩვენს მთავარ ყურადღებას იპყრობს კანონმდებლის სიტყვები, რომ თუნდაც მრუში მამაკაცი შეცდენილი ქალის ქმრის „მეყვისი“ და „ერთსახლი“ იყოს, მაინც მას სრული სისხლი უნდა დაუთუროსო. აქედან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში განქორწინება ხდებოდა „მრუშ“ ქალსა და მის ქმარს შორის და ამიტომაც კანონმდებელს ნათესავიც არ შეუძლიან დაინდოს სისხლის დაურევებისაგან. ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალი მრუშ მამაკაცს, თუნდაც რომ იგი მის მიერ შეურაცყოფილი ქმრის ნათესავი იყოს, არ ათავისუფლებს მძიმე საუპატიო სასჯელის — „ნიფხვით ოდენ“ და „ყელსაბლით“ „უბანთა ზედა“ სიარულისა თუ მისი გამოსასყიდი საზღაურისაგან. ეს, რა თქმა უნდა, მრუშობის აღკვეთის ეფექტიან პრევენტიულ ღონისძიებად მიაჩნია კანონმდებელს.

ფეოდალურ-წოდებრივ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა კანონში გამოხატულება არ ეპოვნა წოდებრივ პატივთა აშკარად აღიარებას. ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, პირველ ყოვლისა, მაღალი წოდების ოჯახთა დაცვას მრუშობის მანკისაგან. ზემოხსენებული სამართლის 26-ე მუხლის მიხედვით თუ დიდებული ან აზნაური დიდებულის ან აზნაურის ცოლს „უაშიყებდა“ და ცხადად გამოჩნდებოდა „რათა თანა იყოს“, ე. ი. მრუშობაში მხილებული იქნებოდა, მაშინ შეურაცხყოფილი ქმრისთვის „მოაშიყეს“ 12000 თეთრი უნდა დაეურვებინა — ეგრეთ-წოდებული აზნაურის სისხლის ფასი; მაგრამ მრუშ მამაკაცს შეურაცხყოფილი ქმრისათვის მხოლოდ მაშინ უნდა გადაეხადა 12000 თეთრი, თუ ეს უკანასკნელი ცოლს „დააგდებდა“, ხოლო თუ მრუში ქალის ქმარი არ გაეყრებოდა ცოლს, მაშინ მრუშ კაცს მისთვის 6 000 თეთრი უნდა დაეურვებინა. აქედან ცხადია, რომ ზემოხსენებული მუხლის მიხედვით ცოლის მრუშობის შემთხვევაში ქმარს უფლება აქვს გაეყაროს ცოლს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის ასე მოიქცეს. ²

იმ შემთხვევაში, თუ მრუშობა სავსებით ცხადად არ იქნებოდა დადგენილი, მაშინ კანონმდებელი კრძალავდა მრუშობაში ბრალდებულისთვის სის-

¹ აღსანიშნავია, რომ ბეჭა მანდატურთუხუცესი არ აწესებს მრუში ქალის გაშამწვლებას. უნდა აღინიშნოს, რომ მრუში ქალის, გაშიშვლებულის სოფლიდან განდევნა და მისი მშობლების სახლში ამნაირად მათრახის ცემით მიყვანა, ცნობილი იყო ძველი გერმანელებისათვის უკვე ტაკიტის დროს (იხ. Tacit, Germania, cap. 19). უფრო გვიან — ფეოდალიზმის დროს, ევროპის რიგ ქვეყნებში მრუშ ქალს გაშიშვლებულს თანამონაწილე შიშველი მამაკაცი სასქესო ორგანოზე თოკმომბული ქუჩა-ქუჩა უნდა ჩამოეჭარებინა. მაგ., ასეთი სასჯელი დაუწესა ლუი IX-მ (XIII ს.) მრუშ ქალს და მის თანამონაწილე რაინდს. იგივე ადათი ცნობილი იყო დანიის ქალაქებში XIII-XI საუკუნეებში; აგრეთვე სავიაშიც.

იხ. M. chassan, Essai sur la symbolique du droit, Paris, 1847, გვ. 214-216.

² სამართლის ისტორია იცნობს ისეთ კანონებსაც, რომელთა მიხედვით სავალდებულოდ ითვლებოდა მრუში ცოლის გაგდება.

ხლის ფასის გადახდევინებას, მხოლოდ ამ უკანასკნელს ფიციტ უნდა ემართ-
ლებინა თავი.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 50-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ცოლ-
მან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა ანუ დედაკაცისა ქმარსა შესჩივლოს, ვითა:
„ესე ჩემიქმარი შენსა (ცოლსა) თანა არისო“, და მის დიაცის ქმარმან გაიგონოს
და ამა ყბედისა და ჯველისა ქმრისა ამისსა მოწამენი ჰყვენ, თუ გაეყაროს, ბოზო-
ბისა ოდნად გარდახდეს მისი საქმე და სისხლი; არც მის ყბედის დიაცისა მეყ-
ვისნი სისხლისა თხოვასა ემართლებიან. და თუ ოდესმე ეთქვას და მას უკა-
ნის კიდევ ინდომოდეს და არა შეეხსენოს და დაემონოს-ვე, ხანი გამოსრული
ჰყოს, უკანისდა მის ყბედობისა მოწყენილმან მოიგონისდა, უ შემოლა არის:
ვინ არა იცოდა, რომე არშივი არ ეგებოდა, მის ყბედისა მიზეზი ნუა“. ¹

როგორც 50-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, კანონმდებელი მრუშობის
გარდა განქორწინების კანონიერ საფუძვლად აღიარებს ცოლის მიერ ქმრის
„გაუპირებას“. „გაუპირებისათვის კანონმდებელი ქალს „ბოზობისა ოდნად“
სჯის. რაში მდგომარეობს „გაუპირების“ როგორც თავისებური საოჯახო-პი-
როვნული ხასიათის დანაშაულის ობიექტური მხარე? იგი მდგომარეობს იმა-
ში, რომ „ყბედი დიაცი“ საჯაროდ შეურაცხყოფას აყენებს ქმარს მრუშობა-
ში ბრალის დადებით.

ობიექტი ზემოხსენებული დანაშაულისა არის ქმრის საოჯახო-ზნეობრივი
პატივი და ღირსება და სწორედ ამითაა განსაზღვრული ის სიმკაცრე, რა-
საც კანონმდებელი იჩენს „ყბედი დიაცის“ მიმართ. ქმარს სრული უფლება
აქვს ასეთ „დიაცს“ გაეყაროს და არავითარი საზღაური არ მისცეს, ე. ი.
სისხლის ფასი არ გადაუხადოს „ყბედის დიაცის“ მეყვისთ.

უფველია, რომ ზემოხსენებული მუხლი ქალის პიროვნებას, ან უფრო
კონკრეტულად, ცოლის პიროვნებას თრგუნავს და მას სასტიკად ეპყრობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კანონმდებელი „ყბედ დიაცს“ სწორედ
ქმრის პიროვნების, მისი პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით სჯის. ამი-
ტომაც კანონმდებელმა „ყბედი დიაცი „მრუშს“, ხოლო ყბედობა „მრუშობას“
გაუთანაბრა და გაუპირებაც განქორწინების მოტივად აქცია მამაკაცისათვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ „ყბედის დიაცის“ მხრით
გაუპირება მეტნაკლებად ლახავდა შეურაცხყოფილ ქმრის ნათესაეების ღირ-
სება-პატივსაც და ამდენად თავისი ობიექტური შედეგებით უფრო მეტი ხდე-
ბოდა, ვიდრე ცალკეული პიროვნების უპატიობა და შეურაცხყოფა.

ესაა ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ქართული ფეოდალური საოჯახო
სამართლისა... ქმარი არა თუ არ შეიძლება იყოს დამნაშავე მრუშობაში ცო-
ლის წინაშე, არამედ ცოლის მხრით თუნდაც სამართლიანი ბრალდება ქმრის
მიმართ მრუშობაში სასტიკად ისჯება.

¹ ბექას სამართლის უძველესი 1679 წ. ხელნაწერის მიხედვით ასეა: „თუ ცოლმან ქმარ-
სა ანუ დედაკაცმან დედაკაცისა ქმარსა შეჰვივლოს, ვითა „ჩემი ქმარი შენსა ცოლთან არისო“,
თუ იმ დიაცის ქმარმან აჯინოს, ანუ ცოლი დააგდოს იმ ყბედისა დიაცისა სიტყვით, ბოზო-
ბის ოდნად გარდახდეს სისხლი“.

ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა შეჰქმნა თავისებური არაბრალებლობის პრეზუმპცია თვით მრუშობაში დამნაშავე ქმრისათვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კანონმდებელი ცდილობს მრუშობის აღკვეთას მისთვის დაწესებულ სასჯელის ღონისძიებათა სიმძიმით. სასულიერო პირთათვის, რომელნიც ფეოდალურ საზოგადოებაში ზნეობრივი მოძღვრის როლში გამოდიოდნენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა სწორედ მათი ოჯახის დაცვა მრუშობის მანკისაგან. „თუ კაცმან ხუცისა ცოლსა უაშიყოს,—ამბობს ბექას სამართალი,—და დასტურად თანა ყოფა გამოჩნდეს და ხუცესმან შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი რისთვისმე არა დააგდოს,—სრული სისხლი წირვის დაგდებისათვის დაუურვოს. და (თუ ცოლი დააგდოს) ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურვოს. და თუ კიდე წაეგვაროს, მაშინაც სრული სისხლი დაუურვოს, ამაღ რომე ხუცი ძნელსა ყოფასა დაებმის“—მღვდელობაზე ხელი უნდა აიღოსო (მ. 41).

ხუცესი ითვლებოდა კლერიკალობის წარმომადგენლად საკუთარ სამწყობოში და აქ ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტის მორალურ-პოლიტიკურ დამცველად; ამიტომაც ხუცის ოჯახში მრუშობა, განსაკუთრებით მისი ცოლის მხრით, რა თქმა უნდა, ამცირებდა ხუცესის ავტორიტეტს თავის სამწყობოში და ამით ხელშეყოფდა ეკლესიისა და ამით სახელმწიფოს ინტერესებსაც.

ხუცესი ფეოდალურ საქართველოში საეკლესიო თანამდებობის პირი იყო და ხუცობა „საპატიო ხელად“ ითვლებოდა. ჩანს, რომ იმდროინდელ მესხეთში არამარტო დიდგვაროვნება, არამედ საეკლესიო ხასიათის „საპატიო ხელიც“ ოჯახს პატივს და, მაშასადამე, სისხლის ფასსაც მატებდა. წირვის დაგდება ხუცესს დიდ ზარალს აყენებდა, როგორც ეკონომიურად, ისე მორალურად; ამიტომაც მას, ვინც მღვდელს ასეთ შეურაცხყოფას მიაყენებდა, პასუხი უნდა ეგო დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ნეოკესარიის საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ ხუცესმა მრუში ცოლი აუცილებლად გააგდოსო.¹ თუ მღვდელი ამას არ გააკეთებდა, მას საეკლესიო სამსახური უნდა დაეტოვებინა და ერისკაცობა დაეწყო. როგორც ჩანს, საქართველოშიც ანალოგიური მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ხუცესის ცოლის მიერ მრუშობის შემთხვევაში კანონმდებელი ხუცესს, თუ ამ უკანასკნელს სურდა ასეთად დარჩენა,—ავალდებულვებდა გაჰყოფა მისი „პატივის“ შეურაცხყოფელ ცოლს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი გულმოდგინებით იცავდა საშუალო საუკუნეების ფეოდალური კანონმდებლობა და ვაბატონებულ წოდებათა საზოგადოებრივი აზრი საეკლესიო პირთა ავტორიტეტს, ზედმეტი არ იქნებოდა გავვხსენებინა ერთი საინტერესო ფაქტი. შუასაუკუნეების პერიოდში მიღებული იყო ასეთი პრეზუმპცია: თუ ნახავდნენ, რომ სასულიერო წოდების პირი ქალს

¹ А. Павлов, Нюноканон при большом Требнике, Одесса, 1872, стр. 165. „Аще чья жена прелюбодействует, сей в священство притти не может: по рукоположении же прелюбодействовавшую или да отпустит, или да оставит священство, по 13 правилу пже в Неокесарии собора“.

ეხვეოდა, უნდა ეფიქრათ, რომ ეს უკანასკნელი ხდებოდა ქალის ლოცვა-კურთხევის და არა სხვა მიზნით. ცხადია, კანონმდებელი ასეთ ნაკლებად დასაჯერებელ გულვებას აკანონებდა სასულიერო წოდების გავლენის დაცვის მიზნით.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალი იცნობს უბრალოდ „ცოლის დაგდებას“; ე. ი. განქორწინების თავისებურ არალეგარულ სახეობას, როდესაც სავალდებულო არაა ცოლქმართ გაყრისთვის რაიმე განსაზღვრული კანონიერი საფუძველი. „თუ კაცმან“ ცოლი „უბრალოდ“ დააგდოს, — ამბობს კანონმდებელი, — „სისხლისა ნახევარი მისცეს“ და მზითევიც სრულად გაატანოს.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალი ამბობს: „პირველი დიაცი მიღმა ქმრისა დაგდებას არას ემართლება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს. თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ქრტილობითა, უსირცხნოებითა, რომლისაც გვარისაც იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლი დაუურვოს მან დიაცმან“ (მ. 32).

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ცოლის მიერ ქმრის უბრალოდ დაგდებას უფრო მკაცრად ეპყრობა, ვიდრე ქმრის მიერ ცოლის მიმართ ასეთსავე მოქმედებას.

ბეჭასა და აღბუღას სამართლის ბოლოში დართული ბაკრატ კუროპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტების მიხედვით, რომელიც, ალბათ, იმიტომ ჰქონდა დართული ზემოხსენებულ სამართლის წიგნს, რომ სამოქმედოდ იყო განკუთვნილი, ჩანს, რომ განქორწინების კანონიერ საფუძვლად შეიძლება და ყოფილიყო აგრეთვე ცოლის სნეულება¹ (მ. 140).

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალში ნათქვამია: „თუ კაცმან კაცსა ცოლი წაგვაროს, ასრე რომ დიაცი მისით ნებით და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა იყოს მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა“... როგორც ვხედავთ, აქ „დიაცი“ „მისი ნებით და წადილით“ ტოვებს ქმარს და სხვას მიჰყვება. ესეც განქორწინების თავისებური (არალეგარული) სახეა. კანონმდებელი დიაცის ასეთ მოქმედებას მტკიცედ ეწინააღმდეგება და მისთვის ორმაგი სისხლის დაურვებას აწესებს.

თუ კაცს თავისზე უფრო მაღალი წოდების ქალი ეყოლებოდა ცოლად და მასთან „უბრალოდ“ განქორწინებას მოინდომებდა, — „რასაცა გვარისა იგი კაცი იყოს ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს“ — ადგენდა კანონმდებელი და თანაც თავისი აზრის არგუმენტად იშველიებდა მაცხოვარს: „ამად რომე მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრეთ რქვა, ქმრისამცა შენისა მიმართ არს მოქცევაჲ შენი“ — (მ. 30)

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედვით, როგორც ვნახეთ, შედარებით სხვა ქვეყნებთან გაყრაც რამდენადმე ადვილია. ამის გამო ნ. ურ-

¹ ბიზანტიაში განქორწინების მოტივად შეიძლება ყოფილიყო მეუღლის კეთრი დასნეულება. см. И. Соколов, О поводах к разводу в Византии с половины IX до половины XVII в: СПб., 1911, стр. 192-196.

ბნელი წერდა: „... თუმცა საეკლესიო მოძღვრება კი სულ სხვას აწესებდა, საათაბაგოს სამართალმა თითქოს არც კი იცის, რომ ქორწინება საიდუმლო და დაურღვეველი კავშირია და იგი ჩვეულებრივ პირობად მიაჩნია.“¹ როგორც ჩანს, ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა ნაწილობრივ შეძლო ადამიანური თვალებით შეეხედნა ქორწინებისა და განქორწინებისათვის. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ განქორწინების საკითხებში და, საერთოდაც, ქართული სამართალი მეტ ჰუმანურობას იჩენს, ვიდრე ბიზანტიური. ქართულ სამართალში, განსხვავებით ბიზანტიურისაგან, ვერ ვხვდებით მრუშობის გამო ცოლისთვის ცხვირის მოჭრას და სხვა ადამიანის პიროვნებისა და ღირსების არარაობამდე დამყვან სასჯელთ.

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, რომ, როდესაც სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა (1611—1657 წწ) გაიგო, რომ ცოლი, აფხაზეთის მთავრის ასული, მას ლალატობდა, მიუხედავად იმისა, რომ ლევანიც თავის მხრით მას ლალატობდა, საშინლად დასაჯა. არქ. ლამბერტის სიტყვით, მან „მაშინვე გააგდო ცოლი და ბერძენების სჯულის სამებრ შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა; მერე შეკრიბა ჯარი და ქალი წაიყვანა მის მამასთან, ხოლო მისი სამშობლო—აფხაზეთი—მოარბია“².

ზემოხსენებული ცნობიდან ცხადია, რომ ლევან დადიანის საქციელი არ იყო ქართული სამართლით გამართლებული და ამიტომაც იგი მოიქცა „ბერძენების სჯულისამებრ“. ისიც შესაძლოა, რომ დადიანის მხრით ამ შემთხვევაში სამართლებრივი ხასიათის ქმედობას კი არ ჰქონდეს ადგილი, არამედ უბრალო თვითნებობასა და შეურაცხყოფისათვის შურისძიებას.

ბექასა და ალბულას სამართლის წიგნიდან ვიდრე ვახტანგ VI სამართლის წიგნის შექმნამდე ფეოდალურ საქართველოში განქორწინების წესების, მით უფრო ლეგალური წესების შესახებ ჯერჯერობით მსჯელობა ძნელია. ცალკეული საყურადღებო ცნობების გამოყენებაც შეზღუდულად შეიძლება მხოლოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ და მაჰმადიანურ სამყაროსთან მუდმივად მებრძოლ საქართველოში, ფეოდალურ თვითნებობის პირობებში, ვახტანგ VI სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთა, ვითარცა ენებათ ეგრეთ ჰსჯიდნენ“—თვით განქორწინების საქმეებსაც.

სანამ ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით განქორწინების წესის განხილვას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ განქორწინებისადმი დამოკიდებულებას მისი თანამედროვე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში.

იმ ქვეყნებში, სადაც კათოლიკური რელიგია იყო სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარებული, განქორწინება *de jure* თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. პროტესტანტული ქვეყნებშიც, მიუხედავად მათი ფრაზეოლოგიური „თავისუფლებისა“, დიდად არ განსხვავდებოდნენ კათოლიკური ქვეყნებისაგან თა-

¹ ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი, ტფ., 1890, გვ. 150.

² არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938 წ., თბილისი, თარგმ. აღ. კუონისი, ლ. ასათიანის რედაქციით და წინასიტყვაობით.

ვიანთ მცდელობაში გაეხადათ ქორწინება „დაურღვეველი“; ე. წ. „თავისუფალ“ ინგლისში განქორწინება თითქმის შეუძლებელი იყო და ქორწინება გადაქცეული იყო თავისუფლების თავისებურ კუბოდ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც.

ვახტანგ VI სამართლის წიგნში განქორწინების მოტივებიც შედარებით ჩამოყალიბებულ სახესღებლობს, ვიდრე წინანდელ საქანონმდებლო ძეგლებში. გარდა ამისა, ქრისტიანული რელიგიის ასკეტური სიჯიუტე განქორწინების საკითხებში რამდენადმე დაძლეული მოჩანს.

„თუ ცოლმან ქმარს ან სცეს და ან დასჭრას, — ამბობს კანონმდებელი, — დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან; ცოლი და ქმარი რა გინდ სძულობდნენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების. კათალიკოზმან წურთნით უნდა შეარიგოს“ (მ. 66).

ამ მუხლში, რა თქმა უნდა, მოჩანს, რომ კანონმდებელი თავისებურად უყურებს განქორწინების მოტივთ და თითქოს „ცემა და დაჭრა“ ცოლისა ქმრის მიერ მას ამისათვის საკმაო საფუძვლად არ მიაჩნია. ასევე თითქოს 63-ე მუხლის მიხედვით ქმრის მიერ ცოლის დაჭრა და დაშავება არ არის მიჩნეული განქორწინებისათვის საკმაო საფუძვლად. აქვე აღნიშნულია, რომ ქმრის მიერ ცოლის დაჭრა-დაშავების შემთხვევაში ამ უკანასკნელს თუ „უნდოდეს სისხლი აიღოსო“, ე. ი. ქმარს სისხლის ფასი გადაახდევინოსო. როგორც ვხედავთ, ცოლი ერთგვარ უპირატესობით სარგებლობს ცოლქმრობაში „დაჭრა-დაშავების“ თუ ცემის შემთხვევაში.

1771 წლით დათარიღებულ ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ცოლქმრის პირად ურთიერთობაში საჯარო ხელისუფლებაც ერეოდა. მაგ., პაპიძე ივანე აძლევს პირობის წიგნს ქაიხოსრო აბაშიძეს, რომ ცოლს არ მოექცეს ავად, არ გალახოს იგი და შეძლებისამებრ ცოლქმრობის პირობით ჩააცვას და დაახუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობს ი. პაპიძე, „მეფის სოლომონის მოლაღატე ვიყო, მისის ალექსანდრეს თოფის მსროლელი ვიყო“¹.

კატოშიხინისაგან ვგებულობთ, რომ მოსკოვის სახელმწიფოში ქმარს ცოლის ცემისთვის მონასტერში აგზავნიდნენ „მოსათენიერებლად“. ქმარს მონასტერში უნდა დაეყო განსაზღვრული დრო. თუ მონასტრიდან სახლში დაბრუნების შემდგომაც ქმარი არ გამოსწორდებოდა, მაშინ ცოლს გაყრის უფლება ეძლეოდა².

ვახტანგის სამ. ზემოხსენებულ მუხლებში, რა თქმა უნდა, ჩვენ გაკვირვებას ვერ გამოიწვევს ის გარემოება, რომ ცოლქმრობაში ურთიერთ ცემა დაშავება თუ დაჭრა აქ განქორწინებისათვის არასაკმაო საფუძვლად არის მიჩნეული; ეს ხდება განქორწინების გაძნელების მიზნით.

¹ იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბერძენიშვილის რედ.—, საბ. №-439.

² Котошихин, О России в царствовании Алексея Михайловича, СПб., 1840, стр. 125.

აქ უფრო მეტი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი ქალს, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, ფეოდალური კანონები განქორწინების უფლებას მამაკაცის ასეთ უფლებასთან შედარებით ყოველთვის ზღუდავენ, — უფრო მეტ მფარველობას უწევს ვიდრე მამაკაცს. იცის რა კანონმდებელმა, რომ ქალი შედარებით მამაკაცთან შეზღუდულია განქორწინების უფლებაში, იგი სავალდებულოდ მიიჩნევს მის პრივილეგიებულ დაცვას: „კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს, უპატიურად და ურიგოს უშვრებოდეს მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას და კათალიკოზმაც ასრე უყოს“ (მ. 64), — ამბობს ვახტანგის სამართლის წიგნი.

ვახტანგის სამართლით, უპირველესი საფუძველი განქორწინებისათვის არის მრუშობა, ამავე დროს მხოლოდ ქალის მხრით.

„თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა გაუშვებს, რომე არცარა ამ სოფელს ეკითხვის, არცარა იმ სოფელსა თუ უნდა არ გაუშვებს, ორივე კაცის ხელთ არის“ — ამბობს ვახტანგის სამართლის წიგნის 67-ე მუხლი. მაშასადამე, კანონმდებელი თვლის, რომ ცოლის მხრით მრუშობა საკმაოდ საფუძველია მასთან განქორწინებისათვის, მაგრამ ქმარი ვალდებული არაა, რომ მრუშ ცოლს აუცილებლად გაეყაროს; ეს უკანასკნელი მისი უფლებაა და არა მოვალეობა.

ცოლის მხრით მრუშობა ქმრისთვის შეურაცხყოფაა; ცოლს ამისთვის კანონი იმით სჯის, რომ იგი შეიძლება ქმარმა „დაავდოს“, ხოლო სხვისი ცოლის შემცდენელმა ასეთ შემთხვევაში მის კანონიერ ქმარს სრული სისხლი უნდა დაუთრვოს.

ვახტანგის სამართლის წიგნის 225-ე მუხლის თანახმად, განქორწინების საფუძველად მიჩნეულია ცოლის სიგიჟე და ბნედიანობა. „თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს, — ამბობს კანონმდებელი, — და ქმარს შეატყუეს და მას უკან გამოჩნდა, და აღარც ქმარმა ინდომა, ის შეიტყონ სწორედ გასინჯვით; და თუ ქორწილს უკან დამართებია, თუ უწინვე სჭირვებია და შეიტყო, ქორწილს უწინვე გაუშვა, ვერავინ მიედავების.

და რადგან შეუტყუებიათ და ქორწილი უქნია, ღონე მეტი აღარ არის: სამს წელიწადს უნდა მოუაროს, თუ ეშველება, ვერ გაუშვებს; თუ არ ეშველება და გაუშვას უსისხლოდ; ასე რომე ზითევი ქალისა ქალს მისცენ, და ნიშანი კაცისა არის...“

ამავე მუხლში გათვალისწინებულია მამაკაცის ზემოხსენებული დაავადებების შემთხვევა, როგორც განქორწინების საფუძველი: „თუ კაცი დასნეულდეს იმ სენით, — განაგრძობს კანონმდებელი, — ხუთს წელიწადს ქალმა მოუცადოს, და მოუაროს. აგრეთვე ძნელი არის მათი გაყრა; მაგრამ რადგან აღარ იქნება, კათალიკოზმა და მოსამართლემ გააშვებინონ, ზითევი და ნიშანი უკლებლივ ქალს მისცენ“.

ქორწინება-განქორწინების მარეგულირებელ კანონებს მცირე მნიშვნელობა როდი აქვთ საზოგადოებისათვის; ეს ესმის ქართველ კანონმდებელს და, როგორც 225-ე მუხლიდან ჩანს, საკმაოდ კარგადაც ესმის. 225-ე მუხლში

განქორწინებისათვის ხელშესახებ საფუძვლად, პირველ ყოვლისა, მიჩნეულია, სიგიჟე.

როგორც ჩანს, კანონმდებელი იმ აზრისაა, რომ თუნდაც დანიშნული საცოლოს თუ საქმროს დატოვება შეიძლება, თუ გამოირკვევა, რომ იგი შეურაცხადია—გიჟია. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საკითხს, —ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ ექნებოდა ადგილი ამ მდგომარეობას. თუ მოხდებოდა ისე, რომ ვაჟს გიჟ საცოლეს შეატყუებდნენ და ქორწინებაც უკვე ფაქტი იქნებოდა, „მეტი ღონე აღარ არისო“, — ამბობს კანონმდებელი, —ქმარმა ცოლი სამი წლის განმავლობაში უნდა თავისთან იყოლოს, მოუაროს და შეექიმოსო. თუ გავითვალისწინებთ ქართული ქორწინების წესსა და ჩვეულებებს, რომელნიც თეიმურაზ II-ს და ვახტანგ ბატონიშვილს აქვთ აღწერილი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გიჟი საცოლოს თუ საქმროს შეტყუების შემთხვევა საქართველოში ან არ უნდა ყოფილიყო, ან გამონაკლისის სახით შეიძლებოდა ყოფილიყო.

ვახტანგის სამართლის წიგნის 225-ე მუხლით განქორწინებისათვის საკმაო საფუძვლად, სიგიჟის გარდა, ერთ-ერთი მეუღლე თავანის ბნედიანობაც ითვლებოდა.

ბნედა ანუ ეპილეპსია მძიმე ხასიათის დაავადებაა და ავადმყოფობის ავთვისებიანი მიმდინარეობის შემთხვევაში უდავოდ მიიჩნევა პიროვნების შეურაცხადობის საფუძვლად.¹ სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეპილეპსიით დაავადებულთა დიდ ნაწილს ახასიათებთ მძიმე დანაშაულობათა ჩადენისკენ ავადმყოფური მიდრეკილება. ეპილეპსიით დაავადებულთა პიროვნებაში მთლიანად ღრმასა და მყარ ცვლილებებთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობა. როდესაც ეპილეპსიით დაავადებული პირი ცნობიერების აშლილობის მდგომარეობაში იმყოფება, მას შეუძლია თავისთვის და გარშემო მყოფთათვის უაღრესად საშიში აგრესიული მოქმედებანი ჩაიდინოს. საშინელი ჰალუცინაციებით შეპყრობილი ეპილეპტიკს შეუძლია თავს დაესხას გარშემო მყოფთ. უმიზეზო ფხუვიანობა და პოთოლოგიური აფექტებისაკენ მიდრეკილება ძალიან ხშირად ყოფილა ეპილეპტიკის გარშემო მყოფ პირებთან კონფლიქტის მიზეზი. მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული თავისი სისასტიკით უაღრესად კომმარული ხასიათის მკვლელობანი, როცა, მაგალითად, ეპილეპტიკი ნაჯახით თავს ქრის საკუთარი ოჯახის მთელ შემადგენლობას. არაერთხელ ყოფილა აგრეთვე შემთხვევა, როცა ეპილეპსიით ავადმყოფი მკვლელობათა ჩადენის შემდეგ თავს ისახიჩრებს ან იკლავს. ეპილეპტიკისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ე. წ. ამნეზია, როცა ეპილეპტიკს არ ახსოვს მის მიერ ჩადენილი მკვლელობანი. ხშირად ეპილეპტიკი უპოვნიათ მისი ქმედობის მსხვერპლთა გვერდით მძინარე მდგომარეობაში².

¹ იხ. ამაზე: ა. ზურაბიშვილი; ფსიქიატრია, საქმედგამი, თბ., 1948. გვ. 385—387; აგრეთვე სასამართლო ფსიქიატრია, საქ. სსრ სამედ. გამოც., თბილისი, 1951, გვ. 181.

² М. О. Гуревич и М. Я. Серейский, Учебник Психиатрии, Медгиз, М., 1946, стр. 307—308

ჩანს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი თავისი დროისათვის საესეებით სწორად იქცევა, როცა ბნელად აღიარებს როგორც განქორწინებისათვის საკმაო საფუძვლად, ისე ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად.

ვახტანგის სამართლის წიგნის 168-ე მუხლის მიხედვით „უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლსა ვერ დააგდებს და თუ დააგდებს სრული სისხლი უნდა მისცეს“... ქართული სამართლის ზემოხსენებული დებულება, როგორც ჩანს, აღიარებს, რომ ქორწინების უმთავრესი მიზანი შთამომავლობის გაჩენა არ არისო. კანონმდებელმა, ეტყობა იცის, რომ უშვილობის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ქალები შეიძლება იყვნენ¹ და ამიტომაც მხოლოდ ქალების უშვილობაზე ლაპარაკობს. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის ზემოხსენებული მუხლი ქალის პიროვნებისადმი პატივისცემისა და დაფასების მომენტებს შეიცავს უთუოდ: ქმარი ცოლს უშვილობისათვის ძალით ვერ გააგდებს. უშვილო ცოლის გაგდება ქმრის მიმართ მძიმე სანქციას იწვევს: მან ქალს სისხლის მთელი ფასი უნდა გადაუხადოს, თითქოს და იგი მოეკლას.

განქორწინებისათვის მომდევნო საფუძვლად ვახტანგის სამართლის წიგნი თვლის მამაკაცის მხრით სქესობრივი შეუღლებისათვის უვარგისობას. „იქნების, კაცი ასრე ქანი იყოს“—ამბობს კანონმდებელი,—ცოლთან წოლა კი შეეძლოს, და შეილის შექნა კი არ შეეძლოს, ამისთვისაც არ გაიყრებიან და თუ სრულ ასრე მცვედანი არის რომ, ქალთან წოლა არ შეუძლიან, უნდა კაცმან ცოლს დასტური მისცეს სხვის ქმრის შერთვისა“ (მ. 168). როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართალი ასხვავებს მამაკაცის ქალთან შეუღლების უნარს განაყოფიერების უნარისაგან. მამაკაცის მიერ მხოლოდ სქესობრივი შეუღლების უუნარობა აძლევს ქალს მასთან განქორწინების საკმაო საფუძველს. შეინიშნება, რომ კანონმდებელი არაფერს ამბობს ცოლის მხრით სქესობრივი შეუღლების უუნარობაზე, როგორც მამაკაცის მიერ მასთან განქორწინების საფუძველზე.

ვახტანგის სამართლის წიგნის 87-ე მუხლში ნათქვამია: თუ „დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმან მისცეს; და თუ მაშინ არ გაუშვას, ცუდის დედაკაცის ნათქვამს სიტყვას არას გამოეკიდოს და თავის ქმარმან შეუნდოს, და მერმე მას უკან კარგა ხანი გამოვიდეს და მაშინდელი წაძახილი ქმარმან ცოლს დააყვედროს და აღარ ინდომოს, უდროო დროს გაშვება არ იქნება, კაცი ტყუის და ველარ გაუშვებს“ (მ. 87).

ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს განქორწინების თავისებური მოტივი: ჩვენ მას ვერ მოვაქცევთ განქორწინების უპირველესი საფუძვლის—ცოლის მხრით მრუშობის ცნებაში. აქ არა ჩანს ნამდვილად იმრუშა თუ არ ქალმა. როდესაც ქმარი დგება ისეთი ფაქტის წინაშე, როდესაც სხვისი მეუღლე მის

¹ იხ. საოჯახო სამკურნალო ცნობარი, საქმედგამი, თბილისი, 1950, გვ. 474. აგრეთვე; ბ. გ. შუშანიძე, გინეკოლოგია; თბ., 1946, გვ. 233—239.

ცოლს საჯაროდ, ქმრის გასაგონად დააყვედრის „რომე ჩემი ქმარი შენთან არისო“, მას უფლება აქვს გაშორდეს სახალხოდ სახელგატეხილ მეუღლეს; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ვალდებული არ არის ასე მოიქცეს.

ვახტანგის სამართალი ცოლის მხრით მრუშობას თელის რა განქორწინების კანონიერ საფუძვლად, ამავე დროს მოითხოვს, რომ მისმა შემცდენელმა შეურაცხყოფილ ქმარს სრული სისხლი დაუურვოს, თუ ეს უკანასკნელი მეუღლეს გაშორდებოდა.

ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, შესაძლებელი იყო, რომ ცოლ-ქმარი უბრალოდ დაშორდებოდნენ ერთმანეთს. „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს,—იმბოზს კანონმდებელი,—მთელი სისხლი მისცეს და მზითვეიც უკლებლივ მისცეს“ (მ. 72). ამასთანავე მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული ცოლის წოდებრივი მდგომარეობა; თუ ეს უკანასკნელი ქმარზე საპატიო, ე. ი. „უდიდებულესის კაცის ქალი“ იქნებოდა მაინც ქმარს მისი „დაგდების“ შემთხვევაში საკუთარი სისხლის ფასის გადახდა უხდებოდა“. ქალსაც შეეძლო „უბრალოდ“ დაეგდო ქმარი. თუმცა კანონმდებელი ასეთ აქტს სასტიკად ეწინააღმდეგება. ამის თაობაზე კანონმდებელი ასე მსჯელობს: „დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს, და თუ ღმერთი შერისხდეს მისის უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისაა იგი კაცი არის მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს. თუ ქალისთვის ან სამშობლოს უქნევიანობა, სისხლი სამშობლომ მისცეს, თუ უბრალო იყოს სამშობლო და აღარც ქალი შეინახონ, სამშობლოს სისხლი არ ეთხოვბის“ (მ. 74).

კანონმდებელი ქალს ქმრის უბრალოდ დაგდებას ამორალურად უთვლის, მაგრამ ამას სავსებით არ უკრძალავს მას. მატერიალურად ქალი და მამაკაცი მეუღლის უბრალოდ დაგდების შემთხვევაში თანაბარ მდგომარეობაშია ჩაყენებული, კანონმდებლის მიერ—საკირთა მხოლოდ „უბრალოდ“ დატოვებული მეუღლისადმი „სისხლის დაურვება“.

ცოლის „წაგვრაც“ ფაქტიური განქორწინების თავისებური სახეა ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით. „თუ კაცმან ცოლი წაგვაროს ასე რომე დედაკაცი თვისის ნებით გაყვეს,—ამბოზს კანონმდებელი,—იმ დედაკაცის ქმარი რასაც გვარისაა მისი სისხლი ორი წილი გარდაიხადოს“... (მ. 84). ვახტანგის სამართლის წიგნში გათვალისწინებულია აგრეთვე „დედაკაცის მოტაცება“, მაგრამ ისე მკაცრად არის ეს ქმედობა შეფასებული, რომ საეჭვოა ვინმეს სურვილი ჰქონოდა ასეთი რამ ჩაედინა (მ. 85).

ამრიგად, ჩვენს წინაშეა განქორწინებისთვის საკმაო საფუძვლების სისტემატური და ჩამოყალიბებული სახეობანი. ჩანს, რომ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული დონე, იურიდიული აზროვნება და იურიდიული ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა; კერძოდ, განქორწინების საკითხის ვახტანგის სამართლისეული გადაჭრიდან ჩანს, რომ ეს უკანასკნელი ვაცილებით ჰუმანური და პროგრესულია, ვიდრე, მაგ., მისი თანამედროვე ევროპული ქვეყნების კანონმდებლობანი.

ქართული საოჯახო სამართლის მკვლევარის ყურადღებას არ შეიძლება არ იპყრობდეს განქორწინების ერთი საინტერესო ოქმი, რომელიც დათარი-

ღებულა 1740 წლით. ჩვენ მას თითქმის მთლიანად მოვიყვანთ: განქორწინების ოქმში ნათქვამია: „მოურავის შვილი თარხანი ლუარსაბ გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს მძახლებიყო. ლუარსაბს თავისი შვილი იორამისთვის ამილღაბარის ქალი ეთხოვნა და დაექორწინებინა. თუცა ხანი დაეყოთ ქორწილს უკან, განა შფოთითა და სიძულვილითა, რა ერთმანეთისობა აღარ მოჰხდენოდათ, მოვიდნენ და ჩვენ ყოვლის საქართველოს კათალიკოზს-პატრიარქს ბატონიშვილს ბატონს დომენტის მოგვახსენეს. აწ ჩვენ ყოვლის საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით და დავსხით: მთავარ-ეპისკოპოზი ბატონი კირილე, ტფილელი მიტროპოლიტი ბატონი ეფთვიმე და ყოველნი ქართლისა ეპისკოპოზ-წინამძღვარნი, და სამღვდელონი დასნი, აგრეთვე საქართველოს დარბაისერნი (sic): სარდალ-მდივანბეგი ბატონი ქაიხოსრო, მისკარბაში ბატონი გივი ამილახორი, ბატონი ოთარი, და ყველანი საქართველოს დარბაისელნი. გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი, დიდის გამოწულილვით გამოვიკულიეთ და შევიტყეთ, რომ რა ჯვარი დაგეწერათ და შეერთებულყვენენ, მაშინ სიძულვილი და უყვარულობა სთვისებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ, ცხრა წელიწადი გავიდა ამათს ქორწილს უკან, მრავალს ცდილიყვენენ ამათის დედ(მა)მანი ამათი შეერთებისათვის, მაგრამ არას სიტკობებით და არას სიმწარით ამათ ერთობა აღარ ექნათ. ახლა რადგან თვითცა ერთმანეთისაგან მოშორების ნება ჰქონდათ და ჩვენც შენდობას გუთხოვდნენ და ვხედვედით, რომელ სიძულილსა შინა მტრობა და კაცის კვლა მოჰხდებოდა, და ესე ბოროტი უფროსად გავრცელდებოდა, ამისათვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებულთ ამათ პატიოსანთა სამღვდელთა დასთათა და თანა მოწმებითა საქართველოს მთავართა შენდობა მივეცით, რომელ თუცა ვაყსა ენების ვისიცა ქალი, ცოლად შეერთოს, და აგრეთვე ქალმა, ვინცა უნდეს ქმრად შეერთოს, ერთმანეთთან არა რა ხელი აქუსთ და არცა რა სადაოდ რამე სალაპარაკო გავვიშვია“.¹

ზემომოყვანილი განქორწინების ოქმი მრავალმხრით არის საყურადღებო, მაგრამ ჩვენ მას მხოლოდ განქორწინების საფუძვლის რაობის თვალსაზრისით განვიხილავთ. უეჭველია, რომ განქორწინების ოქმის მიხედვით საქართველოში, გარდა ვახტანგის სამართლით დადგენილ ცოლ-ქმართა გაყრის საფუძვლებისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კათალიკოზ-პატრიარქის კრების და დარბაისელთა მეშვეობით შესაძლებელი ყოფილა კანონში გაუთვალისწინებელ მოტივებითაც მიუღწეველ დაშორებას.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ცოლ-ქმრის გაყრის საფუძვლად აღიარებულია მათი ურთიერთ „სიძულვილი და უყვარულობა“, აგრეთვე „საცოლქმროთ შეყრის“ უქონლობა; იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ცოლქმართ „თვითცა ერთმანეთისაგან მოშორების ნებაც“ ჰქონიათ.

1. იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედ., 1899 წ., ტფილისი, გვ. 95—96; აგრ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, წიგნი I, გამოცემა მეორე, ტფ., 1920, გვ. 90—91.

დავით ბატონიშვილს¹ თავის „Обозрение Грузии по части прав и законоположения“-ში აღნიშნული აქვს განქორწინების ზოგიერთი ისეთი საფუძველი, რომელთაც ვახტანგის სამართლის წიგნი არ იცნობს. დავითის მიხედვით, საქართველოში განქორწინების საფუძველად, მრუშობის გარდა, ყოფილა:

ა) ერთ-ერთი მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგვა,

ბ) პოლიტიკური სიკვდილი,

გ) საქორწინო თანაცხოვრებისათვის უვარგისობა,

დ) ერთ-ერთი მეუღლეთაგანის მცდელობა მეორის სიცოცხლის წინააღმდეგ.

დ. ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ, ზემოაღნიშნულის გარდა, საერთო და სასულიერო ხელისუფლებას შეეძლო ცოლქმარი სხვა მოტივებითაც დაეშორებინა ურთიერთისათვის.

დ. ბატონიშვილის მიხედვით ასეთებია:

ა) მეუღლეთა ზნეობის უკიდურესი სხვაობა,

ბ) ცოლის სიგიჟე, ზნედიანობა, განუკურნებელი სენით დაავადება, გადამღები მძიმე სენით ავადმყოფობა ან პირში მყრალი და აუტანელი სუნის არსებობა,

გ) უშვილობა.

დ) ქმრის მიმართ ცრუ ხმების გავრცელება.

დავით ბატონიშვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ვახტანგის სამართლის წიგნიდან ერთი დებულება,—რომ უშვილობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო განქორწინების საფუძველი, უარუყვიათ შემდგომ, და, გარდა ამისა, განქორწინების საფუძველად უცვნიათ ზოგიერთი ახალი მოტივი. ჯერჯერობით საკმაო ცნობების უქონლობის გამო ძნელია თქმა, შეიძლება თუ არა სავსებით ვენდოთ დავით ბატონიშვილის ზემოხსენებულ ცნობას. საერთოდ კი იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გაგვანჩნა დავითის აღნიშნული აზრის ზოგიერთი ნაწილის შესახებ, ბატონიშვილი მართალი უნდა იყოს.

როგორც ალ. ამილახვარის „გეორგიანული ისტორიიდან“ ჩანს, ერეკლე II-ის დროის საქართველოში მამაკაცის მხრით იმპოტენტობა შესაძლებელი იყო ყოფილიყო ცოლის მხრით მასთან განქორწინების საფუძველად. ალექსანდრე ამილახვარი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლე მეორემ მის სიძეს (ალექსანდრეს ძმას) იმპოტენტობა „დააბრალა“ და ეს გამოიყენა დის განქორწინების საფუძველად, ე. ი. სქესობრივი შეუღლებისათვის უვარგისობა განქორწინების ლეგალური საფუძველი იყო. ეს ასეა ვახტანგის სამართლის წიგნითაც...

ცნობილია, რომ ქართული ფეოდალური კანონმდებლობა იბრძოდა უსაფუძველოდ განქორწინების, როგორც ოჯახის დამარღვეველი აქტის

¹ Царевич Давид: Обзорение Грузии по части прав и законоположения, статьи: 961, 962, 963, 965, 968.

წინააღმდეგ. ამის კერძო გამოხატულებას წარმოადგენს XVI ს. პირველ ნახევარში ე. წ. „კათალიკოსის კანონების“ 23-ე პარაგრაფით უსაფუძვლოდ განქორწინებისათვის სიკვდილით დასჯის დაწესება. ცხადია, რომ ზემოხსენებული სასჯელის დაწესებას ატროფიულად პრევენციული ხასიათი ჰქონდა.

პროცესუალური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა დ. ბატონიშვილის მიერ აღძრული საქმე მეუღლე ელენესთან განქორწინების შესახებ და დიკასტერიის მსჯელობა ამ საკითხზე¹. საკითხის პროცესუალურ მხარეს ჩვენ აქ არ შევხებით, ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ განქორწინების ლეგალურ მოტივთა დადგენის თვალსაზრისით ეს საქმე ამაგრებს ხსენებულ საკითხზე თვით დ. ბატონიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. გარდა ამისა, დიკასტერიის მსჯელობიდან ჩანს, რომ ქმარს უტყუარ² დამამტკიცებელი საბუთებით უნდა დაემტკიცებინა ცოლის დანაშაული.

შესაძლოა, რომ ძველი ქართული საადათო სამართალი ადრეული და შუა ფეოდალიზმის ეპოქაში განქორწინების მოტივად სცნობდა პედიკულოზს (ავადმყოფურ ტილიანობას), როცა მკბენარის მოშორება დიდ სამკურნალო ღონისძიებებს მოითხოვდა და მედიცინის განვითარების მაშინდელ საფეხურზე, ალბათ, საძნელო აქტივ უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ სომეხი კანონმდებლის სმბატ გუნდსტაბლის სამართლით (XIII-ს.) ქალსაც კი ენიჭებოდა უფლება ეპისკოპოსის მეშვეობით გაეზოდა პედიკულოზით დაავადებულ ქმარს².

ხალხური „ეთერიანის“ მიხედვით აბესალომი მხოლოდ იმიტომ გაეყარა ეთერის, რომ ამ უკანასკნელს მკბენარი ვერ მოაშორეს.

შესაძლოა, რომ „ეთერიანში“ შემინახული გვქონდეს ქართული საადათო სამართლის მიერ პედიკულოზის განქორწინების ლეგალურ მოტივად აღიარების გამოცხადი.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა
და ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. XII. 25)

¹ იხ. Акты, том. II, стр. 179—180, Тифлис, 1868.

² იხ. Л. А. Огенесян, История медицины в Армении, ч. II. Ереван, 1946
стр. 204.

Г. Надарейшвили

Бракорасторжение в феодальной Грузии

Резюме

1. В феодальной Грузии возникновение брака из отношений собственности влекло за собой как господство мужчины над женщиной в семье, так и принцип нерасторжимости браков. Расторжение брака допускалось лишь в исключительных случаях. Сравненного периода своего развития грузинское феодальное право признавало прелюбодеяние законным поводом к разводу. Впоследствии поводом к разводу признается неизлечимая болезнь и „содомский грех“ у одного из супругов.

2. Как и в других феодальных государствах, в Грузии муж юридически не мог быть виновен в прелюбодеянии пред своею женою и поэтому прелюбодеяние со стороны мужа не является для жены законным поводом к разводу. Более того, грузинским феодальным правом создана своеобразная презвумпция невинности даже для виновного в прелюбодеянии мужа. По закону Бека Мандатуртухуцеси (XIV в.) муж вправе оставить такую жену, которая обвиняла мужа в прелюбодеянии.

3. В позднефеодальной Грузии (XIV в.) законодатель счел целесообразным (видимо для превентивных целей) предписывать, что „кто оставит жену свою без причины законной... да подвергнется смертной казни“.

4. По законам Вахтанга VI (начало XVIII в.) основаниями развода, кроме прелюбодеяния, являются: подвержение припадкам сумашествия и падучая болезнь (эпилепсия) одного из супругов, импотентность мужа (неспособность к брачному сожитию, а не неспособность к оплодотворению).

Судебная практика после Вахтанга VI строго не ограничивалась в бракоразводных делах установленными судебником поводами к разводу.

ძირითადი თემა, რომელიც აინტერესებს ლალიონს, ეს არის მისი თანამედროვე სოფელი. სოფელი კაპიტალიზმის პირობებში, სოფელი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და შემდეგ რეაქციის ხანაში. მაგრამ პარალელურად ამ თემისა, რომელიც მკიდროდ აკავშირებს ლალიონს ნინოშვილთან, იგი სვამს კაპიტალისტური ქალაქის საკითხსაც მის დაპირისპირებაში ნახევრადფეოდალურ სოფლურ გადანაშთებთან.

ქალაქი ლალიონს ესმის არა მხოლოდდამხოლოდ როგორც ბურჟუაზიული ამორალიზმის ბუდე (რაც ტენდენციურია 90-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის), არამედ როგორც პროგრესის დასაბამი, როგორც მომავალი რევოლუციის ქუჩა, როგორც ადგილი, რომლის განვითარებასთან დაკავშირებულია საქართველოს ბედი.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლალიონი ვერ ამჩნევს კაპიტალიზმის მახინჯ წყლულებს, მაგრამ ეს მხარე მისთვის მეორეულია. უფრო სწორად: ლალიონისათვის ესაა ის, რაც ამჟამად მკვეთრად ჩანს, მაგრამ უკვე დრომოქმულია და სასიკვდილოდ განწირული. სწორედ ამიტომ ლალიონი ორიენტაციას იღებს იმ მოვლენაზე, რომელიც ტიპიურია თავისი პერსპექტივიანობით და ამავე დროს ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს.

სოციალური ვითარების ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ლალიონის შემოქმედების გარკვეული ოპტიმიზმი: რევოლუციის პერსპექტივის ჩვენება რეაქციის პერიოდში.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ფართოდ დამუშავებულ თემას ლალიონის შემოქმედებაში შეადგენს ორი საზოგადოებრივი ფორმაციის — კაპიტალიზმისა და ფეოდალიზმის შექიდეების ჩვენება ქართული სოფლის ყოველდღიური ცხოვრების ფონზე.

ლალიონის პირველივე ნაწარმოები „ფირალი დავლადე“ ამ თემისადმი მიძღვნილი.

ეს მოთხრობა გვიხატავს სოფლის სოციალურ დიფერენციაციას, გამდიდრებული გლეხის სახეს, როგორც სოფლის კაპიტალიზაციის გარკვეულ შედეგს. მაგრამ წინააღმდეგ ნინოშვილის მოთხრობისა „სიმონა“, ამ ნაწარმოებში ახალი ფენა თავისივე მოძმეების გალატაკებულ ნაწილს კი აღარ უპირისპირდება, არამედ ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს (მსგავსად კლდიაშვილის შემოქმედების გმირებისა).

სოციალურ ძალთა თანაფარდობა უკვე იმდენად შეცვლილია, რომ არათუ დეკლასირებული თავად-აზნაურების მსხვერპლს ვეღარ ვხვდებით ლალიონთან (გავიხსენოთ ნინოშვილის „ქრისტიანე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“), არამედ ეს დეკლასირებული აზნაური თითონ ხდება მსხვერპლი გამდიდრებულ გლეხისა.¹

¹ მართალია, ამ საკითხის ბოლომდე თანმიმდევრული დამუშავება ვერ მოგვცა ლალიონმა, მაგრამ საკითხის დასმა სწორედ ამგვარ ასპექტშია.

ცენტრალური ფიგურა მოთხრობისა „ფირალბ დავლაძე“ არის ივანე დავლაძე.

მამამისი, გიორგი დავლაძე, ოდესღაც სოფ. ნ-ის შეძლებული აზნაური იყო, მაგრამ დრომა და გარემოებამ იგი დასცა ეკონომიურად.

ივანეს აღზრდა ტიპიურია ყველა პატარა თავადისა და აზნაურისათვის. ასე იზრდებოდნენ ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძის დათიკო („გლახის ნაამბობი“) და კოლა („კოლა“); ასე იზრდებოდნენ გ. წერეთლის გვრიტია („გულქანი“), იერემია („პირველი ნაბიჯი“) და დიტო („ჩვენი ქვეყნის ყვავილი“). ასე იზრდებოდა ნინოშვილის ტარიელ მკლავაძეც („ჩვენი ქვეყნის რაინდი“) ¹.

ოჯახში ჰირვეული, თავისნება, ბრძანებას ჩვეული, შრომისადმი სიძულვილით გამსჭვალული პატარა ივანე ვერ შეეთვისა სკოლის რეჟიმს. 18 წლისამ ძლივს მეორე კლასამდე მიიღწია და ბოლოს დათხოვნილ იქნა როგორც „უნიჭო და ცუდის ყოფაქცევის შეგირდი“.

სასწავლებლის „დამთავრების“ შემდეგ ვანო მიდის ბათუმში, გაიცნობს მასავით უსაქმურ ახალგაზრდებს და მთელი დღე იმის ცდაშია, რომ ლხინი და ქეიფი არ მოიკლოს.

ვანოს ასეთი ცხოვრება უკანასკნელ ლახვარს სცემს დავლაძეების მატერიალურ სახსარს. შინ დაბრუნებული ივანე ეკონომიური კატასტროფის პირისპირ დგას: „ღორი კი წააკტა ამისთანა სიცოცხლეს! ერთი თუმანი რომ გინდოდეს იმას ვერ იშონი!“ — საყვედურობს უილაჯო მამის უილაჯო შვილი.

ვანოს ცხოვრების ყოველგვარი საშუალება შემოელია. ამისდა მიუხედავად, გული და მისწრაფება აზნაურული შერჩენია. აქ არის ვანოსა და მისი წოდების დრამა: მატერიალურ შესაძლებლობასა და სულიერ მისწრაფებას შორის იქმნება მძაფრი წინააღმდეგობა; მოცემული წინააღმდეგობის შეგრძნობის მომენტში იწყება ამ კლასის წარმომადგენლის, როგორც საზოგადოებრივი ელემენტის, კრიზისი. დეკლასირებასთან ერთად ცხოვრებაში რეალურ საფუძველს მოკლებული პიროვნება დემორალიზაციამდე ეშვება.

ივანე უკანასკნელი საფეხურია დავლაძიანთ გვარისა და ახალი საწარმოო ურთიერთობის შორის შექმნილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა. ამის გამო, სწორედ მას ხვდა წილად ამ არათანასწორი ბრძოლის შედეგი თავისი მხრებით ეზიდა.

ამ ამპარტავანი გვარის უკანასკნელი ნაშიერის ცხოვრება ყაჩაღობის გზისკენ მიიმართება. არსებობის იოლი საშუალების ძიებამ აქეთკენ უბიძგა ივანეს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ლალიონი მიზნად ისახავს აჩვენოს, ამ კლასის დღევანდელი არა თავის სტატიკურ ფორმაში, არა როგორც ფონი რომელიმე ამბის მსვლელობისათვის, არამედ როგორც ისტორიული

¹ ამიტომ უდავოდ შემცდარია გრ. ყიფშიძე, როდესაც წერს: „მთელს ჩვენს საბელეტრისტიკო მწერლობაში, თუ ხსოვნა არ გვალატობს, პირველად შეგბუდებით აყეთის ხელფენებით დაზატულს სურათს ბავშვის წურთენა-აღზრდისას“... (დასაზღვრული წერილი).

აუცილებლობის პროცესი, კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრების გარდაუვალი შედეგი.

ამ ურთიერთობის ძირითად წარმომადგენლად, ნაწარმოების მიხედვით, გვევლინება ნიკო კანლაძე.

თორმეტი წლის ნიკო მამამ სკოლიდან გამოიყვანა და ოზურგეთში ერთ ვაჭარს შეგირდად მიიბარა. „ნიკო ვაჭრობაში კარგად გავარჯიშდა“, ე. ი. ისწავლა უფარვისი საქონლის გასაღება, გამოუცდელი მუშტრის მოტყუება და სხვ.—რითაც პატრონის ყურადღება დაიმსახურა და ჯამაგირიც დაენიშნა. ნიკოს ოცნებად გადაიქცა „ფულიან კაცად“ გახდომა. „ის შეეჩვია უფროსებთან თავის მოკატუნებას, მათდა სასიამოვნოდ არაფერს არ დაიშურებდა“.

ამ გზით იგი მალე გაუამხანაგდა თავის ახალ „ხაზინს“, რომელიც ბათუმში გაიწნო.

იმ დროს, როდესაც ნიკო კანლაძეს გვაცნობს მწერალი, იგი 27—28 წლისაა, დამოუკიდებლად ვაჭრობს და საშუალო ქონების პატრონია უკეთესი მომავლის პერსპექტივით.

როგორც ვხედავთ, ამ გმირის ჩამოყალიბების ჩვენებაში ლალიონს არაფერი შეუტანია ახალი. ნიკომ გაიარა გამდიდრების ის ტიპური გზა, რომელიც წარმოგვიდგინა ნაწილობრივ გ. წერეთელმა და, განსაკუთრებით, ეგნატე ნინოშვილმა. დავით დროიძე ნიკო კანლაძის სრულქმნილი პროტოტიპია იმ განსხვავებით, რომ დავითი სოფელს დაუბრუნდა და მას მოევიდნა ახალ წურბელად, ხოლო ნიკო ქალაქში განაგრძობს „მოღვაწეობას“. სოფელი მისთვის გამოგლოვილი წარსულის გადანაშთია.

ივანე და ნიკო ავტორმა წვეულებაზე შეახვედრა ერთმანეთს... ლაპარაკი ჩამოვარდება ფულისა და გვარიშვილობის (ნაწარმოების გმირების ენაზე— „განათლების“) შედარების საკითხზე.

ფულის ძალაში კარგად გარკვეული ნიკო დარწმუნებით შლის თავის „თეორიას“: „ნეუფელი შენ უფულოდ გააკეთებ რამეს, კაი განათლებულიც რომ იყო?... რაღა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას ქამს, კას სვამს, კარგად აცვია და ახურავს... ერთი სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქ... ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მჭადი ქე ენატრება!“¹

ივანეს მოშხამულ გულს ლახვარივით მოხვდა ნიკოს სიტყვები. მან გადაწყვიტა თავისი ერთადერთი იარაღი, დაეპირისპირებინა ახალი კლასის წარმომადგენლისათვის. ეს იყო მისი გვარიშვილობა: „აბა მე გეტყვი შენ... კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ველარც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ შეიშლის“.²

¹ ლალიონი, „ფირალი დავლაძე“, მოთხრობები, საბჭ. მწერალი, 1949 წ., გვ. 21 (ქვევით ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ).

² იქვე

მაგრამ ვანოს პოზიცია ვერაა მკვიდრი. ამას თვითონვე გრძნობს და ამიტომ შფოთავს, ხმა უკანკალებს. სამაგიეროდ ნიკო სრულად დამშვიდებულად განაგრძობს თავისი დებულების დაცვას: „კი, მარა ამ ცარიელმა გაფხეკილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ეხლა ჩამომავლობას?... კაი ხანია, წყვიდა უწინდელი დროი. ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია (ხაზი ჩვენია. — ვ. ც.) მარტუაი აზნაურიშვილობა სულ აფერი არაა, იგი ტყულაი არ თქვას ვინმემ!..“¹

სიტყვიერი ბრძოლით არ დასრულებულა კამათი. ვანომ ვერ აპატია ნიკოს სიმართლის საჯაროდ პირში თქმა და პირველ შემთხვევისთანავე ღვინით სავსე ბოთლი „დააფხჩენია“ თავზე.

ძნელი არ არის მიხედვით, რომ ამ ორი პიროვნების დაპირისპირებაში ერთმანეთს ებრძვის ორი დიდი სოციალური წყობა: ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი.

ამ ორი გმირის დაპირისპირებისათვის ლალიონმა უკვე არაერთხელ ნაცადი ლიტერატურული ხერხი იხმარა: რომანიული ელემენტი.

ნაწარმოებში ყველგან იგრძნობა კანლადის პრივილეგიური მდგომარეობა. რაც მთავარია, ეს მომენტი უკვე სავსებით შეუგნია თვით ივანესაც. ამიტომ განსაკუთრებით მძაფრია მისი აღშფოთება „ჯალაბი“ წარმოშობის მეტოქის მიმართ.

გავიხსენოთ იერემია წარბა, რომელიც აგრეთვე ქალის თაობაზე გადაეკიდა ბახვა ფულავას. ბახვა არარაობაა იერემიას წარმოდგენაში: იურიდიულად ჯერ კიდევ ფეხმაგარი ფეოდალიზმის შვილი ახლად აღმოცენებული სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელს ადამიანადაც არა სთვლის. ბახვა მისთვის სათვალავში ჩასადგებიც არ არის როგორც მეტოქე, იმასდა მიუხედავად, რომ ბახვა კანონიერი ქმარია ესმასი.

ივანე დავლადე კი პირველი შეხედვისთანავე შეაკრთო კანლადის ყოფნამ წვეულებაში. იმთავითვე აღეძრა მას ეჭვი, რომ ეს ადამიანი მისი ძლიერი მეტოქე შეიძლება გახდეს, თუმც არავითარი რეალური საბაბი ამ ფიქრისათვის ჯერ არ არსებობდა. კანლადე თითქმის არც კი იცნობდა ნინოს.

რამ შეაკრთო თავმომწონე აზნაური? რა თქმა უნდა, ფულის ძალამ, რომელიც უკვე აშკარად ქმნიდა ადამიანის ღირსებას. მართალია, ივანე აზნაურია, ხოლო ნიკო გლეხი, მაგრამ ივანე დღეს უკანასკნელ ლუქმას ათავებს, ხოლო ხვალ სიმშვილი მოუკაკუნებს კარებზე. ნიკოს კი დღევანდელი დღე სავსებით უზრუნველყოფილი აქვს და ყოველი ხვალინდელი ხომ მატების მეტს არაფერს უქადის. ივანემ კარგად იცის, რომ მისი ცარიელი აზნაურიშვილობა დღეს ველარავის მოხიბლავს: ნინოს მამა აუცილებლად „უპირატესობას მისცემდა მდიდარ კაცს, თუგინდ ეს კაცი მოხუცებული ან გლეხიც ყოფილიყო“². კიდევ მეტი: ივანეს სწამს, რომ თვით ქალის გრძნობის სას-

¹ ლალიონი, „ფირალი დავლადე“, მოთხრობები, საბჭ. მწერალი, 1949 წ., გვ. 21 (ქვევით ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ).

² იქვე გვ. 91.

წორის გადახრა მდიდარი ნიკოს მხარეზე სავსებით მოსალოდნელია: „ვინ იცის, როგორ შეხედავს დღეს ნინო ნიკო კანლაძეს. იგი ხომ მდიდარი კაცია და კიდევ ეცდება მოაწონოს თავი ყველას“¹.

ამიტომ არის, რომ „ყოველთვის და ყველაფერში გაბედული, იგი ამ უმად სრულ უღონობას და, ასე ვასინჯეთ, რალაც დამცირებასაც კი გრძნობდა“².

ამრიგად, ივანეს მეტოქეობა ნიკოსთან ვიწრო, პირადულ ფარგლებზე გაცილებით შორს მიდის. ივანე ხედავს ნიკოში პიროვნებას, რომლის ფულმა დღეს მისი გვარიშვილობა შესცვალა. ნიკოს წონას ქმნის ის ფული, რომელიც არც გააჩნია ივანეს და არც ექნება ოდესმე. ნიკო ის პიროვნებაა, რომელმაც დღეიდან ცხოვრებაში ივანე და მრავალი მისთანანი უნდა ჩაწიხლოს და მოქმედების საშუალება მოუსპოს; ოქროს ჩხარუნით ჩაახშოს მათი უკანასკნელი გაბრძოლება.

ამ ორი გმირის წინააღმდეგობა ნათლობაში მომხდარი ინციდენტით არ ამოიწურება: ნიკოს ქისა, მართლაც, ყოველსშემძლე აღმოჩნდება და ის ითხოვს ნინოს, ქალის სურვილის წინააღმდეგ.

ივანე მატერიალური დოვლათის შექმნის ყველაზე „იოლ“ გზას დაადგება: ყაჩაღობას. მისი რაზმის თარეში მთელს გუბერნიას სცემს თავზარს. მისი ხანჯლისავე მსხვერპლი ხდება ნიკო კანლაძეც.

კლასთა შორის წინააღმდეგობის საკითხის ამგვარმა გადაქრამ თავის დროზე კრიტიკის სამართლიანი საყვედური გამოიწვია.

მარქსისტული კრიტიკის ფუძემდებელი საქართველოში, ალ. წულუკიძე, თავის წერილში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ წერდა: „ლალიონს რომ ამ ორ ტიპთა (იგულისხმება ივანე და ნიკო,—ვ. ც.) შორის ბრძოლა ბოლომდის ლოდიკურად გაეტარებინა, არ აპყლოდა ფანტასტიურ გულისთქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაჰკითხებოდა, იგი ნიკოს არ მოაკვლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეარჩენდა. თუმცა აქ გამარჯვება მხოლოდ ფიზიკურია, მაგრამ მოთხრობა, რომელიც ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა მთავრდებოდეს, რითაც თვით ცხოვრებაში ბოლოვდება“³.

მართლაც, ნაწარმოებში ფაქტთა ჩვენება და მოვლენათა მსვლელობა ცხადყოფს, რომ გამარჯვება აშკარად ნიკოს მხარეზე უნდა დარჩეს. ნიკო იმარჯვებს ივანესთან პრინციპულ საკითხზე კამათში: „გვარი თუ ფული?..“, ივანე დამარცხებულია მაშინაც, როდესაც ნიკო დაინარჩუნებს ნინო ბედაძისას... ნიკოს მხარეზეა გამარჯვება მაშინაც, როდესაც იგი ქონებრივი აყვავების მდგომარეობაში გვევლინება, ხოლო ივანე ანტისოციალური ელემენტის დონეზე დასული.

¹ ლალიონი, „ფირალი დავლაძე“, მოთხრობები, საბჭ. მწერალი, 1949 წ., გვ. 91 (ქვეით ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ).

² იქვე

³ ალ. წულუკიძე, თხზულებანი, სახელგამი, 1943 წ., გვ. 17—18.

საკითხის ასეთი განვითარება სავსებით ბუნებრივია. კაპიტალიზმის გამარჯვება აღიარა უკვე თვით იმ კლასმაც, რომელიც გაანადგურა ამ გამარჯვებამ. თუ ივანე იბრძვის, ისევ აზნაურული თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის, თორემ პრინციპული გამარჯვების რწმენა მას აღარა აქვს. სწორედ ამიტომ ნიკო ფიზიკურადაც არ უნდა დამარცხებულიყო. თუ ნიკოსავე ხელით არა, ივანე რაღაც სხვა მიზეზითა თუ საშუალებით უნდა ჩამოსცლოდა გზიდან მეტოქეს, რომლის ხელშია მომავლის სადავეები.

მართალია, ივანეც კვდება ნაწარმოების ბოლოს, მაგრამ ნაწარმოების იდეური რკალი მაშინ იქნებოდა სავსებით შეკრული, როდესაც ივანეს ფიზიკური განადგურების საბაზი გახდებოდა იგივე სოციალური მიზეზი, რომელიც ვახდა მისი ეკონომიური და მორალური განადგურების საფუძველი.

როგორც დავინახეთ, „ფირალ დავლაძეში“ მოცემული წინააღმდეგობის სიუჟეტური გაშლა ერთგვარად უკვე ნაცნობი ხერხია ქართული ლიტერატურისათვის.

აღნიშნულ საკითხს ლალიონი უბრუნდება კიდევ მეორე ნაწარმოებში. ესაა „რაქვიანა“.

„რაქვიანაში“ ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის, სოფლისა და ქალაქის ჯრთიერთობის ჩვენება ისევ მაღალმხატვრულ და სავსებით დამოუკიდებელ ასპექტში აქვს დასმული მწერალს, რომ ეს ნაწარმოები თამამად შეიძლება დაფუყნოთ გვერდით დიდ სოციალურ რომანებსაც.

გლახუნა უნდოდა შეიღობა აზნაურთა. მაგრამ ეს აზნაური უკვე შორს დგას ამ წოდების ყველა იმ წარმომადგენლისაგან, რომელსაც კი დღემდე ვიცნობდით ქართულ ლიტერატურაში. გლახუნა პროტოტიპია კლდიაშვილის აზნაურებისა.

ესაა „ერთი უბადრუკი აზნაური, რომელიც სადღაც მივარდნილ სოფელში, შავ ბედს ებრძვის“¹. ქონებრივ დაცემასთან ერთად შეიბღალა მისი ადამიანური ღირსება“. გლახუნი ქინჭრიანშიაც სრულიად უმნიშვნელო კაცია, მას აქაც კი არაფრად აგდებენ, არც პატივისცემა, არაფითარი მორიდება“.

„ლამის მთლად წაიშალოს, სამუდამოდ გაქრეს მისი აზნაურიშვილობა მეზობლების თვალში“².

ეს მოთურობელობა იმ ზომამდე მივიდა, რომ გლახუნას სოფელმა ნამდვილი სახელი წაართვა და „რაქვიანად“ მონათლა. ისტორიულად განწირული კლასის შვილის ბედი იქამდე უღმობელია, რომ ცინიზმამდე მიდის. გლახუნა ვრძნობდა, რომ ვერც ქონებით, ვერც განათლებითა თუ ზნეობრივი რამ თვისებით ვერ ამადლდებოდა სოფელზე. ამიტომ მოისურვა მან „გაემდიდრებინა“ თავისი ლექსიკონი სადღაც ყურმოკრული „უცხო“ სიტყვით—„რაქვიანა...“ სოფელმა იუცხოვა „უცხო სიტყვა“ და იგი მეტსახელად შეარქვა გლახუნას: გამოსავალის მაგივრად, გლახუნამ ახალი დამცირება მოიპოვა.

¹ „რაქვიანა“, გვ. 53.

² იქვე

მაგრამ გლახუნას ასე მარტივად არ აუხსნია ეს სათაკილო სახელი. მან მას ღრმა სოციალური გააზრება მისცა. თავის დაცემაში დარწმუნებული იგი ამ მეტსახელშიც ეძებს საკუთარი მიზერული მდგომარეობის ხაზგასმას სოფლისგან: „ვინ იცის, რა აზრით ეძახიან მას „რაქვიანას“, ალბათ მის უსახსრობას, გაჭირვებას დასცინიან... გლახუნი უნდოდა შევილი „რაქვიანა“, ე. ი. რა არის გლახუნი, რა კაცია, რის მაქნისია მისი აზნაურიშვილობა... ამ დაცინვაში გლახუნი გრძნობს, თითქო ესმის კიდევ ვილაცყების ხარხარი, გაურკვეველი სიხარული“¹.

როგორც ვხედავთ, გლახუნის ღრმად შეგნებული აქვს თავისი უსუსური მდგომარეობა, თავისი აბსოლუტური დაცემა. მხოლოდ ამიტომ ფიქრობს ის, რომ „ყველა მასხარად იგდებს. ნიშნს უგებს“...

მაგრამ გლახუნა რის გლახუნა იქნებოდა, რომ შეეგნო თავისი კლასის განადგურების ისტორიული აუცილებლობა. გლახუნა ფიქრობს, რომ ეკონომიური პირობების გაუმჯობესება დაუბრუნებს მას წარსულ დიდებას. ამ სურვილის შესრულებაზეა დამყარებული გლახუნის მომავალი. ეს მისთვის „ყოფნა-არყოფნის“ კითხვაა².

რის იმედი აქვს გლახუნას? რა თქმა უნდა, არც თავისი და არც სოფლის. მისი თვალი მიპყრობილია ქალაქისაკენ, სადაც გლახუნას უმცროსი ძმა ვასო, მისი (გლახუნას) დახმარებით ქალაქს აღზრდილი და განათლება მიღებული, რაღაც მაღალი თანამდებობის პირია.

აი, ამ ვასოს სოფელში დაბრუნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გლახუნას ოცნება მომავალზე.

მაგრამ გლახუნას ოცნება ოცნებად რჩება. სოფელში სტუმრად ჩამოსული ძმა თაკილობს მამაპაპურ სახლსაც, სოფლის დუქანსაც, სადაც „მათთვის საჭირო სანოვაგე არ მოიპოვება“, ნაცნობ-მეზობლებსაც, რომლებსაც ურცხვად სახლიდანაც ისტუმრებს, და თვით ძმასაც, რომელმაც ფაქტიურად გამოზარდა ის...

გლახუნამ თავისთავთან ჭიდილის მძიმე გზა განვლო იქამდეს, სანამ დარწმუნდა, რომ ვასო მისთვის სავსებით უცხო გამხდრა.

ვასო ქალაქში ბრუნდება. გლახუნა გადაწყვეტს პირდაპირ უთხრას ძმას, რასაც გრძნობს, ლაფში ამოსვაროს მისი პიროვნება, ისევე როგორც ძმამ ამოსვარა გლახუნასი.

ამ მიზნით იგი ვასოს ესტუმრება ქალაქში.

ძმებს შორის გამართული საუბარი ხსნის ნაწარმოების იდეას. ეს დიდი ალოგი, შესრულებული მხატვრული სრულყოფით, ადამიანური ფსიქიკის ზედმიწევნით ცოდნითა და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი პროცესის განვითარების ღრმა გაგებით, ქმნის ლალიონის, როგორც მწერლის, მხატვრული დედოფლოგიური სიმწიფის სრულ სურათს.

¹ „რაქვიანა“, გვ. 53.

² იქვე, გვ. 54.

ლალიონს სწამს, რომ გლახუნა ისტორიამ დაამცირა და იმავე ისტორიამ ვასო აიყვანა დიდების პიედესტალზე. ვასოსათვის ყოველთვის სასაცილო იქნება უფროსი ძმის სურვილი ამ ცხოვრებაში წილის გაჩენისა.

გლახუნა ეუბნება ძმას, რომ აქამდე ოჯახსა და მის ბედს დასტრიალებდა, მაგრამ ეხლა სურს თავსაც მიხედოს, ოჯახს მოეკიდოს, ე. ი. მას უნდა რაღაც მომავალი შეიქმნას... რაღაც პერსპექტივა იქონიოს...

ვასოს პასუხი ისტორიის განაჩენივით მკვახეა და სარკასტული: „სასაცილო ისაა, ცოლის შერთვასაც რომ აპირობს თურმე... არა, არა! ამ საქმეში მე კი არ უნდა დაგეხმარო, პირიქით, ხელი უნდა შეგიშალო და ასეც მოვიქცევი უთუოდ“ (ხაზი ჩვენია.—ვ. ც.)¹

ვასოს დაცინვა უბრალოდ ძმის დაცინვა არაა. ამ სიცილეში, კლდიაშვილის კლასიკური ფრაზით რომ ვთქვათ, „თითქო თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამარჯვებას აქადნიდა და ემუქრებოდა უფრო მეტ დაჩაგვრასაც“...

ძმების კონფლიქტში ლალიონმა შეძლო მოეცა უდიდესი საზოგადოებრივი კონფლიქტი. ვასოსგან დაბრუნებულმა გლახუნამ აშკარად გაიგო, რომ ეხლა „მას დედამიწაზე ერთი მტერი ჰყავდა, მაგრამ მტერი საშინელი, უღმობელი, ეს იყო მისი ღვიძლი ძმა, ვასო უნდილაშვილი...“

და ეს მტერი, მტერი გლახუნასი, როგორც სოფლის (ფეოდალიზმის ერთადერთი საყრდენის) წარმომადგენლისა, არის ვასო—პირმო კაპიტალისტური ქალაქისა.

სოფელი მხოლოდ შესაბრალისია დღეს, ქალაქი კი დიდგული და დაუნდობელი. სოფელმა თავის გულში გაზარდა ის ძალა, რომელიც დღეს ქალაქს ქმნის და ეს, მისი გამოზრდილი უმცროსი ძმა, დღეს თავილობს მას, სახლში ჩამჯდარს, გამოუსვლელს, მიწის სუნით გაჟღენთილს... მეტი კიდევ: იგი ეწინააღმდეგება მის ლტოლვას მომავლისაკენ, მის სურვილს შთამომავლობის შექმნისას... ის მას უმემკვიდროდ დალუპვას უქადის...

ამგვარი მკაცრი ისტორიული კონფლიქტი ისე კარგად აქვს გააზრებული და მხატვრულად ხორცხმული ლალიონს, ისეთ დამაჯერებელ ფსიქოლოგიურ მონაცემებში და დრამატიზმზე აღმოცენებული კომიზმით ასახული, რომ ამ ერთი ნაწარმოებით მაინც იგი თავისუფლად შეიძლება დავაყენოთ „შემოდგომის აზნაურის“ კლასიკოსი პორტრეტისტის—დ. კლდიაშვილის გვერდით.

მეორე საკითხი, რომლის გაშუქებას გვაძლევს ლალიონის შემოქმედება, ესააა გლეხთა ცხოვრება.

დასახელებულ თემას ლალიონი სპეციალურად მხოლოდ ორ მოთხრობაში ეხება: ესაა „დამშვიდება“ და „ბეუჟკას ხვედრი“, მაგრამ ნაწილობრივ იგი შეტანილია „ფირალ დავლადეშიაც“ ეპიზოდური სახით.

„ფირალ დავლადეში“, რომელიც 90-იანი წლების სოფლის სახეს გვაძლევს, გამოყვანილია მებრძოლი გლეხის—ალექსი სანდომიძის პიროვნება.

¹ „რაქვიანა“, გვ. 67.

ალექსი ნინოშვილის სიმონას მემკვიდრეა, მასავით გულამღვრეული არსებული უსამართლეობით და მასავით ყაჩაღად გავარდნის გადაწყვეტილებამდის მისული,

ალექსის პროტესტი, მიმართული ბოქაულის წინააღმდეგ, ააშკარავებს მის სწორ თვალთახედვას მოვლენათა მიმართ.

ეგზეგუციით შეწუხებული სოფლის გულისპასუხი ალექსიმ გადაუშალა მოხელეებს. „... სიბრაზე არჩობდა მას, აზღვაებული გრძნობა გულს მოაწვა და გადმოხეთქა“...

ამის შემდეგ ალექსა იძულებულია „ფირალად“ გავარდეს. იგი მამნილებლად გამოუჩნდა ივანე დავლაძესაც, რომლის „ფირალობა“ ავაზაკობას უდრიდა. ალექსის პირით მწერალმა თავისი გულისწყრომა გამოხატა ივანეს მიმართ. ალექსიმ იცის, რომ ივანე პირადი მოგებისთვის ადგია იმ გზას, რომელზედაც თვითონ საზოგადოებრივი საქმის დაცვამ დააყენა. გარეგნულად მათი მდგომარეობა იგივეა, მაგრამ შინაარსი ამ ერთი ფორმისა სულ სხვადასხვაა!...

— „შენ არაკაცი არ გენაღლება ახლა—ეუბნება ალექსი ივანეს— იმიზე რომ თვითონ არ გამოგიცდია მათი შეწუხება!... (ხაზი ჩვენია— ვ. ც.) რას ვერჩი სოფელს? ვინ რა დამიშავა?“¹

მაგრამ ალექსი სანდომიძე არამც თუ ჩამოყალიბებული მებრძოლის სახეს ვერ იძლევა, — იგი სიმონა ძალაძის სიმალემდისაც კი არაა ასული. მის გულში ღვთის შიში მეტია, ვიდრე შურისძიების წყურვილი. მას თავისი მიზანი გარკვეული არა აქვს: „მე თავი მომძულდა, არაფერს არ ვეძებ ქვეყანაზე“ — ამბობს ის. ამის გამო, მის ცხოვრებასაც შინაარსი დაჰკარგვია და იგი უკვე კაპიტულაციის გზაზე დგას. „საცხა ერთი ტყვია რავა არ მომკლავსო“ —

ალექსის დაღუპვა სავსებით მართებულია, როგორც უხერხემლო ადამიანისა. ამ საკითხში მეორე მხარე უფრო იქცევს ყურადღებას: სახელდობრ ის, რომ მწერალს არ ეყო მხატვრული ძალა წარმოედგინა თანამიმდევარი მებრძოლი. ალექსიმ პროტესტით დაიწყო, მაგრამ როდესაც სიტყვიერი პროტესტთან ერთად სისხლიანი პროტესტიც გახდა საჭირო, მან უკან დაიხია, ცოდვისაგან თავის დაღწევა სცადა და კიდევ დაიღუპა. ალექსი რომ „ფირალის“ პირველი სახე ყოფილიყო ჩვენს ლიტერატურაში, მწერალს ვერაფერს ვუსაყვედურებდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნინოშვილის მიერ სიმონას სახე შეიქმნა, ლალიონის ალექსი უთუოდ ნაბიჯია უკან.

თუ „ფირალი დავლაძე“ გვაძლევს 90-იანი წლების დასაწყისის სოფლის სურათს, „ბეჟუკას ხვედრი“ და „დამშვიდება“ რეაქციის წლების სოფლის მკვიდრთა ყოფაცხოვრებას გვიშლის.

იმ მიმე სოციალური ჩაგვრის პარალელურად, რომელიც ალექსისაც აწევს კისრად, ბეჟუკასა და მისთანებს ახალი გარემოებაც უხუთავს სულს. ესაა რეაქციის ხანის საშინელი რეპრესიები.

1. „ფირალი დავლაძე“, გვ. 44.

„ბეჟუკას ხვედრში“ მემამულე ძუძუტურაძე შურისძიებითაა გამსჭვალული იმის გამო, რომ ერთ დროს მას „გაეფიცნენ სოფლელები, შესწყვიტეს მასთან კავშირი და სრულიად ხელი აიღეს მის მამულში სამუშაოზე“. ¹ ეს იყო 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, როდესაც „ქალაქის კვალდაკვალ დგებოდა სოფელიც“, როდესაც სიტყვა „ერთობა“ ქართველი გლეხისთვის ნათელი მომავლის სიმბოლოდ იქცა.

ლალიონი ძალიან გაკვირთ, სულ ორიოდ სიტყვით ახვედრებს მკითხველს ამ წარსულ ვითარებას. ერთი კი ცხადია: ერთ დროს სოფელმა გაბედა ოპოზიციაში ჩადგომოდა თავის სულთამხუთავ ძუძუტურაძეს. მაგრამ დღეს დრო შეიცვალა: „სხვა ქარა დაჰბერა და ძუძუტურაძეც წელში გაიმართა, ფრთები შეისხა. ზურგგამაგრებული სიკო ახლა სავსებით სარგებლობდა მდგომარეობით... იგი დაუნდობლად მძვინვარებდა სოფლად, შეუბრალებლად აწიოკებდა ყველას, მის თავხედობას საზღვარი არ გააჩნდა“. ²

იმ ბედნიერ დღეებში, როდესაც გლეხები ერთგვარად თავიანთ თავს „ეკუთნოდნენ“, ბეჟუკასაც „უწყენინებია“ ძუძუტურაძისთვის: მან არ გასტეხა სოფლის პირი და არ გავიდა ნაბატონარის ყანაზე სამუშაოდ. მოთხრობის სიუჟეტი იშლება ამ ორი პიროვნების დაპირისპირებით.

ვინ არის ბეჟუკა ლაჭყორაშვილი? — ესაა ღარიბი, უმიწაწყლო, წვრილშვილის პატრონი გლეხი. მისი არსებობის ერთადერთი საშუალებაა წყვილი ხარი, რომელიც საკუთარი ხელით და, ალბათ, საკუთარი ლუკმის ხარჯზე გამოზარდა. „ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში, სიამაყე“, კიდევ მეტი, ესაა მისი ადამიანური ღირსების საფუძველი. „როდესაც ურემში შებმულ ლომასა და ნიშას წინ მიუძღოდა, მაშინ თავისი თავის ღირსებაც საკმაოდ შეგნებული ჰქონდა“. „განა ლომა და ნიშა მარტო მუშა საქონელია მისთვის და მეტი არაფერი? თუ დღემდე ბეჟუკა ლაჭყორაშვილიც იხსენებოდა სადმე, ეს ხომ მისი კარგი ხარების წყალობით იყო!“ ³

ბეჟუკას ცხოვრება ერთი ვეებერთელა ჯაჭვია სიღარიბისა და უუფლებობის სხვადასხვა რგოლებისაგან შემდგარი, მაგრამ ბეჟუკას სწამს, რომ ეს ორი, მისი ხელით გამოზარდილი ხარი, ნამდვილ მეგობრობას გაუწევს ცხოვრების ჭაპანის გაწვევაში. ამიტომ გულმაგრადაც არის იგი. ამიტომ გაიტაცა იგი ძილში ვარდისფერმა ოცნებამ მომავალზე...

მაგრამ აქაც უმტყუნა ბედმა დაჩაგრულ გლეხს. ძუძუტურაძემ, რომელსაც ვერ ეპატიებინა ბეჟუკასთვის წარსულად „დანაშაული“, შარი მოსდო და ხარები წაართვა.

ხარების წართმევა ბეჟუკასთვის მომავლის იმედის მოსპობას, არსებობის შესაძლებლობის შეწყვეტას, ადამიანური ღირსების ახდას გულისხმობდა... ხარებთან ერთად ბეჟუკას წაართვეს ყველაფერი ის, რაც მას ამ ცხოვრებასთან აკავშირებდა. ხარებთან ერთად ბეჟუკამ დაჰკარგა საუკეთესო მეგობრე-

¹ „ბეჟუკას ხვედრი“, გვ. 127.

² იქვე, გვ. 127—128.

³ იქვე, გვ. 131—132.

ბი: ოჯახის უძვირფასესი წევრები. ბეჟუკას სულიერი ტანჯვა კულმინაციას აღწევს, როდესაც ის წარმოიდგენს თავისი ხარების შესაძლებელ ხვედრს: „რა მოუვა ჩემ ხარებს ამალამ?—გაუელვა თავზარდაცემულს და სახე საცოდავად მოეღრიცა,—ვინ იცის, ღმერთო! ეგება სწორედ ამ წუთში დასაკლავად მიჰყავთ მისი ლომა და ნიშა... იქნება ეხლა თქრიალით გადმოსდით სისხლი გადმოლადრულ კისრიდან. ან იქნება უკვე გათავდა ყველაფერი და გამხეცებული ადამიანთა ხროვა მისი ხარების ბეჭებს კიდევაც შეექცევა?“¹

ეს ადგილი მწერლის მიერ ფსიქოლოგიურად აუცილებლად ზუსტად არის გააზრებული. მართლაც, მიწას შემყურე გლეხისათვის მუშა საქონელი ძვირფას სულდგმულად იქცეოდა ხოლმე, რომლის დაკარგვა მისთვის ოჯახის წევრის დაკარგვას უდრიდა. ქართულმა ფოლკლორმა მრავლად შემოინახა ისეთი ანდაზებისა და ლექსების ნიმუშები, რომელნიც სწორედ ამგვარად აშუქებენ გლეხის პირუტყვთან დამოკიდებულებას.

აქაც, ხარების დაკარგვის შიშს თავგანწირულობამდე მიჰყავს ბეჟუკა. ის გადაწყვეტს ან იხსნას ხარები, ან შეეწიროს განზრახვას, რადგანაც უხარებოდ სიცოცხლე მისთვის მაინც წარმოუდგენელია. „მას აღარაფერი ანსოვდა: შიში, განსაცდელი არ არსებობდა მისთვის იმ წუთში, მხოლოდ ერთი აზრით, ერთი სურვილით იყო იგი შეპყრობილი“—² ეს იყო ხარების დახსნა.

ბეჟუკას პროტესტი, მისი სურვილი ძალით დაიბრუნოს საკუთარი წილი ბედნიერება, ჩანასახშივე მოისპო: იგი ზედ დააკლეს თავისივე ხარს... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალი ვერ ხედავს მასში ძალას მზაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბეჟუკამ იცის თავისი მტერი, იგი აშკარად გრძნობს, რომ „მარტო ძუძუგურაძეებს არ უდევთ წილი მის გაუბედურებაში და ბეჟუკა ყველა იმათ ემუქრებოდა. ახლა, უსაზღვრო რისხვას უთვლიდა იმ სინამდვილეს, რომელმაც შხამით გაავსო მისი ცხოვრება. ბეჟუკას გულში ერთბაშად გაიზარდა რაღაც თავშეუკავებელი ძალა, იფეთქა ძლიერმა გრძნობამ... იგი მზად იყო შური ეძია, მებრძოლებოდა თვით ჯოჯოხეთს“...³

მაგრამ ბეჟუკას წაართვა ამ ბრძოლის საშუალება პირობებმა. რეაქციის მკაცრმა სუსხმა „დაასამარა ტურფა ზაფხული“. დაიქსაქსა რევოლუციური ძალები და ბეჟუკები დარჩნენ მარტოხელა მებრძოლებად ბრძოლის უზარმაზარ ველზე. ასეთნი კი დასალუპავად არიან განწირულნი. ბეჟუკას ძალისა და სურვილის მიუხედავად, იგი უსუსური დაა მისი ბოლოც ხარის ბოლოსა ჰგავს. თავის დაცვაში ორივე ერთნაირად უმწეოა დღეს.

რომ ლალიონს სწამს გლეხთა მასაში არსებული ძალა, მისი მზადყოფნა ახალი რევოლუციისათვის, მისი (ამ რევოლუციის) მომავალიც კი,—ეს აშკარად ჩანს მოთხრობაში „დამშვიდება“.

„წესიერების აღსადგენად“ მოსული ყაზახები „ამშვიდებენ“ სოფელს.

¹ „ბეჟუკას ხვედრი“, გვ. 133.

² იქვე, გვ. 134.

³ იქვე, გვ. 133.

გადამწვარი სახლები, სისხლით მორწყული მიწა, ობლების ტირილი და ხალხის კენესა საზარელ სურათს ქმნის. მაგრამ ხალხს ყველაფერი არ დაუკარგავს: „უძვირფასესი საუნჯე ხომ მაინც შერჩათ! მას ველარ მოსტაცებს მტარვალ!“ იგი საუნჯე დიდების შარავანდელით შემოსავს მათ სახელს, რომელიც საშვილიშვილოდ გადაიციემა...

ცხოველმყოფელი ძალა ასულდგმულებს მათ დღეს, განუსაზღვრელად ამხნეებს. შეურყევლად სწამთ მომავალი და მზად არიან ამ რწმენას კიდევ მეტიც უმსხვერპლონ, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანასკნელის სისხლის წვეთამდე!¹

აუცილებელია აქვე აღვნიშნოთ ერთი მომენტი, რომელიც უდავოდ დიდ ნაკლს წარმოადგენს ლალიონის შემოქმედებაში: მისი საბრძოლო ხმა აქაც და ყველგან დეკლარატიულ ხასიათს ატარებს. პრაქტიკულ მოქმედებას მოკლებულნი არიან თვით ის გმირებიც კი, რომელნიც მთელი თავისი შეგნებითა და მისწრაფებით რევოლუციურ ორგანიზაციასთან არიან დაკავშირებულნი. თუ ამ ორ შემთხვევაში ნაწარმოებში ეს ფაქტი ერთგვარ გამართლებას კიდევ პოულობს, შემდგომ ნაწარმოებებში იგი უკვე სავსებით გაუმართლებელი რჩება.

მიუხედავად ამისა, ლალიონის მსოფლმხედველობის უდავოდ დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ რეაქციის პერიოდში მან აშკარად გამოსთქვა რწმენა ახალი რევოლუციის გარდაუვალობისა. ამ რწმენითაა გაჟღერებული მისი მოთხოვნა „შემთხვევაც“.

მოთხოვნის გმირი „საზარელის წესწყობილებით სულშეხუთული, ადამიანურ უფლებებს მოკლებული, შეურაცხყოფილი“² პიროვნებაა.

გმირს აშფოთებს ის წყობა, სადაც შრომის საფასური სამათხოვრო გამხდარა... სადაც პიროვნების ღირსებას ყოველი ფეხის ნაბიჯზე სთელავენ, ტალახში სვრიან. მაგრამ იგი ხელდასიძასაც, რომ „ეხლა ყველას ეზიზღება მონური ყოფა, შეიგნეს ადამიანური უფლება, მედგრად ებრძვიან მჩაგვრელებს უკეთეს მომავლისათვის და დღეს თუ ხვალ კიდევ მიაღწევენ სასურველ მიზანს“.

გმირს აგონდება განვლილი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები. მაგრამ მას არ დაუკარგავს რწმენა მომავლისა. პირიქით, მან მტკიცედ იცის, რომ „აღშფოთებული ხალხის მოქმედებას“ „შემდეგი განვითარებაც“ უნდა მოჰყვეს. და ის წარმოადგენს კიდევ ამ ახლო მომავალს: „აბო-ბოქრებული ქუჩა, მოზღვაებული ხალხი მრისხანედ ღელავს. ისმის გრგვინა, იწყება გადამწყვეტი ბრძოლა... აქ იღვწება მონობის ბორკილი. იმსხვერვა საზიზღარი კერპები. თავისუფლების გრიგალი დაუბრკოლებრივ შეიჭრება ბრწყინვალედ მორთულ სასახლეებში, ამ გარყვნილების ბუნაგში და ადამიანობამდის აამაღლებს იმ ჩაგრულ-დამცირებულთ, ვინც აქამდე კმაყოფილებით ურიგდებოდა პირუტყვულ ყოფას... ქუჩა ქუჩს, გრიალებს“...³

იმავე თემას, რევოლუციის მომავლის თემას, ეხება ლალიონის მოთხოვნა „თინაც“⁴.

¹ „დამწვარება“, მოთხოვნები, თბილისი, 1920, გვ. 141.

² „შემთხვევა“, გვ. 119.

³ იქვე, გვ. 121.

⁴ იქვე, გვ. 123.

ნაწარმოების ძირითადი მიზანია გვიჩვენოს ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე ქალის ცხოვრების ერთი მონაკვეთი, მონაკვეთი, როდესაც იგი მეშინაური ოჯახის ოქროს ხუნდებს გასცვლის რევოლუციონერი ქალის მძიმე ხვედრზე.

ნაწარმოებში ერთმანეთს ძირითადად უპირისპირდება ინტელიგენციის ორი ნაწილი: დემოკრატიული ინტელიგენცია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის ძირითად წარმომადგენლად ჩანს ილია ფურცხალაძე. ეს არის თვითკმაყოფილებით გაქვნილი, მაღალფარდოვანი ფრაზებით შეიარაღებული, საქმით უბადრუკი, მკვებარა პიროვნება.

ილია ყველასა და ყველაფერს ზევდან დასცქერის. თვით ცოლიც კი, მისი აზრით, არსებობს მხოლოდ როგორც სამკაული მისი ოჯახისა, როგორც რაღაც აუცილებელი პირობა მისი, ილიას, კომფორტისათვის. „მთელი სიცოცხლე უნდა შემომწირო, ამისთანა ცხოვრებაში რომ მკვებარა“, — კითხულობდა მის თვალებში თინა. ილიას მტკიცედ სწამს, რომ მუდამ თავისუფლად შეძლებს დასტკბეს სიცოცხლით:

„ილიას, — ამბობს მწერალი, — საზოგადოდ ბედი სწყალობდა, ცხოვრებაში მას წარმატება არ აკლდა. ილია კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით და, რაღა თქმა უნდა, თავიც მოსწონდა.“¹

ილიასთვის სხვა არავინ არსებობს. მას სძულს ხალხი, მასა. ილიას აზრით, ეს არის „ნაძირალების ბრბო“, საზოგადოების უკანონო ნაწილი, რომლის გატოლება მასა და მისთანებთან სრულიად წარმოუდგენელი ამბავია: „წარმოუდგენელია ისეთი ცხოვრება, — აცხადებს იგი, — სადაც მთელი საზოგადოება, ყველა მისი ნაწილი ერთ დარჯიკაში იქნება მოქცეული, სადაც არავისი გარჩევა აღარ იქნება... ეს არასოდეს არ მოხდება, შეუძლებელია! ვინც ბრბოზე მალლა დგას, იმას მოთხოვნილებაც სულ სხვა აქვს“² (ხაზი ჩვენია. — ვ. ც.).

ასეთია ილია ფურცხალაძის სოციალური კრედო. მისი აზრით, იქ, სადაც საზოგადოების ყველა წევრი თანასწორი იქნება, მოისპობა ადგილი პროგრესისათვის და „კაცობრიობა გადაშენების გზას დაადგება“. ეს ფილოსოფია სხვა არა არის რა, თუ არა ნიცშეს ანტიდემოკრატიული, რეაქციული იდეების გადამღერება. ზარატრუსტას პირით ნიცშეც ილაშქრებს თანასწორობის წინააღმდეგ და სთვლის, რომ დემოკრატიზმის პირობებში ისპობა ყოველგვარი მაღალი იდეალი, არ არსებობს კარგი და ავი. „ღგება საშუალოების საუკუნე“ („Век посредственности“). ამიტომ, იმავე ზარატრუსტრას იდეების პერიფრაზად გვესმის ილიას სიტყვები: რევოლუციისაკენ მოწოდება „ეს სისაძაგლეა, ხალხის გარყენაა, მისი გზაკვალის აბნევა!“³

ილიას, — ამბობს მწერალი, — „...უნდოდა ფართე საზოგადოებაშიაც ჰქონოდა ვაგლენა და პატივისცემა და ამიტომ ხანდახან საზოგადო საქმეებშიაც

¹ „თინა“, გვ. 138.

² იქვე, გვ. 147.

³ იქვე, გვ. 147—148.

ერეოდა. სხვადასხვა საზოგადოებათა კრებაზე იგი ხშირად პირველ რიგში მოექცეოდა და ბევრსაც ხმაურობდა“. ¹

მაგრამ რამდენადაც ილიას ყოველი გამოსვლა მხოლოდ ეფექტისათვის იყო განკუთვნილი, რამდენადაც მისი სიტყვები აშკარა რეაქციულ ტენდენციას ამჟღავნებდნენ, — ილიას შეხლა-შემოხლა მოწინააღმდეგეებთან აუცილებლად კრახით მთავრდებოდა. ეს კრახი გახდა უტყუარი საბუთი ილიას სულიერი სიძაბუნისა, რომლის გამო თინამ შეიძულა ის და გადასწყვიტა მასთან ყოველგვარი კავშირი.

ილიასთან ხალხი ამ პერიოდის საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენს: „ეს ის დრო იყო, როდესაც აბოზოქრებული ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში იჭედებოდა. ცხოვრების ნორჩი ყვაილები ჭკნებოდა“. ²

რეაქციის შეუბრალებელი მარწუხი აღჩნობს თავისუფლების აღმაფრენას. „ქვეყანა აოხრებულია. აუარებელი ხალხი გაგზავნეს ცივს ქვეყნებში. ვინ იცის, რამდენი გამოესალმა წუთისოფელს. საშინელი გაჭირვებაა სოფლად“. ³

მწერალს შესანიშნავად აქვს გადმოცემული სულისკვეთება იმ ხალხისა, რომელიც რევოლუციის ქარტახილის პირობებში, „ხალხის თვითმოქმედების დროს მთლად გარიყულად გრძნობდა თავს“, ხოლო ახლა, როცა გრიგალმა გადაიარა, თავი წამოყო და ერთადერთი მიზნით, ჩამორჩენილობა არ დამწამონო, ქვეყნის თვალში მეც მოწინავე მოაზროვნე გამოგჩნდეთ, „გაუბედავად რალაც ფაცაფუტს შესდგამოდა“. „არსდება საზოგადოებანი და კავშირები, ინიშნება კრებები, რომლებზედაც იმართება მეტად მწვავე კამათი, შეხლა-შემოხლა, ერთი აურზაური, მაგრამ ყველა ეს ხმაურობა სრულიად უნაყოფო გამოდის და ასეთი ამბით დაარსებული საზოგადოებანი გაჩენის უმაღვე ქრებიან“. ⁴

მწერალი თვალწინ გვიშლის კიდევ ერთ-ერთი ასეთი საზოგადოების დაარსების ცდას სოფრომ კუდამელიძის ოჯახში, სადაც თავმოყრილი ხალხის ნაწილმა არც კი იცის, რისთვის მოსულა, რას აარსებს და ვის ირჩევს.

ამ ყოველმხრივ შეუმზადებელი „კრების“ საბედნიეროდ აღმოჩნდება, რომ ვიღაც „საპატივისცემლო თავაკცების“ დაპატიება დავიწყებიათ და კმაყოფილი საზოგადოება გულუხვი მასპინძლის სუფრას შემოუხსნდება.

ასეთი დასასრული ამ წამოწყებისა არც შემთხვევითია და არც მოულოდნელი. რა სარგებლობა უნდა მოუტანოს საქვეყნო საქმეს პირმა, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ სუფრაზე მორთმეული ატამი მუშისთვის ზედმეტია, ან ვინც სახლიდან აგდებს მოსამსახურეს მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაბედა თავისი ადამიანური ღირსების დაცვა, მაშინ როდესაც იგი სრულიად უმიზეზოდა და უსაფუძვლოდ შეურაცხყვეს?!

მწერალმა წინასწარი განზრახვით გვიჩვენა ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება სწორედ იმ საზოგადოებაში, რომელიც „ხალხის სამსახურს“ ქა-

¹ იქვე, გვ. 138.

² „თინა“, გვ. 138.

³ იქვე, გვ. 145.

⁴ იქვე, გვ. 138.

დაგებდა და სწორედ იმ კრების დღეს, რომელზედაც ამ „სამსახურის“ საკითხი უნდა გარჩეულიყო.

ამ ხალხის ერთადერთი მიზანია ააციდინოს ჩაგრული მასა რევოლუციურ გზას. რევოლუცია შავი ურჩხულია მათ თვალში, რადგან ის მათი კეთილდღეობის მოსპობას მოასწავებს. ამიტომ არის, მათი გაგებით, რევოლუციური აზრების ქადაგება ხალხის გარყვნა, „გულუბრყვილო, პატიოსანი გლეხის“ გზაკვალის აბნევა. მათ ყაზახის მათრახი აუცილებელ პირობად მიაჩნიათ „გზააბნეული“ გლეხის „კკუის სასწავლებლად“...

შინაურ ლაპარაკში, რომელიც სუფრაზე გაიმართა, მთლიანად გამომჟღავნდა სახე იმ პირებისა, რომელნიც აქ შეყრილიყვნენ: არამცთუ უხერხემლო ლიბერალიზმის ნიშანწყალი არ სცხიათ მათ, არამედ პირწავარდნილი რეაქციონერებიც არიან.

— „რა უნდათ, რა უნდათ?— დაიწყო წუწუნი ერთმა ხანში შესულმა მადლილოსანმა, როდესაც გლეხები ახსენეს, — რამ დააგიჟათ? იმუშავონ კვლავინდებურად, ლამაზადა... მემამულეებსაც დააკმაყოფილებენ და თითონაც არ გაუწყდებათ ლუკმა.“

— რა აკლიათ? ნეფეები არიან;— კვერი დაუკრა მეორემ თავის ქნევით.

— ჰოო, გენაცვა!“¹

ამ საუბარში ჩანს გულისწყრომა ილია ჭავჭავაძის აზნაურის ქვრივისა ბატონყმობის გაუქმების პირველ ხანებში. ეჭვი არ არის, კუდამელიძის სტუმრების უდიდესი ნაწილი აღფრთოვანებით შეეგებებოდა ბატონყმობის, კაცობრიობის ამ სამარცხვინო ლაქის, აღდგენას. თუკი შესაძლებელი იქნებოდა ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება...

საზოგადოების ამ ნაწილს, რომელიც აერთებს სხვადასხვა კლასისა და ფენის წარმომადგენლებს და რომელიც ამა თუ იმ ფორმითა და საშუალებით ეწევა ათეული ათასების ექსპლოატაციას, — ლალიონი უპირისპირებს მეორე ჯგუფს. ეს ჯგუფი ნაწარმოებში — როგორც რეაქციის პერიოდის საზოგადოებაშიც — შედარებით მცირერიცხოვანი ჩანს. სულ სამი კაცი თაა იგი წარმოდგენილი: ბიქტორ გაბილაშვილის, ვანო გარჯილაძისა და მარო ძიგურაშვილის სახით. უკანასკნელი ორი მხოლოდ ეპიზოდურად და საკმაოდ მკრთალადაც ჩანს ნაწარმოებში. შედარებით უკეთ არის დახასიათებული ბიქტორ გაბილაშვილის პიროვნება.

„ეს ახალგაზრდა იდეალებით გატაცებული, უანგარო პიროვნება იყო, რომელსაც სულ არ ახსოვდა პირადი კეთილდღეობა... ბიქტორი აღფრთოვანებით იყურებოდა წინ, უკეთესი მომავლისაკენ. მას უზომოდ აღელვებდა ყველაფერი, რაც ცხოვრების წინმსვლელობას, სასურველი დროის მოახლოვებას აფერხებდა.“²

ბიქტორი ფურცხალაძის ანტიპოდია ნაწარმოებში. მწერალი მათ უპირისპირებს არა როგორც რაყიფებს (ბიქტორის სიყვარული თინასადმი გა-

¹ „თინა“, გვ. 145.

² იქვე, გვ. 139.

ცილებით გვიან იჩენს თავს), არამედ როგორც ორი პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენელთ, ორი საპირისპირო პარტიის იდეოლოგიის მატარებელთ.

ამ ორი პარტიის ბრძოლა ძირითადად თავს იჩენს ილიასა და ბიქტორის სიტყვიერ პაექრობაში, რომელიც რამდენჯერმე მსხვილი კონფლიქტის საბაზიცი გახდა და რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტა თინას ბედიც.

გაბილაშვილი თამამად ილაშქრებს ილიას ზემოდანასიათებული სოციალური მრწამსის წინააღმდეგ და აშკარად ამტკიცებს, რომ „ხალხის შეგნება საფრთხეს უმზადებს მხოლოდ პარაზიტების განცხრომას“...

რა თქმა უნდა, რეაქციის მძვინვარების პერიოდში გაბილაშვილის იდეის გამარჯვება მრავალ წინააღმდეგობას ხვდება. გაბილაშვილს დაპატიმრებენ და მიუსჯიან 5 წლის კატორღას, როგორც „წევრს ისეთი ჯგუფისას, რომელსაც არსებული წესწყობილების დამხობა ჰქონდა მიზნად დასახული“. მაგრამ გაბილაშვილის საქმე დახშული არ ჩანს. რჩებიან მისი მეგობრები, რომლებიც მის საქმეს ემსახურებიან და, რაც მთავარია, რევოლუციის საქმისათვის თავდადებულთ ემატება გაბილაშვილის ხელმძღვანელობით აღზრდილი თინა ფურცხალაძისა.

ამიტომ, ვფიქრობთ, არაა მართებული კრიტიკაში გამოთქმული მოსახზრება, რომ „თინა“ უიმედობისა და გულგატეხილობის დაგვირგვინებას წარმოადგენს ლალიონის შემოქმედებაში.

თინას საზღვარგარეთ წასვლა კაპიტულაცია არ არის. მითუმეტეს, რომ ქმრისაგან მიყენებული ჭრილობის შემდეგ თინას მკურნალობა ესაჭიროებოდა.

თინას პიროვნების ასეთ ასპექტში განვითარება, მისი გადაქცევა მეშინური ოჯახის „სამკაულიდან“ საზოგადოებრივ მოღვაწედ, მწერლისათვის შემთხვევითი თემა არ არის.

ქალის, როგორც საზოგადოებრივი ინდივიდის, ამ საზოგადოების სრულყოფილებიანი და ძლიერი წევრის ჩამოყალიბების გზა მკვეთრად ჩანს ლალიონის შემოქმედების მთელს მანძილზე.

ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი შეგნების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ ქალის მამაკაცთან გათანასწორება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა კლასობრივი ჩაგვრა. ლალიონი თავის შემოქმედებაში გვაძლევს სამ ქალს, რომელთა ცხოვრების პერიოდები ერთმანეთისაგან დაახლოებით 10-10 წლით არის დაცილებული (გასული საუკუნის 90-იანი, 900-იანი და XX საუკუნის 10-იანი წლები), მაგრამ რომელთა შეგნება, ნებისყოფა და უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.

პირველი საფეხური ამ ხაზში უჭირავს ნინო ბედაძისას („ფირალი დაგლაძე“). ნინო სავესებით პასიური ჩანს არა მარტო როგორც საქვეყნო საქმის მოღვაწე, არამედ როგორც საკუთარი ბედის მკედელიც. მას ვერ გაუბედა

წინააღმდეგობა გაუწიოს მამას, რომელიც, ანგარებით მოწამლული, ძალად ათხოვებს შვილს საძულველ ნიკო კანლაძეზე. მისი პროტესტი მხოლოდ სიტყვიერი ხასიათისაა, ისიც საყვედურის სახეს ატარებს და არა წინააღმდეგობისას:— „საცოდაო ბაბეე,— ეუბნება იგი მამას,— გაგიჭირდა და მყიდი?... არაფერს არ გთხოვ ქვეყანაზე, ხმელაი ჭადი მაჭამე და იმას ნუ მიმცემ! მე რომ ნაკაბევი დამჭირდება, იმისას რაცხას კი გაფაკეთებ შინ!..“¹

მაგრამ ნინოს ცრემლი ვერ იხსნის. მას გაათხოვებენ და ამით სიცოცხლეს მოუშხამავენ და ბოლოს მოუსწრაფვიან კიდევც.

ნინოს ანტიპოლია ეფემია („ეფემიას ოცნება“). ეს ქალი ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნებაა, რომელიც თავის თავმოყვარობას, თავის ქალურ ღირსებას არავის გაათელვინებს.

ეფემიას ბედი ნინოშვილის ქრისტიანეს ბედს წააგავს იმ განსხვავებით, რომ გლეხი-ქალი ქრისტიანე აზნაურ უქმაძის მსხვერპლი შეიქნა, ხოლო აზნაური ეფემია— გლეხად ყოფილი, ბურჟუა პინტილიანისა. აქ, რა თქმა უნდა, ძირითადი როლი მიეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობის იმ ცვლას, რომელსაც აღგილი ჰქონდა იმ პერიოდის საქართველოში.

გიორგი პინტილიანმა დროიძეებისა და კანლაძეების მიერ გათელილი ბილიკით იარა. იგი ტიპიური ბურჟუაა 90—900-იანი წლების ქართული სინამდვილისა. მისთვის სოფელი მხოლოდ ზიზღის მომგვრელია, როგორც მისგანვე შურგშექცეული, ხოლო ქალაქი—ზრდის, მოგებისა და სიამოვნების ულავი საწყაული. გიორგი მზად არის ფულს ანაცვალოს სინილისიცა და გრძნობაც. სწორედ ამიტომ ფიქრობს, რომ ფულმა შეიძლება გათელილი ღირსება აუნაზღაუროს გიორგისგან შეურაცხყოფილ ეფემიას.

მაგრამ ეფემია თავმოყვარე ქალია. მან თავის რეაბილიტაცია გადაწყვიტა ჯერ მაშინ, როდესაც სოფელმა ჭორით შეაწუხა, და რა გასაკვირია, რომ ამასვე ცდილობს დღეს, როდესაც შეურაცხყოფილია ფაქტიურად, უსინდისო მამაკაცის წყალობით.

იმ დღეს, როდესაც გიორგის ცოლმა თვალი აუხილა ეფემიას, მის (ეფემიას) გულში იფეთქა შურისძიების ცეცხლმა:

„კაი, კაი, კმარა;—ხელის გაშვერით შეჰკივლა ეფემიამ,— ეხლა ყოლიფერი ვიცი... მივხთი! ჩემს მაგიერ, შენს მაგიერ, ყველაის მაგიერ ვიყრი ჯინს!“²

გამწარებულმა ქალმა თვითმკვლელობა განიზრახა, მაგრამ „ჯინის ყრის“ სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან თავი შეიკავა.

რით შეეძლო საზოგადოებაში ყოველგვარი ძლიერი კავშირის უქონელ, ყველასათვის უცნობ ახალგაზრდა ქალს ფულიანი და გავლენიანი პინტილიანისათვის სამაგიეროს გადახდა? რა გააჩნდა ეფემიას? ერთადერთი საუნჯე მისი იყო სილამაზე, და თავგანწირულმა ქალმა ეს ერთადერთი საგანი გადაიქნია ოქროს კერპის სამსხვერპლოზე: მან გაჰყიდა თავისი სილამაზე, მაგ-

¹ „ფირალი დავლაძე“, გვ. 34.

² იქვე, გვ. 108.

რამ გააჰყიდა იმ ფასად, რა ფასიც აუნაზლაურებდა დაკარგულ ოცნებას: ეს იყო პინტილიანის დაღუპვა. ეფემიამ თავისი სილამაზე მიჰყიდა მდიდარ ნავთის მწარმოებელს იმ პირობით, რომ იგი გააკოტრებდა გიორგის:

„იგიც ხომ კი შეგიძლიათ თქვენ, ისე მოაწყოთ საქმე, რომ ბანკიდან ფული არ მისცენ, არსად ფეხი არ მოაკიდებოთ... გაამწაროთ, დაღუპოთ... რაც კი შეიძლება, ნურაფერ სიავეს ნუ დააკლებთ!—გააფრთხილეთ იძახდა ეფემია...“

„—არ უნდა გაახაროთ, იცოდნენ ნურაფრით ნუ დაზოგავთ, ნუ, ნუ! აასრულეთ თუ არა ამას? სიტყვა მომეცი!.. მე ხომ გინდებვარ, ხომ...“

„სახე ქალს საშინლად შეეცვალა, მთელი სხეულის კანკალი მოუვიდა. ის თანდათან უმატებდა ხმას და ბოლოს ჯოჯოხეთური ხარხარით გაათავა“...¹

როგორ და რა გზით დაუკავშირდა ეფემია ნავთის მწარმოებელ Ne-ს, მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება. აშკარაა მხოლოდ ერთი: ქალმა ხელი აიღო ყოველგვარ მორალურ ნორმებზე და გადადიოდა ხელიდან ხელში მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლოს მიეღწია იმ სიმაღლის პირამდე, რომელიც დაღუპავდა მის დამღუპველს.

მართალია, თავისი მიზნის შესრულების შემდეგ ეფემიამ თავი მოიწამლა, მაგრამ ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას ქალის ნებისყოფის სისუსტით ისევე, როგორც ეფემიას შურისძიების გზა—უპატიოსნობით.

ეფემიას, რომელმაც ასეთ საშინელ ცხოვრებას მიჰყო ხელი, აღარ შეეძლო დაბრუნებოდა საზოგადოებას. სოფელში ის ყველას სამასხრო უნდა გამხდარიყო, ხოლო ქალაქში დარჩენა შეუძლებელი იყო. ვინ გაუღებდა კარს, თუნდაც მოახლედ, ქალს, რომლის კისერზე რამდენიმე წლის აღვირახსნილი ცხოვრების ტვირთი იყო? ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც ფარულად ყოველ წამსა და წუთს ყიდის, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას, —აშკარად მტკიცედ იცავს თავისი „მორალის“ ხელშეუხებლობას, რისხვასა და ზიზღს აფრქვევს მას, ვინც გაბედა და შელახა პატიოსნების საკაცობრიო იდეალები.

ეს კარგად იცოდა ეფემიამ და ამიტომ მოისწრაფა სიცოცხლე.

რომ ამ ქალს უდიდესი ნებისყოფა აქვს, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მან ამდენი ხნის განმავლობაში ზიდა შემადრწუნებელი ცხოვრების ტვირთი. მან თავი ანაცვალა შურისძიებას და მიადგო კიდევ საწადელს.

ეფემიას სახით ჩვენს ლიტერატურაში შემოდის ქალი, რომელსაც ღრმად შეუგნია თავისი ადამიანური ღირსება და იცავს მას ყოველგვარი მსხვერპლის საფასურად. მართალია, ეფემიას შებრძოლება არაა შეჭიდება საზოგადოებასთან, იგი აგებულება პირადულ საფუძველზე, მაგრამ ვიწრო—პირადულს მაინც სცილდება. ეს არის საერთოდ ქალის ღირსების დაცვა

¹ ფირალი დავლაძე, გვ. 111.

იმათვან, ვინც ამ ღირსებას პირადი სიამოვნებისათვის სთვლავს. აკი ეუბნება კიდევ ეფემია გიორგის ცოლს: „შენს მაგიერ, ჩემს მაგიერ, ყველას მაგიერ ვიყრი ჯინს“ (ხაზი ჩემია, გ. ც.).

რა თქმა უნდა, ეფემია არ შეიძლება ჩავთვალოთ ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლ პიროვნებად, მაგრამ ამ ქალის შეგნებაში უკვე აშკარად ჩამოყალიბებულია აზრი იმის შესახებ, რომ მარტო ის არაა შეურაცხყოფილი, არამედ ასეთებია სხვებიც, რომლებიც შურისძიებას მოითხოვენ. ამ თვალსაზრისით ეფემია ერთგვარად საერთო საქმისათვის იბრძვის: ქალის ქალური უფლებების შელახვისათვის პასუხს აგებინებს იმას, ვინც ამაში დამნაშავეა.

გარდა ამ შეგნებისა, ეფემიას კარგად ესმის აგრეთვე არსებული სოციალური ურთიერთობის დედაარსიც. ეფემიამ იცის ფულის ძალა: მდიდარი საქმროს ძებნამ შეუერთა ეფემია პინტილიანს. ფულის შოვნას ანაცვალა გიორგიმ ეფემია. მაშასადამე, საჭიროა კვლავ ფული გიორგის განადგურებისათვის: რაც უფრო დიდია ფული, მით უფრო დიდია მისი ყოვლისშემძლეობაცა და გამანადგურებელი ძალაც.

თუ ეფემიას ბრძოლა სტიქიურ ხასიათს ატარებს, ამას უკვე ვეღარ ვიტყვივით თინაზე („თინა“).

თინა შეგნებული მებრძოლია გარკვეული საზოგადოებრივი საქმისათვის. მას წინასწარ განსაზღვრული აქვს თავისი საზოგადოებრივი ასპარეზი და ის როლი, რომელიც უნდა ითამაშოს იქ.

„თინა“ ეს არის გზა ქალის გონების გახსნისა, მისი განვითარებისა, მისი მსოფლმხედველობის გაფართოების, 17 წლის „ინსტიტუტკას“ ფანტაზიებიდან სინამდვილის საღ ათვისებამდე, მის (ამ სინამდვილის) წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხის დასნამდე. მეტიც: ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღებამდე.

ინსტიტუტიდან გამოსვლის პერიოდში თინას ცხოვრების გამოცდილება იმდენად უსუსური იყო, რომ მას ყოველი ფრაზა სიმართლედ ეჩვენებოდა. ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი დაახლოება ილია ფურცხალაძესთან.

მაგრამ „სინამდვილე ნელნელა ირკვეოდა, იგი თანდათან უფრო მოსაწყენი და თავმომაბეზრებელი ხდებოდა“... ეს იმიტომ, რომ თინას ბუნებრივი ცოდნისმოყვარეობა და მოქმედების სურვილი იწვევდა დამოუკიდებელი სულიერი ცხოვრებისაკენ, ხოლო ილია ყოველმხრივ ცდილობდა ჩაეხშო ქალში ყოველგვარი „მე“. ქმარი „...ბეჯითად არიდებდა ცოლს ყველაფერს, რაც მას სხვა ინტერესებს აღუძრავდა, ასე თუ ისე ამ კეთილდღეობის (იფულისხმება ილიას მიერ შექმნილი ოჯახის „კეთილდღეობა“.—გ. ც.) მიმზიდველობას შეასუსტებდა“.¹

თინას პირველი ცდა საკუთარი სამყაროს შექმნისა იყო სამწერლო მოღვაწეობის დაწყება. ქალს სურდა საკუთარი წონა მოეპოვებინა საზოგადოე-

¹ „თინა“, გვ. 152.

ბაში. ყოფილიყო არა მარტო ცოლი ილია ფურცხალაძისა, არამედ თინათინ ფურცხალაძე.

ეს ცდა ილიას მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება, რადგან ამ პატივმოყვარე გვამს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო „მისი ცოლი მასზე მალლა მდგარიყო საზოგადოების თვალში“. ¹

ასეთი დამოკიდებულება აზოროტებდა ქალს და თანდათან აშორებდა ქმარს. გარკვეულ დრომდე ეს იყო მაინც შინაური, ოჯახური წინააღმდეგობა, რომელიც ფართე იდეურ ხასიათს არ ატარებდა.

მაგრამ როდესაც თინა დაუახლოვდა ბიქტორ გაბილაშვილის ჯგუფს, როდესაც მან აშკარად დაინახა, რომ არსებობს სხვა ასპარეზი ადამიანის სულიერი ძალებისათვის, რომ არსებობს ხალხი, რომელიც უკვე მოღვაწეობს ამ ასპარეზზე და ყველგანა და ყოველთვის თინას საუკეთესო მეგობარი იქნებოდა, — აი, ამ დროიდან იწყება თინასა და ილიას აშკარა მტრობა; ახლა ისინი ერთი ოჯახის ორი შემდგურებული წევრი კი არ არიან მხოლოდ, არამედ მოპირდაპირე საზოგადოებრივი ბანაკის, ორი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

თინა ჩაება გაბილაშვილის ჯგუფში, რადგან, მისი რწმენით, „მშრომელი ხალხის ქეშმარიტი გულშემატკივარი იმ მუშაკთა რიგში უნდა იდგეს, ვინც ამ ხალხის იდეალებისათვის იბრძვის“. ²

შინაგანი მტრობა, რომელიც წლების მანძილზე მწიფდებოდა ცოლქმარს შორის, აშკარა და საჯარო შეტაკებაში გადავიდა. თინამ სასტიკად გაილაშქრა საერთო კრებაზე ილიასა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ხალხის საქმე რაღაც „რჩეულთა ჯგუფმა“ უნდა განავოს.

„...ხალხი თვით უპატრონებს თავის საქმეს, — წარმოსთქვა თინამ, — იგი აუცილებლად უნდა შეეჩვიოს თვითმოქმედებას, რომ თვითონაც განავოს თავისი ბედი... ვინც ამას უარყოფს, იგი სასტიკად შეურაცხყოფს ხალხს, იგი მისი მოსისხლე მტერია“ ³

აქედან ლოგიკური დასკვნა: თინა, რომელიც ხალხის მხარეზეა, მოსისხლე მტერია თავისი ქმრის, ილია ფურცხალაძის, რომელიც ხალხის ინტერესების წინააღმდეგ ილაშქრებს.

ამის შემდეგ თინა მტკიცედ გადაწყვეტს დასტოვოს ქმრის ოჯახი. მაგრამ აქ მას სხვა სიძნელე ხვდება. ეს არის პატარა შვილი, რომელიც ზედისა და უხერხემლო მამის ანაბარა უნდა დარჩეს. თინას ცხოვრებაში მძიმე დრამად გადაიქცა ის, რის გაკეთებაც ცოტა ხნის წინათ უმტკივნელოდ შეეძლდა. ერთმანეთს შეეკიდა ორი დიდი გრძნობა: საზოგადოებრივი მოვალეობის, პიროვნული თავისუფლებისა და შვილისადმი მოვალეობის, დედობრივი სიყვარულისა.

¹ „თინა“, გვ. 152.

² იქვე, გვ. 155.

³ იქვე, გვ. 160.

ქიდილსა და ყოყმანში ჩაისახა თინას რწმენა იმისა, რომ მან უნდა გასწიროს შვილი. ამ შემთხვევაში თინა მოიქცა არა როგორც გონებაზე ხელაღებული ფანატიკოსი, არამედ როგორც ღრმა პასუხისმგებლობით აღჭურვილი გონიერი ადამიანი: სახლში დარჩენა თინასათვის საკუთარი პიროვნების უარყოფა იყო, ხოლო „ის, ვინც თავის პიროვნების გათელვას ურიგდება, ვინც თავის თავს პატივს არ სცემს, იგი ვერ აღზრდის ნორმალურ ადამიანს“. ¹ გარდა ამისა, მშობლებს შორის მუდმივი შუღლი, „ყოვლად შეუწყნარებელი დამოკიდებულება... მუდმივი ბრძოლა და უსიამოვნო სცენები ხომ პირდაპირ დამლუპველ გავლენას იქონიებს ბავშვზე“. ²

და თინა წავიდა. მან საბოლოოდ გაწყვიტა ოჯახის ბორკილი, რომ საზოგადოების სამსახურისთვის მშრომელი მასის კეთილდღეობისათვის — შეეწირა თავისი ძალა.

ასეთია ქალის შეგნების განვითარების გზის ჩვენება ლალიონის შემოქმედებაში. ნინო — ეფემია — თინა — ესენი არიან დიდი მნიშვნელობის იდეოლოგიური ძვრების მაჩვენებლები საქართველოს სინამდვილეში.

ლალიონის მიხედვით ქალის განვითარების გზა წააგავს ნინოშვილის გლეხის პროტესტანტული სულის განვითარების გზას, რომელიც, ჩვეულებრივად, ლიტერატურულ კრიტიკაში სამი გმირითაა წარმოდგენილი: კაცია მუნჯაძე — გოგია უიშვილი — სიმონა ძალაძე.

მაგრამ ამ ორი სამეფულის დაპირისპირებაში უკვე აშკარად ჩანს, თუ რა დიდი ნაიჯი გადადგა წინ საქართველომ მომავალი რევოლუციის გზაზე.

კაცია „მუნჯია“, მას გონებაშიც კი ემინია მთავრობის საწინააღმდეგო რამ თქვას. მას თავისთავისთვისაც ვერ აუხსნია, რატომ არის ის ვალდებული უდარაჯოს „დიდი კაცის“ მატარებელს...

ნინო აშკარად გრძნობს, რომ მისი გათხოვება არსებული სოციალური ურთიერთობის გარდაუვალი ნაყოფია. ბაზარი მეფობს და საქონლად იქცა ყველაფერი, — თვით საკუთარი შვილიც. „გაგიჭირდა და მყიდის — უსაყვედურებს იგი მამას.

გოგიაცა და ეფემიაც თვითმკვლევლობით ამთავრებენ სიცოცხლეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ შურს იძიებს და შემდეგ ესალმება წუთისოფელს. სიმონასა და თინას შორის ხომ მთელი უფსკრულია. სიმონა არის პირველი სუსტი მერცხალი იმ გაზაფხულისა, რომელიც თინასა და მისთანებს მოჰყავთ.

ყველა ზემოთქმულს უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ნინოშვილის შემოქმედებაში მამაკაცები მოქმედებენ, ე. ი. საზოგადოების მეტნაკლებად დამოუკიდებელი წევრები, რომელთაც თავიანთი თავი ეკუთვნით პირად ცხოვრებაში მაინც, ხოლო ლალიონის შემოქმედებაში განვითარების გზას გვაძლევს ქალი, არსება დაჩაგრული, საზოგადოებრივადაც, ოჯახურ ურთიერთობაშიც და თავისი ბიოლოგიური არსებითაც.

¹ „თინა“, გვ. 177.

² იქვე.

ლალიონის მიერ წამოჭრილი ეს საკითხი აუცილებლად ყველაზე უფრო პროგრესული კითხვაა მის შემოქმედებაში. კიდევ მეტი: ქალის, როგორც რევოლუციური ძალის, დანახვის თვალსაზრისით მას პირველობა ეკუთვნის ქართულ ლიტერატურაში.

თავისთავად ცხადია, რომ მწერალი, რომელიც თავის შემოქმედების თემად გაიხდის რევოლუციას, გვერდს ვერ აუხვევს რევოლუციის უდიდესი მამოძრავებელი ძალის—პროლეტარიატის ჩვენებას. ლალიონიც ერთგვარად ცდილობს ამ საკითხის დაძლევის. ეს ცდა მოცემულია მის მოთხრობაში „ეს არის ჩვენი ბედნიერი დღე!“.

ნაწარმოების სიუჟეტური რკალი საავადმყოფოს კედლებში იშლება. მწერლის ძირითადი მიზანია დაგვანახოს ის ღრმა სოციალური უთანასწორობა, რომელსაც თვით ამ დაწესებულების კედლებშიც გაუდგამს ფესვი. ფულის სუნიტ გიჟდენთილ ატმოსფეროში ფულით იყიდება ექიმის პროფესიული სინიდისიც კი. მოვლა და ყურადღება აქვს იმას, ვისაც საშუალება აქვს ამ მოვლისათვის საფასური გაიღოს. „დანარჩენებისათვის ზრუნვა კი უსიამოვნო მოვალეობად, აუცილებელ ბოროტებად მიაჩნიათ“.¹

აი, ამ ატმოსფეროში გვიჩვენებს მწერალი ახალგაზრდა მუშას, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩამოსულა ქალაქში, სადღაც წარმოებაში დაუწყია მუშაობა და მანქანის საორთქლე ქვაბის მსხვერპლი გამხდარა.

ადამიანის სიცოცხლის „გულმხურვალე დარაჯებმა“ ნახევარ საათში დაუსხვეს დიაგნოზი:—„В мертвецкую!“

მწერალს აქ ერთი დამახასიათებელი შტრიხიც შემოაქვს: ის გვამცნობს, რომ მუშა დილიდან მშვიერი ყოფილა და ახლა რომელიღაც ამხანაგმა ღარიბული ლუკმა შემოუგზავნა, ლუკმა, რომლის ქაბა მას აღარ უწერია.

როგორც ვხედავთ, ლალიონი აშკარად ხედავს, რომ ქალაქის პროლეტარიატს ქმნის მიწას მოწყვეტილი გლეხი და რომ ამ კლასის ცხოვრება ეს არის ისეთივე ტანჯული ბრძოლა პურის ნამცეცისათვის, როგორც სოფლის მოსახლეობისა.

მაგრამ ლალიონის შემოქმედებაში არ ჩანს, რომ სწორედ ეს კლასი წარმოადგენს რევოლუციის პრაქტიკულ განმახორციელებელს.

ლალიონი თუმცა ამბობს „თინაში“, რომ ხალხის საქმეს თვით ხალხი უნდა ქმნიდესო, მაგრამ მის შემოქმედებაში პრაქტიკულად გათიშულია ერთმანეთისაგან კლასი და პარტია. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ლალიონის იდეოლოგიაში—წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიაში. მისთვის, როგორც ამ იდეოლოგიის მატარებლისათვის, კაცობრიობის პროგრესში უდიდესი როლი ენიჭება ინტელიგენციას, საზოგადოების თეორიულად შეიარაღებულ ნაწილს. ამ საკითხში იჩენს თავს მწერლის იდეალიზმი. მის მიერ თეორიის გათიშვა პრაქტიკისაგან და პირველის პრიმატის აღიარება. მას ინსტიტუტურად ეშინია კიდევ პროლეტარიატის ესოდენი სიძლიერით მოქმედი

¹ „ესაა ჩვენი ბედნიერი დღე!“—გვ. 185.

რევოლუციური ძალისა და თავის შემოქმედებაში გვერდსაც უვლის მის ასეთად წარმოდგენას.

რამდენიმე სიტყვა ლალიონის როგორც მხატვრის შესახებ.

ამ საკითხის დასმისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ლალიონის თხზულებანი მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან მხატვრული დამუშავებისა და ოსტატობის მხრივ.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ხაზი გაგვესვა „რაქვიანასა“ და „ბეჟუკას ხვედრის“ ლირსებებისათვის. ამ პირველში მაინც ლალიონი ათავსებს მთელ თავის შემოქმედებით ძალას და, შეიძლება ითქვას, მხატვრულად უნაკლო ნაწარმოებს ქმნის.

გლახუნას სახის გამოკვეთაში ლალიონმა ფართოდ გამოიყენა კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი ცრენლიანი სიცილი—კომიზმი, რომელსაც საფუძვლად დრამა უდევს.

არ შეიძლება ღიმილი არ მოჰგვაროს მკითხველს გლახუნის ტრაბახმა, როდესაც ის ძმის შესახებ ლაპარაკობს: „ოცდაოთხი კლასი გაათავა, არაფერი დუუტიებია უსტავლელი“.

ან კიდევ: „ამას წინეთ მომწერა, საცხა, გრანიცაში, ევროპიაში, უნდა წვედიო, სწავლულებმა თავი უნდა შევიყაროთო, რაცხა უნდა გამეიკვლიონ და დაადგინონ თურმე. ყველა სახელმწიფოდან მივა თითო-ოროლა კაცი და აქედან მე მგზავნიანო. ათიათასი მანეთი მუუცემიენ ხაზინიდან სახარჯავათ“.¹

მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე სიბრაღულიც არ იგრძნოთ ამავე მკვება-რასადმი, რადგან მისი კვების საფუძველია ძლიერი სურვილი რაპენიარად ამაღლდეს სოფლის თვალში, რაღაც ლირსება შეინარჩუნოს, თუნდაც ძმის საშუალებით შეიქმნას დაკარგული ავტორიტეტის სულ პატარა ნაწილი მაინც: „ღმერთო შენით, მტერს არ გავახარებ!“—აი, რას ეყრდნობა გლახუნას ტრაბახი.

ამ მოთხრობაში ყოველი დეტალი ღრმად გააზრებული და წინასწარ მოფიქრებული ჩანს. გმირის დახატვისას მწერალი რამდენიმე ისეთ სპეციფიკურ შტრიხს იძლევა, რომ თუმცა გლახუნას პორტრეტი არსად არის აღწერილი, მაგრამ ძნელი არაა მისი წარმოდგენა.

როგორც გლახუნას, ისე ვასოს სახე უაღრესად დინამიურია. მწერალი არაფერს გვეუბნება მათი ხასიათების შესახებ. ეს ხასიათები ვლინდება მათ საუბარში, სავნებასა და აღამიანებთან მათ დამოკიდებულებაში.

გარდა ამისა, ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს სიუჟეტის აღმავალი, სწორხაზოვანი განვითარებით. ამ განვითარებაში საკვანძო ძაფად გამოყენებულია გლახუნას ფსიქოლოგიური ბუნების გახსნა, და უნდა ითქვას, მწერალი აქაც სათანადო სიმაღლეზე დგას.

გლახუნას საუბარი ვასოსთან ქალაქში და მისი მონოლოგი ნაწარმოების ბოლოს, დუქნის წინ, ორმხრივ არის საყურადღებო: ერთი, ეს არის შესანიშ-

¹ „რაქვიანა“, გვ. 55.

ნავად შესრულებული სურათი გმირის ფსიქოლოგიური განცდისა, ხოლო მეორე, ეს არის წარმოსახვა უკანასკნელ იმედს მოკლებული, სასოწარკვეთილებამდე მისული, დეკლასირების გზაზე დამდგარი აზნაურისა.

ნაწარმოების სტილიც გამოცდილი ოსტატის ბეჭედს ატარებს. ყოველი წინადადება ერთი გარკვეული დანიშნულებისაა: იგი აძლევს შემდგომ მსვლელობას ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის აღმავლობას და, ამასთანავე, გარკვეული ემოციონალური როლიც აკისრია.

ძმების დაპირისპირებისათვის, ე. ი. იმის ხაზგასმისათვის, თუ რა განსხვავებული კატეგორიის ხალხს წარმოადგენენ ისინი, მწერალი მოხდენილ ხერხს მიმართავს: ბედისა და კაცისაგან დაჩაგრული, მასხრად აგდებული გლახუნი ოცნებობს „წელში გაიმართოს... ყველა განაცვიფროს“.

„ამ სურვილის შესრულებაზეა ეხლა დამყარებული გლახუნის მთელი მომავალი, მისი ბედი. ეს მისთვის „ყოფნა არ ყოფნის“ კითხვაა... მაგრამ ნუთუ ეს ოცნებად უნდა დარჩეს? გლახუნი მარტო არ არის, მას ჰყავს უმცროსი ძმა, რომელიც ეხლა სწავლაშია“...¹

აი ამ აზნაცს გადაეყავართ გლახუნსაგან ვასოსთან. ნახევრად გმირისეული, ნახევრად ავტორისეული ფორმულირება ამ აზრისა ხდება ახალი საფეხური გლახუნის ფსიქოლოგიის გახსნის განვითარებისა, ერთი მხრივ, და ავტორის იდეის ერთი კომპონენტიდან მეორეზე გადასვლის ბუნებრივი ხერხი—მეორე მხრივ.

მოთხრობის ენა მარტივია, მკვეთრი, ლაკონური. მაგალითად: „დრო გადიოდა. ვასოს სწავლა დასასრულს უახლოვდებოდა. გლახუნი სიხარულით ცას ეწეოდა“.²

ან კიდევ: „იენისის დილა იყო. ხის ფოთლებიდან ჩამონადენი ცვარი აქა იქ კიდევ ეპკურებოდა დედამიწას. აცრემლებული ბალახი მზიარულად უღიმოდა მაცოცხლებელ მნათობს. ზინამ კარი გააღო. ოთახში გრილი ნიავი შემოიჭრა“.³

როგორც ვხედავთ, აქ ყოველ სიტყვას მკვეთრად განკუთვნილი ადგილი უჭირავს, ყოველი წინადადება გარკვეულ სახეს ქმნის. ეს სახეები ერთიმეორეში შეუმჩნევლად, ლოგიკურად გადადიან.

ასეთია „რაქვიანა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაწარმოები ბედნიერ გამონაკლისთა რიგს ეკუთვნის.

მოთხრობის უდიდეს ნაწილს აკლია მხატვრული შესრულების ოსტატის ხელი და ამის გამო, იდეურ-შინაარსობრივი მართებულობის მიუხედავად, ბევრს კარგავს მკითხველის თვალში.

ლალიონის შემოქმედების უპირველესი ნაკლი არის ის, რომ მას რიგ შემთხვევაში ღალატობს რეალისტური თანამიმდევრულობა. ამ მხრივ განსა-

¹ „რაქვიანა“, გვ. 54.

² იქვე, გვ. 55.

³ იქვე.

კუთრებით სკოდავს „ფირალი დავლაძე“, რაზედაც უკვე ზევეთაც იყო საუბარი.

იგივე ნაწარმოები მეორე ნაკლსაც შეიცავს: ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ ალექსი უნდა დაედუბა მწერალს, როგორც უსუსური მებრძოლი და ღუბავს კიდევ. მწერალი ამ შემთხვევაში მართებულად იქცევა. მაგრამ მწერალი შეცდა მაშინ, როდესაც ალექსი ასეთი უხერხემლო პროტესტანტის სახით დაგვიხატა. ალექსი რომ ნინოშვილის სიმონას პროტოტიპი ყოფილიყო, მისი ასეთად წარმოდგენა გამართლებული იქნებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართულმა ლიტერატურამ უკვე ოთხი წელიწადია, რაც სიმონას სახე შექმნა, ისეთი პიროვნებისა, რომელიც აშკარა და უკაბიტულაციო სისხლიანი პროტესტის გზას ადგია, — ალექსი მეტად ჩია და უსუსურია,

მწერალს უნდოდა ეჩვენებინა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის კიდილში ვასრესილი „მესამე წოდების“ შეგნების გაღვიძება, მაგრამ ვერ მოახერხა. ამის ნაცვლად მას გამოუვიდა ფერმკრთალი ლანდი, რომელიც ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას ვერც „შეუფერავი სინამდვილის“ გადმოცემის და ვერც მხატვრული სახის შექმნის თვალსაზრისით. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ალექსი გამოექცა უსამართლობას მხოლოდ იმისთვის, რომ „სადმე ერთ ტყვიას“ გააციებინოს თავი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მომენტი: ალექსის ასეთი უფერული წარმოდგენა შემთხვევითი არ არის. ლალიონის ყველა დადებითი გმირი, განურჩევლად ნაწარმოებისა, ლანდისებურ ხასიათს ატარებს.

ცნობილია, რომ სრულქმნილი დადებითი გმირი მხოლოდ დიდი მხატვრის ნაყოფს წარმოადგენს. ეს დიდი მხატვრული ერუდიცია კი უდავოდ ლალატობს ამ შემთხვევაში ლალიონს.

საკმარისია გავიხსენოთ რევოლუციონერთა სახეები მოთხრობიდან „თინა“, რომლებზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ბიქტორს ჩვენ ვეცნობით ავტორის რეკომენდაციით. ვიცით, რომ ის „იდეალებით გატაცებული“, „უანგარო ახალგაზრდა იყო“, ამის შემდეგ ჩვენ ნაწარმოებში რამდენიმეჯერ ვისმენთ ბიქტორის საჯარო გამოსვლას, სადაც ის მოხდენილად და სამართლიანად მსჯელობს. მაგრამ ფაქტიურად ამის მეტი მასზე არაფერი ვიცით. გვიჭირს კიდევაც დავადგინოთ, რომელი კლასისა თუ ფენის წარმომადგენელია გაბილაშვილი? ჩამოყალიბებული რევოლუციონერია იგი, თუ მხოლოდ „იდეალებით გატაცებული“ ახალგაზრდა, რომელიც გარკვეულ სადგურამდე გაჰყვება რევოლუციის ჯავშნოსან მატარებელს?.. ავტორმა იგი ციხემდე მიიყვანა, ე. ი. პირველ განსაცდელამდე და იქ, სადაც უნდა გამოჩენილიყო ბიქტორის ბრძოლისუნარიანობა, მიატოვა კიდევ. იქნებ ბიქტორი კოლია დროზდოვის (ჭ. ლომთათიძე „საპყრობილეში“) მოძმედ იქცა? თუ გორკის პავლე ვლასოვის სიმალღემდე ავიდა? — მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება, რადგან ავტორმა ვერ დაარწმუნა მკითხველი ბიქტორის სულიერ ძალაში, არ წარმოადგინა იგი პრაქტიკულ საქმიანობაში.

¹ „რაქვიანა“, გვ. 55.

ლალიონის შემოქმედებაში მკვეთრად შეინიშნება განსაკუთრებით ორი ვარემოება:

1. ლალიონი ვერ ერევა ფართე საზოგადოებრივი მოვლენებისა და გმირების ხასიათების განვითარების პროცესის ჩვენებას. ამის გამო მის მიერ აღებული დიდი მოცულობის ტილოები მხატვრულად უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, ვიდრე პატარა მოთხრობები.

2. მწერალი ვერ ახერხებს დადებითი გმირის ჩვენებას მის ყოველდღიურ საქმიანობაში, რის გამოც ის წარმოსახულია სქემატურად და არადამაჯერებლად.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ლალიონის მემკვიდრეობა მაინც ფასეულია ჩვენთვის, როგორც ნინოშვილის სკოლის ღირსეული და დამოუკიდებელი გამგრძელებლისა.

ლალიონმა თანამედროვეობასთან შეფარდებით გადაჭრა მრავალი ადრე წამოყენებული კითხვა, გაამდიდრა თავისი წინამორბედის იდეურ-თემატური სალარო, ბოლოს, გარკვეული საკითხების დასმით სრულიად ახალი სიტყვა სთქვა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ქართული ლიტერატურის

ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1955. II. 5.)

В. Цискаридзе

Творчество Лалиони

Резюме

Грузинский писатель конца XIX и начала XX века Лалиони (А. Мамулайшвили) является представителем литературной школы Э. Ниношвили. Несмотря на это, Лалиони нельзя назвать эпигоном. Развивая тематико-идейную сторону творчества Ниношвили, Лалиони обогащает ее новыми мотивами, соответствующими эпохе; так, например, в творчестве Лалиони мы видим грузинскую леревню не только конца XIX в., но и периода реакции. Соотношение социальных сил принимает уже более резкое очертание и явно вырастает в революционное противоречие. Рассказы Лалиони носят оптимистический характер, они выражают веру в победу революции, дают картины революционной деятельности общества в период реакции.

Актуальность тем и правильное разрешение отдельных проблем не исключают общего мелкобуржуазного характера идеологии писателя, но несмотря на это, Лалиони сыграл определенную положительную роль в грузинской литературе, проповедуя демократические идеи, в частности, идею победы революции.

Художественное мастерство Лалиони в общем (исключение представляют отдельные рассказы) сильно отстает от мастерства Ниношвили, но стиль его творчества тот же, что и его предшественника.

Лучшим произведением Лалиони является его рассказ „Разбойник Давладзе“, получивший высокую оценку первого представителя марксистской критики А. Цулукидзе.

6. ქაჭალაძე

ჰომეროსის წინაღობინდელი პოეზიის საკითხისათვის

ბერძნებს ეპოპეის, ჰომეროსის ეპოსის, შექმნამდე გააჩნდათ პოეზიის გარკვეული ნიმუშები. სამწუხაროდ, ამ ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. იმის შესახებ, თუ რა სახისა იყო და რა შინაარსის მატარებელი ჰომეროსის წინაღობინდელი პოეზია, ჩვენ ვიგებთ ან თვით „ილიადასა“ და „ოდისეაში“ დაცული ცნობებიდან, ანდა უფრო გვიანდელი ავტორების მოწმობებითა და სხვადასხვა ლიტერატურული ფაქტების შეჯერებით. ჩვენს შრომაში მოტანილია ორი ფაქტი; ისინი მცირე ნათელს ჰფენენ ბერძენთა უძველესი პოეზიის ზოგიერთ საკითხს. შრომის პირველ ნაწილს დღის სინათლეზე გამოაქვს დიოდორე სიცილიელის ცნობა ჰომეროსის წინაღობინდელი პოეტების მიერ პელაზგური დამწერლობის გამოყენების შესახებ, მეორე ნაწილში კი „ოდისეის“ ორი უძველესი ადგილია მითითებული. ეს ადგილები ჰომეროსზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო შექმნილი და იმ უძველესი ეპოქის ამბებს უნდა გადმოგვცემდეს, რომელსაც კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების მკვლევარნი მატრიარქატის ხანას უწოდებენ.

1. დიოდორე სიცილიელი პელაზგური დამწერლობის შესახებ

ანტიკური ქვეყნების მწერლებთან არაერთგზის ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ საბერძნეთისა და იტალიის ავტოხთონები ბერძნები და იტალიელები არ ყოფილან, რომ ამ ქვეყნებს უძველეს ხანში ასახლებდნენ პელაზგურ-ტირენული ტომები. ეს ტომები მატერიალურად და სულიერად განვითარების ვაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე მათ ტერიტორიაზე შემდეგ შემოსული ხალხები. ახლად მოსულებმა ბევრი რამ შეიძინეს ადგილობრივ მკვიდრთაგან, ბევრ რამეში მათგან დავალებული აღმოჩნდნენ. ანტიკური ტრადიცია სრულიად გარკვევით გადმოგვცემს იმას, რომ ქვეყნის დამპყრობლებს მათზე უფრო კულტურული ხალხის დაჩაგვრა მოუხდათ და იმასაც, რომ ამ კულტურის ერთი ნაწილი დამპყრობლებმა შეითვისეს.

საბერძნეთში აბორიგენული მოსახლეობის არსებობის შესახებ გადმოგვცემს ჰეროდოტე (1, 57), ლოგოგრაფოსი ჰეკატაიოს მილეტელი (ფრ. 334), თუკიდიდეს ისტორიის მრავალი ადგილი, სტრაბონი (VII, 3, 21) და ბერძენ მწერალთა სხვა ურიცხვი შრომები. ამავე შრომებში ჩვენ ვხვდებით არაპირ-

დაპირ მითითებას წინაბერძნული ტომების კავკასიასთან დაკავშირების შესახებ. ასეთია არიანეს ცნობა ქალღმერთ ფასიანეს (რეა-კიბელას) შესახებ (შავი ზღვის პერაპლუსი¹, 9), არგონავტების მითის ჰეროდოტეს მიერ მოცემული თავისებური ვარიანტი (ისტორია, I), სადაც ტროელები და კოლხები მონათესავე ტომებადაა მიჩნეული, ჰომეროსის ცნობა იმის შესახებ, რომ ხალიბები ტროელების მოკავშირეები იყვნენ. (B, II, 11), ჰესიოდეს „თეოგონიის“ ბოლო ლექსი აეტის დის, კირკეს, ბატონობის შესახებ ტირსენებზე და სხვა.

ახალი დროის მკვლევართათვის დადგენილად ითვლება საბერძნეთში ბერძნების შემოსვლამდე წინაბერძნული მოსახლეობის არსებობის ფაქტი. სხვა საკითხია ის, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ტომები, რომელთაც ხმელთაშუაზღვის აუზი ეკავათ უხსოვარ დროში. XIX—XX ს-ის მკვლევართათვის თავსატეხ საკითხად ითვლებოდა ეგეოსის რაიონის უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხი. ყველასათვის ცხადი გახდა ის, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გამოყენებულ იქნას მიღწევები ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ეპიგრაფიკის. სამწუხაროდ, ბევრი მკვლევარი მხოლოდ საკუთარი მეცნიერებით იფარგლებოდა და არ ითვალისწინებდა სხვა მეცნიერების მონაცემებს. ასეთ უგულებელყოფაში ბრალს დებს ვლ. გეორგიევს აკადემიკოსი ა. ტიუმენევი. ტიუმენევის შენიშვნით, გეორგიევი ხანდახან მხოლოდ ლინგვისტურ მონაცემებს ეყრდნობა და არქეოლოგიას სრულებით არ იყენებს, ხოლო ლინგვისტური მონაცემები წინაბერძნული ენებისა მეტად ბუნდოვანია².

XIX ს-ში მკვლევართა უმრავლესობისათვის გარკვეულად მიჩნეული იყო საბერძნეთის უძველესი მოსახლეობის არაინდოევროპული წარმომავლობა, ასეთი იყო, მაგ., ჰუგო კიპერტისა და აგვუსტ ფიკის აზრი. ამ მიმართულების დამაარსებლად განსაკუთრებით ითვლება პაულ კრეჩმერი³, რომელმაც -vმ სუფიქსის აღმოსავლური წარმოშობის აზრი ამტკიცა სხვადასხვა არგუმენტებით. კრეჩმერმა 1940 წ. ნაწილობრივ დათმო თავისი პოზიციები და წინაბერძნულ მოსახლეობაში დაუშვა ორი ფენის არსებობა: 1. შუაევროპული ფენის — ინდოევროპული წარმოშობისა (პროტინდოევროპული ფენა) და მცირეაზიული ფენის — არაინდოევროპული წარმოშობისა³.

ედუარდ მაიერსაც საბერძნეთის უძველესი მოსახლეობა თავისებური ეთნიკური თვისებების შემცველად მიაჩნდა⁴, ასევე ალფრედო ტრომბეტის⁵.

¹ А. Тюменев, К вопросу об этногенезе греческого народа, ВДИ, 1953, IV, стр. 64.

² P. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der gr. Sprache, 1896.

³ P. Kretschmer, Die vorgr. Sprach- und Volksschichten, Glotta, 28, 1940, 231—278.

⁴ Ed. Mayer, Geschichte des Altertums, B. III—V, 1915—1921; Forschungen zur alten Geschichte; Die Pelasger in Attika und auf Lemnos, 1889.

⁵ Alfredo Trombetti, Elementi di Glottologia; Zur Toponimik der Mittelmeergebiets.

ამავე გზას ადგია ელუარდ შვიცერიც¹, რომელიც მეტი გარკვეულობით უსვამს ხაზს პელაზგურისა და მცირე აზიის ენების აღმოსავლურ წარმოშობას. ანტუან მეიე ამბობს, რომ ეგეოსის რაიონში არსებული უძველესი ენები უკავშირდებიან კავკასიურ ენებს და მათი ბუნების გასაგებად საჭიროა ჯერ კავკასიური ენების შესწავლა².

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მონაპოვარი ხშირად ადასტურებენ წინაბერძნული მოსახლეობის მატერიალური კულტურის ძეგლების აღმოსავლურ წარმოშობას და აქა-იქ კავშირსაც კავკასიურ ელემენტთან³.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტისმეტად გაცხოველდა კამათი წინა აზიის და ხმელთაშუაზღვეთის უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზის შესახებ. მ. ვენტრისის მიერ მიკენის ხანის წარწერების გაშიფრვამ მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსის კუნძულებზე XV—XIII საუკუნეებში გაბატონებული იყო ინდოევროპული, ბერძნული ელემენტი და ენაც ბერძნული იყო⁴. წინამოსახლეობის არსებობის ხანა კი ამ საუკუნეებზე უფრო ადრე უნდა ვეძიოთ.

ბულგარელმა მეცნიერმა ვლ. გეორგიევმა მრავალჯერ უარყო წინაბერძნული ენების აღმოსავლური წარმოშობა, არაერთგზის ამტკიცა პელაზგურისა და მცირე აზიის ენების ინდოევროპულობა თავის შრომებში, რომელთა ნაწილი ВДИ-შიც გამოქვეყნდა.

ამ ბოლო ხანებში საბჭოთა კავშირში გამოსული მრავალი ნაბეჭდი გვერდი მიედევნა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვეთის მოსახლეობის საკითხებს. მკვლევართა დიდი ნაწილი დაექვებულია ამ უძველესი ხალხების აღმოსავლურ წარმოშობაში და ინდოევროპულობას უჭერს მხარს. კავკასიურ ელემენტთან კავშირს გამოკვლევათა უმრავლესობა უარყოფს. საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავს მეცნიერთა ერთი ნაწილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველენათმეცნიერთა პოზიცია⁵. ВДИ-სა და „Вопр. языкознания“-ს ფურცლებზე ცხოველი კამათია გამართული ამ საკითხების გარშემო, მაგრამ პრობლემის ან ერთი მხრით, ან მეორე მხრით გადაწყვეტას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

როგორც ვხედავთ, საბერძნეთის უძველესი მოსახლეობის, პელაზგების, საკითხი დღეს მეცნიერებაში მეტად მწვავედ დგას და ამ ფონზე საკმაოდ მნიშვნელობა ენიჭება I საუკუნის ძვ. წ. ისტორიკოსის, დიოდორე სიცილიელის, ცნობას. დიოდორე სიცილიელი „ისტორიული ბიბლიოთეკის“ მესამე წიგნში გადმოგვცემს შემდეგს:

¹ Ed. Schwyzer, Griechische Grammatik, B. I—III, 1939, 50, 53.

² A. Meillet, Histoire de la langue Graecque, 1930, 1936.

³ იხ. შრომები შემდეგი მკვლევარებისა: J. Friedrich, W. Brandenstein, A. A. Захаров, Б. А. Куфтин, Hommel, Fritz, გ. გობეჯიშვილი. გ. ჩიტია და სხვ.

⁴ M. Ventris and J. Chadwick, The evidence of Greece dialect in the Mycenaean archives, IHS 73 (1953).

⁵ იხ. ა. ჩიქობავას და ქ. ლომთათიძის შრომები (განსაკუთრებით ყურნ. Впр. языкознания“ უკანასკნელ წლებში).

III, 66, 67

3,66. Διονυσίῳ τῷ συνταξαμένῳ τὰς παλαιὰς μυθοποιίας. οὗτος γὰρ τὰ τε περὶ τὸν Διόνυσον καὶ τὰς Ἀμαζόνιας, ἔτι δὲ τοὺς Ἀργοναύτας, καὶ τὰ κατὰ τὸν Ἰλιακὸν πόλεμον πραχθέντα καὶ πόλλ' ἕτερα συντέτανται, παρατιθεῖς τὰ ποιήματα τῶν ἀρχαίων, τῶν τε μυθολόγων καὶ τῶν ποιητῶν.

3,67. Φησὶ τοίνυν παρ, Ἑλλησι πρῶτον εὐρετῆν γενέσθαι Δίον ῥυθμῶν καὶ μέλους, ἔτι δὲ Κάδμῳ κομίσαντος ἐκ Φοινίκης τὰ κεισόμενα γράμματα πρῶτον εἰς τὴν Ἑλληνικὴν μεταθεῖναι διάλεκτον, καὶ τὰς προσηγορίας ἐκάστην τάξαι καὶ τοὺς χαρακτήρας διατυπῶσαι. κοινῇ μὲν οὖν τὰ γράμματα Φοινίκεια κληθῆναι διὰ τὸ παρὰ τοὺς Ἑλληνας ἐκ Φοινίκων μετενεχθῆναι ἰδίᾳ δὲ τῶν Πελασγῶν πρῶτων Χρησαμένων τοῖς μετατεθείσιν χαρακτήρσιν Πελασγικὰ προσαγορευθῆναι. Τὸν δὲ Δίον ἐπὶ ποιητικῆναι μελωδία θναυμασθέντα μαθητὰς σχεῖν πολλοὺς, ἐπιφανεστάτους δὲ τρεῖς, Ἡρακλέα, Θαμύραν, καὶ Ὀρφέα. Τούτων δὲ τὸν μὲν Ἡρακλέα κηθαρίζειν μανθάνοντα διὰ τὴν τῆς ψυχῆς βραδυτητα μὴ δύνασθαι δέξασθαι τὴν μάθησιν. ἔπειθ' ὑπὸ τοῦ Δίου πληγαῖς ἐπιτιμηθέντα διοργισθῆναι καὶ τῇ κηθάρᾳ τὸν διδασκαλὸν παράξανα ἀποκτεῖναι. Θαμύραν δὲ φῶσει διαφόρῳ κηχορηγούμενον ἐκπονησαι τὰ περὶ τὴν μουσικὴν, καὶ κατὰ τὴν ἐν τῷ μελωδεῖν ὑπεροχὴν φάσκειν ἑαυτὸν τῶν Μουσῶν ἐμμελέστερον ἄδειν. Διὸ καὶ τὰς θεὰς αὐτῷ χολωθείσας τὴν τε μουσικὴν ἀφελέσθαι καὶ πηρῶσαι τὸν ἄνδρα, καθάπερ καὶ τὸν Ὀμηρον τοῦτοῖς προσμαρτυρεῖν λέγοντα:

ἐνθα τε Μοῦσαι
ἀντόμεναι Θάμωρον
τὸν Θοήικα παῖσαν αἰδοῖς.

დიონისიოსმა შეკრიბა ძველი თქმულებები დიონისეს და ამორძალთა შესახებ, აგრეთვე არგონავტთა ლაშქრობა, ტროის ამბები და მრავალი სხვა. დააწყო (მიუმატა) ლექსები (თხზულებები) ძველი მითოლოგებისა და პოეტებისა.

გადმოგვეცემს დიონისიოსი, რომ დიონისმა პირველმა ბერძნებთან გამოიგონა რითმები და მელოსი (სიმღერა, მელოდია), რომ პირველმა კადმოსმა ფინიკიელებისაგან მიღებული დამწერლობა ბერძნულ ენას გადმოუტანა, ფითოვულ ასოს სახელი მოუძებნა და ფორმა მიანიჭა. აქედან დამწერლობას საერთო სახელს ფინიკიურს უწოდებენ, რადგან ის ფინიკიელებისაგანაა გადმოღებული და, რადგან გადმოღების შემდეგ პირველად პელაზგებმა დაიწყეს ამ ასოების ხმარება, ამიტომ ამათ პელაზგური უწოდეს. დიონისიოსი ამბობს, რომ დიონისი ლექსებითა და სიმღერებით იყო განთქმული, მას თავისთან მრავალი მოწაფე ჰყავდა, რომელთაგან განსაკუთრებით სამია ცნობილი: ჰერაკლე, თამირისი, ორფევსი. ჰერაკლემ კითარაზე დაკვრა დაიწყო, რადგან სხვა ხელოვნება ვერ შეითვისა სიჩლუნვის გამო. მას ერთხელ სცემა მასწავლებელმა, გაჯავრდა ამიტომ, კითარა დაარტყა დიონისს და მოკლა იგი. თამირისი მეტად ნიჭიერი იყო და ვარჯიშობდა მუსიკაში. სიმღერა ეხერხებოდა და იკვებნიდა, რომ უფრო სასიამოვნოდ ვძლერი, ვიდრე მუზებით. მუზები განრისხდნენ, მუსიკის ცოდნა წაართვეს მას და დააბრძავეს. ასე ამბობს ჰომეროსი ლექსებში:

„აქ მუზებმა, განრისხებულებმა, სიმღერა წაართვეს თამირისს თრაკიელს“.

καὶ ἔτι

*αὶ δὲ χολωσάμενοι πηρόν
θίσαν αὐτὰρ αἰοιδίην.
θεσπεσίην ἀρέλοντο καὶ ἐκλέλαθον
κισθαριστὸν.*

Περὶ δὲ Ὀρφέως τοῦ τρίτου μαθη-
τοῦ τὰ κατὰ μέρος ἀναγράφομεν ἕταν
τὰς πράξεις αὐτοῦ διεξιῶμεν.

Τὸν δ' οὖν Αἰγὸν φασι τοῖς Πელασ-
γικαῖς γράμμασι συνταξάμενον τὰς τοῦ
πρώτου Διονύσου πράξεις καὶ τὰς ἄλλας
μυθολογίας ἀπολιπεῖν ἐν τοῖς ὑπομνή-
μασιν. Ὀμοίως δὲ τοῦτοις χρῆσασθαι
τοῖς Πელασγικοῖς γράμμασι τὸν Ὀρφέα
καὶ Προναπίδην τὸν Ὀμήρου διδάσκα-
λον, εὐψῆ γεγονότα μελοποιῶν πρὸς
δὲ τοῦτοις ὁμοίτην τὸν Θυμοῦτου τοῦ
Λαομέδοντος, κατὰ τὴν ἡλικίαν γεγο-
νότα τὴν Ὀρφέως πλαγηθῆναι κατὰ
πολλοὺς τόπους τῆς οἰκουμένης καὶ
παραβαλεῖν τῆς Λιβύης εἰς τὴν πρὸς
ἑσπέραν χώραν [τῆς οἰκουμένης] ἕως
ᾠκεανοῦ θεάσασθαι δὲ καὶ τὴν Νύσαν,
ἐν ἣ μυθολογοῦσιν οἱ ἐγχώριοι ἀρχαῖοι
τραφῆναι τὸν Διόνυσον, καὶ τὰς κατὰ
μέρος τοῦ θεοῦ τοῦτου πράξεις μα-
θόντα, παρὰ τῶν Νυσαέων συντάξασθαι
τὴν Φρυγίαν ὀνομαζομένην ποίησιν, ἀρ-
χαῖκοις τῆ τε διαλέκτῳ καὶ τοῖς γράμ-
μασι χρῆσάμενον.

დიოდორეს ეს ცნობა საყურადღებოა და ძვირფასი ჯერ იმით, რომ გად-
მოგვცემს ჰომეროსის წინაღობინდელი პოეტების სახელებს; ასე, მაგალითად,
ის მოიხსენიებს ასეთ პოეტად ლინოსს, მის მოწაფეებს: თამირისს, ორფევსს,
პრონაპიდეს, რომელიც ჰომეროსის მასწავლებლადაა გამოცხადებული, ამას
გარდა თიმოიტეს — თიმუტოსის, ლაომედონტის ვაჟის შვილს. უნდა აღვნიშ-
ნოთ ისიც, რომ ეს პირველი პოეტები არ არიან ბერძნებად მიჩნეულნი ძველ-
ების მიერ, არამედ ყველას თრაკიელობას სწამებენ (გარდა ლინოსისა). ხოლო
აპოლონის აღმოსავლურ კულტთან დაკავშირებული პოეზიის ლეგენდარული
პოეტი, ოლენი, ლიკიელი იყო, მას მიაწერენ დაქტილური ჰეგზამეტრის გამო-
გონებას (Herod., IV, 35; Paus., VIII, 21, 3). ამას უნდა დავუმატოთ დიო-
დორეს ცნობა იმის შესახებ, რომ თიმოიტეს პაპად ითვლება ლაომედონტი,

აქვე:

„განრისხდნენ ქალღმერთები,
სიმღერის ხელოვნება წაართვეს
და მოაწყვეს ისე, რომ მან დაივიწყა
დაკვრა“.

ლინოსის შესამე მოწაფის, ორფევ-
სის შესახებ განსაკუთრებით მოგახს-
ენებთ, როდესაც მის საქმეებს შე-
ვებებით.

67. ამრიგად ლინოსმა პელაზგური
ასოებით (გრამუკასი) აღწერა იმ პირ-
ველი დიონისეს საქმეები და სხვა მი-
თები დაგვიტოვა. ამავე პელაზგურ
დამწერლობას ხმარობდნენ ორფევსი
და პრონაპიდე, ჰომეროსის მასწავლე-
ბელი, გონებამახვილი ლიოიკოსი. მათ
გარდა თიმოიტე, თიმუტოსის ლაომე-
დონტის ვაჟის შვილი, რომელიც ორ-
ფევსის დროს ცხოვრობდა. ლინოსი
მოგზაურობდა მსოფლიოს მრავალ
მხარეში, იყო ლიბიის დისავლეთ ნა-
წილში ოკეანემდე. ამას გარდა იყო
ნისაში, სადაც იქაურ მკვიდრთა გად-
მოცემით დიონისეა დაბადებული.
ნისელებისაგან მან შეისწავლა ამღმერ-
თის ყველა საქმეები და შეთხზა ფრი-
გიულად წოდებული პოეზია, რომელიც
ენით და დამწერლობით სიძველეებს
გვიჩვენებს (ძველ ენასა და დამწერ-
ლობას იყენებდა).

ტროის მეფე, პრიამოსის მამა, ე. ი. პოეტი თიმოიტეს ბიძა გამოდის პრიამოსი, ტროის ცნობილი მეფე. მაშ კიდევ ერთი ჰომეროსის წინა პოეტი არა ბერძენი, არამედ მცირეაზიული წარმოშობისა ყოფილა. მაგრამ დიოდორეს ცნობაში მაინც ეს არაა მთავარი. ამ პოეტების სახელები და მათ შესახებ მითები ჩვენთვის ცნობილია სხვა ავტორებიდანაც. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ყველა ამ პოეტს დიოდორე მიაწერს პელაზგური დამწერლობის ხმარებას, ის გარკვევით ამბობს: ლინოსის მიერ პირველად ხმარებული პელაზგური ასოები გამოიყენეს სხვა, ჰომეროსის წინა პოეტებშიც¹, როგორც არიან: ორფეესი, პრონაპიდე, თიმოიტე. თვით ლინოსმა, დიოდორეს გადმოცემით, ამ დამწერლობით აღწერა ბახუსის საქმეები, შეთხზა ფრიგიულად წოდებული პოეზია². ეს ფრიგიული პოეზია მეტად ძველ დიალექტს და ძველ დამწერლობას იყენებსო. აქ იმავე პელაზგურ ასოებზეა ლაპარაკი. აი, ეს ცნობაა ძვირფასი და საკვლევი ის, თუ საიდან აიღო დიოდორემ, სად ნახა მან იგი, საიდან გადმოიტანა ის თავის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“.

დიოდორე სიცილიელი კომპილატორია, ის არაა დამოუკიდებელი ისტორიკოსი. ის მთლიანად სხვებს ეყრდნობა, უცვლელად იწერს ადგილებს სხვა ისტორიკოსებისაგან და მწერალთაგან. ბუნებრივია, რომ ასეთი მიმართულების მქონე მოაზროვნეს, და ამასთანავე, ვეებერთელა — 40 წიგნიანი შრომის, მსოფლიო ისტორიის, დამწერ ისტორიკოსს მრავალი წყარო ექნებოდა ხელთ, და, მართლაც, დიოდორეს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია წყაროებზე შემდეგი ავტორები: ჰეკატაიოს მილეტელი, ჰეროდოტე, ევფოროსი, ჰელანიკე მიტილენელი, თეოპომპე, ტიმიასი, ავათარქიდე. მითოგრაფოსები — ევჰემეროსი, დიონისიოს სკიტობრაქიონი და სხვანი.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ III წიგნის 66-67 თავისათვის დიოდორეს წყაროს დასახელებულ ავტორთაგან რომელი წარმოადგენს. თვით დიოდორე ასახელებს ამ ადგილას ვინმე დიონისიოსს, რომელსაც შეუთხზავს დიონისეს ამბები, ამორძალების ისტორია, არგონავტიკა, ტროიკა. დიოდორეს მითითებებიდან შესაძლებელი ხდება დადგენა იმისა, თუ რომელ დიონისიოსზეა აქ ლაპარაკი. ჩვეულებრივ ასახელებენ 3 დიონისიოსს ამ მიმართებაში: დიონისიოს მილეტელს, დიონისიოს მიტილენელს და დიონისიოს სამოსელს ან როდოსელს. ამასთან ორი უკანასკნელი დიონისიოსი საკმაოდ ხშირად ერთმანეთშია ხოლმე არეული; ცნობები მათ შესახებ ერთმანეთს. სვიდა ისტორიკოს დიონისე მილეტელს მიაწერეს — დარიოსის შემდგომი საქმეების 5 წიგნს, მსოფლოს აღწერას, იონიურ დიალექტზე დაწერილ სპარსულ ამბებს, ტროის

¹ დიოდორე მაინც კადმოსის მიერ შემოღებულ ფინიკიურ ასოებს უწოდებს პელაზგურს, რადგან იგი პირველად პელაზგებმა იხმარესო, მაგრამ ეს არაა საინტერესო, ბერძნული ასოები პელაზგურად რად უნდა ყოფილიყო წოდებული? აქ უბრალოდ დროთა განმავლობაში პირვანდელი ცნობის დაფარვაა უფრო ახალი ამბით, ძველი დამწერლობის სახელი აერიათ შემდეგ შემოღებული ბერძნული ასოების სახელში.

² ე. ი. არა ბერძნული, არამედ უცხო, ფრიგიული პოეზია. ლინოსი ერთადერთი წინა პოეტია, რომელიც ბერძენია და ისიც არა ბერძნულ, არამედ ფრიგიულ პოეზიას თხზავს.

ამბებს 3 წიგნად, ისტორიულ ციკლს 7 წიგნად (ἀρχαίαι ἱστορίαι). დაახლოებით ასეთ სიას იძლევიან ახალი დროის მკვლევარნიც¹.

„ისტორიული ბიბლიოთეკის“ 1866 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში არის წერილი Heyne-სი, De fontibus historiae Diodori აქ LXXXIX—CI გვერდებზე ჰენე ამბობს, რომ დიოდორე სიცილიელს ხელთ ჰქონდა დიონისიოს მილეტელი, შემდეგ ადგილებშიც ეს ავტორი უნდა გამოეყენებინაო. დიონისიოს მილეტელი ლოგოგრაფოსია, ცხოვრობდა ჰეკატაიოსის შემდეგ და ჰეროდოტეს წინ (ე. ი. V ს-ში ძვ. წ.)².

C. Müller-ი F. H. G. v. II, 1878, 5—7 გვერდზე იძლევა ფრაგმენტებს ამ მილეტელის შრომებიდან, სხვა ავტორების მიერ შემონახულს. აქვე არის დიოდორეს III, 67 თავი და შენიშვნაში მითითებულია, რომ ეს დიონისიოს მიტილენელს ეკუთვნის. მაგრამ მილერთან მილეტელის ნაცვლად მიტილენელი იხმარება და პირიქით. Paul-Wissowa-ს RE. der kl. Alt. S. 929 ასე ხსნის ამ აღრევას მილეტელს და მიტილენელს შორის — ეს გამოიწვია იმან, რომ დიონისიოს მიტილენელი ძველი მწერლების ციტატებს მეტად ეტანება და ამიტომ ის მკვლევარებმა მიიღეს იმ ძველ ლოგოგრაფოსად, დიონისიოს მილეტელად ჰეკატაიოსის მახლობელ ხანებში რომ ცხოვრობდაო.

Heyne-ს შემდეგ მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ დიოდორეს ისტორიის III წიგნის 66-67 თავის და შემდეგი ადგილების (IV წ. არგონავტიების თქმულების) წყარო არის დიონისიოს მიტილენელი, სკიტობრაქიონი 2 ს. ძვ. წ. გრამატიკოსი, რომელიც ალექსანდრიაში მოღვაწეობდა. თუმცა სახელი მილეტელი და მიტილენელი ხშირად არეულია, მაგრამ საქმე სახელში, როდია, მიტილენელს შესაძლებელია მილეტში ეცხოვრა, ან და უბრალოდ დროთა განმავლობაში, ხელნაწერიდან ხელნაწერში გადასვლის დროს, აირია ერთმანეთის მსგავსი გეოგრაფიული სახელები, და ისიც შესაძლებელია, რომ ერთის ნაწარმოები მეორესათვის მიეკუთვნებიათ. საქმე იმაშია, რომ დიოდორეს, ამ ადგილის ავტორს უნდა ეცხოვრა II ს-ში ძვ. წ. ა. ემოღვაწეა ალექსანდრიაში. ამაზე მიგვიბრუნებს ცნობები ძველი ავტორებისა და დიოდორეს III წიგნის ამ თავების შინაარსი³.

¹ Diodori Siculi, Bibliotheca historica, L. Dindorfi, vol. I, 1866.

² დიონისე მილეტელი იხსენიება აპოლოდორეს *Nesou parálogos*-ში, დიონისე თრაკიელის სქოლიოებში — Schol. Dionys. Thr. 183, 3 = Bekker (Anecd. I, p. 783, 1362 = Bachmann, Anecd. 51, 28) = H.F.G. 1885, ტ. I, 361 ფრ. ჰეკატაიოსის). ეფვროსის აზრით ასოების გამომგონებელი კადმოსია, ამას მოწმობენ მილეტელი მწერლებიც: ანაქსიმანდრე, დიონისიოსი და ჰეკატაიოსი. აპოლოდორეც „ხომალთა კატალოგში“. ცნობა შემონახულია დიონისიოსის შესახებ Schol. Herod. III, 61).

³ II ს-ნის დიონისიოსის მოიხსენიებენ შემდეგი ავტორები სვიდას გარდა: Schol. Pind. P. I, 109; Schol. Pind. IV, Pith. Isthm. I, 11; Schol. Pind. ad Isthm. IV, 104; Pind. P. 233; Schol. Eurip. ad Phoen, 1123; Schol. Herod. III, 61; Schol. ad Hom. II. III, 40; II. I, 144; II. IV, 119; Athen. XI p., 447 d., 481 c.; Aisch. Orest. Schol. 1005; II. I, 1116; III 242; IV 223=228; 207; II. p. 150 = Scholia; Apollonius-Argonautica Schol. I 1289 = Apollod. Bibliotheca I 118; IV 177; ციტატი დიონისიოსის I 256; III 200; IV 1158 (დიონისიოს მილეტელს მიაწერს „არგონავტიკის“ შექმნას II 965; Athenaius XI 495; Eustath.

Wilamowitz-Moellendorf-ი დიონისიოსს მიაწერს *Τρωιάδα* და *Αργοναυ-
ταιά*-ს და ამტკიცებს, რომ დიონისიოსი თავის თავს ხან მილეტელს უწო-
დებდა, ხან მიტილენელს და ხან სამოსელს. მან დასწერა *ἀρχαίος ἔπιπαιός* პრო-
ზაულად გადმოსცა კიკლი. W.-M. ამ მწერალს მიიჩნევს ერთადერთ წყაროდ
არა მარტო დიოდორესათვის, არამედ აბ. როდოსელის სქოლიებისათვის.
ევრ. „მედელას“ სქოლიოებისათვის, პინდარესათვის, ათენაიოსისათვის (III ს.),
ევსევესათვის (III ს.), ჰარპოკრატონისათვის (II ს. ახ. წ.), თეოკრიტეს
(III ს. ძვ. წ.) სქოლიოებისათვის და სხვა. W.-M.-ის აზრით დიონისიოსი
მეტად განათლებული კაცი ყოფილა. *ἔπ.* *ἀρχαί.*-ში მას ამოწერილი აქვს ყველა
მწერალი, განსაკუთრებით ეპიკოსები. კიკლი აქვს შეკრებილი ქვეყნის დასა-
ბამიდან ტროას დაცემამდე და ისტორიის სახით გადმოცემული.

დიონისიოსს მიტილენელის შესახებ ვრცელი ლიტერატურა მოიპოვება¹,
და ამ ლიტერატურაში შემდეგია დადგენილი: მიუხედავად იმისა, რომ დაკავში-
რება პრაგმატული თეოლოგიისა და ჰეროლოგიისა ისტორიასთან ძველი ამ-
ბავია, უკვე იონიელი ისტორიკოსები ახდენდნენ ამას და ბევრი რაზ აქვს აშგვა-
რი ხერხით გადმოცემული ჰეროდოტეს და ევფოროსს, მაინც სპეციფიკურად
ელინისტური ხანისათვისა და მახასიათებელი მითოლოგიური ამბების ისტო-
რიად გამოცხადება. ევჰემეროსის შემდეგ (IV ს. ძვ. წ. ა.) დაშვიდრდა
აზროვნების ის წესი, რომელსაც ევჰემერიზმს უწოდებენ, რომლის მიხედვით
მითებში მოხსენებული ღმერთები და გმირები ისტორიულ მონარქებად და
გამოჩენილ ადამიანებადაა მიჩნეული. აზროვნების ასეთი წესი გააჩნია იმ
II ს. ძვ. წ. ა. ალექსანდრიელ მოღვაწე დიონისიოსს, რომლის თხზულებიდან
ამოიღო დიოდორემ ჩვენთვის საინტერესო ცნობა. ამ დიონისიოსისათვის
მითი ისტორიული ფაქტია, ამიტომ იგი მეტისმეტი სიფაქიზით ეპყრობა
ძველ მითოლოგოსთა და პოეტების თხზულებებს. დიოდორეს მოწმობით ბახუ-
სის ამბების თხრობაში დიონისიოსი ღინოსს ეყრდნობოდა. არგონავტების,
ტროას, ამორძალების ამბებში — ორფევსს, პრონაპიდეს, თიმოიტეს, თამი-
ონისს და სხვ. მას ეკუთვნოდა მითოლოგიური სახელმძღვანელო და ამ

380, 380; Tzetze — p. 17; Chil. XII. 184; Schol. ad Exeg. in II. p. 150; Nem. 7. 1; Schol.
Ol. 3. 22. ჰარპოკრატონი *Ἐλλάσιον*. ევსებოსი I, p. 194 *Ἥλιος*; Schol. Theokr. 7, 108;
Schol. ad Lycoph. 911; Od. XIII, 85.

სვინდა დიონისიოსს მიტილენელს მიაწერს: „დიონისეს და ათენას ლაშქრობას“, „არგონავ-
ტიკას“ ექვს წიგნად, „მითების კრებულს“.

¹ E. Bethe, *Quaestiones Diodoreae mythographae*, 1887; E. Schwartz, *De
Dionysio Scytobrachione*, 1880; Wilamowitz-Moellendorff, *Herm.*, XV, 1880
(485 s.); F. G. Welcker, *Der epische Cyclus oder die Hom. Dichtung*, 1865 (s. 70);
Hachtmann, *De Dionysio Mytilenaeo seu Scytobrachione*, Bonn, 1865 (s. 22—48);
Dr. O. Gruppe, *Griechische Mythologie und Religionsgeschichte H. II*, 1903—1902
(s. 10; 542, 1408); Franz Susemihl, *Geschichte der gr. Litteratur in der Alexand-
rinerzeit*, B. II, Berlin, 1892 (s. 45—49); O. Sieroka, *Die Mythographischen Quel-
len für Diodors 3. und 4. Buch mit besonderen Berücksichtigung des Dionysios Scytho-
brachion*, Lyck, 1878; P. Wissowa, *Realencyclopädie der cl. Altert-Wiss.*, V B. 1905.

სახელმძღვანელოდან გადმოუწერია დიოდორე სიცილიელს ცნობა უძველესი პოეტების მიერ პელაზგური ასოების ხმარების შესახებ.

დიოდორეს ე. ი. დიონისიოს მიტილენელის ეს ცნობა მხოლოდობით რიცხვში როდი მოგვეპოვება, მას სხვადასხვა ვარიანტებში იძლევიან უფრო ძველი, თუ უფრო ახალი ხანის მწერლები.

ჰესიოდე ლინოსს ყოველგვარი სიბრძნის მფლობელს უწოდებს. თეოკრიტეს მიხედვით (24, 103) მოხუცმა ლინოსმა ასწავლა ადამიანებს წერა-კითხვა. Zenobius¹, რომელიც დიონისიოს სკიტობრაქიონზე უფრო ადრე ცხოვრობდა (2 ს. I¹/₂ ძვ. წ.) გვიამბობს კადმოსისა და ლინოსის ერთმანეთისადმი სიძულვილის შესახებ: კადმოსმა ლინოსი მოკლა, რადგან ლინოსს სურდა საკუთარი ასოების შემოტანა. ეს ცნობა ძვირფასია, რადგან იგი ასახავს ახალი, ბერძნული დამწერლობის მიერ (კადმოსის შემოღებული ფინიკიური ასოების მიერ), ძველი, პელაზგური დამწერლობის გამოძევებას ხმარებიდან.

Tzetze² — დაახლოებით ამასვე იმეორებს.

Welcker-ი³ ამბობს, რომ ლინოსის მიერ შემოღებული პელაზგური დამწერლობით ორფევის საფლავის წარწერა იყო შესრულებული. ალბათ Welcker-ს სადაც უნახავს ცნობა ამის შესახებ.

F. Jacoby⁴ გადმოგვცემს, რომ დამწერლობის აღმ. წარმოშობა სხვადასხვაგვარადაა ხაზგასმული, ზოგი ლინოსს უკავშირებს, ზოგი პრომეთეს, ზოგი მუზეოსს.

დიონისე თრაკიელის სქოლიოებში ვკითხულობთ: „იმ ასოებით, წერა, რომლითაც ახლა ვწერთ, პრონაპიდე ათენელმა (ჰომეროსის წინა პოეტმა) დააწესა“⁵.

ტაციტუსი „ანალებში“ XI, 14 ამბობს: „ზოგიერთი კადმოსს თვლის ფინიკიელებისაგან ასოების გადმომღებად, ზოგი კი ათენელ კეკროსს და თებელ ლინოსს და ტროის ომის დროინდელ არგოსელ პალამედეს, იტალიაში ეტრუსკებმა ისწავლეს ასოები კორინთელ დამარატესაგან, აბორიგენებმა — არკადიელ ევანდრისაგან“⁶.

ტაციტუსის გამოცემის კომენტარებში წერია „ცნობა დამარატეს შესახებ არაა სწორი, რადგან ეტრუსკებს წინად ჰქონდათ პელაზგური ასოები, ისინი კადმოსის ასოებზე უფრო ძველნი არიან“⁷.

პლინიუს უფროსი გადმოგვცემს⁸: „ზოგნი ამბობენ ასოები ასირიელებმა გამოიგონეს, ზოგნი — ეგვიპტელებმა, ზოგნი — სირიელებმა. ფინიკიელმა კად-

¹ Zenobius, Prov. (Cent.) 4. 45.

² Tzetze, Exeg. 154, 24.

³ დას. შრ., p. 47; როშერის მით. ლექსიკონი, ნახე „ლინოსი“.

⁴ Die Fragm. d. gr. Hist. I, 1923, 513, 514.

⁵ Schol. Dion. Thrac. p. 183, 20.

⁶ C. Taciti, Annales XI, 14. G. A. Ruperti, 1834.

⁷ Drak ad Liv. I, 34 „Ceterum id falsum videtur: nam Etrusci ante habuere litteras Pelasgicas, quae sunt Cadmeis antiquiores.“

⁸ Pl. Secundi, N. H. I. XXXVII, v. II, C. Mayhoff, 1909, Teubner i VII, 192.

მოსმა საბერძნეთში 16 ასო შემოიტანა. ტროის ომის დროს პალამედემ 4 მიუმატა ΖΥΦΧ. სიმონიდე კეოსელმა ΨΞΩΘ... ლაციუმში ეს ასოები მოიტანეს პელაზგებმა¹.

2. „ოლისიუს“ უკველსი აღვილუგის შესახებ

პირველი ბერძენი დიალექტიკოსის, ჰერაკლიტე ეფესელის, ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ „ყველაფერი მოძრაობს, არაფერი უცვლელი არ რჩება“, განსაკუთრებული სიცხადით თავს იჩენს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონებში. საზოგადოებრივი ერთიერთობანი მუდმივ ცვალებადობასა და მოძრაობაში იმყოფებიან და, ბუნებრივია, რომ ახალ ერთიერთობას ახალი მორალი მოაქვს და „ადამიანთა შეხედულებანი სიკეთისა და ბოროტების შესახებ ისე იცვლებოდნენ ხალხიდან ხალხში, საუკუნეიდან საუკუნეში, რომ ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს“². რაც ერთი დროისათვის, გარემოებისათვის მორალურად იყო მიჩნეული, სხვა გარემოებაში ამორალურად ჩაითვლებოდა.

აქედან ცხადია, თუ რამდენად უსუსურია ყოველი ცდა საზოგადოების ისტორიის უძველესი ხანებისათვის ახალი მორალის კანონად მიჩნევისა და, ამიტომ, ფრ. ენგელსის სამართლიან გულისწყრომას იწვევს მის დროინდელ სოციოლოგთა მისწრაფება ადამიანთა პირველი საქორწინო ურთიერთობის უარყოფისაკენ: „აქაო და კაცობრიობას უნდა წარვხოცოთ ეს სამარცხვინო ლაქაო“³. გულუბრყვილობაა, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამ პირველი საფეხურისათვის უწესრიგო ქორწინებითი ურთიერთობა სამარცხვინოდ მივიჩნიოთ, ასეთი ურთიერთობა მაშინ გამართლებული იყო საზოგადოების უპრიმიტიულესი წესით, ჯოგად ცხოვრების წესით და სხვაგვარ მორალს იმ ხანისათვის ადგილი ვერ ექნებოდა. მაშინ ამორალურად ითვლებოდა გარკვეული დაწყვილება, ამისათვის სჯიდნენ კიდევ. შემდეგში, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებასთან შესაბამისად, მოხდა საქორწინო ურთიერთობის თანდათანობითი დაწმენდა და გაკეთილშობილება.

ფრიდრიხ ენგელსი შრომაში: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, იძლევა ოჯახის სხვადასხვა ფორმების მშვენიერ კლასიფიკაციას. ენგელსი იყენებს მორგანის⁴ და ბახოფენის⁵ შრომების მიღწევებს და მათ მონაცემებს დასრულებულს, გააზრებულ სახეს აძლევს და მათ უმატებს ახალ გამოცდილებას, ფაქტებსა და განზოგადებებს.

¹ Swintonus, De prisca Rom. Litteris, diss. V, p. 13; უძველესი ლათინური ასოები იყო პელაზგური ან ეტრუსკული, ხოლო ტაციტუსის ხანის ასოები განახლებული კი არაა, არამედ ძველია და უდრის ეტრუსკულ ასოებს.

² ფრ. ენგელსი, ანტიდიუტინგი, გვ. 110, 1952.

³ ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938, გვ. 35.

⁴ მორგანი, ძველი საზოგადოება, 1861.

⁵ Bachofen, Mutterrecht, 1861.

ენგელსი ემყარება სოციალურ ნამარხებს, ე. ი. მის დროს არსებული ჩამორჩენილი ხალხების ზნე-ჩვეულებათა კვლევას. ამისათვის მას მოჰყავს მაგალითები ჰავაის კუნძულებზე და მთელ პოლინეზიაში გაბატონებული ნათესაობის სისტემისა, ავსტრალიის კლასთა სისტემისა, იროკეზების, ამერიკელი ინდოელების, ინდოელების, ტიბეტელების და სხვათა.

თუ არ შევჩერდებით წვრილმანებზე და ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ძირითადს ენგელსის მოძღვრებაში ოჯახის შესახებ, მივიღებთ ოჯახის შემდეგ ორ სახეს: ა) ჯგუფურ ოჯახს და ბ) მონოგამიურ ოჯახს.

პირველყოფილი საზოგადოების, გვაროვნული წყობის, ჯგუფური ოჯახი ემთხვევა დედის გვარს, მატრიარქატის ხანას¹.

ენგელსი ბახოფენის უდიდეს დამსახურებად თვლის იმას, რომ ბახოფენმა აღმოაჩინა ჯგუფური ცოლქმრობის დროს შვილის წარმოშობის გარკვევა მხოლოდ დედის მხრით, ნათესაობის სისტემაში დედის ხაზის არსებობა. რადგან ქორწინებითი ჯგუფების და არა წყვილის არსებობის გამო ბავშვის მამა არ იყო ცნობილი, შეიძლებოდა მხოლოდ დედის ცოდნა და ნათესაობის ამ გზით დადგენა. მემკვიდრეობითი უფლებებიც დედის მხრიდან მომდინარეობდა, ქონება ოჯახში, დედასთან რჩებოდა.

მაგრამ მეურნეობის ფორმების გართულებამ ქალი უკანა რიგში მოაქცია და მატრიარქალური პერიოდი წინაკლასობრივ საზოგადოებაში შეიცვალა პატრიარქალურით.

პეროიკული ხანის საბერძნეთისათვის მატრიარქალური ოჯახი მთლიან დავიწყებას აქვს გადაცემული. ჰომეროსთან ბავშვის წარმოშობა მხოლოდ მამის ხაზით ირკვევა.

ქრიზიდას იმიტომ ეწოდება ეს სახელი, რომ იგი ქურუმ ქრიზეს ქალია, აქილევის წარმოშობა მამის მხრითაა გარკვეული, იგი პელევსის ძეა (Πηλεΐδης), აგამემნონი და მენელაოსი ატრევსის ვაჟები არიან (Ἄρπειδοι), ოდისევსი ლაერტის ძე (Λαερτιάδης), აიანტი — ტელამონის ძე (Τελαμωνιάδης), კალქანტი თესტორის ძე (Θεστιάδης) და ა. შ. დედის სახელი ამ მიმართებაში, ე. ი. წარმოშობის გარკვევისათვის არაა სრულებით ნახსენები. მონოგამიური ოჯახი აქ ისე მტკიცეა, რომ ღალატისათვის ისჯება ორივე მხარე. სასჯელი, რასაკვირველია, უფრო ქალის თავზეა, მამაკაცს გარკვეული თავისუფლება აქვს მოპოვებული, მაგრამ ხშირად მამაკაციც მსხვერპლი ხდება ცოლის ეჭვიანობის გრძნობისა.

ბინდარე XI პითიურ ოდაში² მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ შურისძიებით აღსავესი მეუღლემ, კლიტემნესტრამ, მოჰკლა აგამემნონი, რადგან მან შინ მოუყვანა თავისი საყვარელი, მხევალი ქალი, კასანდრა — თვით ჰომეროს-

¹ იხ. დაწვრილებით ენგელსი „ოჯახის, კერძო საკ. და სახ. წარმოშობა“.

² J. A. Scott, *The unity of Homer*, 1921. ჰომეროსი ხანდახან გმირს თავისი სახელით კი არ მოიხსენიებს, არამედ მამის სახელით. აგამემნონს ხშირად ატრიდი ეწოდება, აქილეუსს — პელიდი, ოდისევსს — ლაერტიდი. ე. მეიგრმა დისერტაცია მიუძღვნა ჰომეროსის პატრონიმიკას (გვ. 51).

³ Pindari, carmina, ed. Schröder, 1914, გვ. 161—162.

თანაც კლიტემნესტრა თავისი ხელით ჩასცემს მახვილს კასანდრას, ალბათ ექვიანობის გრძნობით აღსავსე.

მედეამ მოლაღატე ქმარს, იაზონს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ საცოლე კრეუზა და საკუთარი შვილები დაუხოცა¹.

ვის არ ახსოვს „ოდისეის“ VIII სიმღერაში ჩართული მოხდენილი თქმულება ჰეფესტოს მეუღლის, აფროდიტესი და ომის ღმერთის, არესის, ტრფიალების შესახებ. აფროდიტემ ქმარს უღალატა არესთან და სამაგიეროდ მოტრფიალენი ჰეფესტომ რკინის ბადით საწოლს დააკრა. ღმერთები ამსცენის დამნახველნი ქმარს ამართლებენ:

„თუმც ჰეფესტო კოჭლია, მაინც შეიპყრო მარდი არესი, უსწრაფესი ოლიმპოს უკვდავ ღმერთთ შორის. ეშმაკობით მოახერხა მან ეს და ღირსი სასჯელი მიიღო ქორწინების შეურაცხყოფელმა (არესმა)“, (ოდ. VIII, 330).

მაგრამ ჰომეროსთან არქაული ამბებია და მონოგამიის წარმოშობა რომ კერძო საკუთრების წარმოშობასთან იყო დაკავშირებული, ამ მითშიც მშვენიერად ჩანს. ქმარი ცოლს უყურებს, როგორც საკუთრებას, მონას შეძენილს და მასში იმდენად მორალური გძნობა კი არაა შეურაცხყოფილი, რამდენადაც მესაკუთრის გრძნობა. ცოლი ქმრის ქონების ნაწილს შეადგენს და თუ ქმარს უღალატა, ეს უკანასკნელი ხომ საკუთრებას თავის ნამდვილ შვილებს ვერ გადასცემს. აი ამ პრინციპის შელახვა ალაპარაკებს ჰეფესტოს და მიმართავს ღმერთებს: ვიდრე აფროდიტეს მამა (ზეფსი) ჩემს ძვირფას საჩუქრებს არ დამიბრუნებს ქალის გულისთვის რომ მივართვი, საყვარლებს ბადიდან არ გავათავისუფლებო (315—320). ჰეფესტო კერძო საკუთრებას იცავს პოსეიდონთან წარმოებულ საუბარშიც, მისი მოთხოვნით არესმა უნდა გამოიღოს წილი თავისი ქონებიდან მისი სარეცელის უკანონოდ დაუფლებისათვის. პოსეიდონი კი თხოვს ჰეფესტოს, გაათავისუფლოს არესი და თუ ეს უკანასკნელი თავს აარიდებს ვალის გადახდას, თვით პოსეიდონი იღებს თავისთავზე სამაგიეროს მიზღვას ქონებრივად (ოდ. VIII, 355). მხოლოდ ასეთი კომპენსირების შემდეგ თანხმდება ჰეფესტო ღალატის მიტევებაზე, თუ დატყვევებული საყვარლების გაათავისუფლებაზე. შემდეგ საუკუნეებში უფრო იწმინდება შეხედულებები².

აქა-იქ ასეთი უხეში ადგილის გარდა თანამედროვე ადამიანის ყურს მაინცდამაინც არ ჭრის პეროიკული ხანის ცოლ-ქმრული ურთიერთობის

¹ იხ. ვერიპიდეს „მედეა“.

² ქორწინების ორ სახეს არჩევს E. Drerup-ი შრომაში: *Das Homerproblem in der Gegenwart*, 1921, გვ. 162—164 — ყიდვით ქორწინებას და მზითვით ქორწინებას. პირველ შემთხვევაში ქალის მამა იღებს მბრალს, საქორწინო საჩუქარს, სასიძოსავან, ხოლო მეორე შემთხვევასთან უფრო გვიან გვაქვს საქმე.

Dasselbe archaisierende Bestreben zeigt sich darin, daß in den homerischen Epen die Sitte der Kaufehe im ganzen noch in ihrer rohesten Form, als regel zu herrschen scheint... Somit versagt auch hier das historische Erklärungsprinzip, wonach man bei Homer in den Kulturschichten eine Entwicklung der Ehe von ihrer primitivsten Form bis zur gemeingriechischen Norm der Mitgift Ehe hat erkennen wollen.

ამბები. ოჯახის უმაღლეს ფორმასთან გვაქვს აქ საქმე და ჩვენი თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, არაფერი გვეუცხოვება. გასაგებია ჰერასათვის, კანონიერი მეუღლისათვის, ზევსის მიერ მუდამ დაფარვა თავისი სასიყვარულო ამბებისა. ზევსი ერიდება ჰერასათვის უსიამოვნების მიყენებას. გასაგებია პენელოპეს მაგალითი, რომელიც 20 წელიწადს ელოდება ძვირფას ქმარს და უაღრესად ერთგულია მისი, ასევე, ოდისევსიც მოისწრაფის თავისი ცოლ-შვილისაკენ. მოგვწონს ფეაკების წყნარი ნეფე ალკინოე და მეუღლე მისი არეტა. სრულიად ეთანხმება ჩვენს წარმოდგენას ოჯახურ ურთიერთობაზე, გასათხოვარი ქალის პატიოსნებაზე, ნავზიკაიას მოძიბილავი სახეობა. ნავზიკაია ოდისევსს მამის სასახლის გზას აჩვენებს, თვით კი არ გაჰყვება გვერდით, ერიდება ხალხის, გაკიცხვის ეშინია, იტყვიანო ამბობს ის: „ვის დაუმეგობრდა ასე მეფის ქალი? ნუთუ საქმრო ფეაკებში არ გამოინახა“, მე კი, ასეთი აზრი რომ შეიქმნება ჩემზე, მეწყინება, მე სხვასაც გავეკიცხავდი, იმას, ვისაც ჰყავს დედ-მამა და მათი ნებართვის გარეშე და დაუქორწინებლად მამაკაცთან თავისუფლად მოიქცევა“¹.

მაგრამ, ბერძნულ ტექსტებებსა და გადმოცემებში ჩვენ გვაქვს უფრო ძველი ხანის მოგონება. ბერძნული თეოლოგია ხომ იმის მაგალითია, რომ სწორედ გვაროვნული წყობის უძველეს საფეხურზე იქმნებოდა მითოლოგიური წარმოდგენები და შეხედულებები. სხვას რას უნდა მოასწავებდეს, თუ არა ჯგუფური ქორწინების ადრეული ფაზის ამბებს ის, რომ ჰომეროსის ღმერთებისათვის ჩვეულებრივ საქმედ ითვლება და-ძმის ცოლქმრული ურთიერთობა. ასეთია მაგ. ზევსისა და ჰერას კავშირი, ჰეფესტოსი და აფროდიტესი, ჰებასი და ჰერაკლესი და სხვა. ქარების ღმერთი ეოლოსი თავის ექვს ქალიშვილს თავისავე ექვს ვაჟიშვილს მიათხოვებს ცოლებად (k, 7). ღმერთების სამყაროში დაშვებულია ქორწინება ბიძასა და დისშვილს შორის (η, 63), მამიდასა და ძმისშვილს შორის (ε, 412)². მაგრამ ღმერთების ქორწინებაში *ius matris* არ ჩანს მკაფიოდ, აქ უფრო *ius patris*-აა, ოჯახი მონაგამიურია.

ზოგიერთი ბერძნული გადმოცემა კი უფრო ნათლად იძლევა უძველესი ვითარების არსს.

მატრიარქატის გადმონაშთები მოიპოვება ბერძენ ავტორებთან. ასე, მაგალითად, სტრაბონი ესპანეთის იბერიელებში დედის მხრივ ნათესაობის დადგენის მაგალითს პოულობს და მამის უფლებაზე გადასვლის ცდას.

XIX ს-შიც იყო შემონახული შემდეგი ჩვეულება იბერიელების შთამომავლებთან, ბასკებთან: მამა ბავშვის დაბადების შემდეგ წვებოდა მელოგინის სარეცელზე და ბაძავდა მელოგინის ქცევებს ასე გადაიქცეოდა მამა მეორე დედად და აკანონებდა თავს ბავშვის მშობლად, ე. ი. დედის უფლებებს მოიპოვებდა ბავშვზე³.

¹ „ოდისეა“, VI, გვ. 275—289.

² Iw. Müller. Die griechischen Privat und Kriegsaltertümern, 1893; Ehe- und Familienleben, 143 s.

³ Ж. Т ё л о н, Происхождение семьи и состоянии общества до патриархального периода. 1876, стр. 82. ასეთი ჩვეულება გააჩნდა კოლხური მოდგმის ხალხს, ტიბარნებს. ამაზე მიგვითითებს აპ. როდოსელის „არაგონავტიკა“, II.

Надо иметь в виду, что память Дионисия Ареопагита не всегда и не везде совершалась 3 Октября. В памятниках греко-римской церкви до второй половины VII века она не зафиксирована¹. В славянской церкви она положена 4 Января, очевидно потому, что Дионисий причислен к лику учеников христовых, которым празднуется 4 Января. В грузинской церкви память Дионисия встречается то 3 Октября, и то с X века (Календарь Иоанна-Зосима), то 29 Июня, должно быть в связи с памятью апостола Павла, обратившего его в христианство. С XIII века, когда некий Макарий перевел его Житие с сирийского, как он говорит, ему стали праздновать 2 Декабря, так как, по указанному Житию, он умер 2 Декабря. На грузинском языке есть и такой Календарь, в котором память Дионисия Ареопагита положена 19 Декабря (Рукопись X в. S 425); возможное объяснение такого эортологического факта будет дано несколько ниже. Проф. Хонигман предполагает, что празднование Дионисию 3 Октября православными, халкедонитами, заимствовано из восточной, монофизитской традиции (38). Это неверно, православные не брали его у монофизитов, оно существовало еще до появления монофизитов и диофизитов. Нельзя допустить, чтобы афинская церковная община не чтит памяти своего первого епископа, обращенного в христианство самим ап. Павлом. Но это почитание в начале, в первые века, было местным, потому в общецерковные календари, появившиеся до VI века², оно еще не попало. Дело в том, что в эти календари „святыне“ заносились по степени и значимости их церковно-религиозных подвигов, одни раньше, другие позже. В VII веке, когда Максим Конфессор (умерший в 662 г.), на основании, между прочим, сочинений Дионисия

¹ Самый ранний памятник, в котором имеется она, это—Иеронимов месяцеслов, восточные элементы которого относятся ко времени около 540 года. См. K. Mohlberg, Maximianus von Ravenna und die orientalische Quelle des Martyrologium Hieronymianum. (Oriens Christianus, Band 29, S. 147—152).

² Проф. М. Скабалланович, Толковый Типикон, I, 65—70, 139.

Ареопагита заложил фундамент цельной системе христианской философии¹ и написал специальное толкование на эти сочинения, произошла окончательная реабилитация этих сочинений и вместе с тем окончательно упрочился общецерковный культ самого Дионисия. Память его могла быть положена 3 Октября на следующем основании.

Из всех лиц, известных в истории христианской церкви под именем Дионисия, первым по времени является деятель апостольских времен, Дионисий Ареопагит. Имя Дионисия есть оцерковление имени древнегреческого языческого Диониса, бога вина и виноделия. Культ этого божества, как известно, был очень популярен и распространен. Празднества в честь этого божества, т. н. „Дионисии“, привлекали к себе внимание даже христиан. Христианская церковь, для облегчения язычникам перехода в христианство, часто использовывала языческие сказания, имена, праздники, место и время их совершения; все это она переделывала на христианский лад и приспособлявала к сознанию христианской общины. Так она поступила и в данном случае: ей нужно было бороться с этим популярным культом, культом Диониса, между прочим и для того, чтобы отвлечь от него внимание верующих. Что это так, видно из того, что, например, у Григория Назианзена в числе других языческих божеств, упоминаемых им в своих сочинениях, часто встречаем имя Диониса с его „мерзким“ культом. В VI веке известный Нонн написал комментарии на такие места Григория². Христианская церковь вынуждена была в указанных целях противопоставить культу Диониса культ Дионисия Ареопагита установлением его почитания. Языческие празднества в честь бога вина Диониса, приуроченные к различным периодам виноделия, главным образом должны были практиковаться осенью, в винодельческий сезон. Поэтому христианский праздник Дионисия Ареопагита тоже приурочен был к этому сезону, к Октябрю месяцу. Что это приурочение преследовало указанную цель, видно из того, что почитание и другого христианского „святого“ Дионисия, епископа Александрийского (III в.), приурочено также к Октябрю месяцу, только к 5 числу. Не этим ли, между прочим, объясняется, что в минейной части грузинской рукописи X в. (S 425—Сборник Михаила Модрекили) память Дионисия Ареопагита, как выше было замечено, положена 19 Декабря³. В Аттике т. н. „Сельские Дионисии“ праздновались в Декабре месяце.

Вот в каком смысле нужно понимать факт церковного поминания Дионисия Ареопагита 3 Октября. Оно, значит, установлено было, по ука-

¹ Об этом см., между прочим, у проф. С. Епифановича—Максим Исповедник и византийское богословие, Киев, 1915 г.

² Соответствующие места из сочинений Григория Назианзена имеются и в древнегрузинском переводе. Изданы они проф. Ил. Абуладзе в „Известиях Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Марра“, т. X, 1941.

занному соображению, еще до VI века. Впоследствии, когда автором псевдо-ареопажитских книг признан был Дионисий, установлена была память и ближайшего к нему учителя его Иеротеоса, упоминаемого в этих книгах, причем она, в силу существовавших между ними отношений, поставлена была рядом с памятью Дионисия—4 Октября. В этом случае никакой роли не играл ни Петр Ивер, ни Иоанн Эвнух. Таким образом церковное воспоминание Дионисия и Иеротеоса, вопреки Хонигману, идет из византийских, а не сирско-монофизитских источников (Ср. Н. Engberding, *Oriens Christianus*, t.38,5. 91).

Таковы данные агиологического характера, которыми Хонигман хотел бы оправдать свою гипотезу. Эти данные настолько бедны и туманны, что в конце концов он отказывается от них, заявляя: „дискуссия (о датах) должна иметь место в общем этюде, который выходит за пределы настоящей записки“ (37, прим. 1). Нет, дискуссия о датах не может выходить за пределы настоящей его работы, так как даты эти, по нему, главная опора его основной тезы¹.

Еще одно возражение чисто исторического характера, касающееся генеалогии Петра Ивера. В Житии Петра, говорит Хонигман, дед Петра, Бакур, „назван первым христианским царем иверов; сам Бакур говорит обратное как нельзя ясней“. „На наш взгляд,—продолжает ученый, он (Бакур) не хотел открыться, что это—он сам первый царь—христианин своей страны“ (65). Тут недоразумение, вытекающее из незнания истории насаждения христианства в Грузии (в этом повинен не он один). Хонигман думает, что здесь речь идет об одном и том же царе Бакуре; на самом деле в виду имеются два царя, носившие имя Бакур. Первый из них был сын первого христианского царя Мириана: он, в бытность свою на византийской службе, рассказал историку Руфину об обращении иверов. Второй же—дед Петра Ивера по матери, царствовал в первой четверти пятого века (умер не раньше 422 года); он то и называется в Житии Петра Ивера „первым христианским царем иверов“ в том, очевидно, смысле, что он заменил принятое при первом христианском царе Мириане христианство арианского толка христианством Никейской формулы (это выяснено в работах J. Markwart-а и К. Кекелидзе). В глазах автора Жития, монофизита по убеждению, арианство не является настоящим христианством, поэтому „первым христианским царем иверов“, по нему, является тот, кто его заменил Никейской формулой².

¹ Несостоятельность его агиографических штудий и соображений объясняется, между прочим, и тем, что он совершенно не знаком с капитальными трудами русских ученых в этой области.

² К. Кекелидзе, У истоков христианизации Иверии (на грузинск. языке) Этюды по истории древнегрузинской литературы, т. III, 1955 г., стр. 16—22.

* * *

И так, работа проф. Хонигмана в нас вызывает чувство явной не-удовлетворенности. Мы предполагали, что он в византийской или мало еще изученной восточно-христианской литературе нашел какие-либо новые, в науке неизвестные фактические данные в пользу своей тезы. Но ничего подобного мы у него не находим; вместо таковых он нам предложил свои собственные домыслы и предположения, прибавив, таким образом, к существующим гипотезам еще одну новую. Хотя гипотеза его не новая: в работе Хонигмана в положениям Ш. Нупубидзе (о них см. наше замечание в грузин. органе „Литература и Искусство“, 1948 г., № 24), прибавлены кое-какие новые соображения, не гарантированные, как видели, от возражений. Конечно, никто не вправе пренебрегать работою Хонигмана (78), но заявить категорически (F. Dölger), что он „окончательно разрешил“ дискуссионный вопрос (78), преждевременно; в науке уже слышны критические голоса (Roques), не поддерживающие такого заявления¹. К чести проф. Хонигмана нужно сказать, что у него и нет претензий на безгрешность. Основное свое положение он называет „гипотезой“ (36, 40, 57) и догадкой „интуитивного“ характера (36). Этим объясняется, что у него мы встречаем такие выражения: „новидимому“ (36), „если наша гипотеза верна“ (36), „если наша гипотеза правильна“ (57), „если их автором действительно был Петр Ивер“ (61), „если наше объяснение правильно“ (47) и т. д. При всем том, работа эта безусловно станет определенным импульсом для дальнейших разысканий в области грузино-византийских культурных взаимоотношений.

¹ Настоящую работу Е. Хонигмана некоторые склонны расценивать как „открытие“ в науке по вопросу об Ареопagitике. Но о характере „открытий“ Хонигмана и о научных вообще работах его достаточно ясное представление дают отзывы о них хотя бы в „Византийском Временнике“ (т. III, стр. 251—257, 1950 г. и том VI, стр. 240). В особенности нужно отметить фундаментальную работу, которую выпустил в свет в 1954 году Hieronymus Engberding под заглавием: Kann Petrus der Iberer mit Dionysius Areopagita identifiziert werden (Oriens Christianus, Band 38, S. 68—95). Автор этой работы, которая, к сожалению, попала к нам в руки после сдачи этой заметки в производство, основательно разнес соображения Хонигмана, в особенности подрепляемые им данными Календарей и Синаеарей.

კ. კაკაბიძე

პროფ. ე. ჰონიგმანი პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა შესახებ

რეზუმე

1952 წელს ბელგიაში გამოვიდა პროფ. ე. ჰონიგმანის შრომა, რომელიც მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ავტორი დიონისე არეოპაგელის (I ს.) სახელით ცნობილი თხზულებებისა არის პეტრე ქართველი ან იბერიელი (V ს.). ამ შემთხვევაში საინტერესოა იმდენად არა ეს ჰიპოთეზი, რომელიც ჰონიგმანზე აღრე ჩვენში პროფ. შ. ნუცუბიძემ წამოაყენა, რამდენადაც მის სასარგებლოდ მოყვანილი მოსაზრებანი ავტორისა. ეს მოსაზრებანი მიზანს ვერ აღწევენ. მართლაც, ისინი რიგ შემთხვევებში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ავტორმა ვერ გვიჩვენა, რომ დიონისე არეოპაგელის მოძღვარი იეროთეოსი უთუოდ არის იოანე ევსუქი, მოძღვარი პეტრე იბერიელისა; ვერ გვიჩვენა მან ვერც ის, რომ ფსევდო-დიონისე პეტრე ქართველია. ვერ არის ახსნილი, რატომაა დადებული იეროთეოსის საეკლესიო ხსენება 4 ოქტომბერს, ვერც ისაა ვარკვეული, რატომ დაუწესებიათ დიონისე არეოპაგელის ხსენება 3 ოქტომბერს. აგიოლოგიური შტუდიები ავტორისა, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებენ, არც სწორია ყოველთვის და არც ამომწურავი. პირველწყაროები ავტორისა, მისივე სიტყვით, ისეთია, რომ იმათ საფუძველზე არ შეიძლება მყარი და საიმედო შენობის აგება.

ავტორმა ვერ მოგვცა ისეთი სურათი პეტრე ქართველისა, რომლიდანაც ჩანდეს, რომ უკანასკნელი შესძლებდა დაეწერა დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები.

ერთი სიტყვით, საძიებელი საკითხის გარშემო არსებულ ჰიპოთეზებს მივამატა ერთი კიდევ ჰიპოთეზი პროფ. ე. ჰონიგმანისა, საკითხი კი იმავე აღვილზე რჩება, რომელზედაც ის ამდენხან იღვა.

საჩი ქაიხიძე

В. А. АРТЕМОВ. Экспериментальная фонетика

Изд. литературы на иностранных языках.
Москва, 1956 г., 228 გვ.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, პროფ. ვ. არტიომოვი, თითქმის სამი ათეული წელია ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელობს მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტში. „მრავალი წლისა და მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად—წერს პროფ. ვ. არტიომოვი — ჩვენს ლაბორატორიაში გამოიმუშავებულ იქნა ზოგიერთი მეთოდი და ხერხი ენის ბგერითი შედგენილობისა და ინტონაციის ექსპერიმენტულ-ფონეტიკურად შესწავლისათვის. ეს შრომა მიძღვნილია მათი განხილვისადმი“¹.

ამ ლაბორატორიამ დღემდე თავისი შრომების ათამდე ტომი გამოაქვეყნა. გარდა ამისა, მასში დამუშავდა 40 მეტი დისერტაცია ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, რომელთა დიდი უმეტესობა გამოქვეყნებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეს ლაბორატორია საბჭოთა კავშირის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებს შორის ყველაზე უფრო მდიდარია მოწყობილობით. იგი ელექტროაკუსტიკური და რადიოტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შექმნილი აპარატურით არის აღჭურვილი. კერძოდ, მეტყველების ჩამწერი ელექტროაკუსტიკური აპარატი რეკორდერით ამ ლაბორატორიაშია შექმნილი პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით².

პროფ. ვ. არტიომოვს ენათმეცნიერთა წრეები და მკითხველთა ფართო საზოგადოება იცნობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ფსიქოლოგიის დარგებში. ავტორის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: „Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку“ (1940 г.), „Новая

¹ В. А. Артемов. Экспериментальная фонетика, გვ. 19.

² Проф. В. А. Артемов. Новая электроакустическая установка для регистрации речи: Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку, т. I, 1940, გვ. 210—218.

„электроакустическая установка для регистрации речи“ (1940 г.), „Лаборатория экспериментальной фонетики и психологии речи“ (1950 г.), „Рентгенологическое изучение речевой артикуляции“ (ვ. გინზბურგთან ერთად), „Изучение звукового состава речи“ (1954 г.), „К вопросу об интонации русского языка“ (1953 г.), „Об интонации“ (1953 г.), „Психология речи“, „Восприятие и понимание речи“ და სხვ.

პროფ. ვ. არტიომოვის მიერ ახლახან გამოცემული „ექსპერიმენტული ფონეტიკა“ შედგება შესავლისა და რვა თავისაგან. წიგნს თან ახლავს დასკვნები და დამატებები: ა) ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის ორგანიზაცია, ბ) მაგნიტოფონის კაბინეტის ორგანიზაცია. აგრეთვე თან ერთვის ბიბლიოგრაფია რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ლიტერატურისა და საგნობრივი საძიებელი. წიგნში დაბეჭდილია კარგად შესრულებული სამოცამდე საილუსტრაციო ფოტომასალა და სქემები.

გარდა იმისა, რომ ავტორი ვრცლად განიხილავს ენის ბგერით თავისებურებებსა და ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის საკითხებს, იგი ამავე დროს იძლევა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მეთოდების სისტემატიკას.

ავტორი ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ამჟამად და წინათ გამოყენებულ მეთოდებს აჯგუფებს და აღწერს მათ დადებითსა და ნაკლოვან მხარეებს. I ჯგუფში შეჰყავს სომატური და ფიზიოლოგიური მეთოდები: პალატოგრაფიული მეთოდი, საწარმოთქმო გარე და შიგა ორგანოების არტიკულაციის ფოტოგრაფირება (შიგა ორგანოებისა ორგრაფის საშუალებით). სამეტყველო სუნთქვის პნევმოგრაფიული მეთოდით ჩაწერა და ანალიზი და რენტგენოგრაფიული მეთოდი. II ჯგუფში განხილულია ელექტროაკუსტიკური მეთოდები: ფირფიტაზე ჩაწერა სპეციალური დაზვის საშუალებით, მაგნიტოფონის ფერომაგნიტურ ლენტზე ჩაწერა, ელექტრომაგნიტური რეკორდერით ჩაწერა, ოსცილოგრაფიული ჩაწერა და ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზი, ენის ფონემური შედგენილობის სპექტროგრაფიული ანალიზი. III ჯგუფის მეთოდებში განხილულია ექსპერიული მეთოდები: მოლაპარაკის მეტყველების, ჟესტისა და მიმიკის სინქრონულად ჩაწერა. განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა ამ გზით ინტონაციის შესწავლა. ინტონაციის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკის სახის, ჟესტებისა და საერთოდ მთელი სხეულის პოზის კინოგადაღებას.

გარდა ამისა, ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვითდაკვირვების, ენობრივი მასალის ანალიზისა და საუბრის მეთოდებს.

იმის მიხედვით, თუ რა ამოცანაა დასახული და კვლევის რა პირობები გვაქვს, უნდა შერჩეულ იქნეს ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო წარმატებით გადაწყვეტს დასმულ ამოცანას. ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მეთოდის შერჩევა, მისი გამოყენება და ამავე დროს კვლევის ორგანიზაცია მეტად

როდესაც საქმეა, რომელიც გულისხმობს ექსპერიმენტატორის კარგ მომზადებასა და საჭირო ჩვევების გამოუმუშავებას ექსპერიმენტის მაღალ დონეზე დაყენებისა და ჩატარებისათვის.

პროფ. ვ. არტიომოვი რჩევასაც კი იძლევა, თუ ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევისას რა შემთხვევაში რომელი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. ასე, მაგალითად, ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონემების შესწავლისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მეთოდი. მაგრამ ცალკეული საკითხების კვლევისას უპირატესობა ეძლევა ერთ-ერთ მათგანს. მაგ., ხმოვნის ფორმანტების შესწავლა ამჟამად წარმოებს ოსცილოგრაფითა და სპექტოგრაფით, ხმოვნის ძირითადი ტონის სიმაღლე, ინტენსიობა და ხანგრძლიობა—ელექტროდინამიკური რეკორდერის გამოყენებით. ცალკეულ ხმოვანთა და თანხმოვანთა წარმოქმნისას ჰაერნაკადის მოცულობა შეისწავლება პნევმატიკური მეთოდით, ხმოვნის ხანგრძლიობა შეიძლება პნევმატიკური და ელექტროდინამიკური რეკორდერის საშუალებებით. ხმოვნის არტიკულაცია შეისწავლება კინორენტგენის გადაღებით, სტატიკური რენტგენის გადაღებით. მიკროფოტო აპარატით, პალატოგრამული მეთოდითა და სხვ.

თანხმოვანი ფონემები შეისწავლება სპექტოგრაფითა და კინორენტგენის გადაღებით, პალატოგრამული მეთოდით, აგრეთვე არტიკულაციის ფოტოგადაღებით. თანხმოვანთა ასპირაციას ვსწავლობთ პნევმატიკური აპარატებით. თანხმოვანთა გამჟღერება და დაყრუება შეისწავლება ელექტროდინამიკური რეკორდერისა და პნევმატიკური საშუალებებით, თანხმოვანთა სილბო-სიმაგრე—რენტგენის გადაღებითა და პალატოგრამებით და ა. შ.

ინტონაციის კვლევის ყველაზე კარგი აპარატია ამჟამად ელექტროდინამიკური რეკორდერი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ზუსტი მონაცემები ინტონაციის ფიზიკური თვისებებისა: ძირითადი ტონის გერცებში მოძრაობისა, წარმოქმნის ინტენსიობის ამპლიტუდისა, ობერტონებისა 2500 გერცის ფარგლებში და წარმოქმნის ხანგრძლიობისა მილისეკუნდებში და ა. შ.

როგორც ცნობილია, ფონეტიკაში ექსპერიმენტის დამკვიდრება მოხდა პნევმატიკური მეთოდის საფუძველზე. ავტორი ვრცლად ჩერდება პნევმატიკური მეთოდის ნაკლოვანებებზე და აღნიშნავს იმ უპირატესობებს, რომლებიც ელექტროაკუსტიკურ მეთოდებს აქვს მასთან შედარებით.

თავის დროზე აკად. ლ. შჩერბასაც, რომელიც შეუდარებელი ოსტატი იყო პნევმატიკური მეთოდის, კარგად ჰქონდა შეგნებული ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ მეთოდს აქვს და ამიტომაც იყო, რომ წერდა: „თუკი ცოცხალ მეტყველებას ჩაეწერდით მექანიკური აპარატებით, როგორც ეს ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი, ჩვენ განვცვიფრდებოდით იმ შეცდომათა სიმრავლით, რომლებსაც ჩვენ ვუშვებთ ფონეტიკასა, მორფოლოგიასა, სინტაქსსა და ლექსიკაში“¹.

¹ Л. В. Щерба. О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании, ИАН СССР, Отд. общест. наук, 1931, №1, გვ. 125—126.

პროფ. ვ. არტიომოვის თავისი დებულების საილუსტრაციოდ შესადარებლად მოჰყავს რუსული სიტყვის „нараба“ -ის პნევმატიკური და ელექტროაკუსტიკური რეკორდებით ჩაწერისა და ანალიზის საფუძველზე შედგენილი მელოდიკისა და ინტენსიობის მრუდები (გვ. 170, 172).

პნევმოკიმოგრაფისა და ელექტროკიმოგრაფის შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ განსხვავება საგრძნობია. ელექტროკიმოგრაფაზე ნათლად ჩანს, თუ რამდენად ზრდის სიტყვაში „нараба“ ინტენსიობის მომენტს სონორების μ -სა და π -ს მონაწილეობა, მაშინ როდესაც პნევმოკიმოგრაფაზე ამ თანხმომავნათა ინტენსიობა ასახული არ არის და ნაჩვენებია მხოლოდ ხმოვნების ინტენსიობის სურათი.

ექსპერიმენტული ფონეტიკის შესახებ დღემდე რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ძიდარი ლიტერატურიდან პროფ. ვ. არტიომოვის წიგნი გამოირჩევა იმიტ, რომ მასში ვრცლად არის განხილული და აღწერილი ენის ბგერითი შედგენილობის შესასწავლად გამოყენებული ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკისა და რენტგენოლოგიის ახალი მეთოდები. ვარდა ამისა, ავტორი თავისი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის გამოცდილებიდან იძლევა ზოგიერთ საყურადღებო რჩევასა და ახალ იდეებსაც კი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მიღწევები, რომლებიც ამ უკანასკნელად ექსპერიმენტულ-ფონეტიკურმა კვლევამ მოიპოვა თანამედროვე ელექტროაკუსტიკური, რადიოტექნიკისა და რენტგენოლოგიის მეთოდების გამოყენების საფუძველზე“ (გვ. 6).

პროფ. ვ. არტიომოვის მთელ წიგნს წითელი ზოლივით გასდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეტაპზე ფონეტიკოსი ღრმად და საფუძვლიანად უნდა იყოს განსწავლული არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ ისეთ მომიჯნავე დარგებშიც, როგორცაა ფიზიკა, ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია.

ავტორი ფიქრობს, რომ ექსპერიმენტულ-ფონეტიკურ კვლევაში აუცილებელია გავარჩიოთ მეტყველება (речь) და ენა (язык) „მეტყველების გარეშე არ არსებობს „ენა“, ენა არის ურთიერთგაგებინების საშუალება, ხოლო მეტყველება არის პროცესი ურთიერთგაგებინებისა ენის საშუალებით“. „ენა შეიძლება შესწავლილ იქნეს მხოლოდ მეტყველების მეშვეობით; მხოლოდ მეტყველებაში შეიძლება ვიპოვოთ და განვსაზღვროთ მოცემული ენის განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი“ და ა. შ.

ენობრივი მასალების ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ანალიზის მთავარი მიზანია დადგენილ იქნეს ენის ფონეტიკური აგებულების ზოგადი კანონები.

პროფ. ვ. არტიომოვი, აკად. ლ. შჩერბას მოსაზრებებზე დაყრდნობით, ფონეტიკის მთავარ ამოცანად თვლის:

1. შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ მოცემული ენის ფონეტიკური შედგენილობა, კერძოდ, ის ფონემები, რომლებსაც ენა ასხვავებს.

2. მოცემულ იქნეს მათი სრული აღწერილობა.

3. აღნუსხოთ და დავახასიათოთ ფონემის ყველა ვარიანტი, რომლებიც წარმოქმნილა მოცემულ ენაში.

4. განესაზღვროთ ფონემათა ვარიანტების წარმოქმნის პირობები და

5. ავსხნათ მათი წარმოქმნის მიზეზები¹.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. ვ. არტიომოვის მიერ საკმაოდ ვრცლად დახასიათებული და განმარტებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის ის ეტაპები და აუცილებელი პირობები, რომლებიც მოცემულია სარეცენზიო წიგნში. ავტორი ყველა ამ პირობას 15 მუხლად აყალიბებს:

1. აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს საკვლევი პრობლემა შესასწავლი ენის ფონეტიკისა ზოგადენათმეცნიერული და სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით.

2. ასევე აუცილებელია შესწავლილ იქნეს საკითხის ისტორია და თანამედროვე ვითარება.

3. ვიწრო და კონკრეტული საკითხი უნდა იქნეს დასმული საკვლევად და წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ მისი გადაწყვეტის ყველა შესაძლებლობა.

4. უნდა შევქმნათ ცდისათვის აუცილებელი ექსპერიმენტული მოწყობილობა. ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ცდის სწორი ორგანიზაცია გულისხმობს არა მარტო სპეციალურ აპარატურასა და მოწყობილობას, არამედ ექსპერიმენტატორის დიდ გამოცდილებასა და ოსტატობასაც.

5. საექსპერიმენტო მასალა წინასწარ უნდა იყოს მომზადებული (შერჩეული და მანქანაზე გადაბეჭდილი).

6. ასევე აუცილებელია წინასწარ შერჩევა დიქტორებისა, რომლებიც საკვლევი ენის წარმოთქმას ორთოეპიულად სრულყოფილად ფლობენ და აუდიტორებისა, რომლებიც წარმოთქმული მასალის სწორ დაკვირვებასა და შეფასებას მოგვცემენ.

7. წინასწარ უნდა იქნეს შედგენილი ცდის ჩატარებისათვის საჭირო ინსტრუქცია დიქტორებისა და აუდიტორებისათვის, თუ როგორ უნდა მოქცნენ ისინი ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

8. ცდის ჩატარების მთელი პროცესი გულისხმობს ექსპერიმენტატორის ნამდვილ რთულ შემოქმედებითს მუშაობას.

9. ცდის მიმდინარეობა დაწვრილებით უნდა აისახოს ოქმში დაწესებულების, თემის, მასალის, ცდაში მონაწილეთა პირების ჩვენებითა და სხვა.

10. მიღებული შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი დამუშავება და ცბრილებისა და სქემების სახით წარმოდგენა.

11. მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახვა.

12. მიღებული შედეგების საფუძველზე დასკვნების ფორმულირება.

13. მიღებული შედეგების თეორიული მნიშვნელობის დასაბუთება.

14. მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა და პრაქტიკაში დანერგვის საშუალებანი.

¹ Л. В. Щерба. Русские гласные в качественном и количественном отношении. СЛБ, 1912, № 20.

15. შეძლებისდაგვარად უნდა შემოწმდეს მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენება (უპირატესად მშობლიური და უცხოური ენის შესწავლისათვის).

დამატებებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეტანილია ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მაგნიტოფონის კაბინეტების ორგანიზაციის საკითხები. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს მკვლევართა კოლექტივის შექმნაზე და კაბინეტის თანამედროვე აპარატებითა და მოწყობილობით აღჭურვაზე. იქვეა ჩამოთვლილი ყველა ის აპარატი, რომლებიც უნდა დაიდგას კაბინეტში და მოცემულია აპარატურის განლაგების სქემები.

წიგნის ეს ნაწილიც დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის ორგანიზაციის საქმეში.

მეტად საჭირო და სასარგებლოა აგრეთვე თანდართული ბიბლიოგრაფია რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული ექსპერიმენტული ფონეტიკის ლიტერატურისა და სია იმ დისერტაციებისა, რომლებიც დამუშავებულ იქნა პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში.

სარეცენზიო წიგნის გაცნობის შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობა ის, რომ, სამწუხაროდ, ავტორი შეზღუდული ყოფილა წიგნის მოცულობით. ამაზე თვით ავტორიც ჩივის (გვ. 20), ამიტომ ბევრი საკითხი ისეა დასმული, რომ მას სათანადო გაშუქება ვერ მიუღია წიგნში. წიგნის შესავალში ექსპერიმენტული ფონეტიკის ბევრი კლასიკოსი მხოლოდ ჩამოთვლილია და არაფერია ნათქვამი მათი დამსახურების შესახებ ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების საქმეში. ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების მოკლე ექსკურსიც კი არ არის მოცემული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთში ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების შესახებ მოცემულ ცნობებს. ავტორი იწყებს მ. ლომონოსოვის ფონეტიკის შესახებ შეხედულებათა განხილვით, უფრო ვრცლად განიხილავს ა. ვოსტოკოვისა და ბოდუენ-დუ კურტენეს ფონეტიკურ შეხედულებებს და განსაკუთრებით ვახაზავს ვ. ბოგოროდისკისა და ლ. შჩერბას დიდ დამსახურებას ექსპერიმენტულ-ფონეტიკურ კვლევის განვითარების საქმეში. ჩამოთვლილია აგრეთვე ექსპერიმენტულ ფონეტიკაში დღეს ნაყოფიერად მომუშავე საბჭოთა ენათმეცნიერებიც.

ცნობილია, რომ ექსპერიმენტული ფონეტიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ენათმეცნიერებაში და, კერძოდ, ფონეტიკაში ექსპერიმენტული ანუ იარაღობრივი მეთოდის გამოყენების საფუძველზე. ენათმეცნიერების ამ დარგის წარმოშობასა და განვითარებაზე ძლიერი და კეთილ-სასურველი გავლენა ჰქონდა მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიცაა ექსპერიმენტული ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1875 წლის დასაწყისში პარიზის დიდ ფიზიოლოგთან პროფ. მარეისთან გამოცხადდა ლინგვისტური საზოგადოების დელეგაცია იმის გასაგებად, შესაძლებელია, თუ არა გრაფიკული მეთოდით შესწავლილი იქნეს ის რთული და მრავალმხრივი მოძრაობანი, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანის მეტყველება. კერძოდ, საკითხი შეეხებოდა

იმას, შესაძლებელია თუ არა ობიექტური ჩანაწერი მივიღოთ იმ აქტებისა, რომლებსაც სხედასხვა ბგერის არტიკულაციის დროს აწარმოებენ გულმკერდი, ხორხი, ენა და ბაგეები¹.

ცნობილია ისიც, რომ გამოჩენილმა ფიზიოლოგებმა მარეიმ და როზაპელიმ ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეტყველების შემსწავლელი სპეციალური აპარატების გამზადებითა და მრუდების მიღებით. დღესაც, მაგალითად, ხორხის კედლების რხევების ჩამწერი კათსულა და ბაგეების მოძრაობის ჩამწერი იარაღი ამ ავტორების სახელებს ატარებენ (პირველი მარეის ეკუთვნის, მეორე — როზაპელის).

გრაფიკულ მეთოდს ფონეტიკაში ნამდვილი სრულყოფილი სახე რუსლომ მისცა. მან 1896 წელს პარიზში დაარსა ექსპერიმენტული ფონეტიკის პირველი ლაბორატორია და ამის შემდეგ ფონეტიკა მძლავრი საყრდენი შეიქნა ენათმეცნიერებისათვის.

რუსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში შესრულებული შრომები შეჯამებული სახით ორ კაპიტალურ ტომად გამოიცა სათაურით: „Principes de Phonétique expérimentale“ (I, 1—638 გვ.; II, 641—1252 გვ., პარიზი, 1924).

აღსანიშნავია, რომ რუსლოს კვლევის ობიექტი ევროპული ენების გვერდით ქართული ენაც შეიქნა. კერძოდ, თედო სახოკიას პარიზში ყოფნის დროს რუსლოს მისგან ჩაუწერია გრაფიკულად ქართული სიტყვები. ამ სიტყვების ანალიზი რუსლოს მოცემული აქვს თავისი შრომის მეორე ტომში (გვ. 863—868), რუსლოს იქვე მოცემული აქვს ქართული ენის წინა და უკანაენისმიერ თანხმოვანთა პალატოგრაფებიც (გვ. 867).

რუსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში მიიღო წრთობა რუსული ენათმეცნიერების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა და ექსპერიმენტული ფონეტიკის უბადლო ოსტატმა, როგორც იყო აკად. ლ. შჩერბა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარიზში ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის დაარსების პერიოდში რუსეთში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიება გააჩაღა ვ. ბოგოროდიცკიმ. მის მიერ ყახანის უნივერსიტეტთან შექმნილმა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიამ დიდი როლი შეასრულა რუსეთში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის განვითარების საქმეში. ამ ლაბორატორიაში შესრულდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შრომა, რომლებიც შეეხებიან რუსული და თათრული ენების ფონეტიკის ექსპერიმენტულად კვლევას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ვ. ბოგოროდიცკის ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები: „Заметки по экспериментальной фонетике“ (1896 г.), „Гласные без ударения в русском языке“ (1880 г.), „Курс экспериментальной фонетики применитель-

¹ об. С. Ершов. Графический метод: Ученые записки Казанского университета, кн. 11. 1901, гл. 157.

по к литературному русскому произношению“ (იგი სამ წიგნად გამოვიდა— I, 1917 წ., II, 1922 წ., III, 1922 წ.), „Фонетика русского языка в свете экспериментальных данных“ (1930), ამ უკანასკნელ შრომაში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი პროფ. ვ. ბოგოროდიცკის მიერ რუსული ენის ფონეტიკის მრავალი წლის განმავლობაში კვლევის შედეგები. გარდა ამისა, შრომაში განხილულია ექსპერიმენტული ფონეტიკის კვლევის მეთოდები და ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები.

ყაზანის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის შემდეგ ჩვენში ყველაზე მდიდარი და შინაარსიანი ისტორიის მქონეა ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული აკად. ლ. შჩერბას სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში დამუშავდა ლ. შჩერბას საყოველთაოდ ცნობილი ექსპერიმენტული გამოკვლევები: „Русские гласные в качественном и количественном отношении“ (1912 გ.), „Фонетика французского языка“ (1937). ეს უკანასკნელი შრომა დღემდე ხუთჯერ გამოიცა ხელახლა.

აკად. ლ. შჩერბას უდიდესი დამსახურება მიუძღვის არა მარტო საბჭოთა კავშირში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიების განვითარებაში, არამედ ამ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეშიც. აკად. ლ. შჩერბას ექსპერიმენტულ-ფონეტიკური სკოლა განვლეს დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე სპეციალისტებმა: პროფ. ლ. ზინდერმა, დოც. მ. მატუსევიჩმა (ლენინგრადი), დოც. ვ. სოკოლოვამ (მოსკოვი), პროფ. გ. ახვლედიანმა, პროფ. ს. ჟღენტმა (თბილისი), დოც. ი. სუნცოვამ (კიევი), დოც. ე. მაჰმუდოვმა (ბაქო) და სხვ.

აკად. ლ. შჩერბას სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში დამუშავდა და მომზადდა ისეთი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები, როგორცაა: ლ. ზინდერისა და მ. მატუსევიჩის: „Экспериментальное исследование фонем нивхского языка“ (1937 გ.), ვ. სოკოლოვას, „Фонетика таджикского языка“ (1949 გ.), ლ. ზინდერის „Общая фонетика“ (1955 გ.). ეს უკანასკნელი შრომა წარმოადგენს ავტორის სადოქტორო დისერტაციას. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ექსპერიმენტულ ფონეტიკას (იხ. დაბეჭდილი ავტორეფერატი), პროფ. ლ. ზინდერმა 1956 წელს გამოაქვეყნა: „Гласные корейского языка“, სადაც პნევმატიკური და სექტოგრაფიული მეთოდებითაა შესწავლილი კორეული ენის ხმოვანთა სისტემა. რუსლოს შემდეგ საზღვარგარეთ ექსპერიმენტულ ფონეტიკას ისეთი დიდი ღვაწაგები გამოუჩნდნენ, როგორიც არიან ე. სკრიფჩერი და გ. პანკონიელი-კალცია.

პროფ. ე. სკრიფჩერი ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელია და მისი ყოფილი პრეზიდენტი (ეს საზოგადოება დაარსებულ იქნა 1928 წ. აპრილში, ჰააგაში). ამჟვე დროს იგი 1930 წლიდან ხელმძღვანელობდა ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების ორგანოს: Zeitschrift für experimental-Phonetik-ის გამოცემას.

პროფ. ე. სკრიფჩერის გამოკვლევები უმთავრესად შეეხებიან ხმოვნის ბუნებას, მეტყველების მელოდიკასა და მახვილის საკითხებს, ენის ნერვოლოგიას, მეტყველების პათოლოგიასა და ლექსთწყობის საკითხებს.

ე. სკრიფჩერმა გრაფიკული მეთოდი რუსლოს შემდეგ კიდევ უფრო განავითარა და უფრო მგრძობიარე სახე მისცა მას. მან სპეციალური აპარატურა კი შექმნა მეტყველების სუსტად ჩასაწერად (ამ აპარატურის მოდელი Homman-ს ეკუთვნის). ე. სკრიფჩერის სახელთანაა დაკავშირებული ზოგად ფონეტიკაში „ენის მოლეკულარული თეორიის“ შექმნა¹. თავისი შეხედულებანი გრაფიკული მეთოდის შესახებ ე. სკრიფჩერს ძირითადად ჩამოყალიბებული აქვს ნაშრომში: *Anwendung der graphischen Methode auf Sprache und Gesang* (1927). ამ შრომაში გამოთქმული ზოგიერთი დებულება ავტორს განმეორებული და უფრო გავრცობილი აქვს მრავალრიცხოვან სტატიებში.

ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰამბურგის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის ნაყოფიერი მუშაობა პროფ. გ. პანკონჩელი-კალციას ხელმძღვანელობით.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს ამ ლაბორატორიაში დამუშავებული და გამოქვეყნებულმა გ. პანკონჩელი-კალციას ექსპერიმენტულ-ფონეტიკურმა შრომებმა: „Das Hamburger experimentalphonetische Praktikum“ (1922), „Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft“ (1924), „Über Palatogrametrie“ (1918) და სხვ.

ამჟამად ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ: „Zeitschrift für Phonetik und allgemeine Sprachwissenschaft“, რომელსაც სცემს ბერლინის აკადემია. უკვე გამოცემულია ამ სერიის 9 ტომი.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქ. ოსლოს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია, სადაც სხვა საინტერესო შრომებთან ერთად ქართული აქცენტუაციის შესახებაც კი დაიწერა ე. ზელმერისა და ჰ. ფოგტის მიერ გამოკვლევა: „Georgische experimentalstudien, ოსლო, 1935.

საქართველოში ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა-ძიების განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ 30 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. გ. ახვლედიანის მიერ დაარსებულმა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტმა.

უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრაზე (გამგე პროფ. გ. ახვლედიანი) და კაბინეტში მომზადდა მთელი რიგი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური შრომებისა, რომლებიც შეეხებიან ზოგადი და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხების კვლევას. მათგან აღსანიშნავია პროფ. გ. ახვლედიანის „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1937 წ.), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.), „ზოგადი ფონეტიკის შესავა-

¹ ჩვენი: ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, 1945 წ.

ლი“ (1956 წ.), და სხვა სპეციალური გამოკვლევები. ჩვენი: „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (1949). ეს შრომა ნაწილობრივ დამუშავდა აკად. ლ. შჩერბას ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში აკად. ლ. შჩერბას ხელმძღვანელობით. „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“ (1953 წ.), „ქართული ენის ფონეტიკა“ (1956 წ.), ეს უკანასკნელი შრომა ნაწილობრივ დამუშავდა მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის* ლაბორატორიაში.

გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზოგადსა და ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდის საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შეფობა და საქმიანი დახმარება, რომელიც მოსკოვის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიამ იკისრა პროფ. ვ. არტიომოვის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის კურსის გავლისას ამ ლაბორატორიაში მუშაობდნენ, დისერტაციები მოამზადეს და დაიცვეს ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტებმა ლ. გამსახურდიამ „Сравнительный анализ фонем грузинского и английского языков“ (1953 წ.), გ. დოლიძემ „ქართული ენის თანხმოვნები“ (1954 წ.), ნ. ქუთელიამ „პარმონიულ კომპლექსთა ორი სისტემა ქართულში“ (1955), შ. შათირიშვილმა „ფონოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი“ (1954 წ.), გარდა ამისა, ხსენებულ ლაბორატორიაში დამუშავებული საკითხების საფუძველზე აფორმებენ დისერტაციებს — თ. ციბაძე „ბგერათმეცნიერებანი ქართულში“ და თ. აბზიანიძე; „ქართულ მყდერ ხშულებში მყდერობის ხარისხიანობა“.

აღნიშნულ ლაბორატორიაში დაამუშავა თავისი სადოქტორო დისერტაცია: „Фонетика даргинского языка“ (1956 წ.), დოც. შ. გაფრინდაშვილმა. აგრეთვე მანვე გამოაქვეყნა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევა: „ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 7). ავტორს ამ შრომაში მოუმარჯვებია კვლევის ახალი, თითქოს გაუმჯობესებული — ველო-პალატო-დენტოგარამული მეთოდი¹.

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შ. გაფრინდაშვილის მიერ მიღებული შედეგები ვერ იმსახურებენ ნდობას. ავტორი ამტკიცებს, რომ მისი „ექსპერიმენტული მონაცემებით არ დასტურდება ლაბიალურ თანხმოვანთა ლაბიო-ველარული არტიკულაცია. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის მეფეს ცნობილი დებულების გაზიარებას ბაგისმიერთა ვითომცდა ველარული ბუნების შესახებ“ (გვ. 259). ავტორის ექსპერიმენტული მონაცემები ამ საკითხში აკად. ლ. შჩერბას მოსაზრებებსაც უარყოფენ. ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და თავისი „ექსპერიმენტული მონაცემების“ საფუძველზე აკად. ლ. შჩერბას სხვა დებულებასაც ასწორებს. „უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. შჩერბა გადაჭარბებით აფასებს ამ „მეორე ფოკუსის“ მნიშვნელობას შ თანხმოვნის არტიკულაციისას და მხედველობიდან რჩება ენის წვერის თავისებური მდგომარეობის როლი ქვედა წინა კბილების მიმართ, რითაც შიშინის ეფექტია შეპირობებული. „მეორე ფოკუსი“, მაგალითად, სისინა თანხმოვნებსაც გააჩნიათ“... (გვ. 264). ავტორის ვერც ეს დებულება უძილებს მეცნიერულ კრიტიკას. „ენის წვერის თავისებური მდგომარეობა ქვედა კბილების მიმართ“ შესაძლებელია შ-ს წარმოთქმისასაც გვექონდეს და ს-ს წარმოთქმისასაც.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სარეცენზიო წიგნი უმთავრესად ემყარება და ასახავს მოსკოვის I უცხო ენათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებულ მუშაობასა და მის მიღწევებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სახელწოდებით გამოცემულ შრომაში ვრცლად უნდა იყოს წარმოდგენილი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში მოპოვებული შედეგები, გამოცდილების ანალიზი და მათი განზოგადებანი.

სასურველია, ავტორმა წიგნის ხელახალი გამოცემისას შეავსოს და განავრცოს ის თავები, რომლებიც წიგნში ახლა ასე მოკლედ არის წარმოდგენილი.

პროფ. ვ. არტიომოვის „ექსპერიმენტული ფონეტიკის“ ამ სახითაც გამოცემა უთუოდ მისასალმებელია და იგი მეტად სასარგებლო წიგნს წარმოადგენს ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში მომუშავე პირთა და ყველა მათთვის, ვინც ამ დარგით დაინტერესებულია.

მაგრამ ეს „შიშინი“ სრულიადაც ვერ შექმნის. ასეთი „შიშინი“ შეიძლება წარმოიქმნას და გაძლიერდეს ენის უკანა ნაწილის ზურგის მაღლა აწეულობით და იქ „მეორე ფოკუსის“ შექმნით. რაც შეეხება შ. გაფრინდაშვილის მტკიცებას იმის შესახებ, რომ „მეორე ფოკუსი“ შეიძლება სისინებას ჰქონდეს, ესეც არაა სწორი. თუ სისინა თანხმოვნებს „მეორე ფოკუსი“ გაუჩნდა, ის სისინა კი აღარ იქნება, არამედ შიშინა ნარევი სისინებია და ასეთი თანხმოვნები უნდა გავარჩიოთ სუფთა სისინებისაგან.

გაუგებარია, თუ რად დასჭირდა შ. გაფრინდაშვილს პროფ. გ. ახვლედიანის მიერ ჩვენს ფონეტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების „აქეთურისა“ და „იქეთურის“ ანუ, რაც იგივეა, „აქცესიურისა“ და „დეცესიურის“ შეცვლა ახალი ტერმინებით: „გარეთაყენური“ და „შიგნითაყენური“ ისე, რომ არც კი უთითებს პროფ. გ. ახვლედიანზე. რით უღობია შ. გაფრინდაშვილის ტერმინები იმ ტერმინებს, რომლებიც დღემდე იმარაბა?

შ. გაფრინდაშვილს ლაბიო-ველარიზაციის რთული პროცესი და მისი შედეგები მეტად მარტივად აქვს წარმოდგენილი და ამიტომ ჩვენი „სუანური ენის ფონეტიკის ძირითად საკითხებსა“ და „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკაში“ მოცემულ ამ საკითხის ანხნაში წინააღმდეგობას ხედავს. საკმე იმაშია, რომ ჩვენს ავტორს, ალბათ, ავიწყდება ის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ესა თუ ის ფონეტიკური პროცესი შესაძლებელია რამდენიმე ფონეტიკური ფაქტორის შედეგი იყოს. კერძოდ, სადაო ფონეტიკური პროცესის წარმოქმნაში მონაწილეობს ლაბიო-ველარიზაცია, ლაბიო-ლარინგალიზაცია და ამავე დროს ამ პროცესს ხელს უწყობს შიშინა თანხმოვანთა ორ ფოკუსიანობა, მაგრამ მათი წარმოქმნის საერთო საფუძველი მაინც ლაბიო-ველარიზაცია რჩება (იხ. ჩვენი: ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 187).

შ. გაფრინდაშვილის „ექსპერიმენტული მონაცემები“ სრულებითაც ვერ არღვევენ ა. მეფეს, ლ. შჩერბასა და სხვათა ცნობილ დებულებებს. ასეთმა „ექსპერიმენტულმა მონაცემებმა“ თვით ავტორი უნდა დააფიქროს, რათა ხელაღებით არ უარყოს ის, რაც მეცნიერებაში უკვე დადგენილი და მოპოვებულია.

Сергей Жгенти

В. А. Артемов. Экспериментальная фонетика, 1956

Резюме

Автор рецензируемой книги, проф. В. А. Артемов, почти 30 лет руководит Лабораторией экспериментальной фонетики и психологии речи Первого Московского института иностранных языков.

„В результате многолетней работы и многочисленных исследований—пишет проф. В. А. Артемов—в нашей Лаборатории выработаны некоторые методы и приемы экспериментально-фонетического изучения звукового состава и интонации языка. Их изложению и посвящена настоящая книга“. (стр. 19).

Особо следует отметить, что эта Лаборатория наиболее богато оборудована среди лабораторий экспериментальной фонетики в Советском Союзе. Она оснащена аппаратурой, созданной на основе новейших достижений электроакустики и радиотехники. В частности, звукозаписывающий электроакустический аппарат с рекордером создан в этой Лаборатории под руководством проф. В. А. Артемова.

Автор подробно рассматривает применяемые в экспериментальной фонетике в настоящее время и ранее методы, дает их описание и систематику и особо отмечает преимущества электрокинограммы в сравнении с пневмокинограммой.

Из богатой литературы, существующей по экспериментальной фонетике на русском и иностранных языках, книга проф. В. А. Артемова выделяется тем, что в ней широко рассмотрены применяемые для изучения звукового состава языка новые электроакустические, радиотехнические и рентгенологические методы.

Кроме того, автор дает ряд интересных советов из своего опыта экспериментально-фонетического исследования и выдвигает ряд новых идей для совершенствования и улучшения экспериментально-фонетического исследования.

Автор справедливо отмечает, что „Особенно значительны успехи экспериментально-фонетических исследований за последнее время в связи с применением к экспериментально-фонетическим исследованиям современных электроакустических, радиотехнических и рентгенологических методов“. (стр. 6).

По всей книге проф. В. А. Артемова красной нитью проходит утверждение, что на современном этапе фонетист должен обладать

обширными познаниями не только в языковедении, но и в таких смежных отраслях, как физика, психология и физиология.

Высшим учебным заведениям и научным учреждениям большую помощь в деле организации фонетических кабинетов окажут и приложения к книге; принесет большую пользу и прилагаемая библиография существующей экспериментально-фонетической литературы на русском и иностранных языках.

К сожалению, как отмечает сам автор (стр. 20), он в ряде случаев был ограничен объемом книги. Во вступлении к книге многие классики экспериментальной фонетики только перечислены и ничего не сказано об их заслугах в развитии экспериментальной фонетики. Автор не дает даже краткого экскурса развития экспериментальной фонетики, если не принять во внимание сведения о развитии экспериментальной фонетики в России.

Нам представляется, что в книге, рассматривающей вопросы экспериментальной фонетики, должны быть широко представлены итоги, анализ опыта и обобщения экспериментально-фонетических лабораторий в СССР и за рубежом.

Было-бы желательно, чтобы автор, при новом издании книги, дополнил и расширил те главы, которые сейчас представлены так сжато.

Однако, издание „Экспериментальной фонетики“ проф. В. А. Артемова следует приветствовать и в этом виде. Эта книга окажет большую помощь лицам, работающим по экспериментальной фонетике и всем тем, кто интересуется этой отраслью науки.



უფ 01595.

შეკვეთა № 1479.

ტირაჟი 500.

გადაცემა წარმოებას 31/X. 56 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII. 56 წ. ანაწყოების
ზომა 7×11. ქაღალდის ზომა 70×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 38,6. საადრიცხვო-
საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 36,1.

შანი 10 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ., 1.

Типолитография издательства ТГУ имени Сталина. Университетская, 1.